რევაზ

რჩეული თხზულებანი

ოცდახუთ ტომად

თანამედროვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, რევაზ მიშველაძის შემოქმედება კარგახანია მსოფლიო ლიტერატურის ორგანულ ნაწილად იქცა.

„საქართველოს მაცნე“ გამოსცემს პროზის დიდოსტატის რევაზ მიშველაძის რჩეულ თხზულებათა ოცდახუთტომეულს.

მკითხველი ამ ტომების წაკითხვისას ადვილად დარწმუნდება, რომ მწერლის ჟანრულად უაღრესად მდიდარ ნაწერებში ჩანს არა მარტო საქართველოს პრობლემები, არამედ ქართული სარკმლიდან დანახული მსოფლიოც.

2012

მიშველაძე

ნოველები

ტომი

II

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

ISBN 978-9941-16-228-2 (ოცდახუთივე ტომი)
ISBN 978-9941-16-232-9 (II ტომი)

რედაქტორი: **ნათელა თუხარელი**

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: **მავრა ბანცური**
ლია სულაქველიძე

© რევაზ მიშველაძე, **რჩეული თხზულებანი ოცდახუთ ტომად**
© **გამომცემლობა** „საქართველოს მაცნე“, **თბილისი,** 2012

მისამართი: თბილისი, 0179, ალ. ჭავჭავაძის გამზ. №27

როგორც ღორჯოები ფოთქში

მთავარია, ფული არ დაგინომრონ. ფულის დანომრვამდე თუ მივიდა საქმე, მეყოლე კარგად. შეგიძლია დაიხურო ქუდი უკუღმა და თბილი საცვალი მოიმარაგო. შენ ამბობ, ადამიანზეა ყველაფერი დამოკიდებულიო, ზოგი ამნაირი გამოვა და ზოგი იმნაირიო. როგორც კი დახვავდება სარჩო-საბადებელი, მოგვემატება ხელფასები და შიმშილის შიში მოისპობა, მაშინვე გაქრება ეს ავად შემოჩენილი მექრთამეობა და ქურდობა ქვეყანაზეო. არ გეწყინოს, ფილოსოფოსი კი ხარ, მაგრამ არ მჯერა რაღაც მაგ შენი თეორიის. მე რომ ამ ცხოვრებას დავაკვირდი, სიგლახე ადამიანზე კი არა, ადგილზეა დამოკიდებული. თუ ისეთ ადგილზე მოხვდი, ისე მოიქცევი შენც. ახლა მე მეშვიდე წელია აღმასკომში თვალსაჩინო აგიტაციის განყოფილებაში ვმუშაობ ბროშურების გამომფენ-მეთვალყურის თანამდებობაზე. მთელი გოჭოურა სანთლით რომ გადაქექო, ჩემზე პატიოსან კაცს ვერ აღმოაჩენ. რა მოვიპარო, თვრამეტკაპიკიანი პლაკატები? თუ, მე შენ გეტყვი, ქრთამს მოგცემს ვინმე, არიქა ჩემი ბროშურა გამოდევი გამოსაჩენ ადგილზეო. თანამდებობა მაქვს პატიოსნური და ვარ სუფთად და წესიერად. ასე სუფთად და გაღლეტილად მოაქციე, ღმერთო, ვინც მე მიხიმანა და ამ დღეში ჩამაგდო.

ერთ ამბავს მოგიყვები და შენ თვითონ მიხვდები, ვარ თუ არა მართალი. თუ ტყვილი გითხრა, ტყვია მომხვდეს შუბლში. ჩემი თვალით ნანახი ამბავია, ყურმოკრული ან წიგნში ამოკითხული არ გეგონოს. თექვსმეტი წელი ვიმუშავე მილიციის უფროსად დაბა საჭყეპიაში. ეს ცხოვრება თუ ვინმეს თვალწინ სრულად ჩაივლის თავისი ავანჩავანით, მილიციის

უფროსის თვალწინ რომ ჩაივლის, ამის ახსნა შენ არ დაგ-ჭირდება.

ჩვენი ხელობის ახალი კაცი, მოგეხსენება, დანიშნავენ თუ არა, ქვეყნის გასწორებას მოინდომებს მაშინვე. ვერ გეტყვი, მე პირადად რა სურვილი მიწვავდა გულ-მუცელს. არც ისე ახალგაზრდა ვიყავი, კაცმა რომ თქვას. მილიციაში მუშაობის ცხრა წლის სტაჟიც მქონდა. უკანონობას რომ ვერ მოვსპობ-დი საჭყეპიაში, ვიცოდი, როგორ არ ვიცოდი. მაგრამ არც ისე მინდოდა წავსულიყავი იქედან, ჩემი კვალი რომ არ დამეჩნია. რაკი ამხელა საქმე მანდეს, ჩემი უნდა ვცადო-მეთქი. ასეა ყველა ახალი კაცი. იმის ჭია მაინც უღრღნის ტვინს, ხალხი შიშით და რიდით შესცქეროდეს. როგორც კი ხმა გავრცელ-დება, გულკეთილი, ტკბილი კაცია მილიციის უფროსადო, დამთავრებულია იქ დისციპლინაზე ლაპარაკი. ბევრიც რომ მოინდომო მერე, ნამეტანი დაიბოხო ხმა და გამოაჩინო კლან-ჭები, აღარავინ დაგიჯერებს.

რა შედეგი გამოიღო ჩემმა ქიჩმაჩმა და რა გამარჯვებული, დაფა-ზურნით წამოვედი თექვსმეტი წლის მერე საჭყეპიიდან, ყურმოკრული მაინც გექნება. ჯდომით წელიწად-ნახევარზე მეტი არ ვმჯდარვარ. სულ უპატრონო არ ვიყავი, ცოტა გარედანაც მეხმარებოდნენ, ცოტა მე თვითონ ვუშველე ჩემს თავს, და, გითხარი, მისი არ იყოს, წელიწად-ნახევარში დავიხ-სენი თავი. მარტო თავი კი არ დავიხსენი, იმდენი ვიჯახირე, პარტიაშიც კინაღამ აღმადგინეს, მილიციას, რასაკვირველია, აღარ გამაკარებდნენ და მაინცდამაინც არც მე მინდოდა.

იმას გეუბნებოდი, ჩამოვედი, მოვირგე მილიციის უფროსის ხალათი, აქეთ ვეცი, იქეთ ვეცი, აბა ვინ, აბა ვინ და ფინგანის უფროსს დურუ ზარქუას დავადგით თვალი. თვალი დავადგ-ით-მეთქი რომ გითხარი, არ გაგიკვირდეს. საერთოდ, თანამ-დებობის კაცის დაჭერა ასე ხდება. წლების განმავლობაში ქვეყანამ იცის სიავეს რომ სჩადის, მაგრამ არ იჭერენ, ხომ ასეა? ბოლოს რომ მოჰკიდებენ ყურში ხელს, უკვირს ხალხს: კი მაგრამ, რაღა ახლა დაიჭირეს, რატომ მიუშვეს ამდენზე, როგორ, შარშან, ან შარშანწინ არ იყო დასაჭერიო? შეიძლე-

ბა კაცი მთელი ცხოვრების მანძილზე დასაჭერ საქმეს სჩადიოდეს და ისე ჩაარიხინოს ბოლომდე თავისი ცხოვრება, რომ ბუზიც კი არ აუფრინოს არავინ. გააჩნია, რა კაცია. ვის რანაირად, როდის შეეჩხირება თვალში. ხომ ძალიან ძნელია არაფერი შეგეშალოს, მაგრამ ზოგი მაინც ახერხებს ოსტატურად გაძრომ-გამოძრომას. თავ-თავის საქმეში ყველა ცოტ-ცოტას სცოდავს, რასაკვირველია, მაგრამ ნამეტანი არ უნდა ქნა. მარტო შენს მხარეს თლა არ უნდა იცოდე. სახელი იმაზე მეტად არ უნდა გაგიფუჭდეს, ვიდრე მოსათმენია. ხალხი რომ დაიწყებს პუტუნს, დაიჭერენ ახლა, მალე, ამ უბედურსო, მაშინ გაქვს ცუდად საქმე. ხალხს არაფერი ეშლება, იცოდე შენ. მერე, ძალიან რომ გახმაურდება ეს ამბავი, ჩვენც ვეღარ ვაფარებთ ხელს. იძულებული ვართ ხალხის ნებას მივყვეთ. ამით რას გეუბნები, იცი? უცებ და ჩქარა მარტო ჯიბის ქურდებს და ხულიგნებს იჭერენ. სხვების დაჭერას „საკითხის მომწიფება“ სჭირდება. როცა დასაჭერად „მომწიფდები“, გადაურეკ-გადმოურეკავენ ერთმანეთს, სადაც ჯერ არს, წავა კიდევ ერთხელ ინფორმაციები, დაგვიქნევენ თავს და მორჩენილია ამბავი. მეორე დღეს აწეულია ჩვენი გმირი. ზარქუასთან ამდენი რეკვა-შეთანხმება არ მჭირდებოდა, არც ისე დიდი თანამდებობაა ფინგანის გამგეობა და მეც, ახალმოსულ მილიციის უფროსს, ფხა უნდა გამომეჩინა, ციხის ცარიელი ადგილები უნდა შემევსო.

კაი ხანს მუშაობდა თურმე ზარქუა და თავისი სიწუწკით მოაბეზრა თურმე ხალხს თავი. დავუნომრეთ ფული და იმ წუთას მოჰყვა ანკესზე. იღებდა ყველასგან, ვინც კი გაუწვდიდა. რა ხვასტაგს აგროვებდა და რისთვის? უცნაურია მაინც ზოგიერთი. მარტოხელა კაცი დურუ ზარქუა მთელი ცხოვრება ფულს აქუჩებდა. ჭიქა ღვინოს არ დაალევინებდა არავის. რომ იტყვიან, თითქოს ხვლიკი ჰყავდა ჯიბეში, ხელს ვერ ჩააყოფინებდი. დაიჭირეს და ორი თუნუქის კუბო უპოვეს ეზოში დამარხული გაძეძგილი დაობებული ფულით. ჯერ ერთი, ფულის ფულად შენახვა ვინ გაიგონა. აქციე ოქროდ, ბრილიანტად და გადამალე, მეტი არ უნდა იცოდე კაცმა?

ფულზე უფრო არასაიმედო არაფერია, ჩვენთან მაინც. გამოგიცვლიან ერთ მშვენიერ დღეს და შეგრჩება ხელში გაბონებული ქაღალდი. თუ მაინცდამაინც ფულს ინახავ, სამლიტრიან ქილაში უნდა ჩადო, ნაფტალინი და შავი პურის ნატეხი უნდა ჩააგდო და თავი მოუხუფო, სინესტე რომ არ შეეპაროს.

ერთი სიტყვით, გავუშვით დურუ ზარქუა, სადაც ეკუთვნოდა იქ, შენ ხარ ჩემი ბატონი, და დანიშნეს ფინგანად... გამახსენდება ახლავე, პაატა ქარსელაძე? არა, პაატა მერე იყო, ჰო... ვალიკო ცხვედიანი. დიახ, ვალიკო ცხვედიანი, ნამდვილად. მათემატიკის მასწავლებელი იყო, რომელიღაც სოფლიდან გადმოიყვანეს. არ გაუვლია სამ თვეს და მოგვივიდა ქსივი შენს ვალიკოზეც. ფართო ჯიბე დაიკერა პიჯაკზე და იღებს და იღებს დღისით-მზისით, უპრაგონოდ და დაუთვლელადო.

დავუნომრეთ ცხვედიანსაც ფული და გავქაჩეთ, რასაკვირველია, დანომვრით. დაჭერას ზოგი ძალიან მტკივნეულად განიცდის. ჩააყუდებენ თუ არა, ატეხავს ყვირილს – პრავაკაცია მომიწყვეს, შემომიგდეს ფული, მე არაფერ შუაში ვარო. ასე ჰგონია, იმ სულელს, რომ თითქოს ფულს მარტო ერთი კაცი ვუნომრავ – მილიციის უფროსი. დანომვრა ასე კი არ ხდება. ცხრა ადგილზეა შეთანხმებული. ნახევრად დამთავრებულია უკვე საქმის ფარული გამოძიება: დანომვრის ოპერაციაში მინიმუმ ხუთი კაცი მაინც მონაწილეობს. მარტო ფული კი არაა დამუშავებული, ქაღალდიც, ფულს რომ აქვს შემოხვეული. რაღა ბევრი გავაგრძელო, გაიჭრა კარტივით ვალიკო ცხვედიანიც.

მერე გითხარი უკვე, პაატა ქარსელაძე დაჯდა ფინგანის გამგედ. პაატა სულ ბავშვი იყო. ერთი წლის დამთავრებული არც კი ჰქონდა საფინანსო-სტატისტიკური ფაკულტეტი. ჩვენთანაც კი შეათანხმა აღმასკომმა მისი დანიშვნა. ბიოგრაფია მშვენიერი, ბიჭი კაი, წესიერი, ზრდილობიანი, რაზე ვეტყოდით უარს? ნახევარი წელი გაუძლო ცდუნებას პაატა ქარსელაძემ და გაუტია ამანაც. ჯერ მორცხვად იღებდა ცოტ-ცოტას, რასაც შეაძლევდნენ. მერე მადა ჭამაში მოუვიდა და

თვითონ დააწესა ტაქსა. გაიმართა წელში, გაუსუქდა კისერი. აფუთფუთდა კვირის მატლივით. ფულის დანომვრა და მისი ჯანი! მოჰყვა ბელლის თაგვი ხაფანგში. აწრიალდა მერე და ირტყა თავში ხელი, მაგრამ რაღა დროსი იყო. რა იშოვა საწყალმა ბიჭმა სახელის გატეხვის მუქაფად? მთელი ცხოვრება წინ ჰქონდა, ეწინკნა ცოტ-ცოტა ფინგანის კოინდარი, რავარც ინდაურის ჭუკმა იცის ალაგ-ალაგ და მორიდებულად წიწკნა. დღესაც იქ იქნებოდა, მამაჩემსა აქვს ცხონება.

დიდხანს არჩიეს მეოთხე გამგე, სულ ორი წლის განმავლობაში ხდება ეს ამბავი. ხან ის, ხან ეს, ათასნაირად აწონ-დაწონეს და ბოლოს დაბაში ყველაზე ჩუმ და პატიოსან (ასე ეგონათ მაშინ) კაცზე, შუახანსგადაცილებულ კოტე პაპაიაშვილზე შეჩერდნენ. რაც იმას ჭკუა არიგეს და ანდაზები უთხრეს, რაც იმან პირობა დადო და ფიცი მისცა აღმასკომს – პირნათლად ვიმუშავებო... სად მუშაობდა მანამდე იცი პაპაიაშვილი? გადასახვევთან, იქვე, პროფტექნიკური სასწავლებელი რომაა, მეოთხეა თუ მეხუთე, იქ იყო, შრომის კაბინეტის გამგედ.

არ დამიჯერებ, გატყობ თვალებში, მაგრამ თუ ტყვილი გითხრა, დილა ნუ გამითენოს გამჩენმა. მეორე დღესვე აიღო პაპაიაშვილმა. მეორე დღესვე, კაცო, არ შეიშლები, ჭკუიდან? ერიჰაა, ეს ვინ ყოფილა-მეთქი, გაგიჟებას ვიყავი. ორი კვირის დანიშნულ ფინგანის გამგეს დავუნომრეთ ფული და გავსკვანჩეთ. ხმა არ ამოუღია. არც უცდია თავის მართლება. თითქოსდა მთელი ცხოვრება იმიტომ იმუშავა პატიოსნად პროფტექნიკუმში, რომ ბოლოს და ბოლოს შეემჩნიათ, ფინგანის გამგედ გადმოეყვანათ და მეორე დღიდანვე ქრთამის აღება დაეწყო.

გესმის, რა ხდება? როგორც ღორჯოები ფოთქიდან, ისე ამოგვყავდა ფინგანიდან ციხის ახალ-ახალი კლიენტურა. თევზზე მეტი ჭკუა არ უნდა ჰქონდეს ადამიანს? სულ მიკვირდა, თევზაობის დროს როგორაა, ხომ იცი? თუ მიაგენი თევზიან ადგილს, შეიძლება ერთ საათში სამი კილო ამოქაჩო. ვფიქრობდი, ნუთუ იმდენი ტვინი არა აქვს ამ თევზს,

ამ უბედურ დღეზე გაჩენილს, მეორე წუთში თვითონ როგორ ეკიდება იმავე ანკესს, რითაც აგერ წუთის წინ ააპროწიალეს მაღლა მისი ძმაკაცი? აღარ მივეკარები იმ ჭიას, მორჩა და გათავდა. მაგრამ თევზს ვინ მისცა მაგდენი აზრის სანძრაობა.

კაცი? ადამიანი? ორ წელიწადში სამ კაცს რომ ფულის დანომვრით დაიჭერენ ერთსა და იმავე სკამზე, ერთსა და იმავე კაბინეტში, მეოთხემ მაინც ვერ უნდა ისწავლოს ჭკუა? მე ვფიქრობ, ალბათ ყოველი ახალი ფინგანის გამგე ფიქრობდა, წინა ხომ ფულის დანომვრით დაიჭირეს, ახლა, ალბათ, ცოტა ხანს აღარ გაიმეორებს მილიცია იგივე ილეთსო. ან, ეგონებათ, პირველივე დღეებში არ მოვკიდებ ფულს ხელს, ჯერ როგორც ახალბედა უფროსებმა იციან, სახელის დამსახურებას მივაწვები, ავტორიტეტს მოვიხვეჭ და მერე დავიწყებ ფულის აღებასო. ასე ეგონებათო. ის კი არ იცოდნენ, რასაც თვითონ გაიფიქრებდა, ჩვენ რომ უკვე ნაფიქრალი გვქონდა. რაში ტყუვდებოდნენ, იცი? ეგონათ გამოვცვლიდით ხერხს; მეოთხესაც ფულის დანომვრით აღარ დავიჭერდით, რაღაც სხვა ხაფანგს დავუგებდით. სხვა ხაფანგის ეშინოდათ, იქეთკენ ჰქონდათ ყურადღება გადატანილი და ფულის დანომვრის ნაცად ხერხს ბრმად წამოეგებოდნენ ხოლმე.

ბოლოს მომწყინდა ეს საქმე. სანამ ვაპატიმრო ეს ფინგანის გამგეები-მეთქი. დავწერე სამინისტროში მოხსენებითი ბარათი. ანალიზი გავუკეთე შექმნილ სიტუაციას. ცოდვაა ეს ხალხი, ეტყობა, ადგილია მაცდუნებელი-მეთქი. მეტი ფინგანის გამგე აღარ დამიჭერია. არც ზევიდან დაუძალებიათ მაინცდამაინც.

რომ მეგონა, გამობრძმედილი მილიციის უფროსი ვარ და არაფერში შევცდები, ყველა ხვრელი ვიცი ამ ცხოვრებისმეთქი, სწორედ მაშინ ჩავვარდი. ჩავვარდი ბრმად, სულელურად, ღვინის ქურდს რომ თხლეს გადააყოლებენ, ისე მომივიდა. ჩაწერაში ხუთასი მანეთი მომიტანა კაცმა, ჩამოსული იყო და იმან მომატყუა. აქაურს, უცნობს როგორ ვენდობოდი. რომ ჩამიდო უჯრაში, ღვთის წინაშე, მაინც ვკითხე, დანომ-

რილი ხომ არაა, ბიჭო, ეს ფული-მეთქი. რავა გეკადრებათ, ბატონოვო. თურმე გაყიდული ვყავარ თხასავით.

რატომ მოგიყევი, იცი, ეს ამბავი? კაცზეცაა დამოკიდებული, რასაკვირველია, მაგრამ უფრო მეტად, მე მგონი, ადგილზეა. ადგილი გაგაქურდებს ადამიანს და გადაგაცდენს გზიდან. ისე, არც ფულის დანომვრაა მაინცდამაინც დიდი ვაჟკაცობა. ჩემი საქმე რომ იყოს, დაჭერის ამ ხერხს სულ ამოვიღებდი. რა იყო, რა ხაფანგს მიგებ, ჩემს სისუსტეზე და ნებისყოფაზე თამაშობ, შე კაცო? ამ ქვეყანაზე პროცენტულად ნამეტანი შეძლეულ ფულს ჰა, ჰა, ცხრამეტი პროცენტი არ აიღებს, იმ ცხრამეტიდან ხუთი მართლა ფანატიკოსი პატიოსანია, სამ პროცენტს არ ჭირდება, იმდენი აქვს ნაშოვნი და თერთმეტ პროცენტს ეშინია, დანომრილი არ იყოსო. დანარჩენი, მე გეუბნები ამას, ყოფილი მილიციის უფროსი, ყველა მოკიდებს ხელს და მოღუნავს ჯიბეში. ასეა ეს. ვყაროთ, აბა, ეს ხალხი ციხეში და კაი დახლი დაგვიდგება.

მესამე სტუდიის ნოველა

მრგვალ მაგიდას შვიდნი უსხდნენ. გადაცემას მესამე სტუდია იწერდა. მესამე სტუდიას პირველ და მეორე სტუდიასთან შედარებით ფართო დარბაზი აქვს, მაგრამ მაინც ცხელოდა და იუპიტერების შუქზე ზანტად აცურებული მტვერი აუტანელს ხდიდა იქ ყოფნას. მრგვალ მაგიდასთან მჯდომი ერთადერთი ქალი – შავთვალება, მოხდენილი მაკვანეთელი მეჩაიე ცირა ბაბილოძე, როგორც კი საშუალება მიეცემოდა, კოფთის მოკლე, რეზინიანი სახელოდან მოქარგულ ცხვირსახოცს დააძრობდა, დაცვარულ ცხვირსა და ნესტოებს შეიმშრალებდა, რამდენჯერმე სახესთან გაიქნევდა და დარწმუნებული იმაში, რომ გაგრილების ამაო გზას ადგა, ცხვირსახოცს ისევ მხარს ქვემოთ, რეზინიან სახელოში შეჩურთავდა. გადაცემის მონაწილე მამაკაცები შედარებით ყოჩაღად იყვნენ. მექაში ხალიჩაზე ჩამუთაქებული მლოცველებივით რაღაცას ბუტბუტებდნენ, დროდადრო ერთმანეთს ამოოხვრით გადახედავდნენ, ყელთან ჰალსტუხს გაისწორებდნენ და კვლავ დაბალ სკამზე დადგმულ მოძრავ ტელევიზორს მიაჩერდებოდნენ. ტელევიზორის ეკრანზე ხან მრგვალ მაგიდასთან შემომსხდარნი გამოჩნდებოდნენ, ხან წითლად აელვებული წარწერა: „ყურადღება!“

მეორე საათი იწურებოდა, რაც ჩაწერა დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში ხუთჯერ შეწყვიტეს ტელესაუბარი და ხუთჯერ გააგრძელეს. ყოველ შეწყვეტაზე დახვეულ კიბეს რეჟისორი ბაჯელიძე ჩამოირბენდა, რა ხდებაო, შეშფოთებით შეაცქერდებოდა გადაცემის წამყვანს, პოპულარულ ტელედიქტორს ვილჰელმ ლეიშვილს. რა ვიცი მეო, – განზე გაიხედავდა გულშემოყრილი ვილჰელმი, – გეუბნებოდი, არ გამოვა ასეო. – ახლა ამის გარკვევის დრო არ არის, ერთი საათი დაგვრჩა. რაც არის, არის, უნდა ჩავწეროთ. გთხოვთ, უფრო თავისუფლად და ბუნებრივად ილაპარაკეთ. ნუ გეშინ-

იათ, ყველაფერი კარგად იქნებაო, ყველას გასაგონად იტყოდა რეჟისორი, ჯინსის წინა ჯიბეებიდან ხელებს ამოიღებდა, ქურციკის ნახტომებით აათავებდა კიბეს და რამდენიმე წამში დევისთავა ტელეაპარატის თავზე აინთებოდა წითელი ნათურა, ხოლო მოძრავ ტელევიზორზე დააჩნდებოდა წარწერა „ყურადღება!“

როცა გადაცემა ერთხელ კიდევ შეწყვიტეს და რეჟისორმა ბაჯელიძემ ზემოთ უკვე ნათქვამი სიტყვების გასამეორებლად ერთხელ კიდევ ჩამოირბინა, ოპერატორი, ლოტოს კოჭის მოყვანილობის ტანის პატრონი კარაპეტიძე აპარატის სახელურებს მკლავებით ჩამოეყრდნო და უკმაყოფილება არ დაუმალავს – მოუმზადებელი გადაცემის ჩაწერა არ გამიგონია მეო.

რა წარმოუდგენლადაც უნდა მოგეჩვენოთ, ოპერატორი ამჯერად მართალი იყო. რეჟისორმა ბაჯელიძემ, რომელიც სტუდიაში ამ თერთმეტი წლის წინ მოვიდა (თეატრზე რომ საბოლოოდ გული გაუტყდა), ტელევიზიის საგეგმო ნაწილს რეპერტუარში შეატანინა ერთსაათიანი ტელესაუბარი „საით?“ გადაცემა გარდაქმნის შუქზე თანამედროვეობის მძაფრ პრობლემებს შეეხებაო. უარს ვინ ეტყოდა. ჩაწერის დღეები რომ მოახლოვდა, ავტორიტეტიან რეჟისორ-ავტორს ბაჯელიძეს ცოტა აჯანუკვა როდი დაჭირდა, მიეღწია იმის უფლებისათვის, რომ გადაცემა წინასწარ დაწერილი და სამგზისრედაქტირებული ტექსტის გარეშე ჩაეწერა. ჩამოიყვანა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ხუთი მამაკაცი, ერთი ქალი – თქვენთვის ნაცნობი ცირა ბაბილოძე (მაკვანეთიდან), დასვა მრგვალ მაგიდასთან ქერუბინთა დასივით. დასს შუაში ჩაუსვა დიქტორი ვილჰელმ ლეიშვილი და გამოუცხადა – თქვით, რაც გაწუხებთ. ილაპარაკეთ ერთმანეთშიო.

ტელედიქტორ ლეიშვილისთვის ამდენი ახსნაც არ იყო საჭირო. „ილაპარაკეც“ საკმარისი იყო, რომ მას ოდნავშეპარული ღიმილითა და მხნე გამომეტყველებით ეუწყებინა ძვირფასი ტელემაყურებლისთვის ამ უკანასკნელთათვის ფრიად აუცილებელი რამერუმეები. და ისე დამაჯერებლად ეთქვა ყოველივე, თითქოს სიმართლეს ამბობდა. მაგრამ ქერუბინნი

ჩავარდნენ ცუდ დღეში. „რას ჰქვია, რაც გვაწუხებს. როდის იყო წუხილზე და დარდზე გვალაპარაკებდნენ ტელევიზორშიო. ე მანდ არ გვატყუებდნენ რაღაცასო“. დაახლოებით ასე, მაგრამ სხვადასხვა სიტყვებით გაიფიქრეს საუბრის მონაწილეებმა და მტკიცედ გადაწყვიტეს ელაპარაკნათ ისე, როგორც საერთოდ ლაპარაკობდნენ. არც ერთი მათგანისთვის ტრიბუნა-მიკროფონთან დგომა ახალი ხილი არ იყო. მადლობა ღმერთს, წლების განმავლობაში უხდებოდათ ინტერვიუების მიცემა საბჭოთა ადამიანების არნახულ შრომით ენთუზიაზმზე, დღითი დღე უფრო გასაამურებულ ცხოვრებაზე და არნახულ ზეგეგმით მაჩვენებლებზე. მშვენივრად იყვნენ დაუფლებულნი ისეთ საპრესო გამოთქმებს, როგორიცაა „სადაგი“, „უკუგება“, „შრომითი ვახტი“, „ზეგეგმითი ვალდებულება“, „შრომის ნაყოფიერება“, „ყაირათიანობა“ და სხვა. ამიტომაც დაბნეულობის ელდამ მხოლოდ წამით გაირბინა მათს მზით გარუჯულ სახეებზე. წამის შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ჩამოსულ-დამხვდურებმა მშვენივრად იცოდნენ, რა ეთქვათ ერთმანეთისთვის. იტყოდა შესავალ სიტყვას სახეგაბადრული ვილჰელმი, მიაბრუნებდა სახეს რომელიმე მოქადაგისკენ და დასძენდა; რა მდგომარეობაა ამ მხრივ თქვენთან, პატივცემულოვო. „პატივცემული“ ჩაახველებდა, თვალებს მაღლა აღაპყრობდა და სიტყვაგაუხრელად ჩაარაკრაკებდა მითს იმის შესახებ, თუ როგორ აყვავდა და გაიფურჩქნა მისი, ერთ დროს ჩამორჩენილი სოფელი ამ ბოლო წლების მანძილზე. როგორ შეასხა ფრთები მშრომელთა არნახულ ენთუზიაზმს უკანასკნელი წლების პლენუმებმა და კონფერენციებმა. როგორ იკისრეს მშრომელებმა გადიდებული ვალდებულებანი და როგორ ანაღდებენ მიცემულ სიტყვას. ერთი რომ დაამთავრებდა, მეორისთვის სიტყვის მიცემა აღარც იყო საჭირო. აქაოდა, შეიძლება, მე საყვარელმა დიქტორმა ბოლოსთვის მომიტოვოსო, საკუთარი ინიციატივით აღაღადდებოდა. რა მნიშვნელობა ჰქონდა, კაცმა რომ თქვას, ვინ ვის შემდეგ იტყოდა, მაინც ხომ მრგვალ მაგიდასთან ისხდნენ? ჰქონდა, როგორ არ ჰქონდა. ჯერ ერთი, ნერვიულობ – რაც არ უნდა იყოს, ტელეაპარატის წინ ხარ, მერე – დროზე

გინდა მოიშორო შენი სათქმელი, რათა სხვამაც ზუსტად იგივე არ თქვას, არ დაგასწროს და საძებნი არ გაგიხდეს სიტყვები და ბოლოს, ხომ შეიძლება, გადაცემისთვის განკუთვნილი დრო ამოიწუროს და შემცირებაში მოგაყოლონ?

რატომ არ აძლევდა ხელს გადაცემის ავტორს ტელედიალოგის ოპტიმისტური ტონი, მე თვითონ ვერ გამიგია. ჩამოირბენდა იგი კიბეს, დოინჯშემოყრილი მიუახლოვდებოდა მრგვალ მაგიდას და მუდარით იტყოდა: „არ ვარგა, არაბუნებრივია. ძალიან გთხოვთ დარდზე, საქმეზე, წუხილზე ილაპარაკოთო“. საუბრის გმირებს ძალიან უნდოდათ დახმარებოდნენ რეჟისორს, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ. ვერ გაეგოთ, რას მოითხოვდა მათგან ბაჯელიძე.

ბოლოს და ბოლოს საიდან მოვიტანო, თუ არ მაქვს ეს წუხილიო, ჩაილაპარაკა ლეწურწუმელმა მესიმინდემ კოკი ჯგებიამ. ბატონი კოკი მართალი იყო.

ტელედიქტორი ლეიშვილი ჩაწერის ყოველ თავიდან დაწყებაზე სხვადასხვა შესავალ სიტყვას ამბობდა, რათა როგორმე სტუმრები საუბრის აღებული გეზიდან გადაეცდინა და ბაჯელიძის ჩანაფიქრისთვის მიეახლოვებინა. ასეც კი ჩაურთო: ჩვენს საუბარში მონაწილეობს მაკვანეთელი მეჩაიე, რომელსაც ვთხოვოთ ძირითადად ნაკლოვანებებზე გაამახვილოს ყურადღებაო. ცირამ თავი დაუქნია და როცა თავის კაიუტაში გარინდულ რეჟისორს ეგონა, ახლა მაინც იქნება საქმეზე ლაპარაკიო, ბაბილოძის ლამაზმა ქალმა სახე ოპერატორისკენ შეაბრუნა (აქაოდა, მშვენივრად ვიცი, ჩვენ აქ ერთმანეთთან სამუსაიფოდ კი არ მოგვიწვიეს, არამედ მილიონ ტელემაყურებელთან შესახვედრადო) და ქვეყანას ამცნო რა სკოლის დამთავრების შემდეგ ჯიუტად შინ დარჩენილთა გმირობის ამბავი, ათრთოლებული ხმით პირობა დადო, რომ ამ სატელევიზიო გამოსვლით წახალისებული გადიდებულ ვალდებულებას აიღებდა და რასაც აქამდე ჰმატებდა, ორჯერ იმაზე მეტ მწვანე ოქროს შეჰმატებდა სამშობლოს დოვლათს.

კი მაგრამ, ხარვეზს არაფერს ატყობ ამ ცხოვრებასო? – ჰკითხა ვილჰელმმა თავისი საუბრით კმაყოფილ გოგონას და თან რეჟისორის კაბინისკენ გაიხედა, მეტი რა ვქნა, რანაირად

დავსვა შეკითხვა, რომ ტელეშეხვედრის გმირმა ნაკლოვანებებზე გაამახვილოს ყურადღებაო.

– როგორ არ ვატყობ, – ნაწნავი მკერდთან გადმოიგდო ცირამ.

– მაინც? – მიკროფონი ახლოს მიუჩოჩა მეჩაიეს იმედმიცემულმა ლეიშვილმა.

– კარგი იქნებოდა, გართობის მეტი საშუალება რომ იყოს სოფელში.

– რისი? – დიქტორს მოეჩვენა რომ მაკვანეთელი გოგონა საოცრად ჰგავდა კვერნას, და კვერნის სიმარდითვე გაურბოდა მთავარ სათქმელს.

– გართობის, – ამაყად თქვა ბაბილოძემ.

დიქტორმა კაცებს გადახედა, იქნებ რამე დაამატონო. მრგვალ მაგიდასთან კოხტად ჩამწკრივებულებმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნიეს, დამატებით არაფერი დაუმატებიათ. რაღა ბევრი გავაგრძელო, ჩაწერას სამარცხვინო დასასრული ელოდა. არადა როგორ უნდოდა რეჟისორს ეს გადაცემა მაინც ყოფილიყო რაღაცით სხვა გადაცემათაგან განსხვავებული.

მიკროფონში ბაჯელიძის მკვეთრი ხმა გაისმა:

– შევისვენოთ თხუთმეტი წუთი. ძალიან გთხოვთ, მაგიდას არ მოშორდეთ. კადრი შეიცვლება და მერე ოპერატორს გადასვლა გაუჭირდება. ჩაწერას განვაგრძობთ გარაყანიძის სიტყვიდან „თვალს მოგტაცებთ ხოდაბუნები“. „ხოდაბუნები“ უკვე ნათქვამია! მაშ ასე, შევისვენოთ.

რეჟისორის მკვეთრ ხმაზე საპატიო ყარაულივით გაჭიმული სტუმრები ერთბაშად მოეშვნენ. ცირამ კოწოლი უკან გადაიგდო. სკამზე გადაკიდებული ბულგარული ჩანთა გახსნა, სარკეში ჩაიხედა, განზე, ტუჩების ნაკეცებში გასული ასკილისფერი პომადა ორი თითით შეისწორა და დახატული ნიკაპი ხელისგულს ჩამოადო. კაცებმა ჰალსტუხები მოიშილიფეს, მკერდი გაიღეღეს და თითქოს პირველად ხედავენო, ერთმანეთს მიაჩერდნენ. ჩაწერის დროს თუ თავები ჟირაფივით აწეული ჰქონდათ და სადღაც სივრცეში იმზირებოდნენ, ახლა შინაურული იერი მიიღეს. თითქოს აქამდე მარიონეტთა

თეატრის თოჯინები იყვნენ და მათი ხელ-ყბა მაღლა ძაფებით ეჭირათ.

ვილჰელმ ლეიშვილმა ცვილისფერ შუბლზე ცხვირსახოცი მოისვა, თითები ერთმანეთში გაუყარა და მაგიდასთან დახრილმა, ცოტა არ იყოს, გამწყრალი ტონით თქვა:

– არ გვენდობით, არა.

– რავა გეკადრება, აპა, ვის ვენდობით, – შეაგება გარაყანიძემ, და ამ მეყვსეულ პასუხზეც ნათლად შეეტყო, რომ ზრდილობით გამორჩეული კუთხიდან იყო.

– აბა, რა მოხდა, თქვე კაი ხალხო. სამი საათია გეხვეწებით უბრალოდ ვილაპარაკოთო. თქვენ თქვენ-თქვენი რაიკომის მდივნების ქებას მოჰყვებით აქ და გვატყუებთ, თითქოს ყველაფერი კარგად იყოს. ვის უნდა ასეთი ლაპარაკი. ტყუილების დრო რომ წავიდა, ვერ გაიგეთ?

– არ გვენდობითო, რომ ბრძანე, რატომ გიკვირს, ბიძია. არ გვაქვს მიზეზი? – კოკი ჯგებიამ მუჭში ჩაახველა, – თქვენ ყველაფერი მშვენივრად იცით, მარა ჩვენგან გინდათ გაიგონოთ. ესაა, მეტი არაფერი.

– კი, ვინ მამაძაღლი არ იტყვის, რაც გულში აქვს, მარა რაი მერე? – გარაყანიძემ დაუმატა – რას ეშველება ამ ლაპარაკით? თქვენ აქ დარჩებით კარგად, მშვენივრად და მე, სოფელში რომ ჩავალ, მეურნეობის დირექტორი ყურებს ხელში მომცემს. რას პრუტუნებდი, არ უნდა გცოდნოდა შენხელა კაცსო?

– აბა, ვატყუოთ ძველებურად ერთმანეთი? სოფლის დაცარიელების მთავარი მიზეზი გართობის საშუალებათა ნაკლებობაა; როგორც ძვირფასმა ცირამ ბრძანა, ასე ფიქრობთ თქვენც?

ჯგებიამ გაიცინა წეკოსმწეველის გაბმული, ხრინწვა-ხველებაში გადასული ხითხითით.

– გართობა კი არა ის. რომელ გართობაზე მელაპარაკები, იქცევა ქვეყანა.

– მაინც? – ლეიშვილს დაღლილი სახე ჰქონდა.

– მუშაობა არ უნდა არავის. პატარა ხანს ვუყურებ მეც და მერე უნდა ვუგანო. რა ვქნა, აბა. თოხს მოვაკვლევიო თავი?

– რატომ, ბატონო კოკი, რა ხდება ასეთი?

– რა ხდება ძმიშვილო და საკარმიდამო ნაკვეთი რომ არ მქონდეს, შიმშილით ამომძვრებოდა სული. ჩემს ეზოში მოყვანილსაც ათასი პატრონი ჰყავს ახლა. ქათმის კვერცხიდან დაწყებული ყურძნის კუმპალით გათავებული – ყველაფერი დათვლილი აქვთ. კოლექტივისას რაც შეეხება, დილიდან საღამომდე მთელი წლის განმავლობაში იქ დაღვრილი ოფლით მიღებული გასამრჯელო, გულდაგულ რომ ეკონომიას დაიცავ, მაშინაც კი თვეზე მეტს არ გეყოფა. მიხვდა ხალხი ამ წაგლეჯობიას (რა მიხვედრა უნდოდა) და თავს უშველა. გეიქცა სოფლიდან. ახლა ბევრიც რომ უწრუწუნო, უკან მიმბრუნებელი არ არის. სიმართლე თუ გინდა, ესაა.

– რატომ, რატომ არ გიხდიან, როგორც გეკუთვნით? – ლეიშვილს გულით სურდა სიმართლეში გარკვეულიყო.

– ამას ჩვენ კი ნუ გვეკითხები, პატივცემულო. იმათ ჰკითხე, ვინც ამ დღეში ჩაგვაგდო. ჩვენს შრომას თითქმის ისევე ანაზღაურებენ, როგორც სტალინის დროს გვიხდიდნენ. იმის მერე, სინდისიანად რომ ვთქვათ, რამდენჯერ მეიმატა ბაზრის ფასმა? ბოლოს და ბოლოს რა ვალი გვაქვს თქვენი სოფლის ხალხს ამნაირი გოდოუხდელი.

– ა, შეხედე ჩემს ხელებს, – ცირამ ხელები მაგიდაზე ისე დააწყო, რომ ვილჰელმს კარგად დაენახა – ოცდაორი წლის გოგოს ხელებია ეს? თუ ჩაგიგდო ბრიგადირმა ხელში, სიქას გაგაცლის მუშაობით. გეგმა, გეგმაო. ათი კილოს მაგივრად ორმოც კილოს რომ მოგაკრეფიებენ ის ჩაი ივარგებს რამეთ? რეიზა გვააბდლებენ ჩვენ ან თავს რეიზა იტყუებენ თვითონ?

სიმართლე თქვითო, რომ იძახი, ღირს ახლა ამის ლაპარაკი ტელევიზორში? – ნიშნის მოგებით გაუღიმა დიქტორს გარაყანიძემ.

– რატომაც არა – პასუხი მზად ჰქონდა ვილჰელმს.

– რატომ მოვუშხამოთ ხასიათი სამუშევრიდან მობრუნებულ და საღამოს ტელევიზორთან მიმჯდარ კაცს? თავისი გასაჭირი არ ეყოფა?

– თუ არ ვთქვით, თუ ქვეყანას არ გავაგებინეთ, როგორ ვუწამლოთ აბა ამ ჭირს? ხომ კარგად ვიცით, ასე გაგრძელება რომ არ შეიძლება.

– ქვეყანას, ჩემო ბიძია, გაზეთში და ტელევიზიაში ლამაზი ლაილაით ვერ უშველი, – კოკი ჯგებიამ განზე გაიხედა, – ჩამთავრდა ლაპარაკის და დაპირების დრო. ახლა საქმით უნდა მაჩვენო, თუ რამის გამკეთებელი ხარ.

– რა საქმით, მაგალითად?

– კანონი უნდა შეცვალო. კანონი უნდა დამიწერო და მომცე ხელში. ნელა, გაუბედავად, პწკენა-პწკენით კი არა, ერთბაშად უნდა გადააგდო, რაც არ გამოდგა, რამაც არ გაამართლა და ახალ საქმეს უნდა ეწიო.

სხვაც ბევრი რამ ითქვა, მაგრამ ნოველის ავტორი აქ შეგნებულად წყვეტს თხრობას. ჯერ ერთი, მრავლისმცოდნე მკითხველს თვით შეუძლია წარმოიდგინოს, რა გაგრძელებას მიიღებდა საუბარი და, მეორეც, რ. მიშველაძემ ისედაც მოგაბეზრათ თავი ავი მუსაიფით. კაცმა რომ თქვას, არც თვითონ სურს იმ თხას დაემსგავსოს, თვისტომთაგან შეგულიანებული მგელს რომ შეაჭამეს.

– მშვენიერია! დიდი მადლობა – გაისმა მიკროფონში და კიბეზე ორი ნახტომით ჩამოსხლეტილი ბაჯელიძე სახეგაბადრული ართმევდა ხელს შეცბუნებულ სტუმრებს.

რეჟისორულმა ეშმაკობამ გაჭრა; გადაცემის ყველაზე მართალი ადგილი სწორედ „შესვენების დროს“ იქნა ჩაწერილი.

დიქტორი ვილჰელმ ლეიშვილიც მოტყუვდა-მეთქი, რომ გითხრათ, არ იქნება მართალი, იგი მშვენივრად გრძნობდა, რომ ჩაწერა გრძელდებოდა.

მკითხველს, რა თქმა უნდა, აინტერესებს, წავიდა თუ არა ეს გადაცემა ეთერში.

არ წავიდა.

ჟირაფი

ცოლი უნივერმაღში შევიდა. მე, რასაკვირველია, გარეთ დავრჩი.

უნივერმაღის ჩრდილი ტროტუარს ირიბად ჰკვეთს.

სწორედ იმ ჩრდილს შეფარებიან ჩემს ბედში მყოფი, მოწყენილი კაცები, ვისაც უნივერმაღის კიბეზე აღმა-დაღმა სირბილი უფრო უღრღნის ნერვებს, ვიდრე ამ ჩრდილში დგომა და მტანჯველი ლოდინი.

სამ მაღაზიას ავაცილე გზაში, ამ უნივერმაღს ვერა.

კონკრეტულად შესაძენი არაფერი აქვს ჩემს თანამეცხედრეს, თორემ შედარებით ჩქარა მობრუნდებოდა. ახლა, სანამ ყველა სექციას არ ჩამოივლის, გარეთ გამომსვლელი არ არის.

ბოლთის ცემა (ალავერდს მთარგმნელებთან გადავდივარ: ბიჭი ხარ და თარგმნე „ბოლთის ცემა“) რომ მომწყინდა, მარჯვენატორჩამოტეხილ მარმარილოს ლომს ზურგით მივეყრდენი და ცას ავხედე.

მურმანისა არ იყოს, ცაზე „ჩიბუხში ჩასადები“ ღრუბელიც კი არ ჩანს, რომ მისი ცქერით მაინც გაირთო თავი.

ეს გაუთავებელი სიცხე, მტვრიანი ბუღი, უნივერმაღის ხახაში დიდი იმედით შემრბენი, გაფაციცებული სახეები, და მეორე კარებიდან ოფლის წმენდით გამოცვენილი სახეჩამოღვენთილი მომხმარებლები (ნეტავ ვინ და რატომ მოიგონა ეს უკანასკნელი სიტყვა), ჩრდილსმიყოლილი, ხელჩანთიანი, ავად მობუტბუტე ოჯახის კაცები, საწაღმართოს გაფიქრებინებს რამეს?

ჩემს უხეირო თავში ჩაკეტილ-ჩამრავლებულმა ეშმაკებმა მაინც თავისი გაიტანეს და გვერდით მდგომ, თეთრბერეტიან, ყელშეხვეულ კაცს სტვენა შევაწყვეტინე:

– ჟირაფს ხომ არ იყიდით?

თითქოს ჩემგან ამ შეკითხვას ელოდაო, შემომხედა, მრავალმნიშვნელოვნად დამაკვირდა, ამოიოხრა და მტკიცე გადაწყვეტილებით მიპასუხა:

– არა, გმადლობთ.

არ უნდა და არ უნდა. რაც არ უნდა, ღმერთმა ნუ მისცეს. ხომ არ დავაძალებ. ჯიბეში ხელები ჩავიწყე და აფიშასთან მდგარ ღილისთვალება, ღაბაბიან მამაკაცს ავუარ-ჩავუარე. ყურადღება რომ არ მომაქცია, პროფილით დავუდექი და ვითომ აფიშას ვკითხულობდი, შეთქმულის ხმით ვაუწყე:

– საქმე მაქვს თქვენთან.

არც შემობრუნებულა. ჩანს, კონსპირაციული საუბრის ელემენტარულ ხერხებს მშვენივრად ფლობს. ჩემდა გასაოცრად გაზეთი გაშალა, სახეზე აიფარა და მოჩვენებითი სიმშვიდით მომიგო.

– გისმენთ.

– ჟირაფს ვყიდი.

გაზეთმა ერთხელ კიდევ გაიშრიალა.

– როგორ ჟირაფს?

– კარგს, ცოცხალს. მე თვითონ ჩამოვიყვანე აფრიკიდან. შვილივით გავზარდე. ფული დამჭირდა, თორემ არ შეველეოდი, – ტყვიამფრქვევივით მივაყარე.

გაზეთი დაკეცა, უბეში ამოიჩარა, შემომხედა და პასუხგაუცემლად გამშორდა. ჩქარი ნაბიჯით მიმავალმა ერთხელ კიდევ მოიხედა და ქუჩა გადაჭრა.

ათასი კითხვის ნიშნით უციმციმებდა თვალები.

ჩემს პირდაპირ, დეკორაციულ ფანართან, სახელოებაკეცილი, მოკლეშარვლიანი, წარბებამდე ქერათმებჩამოვარცხნილი, აწოწილი კაცი დგას. ხელში პამიდვრით სავსე ცელოფანის პარკი უჭირავს. ხანდახან პამიდორს ამოიღებს, ცხვირსახოცით ფრთხილად გაწმენდს, შუაზე გახლეჩს, ნახევარს ერთ ლუკმაზე ჩაიდებს პირში და მეორე ნახევარს, სანამ შეჭამდეს, გულდასმით აკვირდება. გამოვიანგარიშე, ერთ პამიდორს რომ მორჩება, უნივერმაღის კარებისკენ გაიხედავს და, ვითომც აქ არაფერიო, მარჯვნივ ხუთიოდე ნაბიჯს

გადადგამს. მერე ისევ ფანრის ბოძს უბრუნდება. თუ ასეთი ტემპით შეექცა პამიდორს, ალბათ, მეუღლის დაბრუნებამდე ცარიელი პარკი შერჩება ხელთ.

რომ გამისწორდა, მივესალმე და სულისმოთქმა არ ვაცალე.

– ჟირაფის შეძენას ხომ არ ისურვებდით?

როდი დაიბნა, გამიღიმა და ამხედ-დამხედა.

– ავსტრალიაში რომ ვცხოვრობდე და იშვიათი ცხოველების ანატომიის სპეციალისტი ვიყო, ჟირაფს კი არა, დინოზავრს ვიყიდდი.

– მე არ გეხუმრებით.

– მეც სერიოზულად მოგახსენებთ. ისეთ ვიწრო ბინაში ვცხოვრობ, მეცხრე სართულზე, ჟირაფს კი არა, სიდედრს ძლივს ვინახავთ.

– იქნებ თქვენს ნაცნობს სურს ვინმეს? – არ მოვეშვი.

– არა მგონია.

– კარგად ბრძანდებოდეთ.

თავი დამიქნია და ჟირაფზე უფრო ნაღდი საქმე, პამიდვრის ჭამა განაგრძო.

ტროლეიბუსის გაჩერებასთან, რკინის „სკამეიკაზე“ ჩათვლემილ, ჭილოფისქუდიან, ტყავისჩანთიან კაცთან მივედი, მხარზე ხელი დავადე, თვალი გავუსწორე და ჩავჩურჩულე:

– ჟირაფს ვყიდი.

პასუხს არ დაველოდე, ჩავიარე. წამოხტა და უნივერმაღის ჩრდილში შემომსდია:

– რა ხნის არის?

– სამის. არაა დიდი ხნის. ჟირაფები ოცდაშვიდ წელიწადს ცოცხლობენ.

– ვიცი, – ქუდი მოიხადა, კეფა მოიფხანა და ჩანთას ხელი შეუნაცვლა.

– რატომ შეელიე?

– ვალი მაქვს, – თავი შევაცოდე.

– რას აფასებ? – საქმეზე გადავიდა.

– როგორც სხვები ჰყიდიან; იმის ნახევარ ფასად მოგცემ.

შეწუხდა; მივდივარ, უკან მომყვება.

– ალბათ, რამე ნაკლი აქვს.

– არავითარი. სუფთა სისხლის ჟირაფია. გინდა? ამდენი არ მცალია.

– სად გეჩქარება?

– სხვა ქალაქში გადავდივარ და წაყვანა არ შეიძლება, დღესვე უნდა დავიცალო ხელი.

– რატომ არ შეიძლება წაყვანა?

– თვითმფრინავში არ ეტევა, მატარებლით ცხოველების გადაყვანის ნებას არ იძლევიან.

– ძალიან მაღალია? – ქუდი მოიხადა და ცხვირთან გაიქნია.

შემეცოდა, შევჩერდი. აშკარად ჩანს, გარემოება არ უწყობს ხელს, თორემ ჟირაფი ძალიან უნდა.

– ჩვეულებრივ ჟირაფზე ოცი სანტიმეტრით დაბალია. შენ მყიდველს არ ჰგევხარ – უბოდიშოდ მივუგე.

თითქოს წყალი გადაესხაო, სწრაფად შებრუნდა და ბოდიშის მოხდით გამეცალა.

ნაყინის გამყიდველთან მივედი. ერთი „პლომბირი“ შევიძინე და ყოველ შემთხვევისათვის ვკითხე:

– ჟირაფის მუშტარი ხომ არ გეგულება?

ჩოფურა, ჟღალთვალებიანი, წითური გამყიდველი კეთროვანივით შემომაჩერდა, მაგრამ სწრაფადვე მოეგო გონს:

– ახლა, ამ წუთში იკითხა ვილაცამ, ჟირაფს ხომ არავინ ჰყიდისო. მგონი სკვერისკენ გაიქცა. დაეწიე, მორიგდებით, უეჭველი მყიდველია. მადლობა მოვახსენე, სკვერისკენ, რასაკვირველია, არ გავქცეულვარ.

ჩემსკენ კალანჩხიანი, შავულვაშა, ორმოციოდე წლის სვირინგით მკლავდამშვენებული კაცი მოაბიჯებს. კალანჩხიდან ინდაურს ამოუყვია თავი და მშვიდად ათვალიერებს სიცხისგან შეჭმულ ქალაქს.

– ჟირაფს ხომ არ იყიდი? – ხელის გაწვდენაზე რომ მომიახლოვდა, ვკითხე.

შეჩერდა. კალანჩხა მკლავზე ჩამოიკიდა.

– ჟირაფს გააჩნია.

– კარგი რამეა, მოგეწონება – ლამის მუდარით მივუგე.

– რას ჭამს? – მკითხა.

ცოტა არ იყოს, დავიბენი. დასწყევლოს ღმერთმა, მართლა და მართლა, რას მიირთმევს ჟირაფი?

– ყველაფერს. ვედროში უნდა დაულბო და ყველაფერს ჭამს, – აშკარად შემატყო, რომ სიტყვებს ჰაერში ვიჭერდი.

– ყველაფერს რომ ჭამს, ისეთ ჟირაფს მე სახლში ვერ შევიყვან, – გადაწყვეტილად მითხრა და გზა განაგრძო.

გაზეთის ჯიხურს ჩამოყრდნობილი, მოტოციკლეტისკასკიანი, დაბალი კაცი ამოვიღე ნიშანში, მაგრამ იქამდე მისვლა არ დამცალდა. თითქოს მიწიდან ამოძვრაო, სატინისკიტელიანი თეთრყირმიზა ბიჭი დამიდგა წინ. საბუთი მიჩვენა, სერჟანტი გახლავართო, გამაცნო თავი და გაყოლა მიბრძანა.

მილიციის ოპერატიულ მანქანას რომ მივუახლოვდით, მოვიხედე და უნივერმაღიდან გამოსული ცოლის გაოცებულ თვალებს წავაწყდი.

– ტაქსით წამოდი, – სერჟანტს, რომელიც ხელის შეშველებას აპირებდა, მივუბრუნდი, – საით მივდივართ?

– მეორეში – უგემურად მიპასუხა.

– მეორეში! – გავძახე ცოლს – ტაქსით მოდი. გაარკვევენ ახლავე ყველაფერს და გამომიშვებენ. მანდ, მანქანის დარაჯს უთხარი, ერთ საათში დაბრუნდება და არ გაწყენინებსთქო. უკანა ფარები არავინ მოგვპაროს.

ცოლმა თავი დამიქნია და ჩქარი ნაბიჯით მოგვიახლოვდა, მაგრამ ამასობაში მსუბუქი მუჯლუგუნი ვიგრძენი და უფანჯრო კაბინაში ამოვყავი თავი.

ისე, ჩვენ შორის დარჩეს და, მართლაც რომ მყოლოდა ჟირაფი, რატომ არ უნდა შეიძლებოდეს მისი გაყიდვა?

ტელეფონოდუელი

უცნაურზე უფრო უცნაურია ადამიანი. ჯერ იყო და გულში უხაროდა, ერთ კვირას რომ მარტო ყოფნა მოუწევდა, გააცილა წუხელ ცოლ-შვილი თვითმფრინავზე და შინ მობრუნებული აუხსნელმა სევდამ შეიპყრო. ბინა მიტოვებული და ცარიელი ეჩვენა. ისე მოკრძალებით დააბიჯებდა ოთახიდან ოთახში, თითქოს სხვის სახლში მოხვდა და თვითონაც მალე უნდა წასულიყო აქედან. დიდი ხანია მარტო არ დარჩენილა და ახლაღა მიხვდა, რომ მარტოობას გადაჩვევია. უკვირდა კიდეც, რატომ უხაროდა გუშინ ეულად დარჩენის მოლოდინი. რა მისაჩუმათებელ-გასაიდუმლოებული ცხოვრებით იგი ცხოვრობდა, მარტო ყოფნა ხსნა რომ ყოფილიყო მისთვის. ვერა და ვერ დაიძინა. „მარტოობის ასი წელი“ იკითხა ერთხანს, მაგრამ ისე ყალბად და მოგონილად, გაჭიანურებულ-გაზვიადებულად წარმოუდგა ამ წიგნში აღწერილი ამბები, რომ გაუკვირდა – პირველად წაკითხვისას რამ მომაწონაო. აივანზე გაიტანა სკამი და დიდხანს ჩასცქეროდა მძინარე ქალაქს. რა მშვიდი ჩანდა ზემოდან თბილისი. ლამპიონების ციმციმით უღიმოდა ძილში აზიის ზეცას გორგასალის ქალაქი. კაცი იფიქრებდა, იმ თვალჩამქრალ ფანჯრებში არასოდეს გამკრთალიყოს ღალატი და შური, დაკარგული ოცნებები და არსებობისთვის გაუთავებელი პირღმეჭა.

დილით გაბურბუსალებულს გაეღვიძა. საქმე თავზე საყრელად ჰქონდა, მაგრამ რატომღაც ყველა საქმე ფუჭად და უინტერესოდ ჩათვალა ამ დილით. „ხალხი რას აკეთებს და მე რა საქმეებით ვარ დაკავებული მთელი ცხოვრებაო“, გაიფიქრა. სამსახურში მაინც ვიყო წასასვლელი, გულს გადავაყოლებდი, რა გაუთავებელი შეიქნა ეს შვებულება წელსო.

ქუჩაში ხეტიალი არ უყვარდა. საქმე არაფერი მაქვს და გამოწყობად არ ღირს დღისით ბუღიან ქალაქში გასვლაო.

აკვარიუმს წყალი გამოუცვალა, მინის კედელთან მიქვავებულ წითელ თევზს ბურღული ჩაუყარა და ტელეფონმაც დარეკა.

– ალო, გისმენთ.

ხმას არავინ იღებდა. ეს არ იყო ტექნიკური მიზეზით შეწყვეტილი ზარი. აშკარად ჩანდა, დამრეკავს ყურმილი ჯერ კიდევ ხელში ეჭირა.

– ალო, ალო, გისმენ. ამოიღე ხმა... კეთილი, როგორც გაგეხარდება.

ყურმილი დადო. უჯრიდან სამართებელი ამოიღო, ოთხთითშუა მოიქცია და დახედა. მამისეული სამართებელი დაჟანგულიყო. კარგა ხანია ელექტროსამართებლით იპარსავდა. კალენდრის ჩამოსაკიდებელზე სქელი ქამრის ბალთა მიამაგრა და სამართებლის ალესვას შეუდგა.

კვლავ აწკრიალდა ტელეფონი.

– ალო, ალო, გისმენ, ბატონო.

იქეთა მხარეს კვლავ ერთგულად სდუმდნენ.

– იქნება სხვაგან ხვდები. შენი თამაშის თავი არა მაქვს. სამადაძის ბინაა, კაკუტა ვარ მე. ხმა ამოიღე, შე კაიდედმამიშვილო. ჩაახველე მაინც. ისე, ფასონად.

უცნობმა არ ჩაახველა.

– კარგად იყავი, აბა. მომიკითხე თქვენები.

კაკუტამ ყურმილი დადო და სამართებლის ლესვა განაგრძო. საქმეს რომ მორჩა, გაიფიქრა, რისთვის გავლესე ეს სამართებელი, ამით სახის გამპარსავი ვარ მეო?

აბაზანაში რომ შევიდა და გრილ შხაპს თავი შეუშვირა, იცოდა, რომ წუთი-წუთზე ტელეფონი აწკრიალდებოდა. ალღომ არ უმტყუნა. პირსახოცი თავზე შემოიბურდა და „შლოპანცების“ ტყაპატყუპით ტელეფონის მაგიდამდე მიირბინა.

– ალო, ალო... ბატონო, გისმენ... ნუ გრცხვენია, მე ვარ, მარტო ვარ სახლში... ნუ მომშალე ამ დილით ნერვებზე, სული მაინც შეუბერე ყურმილს...

მარცხენაში ყურმილი ეჭირა, მარჯვენით თავ-კისერს იმშრალებდა. წყალი წურწურით ჩამოდიოდა წვივებზე და ლაკით შეღებილ პარკეტზე იშლებოდა.

– ალო, აბაზანაში შევდივარ და, თუ ღმერთი გწამს, აღარ დარეკო. არ მაქვს შენი თავი.

ყურმილი დადო და აბაზანაში შებრუნდა.

წყლის ჩხრიალში ერთი-ორჯერ მოეჩვენა, რომ ტელეფონი წკრიალებდა. ონკანი დაკეტა, კარი გამოაღო და მიაყურადა. იკოგნიტო მრეკავმა თხოვნა შეასრულა, სწორედ იმ დროს დარეკა, კაკუტა პირის პარსვას რომ მორჩა და ლოყებზე ოდეკალონიან ხელს იტყაპუნებდა.

– ალო, მე ვარ... გეხვეწები, ხმა ამოიღე. თუ სხვა ვინმეს ურეკავ, ტყვილად ირჯები, ჩემი ცოლი და ორივე ქალიშვილი სოხუმში გავაცილე წუხელის. ერთ კვირას იქ იქნებიან. სიდედრია ჩემი შეუძლოდ. წეღანაც გითხარი, მარტო ვარ. თუ ხმას არ ამოიღებ, გამოვრთავ ტელეფონს და ის იქნება. კარგად მეყოლე...

ყურმილი გადადო, მაგრამ ახლა სხვა ფიქრმა არ მოასვენა, „იქნებ ვინ აპირებს დარეკვას, ამ ვიღაც მოცლილის გულისთვის რატომ უნდა გავეთიშო ქვეყანასო“. ცოტა ხანს გაზეთი ატრიალა ხელში, მერე ისევ თავის ადგილას დააბრუნა ყურმილი.

ყურმილის დადება და ზარის წკრიალი ერთი იყო.

– ბატონო, მისმენ? ერთი მითხარი, რა დაგიშავე. ხომ უნდა ვიცოდე, რისთვის მსჯი ასე მკაცრად. რა ვიცი, თითქოს ცუდი კაცი არ უნდა ვიყო, ჩემი მოკლე ჭკუით. არავისთვის ცუდი არ გამიკეთებია. ჩემთვის გავდი-გამოვდივარ ჩემს პატარა საჯახირო-წასაგებელში. არც შენთვის უნდა იყოს მთლად სასიამოვნო წამდაუწუმ რეკვა. რაზე იწვალებ თავს.

კაკუტამ ყურმილი დადო, მაგრამ სრულებითაც არ იყო დარწმუნებული, რომ ჯიუტ უცნობს მისი დარიგება ჭკუაში დაუჯდებოდა და აღარ დარეკავდა. სანადირო თოფი გამოიტანა, დაშალა, ჯერ ზეთიანი ჩვრით გააპრიალა, მერე მშრალი ჩვარი უჩუჩხურა ლულებში. სანადირო სეზონი ახლოვდებოდა და თოფ-იარაღი მზად უნდა ჰქონოდა. ძველთაძველი ზაუერი მასობრივი ტირაჟით გამოშვებულ ტულის თოფს, თუ კარგად მოუვლიდი, ბარე – ორს დაიცვეთდა. ტყვია-წამალი

გამოიტანა და ჰილზების დატენვას შეუდგა. კაკუტა მუყაოს გამზადებულ ჰილზებს არ ენდობოდა. ერთი-ორჯერ ფისტონმა უმტყუნა და გული გაუტყდა ფაბრიკის ჰილზებზე.

მალე ისევ დაირეკა.

– ალო, კი, ბატონო, მიაღწიე შენსას. გამომიყვანე მოთმინებიდან, მომიშალე ნერვები. კმაყოფილი ხარ? შენმა აჯობა. ვკაკვავ თითს, რა გიყო მეტი. ახლა მაინც ამოიღე ხმა. არ მეტყვი არაფერს? რამდენჯერაც უნდა დარეკო, შეგინებით მაინც არ შეგაგინებ. კარგად იყავი.

დიდხანს გულმოდგინედ ტენიდა ჰილზებს კაკუტა, ათასი ფიქრი უტრიალებდა თავში, მაგრამ მთავარი, იმ ფიქრთა შორის, უცნობი მრეკავის საქციელი იყო. მართალია შელახული თავმოყვარეობის ხარჯზე, მაგრამ მაინც ხომ შეძლო, აეძულებინა კაკუტა ეფიქრა მასზე. სახლის პატრონმა გონებაში გადათვალა ნაცნობების უმეტესობა, ვისთანაც ბრად იყო და ვისთანაც უბრად. ვერავინ შეიგულა ისეთი, ასე ერთგულად რომ შეძლებოდა რეკვა. მტრები როგორ არ ჰყავდა, მაგრამ ტელეფონით ანგარიშის გასწორების მეთოდი მისი მტრებისათვის ერთობ უბრალო რამ იყო და ასეთი ნაბიჯი საკუთარივე ღირსების შელახვად მიაჩნდათ.

ამ ფიქრებში გავიდა ერთი საათი, ორი. კაკუტა თოფთან დაკავშირებულ საქმეებს მორჩა და ერთბაშად იგრძნო, რომ რაღაც აკლდა, რაღაც ჩვეულებრივად ვერ იყო. რა იწვევდა შეშფოთებას ოჯახის მამის სულისას? ბევრი რკვევა არ დასჭირვებია. ტელეფონი აღარ რეკავდა.

„რა მემართებაო, გაიფიქრა, უნდა მიხაროდეს, დაისვენა ყურებმა, მოწყინდა ეტყობა, ჩემი წვალება და დამანება თავი, რატომ ველოდები ასე გულიანად დარეკვასო.

ტელევიზორი ჩართო და ტახტზე წამოწვა. წვეროსანი დიქტორი კორდილიერების ფლორა-ფაუნაზე საუბრობდა. მშვენიერი გადაცემა იყო, მაგრამ კაკუტამ გულისყური ვერ მიაყოლა. სიტყვები ესმოდა, ეკრანზე გარეულ კამეჩებს და სინდიოფალებს ხედავდა, მაგრამ სიტყვებს და სურათებს ერთმანეთს ვერ აკავშირებდა. ხანდახან ტელეფონისკენ გაა-

პარებდა მზერას. აშკარა იყო, ელოდა. და რაც უფრო აგვიანებდა უცნობი დარეკვას, მით უფრო მოუთმენლობა და სიბრაზე იპყრობდა.

ლოდინით დაღლილ-გასავათებულმა უგემურად ისადილა, დაძინება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა. წამოდგა, ერთხანს იბუჯურა ოთახში და ისევ ტელევიზორი ჩართო, მაგრამ ვერც ახლა დაუდო გული. არ დაიჯერებს მკითხველი; „მოამბის“ დაწყებას აღარაფერი უკლდა, როცა კაკუტამ ტელეფონის მაგიდასთან სკამი მიიჩოჩა და კარგა ხანს გაუნძრევლად იჯდა ტელეფონს მიშტერებული.

როგორც იქნა, გაისმა სანატრელი წკრიალი.

გახარებული კაკუტა ყურმილს ეცა.

– სად ხარ აქამდე? ხომ არაფერი გაწყენინე, რომ არ რეკავდი. დარეკე ხშირად. შენ არ იცი, რა კაი გრძნობაა, ვიღაცა რომ ფიქრობს შენზე. ნუღარ დარეკავ-მეთქი, მე სულელმა რომ გთხოვე, არ დაიჯერო. შენ რომ არ დარეკო, მთლად მარტო დავრჩები. ნუ ამოიღებ ხმას. როგორც შენ გაგეხარდება, ისე მოიქეცი. არა აქვს მნიშვნელობა, ნაცნობი ხარ თუ უცნობი. დარეკე ხშირად. აი, ახლა ყურმილს დავდებ და ისევ დარეკე. ასე ვიჯდომები ტელეფონთან მთელი ღამე. არ დავიძინებ, ოღონდ შენ იყავი კარგად. შენ არ შეგეშალოს ხელი შენს ჩანაფიქრში.

კაკუტამ ყურმილი დადო.

უცნობს მეტი აღარ დაურეკავს.

საჩიხელი დევები

ოთხნი იყვნენ, ოთხი დევი. შარშან გაზაფხულზე ამოვიდნენ დაბაში, აპრილი იყო თუ მაისი დაწყებული, აღარ მახსოვს. დადიოდნენ ოთხივენი ერთად, ზურგზეხელებდაწყობილები. თავის ქვაღორღიან ეზოში მოფუსფუსე მასპინძელს ჭიშკართან რომ დაიგულებდნენ, მორცხვად ჰკითხავდნენ: – საქმე არაფერი გაქვთ? შარშან პირველ თოვლამდე იმუშავეს. როგორც ხელოსნები ეძახიან; პატარ-პატარა, დღიურ საქმეებზე. „შავ მუშებად“ არ ემეტებოდათ თავის გამოცხადება და აშკარა იყო, არც რომელიმე ერთი ხელობა იცოდნენ გამორჩეულად. წელსაც ჩამოვიდნენ. ჩემი კარის მეზობლის – გივი ზაალიშვილის მოუმთავრებელ სახლ-კარზე მუშაობდნენ და იქვე დაიდვეს ბინა. მოგეხსენებათ, ქართველებმა, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ნამეტანი ახლო-ახლო ვიცით დასახლება. ჩემი ოთახის ფანჯარა ზაალიშვილების ეზოსკენ გადის და მსურდა თუ არ მსურდა, ოთხი საჩიხელი დევის საუბარს ვისმენდი დილიდან საღამომდე.

– აბა, გამოხედე ერთი, ზურია!

– რა გინდა?

– გამოხედეთქვა, არ გეგვექცეს კედელი!

– ხო გითხარი, მარცხნივ დოუკავეთქვა.

– აპა, მარჯვნივ არი ესი?

– მარცხნივ არი, მარა ნამეტანი აგიღია.

– აქით შამევიდე უფრო?

– გეუბნები და არ გესმის და შენ უგე ახლა იმ კაცს პასუხი.

– შენ გოურიგდი, მე კი არა.

ზურია მიიხედ-მოიხედავს და ნახევრადდატუქსვით იტყვის:

– მაი ქენი მადანა, ნუ აჭარტალებ ენას ჩხიკვივით.

– რასავითო?

ზურია პასუხს აღარ აძლევს.

ხმაურიანი მუშებიო, რომ იტყვიან, სწორედ ესენი იყვნენ. გაუთავებლად ლაპარაკობდნენ, ხითხითებდნენ, ქილიკაობდნენ. თითქოსდა მთავარი მათთვის ერთმანეთთან ხუმრობა და ტკბილი მუსაიფი იყო, ხოლო საქმეს ისე, გულის გადასაყოლებლად აკეთებდნენ. მოძრაობდნენ ზანტად, მოუხეშავად. ოთხივე ტანმრგვალი და სქელკისერა იყო. მათი სიცილის მოსმენას არაფერი სჯობდა, ოთხივენი ერთდროულად მიაგდებდნენ ბარ-ნიჩაბს და ქაფჩა-თარაზოს, მიწვებ-მოწვებოდნენ და ჩაბჟირებამდე ძიგძიგებდნენ. მერე ერთ-ერთი მათგანი მოითქვამდა სულს:

– რავა უთხარი, რავაო?

– ამძორდით ახლა ზეით, გეყოფათ, რავარცხა ვუთხარი, ხო ვუთხარი, რა გინდათ ახლა.

– ხმარებაში გასწორდებათქვა?

და ისევ ხითხითი გულისწასვლამდე.

ხოლო სიცილის მიზეზი – დათვისტორება კაპია არ იცინოდა და რაც უფრო სერიოზულ სახეს იღებდა კაპია, მით უფრო უმატებდნენ ხარხარს ბიჭები.

მაშინ უნდა გენახათ, როცა ან მორი იყო ასაწევი, ან ქვის საფეხური რკინის რელსზე შესადგმელი.

– ჰე, გიკავიათ ყველას?!

– აქეთ მოდი, ზურია, რო გაგვივარდეს, ფეხს მოგტეხავს.

– არ წამოვა, აქედან უნდა ლომის შედგმაი.

– არ წამოვა? დეინახე აპა!

– რავა არი მაქით საქმე?

– ავწიოთ?!

– მეიცა, სამს დავთვლი და შევუბეროთ ოთხივემ.

– დათვალე ჩქარა, დამაწყდა მკლავები!

– ერთი, ორი, სამი ჰოპ, კაათ არი!

– რა არი კაათ, შექცეულია შენკენ.

– გავასწორებთ მერე.

– არაფერი გასწორებაი არ უნდა იმას. მეორე რომ მიედგმება, თითონ გასწორდება.

– არ მივა თავი?

– მისულია და ეგაა, რაღა დარჩა.

– ეგ „რაღა დარჩაა“ სწორედ საქმე, მამაჩემსა აქ ცხონება.

შუადღისკენ დევები ლაპარაკს უკლებდნენ და ჭიშკრისკენ გაურბოდათ თვალი. ხშირ-ხშირად საათს ეკითხებოდნენ ერთმანეთს და ზურია ნაქურჩალით თავმოცმული დოქით, რომელსაც თავისი ზომით კოკა უფრო ეთქმოდა წყაროსკენ გარბოდა.

– რა გეჩქარება, ბიჭო. მევიდეს ის კაცი და მერე წაი წყალზე. ხო ხედავ, თბება, თბილი წყალი ვსვათ იმდღევანდელივით?

– ეგება, სულ აღარ ამოდის დღეს და წყალი მაინც არ დავლიო?

მზე ტატნობს ცოტა რომ გადაშორდებოდა, ამოდიოდა გივი კალანჩხით ხელში. გივი პურმარილიანი, გულუხვი კაცია და უშურველად ამოჰქონდა სადილი. იცოდა იმერელთა „სისუსტეები“ და ცხელ ჭადებს, ხახვ-წიწმატს, ჭყინტ ყველას და პარკი-ლობიოს არ ივიწყებდა. და დიდხანს ღმურძვლაჩურჩულით სადილობდნენ დევები. მერე როცა ლაზათიანად დანაყრდებოდნენ, გივისთან ერთად ეზოში დააბოტებდნენ და თავაზიან მასპინძელს ნახელავს აწონებდნენ. ხანდახან ქარს ჩემს ფანჯარაში შემოჰქონდა გარიგების საქმიანი მასლაათი:

– რაი გინდათ სხვა, რავა, ჩვენ ვერ გავაკეთებთ?

– რაი, ლესვაი? მეტი რა ვიცით, აბა.

– რაიო, ბიჭო?

– ლესვაი იცითო?

– დისერტაციას ვერ დაგიწერთ, ბატონო გივი და ლექსს ვერ ავაწყობთ თვარა, დანარჩენი, ე საქმე ვიცით, ეს ოხერი. გვილესია? მეტს რას ვაკეთებთ საჩიხეში.

– ისე არც ლექსს დავწერთ, რომ მიმიშვა სხვაზე ნაკლებს, – ჩაიტრაბახებს კაპია – აკაკი წერეთელი რავა, შორებელი კი არ იყო ჩემი. ბებიაჩემს დედა ჰყამდა წერეთელი.

ოთხივენი შეთანხმებულებივით სხვა ადგილას გადინაცვლებდნენ, ახლა იქ იტყოდა გრძელ სიტყვას მასპინძელი, ჩუ-

მად, მარცვალ-მარცვალ ჩაამთავრებდა სათქმელს ზაალიშ-ვილი და არახრახდებოდნენ დევები:

– რაი, სვარკაი? სვარკის გულიზა იმ სიშორიდან კაცი უნდა ამეიყვანო?!

– თქვენი საქმე თქვენ იცით, მარა ფულის გადაყრა იქნება ტყვილად.

– სვარკაი? შე კაცო, სვარკაზე ვმუშაობ ჩემი დღე და მოსწრება.

– რავარც გვეტყვი, ისე შეგიდუღებთ თავებს. ქოთნის და ყურის ამბავი არ არი?!

მერე ისევ ძველ ადგილას, რცხილის ქვეშ შეჯგუფდებოდნენ.

– რა ვიცით, ჯერ თქვენ გვითხარით თქვენი ფასი, ბატონო გივი, გამქცევები არ ვართ ჩვენე და არც საორდღისოდ ვაპირებთ ერთმანეთთან ნაცნობობას.

– ეგება, ჩვენ რომ გითხრათ, არც თქვენ მოგეწონოთ ისი. ამიტომ სჯობია, ჯერ თქვენ გვითხარით, რა გიღირთ ამის გამოშენება ასე და გამართვა ისე, რავარც გვითხარით, თავის სვარკიან ყველაფრიანად.

– კარქათ უნდა გაკეთდეს, აპა, გლახათ გაკეთება გაკეთება არი?

– მაგაზე ჯავრი ნუ გექნება.

– პირველად კი არ ვაკეთებთ, ბატონო გივი. საქმე რომ არ გვესმოდეს, მოვკიდებდით ხეელს?

სულო ცოდვილო, იმთავითვე ორი რამ შევატყვე დევებს. ჯერ ერთი, ყველაფრის გაკეთებაზე თანხმდებოდნენ და როცა მუშა ამბობს, შვიდი ხელობა ვიციო, არც ერთი არ ეცოდინება კარგად. გივის ეს სიბრძნე რაღას უშველის, მაგრამ შენ მაინც იცოდე სამერმისოდ, ძვირფასო მკითხველო. მეორეც, ფულზე გაწუწკებულ მუშებს არ ჰგავდნენ. აშკარა იყო, რომ ფულის საშოვნელად იყვნენ ამ სიშორეზე წამოსული, მაგრამ თავის გარჯას ძვირად არ აფასებდნენ. რასაც მასპინძელი შეაძლევდათ, თანხმდებოდნენ, რაკი სიტყვას მოჰყვა, იმასაც მოგახსენებთ, რომ თუ ხელოსანი თავის სამსახურს იაფად

გთავაზობთ, იქ რაღაც საეჭვოა. მაღალ ხარისხზე გაკეთებულს ნურაფერს მოელოდები. ვერც ეს შეგონება უშველის გივის საქმეს, მაგრამ, იქნებ, შენ მაინც სადმე წაგადგეს, ღრმად პატივცემულო მკითხველო.

როცა გივის ცარიელ კალანჩხაში ჩაულაგებდნენ თეფშებს, გაზეთსაც ჩაუფენდნენ ისე, სილამაზისთვის, ოთხივენი თავის ქნევით ჭიშკრამდე მიაცილებდნენ და გივის ხვეწნაგარეულ შეგულიანებაზე – „აბა, თქვენ იცითო“, თავის კანტურით პასუხობდნენ შემობრუნებულები, კვლავ რცხილის ჩეროს მიაშურებდნენ. სადილის შემდეგ ცოტა ხომ უნდა დაესვენათ.

– რავა იყო ბიჭო? – სერიოზული სახით შეაცქერდებოდა შავულვაშა, ქინჯილოჯათმიანი ნიკუშა კაპიას და ყელში მოწოლილი სიცილისგან სულს ძლივს ითქვამდა.

– დეიწყო კიდო? არ მომიყვანო მაანა, თვარა გაგაბრტყელებ ლავაშივით, – წყრებოდა კაპია.

– რა მოგივიდა, თქვი შენცე, სიტყვას პური არ უნდა და წყალი, – ურჩევდა ზურია.

– რამდენჯერ უნდა ვთქვა. საბურჭალო სხვა ვერაფერი ნახეთ? – უარზე იდგა კაპია.

– რავა უთხარი, კაპია, იმ პატიოსან კაცს? ხმარებაში ნელ-ნელა გასწორდება კედელიო?! – ძლივს ჩაამთავრებდა მაღალი, არსენასბეჭება, იმერულფაფანაკიანი როლანდა და თითქოს მუცლის გვრემა შეჰყრიათო, წამოგორდებოდნენ ბალახზე დევები. ცაგამწვდენი სიცილი, მუცელზე ხელის ტყაპუნი, „ოჰოჰოჰო, დევიხჩვი კაცი!“ და „შენ აგაშენა ღმერთმა!“ აყრუებდა გარემოს.

ერთი სიტყვით, არაფერი სჯობდა ოთხი დევის ყურებას. ისინი ოფლს კი არ ღვრიდნენ, მტრედებივით ღუღუნებდნენ, ერთმანეთს სიტყვის მოგებაში ეჯიბრებოდნენ, ზმა-შაირში ებმებოდნენ. ყველაფერზე ეტყობოდათ, სულ სხვა ცხოვრებისთვის იყვნენ გაჩენილ-მომართულნი. ნათხოვარივით, სურათის გადასაღებად მოყვანილებივით ეჭირათ ხელში თარაზოაქანდაზი, ბარი და ნიჩაბი. ჩემთვის გამოცანად რჩებოდა; ვინ

იყვნენ, რა ქარმა გადმოაგდოთ წიფის გვირაბს აქეთ ეს არისტოკრატიული მიხვრა-მოხვრის, „დღიური მუშები“.

წინა კვირას, მგონი ოთხშაბათი საღამო იყო, გივი შემოვიდა ჩემთან, აღელვებისგან ტუჩებგათეთრებული.

დავიღუპე კაციო, ფანჯარას მიადგა და თავის ეზოში იმზირებოდა, ხარჯი ხარჯად და ყველაფერი თავიდანაა გასაკეთებელიო. ქუდი მექუდეს უნდა შეეკერა, ხომ ვიცოდი მშვენივრად, მაგრამ ვენდე ამ კაიდედმამიშვილებს და ჩავაოხრე საქმე, ვატყობდი, რომ ფინაჩურად აკეთებდნენ, მაგრამ ისე საყვარელი ხალხია, ვერ ვკადრე უხერხული ლაპარაკიო.

რა იყო, რა გაგიფუჭეს-მეთქი.

მეტი გაფუჭება რაღა იქნება, ამათი დაგებული კიბე ოწინარივით ირწევა, კედელი ზიგზაგებიანია, ავზი წყალს უშვებს და სარდაფის არც ერთი კარ-ფანჯარა არ იკეტებაო.

რატომ მოუვიდათ ეს ამბავი, შესახედავად, თითქოს, მშვენივრად ჩანს აქედან ყველაფერი და მე როცა კი შევავლებდი თვალს, უნდა ვთქვა, გულიანად მუშაობდნენ. შენს მიმართაც კეთილად არიან განწყობილი, სულ შენ ქებაში არიან-მეთქი; ვეცადე დარდი შემემსუბუქებინა მეზობლისთვის. მაგრამ ამას რომ ვამბობდი, ვგრძნობდი, ცუდად შედუღებულ ავზს და მრუდედ დაწყობილ კიბეს ცარიელი სიტყვით ვერას ვუშველიდი.

ბოლოს ჩემი რჩევა-თხოვნით, და თვით დაზარალებულის შემბრალე გულითაც, ასე გადავწყვიტეთ. მეორე დღეს გივი ქალაქიდან ორ მუშა-სპეციალისტს ამოიყვანდა, თითქოს რაღაც-რაღაცების გადასაკეთებლად, სინამდვილეში კი დევების ნახელავ-ნაბურჯალების გასასწორებლად. მოხითხითე საჩიხელებს არაფერს აგრძნობინებდა მასპინძელი, გადაკრულ სიტყვასაც არ ეტყოდა იმის თაობაზე, რომ მათი ნამუშევრით უკმაყოფილო იყო. მომავალი გარიგებების დროს, თანდათანობით გადაიყვანდა მათ შედარებით ნაკლებად ფაქიზ – მიწის სამუშაოებზე და ეზოს მოწესრიგება-მოსწორებაზე.

დიდი ღელვა-ნერვიულობით ველოდებოდი მეც (თითქოსდა ჩემი სანერვიულო არ მყოფნიდა) რა მოხდებოდა მეორე დღეს, როგორ შეხვდებოდნენ დევები ახალ კოლეგებს.

ასე თერთმეტი იქნებოდა. გივი ზაალიშვილმა ქალაქიდან ბერძენი მამა-შვილი რომ ამოიყვანა. ბერძნებმა ერთი ჩამოუარეს ეზოს, მერე გადაიცვეს სატინის ხალათები და საქმეს შეუდგნენ. მუშაობდნენ თითქმის უხმოდ. მამის ხელის მოძრაობაზე ატყობდა, ბიჭი, რა იყო საჭირო; რა უნდა დაემაგრებინა და რა მოეწოდებინა.

ჩვენი დევები ამ დროს იატაკის ფიცრებს აშალაშინებდნენ. ერთმანეთს ცვლიდნენ. შალაშინს წამდაუწუმ სულს უბერავდნენ და ტარზე ჩაქუჩს უკაკუნებდნენ. აშკარა იყო, შალაშინი არ მოწონდათ. ხანდახან რომელიმე მათგანი ზურგზეხელებდაწყობილი, აქაოდა, ჩემს საქმეზე მივდივარო, ბერძენ მამა-შვილს ჩაუვლიდა, ცალი თვალით გადახედავდა და ისევ საშალაშინო დაზგასთან შეჯგუფებულებს მიემატებოდა.

აღარ ისმოდა ზაალიშვილების ეზოდან სიცილ-ღიღინი. უსაშველოდ გაგრძელდა დღე. მეც გადამედო იმ ეზოში დატრიალებული სევდიანი დრამა და წერას ვეღარ ვახერხებდი. სიტყვა სიტყვას არ მისდევდა.

...იქნებოდა ასე ათი საათი, ჭიშკართან ჩემი სახელი დაიძახა ვიღაცამ. გავეგებე. საგარეოდ გამოწყობილი ზურია მელოდებოდა. იქვე მოშორებით სამი დევი იდგა ხელბოხჩიანი და სამგზავროდ გახაზირებული.

შემობრძანდით-მეთქი ეზოში.

იუარა.

„ბატონო შიო, მივდივართ ჩვენ ახლა, აღარ ეწყობა ჩვენს საქმეს აქ დარჩენა, ბატონ გივის ვეღარც კი გამოვემშვიდობეთ, თუ კაცი ხარ, მადლობა მოახსენე და ბოდიში მოგვხადე იმ კაცთანო. უცებ გადავწყვიტეთ „წასვლაი“ და ვერც კი მოვასწარით გივისთვის გაგვეგებინებინაო.

რაც ვიშრომეთ, იმის ფული მოცემული აქვს. ცოტა დარჩა, მაგრამ ალალი იყოს მაგაზე, ნამეტანი საყვარელი კაცია და ცოტა არ იყოს, ქე გვრცხვენია ასე დაუმშვიდობებლად რომ მივდივართო.

ჩვენს ამბავს, ალბათ, ქე ხვდებით, ბატონო შიო, მარა მაინც გეტყვით ერთ-ორ სიტყვასო. ვის დავუმალოთ. არ ვართ ჩვენ

მოხელეები, სოფლის უბრალო ხალხი ვართ და ჭკუა რომ გვქონოდა, არ უნდა მოგვეკიდა მშენებლობა-რემონტისთვის ხელი, მაგრამ იძულებული გაგვხადა ცხოვრებამო.

ახლა, იძულებული რანაირად, კი არავის მოუსჯია ჩვენთვის ეს საქმე, მარა ერთი-ორი კაპიკის შოვნა გვინდოდა და, ასე ვთქვათ, გამევიპარეთ სოფლიდანო.

თქვენი დადგენილია ე კანონები და თქვენ ვინ გასწავლით, მარა მაინც უნდა გითხრათ, ჩვენ ზარმაცები არა ვართ, არც ცოლ-შვილი მოგვძულებია, ამხელა გზაზე რომ წამოვსულიყავით და ეზო-კარი მიგვეტოვებია. საქმე ისაა, რომ ვერ ვართ სოფელში ისე, რავარც უნდა. მთელი წელიწადი უნდა ურტყა თოხი მიწას და ცოლ-შვილის სარჩენი და პატარა გადასარჩენი (ხომ უნდა გქონდეს კაცს ორი კაპიკი შავი დღისთვის გადანახული) ძალიან ჭირსო.

ასე თუ გაგრძელდა, ტყვილად ვირიც არ იმუშავებს დღეს, პატარა ხანს შევხედავთ ჩვენც ჩვენს საქმეს და მერე უნდა ავიბარგოთ სოფლიდან. არ გვაქვს მეტი გზაო. რაც შეგვიძლია, იმას გავაკეთებთ, ახლა ქე შევრცხვით ამ ძვირფას კაცთან, მარა ჩვენი ბრალიც არაა. ისე ადვილი ჩანდა გარედან მაყურებელი კაცისთვის ეს ხელობა, ეს ოხერი, რომ მოვტყუვდით და გავბითურდითო. შენ გეხვეწებით ოთხივე, რამენაირად ნამუსი მოგვწმინდე გივისთან. დაარწმუნე, რომ არ ვართ გლახა ხალხი ჩვენ, საჩიხელებიო.

ამ სიტყვებს რომ ამბობდა, ზურაბი თვალს მარიდებდა, თავის მარჯვენა ხელისგულს დასცქეროდა და ხანდახან ამომხედავდა, ყურადღებით მისმენს და ესმის ჩემი სატკივარი თუ არაო.

ბევრი ვეხვეწე; შინ შემოსულიყვნენ და დამშვიდობების თითო ჭიქა დაგველია. ზურასთან რომ ვერაფერი გავაწყე, დევთა სამეულს ვუხმე. იმათაც შორს დაიჭირეს ჩემი თხოვნა. გვიანია, აღარ შეგაწუხებთ, საჩიხის მატარებელს უნდა ჩავუსწროთო.

სათითაოდ მომიახლოვდნენ. ხელი ისე მოწიწებით ჩამომართვეს, თითქოს ახლა სწავლობდნენ ხელის ჩამორთმევასაც.

ღმერთმა სიკეთე მოგცეთ, თქვენი საქმე თქვენ იცით, აქაურობის ფიქრი ნუ გაქვთ, გივის მე ვეტყვი ყველაფერს, რაც საჭიროა-მეთქი.

სხვა არაფერი მითქვამს. ისინი ჩემთან რჩევის მისაღებად არ მოსულან, დასამშვიდობებლად მოვიდნენ.

რჩევაც რომ ეკითხათ, ბევრს ვერაფერს შევეწეოდი.

რა რჩევა უნდა მიმეცა?

ჩემი დარდის ლაგამი

რამ დაუმძიმა ასე გუნება, რამ მოუშხამა ხასიათი, ვერა და ვერ გამიგია. გულჩახვეული გახდა. ველარ ვცნობ. თითქოს გარეგნულადაც გამოიცვალა. ის სუნიც აღარა აქვს, ხუთ საჟენზე რომ მცემდა და ჭიხვინს და ნალის წკარუნს რომ ამატეხინებდა. ის დრო ხომ წავიდა და წავიდა; დილით ზურგზე რომ მარჯვენას გადამისვამდა და ხელისგულით შაქრის ნატეხს გამომიწვდიდა. ჯერ მადლობის ნიშნად რომ დავასუნთქავდი ხელისგულზე და მერე ლაშებით ფრთხილად, ფრთხილად ავიღებდი შაქარს. ბოლო დროს დილაადრიან თავლაში შემოსული ერთს მაინც შემეხმიანებოდა; „როგორა ხარ შე ბებეროვო“, ახლა ესეც მიმიტოვა. ალბათ ჩემი ბრალია, ეტყობა ხანმა თავისი გაიტანა, ძველებურად ველარ ვემსახურები-მეთქი. ასე რომ იყოს, გასაყიდად გამიმეტებდა. ღმერთმა ნუ ქნას! რაღა დროს ჩემი ახალი პატრონია. მართლაც რომ შეუბრუნოს ღმერთმა ჭკუა და ბაზარზე გამიყვანოს, ხომ დავიღუპე და ეგ არი. არა, არა ისევ შეჩვეული ჭირი მირჩევნია, შენი გულისა. რაც არი, არი. ამის ხელში ის კარგი დღეები მაინც მახსოვს და იმედის ლაგამს მაინც ვხრავ, იქნებ კიდევ მოუბრუნდეს-მეთქი გული.

რაც მე თოვლი, ზამთარი, მეჯავრება. კვიცობიდანვე მძულდა. მაინც რა გრძელი ზამთარი იცის ჩვენს სოფელში. ერთ სიკვდილს ვათავებ რომ ჩამოთოვს და ორთვალას მარხილით შემიცვლიან. ორთვალა სატარებლადაც უფრო მოხერხებულია და თაავდაღმართში გავაზეც არ გაწვება მარხილივით. გადატყავებული მაქვს უკანა ფეხები. ესეც არ იყოს, ეს დასაწვავი მარხილი მოხვევისას ცალკერძ გასრიალდება და მაინცდამაინც ჩასავარდნს მოძებნის. გავიზნიქები წელში, რაც შემიძლია, მოვერიდები ფლოქვებით ღორღს, „ოღონდ ახლა არ მომიქნევდეს მათრახს და არ დამძახებდეს – ჰაიტ,

შე სამგლევ, შენაო“, და რა უნდა გამჩენს. მაგრამ ცხენის იღ-ბალი არ იცი? მომინაცვლებს და მომინაცვლებს ფერდებზე, მოაღებს პირს და მთათხავს. თითქოსდა, რამეში მშველოდეს ან მათრახი და ან ჩემი პატრონის ბეწვისამშლელი ყვირილი, თითქოსდა უამისოდაც არ ვეწეოდე, რაც ილაჯი და არაქათი გამაჩნია.

მთელი დღე ხომ ციბრუტივით მატრიალებს აღმა-დაღმა, შებინდებულზე გასავათებულს შემაგდებს თავლაში, ერთ კიკნა თივას დამიყრის და კარს გაიკეტავს. რა გაათენებს ზამთრის გრძელ ღამეს. თივის ჭამის თავიც აღარ მაქვს, ისე ვარ დაღლილი. ხანდახან თვლემა მომერევა და ჩემი ყბების ხმავე გამომაღვიძებს. საფეთქელთან ყრუდ მიკაკუნებენ ბე-ბერი ყბები. თივის ხრაშუნს ვწყვეტ. და შემკრთალი ღამეს დავაყურადებ. რას დავინახავ ხარიხაზე გადადებული უნაგ-ირის, კედელზე აყუდებული აჩაჩხული ორთვალისა და მი-წაზე ნიანგივით გაწოლილი მარხილის მეტს. ხანდახან თაგ-ვის წრიპინი თუ შემაკანკალებს და ძირს დავიხედავ. თაგვის უნდა მეშინოდეს ამხელა ცხენს?

როგორ გინდა გააგებინო, რომ ჩემთვის ამ უგემურ ჩალა-თივაზე და თავწაყინულ ერთ ვედრო წყალზე უფრო საჭირო ერთი თბილი სიტყვაა ქანცგაწყვეტილს მალამოსავით რომ დამედება გულზე და განთიადამდე მაინც გამაძლებინებს. თუნდაც ცალყბად ნათქვამი: „აბა დაისვენე ბებერო. არა უშ-ავს ვიშრომეთ დღეს. ჯერ კიდევ ვაჯობებთ ჩვენზე გლახებს, ასე არ არი?“

ამ ბოლო დროს ავი სიზმრები მომეძალა. ხშირად მესიზმ-რება ის ყველაზე საშინელი დღე, დიდი ხნის ჩაძირული რომ მეგონა მეხსიერების უფსკრულში. ურაკვიცი ვიყავი, ლაღი და თავნება, რემას რომ გამომარიდეს, ყელზე ბაწარი შემაბეს და ამ ეზოში შემომიყვანეს. ორი დღე გადაუბმელად ვხოტნე ახალამოწვერილი ბალახი, შიმშილისგან ლამის ჭკუიდან შე-ვიშალე. ისე გადავხოკე ჩემი თოკის გაწვდენაზე ბალახი, რო-გორც ჩემს პატრონს აქვს ხოლმე სახე სადალაქოდან გამოსვ-ლისას. თურმე უფრო დიდი განსაცდელი წინ მელოდა. მესამე

დღეს დრუნჩზე ბაწარი მომიჭირეს და სასაფლაოს გვერ-
დით, გაშლილ მინდორზე გამიყვანეს. ჯოჯოხეთი თუ რამეა,
სწორედ ის იყო. ორი კაცი ისე გამეტებით მცემდა გრძელ
მათრახს, მეგონა კანი ჩემი აღარ იყო. გაცოფებული წინ რომ
გავვარდებოდი, ისე ღონივრად მომიღრეჯდნენ კისერს, რომ
ძვლებს ღრჭიალი გაჰქონდა. ჩემი ჭიხვინი ზეცას წვდებოდა
და ლაშებზე მომდგარი ქაფი ცხვირში ისე მაწვებოდა, რომ
ერთი-ორჯერ სასულეშიც გადამცდა და კინაღამ დამახრჩო.
გავსავათდი. თვალებში სინათლე აღარ მქონდა, გაჟრუებულ
ტანზე მათრახს უკვე ვეღარ ვგრძნობდი, ნელა მოვირწეო-
დი წრეზე და სადაცაა წავიქცეოდი. ოფლში გახვითქული
გამაჩერეს, დრუნჩიდან სისხლში დასვრილი თოკი მომხსნეს,
პირში ლაგამი ჩამჩარეს და უნაგირი დამადგეს. ის დღე მე-
სიზმრება ამ სიბერეში ხშირად და „რას მერჩით, რაღა დროს
ჩემი გახედვნაა, ერთხელ ხომ გამხედნეთ-მეთქი!“ ყელისგამ-
გლეჯად დავიჭიხვინებ შუაღამისას. შემრცხვება ჩემი ჭიხვი-
ნის. ყურებს დავწკურავ, მგონია მთელი სოფელი გავაღვიძე-
მეთქი. ხომ ჩემს თავზე მომდის გული, რაღა დროს სიყმაწვი-
ლის სიზმრებია, მაგრამ გულში ბედნიერი ვარ, რომ ყოვე-
ლივე სიზმარი იყო და ჩემი უმიზეზოდ განკითხვის საშინელი
დღე, ალბათ, აღარ გამეორდება. მათრახით ამწვარ ზურგზე
უფრო იმ დღისა პირში არაჩხუნებული ლაგამი მახსოვს და
ჩემი ტანჯვის თავლიდან დანახული დიდი, შავი მზე.

წლები გავიდა მას შემდეგ, თითქოსდა შევურიგდი ჩემს
ბედს. მგონი ბედნიერიც არაერთხელ ვყოფილვარ თუ ბედ-
ნიერება ის არის, რომ ანგარიშს გიწევენ, სათვალავში გაგ-
დებენ, ხანდახან კაცივით გესაუბრებიან და წარამარა, უპ-
რაგონოდ მათრახს არ გიტყაპუნებენ, ისე, ყოველ შემთხ-
ვევისთვის, გასაფრთხილებლად.

ამ ორი კვირის წინ კიდევ ერთხელ დავკარგე წონას-
წორობა და კინაღამ უკადრისი საქციელი ჩავიდინე. მრცხვე-
ნია მოყოლა, მაგრამ მაინც გიამბობ. შენზე ახლობელი ვინა
მყავს, ვის გავენდობი უკეთესს. შემოვიდა დილით თავლაში
ჩემი პატრონი, ხელში სამუნელი უჭირავს; ერიჰაა, რა ბზიკმა

უკბინა, ნეტა რა ჩაიფიქრა-მეთქი. გული შემიქანდა. ერთი ორჯერ ჩამომისვა გავა-ფერდზე სამუნელი. მერე უნაგირი გამოიტანა და შეკაზმვა დამიწყო. რა ბედნიერი ვიყავი, ვერ წარმოიდგენ. რახანია უნაგირი არ დაუდგამთ ჩემთვის და ფერდებში პატრონის მოჭერილი მუხლები არ მიგრძვნია. აბზინდები ამომიჭირა, უზანგი დამიგრძელა და არ ამხედრებულა, ისე აღვირ-აღვირ გამიყვანა საბჭოს მოედანზე. სიბრაზისაგან ლაგამი კინაღამ გავტკვირე, მანეთად გაქირავება და უნაგირზე პუტკუნა ბალღების შესმა რომ დამიწყო. მსხლამდე უნდა მიმესეირნა პატარა მხედარი, ფრთხილად უნდა შემოვბრუნებულიყავი და უკან მომეყვანა. მთელი დღე ამ ყოფაში გავატარე. რომ იტყვიან, კრუხის დღე დამადგა. ზოგი ისეთი ონავარი შემასკუპდებოდა ზურგზე, რომ წამდაუწუმ წკნელს მირტყამდა და „აჩუ, აჩუს“ ძახილით იქაურობას იკლებდა. ჯერ ფეხს ავუჩქარებდი, მერე მოსაჩვენებლად ავითოხარიკებდი, მეშინოდა უნაგირზე აცეკვებული ყმაწვილი არ გადმოვარდნილიყო ოთხზე რომ გადავსულიყავ, შეიძლებოდა თავი ვერ შეემაგრებინა და ბავშვის ცოდვაში ჩავმდგარიყავ. დავიტანჯე. რა სიფრთხილით და მოთმინებით ვურტყამდი მსხალს წრეს, რა ჭყივილით და გუნდის სროლით დამსდევდნენ, მანეთიანი მუშტრები.

საღამოს, უნაგირი რომ ამაცალა და გასაგრილებლად ეზოში გამიშვა, ალაგეზე გადავხტი და ტყეს მივეც თავი. რაც მომივა, მომივიდეს, ასე დამცირებულ ყოფას სიკვდილი მირჩევნია, უკან მომბრუნებელი არა ვარ-მეთქი. შორს არ წავსულვარ, ხევში ჩავედი, ჩემს პატრონს კვალი რომ არ შეემჩნია, წყალ-წყალ ვიარე და სათავესთან არჩვების ნადგომ გამოქვაბულს შევეფარე. არა, არა, არ ვყოფილვარ თავისუფლებისთვის დაბადებული. მთელი ღამე შიშის ძიგძიგში გავატარე. მგლების ყმუილი, ტურების ჩხავილი ყურისძირში ჩამესმოდა და წელში მწყვეტდა. ოღონდ ამეღამ გადავრჩე და პირს აქეთ აღარ ვიზამ, ვათრევ ჩემი დარდის უნაგირს ამ დარჩენილ ორ პარასკევსაც, როგორც აქამდე ვათრევდიმეთქი.

დილით მივადექი ჭიშკარს დარცხვენილი და გათოშილი. გაუბედავად დავიჭიხვინე, თითქოს იმხელა დანაშაული ჩამედინოს, რომლის გამოსყიდვასაც, მთელი ცხოვრების მანძილზე ვერ მოვახერხებ. დაბამბულმაზარიანი ჩემი პატრონი კალოშების ფართხუნით და მთქნარებით გამომეგება. არც კი გაკვირვებია ჩემი დანახვა, გახარებას რომ თავი დავანებოთ, მე მგონი არც შეუმჩნევია ჩემი გაპარვა და ალბათ ამიტომ არ ვუძებნივარ.

ასეა ჩემი საქმე. მე კარგად ვიცი, რაც მჭირს და საშველსაც ძალიან ბუნდოვნად ვხედავ. მე ძალა აღარ მეყოფა სხვა ცხოვრების დასაწყებად. ახლები თუ რამეს სასიკეთოს მოიფიქრებენ, ღმერთმა უშველოთ.

მე მხოლოდ ის შემიძლია, რომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ნაწყენი ვიყო იმ ჩემს სულკურთხეულ წინაპარზე, პირველად რომ მივიდა კაცთან და ზურგი შეუშვირა.

დოლაგი

წავიკითხე იმ დღეს შენი კრიტიკოსის წერილი. ჟურნალი „ამება“, სიმართლე გითხრა, არ მაქვს გამოწერილი. გაისად უნდა გამოვიწერო. ერთ დროს აღარ ვკითხულობდი, მე კი არა, მგონი სხვამაც დაანება თავი. ტყვილებს თხზავდნენ მწერლები. თავიდან მომწონდა კიდეც ტყუილები, ვფიქრობდი, ამ უბედურ ცხოვრებას ხომ ჩემს ქედ-კისერზე გააქვს ჭრიჭინი, ხომ ვიცი, რაში მაქვს ცხვირი წაყოფილი, წიგნებშიც რომ ეს დამიხატონ, ხომ ჩავვარდი დარდით ლოგინში, წიგნებში მაინც იყოს ლამაზი ცხოვრება-მეთქი. ხშირად, არ დაგიმალავ, აღტაცებაშიც კი მოვსულვარ მწერლის გამომგონებლობით, საიდან მოიფიქრებდა, რანაირად, რა ჭკუა-ხერხით დახატავდა იმას, რაც სინამდვილეში არ არსებობდა. მერე და მერე მოსაწყენი გახდა ტყუილების კითხვა. ჟურნალ-გაზეთისკენ გახედვა არ გვინდოდა. ცეკვა-თამაში, ცეკვა-თამაში, ცეკვა-თამაში, ყალბი სიხარული ყველგან, ყველაფერში, როგორი ასატანია, მითხარი ერთი.

რას გეუბნება, შენი კრიტიკოსი, რაიო? დაანებე თავი გუშინდელზე წერას, ნუ ამოგაქვს არქივებიდან სისხლით დაწინწკლული ფურცლებიო. წარსულს მაინც ვეღარაფერს ვუშველით, ვის რად უნდა, გავლილი ტკივილების გახსენებაო? ჯერ ერთი, ჩვენ რომელი გუშინდელი დღე ვართ, რამდენი სიცოცხლეგამწარებული, ჩემი თაობის კაცი დააბიჯებს ჯერ კიდევ ამ ქვეყანაზე. მაგ კრიტიკოსისთვის კი, ალბათ, გუშინდელი ვარ მე, – თავთეთრა ბებერი, მაგრამ ჩემი ცოლშვილისთვის ვარ „გუშინდელი დღე“? სიტყვით მაინც არ უნდა გავკიცხოთ, ვინც უსამართლოდ გვდევნიდა მთელი ცხოვრება? დავივიწყოთო? კაი დასავიწყებელია ჩემმა მზემ. კარგი, ჩემი თავი ჯანდაბას, მაგრამ შენ ხომ მარტო ჩემი გამოსარჩლებისთვის არ სწერ. შენ ხომ ჩვენი მაგალითის შეხსენებით

გაკვეთილს აძლევ დღეისდღის ავან-ჩავანებს, – უსამართლოდ ნუ გაჯოხავთ ადამიანს, მოუარეთ ერთმანეთს ამ ოღროჩოღრო წუთისოფელშიო. ასე არ არის? იქნება ვცდები, არ არის ასე?

ათასცხრაას ოცდათერთმეტის ივლისი იწურებოდა, თექვსმეტი წლის ბიჭი ჩამოვყევი მატარებელს თბილისში. არც ბინა, არც ნათესავი. მაინც რისი იმედით მოვდიოდი, ახლა რომ დავფიქრდები, მე თვითონ მიკვირს. ქვეყნის ნახვა მინდოდა, ცხოვრებაში გამოსვლა მინდოდა. რაღაცა დიდი საქმეებისთვის მოწოდებულად მიმაჩნდა ჩემი თავი. სანამ ვჭამო დედაჩემის გამომცხვარი ჭადი-მეთქი. თბილისიდან დიდი ამბები ისმოდა, არ დავიკარგები-მეთქი, ვფიქრობდი. არ იცი ბავშვის ჭკუა?

რომ ჩავედი მატარებლიდან, მაშინ შემეშინდა, ცოტა არ იყოს. ყველა თავისთვის გაიქც-გამოიქცა და დავრჩი ბაქანზე მარტო. საით მექნა პირი, არ ვიცოდი. რკინიგზელს ვკითხე; აქეთ ახლოს, ბიძია, რამე ქარხანა ხომ არ გეგულება-მეთქი. ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელია მაგერ, პირველივე მოსახვევში, მარჯვნივო. გავუწიე იქითკენ, რასაკვირველია. „აბა, ვინ ხარ, აბა, რა გინდა, აბა, რა შეგიძლია“ და მოკლედ საათიც არ იყო გასული. ახლანდელი ელდეპოს მუშა-ელექტრიკოსი მერქვა. რომ შემიყვანეს გაჭვარტლულ საამქროში, გულმა რეჩხი მიყო, მაგრამ არ შემიმჩნევია. ეს იქნება შენი სამუშაო ადგილი ხვალ გასწავლით ყველაფერსო, ცვლის ოსტატმა, ბურჯანაძე იყო, ოქრო კაცი, აცხონოს ღმერთმა.

ესეც ასე, სამსახური მაქვს, მაგრამ ღამე სად გავათიო, ვის მივადგე კარზე? შემატყო, ხომ იცი შენ, ბურჯანაძემ ყოყმანი და მკითხა; ბინის საქმე რავა გაქვს, ფირცხალაიშვილოო. უნდა ქირით დავდგე სადმე, არა მაქვს მეტი საშველი-მეთქი. ამხედ-დამხედა, შემატყო, როგორც ჩანს, ალალი ბიჭობა და, ნათელი დაადგეს, მითხრა: წამოდი ჩემთან, პატარა ქოხი მიდგას ეზოში, თუ იკადრებ, იცხოვრე შიგ. არც ქირა მინდა და არაფერიო. დავიმორცხვე და ვიუარე. დამიჯერე, ბიძია, ეს თბილისია, ნოღა არ გეგონოს, აქ რომ ხელფასს მოგცემენ,

ბინის ქირად არ გეყოფა. ჯერ გაიჭირვე და მერე და მერე გამართავ შენს გზას, ასე კი არ იქნები სულო.

წამიყვანა საღამოს ჩემმა ბურჯანაძემ. ფეხით ვიარეთ კაი ხანს. დასრულდა ქალაქი, კიდევ მივდივართ. მაინცდამაინც არც მომეწონა. ასე შორს რომ ნაცხოვრება, მაგრამ ამას დავ-ეძებ? სად ჰქონდა სახლი, თუ იცი, ახლა შორი კი არა, ცენ-ტრია მთლად. ცირკის სასტუმრო რომაა, თითქმის იმ ადგი-ლას. მაშინ მეგონა, იმის იქეთ მამალი არ ჰყივის-მეთქი და ახლა? სად გაუტია მაინც თბილისმა.

გავკეთდი შავი დედალივით. ბინა მაქვს, ჭერი მაქვს, რა ბედნიერ ვარსკვლავზე ვყოფილვარ დაბადებული-მეთქი. პირველ ღამეს სიხარულისგან თითქმის არ მეძინა. მართა-ლია, სამსახური ძველთაძველ, მტვრიან და ხმაურიან ქარხა-ნაში შემხვდა და ბინა ოთხმეტრიან მიწურ ქოხში, მაგრამ ამას დავეძებდი? ვაფრინე მეორე დღესვე ნოღაიში წერილი, ასე და ასე მოვეწყვე, ჩემი დარდი ნუღარ გექნებათ-მეთქი.

ერთი წერილი დედაჩემს მივწერე. მამა, დამავიწყდა მეთქ-ვა, აღარ მახსოვს. ჩემს დაბადებამდე სამი თვით ადრე წა-სულა ამქვეყნიდან. კაკლის ტოტი ჩამოხლეჩია საწყალს და წვეტიან ქვაზე დაცემულა ფერდით. ერთი წერილი დედაჩემს გავუგზავნე და მეორე, რა დასამალია, შეყვარებული მყავდა სოფელში, ნინიკოს. ჩემი ოჯახობა გახლავს ახლაც. შევაბერ-დით ერთმანეთს. რა სიხარული კი ჩემს ხელში ნახა ამ საწყ-ალმა მარა, ერთი უკმაყოფილება არ წამოცდენია, სინანული არასოდეს შემინიშნავს მის თვალებში. ოქრო ადამიანიაო, რომ იტყვიან, ისაა ნამდვილად.

თვის თავზე ჩამომაკითხა ჩემმა ნინიკომ ხის ძველთაძველი ჩემოდნით, თავსაფარში გამოკრული თერთმეტი მანეთით და პასპორტით. რომ იცოდე, რა ბედნიერები ვიყავით, რომელ ქარვასლას არ მირჩევნოდა მაშინ ის ოთხმეტრიანი მიწური.

მალე ბავშვიც შეგვეძინა და ჯემალი აკვანში მყავდა, ჩემს ქოხს დასანგრევად რომ მოადგნენ. გზას აფართოვებდნენ და ბურჯანაძის ფარღალალა სახლსაც უწევდა აღება. გამაგრ-დიო, მითხრა ცხონებულმა, ჩვილის პატრონი ხარ და ქუჩაში

ვერ გაგაგდებენო. შენ წარმოიდგინე, დიდი „გამაგრება“ არ დამჭირვებია. ბურჯანაძეს იქვე, პეკინის დასაწყისში, მისცეს ოროთახიანი ბინა და მე მთაწმინდაზე, ბესიკის ქუჩაზე, პურის მაღაზიის ცოტა ქვემოთ, ერთი ოთახი მაღირსეს. უკანა, ზედა მხრიდან სარდაფი გახლდათ ჩემი ბინა, გამვლელ-გამომვლელების კანჭებს დაათვალიერებდი დაინტერესებული კაცი, ხოლო წინა მხრიდან, არც მეტი არც ნაკლები, მესამე სართულზე ვცხოვრობდი. ბალიშ-საბნის გარდა ყველაფერი საერთო გვქონდა მეზობლებთან და ვცხოვრობდით ისე, როგორც თბილისური ეზოები საზამთროს ნაჭრის მოკითხვით, ნარდის კაკუნით და შეხუმრება-შექილიკებით.

ჯარში გამიწვიეს. ლენინგრადში ვიხდიდი სამსახურს. ცეკვა ვიცოდი, ჩემდა იღბლად და მაინცდამაინც არ გამჭირვებია. სამხედრო ოლქის კულტსახლის სცენაზე დავშლიგინობდი ხანჯლით და ჩოხა-აზიაცკებით. „ხანჯლური“ ჩემთვის სპეციალურად არავის უსწავლებია. დათიკო უშვერიძის ცეკვა ვნახე ერთადერთხელ, თოთხმეტი წლის ვიყავი მაშინ. დათიკო ქუთაისიდან სამტრედიაში იყო ჩამოსული საკონცერტოდ. ერთი ნახვით რაც დამამახსოვრდა, იმას ვცეკვავდი. ვინ მიმოწმებდა. უნდა ვთქვა, რომ მოწონდათ რუსებს ჩემი ცეკვა. ტყვილი რა საკადრისია და, ერთხელ, წაღმა-უკუღმა შემოტრიალებით ხუთი ხანჯალი რომ გავაკარი სცენის იატაკს, კულისებში გამოსულს ვიღაცამ კატეგორიული ტონით მითხრა; მომყევი, კიროვი გიხმობსო. მთავრობის ლოჟაში შესულს და მოულოდნელობისგან შეცბუნებულს, კიროვმა გვარი მკითხა, ხელი ჩამომართვა და პორტსიგარი მაჩუქა. რა ბედნიერი ვიქნებოდი, შეგიძლია წარმოიდგინო. ის პორტსიგარი კაი ხანს მქონდა, მერე იქვე, ჯარში, ჩანთიდან მომპარა ვიღაცამ. მაშინ ყველაფერს ადვილად იპარავდნენ.

ოცდაჩვიდმეტის მთავარმა ელდამ მე განზე ჩამიარა. ჯარისკაცი ვიყავი და მაინცდამაინც არ მიგრძვნია. კი, ჩვენი შემადგენლობიდანაც ბარე ორი გააქვრეს, მაგრამ ჯარში ეს მაინცდამაინც არ იგრძნობა. სხვაგან გადავიყვანეთო, გეტყვიან, მორჩა და გათავდა.

ოცდაჩვიდმეტის ბოლოს დავბრუნდი და ამიერკავკასიის სამხედრო ჰოსპიტალში გამანაწილეს რადისტად. პირდაპირ კომისარიატმა მომცა მიმართვა „ნაპრავლენიას“ ეძახდნენ. ძალიან კი მინდოდა ვაგონშემკეთებელს დავბრუნებოდი, მაგრამ, მოგეხსენება, ჩემზე არ იყო დამოკიდებული.

ერთი წლის დაწყებული არც კი მქონდა მუშაობა, კინაღამ გამქაჩეს, მაგრამ, ჩემდა იღბლად, გადავრჩი. ცოტა მეც ვიმარჯვე. რანაირად მოხდა, თუ იცი? ახლა ძნელი დასაჯერებელია. რა კარგადაც უნდა მოვყვე, ტყუილი გეგონება. რაზე იჭერდნენ მაინც ხალხს, რა დრო იყო. ყველაფრის გაგება მოვახერხე ამ ქვეყანაზე და იმ რეპრესიების ვერა. რაღაცა დაემართა ერთბაშად ქვეყანას. რაღაც იდუმალმა სენმა შეიპყრო. შიშის გორგალი დაგორავდა და ბლანდავდა, ბურდავდა ყველაფერს. ჯერ თავზე შემოგეხვეოდა და მერე, თანდათან, ხელ-ფეხს შეგიკრავდა. ერთ საღამოს ხუთი ამხანაგი, ჩვენთან მუშაობდნენ ისინიც, „პატარა დუქანში“ შევიკრიბეთ. იქვე იყო, არქიელის გორაზე ჰოსპიტლის ქვევით „პატარა დუქანს“ ეძახდნენ. თითო ჭიქას ორ-ორი მოჰყვა და, რაღა დაგიმალო, შევზარხოშდით. ბუნდოვნად მახსოვს, თამადამ, სოლოლაკელი ბიჭი იყო ჯორჯაძე, მოდი ამ ჭიქით დიდ სტალინს გაუმარჯოსო, მეორე თუ მესამე სადღეგრძელო გვაჯახა. სტალინს რა უჭირს, ისედაც გამარჯვებულია, ჯერ, თუ ძმა ხარ, ჩვენი მშობლები ვადღეგრძელოთ-მეთქი. ვთქვი ისე, სიტყვის მასალად, ხუმრობასავით ვითომ. მაინც სტალინის სადღეგრძელო დავლიეთ, მარა ე ჩემი ნათქვამი ქე დაიმახსოვრა გლახად, რომელიღაცამ ჩვენ შორის. ხუთ კაცში ერთი შპიონი ყოველთვის არის, შენ ახალგაზრდა კაცი ხარ და იცოდე, საერთოდ.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, მეორე დღესვე დამიბარეს; რავა იყო, სტალინის სადღეგრძელოზე უარი რომ თქვიო. როგორ გეკადრებათ, ბატონო-მეთქი. შენ როგორ იკადრე ასეთი რამ, თორემ ჩვენ რაც გვეკადრება, ვიცით, ნუ გეშინიაო. კეთილი ინებე და აგე პასუხი კანონის წინაშე ამ „პრავაკაციული გამოხტომისთვისო“. პასუხისგება, ვიცოდი, რას ნიშნავდა. სისხლგამშრალი გამოველ გარეთ. იქვე გამა-

ფრთხილეს, ქალაქიდან გასვლა არ იფიქრო, ხვალ თერთმეტ საათზე გამოცხადდი ჩვენების მისაცემადო. ჩვენების მიცემას ვინ გაცლიდა, მანამდე გიჭერდნენ, მაგრამ ხომ გითხარი, ცოტა ჩამცხრალი იყო ოცდაჩვიდმეტის ამბები. იმ ღამესვე ჩამოვუარე ხუთივე სუფრის წევრს. არ დამღუპოთ, თუ ძმა ხარ, ასე და ასეა ჩემი საქმე-მეთქი. ხომ დავლიე სტალინის სადღეგრძელო, ხომ ხართ მოწმეები-მეთქი. მეორე დღეს იმ ხუთიდან მარტო ერთი წამიდგა პირში, სანიტარი შალიკიანი, არ დაულევიაო, მაგრამ ოთხი თანამესუფრის თავგადაკლულმა მტკიცებამ – დალიაო, გააბათილა გარეწარი შალიკიანის დასმენის ბარათი. გადავრჩი, როგორც იქნა. ისე, როგორც მერე შევიტყვე, ჩემზე საქმე მაინც შედგა და მეთვალყურეობაც დაწესდა. ასე ხდება ხოლმე საერთოდ. ერთხელ თუ მიიტანეს ეჭვი, მერე აღარ მოგეშვებიან.

გავიდა ცოტა ხანი, ომის დაწყებას ბევრი აღარაფერი აკლდა. აკლდა კი არა, ფაქტობრივად დაწყებული იყო. ჩვენ ორმოცდაერთის ოცდაორი ივნისიდან ვითვლით, ჩვენ რომ დაგვარტყა დამთხვეულმა ჰიტლერმა, თორემ ისე საერთოდ მსოფლიო ომი ოცდაცხრამეტში არ დაიწყო? შენ უფრო გეცოდინება. უშუალოდ გერმანიასთან არ ვიყავით ცეცხლში ჩაბმული, მაგრამ არც ჩვენ გვეძინა ყურბალიშზე, ცოტ-ცოტა ჩვენც ვაწესრიგებდით ჩვევნ-ჩვენს საზღვრებს მეზობლებთან. რა დასამალია, ასე იყო. იცოდა სტალინმა, რა ვეშაპი ქშინავდა და ავად იზმორებოდა ევროპის შუაგულში ფაშიზმის სახით.

შაბათი საღამო იყო, გუშინდელ დღესავით მახსოვს, მეზობლის სიძე შემოვიდა, ნარდი მთხოვა. კაკლის ნარდი მქონდა კარგი, სხვათა შორის, ჩემი ცოლის ნამზითევი. სომეხი ბიჭი იყო მეზობლის სიძე, რაფიელი ერქვა, რაფიკას ვეძახდით. ზედსიძედ იყო ამილახვარის ქვრივთან. ერთი გაკნაჭული გოგო ჰყავდა იმ ქვრივს და ამ რაფიკას ჭრა-კერვის კურსებზე გაეცნო. არ იყო რაფიელი ურიგო ბიჭი, ცოდოს ვერ დავიდებ. თქვენ გეცოდინებათ, რაფიკამ, ნარდი რომ გამოვუტანე, ბერიას დაჭერის ამბავი მართალია თუ არაო. ათას ცხრაას ორმოცი წლის 11 სექტემბერს ხდება ეს ამბავი, შაბათ

საღამოს. ჩემთვის საბედისწერო თარიღი რომ არ იყოს, რა დამამახსოვრებდა, სუ, თუ კაცი ხარ, არ გაიმეორო არსად, ჭორი იქნება. ვინ დაიჭერდა ბერიას, ან რას ჩაიდენდა დასაჭერს-მეთქი. რა ვიციო, ტრამვაიში ამბობდა ვიღაცა და ყური მოვკარიო. ქვეყნის პრავაკატორი და ენაჭარტალა დადიოდა მაშინ ქალაქში. რა ვიცი, იქნებ განგებ ყრიდნენ ერთი სამსახურის ბიჭები ასეთ ხმებს, აბა, ვის გაეხარდება და ვინ წამოეგება ანკესზეო. ასე იყო თუ ისე, მეორე დღეს შესვენებაზე ჰოსპიტალში ერთ ცალფეხა ავადმყოფთან არ წამვარდა ეს „საიდუმლო“ ენიდან? რას მოვაყოლე, აღარც კი მახსოვს. დააჭირე ენას კბილი, არ იცი, რა დროა? ეშმაკი ჩაგისახლდება ხანდახან პირში და ენას შენდაუნებურად მოატრიალებს. რა ჭორიკანაა მაინც ხალხი, გუშინ ერთმა კაცმა ბერიას დაჭერის მითიც კი მითხრა-მეთქი. რას არ მოიგონებს, ზოგიერთის ჭკუა-გონება, რანაირ ფანტაზიას არ ჩამოქნის და ჩამოაგვირისტებს-მეთქი. როგორ არ მახსოვს, მაგრამ არ გეტყვი იმ ცალფეხას გვარს. ვისაც ვუყვები ამ ამბავს, არავის ვეუბნები. ამით ვსჯი ვითომ, ჩემი ჭკუით, უხსენებელს ვუთანასწორებ. უხსენებელია, აბა, რა არის.

დღის სამ საათზე ეს ვუთხარი იმ ცალფეხა მელაძუას და ღამის სამ საათზე დამაპატიმრეს. დანაშაული? მასის პანიკაში ჩაგდების და დემორალიზაციის მიზნით ხელმძღვანელ მუშაკთა მაკომპრომეტირებელი ჭორისა და ყალბი ინფორმაციის გავრცელება. მეზობლის სიძე, საწყალი რაფიკა (ომში დაიკარგა უბედური) რასაკვირველია, არ დავასახელე. ვინ გითხრაო, რომ ჩამსდიეს, ვიღაც სათვალიანი ამბობდა ტრამვაიში, სახეზე არ დავკვირვებივარ, რომ შემხვდეს, ალბათ, ვერ ვიცნობ-მეთქი. რატომ მაშინვე არ მოკიდე ყურში ხელი და არ მოათრიე ჩვენთან ის სათვალიანი, შენ თუ კაცი ხარო. რატომ არ ატეხე ტრამვაიში ყვირილი და რატომ არ ამხილე პროვოკატორიო. გაჩუმდი იმიტომ, რომ გულის სიღრმეში გაგეხარდა ბერიას დაჭერაო. გული დაგწყდა, მეორე დღეს მართალი რომ არ აღმოჩნდა ხალხის მტრის მონაჩმახიო. თავის მართლებისთვის პირის დაღება არ მაცალეს. სამეულმა გამასამართლა და ციმბირში მიკრეს თავი. რამდენი მომცეს,

არ იკითხავ? შვიდი წელი, მკაცრი რეჟიმის კოლონიაში, როგორც საშიშ პოლიტიკურ დამნაშავეს.

იქ რა წნეხში გამატარეს და რა ქვა მაკოდინეს, ცალკე მოსაყოლი ამბავია. იმ სიმწრის კოხს და თითების კვნეტას მიახლოვებითაც ვერ წარმოიდგენ. ერთი რამ უნდა გითხრა. რუსული წერა-კითხვა არაუშავს ვიცოდი და თუ ქაღალდის ნაგლეჯს იშოვიდა ვინმე, ჩემთან მოარბენინებდა, დამინერე წერილი სტალინის სახელზე, რომ მე, ერთგული ბოლშევიკი, უდანაშაულოდ ვიტანჯები ამ ჯურღმულებშიო. შენ წარმოიდგინე, ყველას არა, მაგრამ იმ ჩემმა დაწერილმა წერილმა სამ-ოთხ პატიმარს გაუმართლა. მოდიოდა კრემლიდან, ხომ იცი შენ, რეზოლუციები დაუყოვნებლივ გაანთავისუფლეთო. ჩემდა წილად, ჩემს უდანაშაულობაზე, თხუთმეტი წერილი მაინც მივწერე ბელადს, მაგრამ არცერთზე პასუხი არ მომსვლია. არც არაფერში შეტყობია ჩემს ყოფას, რომ ჩემმა აჯამუქარამ კრემლამდე მიაღწია.

მთელი ომი კალიმაში გავატარე. ბევრი პოლიტიკური პატიმარი, მოკრავდი ალბათ ყურს, წინა ხაზზე გაგზავნეს ომის დროს, სისხლით გამოისყიდეთ დანაშაულიო. სიხარულით წავიდნენ ის უბედურები. ახლა კი დავუმტკიცებთ პარტიას, რომ მისი ერთგული ვიყავითო. წინა ხაზზე, განსაკუთრებით ომის პირველ თვეებში როგორ დღეში ჩავარდებოდნენ, მოგეხსენება მე თოფი არ მანდვეს, როგორც ჩანს, როგორც განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეს.

ომი რომ დამთავრდა, თუ გახსოვს, ცოტა აუშვეს ხელი გამწარებულ-დაბრიყვებულ ხალხს, ჩვენზე, პატიმრებზე ვამბობ, და ამნისტია შეეხო ზოგიერთს, თუ რაღაც ამის მსგავსი. „რეაბილიტაცია“ მაშინ ეს სიტყვა გაგონილიც არ გვქონდა. ერთი სიტყვით, საპატიმროებში ადგილი აღარ ჰყოფნიდათ, თუ სამხედრო ტყვეებით შეავსეს და ჩვენ, ალაგობრივი ტყვეები, იმდენად საშიშ ხალხად აღარ ჩაგვთვალეს. ერთი სიტყვით, ვერ გეტყვი, რა მოხდა. ჩვენი ლაგერიდან ბევრი გაათავისუფლეს მაშინ. მოვიდოდა ქაღალდი და გამოგიცხადებდნენ, აბა, აიკარი გუდა-ნაბადი და ოცდაოთხ საათში დატოვე ტერიტორიაო. რითი, რა სახსრებით, რა ტრანს-

პორტით რანაირად დაბრუნდები შინო, ამაზე ფიქრით არ იწუხებდნენ თავს. ზოგი შიმშილით მოკვდა ტაიგაში, ზოგი იქვე ახლომახლო სოფელში დასახლდა, უკან დაბრუნების გზა-სახსარი რომ ვერ იპოვა.

მთავრდება ორმოცდახუთი. ჩემნაირი „დამნაშავეები“ კაი ხანია გარეთ არიან. მე რა ქვა გავტეხე, რატომ არ იღებთ ხმას, სანამ ვიყო აქ მეთქი. ისედაც ერთი წელი დამრჩა პატიმრობა და დიდი გული მაქვს. მაშინ ასე იყო, თუ არ აფ-ართხალდებოდი და არ შეაჩვევდი რეჟიმის უფროსს ყურს, რომ შენ ჭურში არ ზიხარ და ყველაფერი იცი, რა ხდება გარეთ, შეიძლება, არც კი გახსენებოდით. ვინ სინჯავდა შენს საბუთებს. ანეგდოტს ჰგავს ჩემი ამბავი. თურმე ორ-მოცდახუთის ივნისში მოვიდა ჩემი განთავისუფლების ქა-ღალდი. კანცელარიის გოგომ სიჩქარეში ფირცხალაიშვილის სახელზე მოსული ბარათი ფიცხელაურის საბუთებში ჩადო და არქივს გადასცა. ფიცხელაური იყო ჩვენთან თიანეთელი ბიჭი, თხუთმეტამდე ვიყავით სულ ქართველები. იმ ფიცხე-ლაურს, საწყალს, ფილტვები გაუფუჭდა და ორმოცდაოთხის ბოლოს გარდაიცვალა. „ფირცხალაიშვილი“ „ფიცხელაური“ მაინც ერთი გვარივითაა, ბევრი აღარ უფიქრია კანცელარი-ის ბოზანდარა გოგოს და მიუკრავს ჩემი განთავისუფლების ქაღალდი იმ ცხონებულის საქმეებისთვის. რომ ავტეხე გან-გაში, თქვენ რაღაცას მიმალავთ, გამაგებინეთ რაზე, რა და-ნაშაულისთვის ვზივარ აქ ექვსი წელი-მეთქი. ვიღაც ღვთიან მადლიანს ამოუწევია ჩემი საბუთები, მერე ეჭვი გასჩენია, ფიცხელაურის ქაღალდებისთვისაც გადაუხედავს და აგერ არ არის ჩემი შეწყალების საბუთი? ასე რომ, ჯერ ხომ ისედაც უდანაშაულოდ მახეხინეს ვირის აბანო და ხუთ თვეს, შეწყ-ალებული კაცი, ზედმეტად გამაჩერეს. ჩუმად რომ ვყოფილი-ყავი, ვინ იცის, რამდენ ხანს ჩამიხუტებდნენ გულში. ბოდიში არ მოუხდია, ნუ გეშინია, ლაგერის უფროსს – ხომენკოს და ვერც გაწითლება შევატყვე სირცხვილისაგან.

თავისუფალი ვარ! ოთხივე კუთხივ გზა ხსნილი გაქვს, წადი, სადაც გინდა. ერთი სული მაქვს ჩემი ცოლ-შვილის ნახვის. ჯემალი სამი წლის დავტოვე, ახლა ცხრა წლის კაცი იქნება.

ფეხითაც რომ მომიწიოს თბილისში ჩასვლა, უნდა წავიდე.

რაც მე ჩამოსვლაზე დღე დამადგა. თვე-ნახევარი ვიყავი გზაში, დამიჯერებ? ჯერ ფეხით გამოვაღწიე ტაიგას, ნოემბერი შუა ზამთარია ციმბირში. მერე ხან ბადრაგით, ხან დროგ-ცხენით ხან შტუდბეკერით ჩამოვირკუტსკდი. ირკუტსკში მატარებელზე ასვლა ზღაპარი იყო. სპეცმატარებლები დადიოდა, ისიც კვირაში ორჯერ და საშვებით იყო ასვლა, მაშინ ქვეყანა გზაში იყო, მოგეხსენება. ყველა თავის ბუდეში ბრუნდებოდა და პირველ რიგში მანჯურიიდან და იაპონიიდან ჩამოსულ ჯარისკაცებს აბრუნებდნენ.

ოთხმოც კილომეტრზე გამოვცდი ირკუტსკს. იქ ერთი პატარა სტანციაა ტაპონარა. მატარებელი გაჩერებით არ ჩერდებოდა, მაგრამ მოსახვევი იყო და სვლას უნელებდა. ორი კვირა ქვებით სავსე ტომრით დავრბოდი, გიჟივით, სოფელში, რომ იმდენად მაინც გამემაგრებინა მუხლები, მატარებელზე ბარგით ახტომა რომ შემძლებოდა. ეს ჩემით მოვიფიქრე. გაამართლა, ხომ იცი, ამ ხერხმა. როგორც იქნა, მეშვიდე თუ მეცხრე ცდაზე შევახტი მატარებელს და ბევრი მიჩაჩქუნა თავში „პრავადნიკმა“, მაგრამ რომ ჩავებღაუჭე ხელ-კბილით სახელურს, სიკვდილი ვიღირსიე და არ მოვეშვი.

ჩამოვედი, როგორც მხედავ, მერე დავამთავრე დაუსწრებლად უნივერსიტეტი და შარშან გავედი პენსიაზე. ორმოცდაორი წელი მოვათიე სკოლაში მასწავლებლად. ჯერ კიდევ შემეძლო მუშაობა, მაგრამ თვალებმა მიმტყუნა და აღარ მივეძალე. დავისვენებ ცოტას.

ამნაირი დღეები გამოვიარე, ძმიშვილო, მე, და წეღან შენ რომ ჰყვიროდი, ილიას, იუბილეზე მოსაწვევი არ მომცესო, გიყურებდი და მეცინებოდა. ისე სასოწარკვეთილი სახე გქონდა და ისე გულმოსულად გადი-გამოდიოდი, კაცს ეგონებოდა, ცა დაგექცაო.

არა, არა, სხვა თაობა ხართ, სხვა ხალხი ხართ ნამდვილად, ღმერთმა სიკეთე მოგცეთ.

ერთაქტიანი ნოველა

მაყურებელს უნდა ვაუწყო ჩემი წინათგრძნობა: მსახიობებმა რა მშვენივრადაც უნდა შეასრულონ როლები, ეს ამბავი სცენაზე უფერული და მოსაწყენი მოგეჩვენებათ. რატომაო? რომ მკითხოთ, ვერას მოგახსენებთ. ლამის დავიჯერო ერთი ჩემი მეგობარი რეჟისორის აზრი იმის შესახებ, რომ თეატრში სწორედ დაუჯერებელი და გამოგონილი სჩანს დამაჯერებლად და თეატრი იქედან იწყება, სადაც ცხოვრების პროზა მთავრდება. თუ არ დაიშლით და ამ პატარა ნოველას სცენაზე გაითამაშებთ, პირველივე მარცხის დროს დარწმუნდებით, რომ ავტორს იგი სასცენოდ არ დაუწერია, უბრალოდ, ნოველის ტრადიციულ ფორმას გაექცა და პიესის ხელოვნებას სახიფათოდ გაეთამაშა: ხუთი პერსონაჟი გამოვიხმე ამჯერად ყოველდღიურობის ორომტრიალიდან. ინტელიგენტი სოსო, მისი მეუღლე ნანა, აბიტურიენტის მამა კალენიკე, აბიტურიენტი შვილი – ნიკო და ნანას ნათესავი სტუდენტი გოგონა მიმოზა. მიმოზას და ნიკოს ერთი შეხედვით უფერული როლები აქვთ, მაგრამ თუ მუყაითად გაუხდებიან საქმეს, შეიძლება თავი არა მარტო დაგვამახსოვრონ, შეგვაყვარონ კიდეც.

მაშ, ასე, დავიწყოთ.

იხსნება ფარდა. სცენაზე აბსოლუტური სიბნელეა. კარი იღება და სოსო შემოდის. მთვარით განათებულ სადარბაზოს შუქზე გაიელვებს სოსოს სილუეტი.

ნანა – სოსო ხარ?

სოსო – მე ვარ. დიდი ხანია ჩაქვრა?

ნანა – არც ისე, ფეხით ამოხვედი?

სოსო – ფეხით. დარეკეთ?

ნანა – არ იღებენ.

სოსო – ასანთი სადაა? ყველგან ჩაქვრა?

ნანა – სამზარეულოში კამოდის თავზეა. ამ კვარტალშია მარტო.

სოსო – აბა, მალე ჩართავენ.

კალენიკე – ჩართავენ, ბატონო. ჩემი გასაჭირი თქვი შენ, თორემ მაგას ქე ეშველება.

სამზარეულოსკენ მიმავალი სოსო შეჩერდა, მოიხედა.

ნანა – ჩვენ სტუმარი გვყავს, აბა, თუ გამოიცნობ.

სოსო დაბნეული დგას.

კალენიკე – რას მიცნობს ხმაზე, ბატონო. სოსო კი არა, ცოლი ვერ მცნობს ამ ბოლო დროს. რა ხშირად კი ჩვენ მივ-დი-მოვდივართ ერთმანეთთან.

ნანა – კალენიკე დარბაიძე თავისი შვილით, დაუმთავრებია სკოლა და აბარებს წელს.

სოსო – ოჰ, ჩემო კალენიკე. იჯექი, იჯექი, სიბნელეში არაფერს წამოედო. ახლავე მოვალ.

სამზარეულოში გადის. ნანა წამოხტება და გაჰყვება სამზარეულოში. სამზარეულოდან ისმის ნანას ხმამაღალი ჩურჩული.

ნანა – კალენიკე დარბაიძეა ქაქუჩეთიდან. შარშან გაზეთში რომ გაწერეს, ხომ გახსოვს, ცოლს პელო ჰქვია, ეს ერთი შვილი ჰყავთ. ჩემთვის ბევრჯერ უციათ ბავშვობაში პატივი.

სოსო – რა ჰქვია ცოლს?

ნანა – პელო.

სოსო – საიდან არიან?

ნანა – რამ გამოგაშტერა, ქაქუჩეთიდან. იქვე აბრეშუმის პარკის ფაბრიკასთან მესამე მოსახლე არ არის?

სანთლით ხელში ხელკავით ძველი საოჯახო სურათების პოზაში შემოდიან სოსო და ნანა. სცენა ნათდება. დაბალ ტაბლოს უსხედან მიმოზა, კალენიკე და კალენიკეს ლოყებ-ბუთხუზა ბიჭი – ნიკო. იმერული, გულთბილი შეხვედრის ცერემონიალმა მშვენივრად ჩაიარა. დასხდნენ, მაგიდაზე: ჩაი, ნამცხვარი, ერთი ბოთლი ღვინო.

სოსო – ა, ჩემო კალენიკე, როგორ გამახარე, რომ იცოდე, (ნანას) რატომ მომჭერი, ქალო, თავი, ასე ღარიბული სუფრა

ეკადრება კალენიკეს? ასე იცის კალენიკემ (ამ სახელს ხაზგასმით ამბობს) ჩვენი მიღება? ეს სინათლეც რაღა ახლა ჩაქვრა, ეს დასაწვავი.

კალენიკე – რავა გეკადრება, ჩემო სოსო. ყველაფერი მშვენიერია. ამ ჩაით ნამეტანი ვისიამოვნეთ, გითხრა სიმართლე, კაი ხანია ვზივართ. რომ არ მობრძანებულიყავი, წასვლას ვაპირებდით ახლა და ხვალ ვაპირებდი მოსვლას, ადრე.

სოსო – დათუნია ბუხაიძე გავაცილე და შევრჩით საუბარს, ჩემო კალენიკე. (ეტყობა ამ სახელს ხშირად და ხაზგასმით იმიტომ იმეორებს, რომ არ დაავიწყდეს)

კალენიკე – ხომ იქ მუშაობ ისევ სოსოს ვენაცვალე? (კალენიკეს, ეტყობა, რომ მთლად ზუსტად არ იცის, სად მუშაობს სოსო).

სოსო – იქა ვარ, კი.

ტელეფონმა გაიწკრიალა.

სოსო – უკაცრავად (წამოდგა და ტელეფონისკენ შებრუნდა, მაგრამ ფეხმარდ მიმოზას უკვე ყურმილი ხელში უჭირავს).

მიმოზა – გისმენთ... გისმენთ...

სოსო – სხვა, ჩემო კალენიკე, ხომ მშვიდობით.

კალენიკე – ახლა ვითომ არა გვიშავს, მარა შარშანდელ ამბავს ქე გეიგებდით.

სოსო – ჰო, რაღაც ბუნდოვნად მოვკარით ყური. გაზეთშიც ისეთი არაფერი ეწერა; ვერ გავარკვიეთ.

კალენიკე – თუ გცალია, მოგიყვებით, პირდაპირ დასაწერი ამბავია.

სოსო – ძალიან მაინტერესებს, გითხრა სიმართლე.

კალენიკე იწყებს ამბავს. ყველანი ყურადღებით უსმენენ. შიგა და შიგ იცინიან. ნიკო ბიჭი ხანდახან საეჭვო ახვანცალებით გადახედავს მიმოზას და მიმოზაც ჩაიღიმებს. ერთადერთს ნიკოს არ აინტერესებს, რაც მამამისს გადახდომია.

კალენიკე – არ იყო ჩემი საქმე ეს კოოპერატივი, მარა გამაბრიყვეს. ტანი მიგრძნობდა, რომ არ გამოვიდოდა არაფერი. გავხსენით ვითომ სალობიე, მარა რად გინდა. შემჭამეს. კაპი-

ტალისტი ხარ, ხომ კი? დღე ერთი იყო და შვიდჯერ მაინც მოვიდოდა მილიცია – რევიზია. მივახურეთ კოოპერატივი და დევისვენეთ, როგორც იქნა.

სოსო – ბეწვზე გადარჩენილხართ.

სოსომ პატარა, წელში გამოყვანილი ჭიქები გაავსო, ჭიქა ასწია.

სოსო – მოდით ამ ჭიქით ჩვენს საქმეს, ჩვენი სატკივრის მორჩენას გაუმარჯოს.

კალენიკე – ეჰ, სატკივარი და სატირალი მე რომ მაქვს ისეთი უნდა.

ნიკოს გადახედა

ყველამ ნიკოს მიაქცია ყურადღება.

ნანა – სატირლად ღმერთმა ნუ გაგიხადოს, შე კაცო, საქმე. მოეწყობა, აბა რას იზამს.

კალენიკე – სოსოზე ვარ შემოჩერებული, სოსოია ჩემი ღმერთი.

სოსო – (კატეგორიული უარის თქმას აპირებს) – მე, ბატონო, არავითარი კავშირი არ მაქვს მაგ საქმესთან...

(მაგრამ უეცრად ნანა აწყვეტინებს, ნანას არ უნდა კალენიკე მშრალი უარით გაისტუმრონ).

ნანა – არ ვუმღეროთ სტუმრებს, სოსო?

(გიტარა ჩამოხსნა და სოსოს გაუწოდა)

სოსო – სიმღერის გუნებაზეა ახლა კალენიკე?

ნანა (ძალიან მხიარული კილოთი) – რატომაც არა.

კალენიკე – რავა გეკადრებათ, ბატონო. სიმღერა ღმერთმა ნუ მოგიშალოთ.

სოსო გიტარას უკრავს და მღერიან. ახალი, მშვენიერი ლირიული სიმღერაა. კალენიკე განსაკუთრებული ყურადღებით უსმენდა.

კალენიკე – აგაშენათ ღმერთმა.

ნანა – რამდენი ხანია „სადა ხარ“ (სახელი პირობითია) არ გვიმღერია.

სოსო – (აშკარად ეტყობა რომ სიმღერის ხასიათზე არ არის, მაგრამ სტუმრებს ხათრს ვერ უტეხავს) – პირველს იტყვი?

ნანა – ვეცდები.

მღერიან მეორე მშვენიერ სიმღერას, ლერი ბანს აძლევს.

კალენიკე – ამას რამე სჯობია, ბატონო? გადავეჩვიეთ სიმღერასაც ამ ბოლო დროს. თქვენთან არ ვიცი, რავა არის და ჩვენკენ მაგნიტოფონის პრუწუნის მეტი არაფერი ისმის ფანჯრებიდან.

სოსო – აფსუს. არადა რა სიმღერები და ქეიფი იცოდა ქაქუჩეთმა. ფოჩიანი გიტარა, ახალი მთვარე, რიკულებიან აივანზე დარბაისლური მუსაიფი, „მხოლოდ შენ ერთს“...

კალენიკე – აღარ არის, ბატონო, აღარ. წავიდა.

ნანა – რა ფაკულტეტზე გადაწყვიტეთ, კალენიკე ბატონო?

კალენიკე – ჟურნალისტიკა უნდა თავად. მარა სადაც გახერხდება, სოსოს შემოვევლე. ფაკულტეტს დავეძებთ? ისე მთლად უტუ კი არ არის. ქე იცის რაღაცა. რას ეწოდება, ბიჭო, წინადადება?

ნიკო (გამოთქმით) – „სიტყვას ან სიტყვათა ჯგუფს, რომელიც დასრულებულ აზრს გამოხატავს, წინადადება ეწოდება“.

ნანა – ყოჩაღ!

სოსო – ო, ეგ ნამდვილად გამოადგება. მთავარი „წინადადებაა“ ცხოვრებაში.

კალენიკე – ეშველება, ვითომ, რამე ჩვენს ჩაოხრებულ საქმეს, სოსო ბატონო?

ყველანი სოსოს მიაჩერდნენ.

სოსო (პაუზის შემდეგ, გაეღიმა) – ერთ ამბავს მოგახსენებთ, ბატონო კალენიკე და ეს იქნება ჩემი პასუხიც.

ნანა (აღშფოთებული) – ამბავი და არაკი უნდა ახლა კალენიკეს?

სოსო – მაცალე, ქალო.

ამ ოცდახუთი წლის წინ ასპირანტურა დავამთავრე და პირველად დამიძახეს მისაღებ გამოცდებზე. ნაქირავებში ვცხოვრობთ მე და ჩემი ძმა ერთად. ცოლ-შვილი, რასაკვირველია, არა მყავს. რა დაგიმალოთ და გახარებული ვარ, კაცად ჩამთვალეს, მისაღებ გამოცდებს მანდობენ. ვზივარ

ოთახში და ველოდები. ვიღაც უეჭველად მოვა და დახმარებას მთხოვს. პატარა ამბავია? კაცის მომადლიერება შემიძლია. კაცი კაცითაა ამ ქვეყანაზე. მაშინ დამალობანა არ იყო. ვის დავემალებოდი, ვინ მიცნობდა ქალაქში, ან ჩემს ოცდახუთ-მეტ მანეთად ნაქირავებ ოთახს ვინ მოაგნებდა.

ერთიც ვნახოთ, ზარია. მივვარდით ორივე კარებს. ორ-მეტრიანი სატინისხალათიანი, ვერცხლისბალთებიანქამრი-ანი კაცი დგას. – კახაძე გვინდა, წარბშეჭმუხვნით მეუბნება. მე ვარ, ბატონო, მობრძანდით, კარები, რაც შეიძლებოდა, ფართოდ გავაღე. ეტყობა, შეგვეშალა, ჩვენ ლექტორ კახაძეს ვეძებთო, გაბრუნებას აპირებს. მე ვარ-მეთქი, დაველრიჯე, მისაღებ გამოცდებში ვმონაწილეობ, თქვენ მე მეძებთ ნამდ-ვილად-მეთქი. შემოვიდა, ეჭვით მიცქერის. ასეთ პირტიტვე-ლა გამომცდელს, ჩანს, არ ელოდა, საშვი და პირადობის მოწ-მობა რომ ვაჩვენე, დამიჯერა, საბუთებს მაგიური ძალა აქვს.

გაზეთში გამოხვეული რომ ეჭირა, ტაბურეტზე დადო და გამომიცხადა: ბუხუტი მქვიაო, ჩემი შვილი აბარებს იურიდი-ულზე და ქართულ წერაში უნდა მიშველოთო. მაშინ პაროლო-ბანა არ იყო. სახელი და გვარი ჩავიწერე და დახმარება აღ-ვუთქვი. ტაბურეტზე მიმითითა, ჩემგან პატარა საჩუქარი მი-იღეთო. როგორ გეკადრებათ-მეთქი. ქვა ააგდო და თავი შეუშ-ვირა: ცოცხალი თავით უკან არ წავიღებო. მეც გავჯიუტდი. ვესრვით პინპონგივით ერთმანეთს „საჩუქარს“. ამასობაში ქაღალდი შემოეხა და გამოჩნდა რაც იყო. ლავსანის ნაჭერი. რაკი ბუხუტი ყელგამოღადრული მეხვეწებოდა, მეც აღარ გა-ვუტეხე ხათრი. კიბე რომ ჩაირბინა შემოვბრუნდი. ჩემი ძმა ძღვენს ტანზე იზომებს. მეტრადაოცსანტიმეტრიანი ლავსანის თხელი, საზაფხულო საშარვლე აღმოჩნდა. მეტრო მაშინ რვა მანეთი ღირდა. შენ ორი შარვალი გაქვსო, ჩემმა ძმამ და კიდევ რამდენი საშარვლეები გელისო, მოკლედ საშარვლე გამომ-ტყუა და ვალიკო მანჯავიძეს გაურბენინა შესაკერავად.

ბუხუტის ბიჭს მეორე დღეს დავუწერე ოთხი და მეგონა ყველაფერი დამთავრდა. თურმე სად გძინავს, რა ყულფში გაქვს თავი გაყოფილი.

მესამე დღეს მოვიდა ბუხუტი და გამომიცხადა, ბავშვმა, მართალია, თავისით ოთხი მიიღო, მაგრამ ქართული ზეპირის იმედი არა გვაქვსო და ის საშარვლე უკან უნდა წავიღოვო.

სადაა საშარვლე? შესაკერავად წაიღო ჩემმა სულწასულმა ძმამ. გაგიგებს ამას ბუხუტი?

გამოვიდეს ქართულ ზეპირზე, თავმჯდომარეს ვთხოვ-მეთქი.

დავუჩოქე თავმჯდომარეს და მიიღო ბუხუტის ბიჭმა ზეპირში ხუთიანი.

სამი დღის შემდეგ კვლავ მესტუმრა ბუხუტი. ისტორიას მაინც ვერ ჩააბარებს, ტყუილად რაზე ვიწვალოთ, გამოცდებისთვის თავს ვანებებინებ და მიმაქვს უკან ჩემი ლავსანიო.

შევევედრე, გამოვიდეს ისტორიაზეც, არც ეგრეა საქმე-მეთქი.

ჩემი ჭაპან-წყვეტით და ვაინაჩრობით ისტორიაშიც ხუთი მივაღებინე. როგორც მე არ ვიცი ჩინური, ისე არ იცოდა ბუხუტის ბიჭმა ისტორია.

გადის სამი დღე. ბუხუტი კვლავ ჩემს კარებთან დგას.

გერმანულში სუსტია ჩემი ბიჭი. გამოცდაზე გასვლას აზრი არა აქვს, დამიბრუნე თუ კაცი ხარ, ჩემი საშარვლე და ჩემს გზას ვეწევიო.

სადაა საშარვლე. რა დავაბრუნო, როცა ახალი შარვლით ჩემი ძმა უკვე რუსთაველზე დასეირნობს.

მეცით პატივი, გამოვიდეს გერმანულის გამოცდაზეც-მეთქი, შუაღამისას დავადექი თავზე გერმანულის თავმჯდომარეს და მიიღო ბუხუტის ბიჭმა ოთხი.

ამოვისუნთქე. ჩემი ავტორიტეტიც გადარჩენილია და საშარვლესაც არავინ შემომედავება.

დაიწყო სწავლა: დამთავრდა პირველი სემესტრი. იანვარია. ზარი. კარებში ტყავის სერთუკიანი, სატინისხალათიანი, გალიფეჩქმებიანი ბუხუტი დგას. შემოვიდა ხვნეშით ჩამოჯდა.

რა მოგივიდათ-მეთქი.

ჯინჯოლავას საგანს ვერ აბარებს ჩემი ბიჭი. უჭირს სწავლა, აქაური ჰაერიც ვერ მოუხდა მაინცდამაინც. ვანებებინებ

სწავლას თავს და მიმყავს უკან. ნახე ერთი, თუ კაცი ხარ, ზაფხულში რომ საშარვლე მოგიტანე. არ მინდა აქაურობის არაფერი, დავაბრუნებ მთაში ჩემს შვილს, ძროხებს მაინც მოუვლისო.

ჯინჯოლავას საგანმა როგორ შეგაშინათ. არ გამოიტანოთ საბუთები. მე ვთხოვ ჯინჯოლავას, არაა ურიგო კაცი, ჩემი დიდი ხათრი აქვს-მეთქი.

უხალისოდ შემომხედა. გცემ ამ ერთხელაც პატივსო.

შევეღმერთე ჯინჯოლავას და დაუწერა ბუხუტის ბიჭს ერთი დამღრჩვალი სამიანი.

თავი რომ არ მოგაბეზროთ, წელიწადში ორჯერ მოდიოდა ბუხუტი ჩემთან და მის შვილის მაგივრად გამოცდებს მაბარებინებდა. ერთი-ორჯერ მაგრად რომ დავუხვდი, დამემუქრა კიდეც. ხვალ განვაცხადებ საშარვლის ამბავს, სადაც საჭიროა, და მეც ჩავჯდები და შენც ჩაგსვამო. ეს იყო, ლერის თავს გეფიცები, ჩემი პირველი და უკანასკნელი ქრთამი. მაშინ რომ ვუთხარი ჩემს თავს, მისაღებ გამოცდებს არ გავეკარები-მეთქი, ნანას ჰკითხე: ოცდახუთი წელია აგვისტოში თბილისში არავის ვუნახივარ. სოსოს ნაამბობს ყველანი დუმილით შეხვდნენ.

კალენიკე – მე რავა გაგიბედავ, ვერ მოქცეულხარ სწორად-მეთქი, ჩემო სოსო, მარა ერთმა ბუხუტმა გული ასე როგორ გაგიტეხა, შე კაცო?

სოსო – გული კი არ გამიტეხა, მე არ ვარ გამოცდების კაცი, ჩემო კალენიკე. მე არ მაქვს იმის ნერვები, რვაასი ბავშვიდან ოცს დავუწერო მაღალი ნიშანი და შვიდას ოთხმოცი გარეთ დავტოვო. სულ ტყუილია ეს გამოცდები, იცოდე შენ. არავის შეუძლია რვაასიდან ოცი ობიექტურად გამოარჩიოს. თვითონ სისტემა არ ვარგა მიღების. ამიტომ ერევა სხვა რაღაც საქმეში. დაიჯერებ ახლა შეენ? მე რომ ვაბარებდე, მე თვითონ, ვერავითარ შემთხვევაში ჩემი ცოდნით ვერ მოვეწყობი.

კალენიკე – მართალია, მარა მე პატარა ხელის წაკვრა მინდა, ე, ჩემი ბოვში მთლად წყალწაღებული კი არ არის, რას ჰქვია ბიჭო წინადადება?

ნიკო – „სიტყვას ან სიტყვათა ჯგუფს, რომელიც დასრულებულ აზრს გამოხატავს, წინადადება ეწოდება“.

ნანა – ყოჩაღ.

(ნიკო თავმომწონედ და მორცხვად იღიმება)

სოსო – არ დამემდურო, ჩემო კალენიკე, და ამ საქმეში არაფერი არ შემიძლია.

კალენიკე – მივხვდი, ბატონო, მივხვდი. (ცოტა არ იყოს ნაწყენია)

ნანა – ისე, ზოგადად, რასაკვირველია... რაც შეუძლია... სოსო თქვენ უარს არ გეტყვით... საერთო მხარდაჭერა ჩვენზე იქნება...

სოსო – არა, ნანა შემოგევლე. არც საერთო და არც კონკრეტული. მე თბილისში არ გავჩერდები, ხომ იცი, კაცს ხომ არ მოვატყუებთ.

კალენიკე – ნეტავი მოგეტყუებინე, ჩემო სოსო, და პატარა იმედი მაინც მოგეცა. მაპატიეთ, რომ შეგაწუხეთ, წამოდი, ბიჭო, წამოდი. ცოტა ხელის წაკვრა მინდოდა, თვარა მოუმზადებელი კი არ არის. რავა არი ბიჭო წინადადება?

ნიკო – „სიტყვას ან სიტყვათა ჯგუფს, რომელიც დასრულებულ აზრს გამოხატავს, წინადადება ეწოდება“.

(კალენიკე შესცქერის თავის შვილს, მერე სოსოს, მერე ისევ თავის შვილს, ბოლოს ხელს ჩაიქნევს და კარებისკენ შეტრიალდება).

ნანა – რატომ ჩქარობთ, კალენიკე ბატონო, ჩვენთან მოისვენებდით ამაღამ.

კალენიკე – წავალ, ბატონო, წავალ. ჩემს გზას ვეწევი. ეგება მევეჭიდო ხავსივით ვინმეს. ამხელა ქალაქში რავა არ გამომიჩნდება ერთი საწყალი პატრონი მეც. კარგად ბრძანდებოდეთ.

(კალენიკე და ნიკო გადიან. სიჩუმე. სოსო მკლავებზე ხელს ისვამს და წინდაუკან დააბიჯებს).

ნანა – დავკარგეთ ერთი კაცი. ეწყინა.

სოსო – ნანა, მე ხომ ავუხსენი.

ნანა – ახსნა, ასეთ სიტუაციაში ყველას მშვენივრად შეუძ-

ლია, სოსო. შენი ახსნა-განმარტების მოსასმენად კი არ ჩამოსულა ის კაცი. უჭირს და დახმარება უნდა. საქმე უნდა, საქმე.

სოსო – თუ არ შემიძლია?

ნანა – სხვათა შორის, მართალი გითხრა, მის მდგომარეობაში მყოფ კაცს მცირე, ტყუილი იმედი მაინც უნდა გაატანო.

სოსო – შენ ხომ იცი, მე თვალთმაქცობა არ მეხერხება.

ნანა – ვინ გასწავლა, ვინ ჩემი ცოდვით სავსემ, რომ ტყუილი ყოველთვის თვალთმაქცობაა. შენ გგონია, ვინმე ვინმეს ეხმარება? ისინი „პატრონიანი ბავშვები“ რომ ჰქვიათ, ნახევარზე მეტი თავისით ეწყობა.

სოსო – კაი ერთი, თუ ქალი ხარ.

ფინალზე ამ ნოველის ავტორმა ბევრი იფიქრა, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გამოუვიდა. ჩვეულებრივი ტრივიალური დასასრულით არ უნდოდა დაემთავრებინა, გულისამაჩუყებელი ვერაფერი მოიფიქრა. ახლა თავს ერთი აღმოსავლური გამოთქმით ინუგეშებს; „როგორც შემიძლია, ისე არ მინდა, როგორც მინდა, ისე არ შემიძლიაო“.

წამება

გაერთიანება „საქმენახეს“ გენერალურმა დირექტორმა არონ ჯაჯანიძემ საბედისწერო შეცდომა დაუშვა. თავისი გამოსვლა რომ დაემთავრებინა: „აბა, თქვენ იცით, შეხედულებისამებრ იმოქმედეთო“, ყველაფერი რიგზე იქნებოდა. მაგრამ რაკი ნახევარსაათიანი აბურდულ-დაბურდული სიტყვის ბოლოს მრევლს მიმართა: გაუგებარი ხომ არაფერიაო, სწორედ ამ სამმა უწყინარმა სიტყვამ გააფუჭა საქმე.

აქამდე შეურვებული სახითა და ინახით მჯდომი მეცნიერებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისთვის ლამის ყველაფერი გაუგებარი აღმოჩნდა.

არონს შეკითხვების კორიანტელი დააყარეს.

– ერთი თვითმფრინავით ჩამოდიან?

– რა ვიცი, ერთით როგორ ჩამოვლენ.

– ჩვენ როგორ გავიგოთ, ვინ როდის ჩამოვა?

– ხომ იცით, ვინ რომელ ქვეყანაზე ხართ მიმაგრებული.

– კი.

– ჰოდა, უნდა გაიგოთ რამენაირად. შტაბს უნდა დაუკავშირდეთ.

– ჩვენ ჩვენი მანქანებით დავხვდეთ?

– ვისაც გყავთ, კი.

– ხვიპიიდან თერთმეტი კაცი ჩამოდის, რანაირად ჩავტიო?

– რაფი დაიქირავე.

– ვისაც მანქანა არა გვაქვს?

– ტაქსი და მისი ჯანი.

– სიმპოზიუმი თვრამეტში იწყება. ეს ხალხი ოთხი დღით ადრე რატომ დაიბარეთ?

– აკლიმატიზაციისთვის.

– ოთხი დღე რით გავართოთ სტუმრები?

– გაატარ-გამოატარეთ.

– ოჯახში მიყვანა შეიძლება საპურმარილოდ?

– კი.

– დიდი მადლობა.

– კვება დღეში სამჯერ?

– შეხედულებისამებრ. რომ მოშივდებათ, თვითონ გაგრძნობინებენ. ზომიერად ყველაფერი. ძალიან არ დაათროთ. ღამის გასათევად შინ ნუ დაიტოვებთ, სასტუმროში მიიყვანეთ.

– თუ თვითონ მოისურვეს?

– გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება, ოღონდ საწოლთან, ღამის ქოთანი დაუდგით.

მკითხველი დაახლოებით მაინც მიხვდებოდა, რა ხდება გაერთიანებაში. „დაახლოებით მიხვედრამ“ არაჯანსაღი მითქმა-მოთქმა რომ არ გამოიწვიოს, ნოველის ავტორს დავალებული აქვს ზუსტად გაუწყოთ, რომ ტარდება აკადემიკოს ოტებაშვილის დაბადების 125 წლისთავისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი. სიმპოზიუმი ობოლ ბავშვთა მოვლა-აღზრდის თემას ეძღვნება. სტუმართა შერჩევა, ცოტა არ იყოს, გაჭირდა. უშუალოდ ამ პრობლემაზე მომუშავე მეცნიერი მსოფლიოში თითქმის არ აღმოჩნდა. ამიტომ მომიჯნავე მეცნიერებიდან მოიწვიეს ისინი, ვინც გაახსენდათ, ან ვისაც ჭურჭურიაში ყოფნის გამოცდილება ჰქონდა სხვა სიმპოზიუმებზე მონაწილეობით. მოწვევის ბარათები, რასაკვირველია, ორი წლით ადრე გაიგზავნა. ცოდვას ვერ დავიდებ, მოწვეულთ პასუხი არ დაუყოვნებიათ. ყველა მათგანი დაახლოებით ერთსა და იმავეს იწერებოდა: ჭურჭურია ძალიან მოგვენატრა, სიამოვნებით მივიღებთ სიმპოზიუმში მონაწილეობას, მაგრამ აკადემიკოს ოტებაშვილზე არაფერი გვსმენია; ხომ ვერ დაგვეხმარებით ლიტერატურის მოძიებაშიო. გაირკვა, რომ ოტებაშვილის შრომები მსოფლიოს არც ერთ ენაზე არ იყო თარგმნილი. მით უარესი მსოფლიოსათვის, მაგრამ სტუმრებს ობოლ ბავშვთა მოვლა-აღზრდის დიდი სპეციალისტის ცხოვრებაზე წარმოდგენა რომ ჰქონოდათ, გაერთიანებამ ყველა მათგანს გაუგზავნა ოტებაშვილის ბიოგრაფია და შრომების ნუსხა, თანაც, მეტი გარკვევისათვის, ყველა სტუმარს წერილში ჩაუწერა; მათს ქვეყანაში, დაახლოებით, ვინ იქნებოდა იტებაშვილის ანალოგი. უნდა ვთქვა, რომ ამ

უკანასკნელმა მითითებამ სტუმრებს საქმე საგრძნობლად გაუადვილა.

ახლა, როგორც ატყობთ, სიმპოზიუმის მოსამზადებელი სამუშაოები უკან დარჩა. საორგანიზაციო კომიტეტი ბოლო სხდომას ატარებს. დღის წესრიგის პირველი პუნქტი – „სტუმრების ჩამოსვლა-დაბინავება“, ერთი შეხედვით, ადვილად ჟღერს, მაგრამ ვისაც ამგვარ კამპანიაში მონაწილეობა მიუღია, მხოლოდ მან იცის, რა ცეცხლში აქვთ თავი წაყოფილი გაერთიანების იმ უპრეტენზიო მუშაკებს, ცალკეული ქვეყნიდან ჩამოსული დელეგაციის მეგზურობა-მომსახურების საპატიო მისია რომ დააკისრეს.

კითხვა-პასუხის ფორმამ ნათელი ვერ მოჰფინა მიმაგრებულთა უფლება-მოვალეობებს. პირიქით, რაც მეტი შეკითხვები დააყარეს, არონ ჯაჯანიძე უფრო და უფრო ბუნდოვან პასუხებს იძლეოდა. კაცმა რომ თქვას, ვინც შეკითხვით მიმართავდა, ამომწურავ პასუხს არც ის ელოდა. მე მგონი, ზოგი მათგანი შეკითხვას იმიტომ წამოისროდა, რომ ყურადღება მიექციათ, აქაოდა, მეც თქვენთან მიგულეთო, თორემ ჩვენ შორის დარჩეს, რა შეკითხვები იყო მაგალითად: „სუვენირები წინასწარ დავურიგოთ, თუ წასვლის დროს?“, ან „ბანკეტების დროს ჩვენ ჩვენ-ჩვენ სტუმრებთან დავჯდეთ თუ ცალკე?“ ახალგაზრდა მეცნიერი, ხერხემლიანთა დაბალზამების ეგვიპტური წესის შემსწავლელი ლაბორატორიის თანამშრომელი ბუთა ჭყოიძე ასე დაბნეული არასოდეს ყოფილა. ხან ერთ ნაცნობს დაედევნებოდა კიბეზე და ხან მეორეს; „ღვთის გულისათვის, ამიხსენით, რამდენი ხნით ადრე სჯობია აეროპორტში წასვლა, ან რომელ გამოსასვლელთან უნდა დაველოდო ჩემს სტუმრებს. თუ მოსკოვიდან ყველანი ერთი თვითმფრინავით ჩამოფრინდნენ, რანაირად გამოვიცნოთ ერთმანეთში არეული სტუმრები და საერთოდ ჩამოსვლის პირველ საღამოს ჩვენ უნდა ვავახშმოთ თუ საერთო ვახშამს გაუმართავს გაერთიანებაო?“ კიბეზე, ჩამომრბენთა გაურკვეველი პასუხებიდან ბუთამ დაასკვნა, რომ დანამდვილებით არავინ არაფერი იცოდა, ან იცოდნენ, მაგრამ, რატომღაც, ახალგაზრდა მეცნიერისთვის გასამხელად არ ემეტებოდათ.

მთელი დღე აეროპორტში გაატარა. აპააპას განვითარებადი რესპუბლიკის სამკაციანი დელეგაცია მოსკოვში დროზე ჩამოფრენილიყო, მაგრამ ჭურჭურიის თვითმფრინავი უამინდობის გამო იგვიანებდა. ბუთამ დაადგინა, რომ ყველა დელეგაცია ერთი რეისით მოეშურებოდა და მით უმეტეს უკვირდა, რომ დამხვდურთა შორის ნაცნობს ვერავის ხედავდა. „რამე ხომ არ გამომრჩა. სხვა აეროპორტზე ხომ არ ჯდებიანო გაიფიქრა, მაგრამ ეს ეჭვი გონებაში იმწამსვე ნაცრად აქცია, რაკიღა ჭურჭურიის დედაქალაქში სხვა აეროპორტი არ არსებობდა.

გარეთ ბარაქიანად წვიმდა. მოსაცდელი დარბაზის სარკმლიდან ბეტონზე მდგარი რკინის ფრინველები ჩანდნენ ფრთებქვეშ ბატის ჭუკებივით შეყუჟული ყვითელი საბარგო მანქანებით. ყველა თვითმფრინავთან ერთსა და იმავე სურათს შენიშნავდით: ორი მტვირთავი მუშაობდა, ხოლო შორიახლო მდგომი, ჯიბეში ხელებწაყოფილი ხუთიოდე სპეცტანსაცმლიანი კაცი გულდაგულ შესცქეროდა მტვირთავებს. ბუთას გასწვრივ, ხის სავარძელში, ინტურისტის გიდები ისხდნენ და მასლაათობდნენ. ერთი მათგანი ჰყვებოდა, თუ როგორ ატარა ოთხი დღის განმავლობაში ორი სტუმარი აღმა-დაღმა, როგორ აკითხა მოხსენებები გერონტოლოგთა კონგრესზე, მაშინ, როცა ისინი თურმე სინამდვილეში შუასაუკუნური ფრესკების სიმპოზიუმის მონაწილეები იყვნენ და გიდს, უნებლიედ, თავის სტუმრებად მიეჩნია. ამ ამბავმა ბუთა ჯერ გააცინა, მერე შიშნაღველი მოჰგვარა. ე მანდ, მეც ასე არ დამემართოს, არ დავიღუპო კაციო.

სიმპოზიუმის მონაწილეებით გადატვირთული თვითმფრინავი მხოლოდ მეორე დღეს, საღამოს ექვს საათზე ჩამოფრინდა. ლამის ორდღიანი ლოდინით გასავათებული ბუთა ისე გამოცოცხლდა, რომ ბეტონის მინდორზე შესვლაც კი დააპირა. ჩემს სტუმრებს ტრაპთან დავხვდებიო. რასაკვირველია, არ შეუშვეს და სანამ თვითმფრინავი დაიცლებოდა, დაბალზამების მომავალ სპეციალისტს რკინის გისოსებში თავგაყოფილს კისერში ეღვრებოდა შემოდგომის ბარაქიანი წვიმა. ქუდი ხელში ეჭირა, რადგან ქუდიანი თავი ღობის

გისოსში არ გაეტია, ხოლო ღობეში თავჩარგულმა იმდენი ვეღარ მოიფიქრა, რომ ქუდი ხელით გაეტანა და იქეთა მხარეს მაინც დაეხურა.

როცა ბოლო მგზავრი გამოცდა ჭიშკარს, ბუთა შიშმა შეიპყრო; „რა მშვიდი სახეები აქვთ ამ ოჯახაშენებულებს, იციან, რომ უპატრონოდ არ დატოვებენ, ახლა მე მკითხონ, რანაირად გამოვარჩიო ჩემები ამ ჭრელი ფარიდან. ყვირილს ხომ არ მოვყვები აქაო. სხვები მაინც სად დაიკარგნენ, ჯაჯანიძესთან რომ ენად გაიკრიფნენ ყველანი, სირცხვილი არაა, ჩემს მეტი რომ არავინ ხვდება ამ პატიოსან ხალხსო?“ ეს ფიქრი არ დაემთავრებინა, რომ გაერთიანების რეფერენტს – ზალაძეს მოჰკრა თვალი და გულს იმედი ჩაესახა. გაუკვირდა, ორი დღეა თვალი არ მომიკრავს და ამ წუთას რანაირად შეიტყო ზალაძემ თვითმფრინავის ჩამოსვლაო. მივიდა და სიის თვალიერებაში გართულ რეფერენტს მხარზე ხელი დაადო.

– აპააპასთან ვარ მე მინაწილებული.

– ვიცი, – ქაღალდისთვის თვალი არ მოუცილებია ზალაძეს.

– მერე?

– რა მერე?

– სად არიან, საით გაუტიეს, სახეზე ვერ ვიცნობ ვერც ერთს.

– აქ არიან ყველანი. არსად არ გაიქცევიან, ნუ გეშინია. იციან თავისი საქმე.

– მაშინ მე ტაქსს დავიჭერ და მოვიყვან. ჯერ ხომ ჩემოდნები უნდა აიღონ.

ზალაძემ წამით მოაცილა სიას თვალი.

– რა უნდა ქნან?

– ბარგი-მეთქი. ჯერ ხომ ბარგი აქვთ ასაღები.

– ჰო.

– მე-მეთქი, წავალ და ტაქსს დავიჭერ. შენ აქ იქნები?

– კი.

ზალაძე სიას დაუბრუნდა. ჩაიკითხა და მერე, ცოტა არ იყოს, დაბნეული მზერა გააყოლა ტაქსის გაჩერებისკენ გაქ-

ცეულ ჭყოიძეს. მე მგონი, კარგად ვერ გაიგო, რა უნდოდა მისგან ახალგაზრდა მეცნიერს, რა კავშირი ჰქონდა ტაქსის დაჭერას ბარგის აღებასთან.

დიდხანს, იობის მოთმინებით იდგა ჭყოიძე ტაქსის რიგში, წვიმა გადაღებას არ აპირებდა. აწი კიდეც რომ გადაეღო, ბუთასთვის მნიშვნელობაც აღარ ჰქონდა. პალტო კარგა ხანია წყალში ამოვლებულ ბამბასავით დამძიმებულიყო და სისველეს, თუ თქმა უხერხული არ იქნება, საცვლებშიც გაეჟონა.

როგორც იქნა, მოუწია რიგმა. ჩახტა თუ არა, მძღოლს მიახალა, საბარგოსთან მიმიყვანე, სტუმრები მელოდებიანო. გაჩერებულ კარუსელს და ცარიელ დარბაზს რომ თვალი ჰკიდა, ცუდად ენიშნა, მაგრამ წითელსამკლაურიან მორიგეს მაინც ჰკითხა, – ცხრაასოცდახუთის ბარგი თუ მოზიდეს უკვეო. მოზიდეს და კიდეც გაზიდეს. რა დროს ცხრაასოცდახუთია, ახლა ირკუტსკს შემოიტანენ სადაცააო. აუ, დავღუპულვარ კაციო, შუბლზე იტკიცა ხელი ბუთამ, მაგრამ მორიგე მაინცდამაინც ვერ ააღელვა. მორიგეს დაბნეული და დაგვიანებული მგზავრების მეტი რა ენახა.

გამოვარდა და ტაქსში რომ ჯდებოდა, პალტოს ქამარს დაადგა ფეხი და კინაღამ კისერი მოიტეხა, სავარძელზე პირქვედამხობილმა მძღოლმა ხელი შეაშველა. რა მოხდა, ხომ არაფერი იტკინე, თუ ძმა ხარო. არაფერი, ქამარი გამომედო, ეს უპატრონო, ფეხებში, სასტუმრო „ჭურჭურიაში“ მიმიყვანე, გაუსწრიათ სტუმრებს. საათზე მეტ ხანს ვიდექი ტაქსის რიგშიო.

სასტუმროში რომ შედიოდა, მოტრიალე კარში არონ ჯაჯანიძეს შეეფეთა. კარს მიაწვა, ჩქარა გამოვალ, ბატონ არონს ვეტყვი, რაც შემემთხვაო, მაგრამ რაც უფრო ენერგიულად აწვებოდა, მით უფრო ჩქარა ტრიალებდა კარი და არონმა და ბუთამ, ჩარლი ჩაპლინის ერთი ფილმის არ იყოს, ხუთიოდე წრე მაინც დაარტყეს პარმაღს. თუმცა დანამდვილებით ვიცი, ამ დროს დიდ ამერიკელ (გერმანელ, შვეიცარიელ) მსახიობზე არც ერთ მათგანს არ უფიქრია.

ტელეფონიან მანქანისკენ გაქცეულ ჯაჯანიძეს ბუთა, როგორც იქნა, დაეწია და ყურში ჩასძახა:

– დავხვდი თვითმფრინავს, ბატონო არონ, მაგრამ რაი მერე!

არონი არ გაჩერებულა.

– ჰო, მითხარი, ჩემო კარგო, ჩქარა მითხარი.

– ორი დღეა აეროპორტში ვზივარ.

– მითხარი, ჩემო კარგო, სწრაფად მითხარი, რა გინდა.

– აპააპას დელეგაციასთან ვარ მე!

– ვიცი, ჩემო კარგო. აბა შენ იცი, დიდი საქმე დაგავალეთ და თავი უნდა გამოიჩინო. მინდა დაინახოს სხვებმაც. ამას მნიშვნელობა აქვს. კარგად იყავი! – ჯაჯანიძე მანქანის სახელურს მიწვდა.

– რა მომივიდა, რომ იცოდეთ, – სათვალე მოიხსნა ბუთამ, დაორთქლილი, სველი სათვალით, სულერთია, ვერაფერს ხედავდა.

– ხო, – აშკარად ჩანდა, არონს სადღაც აგვიანდებოდა – სწრაფად მითხარი, შტაბში მელოდებიან!

– სანამ ტაქსს დავიჭერდი, სტუმრებს გამოუსწრიათ.

– სად გაუსწრიათ? – შეიცხადა გაერთიანების ხელმძღვანელმა.

– ალბათ, აქეთ წამოვიდოდნენ.

– სად აქეთ?!

– სასტუმროსკენ. ზალაძეც იქ იყო.

– ახლა მე რა გავაკეთო, სწრაფად მითხარი! – მოთმინების ძაფი გაწყვეტამდე დაეჭიმა ჯაჯანიძეს.

– სტუმრები-მეთქი, მე ტაქსით მარტო მომიწია წამოსვლამ. ისინი ბარგს ელოდებოდნენ... ზალაძეც აქ იყო... რომ მოვედი, აღარ დამხვდნენ.

– ეგ ვერ მოგსვლია კარგი საქმე... რას იფიქრებდნენ აბა სტუმრების დაკარგვა როგორ შეიძლება. ეგ არ გეპატიება. შენ ეს ერთი საქმე მოგანდეთ, ჩემო კარგო. ადვილი კი არ იყო. შენ არ გეგონოს ყველას უყვარდე, ზოგი იმასაც ამბობდა, ვერ შეძლებსო. ახალგაზრდა კაცია, ვენდოთ-მეთქი. შენ ვისთან ხარ?

– აპააპას დელეგაციასთან.

– ძალიან კარგი. შეხვდი, მოელაპარაკე. ეგენი საჭირო ხალხია, ჩვენ ძალიან ვუყვარვართ. წადი! – უთხრა და დაძრულ მანქანიდან გაოგნებულ ჭყოიძეს გადმოსძახა:

– ჩემთან ხომ არაფერი გინდოდა?!

– არა! – დაადევნა ბუთამ, წვიმას ახედა და სასტუმროში შებრუნდა.

ადმინისტრატორს აპააპას დელეგაციის წევრების გვარები და ტელეფონის ნომრები ამოაწერინა და მოწიწებით სთხოვა: თუ შეიძლება დავრეკავ, გაერთიანებიდან ვარ, ამ დელეგაციას მიმამაგრეს, ავტობუსით გამომასწრეს და რომ არ ვნახო, არ შეიძლება. უნდა ვავახშმო და მოველაპარაკო მთელ რიგ საკითხებზეო.

ადმინისტრატორმა ყურადღებით მოუსმინა, მაგრამ ბუთას ნათქვამში ვერც ერთი ისეთი პუნქტი ვერ აღმოაჩინა, რომელიც ამ სათვალიან, საწყალი გამომეტყველების ახალგაზრდა კაცს ადმინისტრატორის ტელეფონით სარგებლობის უპირატესობას ანიჭებდა. უპასუხა ისე, როგორც ასეთ შემთხვევაში სხვა ადმინისტრატორები პასუხობენ:

– ამ ტელეფონს არ სცალია, გენაცვალე, ავტომატით დარეკეთო.

სამი ორკაპიკიანი კიდეც რომ ჰქონოდა, ბუთა მაინც ვერ ენდობოდა ავტომატს, რადგანაც სრულიადაც არ იყო დარწმუნებული იმაში, რომ ეს კედლის ტელეფონი პირველ სამ ორკაპიკიანს ანგარიშმიუცემლად არ ჩაყლაპავდა. გადაწყვიტა, უშუალოდ კარზე დაკაკუნების მეთოდით შეეკრიბა უცნობი მეგობრები.

რამდენიმე წუთის შემდეგ სასტუმროს ჰოლში ჭყოიძის წინ სამი ტანმორჩილი მამაკაცი იჯდა. სამი აპააპელი სტუმარი – ბატონი ჰამბო, ბატონი ჰაამბო და ბატონი ჰმბო. ისინი წამდაუწუმ იღიმებოდნენ და ბუთას ყოველ სიტყვაზე გულწრფელ მადლობას უხდიდნენ.

მისალმება, პროგრამის გაცნობა და ოტებაშვილის შემოქმედების მოკლე დახასიათება რომ დაამთავრა, ბუთამ თავაზიან სტუმრებს ალერსით ჰკითხა: პატივცემულ სტუმრებს ხომ არა აქვთ სურვილი პროგრამის გარეშე რაიმეს ნახვისა,

ან საერთოდ, რაიმე სათხოვარი, რომელსაც სიამოვნებით შე-ვუსრულებთო.

აღმოჩნდა, რომ სტუმრები თავიანთი პროგრამა-მინიმუმე-ბით ჩამოსულიყვნენ და მათი ინტერესების სფერო ჩვილ ბავშვთა მოვლა-აღზრდის პრობლემებს ბევრად სცილდე-ბოდა. გამოცდილება რომ ჰქონოდა, ბუთა სიამოვნებით აა-რიდებდა თავს ამ შეკითხვას, რითაც არაერთ უსიამოვნებას აიცილებდა თავიდან, მაგრამ გამოცდილება არ ჰქონდა და ამიტომ ბუთამ ამ შეკითხვას თავი არ აარიდა, რითაც არაერ-თი უსიამოვნება თავიდან ვერ აიცილა.

ბატონმა ჰაამბომ შავი ზღვის ნარნარფეროვანი ნიჟარების შეძენის, ვარძიის დათვალიერების და ხალხურ საკრავთა ოს-ტატ ბალთაძეების მიერ გასულ საუკუნეში გამოთლილი ჭი-ანურის შოვნის სურვილი გამოთქვა.

ბატონმა ჰაამბომ: ამ სამი წლის წინ ჩემს ძმას ქუჩაში ჭურ-ჭურიელი ახალგაზრდა, სახელად ომარი გაუცვნია. ომარს ჩემი ძმისთვის ტახის ეშვის თილისმა უჩუქნია. მისამართი და გვარი არ ვიცით, როგორმე უნდა შემახვედროთ იმ კაცს, ჩემმა ძმამ წერილი გამომატანა და უნდა გადავცეო.

ბატონმა ჰამბომ: ამ ოცდახუთი წლის წინ მლაშე ზღ-ვის წყლისგან მარილის მიღების ტექნოლოგიაზე ნაშრომი დავწერე. აპაააპაში მისი გამოქვეყნება ვერ მოვახერხე, მინ-და აქ, ჭურჭურიაში გამოვცე. გამომცემლობის დირექტორს უნდა მოველაპარაკოთ, ჰონორარი როგორმე აქვე გადა-მიხადოს, ბარემ ჩამოსული ვარ. მერე რომ არ გაწვალდეს ბუღალტერია, ფულის აპაააპაში გამოგზავნითო.

ბუთამ სტუმრებს დახმარება აღუთქვა, იმ საღამოს რესტორანში ავახშმა, სადღეგრძელოებს შორის ჭურჭური-ელი ადათ-წესები გააცნო სტუმრებს და ისე დამაჯერე-ბლად დაუსაბუთა, ჭურჭურიული კაცისთვის სტუმარი ღვთის კაცს ნიშნავს, მასპინძელი მისთვის თავს არ დაზო-გავსო, რომ ბატონმა ჰამბომ, ბატონმა ჰაამბომ და ბატონ-მა ჰმბომ ინანეს კიდეც, ასე უბრალო სათხოვრებით რომ წარუდგნენ მასპინძლებს. სტუმრისთვის აქაურთა თავგა-

დაკვლის ამბავი რომ გვცოდნოდა, უფრო მეტ სურვილს მოვიფიქრებდითო.

რა იცოდნენ საყვარელმა აპაააპელებმა, რომ მათი, თითქოსდა, ელემენტარული თხოვნების შესრულებაც კი წელში გაწყვეტდა დაბალზამების ეგვიპტური მეთოდების შემსწავლელი ლაბორატორიის წარმომადგენელს.

მეორე დღეს, დილით, არონ ჯაჯანიძეს შინ ეახლა. სახლიდან თუ გამომასწრო, მერე ვეღარ დავიჭერო. ფეხად მიუსწრო, დირექტორი ჭიშკარს კეტავდა. ბუთას დანახვა ძალიან ესიამოვნა-მეთქი რომ გითხრათ, არ ვიქნები მართალი.

– ჩქარა მითხარი, ჩემო კარგო, – მისალმებისთანავე შეაგება ჯაჯანიძემ, სტუმარი ხელკავით მანქანამდე მიიყვანა, მანქანის კარი გამოაღო, მძღოლს ჩანთა გაუწოდა და კარი ხელით დაიჭირა, რითაც ბუთას აგრძნობინა, რომ გაბმული მასლაათის დრო არც ამ დილით ჰქონდა.

– ვნახე, ვილაპარაკე, არ ჩანან ურიგო ხალხი.

– ვის უნდა დალაპარაკებოდი, შემახსენე ჩემო კარგო, ბუთა? – დაუყვავა უფროსმა.

– გუშინ რომ ტაქსით გამომასწრეს. ვისზეც მე ვარ მიმაგრებული, აპააპის დელეგაციას.

– ჰო, ეგ ვერ მოგივიდა გუშინ კარგი საქმე, მაგრამ რას ვიზამთ. მეტი მობილიზება უნდა გამოგეჩინა, ჩემო კარგო. ასეთი შეცდომები არ უნდა დაუშვა. შენ არ გეგონოს, ყველას უხაროდეს, ასე რომ დაგიახლოვეთ და ჩვენთან ხარ. არ მეგონა, თუ ამდენი მტერი გყავდა.

– ბატონო არონ, ველაპარაკე, გავაცანი პროგრამა. მოეწონათ ძალიან, ოღონდ თხოვნები აქვთ პატარ-პატარა.

– ისე, სხვას ასეთი საქციელისთვის დავსჯიდი, მაგრამ შენ არ დაგსჯი, იცოდე. სტუმართან თუ შევრცხვით, მეტი რა ვართ ჩვენ. უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაყენე ყველანი, ჩემო კარგო.

– რაზე ბრძანებთ, ბატონო არონ?

– აი, იმაზე, რასაც შენ მეუბნები. გუშინ რომ ვერ მოგსვლია, რაღაც კარგი საქმე სტუმრებთან.

– ყველანი ზალაძეს წამოუყვანია ავტობუსით.

– ზალაძე. შენ გგონია რა, ზალაძეს თავზე ხელს ვუსვავ? ზალაძესაც ვტუქსავ ზოგჯერ. აბა, ეს ერთი მიპატიებია და კარგად იყავი.

ჯაჯანიძე მანქანაში ჩაჯდა.

– ბატონო არონ. – კარს ორივე ხელით ჩააფრინდა ბუთა, – მე ამისთვის კი არ შეგაწუხეთ. სტუმრებს პრობლემები აქვთ!

– ექნებათ, მერე ვინ გითხრა, ჩემო კარგო, არ ექნებათო. მაგრამ შენ მაინც, რაც გევალება, ის უნდა გაგეკეთებინა. აბა, ჩქარა მითხარი, მე რა უნდა გავაკეთო?!

ბუთამ ტყვიამფრქვევივით მიაყარა:

– ბატონმა ჰამბომ: ნიჟარები და ვარძია მინდაო. გარდა ამისა, ბალთაძეების ჭიანური გამიხერხეთო. ვინ იშოვის დღეს ბალთაძეების ნახელავს. ჰაამბოს ძმას სამი წლის წინ ქუჩაში ომარი გაუცვნია. მისამართი და გვარი არ ვიციო. წერილი აქვს გადასაცემი. ჰმბოს ნაშრომის გამოცემა უნდა, მლაშე წყლიდან მარილის მიღებაზე მაქვს შექმნილიო.

– რა, შექმნილიო? მერე განა არა მჯერა? – დაფიქრებული გასცქეროდა გზას ჯაჯანიძე, – გეტყოდნენ, განა არ გეტყოდნენ. შენ მაინც მოვალე იყავი, არ დაგეგვიანა. ის კაცი სტუმარია, წავა და ამბავს წაიღებს. აბა კარგად, ჩემო კარგო, მიიღეთ ხოლმე შენიშვნა – ახალგაზრდებმა, ნუ გწყინთ და მაშინვე ნუ შეგვეპასუხებით. შენ იცი, მე რამდენ შენიშვნას მაძლევდნენ თავის დროზე და ახლაც? წადი, – უთხრა მძღოლს.

ბუთა მანქანას ფეხდაფეხ დაედევნა და წინგამხედვარ დირექტორს ჩასძახოდა:

– ნიჟარებიო! ნარნარფეროვანი... ბალთაძე! ჭიანური! წერილი! ერთი! სახელი იცის მარტო!.. და საერთოდ ნაშრომი, მარილზე!..

– კეთილი, კეთილი, – თავს უქნევდა ჯაჯანიძე და შუაქუჩაში დარჩენილ ბუთას მანქანიდან მოსძახოდა, – ამ ერთხელ გაპატიებთ, სხვა დროს არ დაგემართოს!

* * *

სიმპოზიუმი მშვენივრად ჩაგრიალდა. სტუმართაგან სიტყვის უთქმელი არავინ დარჩენილა. ზოგს საზეიმო შეხვედრებზე აძლევდნენ სიტყვას, ზოგს პლენარულ სხდომებზე, ზოგს მშრომელებთან ველად გასვლის დროს, ზოგი, რა დასამალია, ბანკეტებზე იკლავდა ლამაზად გამოსვლის ჟინს. მართალია, ჩამოსულთაგან ოტებაშვილი აღარავის ახსოვდა, მაგრამ სტუმართა სიტყვებს მაინც აღფრთოვანებაში მოჰყავდა მასპინძლები, რადგანაც ტრიბუნაზე ასვლისას პირველ სამ სიტყვას ჭურჭურიულ ენაზე წარმოსთქვამდნენ, რაც დამხვდურებზე გულისამასუჩებლად მოქმედებდა.

სიმპოზიუმის მონაწილეებს დიდი ავტობუსებით დაატარებდნენ ჭურჭურიის ერთი ქალაქიდან მეორეში. სტუმართა შორის ცალკეულ ქვეყნებზე განაწილებულ მეცნიერთაგან მხოლოდ ბუთა ჭყოიძეს მოჰკრავდით თვალს. იგი ხან განვითარებადი აპააპას დელეგაციასთან ფუსფუსებდა, ხან შეწუხებული, დაბნეული და ილაჯგაწყვეტილი არონ ჯაჯანიძეს დასდევდა ირგვლივ მყოფთათვის და, რასაკვირველია, თვით არონისთვისაც გაურკვეველი შეძახილებით:

– მეკითხებიან... სანამდე ვატყუო! მრცხვენია პირდაპირ! ნიჟარებიო... წერილი, ვარძია! მარილის მოპოვება!

თავგაბეზრებული არონ ჯაჯანიძე დაინახავდა თუ არა ბუთას, მარათონელივით გარბოდა მანქანისკენ და მძღოლს მთელი ხმით ჩაჰყვიროდა:

– ჩქარა, არ დაგვეწიოს. ჩქარა მეთქი, მოვიდა!

...აპააპას დელეგაციის წევრები, რომლებსაც თავიანთი სურვილები თან გაჰყვათ და იქნებ არც თავიდანვე ჰქონდათ მათი განაღდების იმედი, ვერასოდეს გაიგებდნენ, რომ გამგზავრების მეორე დღეს ნერვებდაწყვეტილი ბუთა ჭყოიძე სამსახურიდან განთავისუფლების განცხადებას წარუდგენდა დირექტორს.

შვილი

ფილმს მრავალგზის უსტვინეს.

დარბაზში სინათლე რომ აინთო, გიგლამ პირველად მამამისს შეხედა. – ბატონი ევგენი ლოჟაში იჯდა და მისთვის ჩვეული სიჯიუტით ეკრანს შესცქეროდა. როცა ფილმის გადამღებ კოლექტივს პრეზიდიუმში უხმეს, დამდგმელი რეჟისორი ისე დაიმედებული და წელგამართული მიაბიჯებდა სცენისაკენ, რომ დარბაზში მსხდომთ შერცხვათ ფილმის მსვლელობისას თავიანთი დამამცირებელი შეძახილებისა და აქეთ-იქით უხერხულად მიმოიხედეს.. ფილმი, მართლაც, ძალიან სუსტი იყო, მაგრამ ამით ყველაფერი როდი წყდებოდა. ამ ფილმის უკან იდგა ევგენი სინაურიძე. ყველასათვის საყვარელი და პატივსაცემი კაცი, ევგენის თავაზიანობა, გულისხმიერება და საერთო განათლება კინოსტუდიაში ყველას მოეხსენებოდა. კარგი კაცი იყო ბატონი ევგენი. იგი კინოსტუდიის რეჟისორთა არმიის ერთ-ერთი პირველი ჯარისკაცი გახლდათ. კინორეჟისორის პროფესიისაგან ასოთხმოცი გრადუსით განსხვავებული ხელობა ჰქონდა ჭაბუკობაში, მაგრამ მერე ეკრანისაკენ მოუხმო შთაგონებამ თუ რაღაც ჯანდაბამ (ახლა თვითონაც აღარ ახსოვს) და ახლა მისი მორიგი ფილმის პრემიერა შედგა. ბატონ ევგენის, რასაკვირველია, დიდი იმედი არც ამ ფილმისა ჰქონდა, მაგრამ გულის სიღრმეში ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მისი ნახელავი ასეთ ცინიკურ შეძახილებს და სტვენას, სტვენას მაინც არ იმსახურებდა. რეჟისორი ხანდახან მის გვერდით მჯდომ სცენარის ავტორს გადახედავდა, სცენარისტი ახალგაზრდა, საშუალო ტანის, მოძრავთვალებიანი სიმპათიური გარეგნობის კაცი იყო და ისეთი გამომეტყველებით იჯდა, კაცს ეგონებოდა, ამას, ამ უცოდველ ანგელოზს, ფილმის გაფუჭებაში არავითარი წვლილი არ მიუძღვისო. ევგენმა იცოდა, რომ სცენარის

ავტორი ასე ფიქრობდა, და ჩვენს შორის დარჩეს, დამდგმელ რეჟისორს ამ წუთში სძულდა კიდეც სცენარის ავტორი. რეჟისორის და სცენარისტის უკან, ყვავილებიანი ქოთნის გაყოლებაზე მსახიობები ისხდნენ. მთავარი როლის შემსრულებელი, ლამაზთვალება ქალი ერთხელ და სამუდამოდ ღრმად იყო დარწმუნებული თავის შესაძლებლობაში და მასზე არავითარი გამოხდომა არ იმოქმედებდა, დებიუტანტ ქალ-ვაჟს კი (ფილმის გადაღების პერიოდში ერთმანეთი მტკიცედ რომ შეჰყვარებოდათ) ერთი მეორის ხელი თითებში საიმედოდ მოემწყვდიათ და თავჩაქინდრული ისხდნენ. კინოვარსკვლავებად გახდომის ილუზიები ახლა საბოლოოდ თუ არ ქრებოდა, საფუძველი მაინც ძალიან ერყეოდა.

განხილვა დაიწყო და ორატორებმა ცეცხლი დაანთეს.

– მე არ მეშინია არაფრის, პირში თქმა მიყვარს მე, – ასე დაიწყო პირველმა მაღალ-მაღალმა, ლამაზნაკვთებიანმა, შავულვაშიანმა კრიტიკოსმა. ზოგიერთივით ჩამქრალ სინათლეში კარ მიყვარს ქირქილი და წამოძახება. არ ვარგა, ცოტაა ამ ფილმიზა, აუტანელი ფილმი არის ეს. მე ვერაფერი ვერ ვნახე შეხვედრების და გაცილების გარდა. ასე ხვარაა საქმე. ერთხელ მაიაკოვსკიმ უთხრა, იმისი არ იყოს, აიზენშტაინს – კაცის ცხოვრება, როგორიცაა ზუსტად ისე თუ გადაიღე, ოთხმოცდაათსერიანი სისულელე გამოვაო...

– რა ბრძანეთ, ბატონო? – ჰკითხა რეჟისორმა, როცა ორატორმა ორმოცდარვაწუთიანი სიტყვა დაამთავრა.

კრიტიკოსი ფეხზე წამოდგა და ისე აიწურა მხრები, რომ ხალხს აგრძნობინა, თუ ჩემს სიტყვას სისადავე და სინათლე აკლდა, არ ვიცი, მაშინ, გენაცვალეო.

– ბატონო, კონკრეტულად რა არ მოგეწონათ? – ჩააცივდა ფილმის ავტორი.

კრიტიკოსმა სხდომის თავმჯდომარეს შეხედა, მიშველე რამეო, მეტყველებდნენ მისი თვალები და თავმჯდომარემაც ჭაღარა, სანდომიანმა კაცმა ბატონ ევგენის სთხოვა, დაამთავრებენ და მერე მივცეთ შეკითხვებიო.

გიგლას რცხვენოდა. ფრიადოსანი სტუდენტი იყო. ესეც რომ არა, განსხვავებით სხვათა შვილებისაგან, გიგლა მამა-

მისის ნიჭზე გაზვიადებული წარმოდგენისა როდი გახლდათ, მაგრამ დღეს ფილმის გასინჯვაზე მან მაინც წამოიყვანა თავისი სამი ჯგუფელი და ახლა ნანობდა.

– მე ტვიტონ ძალიან მიჩირს ლაპარაკი, რადგან დიდი პატივცემული ვარ ბატონი ევგენის. – თქვა ოცდაათ წელს კარგა ხნის გადაცილებულმა, მაგრამ მაინც მის მღელვარე ცხოვრებაში კარგად შენახულმა ლამაზმანმა, – კინოს თავისი სპეციფიკა აქვს. ნუ არ შეიძლება, ნუ არ შეიძლება, ნუ არაპრით არ შეიძლება ასე კეთება. ასე პატივცემულო ევგენი პეტროვიჩ, უცინ იყო Вы например... დანარჩენი მოკამათემ რუსულად თქვა და გაცილებით უკეთ მოახერხა განსახილველი ფილმიდან ქვა ქვაზე არ დაეტოვებინა.

გიგლა თავის ამხანაგებს თვალს ვერ უსწორებდა.

– ქალბატონო, მაინც რა არ მოგეწონათ ამ ფილმში? – ისევ გააჩუმა. კრიტიკოსი ქალი კი ისეთი სახით დაჯდა, რომ მსმენელებს აგრძნობინა, ხომ ხედავთ, რა ძნელია ამ ხალხს რაიმე გააგებინოვო.

ამის შემდეგ კიდევ შვიდი ორატორი გამოვიდა, მართალია, მათ, პირველი ორი გამომსვლელისაგან განსხვავებული არაფერი უთქვამთ, მაგრამ ფილმი რომ არ მოსწონდათ, ეს კი ნათელი იყო.

– რა დაახრჩვეთ კაცი, რა მოხდა, არ გამოუვიდა ეს ერთი ფილმი, – კეთილი კაცის პოზიცია დაიჭირა სხდომის თავმჯდომარემ, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ერთ-ერთი უკანასკნელი ფილმი არც მას გამოუვიდა.

ბოლოს გადამღები ჯგუფის სახელით დამდგმელი რეჟისორი გამოვიდა. მან მადლობა გადაუხადა სიტყვაში გამოსულთ და დიდი ტაქტი იხმარა; ერთსა და იმავე დროს ყველა ორატორს დაეთანხმა და ყველას გასცა საკადრისი პასუხი.

– კი მაგრამ, არ შეიძლება ყველას ეთანხმებოდეთ, აქ ფილმის ფერადოვნების შესახებ ორი აზრი წარმოიშვა, თქვენ ვის მხარეზე ხართ? – ჰკითხა სხდომის თავმჯდომარემ.

– მე... მე ჩემი ცოლ-შვილის მხარეზე ვარ. – თქვა რეჟისორმა, კუპრივით შავ თმაზე ხელი გადაისვა და დაჯდა.

არავის გასცინებია.

* * *

ბნელოდა.

მამა-შვილი შინ ბრუნდებოდა.

გიგლას ეცოდებოდა თავისი გამრჯე და კეთილი მამა, რომელმაც ორმოცი წელი კინემატაოგრაფიის სამსახურს შეალია. ევგენს მშვენივრად ჰქონდა შეგნებული თავისი მდგომარეობა. ევგენი ცოტათი თავს დამნაშავედაც კი გრძნობდა შვილის წინაშე. მაგრამ მას სხვა გზა არა ჰქონდა.

ორივენი აშკარად უგუნებოდ იყვნენ.

– არ უნდათ, ხომ ხედავ, ხომ დარწმუნდი ახლა შენ? – წამოიწყო ისევ რეჟისორმა.

– ჰო.

ევგენმა გაიფიქრა, არაფერი მეთქვა კარგი იყო, ახლა, რაკი დავიწყე, რაღაც ბოლომდე უნდა ვთქვაო.

– ნამდვილი ხელოვნება მაგენს არ უნდათ. ცხოვრება არ უნდათ. თუ უკუღმა დააყენებ კამერას, და პერსონაჟს კლოუნივით ტრიუკებს გააკეთებინებ, ის მოწონთ.

– სწორი ხარ.

– მე გეტყვი ახლა შენ. თუ ისე ალაპარაკე, როგორც ნორმალური ხალხი ლაპარაკობს, გაცვეთილიაო, ბანალურიაო. თუ ადგები და ფილოსოფიური ჟურნალიდან ამოჭრილი ციტატები მიეცი ხელში, ეს კარგია, ინტელექტუალურიაო. შენ რავა ფიქრობ, მე ვერ ვიზამდი ამას? მაგენზე ნაკლებს ვკითხულობ მეე?

– ჰო, მართალია. მე მეგონა რაღაც ესმოდათ. იმ პირველმა რაო რა თქვა, ცხენს რატომ აქვს დაწნილი კუდიო?

– აბა.

– ჰა, ჰა, ჰა, ჰა, – ძალით გაიცინა გიგლამ.

– იმ ქალის ყრანტალმა მომკლა. ახლა ასთე არ ლაპარაკობენო. რავა ახლა სხვანაირად ეუბნებით გამარჯობას? სხვანაირად გიყვართ ქალები? სხვანაირად ჭამთ საჭმელს?

– მე მაგი უფრო ჭკვიანი ქალი მეგონა.

– ახლა შენ მითხარი. შენ ცხოვრება გესმის და კაცი ხარ უკვე. არ ვარგა, ეს ფილმი?

– როგორ არ ვარგა. ვინც გამგებია, გაიგებს. მწყემსი რომ ეკითხება მის ძმას, სად მიდიხარო და მწყემსი რო პასუხობს, რა ვიციო, – ჯერ მარტო ეს რად ღირს. გაგება უნდა, გაგება.

ევგენი ცოტა დამშვიდდა.

მამა-შვილი თავიანთ სადარბაზოს მიადგნენ.

გიგლამ ძალიან კარგად იცოდა, რომ ტყუოდა, მაგრამ ევგენს ახლა ასე სჭირდებოდა. სხვა შემთხვევაში, სხვა კაცისათვის, გიგლას, იქნებ ეთქვა; მოეშვი აწი, ხომ ხედავ, არაა შენი საქმე, გეყოფა, აწი სხვამ მოიჭრას თავი და შენ შორიდან უყურე, რა შედეგრებსაც შექმნიანო. სხვა შემთხვევაში... მაგრამ ახლა იგი ამას ვერ ეტყოდა. ამ კაცს, ლიფტში ახლა მის წინ რომ იდგა, მხრებზე ორმოცი კინემატოგრაფიული წელი აწვა.

და ესეც რომ არა, ეს კაცი მამა იყო მისი.

„დროში დამწვარი“

მოსაცდელში „საქმეზე“ ხელებდაწყობილი ხუთი კაცი იჯდა და იატაკზე თავ-თავის ამოჩემებულ წერტილებს დასცქეროდა.

შესვლისთანავე მარჯვენა ხელი მაღლა აღვმართე და საააღსარებო გულწრფელობით განვაცხადე:

– დარბაისელნო! ერთწამიანი საქმე მაქვს. რაღაც უნდა ვკითხო. წამიც არ დამჭირდება. შესვლა და გამოსვლა ერთი იქნება. მეცით პატივი, დროში ვიწვები!

მოქალაქეებმა იატაკზე კარგა ხნის წინათ ამოჩემებულ წერტილებს თვალი მოარიდეს და ერთმანეთს შეხედეს.

სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. გულის ბრაგაბრუგით ვგრძნობდი, ჩემი ბედი ბეწვზე ეკიდა.

ბოლოს, მათ შორის უხუცესმა, უნდოდ შემომხედა და ხევისბერის კატეგორიულობით დამიქნია თავი:

– იცოდე, შესვლა და გამოსვლა ერთი იყოს.

სიხარულისგან ყურებმა შუილი დამიწყო. მზად ვიყავი ხუთივეს გადავხვეოდი და გადამეკოცნა, მაგრამ ამის დრო სად მქონდა, „შესვლა და გამოსვლა ერთი უნდა ყოფილიყო“.

სანამ დარბაისელნი იატაკზე თავიანთ ამოჩემებულ წერტილებს მოძებნიდნენ, მე უკვე კაბინეტში ვიყავი.

უადგილო ადგილას რომ მოსისხლე მტერი შემოგეყრება, გარემოებისა და სიტუაციის გამო იძულებული რომ ხარ ნაღველგარეული ღიმილი სტყორცნო, ისე გამიღიმა დირექტორის წინ მჯდომმა ჩუტყვავილისაგან სახეშეჭმულმა, ცხვრისდრუნჩება კაცმა.

– ათას ბოდიშს ვიხდი, ხელს არ შეგიშლით. ამ წამში გავალ. შეკითხვა მაქვს!

– ახლავე – თქვა დირექტორმა და მოსულს მიაჩერდა – მერე?

კაცმა კიდევ ერთხელ მწყრალად შემომხედა, სკამი გააჩოჩა, იდაყვები დირექტორის მაგიდაზე დააწყო და განაგრძო.

– ჩქ.. შეშ... ქივძ.. ხალ.. მიჩ.. სიხ. ჩურჩ.

ჩამესმის კანტიკუნტად ჭაღსაშტერებულს. რაში მენაღვლება, რაზე საუბრობენ ერთწამიანი შეკითხვა მაქვს, მორჩა და გათავდა.

ცოტა ხანში ორივემ ერთად შემომხედა, შეთანხმებულივით ადგნენ და ფანჯარაასთან მივიდნენ.

– ჩუჩ.. შიშ. ქაღ.. ფშო.. დეშ.. ჩღ.. – ჩამესმის უფრო ხმადაბლა და, რასაკვირველია, უფრო გაუგებრად.

– მე ერთი წამით, ერთი სიტყვა, მე ბოდიშს ვიხდი! – განწირული კაცის ლუღლუღით ვამბობ.

– ახლავე, – თავს მიქნევს დირექტორი.

ტელეფონი რეკავს. ცხვრისბაკება კვლავ ასპიტივით მიყურებს, თითქოს, ეს დარეკვაც ჩემი ბრალი იყოს. ჯიბეში მუშტებჩაწყობილი დირექტორი, ზანტად მიდის ტელეფონებთან, მაგრამ სანამ სამივე ტელეფონს ზვერავს, ზარი წყდება.

დირექტორი ისევ მუშტებს იწყობს ჯიბეში და ფანჯარასთან მიდის.

აივნიდან შემოსასვლელი კარი იღება. ამ კარებიდან მხოლოდ თანაშემწე შემოდის, დირექტორი თავის სკამს უბრუნდება. ფანჯარასთან მდგომი შევარდნის თვალებს არ მაცილებს. თითქოსდა თანაშემწის შემოსვლაც ჩემი ბრალი იყოს.

თავგადაპარსული, მაღალქუსლება თანაშემწე, გაშლილ საქაღალდეს უდებს წინ დირექტორს, შემომხედავს და რაკი დარწმუნდება, რომ მე ჭაღის თვალიერებით ვარ გატაცებული, პირზე ხელს აიფარებს და ყურზეაფარებულ დირექტორის ხელს ეჩურჩულება:

– ჭჭ... წრწკ... ჩქჩქ... ცნუმაჭ... – ჩამესმის შორიდან დარხეულ ექოდ, მაგრამ ამ იდუმალი ბგერების გაშიფვრით თავს არ ვიწუხებ მე ჩემი საქმე მაქვს. ერთწამიან შეკითხვას ვესვრი დირექტორს და გავალ.

– ახლავე – მიბოდიშებს დირექტორი, როცა თანაშემწე საეჭვოდ საქმიანი კაცის ფუსფუსით გაიხურავს აივნის კარს.

– მე ერთი წამით, ერთი სიტყვა... ახლავე გავალ!

დირექტორი ფანჯრისკენ მიბრუნებულთან მიდის და ისევ

ივსება კაბინეტი ქარიანი ღამის ტყის გაურკვეველი „შფჩქსშ“-ებით.

ზურგზე კარი მომაწვა. დირექტორის მოადგილე შემოდის და ხმამაღლა ახველებს. დირექტორი შემოტრიალდება და ფანჯარასმიყრდნობილი, მკლავებჩახვეული, დაღლილი თვალებით შესცქერის:

– შაქრომ ხვალისო, ჭრელქათიბით.

– რომელი?

– განაპირა.

– შებინული? საკვამლე? გასაფრენად?

– მიწეპებული!

– კარგი.

მოადგილე გადის.

ორი ტელეფონი ერთად წკრიალებს.

დირექტორი ჯერ ერთს იღებს, მერე მეორეს, ერთში „ჩაულგერი სოხრემაში, ქვაზაი“ ჩასძახის, ხოლო მეორეს „თუ არ შეწუხდები, თათბირი მაქვს, ნახევარ საათში დარეკეო“ სთხოვს. ყურმილებს თავის ადგილას რომ დააწყობს, დაიხრება და მაგიდის ქვემოთ კნოპკას გაატკაპუნებს.

– ახლავე, – თანაგრძნობით აღსავსე მზერა მესროლა დირექტორმა, მაგრამ სანამ ჯიბეში მუშტებჩაწყობილი ფანჯარასთან მდგომ, ნარბენი მგლის სუნთქვიან კაცთან მივიდოდა, მე უკანსვლით გადავდგი რამდენიმე ნაბიჯი და კარი გამოვიხურე.

მოსაცდელში მსხდომთა აღშფოთებული სახეები ერთი კი მომენათნენ და წყრომის ნიშნად კედლისკენ შებრუნდნენ. მივხვდი, რომ ისინი აღარავის აღარასოდეს დაუთმობენ რიგს. „ერთი წამით, შეკითხვა მაქვს, შესვლა და გამოსვლა ერთი იქნებას“ ყბადაღებული მოტივით.

კიბეზე ვეშვები და ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს თავის ქალა შიგნიდან მეფხანებოდეს.

საშინელი გრძნობაა, ხომ კი?

ისინი

კონვერტზე ხაზს ქვემოთ ეწერა: „ცურტავი, №1 პროფილაქტიკურ-სამკურნალო კოლონია. ი. ნეიძე“.

– ი. ნეიძე. ი. ნეიძე, ი. ნეიძე, ვინ უნდა იყოს? – გაიფიქრა ჯიბომ. სანამ კონვერტს გახსნიდა, გამომგზავნის ვინაობა უნდოდა სცოდნოდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. აშკარა იყო, წერილს ქალი სწერდა. ქალებს, უმეტეს შემთხვევაში მოწაფური, გაუწაფავი ლამაზი ხელი აქვთ. სკოლაში ასოების გადაბმას რომ ასწავლიან, იმგვარ ასოებს სწერენ.

„ბატონო ჯიბო, ვიცი, ჩემი წერილი გაგიკვირდებათ და, იქნებ, ვერც გამიხსენოთ, მაგრამ გამოუვალი მდგომარეობა მაბედვინებს თქვენს შეწუხებას. ამ ორი წლის წინ, მე ვიყავი თქვენთან, ვინაიდან ძალიან მჭირდებოდა ფული და გავბედე უცნობ ადამიანთან მოვსულიყავი. თქვენ მაშინ სიკეთე გამოიჩინეთ. ახლა მე № 1 პროფილაქტიკურში ვიმყოფები. ვერ გეტყვით, რომ აქ ტყვილად მომათავსეს, ღირსი ვიყავი და იმიტომ მოვხვდი, მაგრამ ვგრძნობ, რომ ჩემი ადგილი აქ არ არის. აქ მე უარესად გავფუჭდები. ერთხელ დავუშვი ჩემს ცხოვრებაში შეცდომა და აწი აღარ გავიმეორებ. რომ დავფიქრდი, ვინ ვინ-მეთქი და მარტო თქვენ შეგიძლიათ ჩემი შველა. მე აქ ან მოვკვდები, ან ადამიანად არ ვივარგებ. ძალიან გთხოვთ მიშუამდგომლოთ, რამე გამიხერხოთ, რომ აქედან გამომიშვან. პირობას გაძლევთ, არ შეგარცხვენთ, კოლონიის უფროსი კალანდაძეა ნიჩვისიდან – თქვენი იმედი მაქვს. ნახვამდის, ია ნეიძე“. წერილი ოქტომბრის რევოლუციის სამოცდამეათე წლისთავის აღსანიშნავად გამოშვებულ კონვერტში იდო და საფოსტო ბეჭდის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, წინა სამშაბათს იყო გამოგზავნილი.

ჯიბომ გაიხსენა: მაშინაც ოქტომბერი იწურებოდა. ცოლი და ბავშვები სკოლაში ის-ის იყო წავიდნენ (ჯიბოს მეუღლე

მათემატიკას ასწავლიდა და დილით სახლიდან დედა-შვილნი ერთად გადიოდნენ). ზარმაც დარეკა. კარი რომ გააღო, პარმაღზე შავთმიანი, ფართოთვალება, ოდნავ გამხდარ, მაღალყელიანი მოხდენილი გოგონა იდგა. ასე ოცდაორი-ოცდასამი წლისა თუ იქნებოდა.

– მობრძანდით, – უთხრა ჯიბომ და სტუმარს თავის კაბინეტში შეუძღვა.

ქალიშვილი დაბნეული ჩანდა. თვალებს მორცხვად აპარებდა განზე და სიტყვის დაწყება უჭირდა. იჯდა და თითებს ითვლიდა.

– გისმენთ, – ჯიბომ ხმაში ალერსი გაურია, რომ სტუმარი შეეთამამებინა.

– მაპატიეთ, მრცხვენია თქმა, – გოგონამ თითების სახსრებს ტკაცატკუცი აუყენა.

– მითხარით, მითხარით, არა უშავს.

ჯიბო ნახევრადტექნიკური ინსტიტუტის ლექტორი გახლდათ, შარშანწინ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია მასალათა გამძლეობის განხრით. მოსკოვიდან დამტკიცება ჯერ არ მიუღია, მაგრამ მაინც უხაროდა სტუდენტები ჩათვლის წიგნაკში მისი გვარის გასწვრივ „დოცენტს“ რომ წერდნენ. ეგონა ჩვეულებრივ სტუდენტურ შემთხვევასთან მაქვს საქმე: დაუსწრებელი სწავლების სტუდენტია (დასწრებულებს იცნობდა სახეზე) და ნიშან-შეღავათს მთხოვსო.

– ფული მჭირდებოდა ცოტა.

– სესხად? – მცირე პაუზის მერე ჰკითხა ჯიბომ. გოგონას პიროვნების გასაგებად ამ კითხვაზე პასუხს მისთვის მნიშვნელობა ჰქონდა.

– თუნდაც... სესხად.

– რამდენი მაინც?

ქალიშვილი გამოცოცხლდა. შეეტყო, რომ მორცხვობის ზღვარი გადალახა.

– რამდენიც შეგიძლიათ. აუ, ძალიან მჭირდება.

ჯიბო წამოდგა. ოთახში გაიარ-გამოიარა.

– თუ საიდუმლო არ არის...

– ისა, საქმრო მყავს პატიმარი და ორჯონიკიძეში უნდა ჩავაკითხო.

მაშინ ვერ შეამჩნია ყალბი ხმა გოგონას ნათქვამში ჯიბომ, მართლა რომანტიკული ამბავი წარმოიდგინა. შეყვარებული გოგონა საქმროს სანახავად მიემგზავრება. საქმრო უბრალო შემთხვევის გამო (იქნებ იჩხუბა) ციხეში ზის.

– თქვენი სახელი?

– ია, იამზე.

– ია, თბილისელი ხართ?

– დიახ, ჩახრუხაძეზე ვცხოვრობ.

– მშობლები?

– დედა მყავს მარტო. მეც არ ვმუშაობ და, აუ, ძალიან გამიჭირდა, თორემ არ შეგაწუხებდით. ფულს არ შეგიჭამთ, ნამდვილად დაგიბრუნებთ.

– ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს?

– არა.

– სწავლობთ?

– შარშან უნივერსიტეტი დავამთავრე, ფრანგული.

ჯიბო ფანჯარასთან მივიდა და ფარდა გადასწია.

– ჩემთან ვინ მოგასწავლა?

– იცით? ერთმა ამხანაგმა მითხრა, აუ, რომ არ დაგიმალოთ, თქვენი მისამართი მომცა. მიდი, კეთილი კაციაო.

– ოჰო, ცნობილი ვყოფილვარ.

– გაჭირვებულის დახმარება უყვარსო.

– მადლობა გადაეცი შენს ამხანაგს. მართალი უთქვამს. გაჭირვებულის დახმარება ჩემი მეორე სპეციალობაა. ოღონდ ეგ არის გაჭირვებულები ცოტანი დარჩნენ. ლამის სასოწარკვეთილებაში ჩავვარდე. სადღა შეხვდები კარგ გაჭირვებულს. როგორ მიხარია, რომ მოხვედი. მეოთხე დღეა გაჭირვებული არ შემხვედრია. განსაკუთრებით ფულის გაცემა მიყვარს.

ია მიუხვდა მასპინძელს ირონიას და წამოდგა.

– მაპატიეთ, თუ არ გაქვთ საშუალება... ცუდად გამომივიდა. უცნობთან არ უნდა მოვსულიყავი.

– რა არის იცი? შენ, ეტყობა, მართლაც არ მიცნობ, ია. ჩემთან ყველაფერზე მოდიან, ფულის გარდა. ცუდად არ გამიგოთ, მე სწორედ რომ უფულობით ვარ ცნობილი.

– კარგად ბრძანდებოდეთ, – ქალიშვილმა კოპები შეჰყარა, მხარზე გადაკიდებული ჩანთა ხელით გაისწორა და კარისკენ გააბიჯა.

– ერთი წუთით, – ჯიბო მეორე ოთახში გავიდა, კარადის უჯრიდან ორი ოცდახუთმანეთიანი ამოიღო და კართან მისულს გაუწოდა.

– თქვენს საქმროს მოკითხვა გადაეცით.

იამ ფული გამოართვა, მოკეცა, ჩანთაში ჩაიდო, მადლიერებით სავსე თვალებით შეხედა მამაკაცს და თავდახრით, ძლივსგასაგონად ამოილაპარაკა.

– აუ, გმადლობთ, უსათუოდ დაგიბრუნებთ.

– მაინცდამაინც ნუ იჩქარებთ დაბრუნებას, – ჯიბომ კიბეზე პაკიპუკით ჩამავალს ჩასძახა.

ეს შემთხვევა გაიხსენა და თავის გულუბრყვილობაზე გაეცინა. თითქოსდა ეშმაკი კაცი ვარ, როგორ მოხდა, რომ ამ გოგოს ნარკომანობა ვერ შევატყვე. ახლა ხომ აშკარაა, იმ დღეს ჩემნაირ „კეთილს“ რამდენიმეს შეაცოდა თავი პატიმარი საქმროთი და ფული დაცინცლაო.

წერილი მეორეჯერ ჩაიკითხა, პიჯაკის ჯიბეში ჩაიდო და ქუჩაში გამოვიდა. თორმეტზე ლექცია ჰქონდა. სტუდენტები მარშირებაზე გაეყვანათ და ლექცია გაუცდა. მანქანაში რომ ჯდებოდა (ძველი, ფურგონული სისტემის „ჟიგული“ ჰქონდა, პიჯაკის ჯიბეში წერილი იგრძნო და მაშინ გაახსენდა, რომ ცურტავის კოლონიაში ელოდებოდნენ, ჯერ, რა თქმა უნდა, წერილის უპასუხოდ დატოვება გადაწყვიტა, მერე გაიფიქრა სალანძღავ წერილს მივწერ: რომელი შენი ბიძა-გამზრდელი ვარ, ასე რომ შემეთამამეო. არც ეს აზრი მოეწონა. თავისი უბედურება ჰყოფნის საწყალ გოგოს, საშველად მიხმობს და გული რაღაზე ვატკინოო. ბოლოს ამ აზრს დაადგა, წავალ, ვნახავ, შეშვებით, ვინ შემიშვებს, მაგრამ, იქნებ, ხმა მაინც მივაწვდინო, რომ მის წერილს გამოვეხმაურე და

მოვედიო. ცურტავის გზას რომ დაადგა, ყოყმანი შეეპარა. სად მივდივარ, ვისთან მივდივარ, რამე შარში არ გავება. ვინმემ ეჭვის თვალით არ შემხედოსო. ძალა, რომელიც ქალიშვილისკენ ეწეოდა, უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ოღონდ ეგ იყო, ვერ გაერკვია, რა გრძნობა იყო ეს, სიბრალულის? ქველმოქმედების, ინტერესის თუ სამივე ერთად? მართლაც რომ რაღაც შეუცნობი ძალები განაგებენ ზოგჯერ კაცის საქციელს, ძვირფასო მკითხველო.

კოლონიის მთავარი ექიმი კალანდაძე როხროხახმიანი, მაღალი, თეთრხალათჩაჩიანი კაცი ჩამოვლაზე იყო და თუმცა მოსაცდელში ხელისგულზე ყბაჩამოდებული ჯიბო მშვენივრად დაინახა, მდივან გოგონას მაინც ჰკითხა:

– ჩემთან არის ვინმე?

– დიახ, – გოგონამ ნიკაპით სტუმრისკენ ანიშნა.

– მობრძანდით, – კალანდაძე უცნობს კაბინეტში შეუძღვა, ჩაჩი მოიხადა, მაგიდის კუთხეზე ჩამოდო, შუბლზე ორ ნაკადად ჩამოსული თმა გაისწორა, ხელები ერთმანეთზე დააწყო და სმენად იქცა.

ჯიბოს, თითქოსდა, ყველაფერი მოფიქრებული ჰქონდა: ვიტყვი, რომ ია ნეიძე შორეული ნათესავია და სანახავად მოვედი, მთელი ნათესაობა შეწუხებული ვართ გოგოს მდგომარეობითო, მაგრამ სანამ პირს გააღებდა, კალანდაძის კატეგორიულმა კილომ ჩანაფიქრი შეაცვლევინა, ბოლოს და ბოლოს, ვეტყვი, როგორც იყო, კაცია. თუ გამიგო, ხომ კარგი, თუ არა, ავდგები და წამოვალ უკანო.

ჯერ თავისი ვინაობა და მუშაობის ადგილი ჩამოკაკლა, მერე ორი წლის წინანდელი შემთხვევა გაიხსენა, ბოლოს დღევანდელი წერილის შინაარსი უამბო და დამაჯერებლობისთვის კალანდაძეს წერილიც გაუწოდა.

მთავარმა ექიმმა წერილი არ გამოართვა.

მჯერა, ჩვეულებრივი ამბავია. ყველა ჩემი ავადმყოფი ასეთ წერილს დღეში შვიდი მისამართით მაინც აგზავნის. ნაცნობ-უცნობს საშველად უხმობენო, მერე თითქოს შეხვედრის მთავარ მიზანს მიაგნოვო, ჯიბოს ჰკითხა:

– რომელ კათედრაზე ვარო, ბრძანეთ?
– ლითონთა ცივად დამუშავების.
– გვანცელაძე თქვენთანაა?
– სავლე? სავლე ცხლად დამუშავებაზეა. ოქრო კაცი.

მთავარ ექიმს გაეცინა, საფანქრედან ლურჯი ფანქარი ამოიღო, წვერი გაუსინჯა და ისევ ჩადო.

– ქვისლია ჩემი, მაგრამ რად გინდა.
– რა ბრძანეთ?
– თვრება ოთხ ჭიქაზე.

ნაცნობობისთვის მეტი დამაჯერებლობა რომ მიეცა, ჯიბომ გვანცელაძესთან დაკავშირებული ორიოდე ეპიზოდი გაიხსენა, სადეკანო კაციაო, დასძინა და ეს სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, რომ კოლონიის თავკაცს განკარგულება გაეცა და დაახლოებით თხუთმეტი წუთის შემდეგ ჯიბო შეხვედრის ოთახში უფარდაგო მაგიდას დაყრდნობილი, იატაკზე მილურსმნულ სკამზე იჯდა. მარჯვენა მხარეს, კინოსაპროექციო ჭუჭრუტანისხელა ოთხკუთხედ ხვრელში მორიგე ზედამხედველის გადაპარსული თავი მოჩანდა.

იას არავინ შემოჰყოლია. შემოსვლისთანავე გაღიმება სცადა, ჯიბოს ხელი ჩამოართვა, დაჯდა, მკლავები ერთმანეთში ჩაიხვია და იატაკს დააჩერდა. ამ ორ წელიწადში საოცრად გამოცვლილიყო. ქუჩაში რომ შემხვედროდა, ვერ ვიცნობდიო, – გაიფიქრა დამხვდურმა. იას ორი თითის სიმაღლე თმაზე ზემოთ ლურჯი ზონარი დაემაგრებინა. ზონარი ყურების გასწვრივ კეფასთან შეეკრა და თავის ლამაზი მოხაზულობით ზანგ მოცეკვავეს წააგავდა. რომ იტყვიან, ისე გამხდარიყო, რომ თვალებადღა ქცეულიყო. თვალებს ისე იშვიათად და ზარმაცად ამოძრავებდა, გეგონებოდათ სიგამხდრისაგან წამწამ-ქუთუთოს აწევა უმძიმსო. შეხედავდა ჯიბოს და ისევ იატაკს ჩაუბრუნდებოდა. ლოყები ჩავარდნოდა, ყვრიმალები უფრო გამოკვეთოდა. ტუჩებზე ლილისფერი გადაჰკრავდა და მხოლოდ ლამაზ ნესტოებზე შერჩენოდა სინაზე, ქალურობა.

– როგორა ხართ, ია? – სიჩუმე ჯიბომ დაარღვია და თვითონვე გაუკვირდა: ისეთი კილოთი ჰკითხა, თითქოს გუშინაც

ენახა და, საერთოდ, ახლობელი ადამიანი იყო.

– რა ვიცი, შეგაწუხეთ ხომ? – იას თავი არ აუწევია, – არ მეგონა, თუ მოხვიდოდი.

ჯიბოს სრულიადაც არ ეხამუშა ქალის „შენობაზე“ გადასვლა.

– წერილი სხვასაც მიწერე?

გოგონამ დიდრონი, წყლიანი თვალებით ამოხედა.

– მე აღარავინ მყავს, ვისთვის უნდა მიმეწერა. დედაჩემი შარშან გაზაფხულზე გარდაიცვალა.

– რა მოუვიდა?

– კიბო.

– რამდენი ხანია აქა ხარ?

– მარტში მომიყვანეს. მეოთხე თვეა, ხომ? სამი თვე გათავდა. შარშან ზუსტად ორმოცი დღე ვიყავი.

ჯიბომ არც იცოდა, რა ეთქვა. ახლა უფრო იგრძნო, რა ყალბად ჟღერდა გაზეთურ ნარკვევებს და ტელერეპორტაჟებში ნარკომანებისთვის სილასავით გაწნული ფრაზები: „ხომ ხედავ, სანამდე მიხვედი“, „რატომ არ იფიქრე, როცა ამ გზას ადგებოდი“, „ახლა რაღას აპირებ?“ „ადამიანი გქვია ახლა შენ?“ სულ არ ჭირდება ახლა ამ ქალს ნიშნის მოგება და ჭკუის დარიგება. ჩემ წინ ღრმა ნარკომანი ზის, მორჩა და გათავდა. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მე რატომ ვარ ახლა აქ, ჩემი დარდი მყოფნის და რა მრჯის ამ წყალწაღებული გოგოს ჭირისუფლობასო, გაიფიქრა.

– აქედან გასვლა გინდა, ია?

– ძალიან, – ისე ალალად, შიშით შეხედა გოგომ, თითქოს ორი წლის წინანდელი ირონიის ნაკვალევს ეძებდა ჯიბოს მზერაში.

– წერილში მწერ „შეცდომა დავუშვი და აღარ გავიმეორებო“.

– იმიტომ, რომ აქედან გაგზავნილ წერილს კითხულობენ. საჭიროა ასეთი სიტყვები. თუ ის დაწერე, რასაც ფიქრობ, წერილს არ გაგზავნიან.

– რას ფიქრობ, მაინც?

– რა ვიცი.
– მორჩენა არ გინდა?
– რისგან? აუ, შენც ასე ფიქრობ? მე ავადმყოფი არა ვარ.
– აბა, რა ხარ?
– რა ვიცი. უბრალოდ, რაც მსიამოვნებს, იმას ვაკეთებ.
– შეგიძლია არ მიიღო?
– რა?
– წამალს რომ ეძახით.
იამ გაიცინა.
– შენ შეგიძლია წყალი არ დალიო სამ დღეს, ხუთ დღეს?
– რა შუაშია.
– როგორ არ არის შუაში. გამაგებინეთ, ვის რას ვუშავებთ, ჩვენ.
– ვინ თქვენ?
– აი, ნარკომანებს რომ გვეძახით და ციხეში გვსვამთ.
– თუ ქალი ხარ, შენ გამომძიებელივით ნუ მელაპარაკები, თორემ ავდგები და წავალ. ძნელი გასაგები არ უნდა იყოს შენთვის, რომ მინდა დაგეხმარო.
– მაპატიე, ჰოდა თუ დახმარება გინდა, დამეხმარე აქედან გამოსვლაში. მეტი არაფერი მინდა. არც არასოდეს შეგაწუხებ.
– როდის გაიკეთე პირველად?
– რა?
– მორფი.
– არასოდეს გამიკეთებია და არც გავიკეთებ. ნემსებს ვერ ვიტან. აქ, ერთ ადგილზე რაღაც ნემსებს მიკეთებენ და უნდა ნახო, როგორ ვხტუნავ.
– აბა?
– მე ვეწევი. ადრე ვყლაპავდი, ახლა აღარ.
– რას?
– რა ვიცი, აბებს. რასაც ვშოულობდი. ახლა კოდეინიანი წამალი ჭირს, მაგრამ ტკივილგამაყუჩებელი რაც უნდა დამელია, ექვსი-შვიდი ტაბლეტი, ყველაფერი მშველოდა.
– რისგან გშველოდა?
– ტკივილისგან, დარდისგან.

– რა ტკივილი გქონდა?

– გითხრა ყველაფერი? თვეში ერთხელ საშინლად ამტკივდებოდა მუცელი. რისგან თქვენ მიხვედრა არ გაგიჭირდებათ. ჰოდა, მე მგონი, უფრო მაშინ მივეჩვიე. როგორ არ მინდოდა, ჩვენც ამაზე გველაპარაკა.

– მერე?

– მერე აბები მომწყინდა. თირკმლებზე მოქმედებსო, მითხრეს და, მოწევა დავიწყე. ადრე ძვირი ღირდა, ახლა ისე ძვირი აღარ ღირს, თანდათან უფრო გაიაფდება.

– რატომ უნდა გაიაფდეს?

– ჩვენ, მწეველები ბევრი ვართ. მალე ფართო მოხმარების საგნად გადაიქცევა, შეიძლება მაღაზიაშიც გაიყიდოს, როგორც თამბაქო.

– შენ რას ეწევი ძირითადად, ოპიუმს, ჰაშიშს, მარიხუანას?

იას ისევ გაეცინა და ქარვისფერი, მაგრამ ლამაზად ჩაწიკწიკებული კბილები გამოუჩნდა.

– სახელები გისწავლია. მე, რასაც ვშოულობ, იმას ვეწევი, მაგრამ თქვენ რომ ტანში გაჟრჟოლებთ, ისე საშინლად არაა საქმე. რა შუაშია ეგ მყვირალა სახელები. ჩვენ რომ კაიფს ვიჭერთ, ის წამალი თითქმის ყველა ბალახს დაჰყვება.

– მაინც?

– სოიოს, მუხუდოს რომ ვეძახით, ფესვებზე პარკები აქვს. დაფშვნი, გააშრობ და მოსწევ. კანაფში, ყაყაჩოს ყვავილშიც არის. გაგანათლო კიდევ?

– არ არის საჭირო.

– რა მაინტერესებს, იცი? თამბაქოც ხომ ნარკოტიკია თქვენი გაგებით?

– თითქმის.

– ნეტავ თამბაქოს წევა რომ დაიწყეს ადამიანებმა, თუ კრძალავდა მაშინ კანონი და თუ დასდევდნენ დასაჭერად, როგორც ჩვენ.

– შენ როგორ ფიქრობ, ნარკომანობა მოდაა?

– შეიძლება მოდაც არის.

– არ დაიჯერო. ოთხი ათასი წლის წინ ეწეოდნენ ეგვიპტე-

ში და აზიის უძველეს სამარხებში მიცვალებულს საფლავში ატანდნენ ოპიუმიან ქილებს.

– რა ვიცი, მე მოდისთვის არ დამიწყია.

– აბა, რატომ დაიწყე?

– ხომ გითხარით. საკვერცხეები მტკიოდა.

– ახლა, კმაყოფილი ხარ შენი მდგომარეობით?

– ნარკომანს რომ არ მეძახდნენ და აქ არ მომათრევდნენ სამკურნალოდ, მართლა კმაყოფილი ვიქნებოდი. მე არავის ვერჩი, თუ ცუდს ვაკეთებ, ჩემი თავისთვის ვაკეთებ.

– ხვალ?

– ხვალე მე კარგა ხანია გადამიკეტეს. მეოთხე წელია დავამთავრე და სამსახური ვერ მიშოვია. შვიდმეტრიან ოთახში გავიზარდე. დედაჩემის კუბო თოკით ჩავუშვით მესამე სართულიდან. კიბე ისეთი ვიწრო გვაქვს, თაგვი კუდს ვერ მოიქნევს. რომელ ხვალეზე მელაპარაკებით. ვინ იზრუნა ჩვენზე.

– ამიტომ თქვენც აიღეთ ხელი თქვენს თავზე?

– ან ავიღეთ, ან არა. აუ, როგორ მომბეზრდა ასეთი ლაპარაკი. ახლა ჩემი მდგომარეობა მიხარია კიდეც, თქვენი, საზოგადოების ყურადღება, როგორც იქნა მივიპყარი.

– როდის მერე იგრძენი, რომ ჩვენ და თქვენ სხვადასხვა ნაპირზე ვართ.

– პირველი კურსიდანვე. მოსაწევის შოვნამ ჩვენ უფრო შეგვაკავშირა ერთმანეთს. ცხოვრება საინტერესო გახდა. თითქოს აზარტულ თამაშს გეთამაშებით, გემალებით, კონსპირაციულად გადავცემთ ერთმანეთს წამალს. თითქოს რაღაც საიდუმლო ორგანიზაციაში ვართ გაერთიანებული. მერე, სიმართლე რომ გითხრათ, ყველა ნარკომანს (როგორც თქვენ დაგვარქვით) ერთმანეთი გვიყვარს, ერთმანეთს ვენდობით და ვაფასებთ. რას უნდა დავერაზმეთ ასე კარგად.

– ოჰო. რას და კარგად ყოფნას.

– კარგად ყოფნას რას ეძახით?

– ჯანმრთელად ყოფნას.

– ჩვენ ჯანმრთელობას არ ვუჩივით.

– რა ვიცი. ხუთი წლის განმავლობაში თანმიმდევრულ ნარკომანს თირკმლები, გული, ღვიძლი უავადდებაო. ნერვული სისტემა მოეშლებაო, სექსუალურ პოტენციაზე მოქმედებს, ხოლო მემკვიდრე თუ გაუჩნდა, უსათუოდ პათოლოგიური ბავშვი ებადებაო.

– ეგ, მე მგონი, სიცრუეა. ისე, რა ვიცი, გადაჭარბებული არაფერი ვარგა. ყოველდღე ჩაქაფული რომ ჭამო, ექვს თვეში ქოლესტერინი მოგკლავს.

– პირველად რომ მოსწიე, რა იგრძენი?

– პირველად? აღარც მახსოვს, ჰო... როგორ არა, აბები ისე არ მაკაიფებდა, მადუნებდა, უბრალოდ. თითქოს ბურანში ხარ, ძილი გინდა, არაფერი გტკივა, პრობლემები არ გაწუხებს, თავში მშვიდი, ლამაზი ფიქრები მოგდის. ეს არის სულ, პირველად რომ მომაწევინეს, ჩვენ პლანს ვეძახდით, იცი, რა დამემართა? უეცრად ენერგიის მოზღვავება ვიგრძენი. მომშივდა, მომშივდა წარმოუდგენლად. სხვებს სხვადასხვანაირად უსწორდებათ. მე შიმშილით დავიჭირე. ვჭამ, ვჭამ, ლამის მუცელი გამისკდეს. არ დავტოვე მაცივარში, თუ რამე ჰქონდა ჩემს მეგობარს. მერე ვიმღერე და დამეძინა. რომ გამეღვიძა, თავი მტკიოდა ცოტა. აი, თქვენ რომ პახმელიას ეძახით, ის გრძნობა მქონდა. მეორე და მესამე მოწევაზე ისე აღარ მშივდებოდა, მაგრამ ისეთ ძალას ვგრძნობდი, მეგონა დევს დავეჭიდები-მეთქი. გამოგიცდია ისეთი წუთები, როცა ირგვლივ ყველაფერი, ლიტერატურულად რომ ვთქვათ, თვალწარმტაცია? ქვეყანა სამოთხესავითაა. გინდა ყველას მოეხვიო, მოეფერო. არაფერი გაწუხებს. ყველა გიყვარს. გგონია მეხუთე სართულიდან რომ გადახტე, არაფერი მოგივა და საერთოდ. შენი ტანი ჩიტივით მსუბუქი გეჩვენება. გავიწყდება ჩხუბი, ინტრიგა, უფულობა, უსამსახურობა. გგონია ეს ქვეყანა, ეს ხალხი იმისთვის გაჩნდა, რომ შენ გასიამოვნონ, სხვა არაფერი ესაქმებათ.

– ახლა?

– ახლა, რა თქმა უნდა, ისე აღარ მოქმედებს. ახლა, მაშინ რომ ხუთი ექვსი ნაფაზით ვვარდებოდი ნირვანაში, ახლა ისე

ვერაა. ხანდახან სამი შეხვევა ძლივს მყოფნის. ისე მძაფრადაც ვერ ვიჭერ. უბრალოდ კარგად ვარ, ხალისიანად ვარ, მეტი არაფერი.

– ოჯახზე, შთამომავლობაზე თუ ფიქრობ.

– სანამ მოწევას დავიწყებდი, არც მანამდე დაუხევიათ მთხოვნელებს კალთები. საერთოდ ფრიგიდული ქალი ვარ. სექსს ვერაფერი ვერ გავუგე. არც მქონია შემთხვევები, კაცმა რომ თქვას. ჩემი პირველი და მგონი ერთადერთი მამაკაცი ჩემი მეგობრის საქმრო იყო. სამჯერ თუ ოთხჯერ შევხვდი. მერე მეგობრისა შემრცხვა და დავშორდი. სინდისმა შემაწუხა. ჩემნაირი გოგო ოჯახს ვერ შექმნის. რატომღაც ასე მგონია. ლოგინში ძალიან მორცხვი ვარ. სექსის საკითხში ძლიერი პიროვნება უნდა იყო და უხერხულობის გრძნობა არ გიწვავდეს ბეჭებს. სექსში ჯუნგლის კანონი მოქმედებს. მე სხვა ცხოვრებისთვის ვარ გაჩენილი. საერთოდ, ახლანდელი ბიჭების ამბავი ხომ იცი: ოჯახის შექმნის თოფივით ეშინიათ. ჩვენს ჯგუფში ყველას ჰყავდა „საქმრო“, გათხოვებით კი დღემდე მხოლოდ ორი გათხოვდა.

– შვილის გაჩენისთვის აუცილებელი როდია გათხოვდე.

– ვიცი, მესმის. მე მარტოხელა დედის ტვირთის ტარება არ შემიძლია. ჩემს თავს ძლივს ვინახავ.

– ოდესმე რომ სხვანაირად დაიწყო ფიქრი? ავადმყოფი ბავშვი რომ დაგებადოს?

– თუ ვინმეს შევუყვარდი. ხომ ხედავ, აღარ ვამბობ, თუ ვინმე შემიყვარდა-მეთქი. იმდენ ძალასაც ვიპოვი ჩემს თავში, მოწევას შევეშვა და საღი ბავშვი გავაჩინო. თუმცა, შეიძლება, აწი ამაზე ფიქრიც არ ღირდეს, გუშინწინ ლექცია წაგვიკითხეს „შიდსი“, დამოკლეს მახვილივით დაკიდეს ჩვენს თავზე ახალი ავადმყოფობა.

– შიდსი? ჰო, რაო?

– მთელ მსოფლიოს შავი ჭირივით ედებაო. ჩვენშიც შემოაღწიაო, ამ საუკუნის ბოლომდე მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარი შიდსით დაიღუპებაო.

– მოგვმართვია ხელი.

– შეგეშინდა? რა თქმა უნდა. თქვენ, მამაკაცები, კურდ-ღლებივით მშიშრები ხართ. აფიორაა. ხალხის დასაშინებლად და ცოლ-ქმრული ერთგულების შესანარჩუნებლად მოგონილი საექიმო-ჟურნალისტური ხრიკია. ბუნებაში არავითარი შიდსი არ არსებობს.

– ოჰო!?

– მართლა, მართლა. დიდი დაკვირვება არ უნდა, რომ შიდსის თეორეტიკოსები ტყუილში დაიჭირო. აუ, მე თითქმის ყველა სტატია წავიკითხე შიდსზე, რაც ჩვენში დაიბეჭდა, და ასეთ დასკვნამდე მივედი. გაინტერესებს?

– ძალიან.

– პირველი: შიდსს თავისი ფორმულა და მაჩვენებლები არა აქვს. ზოგი სულელი მეცნიერი ამ ბოლო დროს ცდილობს დაამტკიცოს, რომ შიდსი კიბოს და კუჭის წყლულსაც კი იწვევს. რაც შეეხება ჯირკვლების გადიდებას, სიცხიანობას თუ ოფლიანობას, იგი ყველა ინტოქსიკაციური დაავადების თანამგზავრებია.

მეორე: შიდსის ვირუსის საინკუბაციო პერიოდი 5 და 10 წლამდე გრძელდებაო. ესეც სიცრუეა, გრძელ ვადაზე გაანგარიშებული. ათ წელიწადში ან ვირი ან ვირის პატრონიო, პაპაჩემი იტყოდა, როგორ შეიძლება, ათ წელიწადში ორგანიზმში გქონდეს ავადმყოფობა. ათწლიანი ავადმყოფობა ავადმყოფობად არ ჩაითვლება. ათ წელიწადში ისედაც კვდება კაცი. თუ ასეა, ჩვენ დაბადებიდანვე დაგვყვება ჩვენი სიკვდილი – ჩვენი შიდსი. როგორ შეიძლება ასე შიშის ქვეშ იყოლიო კაცობრიობა. შიდსის სპეციალისტები, მე მგონი, თვითონ ან იმპოტენტები არიან, ან ასაკს ღრმადგადაცილებულები. მე არა ვარ სექსუალურად გატაცებული, მაგრამ სამი მეოთხედი მსოფლიო ხომ არის? შეიძლება აუკრძალო ადამიანს ის, რაც მისი ადამიანობის ერთი ძირითადი ნიშანია? რაღა დარჩა ამ ისედაც რადიაციულ საუკუნეში? ვინ დაამტკიცებს, რომ შიდსის შიშით ამ ათ წელიწადში თავშეკავებას სექსუალურ სიამოვნებისაგან, სამოცდაათი წლის მერე რომ „ტკბილი“ სიბერის“ წლები შეგემატება ის აგინაზღაურებს?

მესამე: შიდსი იმუნოსინდრომია ხომ? როგორც ამტკიცებენ. ესე იგი იმუნიტეტის დაკარგვა. იმუნოსისტემის ნოლზე დასვლა. თუ ასეა ყველა ადამიანი ბოლოს შიდსით კვდება. ყველა სასიკვდილო ავადმყოფობა შიდსია. ბოლოს, სიკვდილის ბოლო კვირაში, ყოველგვარი მომაკვდინებელი სენი კიბო, განგრენა, ინფარქტი, ჭლექი იმუნიტეტის გაქრობას იწვევს. ორგანიზმი ვეღარ ებრძვის სენს და ადამიანი იღუპება.

– შიდსზე გულდასმით გიმუშავია.

– არ მიმუშავია, უბრალოდ, ვიფიქრე. სასაცილოდ არ მეყო, როცა მითხრეს, ძირითადად ნარკომანებს ემართებათო. როგორ შეიძლება ავადმყოფობა არჩევდეს ნარკომანებს და იდეურად მდგრად ადამიანებს ერთმანეთისაგან.

– აქ საქმე ლენინიზმის საკითხების ცოდნაში კი არ არის, უბრალოდ, ნარკომანებს ორგანიზმი დასუსტებული აქვთ და ავადმყოფობა უფრო ადვილად იკიდებს ფეხს.

– თუ ასეა, ჩვენი ორგანიზმი სხვა დაავადებების მასპინძლადაც მშვენივრად გამოდგება. რატომ არ გვემართება, ვთქვათ, კიბო ან ინფარქტი? თქვენ იცით, რომ ნარკომანები და ალკოჰოლიკები ინფარქტით ყველაზე ნაკლებ ავადდებიან?

– არ ვიცი?

– ესეც ექიმებისგან გამიგონია.

– როგორ გგონია, და, რაში დაჭირდა მედიცინას შიდსის ისტერია? როგორც შენ ფიქრობ?

– ძნელი მისახვედრი არ არის, ამერიკელი ექიმების ერთმა ჯგუფმა მორიგი სენსაცია წამოიწყო. ჯერ გაუშვებდნენ ინფორმაციის წყაროებში ქსივს, მერე თითქოსდა, ვაქცინას აღმოაჩენდნენ და მილიონებს ჩაიჯიბავდნენ. მერე ისე ბევრი წამოეგო მსოფლიოში ამ სენსაციას, რომ თვით ამერიკელ მეცნიერებსვე შეეშინდათ და იზრდება ახლა მსოფლიოში შიდსით გარდაცვლილთა უმიზეზო სია, გიმეორებთ, სიკვდილის წინ ყველას შეგიძლიათ დაუსვათ დიაგნოზი – შიდსი.

– რატომ მიგაჩნია ასე გულუბრყვილოდ მსოფლიოს სამედიცინო აზრი. მართლაც ასე რომ იყოს, მსოფლიო სახელის მქონე აკადემიკოსები მხარს აუბამდნენ? მილიონები

იხარჯება შიდსის განკურნების გზების ძიებაზე.

– საერთოდ, აღმოჩენის სათავეში ყოველთვის ერთი ან ორი კაცი დგას. ასეა შიდსის შემთხვევაშიც. დანარჩენები უბრალოდ ფულს ხარჯავენ. რა არის ამაში ცუდი? ფულის შოვნის ახალი წყარო გამოჩნდა. ეს ერთ მხარესაც აწყობს და მეორესაც. ექიმს – ფული რომ იშოვოს, მთავრობას – ქველმოქმედის სახელი რომ დაიგდოს.

– ნეტა მართალი აღმოჩნდებოდე, ია. ვინ დაიჯერებს შენს თეორიას, როცა შიდსს თავისი ბაცილა აქვს და თავისი ფორმულა. შენ რომ ამბობ, მაჩვენებლები არა აქვსო. მეტი ჩვენება რა გინდა. სისხლში შიდსის ბაცილა ძნელი აღმოსაჩენი როდია.

– სწორედ ეგ არის ჭორმეცნიერული. აუ, როგორ გაგაგებინო. ადამიანის ორგანიზმში მილიონზე მეტი ბაცილაა მაშინაც კი, როცა კაცი იდეალურად ჯანმრთელია. მაგრამ როცა ორგანიზმი დასუსტდება, რომელიმე ბაცილა იმარჯვებს, ანუ ექიმების ენაზე რომ ვთქვათ, ორგანიზმში სუსტ ადგილს იპოვის და აყვავდება. ესეც შენი სიკვდილი. ვინ დაადგენს იმ მილიონი ბაცილიდან რომელმა მოკლა? შიდსი რატომ თავისი ხაზით არ კლავს და სხვა ავადმყოფობას იშველიებს? ესე იგი თვით შიდსი მომაკვდინებელი არ არის. უკიდურეს შემთხვევაში, იგი ადამიანის საერთო სისუსტის, იმუნოუნარის დაქვეითების ავადმყოფობაა. ხოლო იმუნოსინდრომს თითქმის ყველა ავადმყოფობა იწვევს. რა შუაშია შიდსი.

– რატომ მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში იმძლავრა მაინცდამაინც იმუნოსინდრომმა? რამ დაასუსტა ორგანიზმი?

– ეგ სხვა საკითხია. ეძიე მიზეზი ადამიანისვე მოწყობილ ხიროსიმასა და ჩერნობილში. გაჭუჭყიანებულ ატმოსფეროში, თანამგზავრების მიერ დახეულ ცაში, შავ ხვრელში, შხამქიმიკატებიან საჭმელში, სტრესებიან დროში, მოწამლულ მდინარეებში. დააბრალე ყველაფერს ერთად, ან რომელსაც გინდა ცალ-ცალკე.

– ესე იგი შიდსი ურბანიზმის, ტექნოცივილიზაციის დაავადებაა?

– მე მგონი.

– ზოგი მეცნიერი რომ ასკვნის, აფრიკის ველურ ტომებში გვხვდებოდაო?

– შეიძლება. ახლა უკეთესი პირობები დაუდგა და გამოვიდა კულისებიდან. ოღონდ იმ სახით არა, როგორც ჯუნგლებში თვლემდა საუკუნეების განმავლობაში.

– აი, ხომ ხედავ, მაინც აღიარე, რომ შიდსი არსებობს.

იამ ნაღვლიანად გაიღიმა თავისი ფართო, მეტყველი თვალებით.

– იმიტომ, რომ შენ გსურდა ასე. მე მაინც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ შიდსი ან ავანტიურისტთა მონაჭორია და ანგარებიანი სენსაციაა, ან ჯერ მხოლოდ ბაცილაა აღმოჩენილი და წარმოდგენა არა აქვთ იგი ვენერიული სენია თუ უბრალოდ ინტოქსიკაციური ბაცილა, ან ვირუსული დაავადება. ყოველ შემთხვევაში, მე ჩემს შვილს (რომელიც, ალბათ, არ მეყოლება) შიდსის შიშით არ გავზრდიდი. ასეთ შემთხვევაში მისთვის ცხოვრება აუტანელი იქნებოდა.

ჯიბოს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ თავგადაპარსულმა მორიგემ რაფაზე დააკაკუნა და სლოკინით გამოაცხადა: „შეხვედრის დრო ამოიწურა, ნეიძე პალატაში!“

ორივენი ერთდროულად წამოდგნენ. იამ შუბლს ზემოთ ლურჯი ზონარი შეიხსნა, ისევ შეიკრა ახლა უკვე მოშვილდულ წარბებთან ახლოს და ჯიბოს ხელი გაუწოდა.

– კარგად, აბა... სხვა რაღაცაზე მინდოდა მელაპარაკა შენთან და გამექცა სიტყვა. აუ, ძალიან შეგაწუხე ხომ ჩემი რატრატით? აწი, ალბათ აღარ მოხვალ.

– მოვალ.

– მართლა რა... დაელაპარაკე კალანდაძეს. გამიშვას, ნუ მაწვალებს. მე მკურნალობას არ ვექვემდებარები. ვერც გადავეჩვევი და აღარც მინდა გადავეჩვიო.

– ამაზე ჩვენ კიდევ ვილაპარაკებთ. ნახვამდის.

ჯიბომ თავზე ხელი გადაუსვა, გულზე მიიკრა და შუბლზე აკოცა.

ია კარისკენ წავიდა. შემოტრიალდა, ხელი ლამაზად გაიქნია და გავიდა.

ჯიბო დანამდვილებით ვერ გეტყოდათ, მართლა უკიაფებდა ქალს თვალში ერთადერთი ცრემლი თუ მოეჩვენა.

გამოსვლისას მთავარ ექიმთან შეიარა. კალანდაძეს ლეღვით სავსე თასი ედო წინ და სამოთხის ხილს გაუფცქვნელად ჭამდა, ჯიბო რომ შევიდა, თასი მისკენ გასწია.

– მიირთვი. შემეშველე თუ ძმა ხარ, თორემ მეორე თასს ვათავებ, გავსკდი კაცი.

გმადლობთ, – ჯიბომ ხათრისთვის ერთი ლეღვი აიღო და დახეთქილ-დაცრეცილ კანზე დახედა, – გიყვართ ლეღვი?

– ძალიან. ნახეთ, ელაპარაკეთ თქვენს ნეიძეს?

– დიახ.

– ხომ გითხარით, მაგისგან არაფერი გამოვა. სხვები თავს მაინც გვაცოდებენ; მოვრჩებით, გამოვსწორდებითო ყასიდად მაინც გვპირდებიან. ეგ გოგო გადაჭრით გვეუბნება, თავს არ დავანებებო. შენც ხომ ასე გითხრა?

– ჰო. არ მოვიშლიო. რა არის იცით, მთელ მაგის საუბარში ყველაზე მეტად ეგ მომეწონა. თავზე არაფერს იბრალებს, არ გვატყუებს, ეგეც ხომ საქმეა.

– ეგ, ბატონო ჩემო, თქვენი სახელი დამავიწყდა.

– ჯიბო.

– ბატონო ჯიბო, ეგ ნათქვამი ჩვენი იგნორირების, ჩვენი დასჯის ფორმა უფროა, ვიდრე მისი ხასიათის თვისებიდან გამომდინარე. შენ რომ ამბობ, არ იტყუებაო, არ დაიჯერო. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ცრუობს.

– რა ვიცი, მე ვერ შევატყე.

– საკმაოდ დიდი არამზადაა იმისთვის, რომ ნიანგის ცრემლებით თავი შეგაბრალოს და ჩემთვის ორდღიანი გასვლის უფლება გათხოვნინოს. გასული არ იქნება აქედან, რომ ყოველგვარ პირობას ფეხებზე დაიკიდებს და თავის ძველ ბუდეს მიაკითხავს, სადაც ხელ-პირსაც არ დაიბანს გაბრუებამდე დრო რომ არ დაკარგოს.

– რასაკვირველია, მართალი არ არის, რასაც ამბობს, მაგრამ ისე დაჯერებულად ამბობს და ცოტა არ იყოს, ლოგიკურადაც.

– საქმე მაგაშია. რამდენიმე გვყავს ისეთი, როგორც ნეიძეა. არც განათლება აკლიათ, არც მსჯელობის უნარი. მაგ ნეიძემ გუშინწინ დოცენტი ჩაფიძე კედელთან მიაყენა. ლექციას კითხულობდა „შიდსზე“ „ცოდნიდან“. რა უქნა, იცი? ჯერ შეკითხვები დააყარა და ისე კოხტად გამოიჭირა მისსავე პასუხებში, რომ საწყალ კაცს კინაღამ ხელები ააწევინა. ისე, ჩვენს შორის დარჩეს და ბევრი სიბნელეა მაგ შიდსის საკითხშიც.

– ჰო, ჯერ ბოლომდე შესწავლილ-გამოკვლეული არა აქვთ, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ არსებობს ასეთი საშინელება.

– ფაქტი და მერე როგორი. როცა შიდსს ირწმუნებ, შეიძლება შენს გონებაში ყველაფერი თავდაყირა დადგეს. ადამიანის და ამ შემთხვევაში ქალის მიმართ ის სიფაქიზე და ნდობა დაკარგო, რაც ახლა გაქვს ნორმალურ მამაკაცს. სიყვარულიც გადასხვაფერდება. მერე იქნება სიყვარულზე დაწერილი ლექსები აღარც წაიკითხო.

– ამიტომ ებრძვის შინაგანად ჩვენი გონება შიდსს. ამიტომ არ უნდა დაიჯეროს იმ გოგონამ, რომ სწორედ მისი თაობა იქნება შიდსიანი თაობა. ამიტომ ადგა და ხელაღებით უარყოფს.

კალანდაძემ გაიცინა, მერე სერიოზული სახით დაწვდა ლეღვს. ზედ ყუნწთან შეაკვნიტა ნაყოფი, ყუნწი თეფშს დაუბრუნა და ღმურძვლით თქვა:

– შენ და ნეიძე დაიჯერებთ თუ არა, შიდსს სულ არ ენაღვლება. მიყვა და ათასეულებს ანადგურებს აფრიკაში და ამერიკაში.

– ჩვენთანაც ასე ლაღად ივლის?

– რა შეუშლის ხელს? ჩვენი ფარღალალა ამბულატორიები, თუ სამაგალითოდ დაყენებული პირადი ჰიგიენა? შიდსს ლოზუნგებით ვერ დაამარცხებ.

– არ ყოფილა საშველი.

– უსაშველო შენს მტერს. ასეთი პანიკა იყო ევროპაშიც პირველად სიფილისის ჩხირები რომ აღმოაჩინეს, ახლა სიფილისი მედიცინისთვის პრობლემა ხომ აღარ არის? ასე

მოუვა შიდსსაც. სხვათა შორის, ბუნება ახალ საგანს და მის გამანადგურებელ ძალასაც ერთად შობს.

ცოტა ხანს სდუმდნენ. ჯიბომ „კოსმოსის“ კოლოფი დააძრო.

– ალბათ, აქ არ შეიძლება.

– მოსწიე, რამდენიც გაგეხარდეს, – მასპინძელმა ნება დართო, – მე თვითონ არ ვეწევი.

ჯიბომ მოუკიდა. ერთი ნაფაზი დაარტყა და სიგარეტი საფერფლეს ჩამოადო.

– არაფერი ეშველება, აბა, იმ გოგოს?

– ნეიძეს? თითქმის არაფერი. ამ თითქმისსაც იმიტომ გეუბნები, რომ ექიმი ვარ. შარშანაც გვყავდა. გავიდა თუ არა იმ დღესვე მოსწია. ახლაც არაფერი ფსიქოლოგიური ძვრა არ ეტყობა. რაც მთავარია, თვითონ არ უნდა.

– ესე იგი ძლიერი ნებისყოფა აქვს.

– გააჩნია რა კუთხიდან შეხედავ. მე მაგას სწორედ რომ უნებისყოფობას ვეძახი.

– როგორ, ასე უერთგულო ნარკოტიკს, მთელმა ქვეყანამ ვერ გადაგაჩვიოს. მაინც ხომ არის რაღაც...

– ნეიძის მდგომარეობაში, ხომ გითხარით, ხასიათის სიმტკიცეზე ლაპარაკი ზედმეტია. რომელ ნებისყოფაზე შეიძლება ლაპარაკი. იგი საერთოდ უნებისყოფოა: ავადმყოფობამ დიდი ხანია ჩაკლა მისი ნებისყოფა.

– არ შეიძლება მისი სიჯიუტის ძალა სხვა რამეში გამოიყენოს კაცმა? წყალი არ უნდა გადავუწუროთ ადამიანს.

– ნეიძემ თვითონ გადაუწურა წყალი თავის ცხოვრებას.

– როგორ დამთავრდება ეს ყველაფერი?

– ჩვეულებრივად, როგორც სხვების მთავრდება.

– თუ ნებას დამრთავთ, ხანდახან მოვალ მის სანახავად.

– მობრძანდით, თვეში ერთხელ შემიძლია შეგახვედროთ. ოღონდ, რამეების მოტანისგან, თუ ძმა ხარ, თავი შეიკავე, ეგ მისთვის დიდი ფუფუნება იქნება.

– მაინც რა არ მოვუტანო?

– ფული და კიდევ, ხვდებით მე მგონი რასაც ვგულისხმობ.

– ღმერთმა დამიფაროს.

– ეგ გოგო ისეთი არამზადაა, შეიძლება თავიც კი შეგაყვაროს და ნარკოტიკის მოტანა შეგაწეროს. გვქონდა ასეთი შემთხვევებიც.

– ნეიძესთან?

– არა, სხვებთან. მოდიან აქ „მამიდაშვილები“ და „საქმროები“ პურში ჩაკვეხებული ამპულებით.

– ცოდვას ვერ დავიდებ, ჩემთვის მინიშნებითაც კი არ უთქვამს იას.

– ჯერჯერობით ვერ გაგიბედა.

* * *

...ჯიბოს ყელი გაუშრა. სკამზე მოწყვეტით დაეცა. ჰალსტუხი მიღრიჯა და მკერდი გაიღეღა.

– როდის, რანაირად?

– გუშინ, ვახშმის მერე, დერეფანში გამოსულა, თავის პალატასთან იქვე, გადაუჭრია ქილის ნატეხით ვენები და სანამ სისხლისგან დაიცლებოდა, ფეხზე მდგარა, რომ არავის დაენახა და არ მიშველებოდნენ.

– არავინ იყო ახლომახლო?

– როცა წაიქცა, მიცვივდნენ. მიცვივდნენ, მაგრამ უკვე მკვდარი იყო. გუშინ რაო, რა გითხრა, ეტყობოდა რამე?

– არაფერი. რომ ვუთხარი, ხვალ მინისტრთან მივდივარმეთქი, მაინცდამაინც არ გახარებია. ეგ იყო და ეგ. სხვა არაფერი შემიტყვია.

– რაო მინისტრმა?

ჯიბომ პიჯაკის ჯიბიდან კონვერტში ჩადებული ქაღალდი ამოიღო.

– ჩემი შუამდგომლობით და პასუხისმგებლობით ერთი კვირით უნდა წამეყვანა.

კალანდაძეს კონვერტი არ გაუხსნია. მაგიდასთან მივიდა, ქაღალდი აიღო და ჯიბოს გაუწოდა.

– ხალათის ჯიბეში ვუპოვეთ. ეგ ასლია, დედანი გამომძიებელმა წაიღო.

სანამ მთავარი ექიმი ამას იტყოდა, ჯიბო უკვე კითხულობდა ია ნეიძის უკანასკნელ სტრიქონებს:

„ჯიბო (როგორ გაგითამამდი)

თავის მოკვლაზე სხვა დროს არასოდეს მიფიქრია. ახლა, ამ წუთში მგონია, რომ ყველაზე ჭკვიანური, რასაც ჩემს სიცოცხლეში გავაკეთებდი, თავის მოკვლაა.

რომ გადამარჩინონ, გავგიჟდები.

რაღაცნაირად ლამაზია: შენ მოხვალ ჩემი გაშვების ქაღალდით და მე ცოცხალი აღარ დაგხვდები.

წუხელის მთელი ღამე თეთრად გავათენე.

ასე უკეთესი იყო; შენ მოხვიდოდი სანახავად, მე დაგხვდებოდი. ვიჯექით, შევყურებდით ერთმანეთს.

იცი რისი შემეშინდა? იმ ერთკვირიანი თავისუფლებით მე შენ სამუდამოდ დაგკარგავდი. მე ძალიან სუსტი ვარ. ვერ შევძლებდი თავის მორევას. არ მინდოდა დაცემული გენახე, ახლა სულ ჩემთან იქნები.

ცოტათი მაინც გავალამაზე, მგონი, ჩემი ცხოვრება.

გეხვეწები, მაპატიე ყველაფერი.

მე შენ მიყვარხარ“.

პარკში

პენსიონერებთან ლაპარაკი მიყვარს. ზოგს ჰგონია, თითქოსდა სხედან ეს ჩამთავრებული კაცები, მზეს ეფიცხებიან, ამთქნარებენ, აღარაფერი აინტერესებთ. თქვენც არ მომიკვდეთ. მე მგონი არავინ კამათობს, ისე ცხარედ დღევანდელობაზე, არავინ მსჯელობს ისე პირდაპირ (და უშიშრად-მეთქი, კინაღამ წამომცდა) ჩვენს სატკივარზე, როგორც ესენი; ცისფერ სავარძელზე გამწკრივებული, ფეხებგაჭიმული და კალთაში ხელჩაწყობილი, ერთი შეხედვით მოწყენილი ყოფილი „ვულკანები“ – ყოფილი მთავრობის თავმჯდომარეები, ყოფილი დეპუტატები, ყოფილი მინისტრები, ყოფილი სამმართველოს უფროსები, ყოფილი რაიკომის მდივნები...

გულდაგული ნაბიჯით მათკენ წამოსულს რომ დამინახავენ, უხარიათ, მაგრამ არ იმჩნევენ.

– გამარჯობათ მამებო!

– გაგიმარჯოს გამჩენმა!

ჩაიწევიან, ჩამიმატებენ, ცოტა ხანს ჩუმად არიან. მერე, როცა პაუზა აუტანელი გახდება, ერთი მათგანი მკითხავს:

– წაიკითხე დღეს „პრავდა?“

– წავიკითხე.

– ჰოდა, ჭკვიანად იყავი.

მერე დაიწყება ცხარე კამათი. ერთმანეთს არ აცლიან სიტყვის დამთავრებას. საოცრად ენერგიულები და გულწრფელნი ჩანან ამ დროს.

– ძალიან კარგს შვრები. არ შეეპუო.

– ნუ გეშინია. ახლა შეიძლება მაგეებზე წერა.

– ბოლოს და ბოლოს სანამდე ვატყუოთ ერთმანეთი.

– ამხელა რესურსების ქვეყანა უთავბოლო ცუნდრუკით ლამის თხლეზე დავიყვანეთ. ტუფლს ვერ ვკერავთ, შარვალს ვერ ვკერავთ, კოსტუმს სახელოს ვერ ვაკერებთ. კბილის

პასტა ჩვენი არ ვარგა და კბილის ჯაგრისი. ერთი პარაშუტი გვაქვს და მე მგონია ჩვენი პარაშუტიც შერჩევით იშლება.

– რატომ იცი, ასეთი მოუზომავი ყრანტალი?!

– რა ყრანტალი. არა ვარ მართალი? რა მივეცით ხალხს დაპირებების მეტი.

– მასეთი ლაპარაკისთვის იყო, რო გაყურყუტეს კაი ხანს.

– მერე ბოდიშიც მშვენივრად მომიხადეს. სხვათა შორის, გაჩუმებული არ ვყოფილვარ.

– იქამდე მივიყვანეთ გლეხი, რომ ბარი და თოხი სამუდამოდ შევაძულეთ.

– გავავსეთ ციხეები, მარა მოვსპეთ ქურდობა ან მექრთამეობა? პირიქით.

– რწმენა დავუკარგეთ ადამიანს. ყოველ ათწლედში, ყოველი ახალი უფროსის დროს საბჭოთა კავშირის ახალ ისტორიას ვთავაზობდით.

– ერთი პერიოდი, სამამულო ომი კინაღამ ბრეჟნევის მოგებულად გამოვაცხადეთ. სამართალი იყო ეეს?

– ხალხს საარჩევნო ყუთთან მისვლა საშაყირო საქმედ ვუქციეთ. მე ვინ რას მეკითხებაო, მეზობელი მეზობელს ატანდა ბიულეტენს, ჩამიგდე, თუ ძმა ხარო.

– არჩევანებზე გამახსენდა. ერთი მილიციელი იყო ჩვენს ქალაქში, ბიჭოია ჩაჩხიანი. შინაურ მილიციელს რომ ეძახიან. ბაზრის მილიციელი. ფორმა რომ ტყვილად აცვია ისე, შესახედავად და მასზე საწყალი თუ შეხვდება იმას რომ დაიბრიყვებს, სხვისთვის რომ ხმის გამცემი არ არი. ერთ მშვენიერ დღეს არ აირჩიეს დეპუტატად? აგლახავებდნენ მოქალაქეები. ხომ იცი, ხალხს პირს ვერ აუკრავ. „ბიჭოია დეპუტატი“, „ბიჭოია დეპუტატიო“, დასცინოდნენ. მიუბრუნდებოდა ბიჭოია და ეტყოდა: „წადით ბიძია საქმე ნახეთ, რავარი ამომრჩევლებიც თქვენ ხართ, დეპუტატიც იმნაირი გყავართო“.

– სტალინი ავიღოთ, თუ გინდა. როცა რუძუტაკის დაჭერაზეა ლაპარაკი, სტალინმა დაიჭირა თურმე, რაც რამე სიგლახეზეა ლაპარაკი – პირადად სტალინს გაუკეთებია, როცა

იმ დროის კაი საქმის ხსენება გვინდა, ხალხმა გააკეთაო, დაგვიჟინია. მაშინ, თუ ასეა, რუძუტაკის და სხვების დაჭერაც ოცდაჩვიდმეტში ხალხს დავაბრალოთ.

– ხალხი არავის იჭერდა, ხალხს თვითონ ეშინოდა.

– აბა სტალინი დასდევდა ჩემს ძმას ჭინჭიეთში ბადით? არ ვართ, არა, მართალი.

– გაუბედაობამ და „დოგმების“ ერთგულებამ მოგვიყვანა აქამდე. ვიძახით, გაფეტიშება არ გვინდაო, თეორიის შემოქმედებითი განვითარების მომხრე ვართო და ასი წლის წინ დაწერილ წიგნებში სადღეისო გაკვეთილებს ვეძებთ.

– სწორია. რა ჭკვიანიც უნდა ყოფილიყო კაცი, ასი წლის წინ დღევანდელი დღის რეცეპტს ვერ გამოგიწერდა.

– გავაღიზიანეთ ნახევარი მსოფლიო ამ მოუთავებელი სოციალიზმით.

– რავა?!

– რაღა რავა? ერთი მოსულელო „მოღვაწის“ ჭკუით, ახლა სოციალიზმს კაი ხნის გაცილებული უნდა ვყოფილიყავით და კომუნიზმში უნდა გვეცხოვრა. მოვიშორეთ ის ქარაქუცა ხელმძღვანელი და გამოირკვა, რომ სოციალიზმიც ვერ აგვიშენებია ისე, როგორც საჭიროა. უკან დახევისა შეგვრცხვა და დავიწყეთ მარათონი „განვითარებული სოციალიზმის“, „სოციალიზმის შერემონტების“, „სოციალიზმის გრძელვადიანი სრულყოფის“ პერიოდებში. მეცინება, რომ გავიხსენებ.

– შეცდომა ვის არ მოსვლია, შე კაცო.

– მერე, გაგიგონია, ამ ბოლო დრომდე, შეცდომა მოგვივიდაო? ვთქვით, აქამდე დავწერეთ სადმე? შეიძლება შენს შეცდომიან ქიჩმაჩს მთელი თაობების ცხოვრება გადააყოლო?

* * *

კარგა ხნის მერე, როდის-როდის, მთვარე ხელგაშლილი ქალის ქანდაკებას რომ დაადგება და პარკიდან მოსეირნენი გაიკრიფებიან, ჩემი მოხუცებიც დაცხრებიან. სხედან ჩუ-

მად, კამათით დაღლილნი, სუნთქვააჩქარებულნი. ნერვებ-დაჭიმულნი.

ერთი სული მაქვს ვიკითხო:

– ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მე რა შუაში ვარ? თქვენ არ იყავით? რაზეც ახლა გულისტკივილით ლაპარაკობთ, თქვენ არ დააკანონეთ? თქვენ არ გაუმაგრეთ ლიბო-საძირკველი?

ვიცი, ამ შეკითხვისა ყველაზე მეტად ეშინიათ.

მეც ხმას არ ვიღებ. არ მინდა უხერხული შეკითხვით დაბ-ნეული მათი სახეების დანახვა.

ცდუნება

– საქმეა ახლა ეეს? – ამბაკომ საათზე დაიხედა, ხელი ხელს გაუტყაპუნა, ჭილოფის ქუდი იშვლიპა, ნერვული ნაბიჯით მიუახლოვდა დათვის გაფარჩხულ ფიტულს, ქუდი თავზე ჩამოამხო, მაგრამ ულვაშა ფოტოგრაფის გაოცებულ მზერას რომ წააწყდა, მოხადა, იხტიბარგატეხილმა მიმოიხედა, „რაფისკენ“ წამოვიდა და მანქანაში მთვლემარე ქალებს ჩასძახა: – რას გვიშვრება დარიკო, ხედავთ თქვენ?! სამი ხდება, ის ხალხი სადილად გველოდება.

ქალებმა ერთხმად ამოიოხრეს. ზოგ მათგანს სურდა ეთქვა „მართლაც, რა მოხდა, ბოლოს და ბოლოს, რას ვანერვიულებთ ამ კაცსო“, ან „სინდისიც კარგი საქონელიაო“, ან სულაც „კულტურის ამბავია ყველაფერიო“, მაგრამ, ამჯერად, უსიტყვო ამოოხვრით იმიტომ დაკმაყოფილდნენ, რომ დარიკოს ყბაში ჩავარდნა არ სურდათ.

ეს ამბავი ქალაქ საჯიჯიაში ხდება. გულსუსტ და ავძილიან მკითხველს წინასწარ ვაუწყებ, რომ სანერვიულო არაფერია; ნოველაში ჩვეულებრივ, ყოფაცხოვრებით დრამას გავათამაშებ. იმდენად ჩვეულებრივს, რომ მძაფრი ქარტეხილებით აღტკინებული მკითხველი გაიკვირვებს კიდეც ამ სოციალური გარდაქმნების და ატმოსფეროს გასუფთავების პერიოდში ამისთვის მოიცალა რ. მიშველაძემო?

გუშინ ჩამოვიდა საჯიჯიაში ოფურჩხეთის ჩაის გადამწონი ფაბრიკის დელეგაცია. დელეგაციას პრესტიჟისთვის ვამბობ, თორემ, სინამდვილეში მის წევრებს (ხელმძღვანელი – ამბაკო, წევრები: დარიკო – მწონავი, ნათელა – მწონავი, ცარო – მწონავი, აღაზა – წუნმდებელი), ღმერთო შეგცოდე, საექსკურსიო-სანახაობრივი მიზნები უფრო ამოძრავებთ, ვიდრე გამოცდილების გაზიარებისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების ხერხების შესწავლისა.

ამ ორმოცი წუთის წინ სასტუმროდან გამოვიდნენ, რესტორან „მხოლოდ წვენში“ მასპინძლები მეგობრულ სადილს უმართავენ. გზად, ქალაქის მთავარი უნივერმაღი – „ცოტ-ცოტა ყველაფერი“ შენიშნეს, დარიკომ სთხოვა დელეგაციის თავს; „ხუთი წუთით შევაჩეროთ, გოგომ რაღაცა დამავალა და ვიკითხავ, თუ არისო“. ამბაკომ საათზე დაიხედა, დროში, მაინცდამაინც, არ იწვებოდნენ და დიდსულოვნად დათანხმდა. აქ მოხდა, ცოტა არ იყოს, არაკოლეგიალობის გამოვლინება ქალთა შორის. დარიკოს მხარი არ აუბეს. ვინ იცის, იქნებ მართლა არაფერი ჰქონდათ საყიდელი; ან, იქნებ დარწმუნებული იყვნენ, რომ საჯიჯიას უნივერმაღშიც ის ფართო ასორტიმენტის, მაგრამ უვარგისი საქონელი იქნებოდა, რაც ოფურჩხეთის მაღაზიებში იყო. ან, იქნებ, ხუთი წუთით უნივერმაღში შერბენის ნებართვა შეურაცხყოფად მიიჩნიეს და გადაწყვიტეს, უარი ეთქვათ, რათა ეს უარი სხვა დროს მაღაზიებში დიდხანს დასარჩენად გამოეყენებინათ. მე ვერც ერთი ამ მიზეზის დაბეჯითებით დაცვას ვერ შევუდგები, მაგრამ ეს ბოლო უფრო სარწმუნოა. მარტო შევიდა დარიკო უნივერმაღში და, აგერ სამი ხდება, არ გამოდის. აი, რა ანერვიულებს ამბაკოს. ხომ გითხარით, გულისგასახეთქი არაფერი მოხდება-მეთქი.

სექტემბერი კარგა ხანია დადგა, მაგრამ არათუ აგრილდა, სიცხემ იმატა და საჯიჯიას მოსარკული, გამშრალი ზეცა დაჰყურებს თვეზე მეტია.

ხვატისგან ათართალებულ ჰაერში რადიოს გამამხნევებელი მარში გაისმის და საზეიმო ხმა რომ არ იყოს, მოქალაქეებს ზეზეურად ჩაეძინებოდათ.

დათვის ფიტულსა და „რაფს“ შორის მეთერთმეტე მიმოსვლაზე, ამბაკომ მანქანაში შემოყო თავი და აღაზას მიმართა:

– აღაზა, შედი, ერთი, თუ ქალი ხარ. გვაგვიანდებათქო, უთხარი, იმ კაიდედმამიშვილს.

აღაზამ მარაო დაკეცა, ხელჩანთაში ჩაიდო და მოწყენილი სახით წამოდგა. ასეთი სახე მაშინ აქვთ ქალებს, როცა გარეგნულად „ვითომც აქ არაფერიას“ გამოხატავენ, გულის

სიღრმეში კი უხარიათ, რომ სხვებისგან გამოირჩევიან ხოლმე და ძნელ, საპასუხისმგებლო საქმეებს ავალებენ.

წუნმდებელმა მალე იპოვა „დამნაშავე“. დარიკოს ტყავის სუროგატისგან შეკერილი, გრძელიარლიყიანი შავი პიჯაკი ჩაეცვა და სარკის წინ გულმოდგინედ ცდილობდა თავისი კოხტა ტანის ის ნაწილები დაენახა, რომელსაც ადამიანები უსარკოდ ვერ ხედავენ და სარკის დახმარებითაც ცოტა ძალა როდი ადგება ხოლმე მათი კისრის მალებს.

– დარიკო!

– ბატონო, – მშვიდზე მშვიდი ხმით გაეპასუხა დარიკო, ისე რომ სარკისთვის თვალი არ მოუცილებია.

– გვაგვიანდება სადილზე. ამბაკომ, ამ წუთში გამოვიდესო.

– შეხედე, ერთი, ჩაიცვამს ამას ჩემი გოგო? – ყველაფრიდან ჩანდა, რომ დარიკო ამბაკოს დანაბარებმა ოდნავადაც ვერ ააღელვა.

– რა ვიცი... შემობრუნდი, სრულებს იცვამს საერთოდ? სრულებია ახლა მოდაში.

– რა ვიცი, ნეტავი წამომყოლოდა თვითონ. შარის თავი მაქვს მეე? რომ არ ჩაიცვას? მე შენ გეტყვი, იაფი ღირს.

– რა ღირს?

– სამოცდახუთი.

– არაა ძვირი. სამოცდახუთად ამნაირ პიჯაკს შეკერვითაც არავინ შეგიკერავს. ერთს გეტყვი მე შენ...

– ჰო, – სმენად იქცა დარიკო. ასეთ შემთხვევაში, მყიდველ მკითხველს კარგად მოეხსენება, რა დიდი მნიშვნელობა აქვს გონივრულ რჩევას.

– იყიდე და, თუ შენს გოგოს არ მოერგო, შენ ჩაიცმევ, კუკლასავით გაქვს ტანზე.

– ბეჭებში ცოტა ფართო არ არის?

– ასე უნდა იყოს. გემრიელი სახმარი იქნება.

– ისე კი, თავისუფლად მაქვს, მარა ჩემთვის ამდენ ფულს ვერ გავიმეტებ, მერე იმისთვის უკეთესი რამე რომ შემხვდეს, ფული აღარ დამრჩება.

– რა ვიცი, მე ასე მირჩევია, და... აღაზას როდი გადაავი-

წყდა, რა საქმეზე იყო მოსული. უბრალოდ, ზედმეტად ჩათვალა ახლა დარიკოსთვის აქ შემოსვლის მიზანი შეეხსენებინა, მით უმეტეს, რომ გულწრფელად თანაუგრძნობდა არც თუ იოლი პრობლემის წინაშე მდგარ ქალს.

– აღაზა, – დარიკომ პიჯაკი გაიხადა და გაუწოდა, – ჩაიცვი ერთი შენ, შენ ჩემზე მაღალი ხარ და უფრო გამართავ. ჩაიცვი, ნახე, არ ღირს ამის ხელიდან გაშვება. ჩვენთან ერთ დღეს არ გააჩერებენ ამას. იმ წუთში დაიტაცებენ სპეკულანტები და მერე უთოსბირად მოგყიდიან.

აღაზამ გამოართვა, ჯერ იარლიყს გაეცნო, მერე ჩაიცვა და სარკეს მიაჭიჭინდა. დარიკომ ერთი-ორი გამამხნევებელი და აღტაცების გამომხატველი სიტყვა უთხრა წუნმდებელს, მაგრამ რაკი შეატყო, რომ აღაზა ყიდვის ასე სწრაფად გადამწყვეტი არ იყო და პიჯაკს ვერც გასახდელად ელეოდა, მეგობარი სარკეს შეატოვა და მარცხნივ, ტრიკოტაჟის სექციისკენ გააბიჯა.

გარეთ კი ძველებურად ცხელოდა და, რაც უფრო გულისმომკვლელი იყო, დრო ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად გადიოდა.

ზურგის ქვემოთ ხელებდაწყობილი ამბაკო ბუტბუტით დააბიჯებდა წინ და უკან. თავიანთ აბურდულ საქმეებზე მიმავალი მოქალაქენი წამით შეჩერდებოდნენ, მოუხედავდნენ კისერგაჩიკინებულ, ვაგლახად აბუზღუნებულ მამაკაცს და უსიტყვოდ განაგრძობდნენ გზას, რადგანაც, ჯერ ერთი, სხვის ცხოვრებაში ჩარევა უტაქტობად მიაჩნდათ და მეორეც, ამბაკოზე უფრო შავ დღეში ჩავარდნილიც ბევრი ენახა მათს ფხიზელ თვალებს.

დელეგაციის თავმა კვლავ შემოყო მანქანაში თავი, ცხვირსახოცი ამოიღო, ცხვირპირი შეიმშრალა და წეღანდელზე უფრო ჩუმი, მაგრამ უფრო დრამატული ხმით ჩაილაპარაკა.

– საქმეა ახლა ეეს? გახდა ოთხი საათი. ყველაფრით ჩვენ უნდა გამოვირჩეთ მაინცდამაინც? რას იტყვის ის ხალხი. ქე მაინც არ დამერეკა, გამოვდივართ-მეთქი. აღაზას მაინც

რა დაემართა. შედი, ერთი, ცარო. არ მოგიცდიან არც ერთ წუთსთქო. თავისი წესი და სილამაზე აქვს ყველაფერსთქო, გესმის შენ, ცარო? – ეს ბოლო რვა სიტყვა ამბაკომ გასასვლელისკენ მტკიცე ნაბიჯით მიმავალ ცაროს დააწია.

უნივერმაღის კარებთან მწონავი პალმისვარცხნილობის მქონე, აგურისფერკაბიანმა, ტანსრულმა დედაკაცმა გააჩერა: „შენი სარგო ჩექმები მაქვს, თეთრი, იუგოსლავიური. ფსკოვიდან ქმარმა ჩამომიტანა, მაგრამ არ მომერგო, მიჭერს. იმასაც ხელზე აქვს ნაყიდი. კაპიკი ზედმეტი არ მინდა, რაც ჩემს ქმარს მიუცია, იმ ფასად დაგითმობო“.

– რა ნომერიაო, – ცალყბად ჰკითხა ადევნებულ ქორვაჭარს ცარომ. ჩექმები ოცდათექვსმეტ-ნახევარი აღმოჩნდა. ვისაც ოფურჩხეთის სავაჭრო ცენტრში გაუვლია, დაამეთანხმება, რომ ოცდათექვსმეტ-ნახევარი ზომის, თეთრი, იუგოსლავიური, ქალის ჩექმა ცენტრსა და მის მიმდებარე მაღაზიებში ამ ბოლო ორ დამკვრელურ ხუთწლედში არ გაჭაჭანებულა.

ცდუნება დიდი იყო. „თუ მომერგო და მთლად უსაშველო ფასი არ მთხოვა, აუცილებლად ვიყიდიო“, გაიფიქრა ცარომ და სხვისი ხმით გადაულაპარაკა:

– მაჩვენე ჩქარა, არ მცალია გასაჩერებლად.

კიბეს მოეფარნენ. ცარომ ჩანთიდან გაზეთი ამოიღო, ძირს დაიფინა, ლურსმანაქუსლიანი ტუფლები გაიხადა და მშვენიერი თეთრი ჩექმები ჩაიცვა. იუგოსლავიური ნაწარმი ფეხზე არათუ არ უჭერდა, ოდნავ სრულიც კი ჰქონდა, მაგრამ გარეგნულად აღტაცება არ გამოუხატავს, იცოდა, რომ როგორც კი სპეკულანტი სახეზე კმაყოფილებას შეგატყობს, საქონელს ნავარაუდევზე ორჯერ უფრო ძვირად დაგიფასებს.

ცაროსა და პალმისთმოსან დედაკაცს შორის მორიგების ცბიერ და დამღლელ საუბარს არ გადმოგცემთ. დავტოვოთ ისინი უნივერმაღის კიბესთან კარგა ხნით. კარგა ხნით იმიტომ, რომ გული მიგრძნობს, ფსკოვიდან ჩამოსული ქმრის ცოლს გასაყიდი (ვერმორგების მიზეზით) ჩექმის გარდა სხვა რამეც აღმოაჩნდება.

დაახლოებით ოცდათხუთმეტი წუთის შემდეგ სიბრაზისაგან გაფითრებულ ამბაკოსა და უდანაშაულო ნათელას შორის ასეთი საუბარი გაიბა:

– ქვა მეკოდა და ვარცლით წყალი მეზიდა, ნაკვერცხალზე ფეხით მევლო და კუპრში მებანავა, არ ჯობდა ამას?

– რაზე ბრძანებთ, ამბაკო ბატონო? – განა ვერ ხვდებოდა ნათელა, რაზეც „ბრძანებდა“ ამბაკო, მაგრამ ისე, რომ იტყვიან, ყასიდად ჰკითხა:

– რავა მაჯობა ბუხაიძემ ჭკუაში, უყურებ შენ? იცოდა, რას ნიშნავდა ოთხი ქალის ჩამოყვანა საჯიჯიაში და იმათი უფროსობა. რავა გავბრიყვდი, რავა შევჯექი ვირზე.

– არ არიან, ღმერთმანი, ასე უპასუხისმგებლო ხალხი. სხვა დროს არ შემინიშნავს, ისე, ადამიანიშვილს რას გაუგებ... ფარსაგი არ ჭირთ, თორემ გამოვიდოდნენ აქამდე.

– ხუთი წუთით შევირბენო, ხომ გახსოვს, დარიკომ ა, დახედე საათს რომელია. იმათ მაინც რა სნაკვი და ხუთვა ეცათ, თვითონ მაინც გამოედგათ ფეხი.

– ხომ გითხარით, რაღაცაშია საქმე-მეთქი, თორემ ცარო ისეთი პრინციპული ქალია, ბაწრით რომ დაებათ, არ გაჩერდებოდა.

ამბაკომ კიდევ ერთხელ დახედა საათს, მერე მარჯვენა ხელისზურგი მარცხენა ხელისგულს ღონივრად ჩამოარტყა და ნათელას მოუბრუნდა:

– შედი ერთი და დალანძღე სამივე, თუ ქალი ხარ. გაჯორე სამივე, რავარც ეკადრებათ. კაცია, ბოლოს და ბოლოს, ხომ არ შეგვაგინებსთქო, უთხარი. ამ წუთში თუ არ გამოხვალთთქო, ხვალვე აგიკრავთ გუდანაბადს და ოფურჩხეთისკენ გიზამთ პირსთქო. მოთმინებასაც თავისი საზღვარი აქვსთქო.

ნათელა წამოდგა და სამხედრო ნაბიჯებით გაემართა უნივერმაღის კარიბჭისკენ. მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, არა მარტო ამბაკოს დანაბარები ეთქვა წრესგადასული ქალებისთვის, თავის მხრივაც ზოგი რამ მწარე-მწარე დაემატებინა.

რაც შემდეგ მოხდა, უჩემოდაც მშვენივრად ხვდება მკითხველი. რა დიდი მიხვედრა უნდა იმას, რომ ნათელასაც შეი-

ყოლიებს ის, რამაც მანამდე სამაიას დელეგაციის წევრის შინაგანაწესი ასე უღმერთოდ დაარღვევინა. სრულიად დამშვიდებულად შემიძლია აქ დავსვა წერტილი და დეტალების დაზუსტება მდიდარი ფანტაზიის მქონე ჩემს მკითხველს მივანდო, მაგრამ გული არ მაძლევს უფლებას, ორიოდე საფინალო სიტყვა არ მოგახსენოთ:

ხუთს არაფერი აკლდა, სასოწარკვეთილი და გამძვინვარებული ამბაკო მარტორქასავით რომ შევარდა უნივერმაღში და ზუსტად ექვსი იყო, იქედან რომ გამოვიდა ჩანთებიანი პატრონტაჟით, რეგლანსახელოებიანი პოლონური კვართით და ვერცხლისფერი პორტსიგარით ხელში.

სად იყვნენ ქალები? ოთხივენი გუგულებივით წყნარად ისხდნენ ავტობუსში და დელეგაციის თავს მშვიდი, უცოდველი სახეებით ელოდებოდნენ.

ტაში

ჩელტზე დასაყაჭებლად გამზადებული აბრეშუმის ჭია ხომ გინახავთ, ისე ფუთფუთებდა ხალხი დარბაზში.

შესვენების შემდეგ უკვე მესამე მოხსენებას ისმენდნენ და თათბირის მონაწილენი ისე გადაღლილიყვნენ, ორატორისთვის ყურისგდების კი არა ერთმანეთთან გადალაპარაკების თავიც აღარ ჰქონდათ.

ისხდნენ მდუმარედ, მოშვებულად. თვლემა გამეფებულიყო ირგვლივ. იშვიათად ასწევდნენ თავს და იქეთ-აქეთ გაატოკებდნენ, შესაღვიძებლად ან იმის შესამოწმებლად კი არა – ჰქონდა თუ არა კისერს მოძრაობის უნარი შერჩენილი; უფრო იმისთვის აკეთებდნენ ამას, რომ მეზობლისთვის ეჩვენებინათ, აქაოდა ჩვენ თავს რომ ჩავქინდრავთ ზოგჯერ, როდი გვძინავს, მოხსენებას სხვაზე ნაკლებად როდი ვისმენთო.

ღვთისო იარაჯული მეთოთხმეტე რიგში იჯდა. სურვილი დიდი ჰქონდა მოხსენების მოსმენის, მაგრამ ვერა და ვერ ახერხებდა, წინა ორი მოხსენებაც ვერ მოისმინა და თავის თავზე იყო გამწყრალი. თავისი მღელვარე ცხოვრების ნახევარზე მეტი სხდომებზე ჰქონდა გატარებული, მაგრამ ჯერ ისე არ გამოსულა დარბაზიდან, ორი წინადადება მაინც არ „დაეჭიროს“. დღეს კი უცნაური რამ ემართებოდა. აიტანდა თუ არა ტრიბუნაზე მოქადაგე საქაღალდეს, ღვთისოს, თითქოს ბანგი შეასვესო, მთქნარება აუტყდებოდა და მოთენთილობის მსუბუქი თოვლი აწვებოდა ბეჭებზე. დილიდანვე ვაჟკაცურად ებრძოდა თვლემას, მაგრამ ვერა და ვერ მოერია.

შესვენებაზე ორი ფინჯანი ყავა დალია და მტკიცედ გადაწყვიტა, მესამე მოხსენება მაინც მოესმინა, მაგრამ ამაოდ. ისევ მოვიდა თბილი, ვერაგი ჟრუანტელი, ისევ დაუმძიმდა ქუთუთოები და გაეფანტა ყურადღება.

„რა ჯანდაბა მემართება, რა ძილქუში დამეცა, უინტერესო სხდომების მეტი რა მინახავს, რაღა ახლა მეძინება მაინცდამაინც, კაცი არ არის ახლა ეს, აგერ? რა ყურადღებით ისმენს. დილიდან თავი არ გაუნძრევია, გვერდზე არ მოუხედავს“, გაიფიქრა ღვთისომ და გვერდით მჯდომი შეათვალიერა.

მეზობელი – სამოცსმიტანებული მოთათბირე, მართლაც რომ მონუსხულივით შექვავებოდა ტრიბუნას. თვალსაც არ ახამხამებდა, ხელები იქეთ-აქეთ სავარძლის სახელურებზე ისე დაეწყო, თითქოს სადაცაა წამოდგებაო. წაკვნეტილივით კუთხოვანი, პაწაწკინტელა ცხვირი და ჩავარდნილი ლოყები ავადმყოფურ იერს აძლევდნენ მის ფერმკრთალ სახეს. ერთ წერტილს მიშტერებული, წარბისრება თვალები ქორივით უბრწყინავდა, თავზე კი ცალხაზიანი რვეულის ხაზების სიხშირით შერჩენილი თმა კისრამდე ჰქონდა ჩავარცხნილ-ჩაწეპებულ-ჩალესილი.

ის იყო ღვთისო თავის წილ თვლემას ეჯაჯგურებოდა, რათა სხვების მოსაჩვენებლად, ხუთიოდე წუთით მაინც წაერთმია თავი, რომ დარბაზს სეტყვასავით გადაუარა მქუხარე ტაშმა. იარაჯულმა, რასაკვირველია, ხელები აატყაპუნა და როდესაც ოვაციებშერეული („სწორია!“, „რა თქმა უნდა შეეშინდებათ!..“) ყიჟინა ოდნავ დაცხრა, გვერდით მჯდომს გახედა. წაკვნეტილცხვირიანი, ქორულად მზირალი მამაკაცი სხვებზე უფრო ატაცებით და ენერგიულად უკრავდა ტაშს.

– ბოდიში, რა თქვა?! – ჰკითხა ღვთისომ.

კაცს რომ ფრიად სასიცოცხლო საქმეზე მოაცდენენ, ისე, შეჩქვიფებით გამოხედა მეზობელმა ღვთისოს და გულწრფელად მიუგო:

– ვერ გეტყვით, გამომრჩა.

ეს პასუხი ღვთისოს სრულიად არ გაკვირვებიაო, რომ გითხრათ, არ ვიქნები მართალი. გაუკვირდა იმდენად, რამდენადაც შეეძლო მის მდგომარეობაში მყოფ, ძილბურანით გაბურბუსალებულ კაცს გაკვირვება. ტაშით და ოვაციებით კმაყოფილი მოქადაგე მოხსენების ახალ გვერდს რომ დაუბრუნდა, ღვთისოს ისევ ესროლა თვლემამ უხილავი

ბადე, ისევ დაუბუჟდა ფეხები და მოეჩვენა, რომ სავარძელი ჰამაკივით ნელა, სასიამოვნოდ შეირხა.

მალე დარბაზში ომახიანი, ჯანმრთელი, საბჭოური სიცილი გაისმა. ხითხითებდნენ ირგვლივ, ხითხითებდნენ ყურებ-კისრებიანად, ხითხითებდნენ კეფაზე ხელის სმით და თვალთან ცხვირსახოცის მიტანითაც კი. ღვთისომ ორატორს შეხედა. მომხსენებელს სათვალე ხელში ეჭირა და თავის ნათქვამზე თვითონვე გულიანად იცინოდა.

ღვთისომ აცალა და როცა გვერდით მჯდომმა ქორივით ფხიზელმა, თმა ცალხაზიანრვეულოსანმა სული მოითქვა, ჰკითხა:

– რა თქვა?

– ბატონო? – შემობრუნდა თვალებში სიცილისგან ცრემლ-ჩამდგარი კაცი-მიმინო.

– რა თქვა, რაზე იცინით?

კაცმა სერიოზული სახე მიიღო. ღვთისოს რატომღაც მხ-ოლოდ ალმაცერად აპარსულ ულვაშზე შეხედა და მიუგო:

– არ ვიცი, გამომრჩა.

მერე სწრაფად შეტრიალდა და ისევ ტრიბუნას მიაჭიჭინდა.

ორატორი თავისი მოხსენების სხვა არანაკლებ საინტერე-სო ნაწილს დაუბრუნდა. ისევ ჩამოაწვა ღვთისოს თვალებზე თვლემის ნაცრისფერი აბრეშუმი. ისევ მოხვია რულმა მხრე-ბზე ხელები და ოცნებათა ნისლიან სამყაროში წაიყვანა. იქ, სადღაც, მწვანედ მოჩითულ ველზე მარტო მაგრამ მოხდე-ნილად ცეკვავდა ნახევრადშიშველი ბალერინა, კლდეთა შო-რის ვერცხლად ჩაღვრილ ჩქერალს ორაგულები დგაფუნით მიაპობდნენ და შორს კუდიგორის მთის ძირიდან წყნარი, სულისშემძვრელი ურმული ისმოდა.

დარბაზს ისევ დააცხრა ტაში. თითქოს ცივი წყალი გადაას-ხესო, ღვთისო წამოხტა და მოტაშეებს შეუერთდა. დარბაზის ერნი ფეხზე იდგნენ და არა მარტო ღონივრად უკრავდნენ ტაშს, ზოგი მათგანი თვალანთებით გაჰყვიროდა:

– ახიც იქნება!

– აქამდე იყო საჭირო!

– დროულია! დროული!

– ჭკუა უნდა ვასწავლოთ!

ოვაციები მინელდა. ღვთისოს მეზობელი კი კვლავ ფეხზე იდგა და ხელებდაუზოგავად სცემდა ტაშს, სიხარულისგან პირდაღებული და აღტაცების ექსტაზში მფრენი.

– რა თქვა? – შეაგება ღვთისომ აქტიურ მოთათბირე მეზობელს, როცა ეს უკანასკნელი სავარძელზე დაეშვა და სახელურები კვლავ ძველებურად მოიმარჯვა.

ქორულთვალებამ არ უპასუხა.

ღვთისომ გუნებაში ოცამდე დაითვალა და კითხვა გაუმეორა:

– რა თქვა, რა მინდაო?

მეზობელი შემობრუნდა, მკლავები ერთმანეთში ჩაიხვია, მწყრალად აუსვა თავ-პირ-ჰალსტუხზე მზერა ღვთისოს და, ცოტა არ იყოს, უკმეხად უთხრა:

– შენ, ლოთიანად, საქმე არაფერი გაქვს? რა ვიცი მე, რა თქვა.

მოხსენება ამის მერეც კარგა ხანს გაგრძელდა. კვლავ ენერგიულად ებრძოდა ღვთისო რულს და ოვაციებიანი ტაშიც არაერთხელ გაისმა დარბაზში, მაგრამ იარაჯულს არათუ აღარაფერი უკითხავს გვერდით მჯდომისთვის, მისკენ არც გაუხედავს.

მთვარე დანგრეულ საყდარში

ჭიშკარი მიუგდო და სოფლის შუკას დაადგა. „წვიმა არ წამომეწიოსო“, შებრუნდა, ფეხაკრეფით აიარა კიბე. აივანზე გაახსენდა, რომ შინ არავინ იყო და ხმაურიანი ნაბიჯებით ვერავის გააღვიძებდა. მასპინძელმა გუშინვე გააფრთხილა: ადრიანად უნდა ჩავიდე ხვალ, ამბროლაურში, საქმე მაქვსო. „ისე რამ ჩამაძინა, მანქანის ხმაც რომ გამომეპარაო“, გაიფიქრა.

ორლობეში საქონლის სკორეს სუნი იდგა. კაკლის ხეებით ისე იყო შუკა დაბურული, რომ ალაგ-ალაგღა ილანდებოდა ლურჯი ცის ნაჭერი. „რა დიდი სოფელი ყოფილაო“, გაუკვირდა, ლამის ერთმანეთს მიწებებულ ქვიტკირის სახლებს და ყავრით გადახურულ ჭიშკრებს რომ ათვალიერებდა.

ის დრო იყო, საქონელს რომ გარეკავენ, სოფელი სამუშაოდ რომ გაილალება და ცოტა ხნით ჩამოვარდება სიჩუმე.

კაკლის ხის ქვეშ, გადაჭრილ მორზე, ექვსიოდე წლის გოგონა იჯდა, მისი ასაკისთვის უჩვეულოდ წყნარად და სევდიანად. პეპელას ფრთებივით გაეშალა კაბა ირგვლივ, თავი მუხლებზე დაედო და ფეხის თითებს დასცქეროდა.

სანდრომ უცქირა, უცქირა და როდის-როდის ჰკითხა:

– რა გქვია?

– მე ქეთინო, ის ჩემი სახლია, – პირდაპირ, ჭიშკარს მიაშვირა ხელი, – ბაბუასთან სტუმრად ჩამოვედი, ეს კაბა დედამ მიყიდა და მამაჩემი შოფრების უფროსია.

სანდროს გაეცინა. გოგონამ სხაპასხუპით მიაყარა ყველაფერი, რაც მგზავრს წვრილად გამოკითხვით უნდა გაეგო. მერე გოგონა ისევ თავის ლამაზ ფეხებს დააცქერდა, სანდრომ კი გზა განაგრძო.

ჟანგისფრად მოღებილ წყაროსთან, შუაგზაზე, თავბომბორა შავი ნაგაზი იწვა. სანდრო რომ დაინახა, ძაღლი ზლაზვნით წამოდგა, თითქოს უცხო სტუმარს გზა დაუთმოო, ჭიშ-

კარმოღიავებულ ეზოში შევიდა, ცაცხვის ქვეშ წამოწვა და კვლავ მგზავრს მიაჩერდა.

ჩექმაზე წკნელის ტკაცუნით მიაბიჯებდა სანდრო. მზერა სახლიდან სახლზე ისე გადაჰქონდა, თითქოს ვიღაცას ეძებდა. აივნებზე აქა-იქ საბნები იყო გადმოკიდებული და კიბეებზე ბავშვით ხელში მდგარი, სარაფანხალათიანი, ახალგაზრდა დედები იდუმალი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ მომავალს. რაკი უცნობი არაფერს ჰკითხავდა, დედები ამით არცთუ მთლად კმაყოფილნი, ხმამაღლა, ენისმოჩლექით ეტიტინებოდნენ თავიანთ პირმშოებს; აქაოდა, ჩვენ ჩვენი საქმე გვაქვს, სულ არ გვაინტერესებს, ჭიშკართან ვინ ჩაივლისო.

სოფელში იშვიათი როდი იყო კიბეზებალახამოსული, მიტოვებული ოდები. მინებამოცლილი ფანჯრებიდან, მრუმეში, გაყვითლებულ-გაზეთებგაკრული კედლები ჩანდა, ბუხარი ჩაქცეული იყო, ყავარი ალაგ-ალაგ ჩამოშლილი, ხოლო ეზოს კატაბალახა და ხარისენა მოსდებოდა.

აღმართი აათავა, ქვებზე ჩქაფუნ-დგრიალით დაშვებულ წყაროს ვიწროზე გადებული მორი ხელგაშლით, ქუსლაფეხად გადაიარა და სერზე სამი უზარმაზარი ცაცხვის ჩრდილში შევიდა. მარცხენა განაპირა ცაცხვ-გიგანტზე რკინის ფირფიტა იყო გაკრული. ფირფიტაზე თეთრად ეწერა: „ცაცხვი მეთორმეტე საუკუნეში დაირგა. დაცულია სახელმწიფოს მიერ“. ცაცხვთა შორის საყდრის ნანგრევები ჩანდა. ნანგრევებს დასაცავი აღარაფერი ჰქონდა, ისე იყო მიწასთან გასწორებული და ამიტომაც წარწერაც არ ამშვენებდა.

„რვაასი წლის ხე. საოცარი როგორ არ არის; აი, აქ, სადაც ახლა მე ვდგავარ, რვაასი წლის წინ იდგა კაცი, რომელმაც იცოდა, რომ ქვეყნის მეფე იყო თამარი და რაც საქართველოს თავს ხდებოდა, მხოლოდ ღმერთისა და თამარის სურვილით. იგი გარეგნულად მე მგავდა. მისი სისხლი დამიდის ძარღვებში, მაგრამ რა ცოტა რამ ვიცი იმ კაცის შესახებ, ვინც ეს ცაცხვი დარგო და ეს საყდარი აღაშენა. ტყუილია, რა გულმოდგინედაც უნდა იჭაპანონ ისტორიკოსებმა და მწერლებმა,

ისინი ვერასოდეს მეტყვიან ეჭვმიუტანელ სიმართლეს იმის შესახებ, თუ ვინ იყო, რას ფიქრობდა დაწყნარებულ გუნებაზე, რა იცოდა გარესამყაროს შესახებ, როგორ უყვარდა ან როგორ სძულდა კაცს, ვინც ამ ადგილას რვაასი წლის წინათ დადგა ბარ-ნიჩბით და საჭრეთელ-თარაზოთი ხელში. ვინ ვარ მე, პირადად, რვაასი წლის შემდეგ მოსული ამ ცაცხვის ჩრდილქვეშ? რომ დამადგეს ახლა თავზე ის სულკურთხეული და საუბარი გამიბას, გავუგებთ ერთმანეთს? მექნება უფლება მასთან თვალგასწორებით ლაპარაკის? ორმოცს კარგა ხანია გადავაბიჯე და რა გამიკეთებია ამქვეყნად ამ ცაცხვებისა და საყდრის ტოლფასი? თითქოსდა სულ ვემზადები ნამდვილი საქმის, ნამდვილი ცხოვრების დასაწყებად. დავდივარ დავთარარეულივით აღმა-დაღმა. დავდივარ, ვუჭვრეტ, ვათვალიერებ და ამ თვალიერებაში გავიდა ჩემი წუთისოფელი. არა, არა, რვაასი წლის კაცო, ჩვენ სხვანი ვართ, სხვანი. ჯერ არა გვაქვს უფლება ჩვენი ხელი თამამად შევაგებოთ რვაასი წლის ქარტეხილებში გადებულ შენს მარჯვენას. ქარის მხრიდან ვუდგევართ, მაგრამ ლამის პეშვში ჩაგვაქრეს შენს მიერ ამ საყდარში რვაასი წლის წინ დანთებული, ჩაღვენთილ-ჩალეული სანთელი“.

კარგა ხანს იბუჯურ-იფაცურა საყდრის ეზოში. ჯერ უწესრიგოდ მიმოყრილი ჩუქურთმებიანი ქვები ერთ ადგილას მიაგროვა, სანამ სარესტავრაციო დამკვრელური ბრიგადა აქამდე მოაღწევდეს, ვინმემ ეს ქვები ხელს არ გააყოლოსო. მერე რამდენიმე საფლავს ხავსი მოაშორა, მაგრამ წარწერებით დიდად კმაყოფილი არ დარჩა და თავი გაანება. საფლავის ქვები გასულ საუკუნეზე ადრინდელ მიცვალებულებს არ ეკუთვნოდათ. შენდობას ითხოვდნენ კნეინა ჯამბაკურ-ერისთავები და სუბათოვ-ჩოჩიევები. არანაკლებ აცოდებდნენ გამვლელს თავს თავადი რაჩინსკები და მათი აღმატებულება, მაიორი ძმები დვალოვ-ერისთავები.

ჩამოივაკა და სამანქანო გზას დაადგა. მანქანების ღრიალმა ნერვები მოუშალა და ბოგირთან ტყისკენ აუხვია. ტრაქტორის ნაბუღრავებ ხევს რომ გაცდა, ნაშალი ქვების

უზარმაზარ კედელს წააწყდა. თითქოსდა საგანგებოდ, ერთი ზომა-ფორმისად დაელეწა ეს ქვები ვიღაცას და ცასშედგმულ მთაზე აეყორა. მაღლა, ქვებზე ქორები დახტუნავდნენ, ხვლიკებზე ნადირობდნენ. ის იყო ქვაზე ჩამოჯდა და ყაშყუშით აფრენილ ქორს თვალი ააყოლა, რომ ზურგს უკან, ჩახველება მოესმა და ელდანაცემივით შემოტრიალდა. ქვებს მიწოლილ მოხუცს, რომელსაც სწორედ რომ ქვების ფერი ხალათი ეცვა, ხველება რომ არა, ვერც შენიშნავდა. მიუახლოვდა.

– გამარჯობა, ბიძაჩემო.

მოხუცმა შუბლზე ჩამოფხატული, ფართხუნა ქუდი გადაიწია და უპეები დაქაჩულ-ჩაწითლებული, ჭროღა თვალებით ამოხედა.

– გაგიმარჯოს ღმერთმა.

თეთრი წვერ-ულვაში სასხლავით შეღიჯნილივით მოკლედ და უწესრიგოდ ეყარა სახეზე, ღაწვები ნიანგის კანივით დახეთქილ-დაუხეშებული ჰქონდა, მზისგან მიმხმარი ყურები ისე იყო დამჭკნარ-დაჩირებული, გეგონებოდათ, თავი მაგრად რომ გაატოკოს, შეიძლება ყურებმა ქვებზე ტყაპანი მოიღონო. ნიკაპს ქვემოთ ყელში ჩასულ დაბერილ ძარღვებს, თხელი მოჩვარული კანი ამოხტომისაგან ძლივს აკავებდა, ლანჩებგამოცვლილი, ჯარისკაცური, დამტვერილ-დატალახებული ჩექმები ეცვა და მუხლებზე საჩვენებელი თითის დასაწყისში ძვლებგამოსული, წებოსგან საპირჯვრე ადგილას შეყვითლებული, უხეში და მძიმე ხელები ეწყო.

– ვისთან ხარ? – მოხუცი წამოიწია და სანდრომ ახლაღა შეამჩნია, რომ მარჯვენა ხელი არ ჰქონდა, ხვლიკისფერი ხალათის მარჯვენაშეკეცილი სახელო მოკლეზე იყო მიკერებული და საპირწამლესავით ქანაობდა.

– რეხვიაშვილებისას, – მიუგო სანდრომ და ქვაზე ჩამოჯდა, – აქეთ?

– საქონელი არ მობრუნდა წუხელის და გამოვუდექი საძებრად. მაკე ძროხებია ორი და ეზარებათ სიარული ასფალტზე, რაც გზა გაგვიკეთეს, ქვე ასე ვჯახირობთყე. თუ ვინმემ არ გამორეკათ, აღარ ჩამოდიან.

– თქვენც რაღა ამ გზაზე აბალახებთ?

– ჩვენ ზეითკენ ვრეკავთ, მარა თვითონ ჩამოდიან. ამ გზისპირას შერჩა ბალახი, თვარა ზეით, მეურნეობას თავისი სათიბ-საძოვი შეღობილი აქვს. ჩვენს საქონელს ქვე ვინ შოუშობს. თავისი საქონლისთვისაც თივა-ბალახი უჭირთყე.

– ოთხფეხი ბევრი გყავთ?

– ბევრს ვინ შეინახავს.

– ახლა, რამდენადაც ვიცი, მთავრობა არ უნდა უშლიდეს.

– მთავრობა არ გვიშლის, პირიქით, ბევრი იყოლიეთო, მარა ბევრს ბევრი თივა და ქატო უნდა. ჩვენთან კინაღამ ექვსი თვე ზამთარია. რავარი შესანახია, ექვსი თვე ბაგაზე დაბმული საქონელი? მეურნეობა ჩვენგან ერთ ტონა თივას ოცდაათ მანეთად ყიდულობს და ზამთარში ტონას ორას მანეთად მოგვყიდის, ისიც, ქვე თუ მოგვყიდა.

– მოკლედ, საძოვარ-სათიბი გიჭირთ.

– გვიჭირს ძალიან. ამას წინათ ვიღაცამ ამბავი მოიტანა, საოჯახო იჯარაზე გადავალთო. რომ მართლა გაკეთდებოდეს, გვეშველება. მარა თქმა ერთია, და სანამ საქმეს თავს დაადგამდენ. ჩვენ ჩვენი ქვე დაგვემართება.

– რას ჰქვიაო საოჯახო იჯარა?

– მეურნეობის ფერმას სხვაგან წეიყვანენ. ჩვენ ჩვენ სათიბს მოგვიზომავენ და გვეცოდინება, სახელმწიფოს რამდენი რა უნდა ჩავაბაროთ. მე, ჩემდა თავად, თუ ეს იქნა, ჩასაბარებელს ხო ჩავაბარებთყე, ერთ უშობელს უფასოდ გავუზრდი და ყოველ წელიწადს ვაჩუქებყე, შვილებსა და შვილიშვილებს ვფიცავარ.

– ეს თქვენი სოფელი რომ გაკრეფილა და ძლივს ბჟუტავს, ბიძაჩემო?

– ომამდე ორასი კომლი ქვე ვიყავით, ახლა ოცდაათი ოჯახი ვფეთქავთ. ზამთარში ამის ნახევარიც აღარაა. ჩემი ოთხი შვილი ოთხივე ქალაქშია. საწაღმართოდ თუ მობრუნდა საქმე, ეგება ქვე მობრუნდენ უკან. კაცს გული როდის მოუბრუნდება? როცა ეცოდინება, ქვე რა არი მისი და ქვე რა არი სხვისი, აპა? ადრე დაგვიძახეს, ერთ ძროხაზე მეტი არ იყო-

ლიოთო, ახლა რამდენიც გინდათ, იყოლიე, მარა საძოვარს ვერ მოგცემთო. რა ქნას, რას გოუჩერდეს კაცმა ამ მთაში?

– მარტო ეს არ არი მიზეზი, ბატონო. აი, თქვენ რატომ არ წახვედით?

– მე უსწავლელი კაცი ვარ, სად ვივარგებდი. ნასწავლი ვინც იყო, აქ საქმე ვერ იშოვა და წავიდა.

– სოფელი რომ კვდება? ღმერთმა კარგად გამყოფოთ და თქვენ რომ აღარ იქნებით?

– სოფელი არ მოკვდება. თუ ჭკვიანად მოგვექცევიან, ვინც წასულია, ის თუ აღარ მობრუნდა, წასვლისკენ რომ თვალი უჭირავს, ის მაინც აღარ წავა. ეს ხელი, ა, იმ მთის წვერს ხომ ხედავ, იქ დავკარგე. ქვე ჩვენი სათიბები იყო. მაშინ კოლექტივი არ იყო და ქვე ჩვენ გვქონდა გაყოფილი. ზამთარში თივა ჩამოგვქონდა. ქვე მაგარი ჯეელი ვიყავი და ხელზე დავიხვიე თოკი, თივა არ გემექცეს-მეთქი. პატარაზე ქვე ჩამოვუძეხი თივას, მარა ნაპრალთან, ყინულზე გამექცა და ეს მკლავი მომაწყვიტა. ქვე რაზე მოგიყევი? მე სხვა კაცი ვარ, მე ქვეც რომ გამაგდო აქედან, ერთგული ძაღლივით უკან მოვბრუნდები. ამ მთებს შევალიე ჯანი და ამ მთას უნდა შევაკვდე. თქვენ სხვანაირად წირავთ. ახალგაზრდები სხვა ჭკუას ემსახურებით. პატარა გაჭირვება და იმ წუთას გაქცევაზე ხართ. ასეა და რას იზამ. ცოტა ჩვენი ბრალიცაა სოფლის დაცარიელება, მეტი სხვა რაღაცების.

სანდროს კიდევ უნდოდა რაღაც ეკითხა, მაგრამ მარცხენათი ქვასდაყრდნობილი მოხუცი ნელა, მძიმედ წამოდგა, კალთები ჩამოიფერთხა, წელში, რამდენადაც შეძლო, გაიზნიქა და თქვა:

– წავალ ახლა, ქვე შეუყვები ამ ხევს და თუ ზევითკე ვერ ვიპოვე, ჭალაში იქნებიან გზის პირას. შუადღისკენ მღვიმეში იციან შესვლა და მეშინია ღამით დათვმა არ დამიგლიჯოს. მომრავლდა ეს ოხერი.

ქუდი მოიხადა, თავ-კისერზე მოისვა, ისევ დაიხურა და ნელა, ბებრული ფრთხილი ნაბიჯებით გაუყვა ბილიკს.

იჯდა სანდრო ქვაზე და ფიქრობდა:

„დაცარიელებულ სოფელზე წუწუნი ახლა მოდაშია. მაგრამ ამ წუწუნის გარდა რომ საქმეა საჭირო, იმ საქმეს უნდა ჩაკვირვება და ჩაჭიჭინება. ათასი მიზეზი ვიცით, მაგრამ მაინც მგონია, რაღაც გამოგვრჩა. ბოლომდე ვერ შევძელით გარკვევა. სენს მაშინ უნდა უწამლო, როცა იცი, რა სენი და გვრემა-ტკივილია. თითქოსდა ეს მოხუციც რაღაც საიდუმლოს მალავდა. ბოლომდე არ უნდოდა ეთქვა. იქნებ ერთი მიზეზი ისიცაა, რომ ამ წყალ-ჭალის პატრონებად დღეს სხვა აღზრდა-ფიქრის ხალხი მოვსულვართ და ხელის დაკაპიწებას ლამაზი სიტყვების ღაღადისი გვირჩევნია“.

ბოლოს მზემ თუ ამ უსიამო ფიქრებმა კეფა გაუხურა და უკან გამობრუნდა. წყაროსთან ჩაიმუხლა. ცივი წყალი მოსვა და პირ-კეფაზეც შეისხა. ესიამოვნა. სოფლის შუკაში სკორეს ნაცნობი სუნი ეცა. კაკლის ქვეშ, იქ სადაც წეღან გოგონა იჯდა, შავულვაშა, სპორტულპიჟამოიან, ოცდაათიოდე წლის ბიჭს სასროლი ბადე გაეშალა და კემსავდა.

სანდროს სალამზე უპასუხა, მაგრამ შეხედვით არც კი შეუხედავს. ჩანდა, სასროლი ბადე უფრო აინტერესებდა, ვიდრე მომსალმებლის ვინაობა.

– დახეულია? – მორზე ფეხი შემოდო სანდრომ.

– ქვევით მეზობელს სტუმარი ჩამოუვიდა გუშინწინ, ერთი საათით მათხოვეო. გავატანე და ა, ასე დამიბრუნა.

– აქაური ბრძანდებით?

– საერთოდ კი, ახლა თბილისში ვცხოვრობ.

– დიდი ხანია?

– მანქანათმცოდნეობის ტექნიკუმი დავამთავრე და საავიაციო ქარხანაში ვმუშაობ, მერვე წელი იქნება. არაა დიდი ხანი.

– აქ?

– აქ აღარავინ დაგვრჩა. სამივე ძმა იქეთ ვართ. მშობლები დაგვეხოცა. ასე ზაფხულობით ჩამოვდივართ.

– ვარგა ასე? სამივეს რომ მიგიტოვებიათ კერა?

– რა უნდა მეკეთებინა აქ ჩემი პროფესიის კაცს? სად უნდა მემუშავა, როგორ ფიქრობთ, თქვენ?

– ვინ დაგაძალათ, მაინცდამაინც მანქანათმშენებლობა დაამთავრეო.

– რაც უნდა დამემთავრებინა, სულერთია, აქ სულ ხუთი მოსამსახურის ადგილია. მე, კარგი, ტექნიკუმი დავამთავრე, ჩემი ძმები ორივე უმაღლესი განათლებითაა. რა უნდა ეკეთებინათ აქ? ახლა თქვენ თუ იმას იტყვით, რად გინდოდათ ეს სწავლა-განათლება, ყოფილიყავით ისე, არ იქნებით მართალი. ცხოვრება წინ მიდის, ადამიანიც წინ იხედება.

– კი, მაგრამ სულ რაღაც ორმოციოდე წლის წინ რომ ამ სოფელში ორასი კომლი ცხოვრობდა, ისინი როგორღა იყვნენ. არ ჰქონდათ საქმე?

– როგორ გეტყობათ, რომ, არ იცნობთ რაჭას, ბატონო. ჯერ ერთი, მაშინ სხვა დრო იყო, მოგეხსენებათ, ჩემზე უკეთ და, მაშინაც არ ჩერდებოდა ჩვენი ხალხი ადგილზე. რაჭველების უმეტესობა ზამთარში ბარად მუშაობდა და ზაფხულში ამოაკითხავდა თავის სახლს. არა, ბოდიში, ზაფხულში ქვევით მუშაობდა და ზამთარში ბრუნდებოდა.

– დასასვენებლად? ასე, თქვენსავით?

– რატომ დასასვენებლად. ნუ ჩამთვლი გლახა პატრიოტად, თუ კაცი ხარ, სხვაზე ნაკლებად არ მიყვარს ეს ჩემი კუთხე მე, მაგრამ ცოლ-შვილი რაღაცით ხომ უნდა ვარჩინო? რა ვაკეთო აქ? რომ იყოს რამე წარმოება, ან რამე დაწესებულება, ვინ მამაძაღლი მოიცვლიდა ფეხს. ახლა ვინც ვართ აქედან წასული, ყველა რომ მოვბრუნდეთ, ერთმანეთს თუ დავჭამთ, თორემ სარჩოს ვერაფერს გავახერხებთ. მიწა და სათეს-საძოვი იმ ორ კინკილა მოხუცს ძლივსღა ჰყოფნის.

– აბა უსაშველო ჭირს ამ სოფლებს? უნდა გაჩანაგდეს?

– უსაშველო ჩემს მტერს ეცა, ბატონო. საშველი როგორ არ არის, მაგრამ ისე არა, თქვენ რომ ფიქრობთ. რატომ ხართ, ასე მონდომებული; მე აქ ვიყო, უსაქმოდ, და თქვენ თბილისში, საიდან ბრძანდებით?

– თბილისიდან.

– სწორად გამომიცვნია. სულ ადვილია თქვენი პოზიციიდან ლაპარაკი: „არ გრცხვენიათ? მამა-პაპას რა პასუხს

აძლევთ სოფელში მამალი არ ჰყივის, ბუხრიდან კვამლი არ ამოდის. ესაა თქვენი კაცობა?“ – იტყვი შენ, დამანამუსებ, ვითომ, და წახვალ. არა, ბატონო, ასე არ გამოვა. ახლა ცარიელ სიტყვაზე არავინ არსად არ მიდის. ორი გზა არსებობს, აქ რომ სიცოცხლე არ ჩაკვდეს: ან წარმოება უნდა გაჩნდეს, ან საკურორტო ზონად გამოცხადდეს და სანატორიუმები გაშენდეს. მთელს რაჭაში მარტო უწერიდან არ გარბის რაჭველი, უწერაში საქმე აქვს და იმიტომ.

– ერთი წუთით წარმოიდგინეთ, ასე რომ ეფიქრა იმ ქართველს, იმ უგზოობის დროს, რვაასი წლის წინ, აქ რომ ამოვიდა და ცაცხვები დარგო, საყდარი ააშენა.

– მეც ვფიქრობ, სხვათა შორის, მაგაზე და პასუხი ვერ მიმიცია. ძნელი ასახსნელია ახლა, რა აჩერებდა. იქნებ მეტი მოთხოვნილება არ ჰქონდა, იქნებ მტრისგან თავდასამალავად ჩერდებოდა. იქნებ ცოტა იყო და ჰყოფნიდა ის, რასაც ეს მწირი მიწა და კლდე-ღრე აძლევდა. რამ აატანინა იმ სიმაღლეზე ქვები და რამ ააშენებინა საყდარი იმ მარჯვენა დალოცვილს. ახლა? თქვენ ხომ აქ საცხოვრებლად ჩამომსვლელები არა ხართ, ვინც ყველაზე მეტს გაიძახით, მთა არ დაცარიელდესო. ადგილობრივი აქედან წასული რამდენიმე კაცი მობრუნდა, მაგრამ მამულიშვილობის დანამუსება მხოლოდ ცოტა ხანს ეყო. მერე კუჭმა დაუძახა და ისევ უკან გაბრუნდა.

– კუჭმა, კაცო?

– ხო, ბატონო. კუჭმა. რა იყო, რავა გეიკვირვე?

– არაფერი. იქ ქალაქში, დავიჯერო, თავზე გადასდის ერბო?

– ყველა ასე ერთნაირად რავა ლაპარაკობთ, შე კაი კაცო. იტყვი ახლა შენ: ქალაქში, მტვერში, ბენზინის გამონაბოლქვში დახრჩობას ამ სუფთა ჰაერზე, ნატურალურ რძეზე და ხაჭოზე ყოფნა არ გირჩევნიათო? ხომ ეს გინდოდა გეთქვა, გაფიცებ გულით საყვარელს?

– ვთქვათ.

– არ იქნებოდი მართალი. ეს ექსკურსიაზე ჩამოსული კა-

ცის ფიქრი და ლაპარაკია. ორ დღეს ვერ გაჩერდება შენ-ნაირი კაცი აქ, ზამთარში. ცივა, ძროხა ბღავის, თივა არა გაქვს, შეშა გაგითავდა. ღვთისგან და კაცისგან მიტოვებუ-ლი გეგონება თავი. სახალხო დღესასწაულებზე რომ საბჭოს თავმჯდომარეები ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს ამბობენ: მთის სოფლებზე ასე და ასე ვზრუნავთო, მართალი გგონია შეენ?

– ჩავიქნიოთ, აბა, ხელი? გამოვჭრათ ყელი მთას?

– უსაშველო არაფერი სჭირს მეთქი მთას, კიდევ გიმეო-რებ. ამ საქმეს „ურას“ დაძახებით ვერ გააკეთებ. გულზე ხე-ლის ბრაგუნით და გაზეთური ლაილაით არაფერი გამოვა. საქმე უნდა გაუჩინო მთას, საქმემ უნდა დააკავოს კაცი.

– მაპატიეთ, მაგრამ საქმეო, რომ დაგიჟინიათ, ფერმაში მუშაობა, სატყეოში მუშაობა არაა საქმე?

– როგორ ფიქრობ, რამდენმა კაცმა უნდა იმუშაოს იმ შენს ფერმაში, ან სატყეოში? ჯერ ერთი, ადამიანებს სხვადასხვა პროფესია აქვთ და მეორეც, სადაა იმდენი საქონელი ამდენი მწყემსი დაასაქმოს? ჩვენს სოფელში ახლა რამდენი კაციც ცხოვრობს, მთელს რაჭას ეყოფა მეტყევედ. დანარ-ჩენმა რა ქნას? წარმოებები ან სამკურნალო-დასასვენებელი დაწესებულებები სულ სხვაა, ბევრ მუშახელს ითხოვს, საერ-თოდ, ნუ შეგეშინდებათ, სოფელი არ გადაშენდება. ახლა მალე ჩამთავრდება სოფლიდან ქალაქში გახიზვნის პროცე-სი და ქალაქიდან სოფლად გადმოსახლება დაიწყება. გზები კეთდება, კერძო მანქანები მრავლდება. ამბროლაურში, აი, ამ ჩვენი სოფლიდან დილიდან საღამომდე ვუნდებოდით ცხენით და ურმით, ახლა ერთ საათში ჩავდივართ. იფიქრებს კაცი; რაღა ქალაქში ვიცხოვრო, აგერ, თან ჩემი მამა-პაპის კერა-საც არ გავაცივებ და თან უკეთეს ადგილზეც ვიქნებიო. ამას დაემატება რაც გითხარი, მთავრობის ჭკვიანური ღონისძიე-ბები და მთა ისევ გაცოცხლდება. დაიმახსოვრე ჩემი სიტყვა, თუ ასე არ იქნეს.

– აგაშენა ღმერთმა.

– ასე იქნება, არ უნდა ლაპარაკი.

– კარგად, აბა.

– ნახვამდის.

თავმოტყუებული კაცის იერით, ფეხათრევით გააბიჯა შუკაში სანდრომ. ბადის მკემსავი კი სახეზე შეყინული ღიმილით შესცქეროდა მიმავალს. ამგვარი ღიმილი მაშინ აქვთ ადამიანებს, როცა თვითონვე ეეჭვებათ თავიანთი ნათქვამისა.

* * *

სანდროს იმ ღამით დანგრეული საყდარი და ბებერი ცაცხვი დაესიზმრა.

მთვარის შუქზე ტყიდან თეთრჩოხიანი, შავწვერა ახალგაზრდა კაცი გამოვიდა. დიდხანს იდგა იგი ცაცხვის ქვეშ საყდრისკენ მიბრუნებული, მკლავებჩახვეული. იდგა და რაღაცას, სანდროსთვის გაურკვეველს ბუტბუტებდა. ბოლოს შემობრუნდა, სანდრომ აშკარად დაინახა მისი დიდრონი, ცისფერი თვალები და თეთრი ზონრით გაკრული ლამაზი შუბლი. თეთრჩოხოსანმა მარჯვენა ხელი მაღლა შემართა და იდუმალი ჩურჩულით თქვა:

„მეც ძალიან მიჭირდა, მაგრამ გავუძელი. მთელი ჩვენი ისტორია გაძლება იყო. შენც უნდა გაუძლო. გახსოვდეს; აყრას და გაქცევას საათები სჭირდება, დამკვიდრებას – საუკუნეები“.

ისევ საყდრისკენ შებრუნდა და გაქრა.

შვედეთის მეფე დიდოსი

არქივში, ბატონო? ჩაჯდომა უნდა თვარა იმნაირ რაღაცას მოძებნი, შენ თვითონ რომ არ დაიჯერებ. ერთი-ორი მეცნიერი ვიცი; მიდღემჩი არ შემხვედრია არქივში. წიგნიდან წიგნში დაბალახობენ, ამან ეს თქვა, იმან ეს დაწერაო. რაის მეცნიერი ხარ, არქივის მტვერი და არქივის სამკლავეები თუ გეზარება. წიგნებს დააკვირდი, თუ გინდა, მოკვდები სიცილით; ერთი ჩემნაირი თავგადაკლული ჩახედავს არქივს და ათი ზევით-მყოფი იწერს და იწერს დოკუმენტის ნომერს. თვალით არ უნახავს, რომ კითხო, იმასაც ვერ გეტყვის, რა ფერისაა. არ იწვალებს თავს და ისე გამოვა რამე? კატაც მშვენიერი მეთევზე იქნებოდა, ფეხის დასველება რომ არ ეზარებოდეს.

არქივს, ჩემო ბატონო, ეს ხუთი წელია, რაც ჩავუღრმავდი. მანამდე ენათმეცნიერებაში ვმუშაობდი, მარა რად გინდა, არ დამიჯერეს, არ გამიშვეს წინ. რა აღმოჩენაც გავაკეთე, ყველას ხელი დააფარეს და მომწყინდა მეც. ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, ინტერესია, მეტი კი არაფერი. ინტერესს თუ დაკარგავ, რაი ხარ მერე? ვიცი, ამ ჩემს ოცდარვა რვეულს ისევ დაუბრუნდება კაცობრიობა, მანამდე თუ არ მომპარა ვინმემ და არ მიითვისა. მე აღარ ვიქნები ცოცხალი, მარა ბარე ორი შეჭამს პურს ჩემი აღმოჩენებით. ეს აღმოჩენა, ეს დალოცვილი, შენთვის არ მინდა? შემიწყვე ხელი, წამახალისე პატარა, შე კაი კაცო, შენ რომ დიდი მეცნიერი ხარ. აპაპაპა, შენ არ მომიკვდე, ახლოს არ გამიკარეს; – მაგი გულუბრყვილო მსჯელობაა, მეცნიერებასთან ახლოს არ არისო, მექანიკური დამთხვევები გინდა მეცნიერებად გაასაღოვო. რას ვაკეთებდი, კაცმა რომ თქვას, ამნაირს? თექვსმეტი წელი შევალიე ენათმეცნიერებას, დავალაგე ყველაფერი (მაგენს რომ ჰკითხო, თავდაყირა დავაყენე) და რომ მგონია, მადლობას მეტყვიან-მეთქი, მაშინ მომიხურეს კარები სწორედ. ასე გამოვა

საქმე? ასე უნდათ მაგენს წინ წასწიონ მეცნიერება? საძრახისს ჩავდიოდი რამეს ბატონო? ისევ ჩვენი სახელი და დიდება არ იყო, აბა სხვის წისქვილზე ვასხამდი წყალს? გეტყვი ორი სიტყვით და გამამტყუნე თუ მტყუანი ვარ. ახლა, ამ ოცდარვა რვეულიდან, ერთი მაინც რომ მომცა აქანა, გადავშლიდი და ადვილად მიხვდებოდი. თუ ჩემს ნათქვამში ეჭვი შეგეპარება, მოდი ჩემთან. მაგერ ვცხოვრობ, გეგუთის გადასახვევთან, კვიჟინაძე, ვისაც არ უნდა ჰკითხო, მოგასწავლის. ჯერ ეგვიპტურს მოვკიდე ხელი, აპა იქეთ, აპა აქეთ, ჩოვუკვირდი, ჩოვუჭიჭინდი და ეჭვშეუტანლად დავამტკიცე რომ ძველეგვიპტური ენა და ჩვენი ახლანდელი ქართული ერთი და იგივეა. შენ გგონია გაეხარდათ? კაცმა ამხელა აღმოჩენა გავაკეთე, და ტაში დამიკრეს, შენ გგონია? დაანებე თავი ეგვიპტურსო, მკვდარი ენაა, რად გინდა მაგიო. კაი, ჩემო ბატონო, ჩინური ხომ ცოცხალია, აბა, ჩინურს მივხედავ ახლათქვა. დავიდევი წინ ჩინურ-რუსული ლექსიკონი და თუ არ გამევსოს შვიდი რვეული ქართული სიტყვებით, იმ მკვდარი მამის სულს ვფიცავარ. რისი ჩინური, რა ჩინური? ჩვენგან ჰქონიათ ენა წაღებული მაგენსაც. ჩინური ქართულია იგივე. ახლა ზოგი სიტყვა შეიცვლებოდა, აბა, რას იზამდა, რავა, ცოტა დროა გასული? ეჭვათ კი მქონდა ბავშვობიდან ეს ამბავი, მარა მთლად ასე თუ იქნებოდა, გითხრა სიმართლე, არ ვფიქრობდი. მივიტანე ეს ჩემი რვეულები და, კი არ დამიმალავს, პირდაპირ ვუთხარიყენ; ა, ბატონო საქმე დაწყებულია, არაფერი არ მინდა მე, ჩამოყევით ახლა თქვენ გლობუსს და შეადარეთ ქართული სხვა ენებსთქვა. ეგება ჩინურის და ეგვიპტურის გარდა, სხვამაც ქე წეიღო ე ჩვენი ტკბილი დედა-ენა იმ ბნელ საუკუნეებშითქვა. სასაცილოდ არ ეყოთ. ჩინურის სპეციალისტი ჩვენ არ გვყავს და ვერ შევძლებთ თქვენი აღმოჩენილის დადასტურებასო. არაფერი დადასტურება მე არ მინდა, მე, რავა, ხარისხს კი არ გთხოვთ აქანათქვა, მე ვუთხარიყენ. ხარისხიც თქვენ გქონდეთ და ჩინ-ტემლაკებიც, რა სპეციალისტი უნდა, აგერაა ლექსიკონი და შეადარეთ ენა-ენას-მეთქი. დრო არ მქონდა, თორემ რა მჭირდა მაგათი სახვეწი. გადავდე

თავი და მე შევები, მარტო კაცი, ამ საქმეს. ჰინდურის და ქართულის იგივეობის დამტკიცება სულ არ გამჭირვებია. სპარსული და არაბულიც ისე მომყვნენ ხელში, წელიწად-ნახევარში საბოლოოდ დავამტკიცე, რომ სპარსელები და არაბები ჩვენს ენას დაეპატრონენ იმ უბედურ დროში, დაპყრობილი რომ ვყავდით. – კი მარა მანამდე არ ჰქონდათ, ვითომ, თავისი ენაო? იკითხავ შენ, ექნებოდათ ალბათ, რა ვიცი, რავა არ ექნებოდათ, რაღაცა უბრალო, საყველპურო ენა, მაგრამ ეს გაფერილ-გაკრიალებული ქართული რომ ნახეს, სტაცეს ხელი და გაითავისეს. რავა არ იზამდნენ, არ იკადრებდნენ, შერცხვებოდათ? ცოტა არ იყოს, აქეთა ენებმა გამაწვალა. ხომ ლათინურის ძირზეა ყველა დამყნილი, მაგრამ მუშაობა ხომ უნდოდა? თუ საბუთები ხელში არა გაქვს, ისე, ავყიად კი ვერ იტყვი – ფრანგული და ქართული ერთი და იგივეაო. ხალხია ისინიც. ყველასა აქვს თვალი. ჩოუჯდება ისიც იქედან და დაგიმტკიცებს, არაა, ჩემო პიმენ, ერთი და იგივე, რას მატყუებ, ეს დარბაისელი კაცი შენო. მუღამს მივაგენი და გამიადვილდა საქმე: სიტყვის ძირებს დავუწყე ძებნა. სიტყვის შუაში ერთ-ორ ასოს სტაცებ ხელს და ჩამოურბენ ამ სლავურ ენებს, ხელათ ჩამოყრი ჩოთქზე. ყველას ძირები ისე ემთხვევა, რომ შენი მოწონებული. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ცხრა წელიწადში მოვათავე მთავარი საქმე – ენების შედარება. ახლა ანბანის ჯერი დადგა, რაც მე ანბანზე ვიმუშავე, რაც მე შრომა გავწიე, ენით არ აიწერება. ჯერ ასოები იმდენი ვხატე და იმდენი ალბომი შევადგინე, ხუთი ვირი ვერ აიკიდებს. ჰაი ფინიკიური, ჰაი ლათინური და ბოლოს, როგორც იქნა, გამოანათა, გავტეხე წელში. მსოფლიოს ერთი ანბანი ჰქონია ბატონო, მარტო კალიგრაფიაშია განსხვავება და რომელია ის ერთი ანბანი, თუ იცი? ქართული, რასაკვირველია. თუ ჩაუკვირდები, არ არსებობს დედამიწაზე დამწერლობა, რომ ქართულით არ წაიკითხო. პატარა საქმეა ეეს? მე რამე სასწაული კი არ მომიგონია და ციდან კი არ ჩამომიტანია, ჩემო ბატონო, რაც სინამდვილეა, ის აღვნიშნე. უბრალო რაღაც დავამტკიცე: ამ დედამიწაზე ყველა ენის

ძირი ქართულია და ყველა დამწერლობა ქართულიდანაა წაღებული. ზოგმა მოიპარა, ალბათ, და ზოგს შეიძლება, ჩვენ მივეცით, ახლა ამის გამოძიება ძნელია და რაც დრო გადის უფრო და უფრო გაჭირდება.

ა, ამის ჩამდენი კაცი ვარ მე და, გითხარი, იმის არ იყოს, დამიჯერა ვინმემ? დაბეჭდვა ხომ უნდა ამას ყველაფერს, ხომ უნდა გაიგოს ქვეყანამ? სარეცენზიოდ რედაქციიდან იმას უგზავნიან, ვისთანაც გუშინწინ ვიყავი და ჩემი აღმოჩენით სახეგახარბებულმა ეს ამხელა ამბავი გულუბრყვილო თამაშად მომინათლა, ხეირს დაგაყრის ამნაირი კაცი? ადგები მერე და რომელიმე პატარა გაზეთის რედაქტორს შეაცოდებ თავს. ააგუზგუზებ იმ ღვთიან-მადლიანს და დააბეჭდვინებ პატარა ნაწყვეტს. ხარ გახარებული, გგონია ცაზე ხელი მიგიწვდება, ხვალიდან მსოფლიო ილაპარაკებს შენს აღმოჩენაზეთქვა, მაგრამ გაგიგონია? გამოხვლიკინდება აგერ ჩიტირეკია „მეცნიერი“ თავის გამოჩენის ჭია რომ უხიცინებს ტვინში, გამოაცხობს პასკვილს და მე შენ გეტყვი, არ დაუბეჭდავენ. კაცმა ოღონდ კაცი აგინოს და გულში ჩაიხუტებენ, ტრიბუნას ვინ დოუკავებს. ხელმჩატე რედაქტორმაო, იტყვის ჩემი ჭკუის მასწავლებელი – ეს რა სისულელე დაბეჭდაო. მოცლილი კაცის და მახათის ამბავს ჰგავს კვიჟინაძის საქმიანობაო. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს მაგისი ნამოძღვრალიო. ამოგიძუებენ კუდს იმ პატარა გაზეთიდანაც და ატარე მერე ქუჩა-ქუჩა ე შენი აღმოჩენა. ბევრჯერ გამიკეთეს ასე და, ბოლოს და ბოლოს, ამევსო მოთმინების ფიალა. მე ვთქვი; რაღაზე ვიძირმწარო ცხოვრება, ამ აღმოჩენას ხომ ყავლი არ გაუდის, მედოს სახლში და როცა იქნება, თვითონ მომაკითხავენ-მეთქი. დავანებე თავი ენათმეცნიერებას და, ეს მესამე წელია, ჩავუჯექი არქივს.

არქივი ქე მაინცაა ისეთი საქმე, რომ დამტკიცება კი არა, თვალის შევლება უნდა, მეტი არაფერი. თუ რამეს იპოვი, გადააღებინებ ფოტოასლს და ა, ბატონო, მეტი არ გინდა არაფერი. ასე გგონია ხომ? გაფიცებ გულით საყვარელს, ხომ ასე ფიქრობ? შენ არ მომიკვდე, ასე ადვილი არ იყოს.

მივდგეთ აგერ კუთხეში და გაჩვენებ რაღაც-რაღაცებს. მაცალე, ამ წუთში, ეს კი არა, ა, მაცალე, ერთწამას, არ წახვიდე, თუ კაცი ხარ, ა, ეს იყოს, მაგალითისთვის, ეს სურათი გინახავს? ნანახი გექნება ჩრამიას ეკლესიაში, მარცხენა კედელზე დახატული ფრესკაა. ვინაა, ვინააო? თავს იმტვრევენ მეცნიერები. ხომ არსად, არაფერი აწერია, ახლა მე მომყევი; მოიცა, ფანქარს ამოვიღებ. ჯერ წინასწარ გეტყვი – ამ კაცის სახელია ხარლამპი. დიდებული იქნებოდა, ალბათ, ვინმე და მიახატა თავისი თავი. შესწირავდა რაღაცას ამ ეკლესიას, როგორც ხდებოდა საერთოდ. მაგი არაა მთავარი. საიდან ვიცი ხარლამპი რომ ჰქვია? ზედ აწერია ფრესკას. ა, ყურიდან ზევით წასული ეს ხაზი არის თუ არა „ხ?“, არის. ყურის ბიბილოდან ქვევით არის თუ არა „ა“? არ გინდა ლაპარაკი. „რ“ აწერია თუ არა სამკლავეზე? ა, მეორე ხელზე უკეთესად ჩანს, ახლა აგერ ვნახოთ მარცხენა ყურზე შიგნით „ლ“-ს ხედავ, აგერ ნესტოებთან მეორე „ა“, ჩემო ბატონო, ზევით ავყვეთ; ცხვირის ხაზი მთლიანად და ეს კაუჭი ხომ არის „მ“? რა დაგვრჩა „პ“? აგერ შენი „პ“ ფეხსაცმლის ნასკვთან ნახე? და იქვე „ი“-ც და წაკითხვა უნდა, თვარა ყველა ფრესკას სახელი ზედ აწერია. მაინცდამაინც ქვეშ უნდა მიგიწერონ გაბმული ასოებით, რომ წაიკითხო? რაის მეცნიერი ხარ, ამას თუ ვერ წაიკითხავ. გეკითხები ახლა მე შენ. არა ვარ სწორი?

სასწაულია არქივი-მეთქი, რომ გითხარი, კი არ მიხუმრია, ასეა ეს. დახედე ამ სურათს? გაგიჭირდება ცნობა. თუმცა, შეიძლება, შვედურ ენციკლოპედიაში გინახავს. მოულოდნელი არაფერია. ეს გახლავს შვედების ცნობილი მეფე დიდოსი. დააკვირდი ახლა კარგად და მერე, მოიცა, ა, ამ სურათს დახედე. შეადარე ერთმანეთს ორივე, აგერაა, არ გარბიან არსად. ეს არის, ჩემო ბატონო, დიდოსი და ეს მეორე – ჩვენი მეფეა, დემეტრე მეშვიდე. გაჭრილი ვაშლივით არ ჰგვანან ერთმანეთს? არა, არა, ხათრის გულისთვის ნუ დამეთანხმები. კარგად დააკვირდი და მითხარი. ულვაშების მოყვანილობა ნახე, არის ერთნაირი? ცხვირი ნახე? თვალების გამომეტყველება ნახე, რავა იბღვირება ორივე, ხომ ხედავ.

ახლა შუბლს დახედე; სწორი შუბლი, ქართული აქვს თუ არა ორივეს? მეტი რაღა გინდა, შე კაი კაცო. გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს. ემგვანება მამა შვილს, აბა, რა იქნება, აბა, მე ხვარ გამომეგვანება, შე კაცო. ა, ეს იცის არქივმა. მეც არ დავუჯერე თვალებს, პირველად რომ ვნახე, მარა მერე და მერე, რომ ჩავერიე და არ მევეშვი, გამიხსნა ისტორიამ ფანჯარა და გამანდო საიდუმლო. წასული საქმეა, რატომ უნდა ეწყინოთ შვედებს და რაში იყო იცი საქმე? იმ წლებში, როცა დიდოსი დაიბადა, დემეტრე, ოცდაექვსი წლის ქართველი მეფე, შვედეთში იყო წასული გემის შენების ოსტატობის შესასწავლად. რაღა მეფე წავიდა, სხვა ვერ გაგზავნა ამნაირ პატარა საქმეზეო? შენ მკითხავ და მართალიც იქნები. ვერ გეტყვი პასუხს. შეიძლება არ ენდო სხვას, ანდა, შეიძლება სხვა საქმე ჰქონდა, შვედებთან, რას გოუგებ ადამიანიშვილს. ჩევიდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ეს გამოწკეპილი ბატონიშვილი შვედეთში და, თვალი ჭამს და თვალი სვამსო, ხომ გაგიგონია, ქე მეეწონა დედოფალს. მე შენ გეტყვი, მიხვრა-მოხვრა შეეშლებოდა დემეტრე მეშვიდეს, ზრდილობა და სიტყვა პასუხი. გოუცინა მან, გამოუცინა ამანაც. ოცდაექვსი წლის ბიჭია, რაზე გეიდებს თავპაიჯს, მით უმეტეს ოჯახობა, ეგერაა, შორს, ცხრა მთას გადაღმა, ნადარბაზევში. შვედების მეფე ხანშიშესული ყოფილა მაშინ და მაინცდამაინც, არც ქე კითხულობდა თურმე; სადაა ე ჩემი დედოფალი, ვახშამზე რატომ დაიგვიანაო. რატომ უნდა ეწყინოთ შვედებს, ისტორია ისტორიაა, ჩემო იმანო. რაღა ბევრი გავაგრძელო, ქე წეიეშმაკეს დემეტრემ და შვედების დედოფალმა იქანა და ა, ბატონო დიდოსი, შვედების განთქმული მეფე, ხომ შენი გასახარებელი თვალებით ხედავ – ალიკვალი მამამისია. სიკვდილის წინ ამოუღო თურმე დედოფალმა თავის შვილს პატარა სურათი, აჩვენა და უთხრა; ამისი შვილი ხარ, დედიკონა, შენო. ესაა მამაშენი საქართველოს მეფეა, დემეტრეო ჰქვია სახელადო. ამის საქვეყნოდ გამოცხადება არც შენთვისაა კარგი და მე ხომ საფლავში თავი მომეჭრება. ისე მაინც იცოდე, გულში გქონდეს მამაშენის სიყვარულიო. რავა ფიქრობ, არ ამაყობდა

დიდოსი თავისი ქართული წარმოშობით? ამაყობდა და მერე როგორ. მამამისის ხათრით, რა თქვა, იცი? დასავლეთში მე ვარ და აღმოსავლეთში დემეტრე მეშვიდეაო. რომ მიუვიდა ეს ნათქვამი მოხუცებულ დემეტრეს, ცრემლები წასკდა, თურმე, მარა არ შეიმჩნია. ყველაფერი ქე გაახსენდა, მარა თავს ხომ არ გასცემდა. რომ ეთქვა: დიდოსი შვილია ჩემიო, ჯერ ერთი დედოფალს ეწყინებოდა; მე ამ საქმეზე გაგიშვი შენ იქანაო? მერე მეფის ავტორიტეტს შელახავდა, ქალების მოყვარული მეფის სახელი უნდოდა დემეტრეს? და მესამეც, რომ ეთქვა, ბევრი არც კი დაუჯერებდა, ჩვენი ხალხის ამბავი არ იცი?

ასე და ამგვარად, მირჩა და მირჩა ეს ამბავი და ა, ბატონო მე ვიპოვე და აღმოვაჩინე. რანაირად მივაგენი? ჯერ დიდოსის სურათი მომხვდა ხელში. დავაცქერდი, დავაკვირდი, ქართველს რომ ჰგავს უეჭველია, მარა ვის კონკრეტულად? არ გინდა ამის დადგენა? ღმერთო, სად მინახავს, სად მინახავს, სად მინახავს-მეთქი და დავუწყე ქართველი მეფეების სურათებს თვალიერება. ბაგრატ მესამეს, არ ჰგავს, გიორგი ბრწყინვალეს არ ჰგავს, დავით აღმაშენებელს ხომ არ ჰგავს და არ ჰგავს... ა, ბატონო, დემეტრე მეშვიდე, დემეტრეა გამოხოხებული. მისი ცხვირი, ულვაშები, შუბლი, მხატვარმა რომ მოინდომოს, ვერ დაამგვანებს ასე. სიხარულისაგან კინაღამ გული გამისკდა.

აბა, ჩქარა, დემეტრეს ასავალ-დასავალის დადგენა! სად იყო, სად იმოგზაურა, შვედეთში ნამყოფი რომ იყო, ვიცოდი, მარა ხომ შეიძლებოდა, ჩვენი ბატონიშვილი რომ იქ ჩავიდა, ტახტის მემკვიდრე დიდოსი დაბადებული ყოფილიყო? არა, ჩემო იმანო, საქმეც იმაშია, რომ დემეტრეს ჩასვლიდან მეთერთმეტე თვეს გააგორა ბიჭი დედოფალმა, ზეიმობდა სასახლის კარი, ულოცავდნენ მეფე-დედოფალს ვაჟიშვილის შეძენას და ამ დროს ბავშვის ნამდვილი მამა თავისი მცირე ამალით საქართველოსკენ მოჩიქჩიქობდა, ასე იყო ჩვენი იღბალი მოწყობილი და რას იზამ?

გავაშანშალე ფოტოასლი, გამოვაცხვე პატარა წერილი და მეორე დღესვე მივადექი რედაქტორს. რომ მგონია, შეამცი-

რებს სხვა რაღაცას და ნომერში გაუშვებს პირდაპირ-მეთქი, შენც არ მომიკვდე, ატრიალა, ატრიალა ხელში, უყურა, ათვალიერა და ჩამომიყოყმანა – კი. მგვანებით ჰგავს, ჩემო პიმენ, ამას ვერავინ უარყოფს, მაგრამ დავფიქრდეთ ცოტა, ღირს ახლა ამის გამოქვეყნება? არ ეწყინოს შვედებს, არ გადამკიდო ის პატიოსანი ხალხი, თუ ძმა ხარო.

...მესამე თვე გავიდა, ახლაც იქ უდევს მასალა. დღეს – ხვალ, დღეს-ხვალო, მიყოლიებს და მატყუებს. არც უკან მატანს, რომ სხვაგან დავბეჭდო, და ვარ ასე. ზედმეტი სიფრთხილე და მორიდება ვიცით ხანდახან, თორემ რატომ უნდა ეწყინოთ შვედებს, მე შენ გეკითხები? წასული საქმეა, რამდენმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ და რამდენი ქვა გადაგორდა დედამიწის ზურგზე. ვინ ართმევს დიდოსს შვედებს შემოგევლე? იმგენის მეფე იყო და იმგენის ხმალს იქნევდა. ჩვენ რაში გამოგვადგა, მარა ისტორიაა, ეს უპატრონო, სანამ გინდა დააფარო ხელი. დღეს არა, ხვალ მაინც გაიგებენ, რომ დიდოსს, შვედების სახელგანთქმულ მეფეს ძარღვებში ქართული სისხლი უჩქეფდა და მკერდში ქართული გული უფეთქავდა. ასეა ეს.

ანგელოზი

პირველად მე შევნიშნე და ყელისგამგლეჯი ხმით ჩავძახე ქუჩას: – ბავშვი!

აივნებზე გადმომდგარმა მეზობლებმა ჯერ მე შემომხედეს და მერე იმ ადგილს დააჩერდნენ, გაფაციცებული, შეშლილი სახით, თვალებგადმოკარკლული რომ დავკვდომოდი.

მანქანებით აღრიალებულ ქუჩაზე ბავშვი გადადიოდა.

მიბაჩუნობდა ხელების ქნევით. მეხუთე სართულიდან მარტო მისი დიდი, წითელი ქუდი ჩანდა და წინსაფრიანი, ფართხუნა შარვალი. ყველაფერზე ეტყობოდა რომ, არც მეტი, არც ნაკლები, იმ ასაკისა იყო, მარტო ქუჩაში კი არა, ოთახიდან ოთახში რომ არ გაიშვება.

– ბავშვი! ქუჩაში ბავშვია! – ზარივით დაუარა სახლებს და აივნებს.

ნერვიულობისგან ხელები გამეყინა. მეხუთე სართულიდან ჩარბენას ვეღარ მოვასწრებ. თითქოს ფეხებზე დოლაბები მკიდია. ხმის ჩახლეჩამდე ვბღავი:

– უშველეთ! უშველეთ!

წინა სახლის აივნებსაც გადმოეფინენ მოქალაქენი.

ყველანი ვყვიროდით და საშინელი სურათის მოლოდინში თვალებს ვხუჭავდით.

– გააჩერეთ! გააჩერეთ!

– ბავშვი!

– უშველეთ!

– არ შეშინდეს, გაიქცევა!

რა გაბედულად შებმია მანქანების ნიაღვარს. თითქოსდა პატარა დიდშარვლიანი თოჯინა მულტფილმიდან ჩამოსულა და ქუჩაში მიაბიჯებს. რა არხეინად მიიქნევს ხელებს. თითქოსდა ჩემთან შედარებით, ყველაფერი რაც ირგვლივაა, უმნიშვნელო ტიკინებიაო. მანქანები ერთმანეთის მიწყობით

ქვავდებიან. მუხრუჭების სულისწამღები ღრჭიალი და სირენების კივილი ერთმანეთში ირევა.

ბავშვი კი, თითქოს არაფერიაო, ერთ გაჩერებულ მანქანას გვერდს უვლის და მეორისკენ მიემართება. მანქანები მის წინ ისე ჩერდებიან, როგორც ლომები წრუწუნას დანახვისას; წინა თათებზე ჩაცუცქულნი გაოცებით რომ დაჰყურებენ, ჩასაყლაპავადაც რომ ეცოტავებათ და არც ემეტებათ იმის გამო, რომ გაკვირვებულნი არიან მისი გამბედაობით.

კალოზე რომ ყვავები დაფრთხიალებენ, ისე გაჩნდა ხუთიოდე ადამიანი სუნთქვაგაყინულ ქუჩაზე. ბავშვთან ყველაზე პირველად თეთრპლაშიანმა გოგონამ მიირბინა. გვერდით ჩასრიალებულმა შავმა ვოლგამ კინაღამ გაჰკრა. ბავშვს გვერდით ამოუდგა, ჯერ ხელები გაშალა და მოძრაობა შეაჩერა, მერე ბავშვი აიტაცა და ლამის ჰაერში აფრინდა, თვალის დახამხამებაზე უფრო ჩქარა ტროტუარზე იდგნენ ორივენი.

მე რომ ძირს ჩავედი, თეთრშლაპიანი გოგო არსად ჩანდა. შემთხვევის გმირი, ორიოდე წლის თვალმაყვალა ბიჭუნა თავის დედიკოს მიჰკვროდა თეძოზე და ცრემლჩამდგარი თვალებით შემოჯარულთ ათვალიერებდა. ოცდაათიოდე წლის მაღალფეხება, ხუჭუჭთმიანი, მზით გარუჯული ქალი ხელით ბავშვს იკრავდა სხეულზე და თან სლუკუნით იგერიებდა ცნობისმოყვარე გამვლელთ.

– მაინც რანაირად დატოვე, ქალბატონო, ბავშვი გარეთ?

– ერთი წამით, ბატონო, პურის საყიდლად შევედი.

– მერე, ვერ შეიყვანე თან?

– რა ვიცოდი, ეშმაკი, ყველაფერს ედება, ფულის ამოღებას არ მაცლის. გუშინწინ ფქვილით სავსე პარკი დაიმხო თავზე და, ვიფიქრე, დღესაც რაღაც უბედურებას ჩაიდენს-მეთქი.

– მეტ უბედურებას რაღას ჩაიდენდა.

– ამ მოაჯირს მოკიდე, დედიკო, ხელი, არ გაუშვა-მეთქი, კარგიო, ა, აქ ეკიდა ხელი. პური ავიღე და სანამ ფულს გადავიხდიდი, ერთი გამოვხედე, შუა ქუჩაში იდგა.

– მერე?

– მუხლები მომეკვეთა. თქვენ გგონიათ მახსოვს რამე? კივილი მესმოდა, მეტი არაფერი: ნაბიჯი წინ ვერ წავდგი. ასე მეგონა, რომ გავინძრე ადგილიდან, მაშინვე გასრესს მანქანა-მეთქი. ამის მოყოლა არ შეიძლება. ფეხები ყინულის ბოძებად მექცა.

– სად წავიდა ის ქალი, ის ღვთიან-მადლიანი?

– ოცი წლის გოგო იქნებოდა, ტროლეიბუსიდან ჩამოფრინდა და პირდაპირ ქუჩაში შევარდა. მარტო მისი პლაშის ფერი და თვალები მახსოვს. ან ტელეფონი მითხარი, ან მისამართი-მეთქი, ხელზე წავეპოტინე, მეჩქარება ქალბატონო, მეჩქარებაო. ბავშვი ჩამახუტა და გაიქცა. მე მგონი, გოგო კი არა, ანგელოზი იყო, პირდაპირ ციდან დაშვებული.

– ისე, კაცმა რომ თქვას, მაღაზიასთან არ უნდა იყოს რამე სამსახური? ან ბავშვს დაუტოვებ, ან ბარგს. კარგი, ამ ბავშვს სიარული შეუძლია და შეიყვანდა მაღაზიაში. სხვა დროს? კალიასკიანი ბავშვის დედას რომ ჰქონდეს რამე საყიდი? ხომ გინახავთ ჩვენთან, უნივერმაღებში, აბგა-ჩემოდნიანი კაცები ან გულზებავშვატატებული ქალები. ესაა საქმე? – სპორტულპიჟამოიანმა, შუახანსგადაცილებულმა კაცმა წაიფილოსოფოსა.

– რა უნდა იყოსო, რა თქვი? – ჰკითხა ყორნისფერშლაპიანმა, მაღალმა, გამხდარმა, ჩამაკინტოშებულმა კაცმა.

– მორიგე უნდა იდგეს დიდ მაღაზიასთან. ბავშვს და ხაბაკს რომ მიგიხედავს.

– ეგ გვაკლია სწორედ. მეტი არაფერი, – შლაპიანმა დაამთქნარა და პირზე ორჯერ მიირტყა ხელი.

* * *

ფილოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა დესპინე მუმლაძემ სტამბის ნახევრადგასაიდუმლებული გვირაბი გაირბინა და ინსტიტუტის პირველ კორპუსში ამოყო თავი. ამ გვირაბით მხოლოდ სტამბის მუშები და დაგვიანებული სტუდენტები სარგებლობდნენ. ინსტიტუტის ადმინის-

ტრაციას დღეს ჭკუა ეხმარა და წითელსამკლაურიანი, თავ-ბურძგლა მორიგე ბიჭი სწორედ ასასვლელთან, საგაზეთო ჯიხურის გვერდით დაეყენებინა. რჩებოდა ერთადერთი გზა; ქუჩიდან, კლუბის გავლით მეორე სართულზე მოვხვდებოდი, მაგრამ კლუბში მხოლოდ დრამწრისა და სასულე ორკესტრის წევრებს უშვებდნენ.

დესპინემ მორიგეს გაულიმა და კიბეს საქმიანი იერით აუყვა.

– პლაში! – დაუძახა თავბურძგლამ.

დესპინემ, აქაოდა ჩემს ფიქრებში ვარ, არ მესმისო, გზა განაგრძო.

– შენ გეუბნები, თეთრპლაშიანო, ხომ იცი, ვერ გამასწრებ! – ბიჭი უფრო უტიფარი ჩანდა, ვიდრე დესპინეს ეგონა.

– გეხვეწები, – ლამაზ ყელზე ორი თითი მიიდო მუმლაძემ.

– მე თვითონ გეხვეწები, – მორიგის გადაწყვეტილება მკაცრი და შეუვალი იყო.

სტუდენტმა პლაში გაიხადა და ხელზე გადაიკიდა.

– პლაში ჩააბარე გარდერობს და გაგიშვებ. სტუდბილეთს ხომ არ გთხოვ, ვიცი, სტუდბილეთი დაკარგული გაქვს.

– ვერ მოვასწრებ, აღარ შემიშვებს. ძალიან გეხვეწები.

– ამ ხვეწნაში ჩააბარებდი კიდეც. მაინცდამაინც შენი გინდა გაიყვანო? – გაწყრა მორიგე.

– რა შუაშია ჩემი. ვერ მოვასწრებ, ქსოვრელის ლექცია მაქვს. ხომ იცი, რა ტიპია. ორი არა უკვე მიწერია.

გოგო ჩამოოთხსაფეხურდა და მორიგეს წინ დაუდგა ჩაჯინსსვიტრებული, ჩექმოსანი, გაბუტულტუჩებიანი, შვლისთვალება, თითებჩამწყვდეულ ხელებზე პლაშგადაკიდებული.

წითელსამკლაურიანმა ბიჭმა უყურა, უყურა და, ჰო, კარგი, წადიო, კეფის ფხანვით უთხრა. იგი სტაჟის გულისთვის მესამე წელია მორიგედ მუშაობდა. და, ვინც იცის, ამჯერად, იქნებ, ინსტიტუტის შინაგანაწესის დაცვაზე უფრო მეტად დესპინეს ახლოდან, სწორედ ასეთ პოზაში, დანახვის სურვილი ჰქონდა.

სტუდენტიც მიხვდა, რომ სილამაზის ყოვლისშემძლეობის სცენა გათამაშდა. თავბურძგლა მორიგეს მრავალმნიშ-

ვნელოვნად გაუღიმა, პლაში მხარზე გადაიგდო და კიბე აირბინა.

აუდიტორიის კარი შეაღო თუ არა, ფეხზე მდგარმა ჯგუფხელმა გარაყანიძემ ჟურნალზე დახრილ გრამატიკის ლექტორს გურამ ქსოვრელს შეაგება:

– პატივცემულო, არა არ დაუწეროთ, მუმლაძე მოვიდა!

ქსოვრელმა უგემურად გამოხედა დაგვიანებულ სტუდენტს, მერხებისკენ ხელით ანიშნა და სიის ამოკითხვა განაგრძო.

ლექციას ოცდაშვიდი სტუდენტიდან, ამჯერად, მხოლოდ ცხრა არ ესწრებოდა, ჯგუფხელი იუწყებოდა, რომ ის ცხრაც ისეთი საპატიო მიზეზით აცდენდა, როგორიცაა „დეკრეტში ან კინოგადაღებაზე ყოფნა, ავტოავარიაში მოხვედრა ან გამზრდელი ბებიის გარდაცვალება“. გურამს ჯგუფხელისა იოტისოდენაც არ სჯეროდა, ამიტომაც „არებს“ ყველა არმყოფს უწერდა, მერე დეკანატმა არკვიოს, ვინ აცდენს საპატიოდ და ვინ არაო.

სიის ამოკითხვა რომ დაამთავრა, სათვალე მოიხსნა, თვალის გუგები გულმოდგინედ ამოისრისა, კათედრიდან ჩამოვიდა და ზურგზეხელებდაწყობილმა მერხებს შორის გაიარა. მერე კვლავ კათედრას დაუბრუნდა და ხახაში ჩაყენებული, ყიყინა ხმით იკითხა:

– ვინ შეგვახსენებს, რაზე ვსაუბრობდით წინა ლექციაზე?

ქსოვრელს წესად ჰქონდა, ლექციის პირველ ნახევარს წინა საუბრის გამოკითხვას ანდომებდა. ეს მეთოდი ოქსფორდის უნივერსიტეტში სტაჟირებაზე ყოფნისას გადმოეღო.

– აბა, ვის სურს დღეს თავის გამოჩენა?

რაკი თავის გამოჩენის მსურველი არ აღმოჩნდა, ლექტორმა ჟურნალს დაადო თითი:

– ლითანიშვილი!

– წინა ლექციაზე არ გახლდით, პატივცემულო! – პასუხი მზად ჰქონდა ლითანიშვილს.

– იმნაძე!

უკანა მერხიდან, სათვალიანი, წრიპა გოგო წამოდგა და მორცხვად დახარა თავი.

– იმნაძე, გისმენთ, – ლექტორმა სათვალის ბოლო პირში ჩაიდო და კბილებს გაუკაკუნა.

– იცით რა, პატივცემულო, არ მახსოვს.

ლექტორი პირველად როდი ისმენდა ასეთ პასუხს, ამიტომ გარეგნულად მშვიდად, უდრტვინველად შეხედა იმნაძის ნათქვამს.

– არ მისმენდით, იმნაძე?

– როგორ არა, პატივცემულო, მაგრამ იცით, დამავიწყდა.

– დაბრძანდით. ვინ მოისმინა წინა ლექცია, ვის ახსოვს, სტუდენტებო?

აუდიტორია გაინაბა.

– ჩხობაძე! – ეს ერთადერთი ჩხობაძე იყო, რომელსაც ყოველთვის ყველაფერი ახსოვდა. იგი, მაღალი, უწვერულვაშო ყმაწვილი, ახლაც წამოდგა, მაგრამ ქსოვრელმა გადაწყვეტილება შეიცვალა, – დაბრძანდით ჩხობაძე, სულ ჩხობაძე ხომ არ ილაპარაკებს.

უსიამოვნო, ავისმომასწავებელი სიჩუმე ჩამოვარდა. ახლა ლექტორი ჩვეულებრივად ხელს ჩაიქნევდა, არ გამოვა თქვენგან არაფერიო, იტყოდა და ლექციის კითხვას შეუდგებოდა, მაგრამ დღეს ქსოვრელმა დაარღვია თავისი სქემა, მერხებშუა გაჩერდა და გულზეხელდაკრეფილმა სასოწარკვეთილის ხმით იკითხა:

– რა ხდება, მეგობრებო, ამიხსენით.

ახსნას არავინ აპირებდა.

– გულწრფელად მაინტერესებს. მესმის, ათასი საზრუნავი გაქვთ, მაგრამ ისე რამ დაგიქვეითათ მეხსიერება, ერთ კვირასაც რომ ვერ იმახსოვრებთ ჩემს ნათქვამს?

– გაზაფხულია, პატივცემულო! – ჩაილაპარაკა გარაყანიძემ.

– კი მაგრამ, ეს გაზაფხული მარტო თქვენთვის არის? გეფიცებით სინდისს, ოცი წელია ამ ინსტიტუტში ვმუშაობ და ასეთი უღიმღამო, მოშვებული, უინტერესო ჯგუფი ჯერ არ შემხვედრია. იქნებ ჩემი ბრალია. მითხარით გულახდილად, იქნებ ლექციას ვერ ვკითხულობ, როგორც საჭიროა?

– როგორ გეკადრებათ. ძალიან კარგ ლექციას კითხულობთ! – თქვა იმნაძემ.

– აბა, რა ხდება, ამიხსენით, ძალიან გთხოვთ, იქნებ უფრო დიდი საქმეებით ხართ დაკავებული? დამერწმუნეთ, მე არა ვარ ისე ჩამორჩენილი კაცი, რომ ვერ გავიგო, მითხარით. იქნებ თქვენ შორის, რომელიმე დიდი საკაცობრიო გამოგონებითაა დაკავებული და ლექციების მერე ნახაზებს ჩაჰკირკიტებს.

სტუდენტები სდუმდნენ. ვიღაცამ გაიცინა.

– იქნებ მწერლობითაა გატაცებული რომელიმე თქვენგანი, თუ ჭეშმარიტ მწერალთან მაქვს საქმე, ვაპატიებ გრამატიკისადმი უყურადღებობას, რა ვქნა ახლა.

ჯგუფში არც მწერალი აღმოჩნდა.

– გთხოვთ, ნუ დამიმალავთ, იქნებ დიდი სპორტსმენია თქვენ შორის ვინმე? მე ვიცი, რა არის ახლანდელი სპორტი. გრამატიკის კი არა, თავის მოფხანვის დროც არ დაგრჩება. არც სპორტსმენია თქვენ შორის?

აუდიტორია უფრო გაყუჩდა.

– ამიხსენით, რას საქმიანობთ ლექციების შემდეგ? წიგნი თქვენ არ გინდათ. სხვა რამე, საინტერესოს არ მისდევთ, იქნებ ფილატელისტობით, ან ნუმიზმატიკით ხართ გატაცებული?

კვლავ გაიცინა ვიღაცამ.

– რას იფიქრებდით თქვენ, ჩემ ადგილას, მითხარით, გულწრფელად. ახლა ისეთი გამოცდებია, მე რომ ვაბარებდე – პროფესორი გურამ ქსოვრელი, მისაღებ გამოცდას, გამიჭირდება ამ ფაკულტეტზე მოხვედრა. თქვენ ვინ მიგიღოთ, რანაირად მოხვდით ასე მოდუნებულნი, შინაგანად ცარიელნი, საზოგადოებრივად პასიურნი, მაპატიეთ, ყველას ერთნაირად არ გეხებათ. რა ხდება? რაიმე შეთქმულებაში ხომ არ მონაწილეობთ და ხომ არ მიმალავთ? მიწისქვეშა ხვრელი ხომ არსად გაგყავთ და მოჩვარული კაცის ნიღაბს შეგნებულად ხომ არ ატარებთ, ჩემს მოსატყუებლად?

ხმას არავინ იღებს. ამ სიჩუმემ უფრო გააბრაზა ლექტორი.

– თქვენ, მაგალითად, მუმლაძე, რისთვის დაგაგვიანდათ, რას მიკეთებდით ამ დილით?

მუმლაძე ადგა, ჯერ ქსოვრელს შეხედა და მერე ფანჯარას შეავლო თვალი, გარეთ ინსტიტუტის ჭიშკარშემოხვეულ იასამანს სასწაულებრივად გადაერჩინა ცაში შემართული ორიოდე ყვავილი.

– რატომ დაგაგვიანდა მუმლაძე?

მუმლაძეც დუმდა.

– დაბრძანდი.

დესპინე დაჯდა და კვლავ იასამნის ყვავილისკენ გაექცა თვალი.

* * *

შესვენებაზე გურამ ქსოვრელი საპროფესოროში, რბილ სავარძელში მიყუჟულიყო და თავის უიღბლო ხელობაზე ფიქრობდა: რაზე ვიშლი ნერვებს, რისთვის ვიმართებ ინფარქტს? კვლევით ინსტიტუტში გავუცვლი ვინმეს ადგილს. ჩემთვის, წყნარად მაინც ვიქნებიო, დაასკვნა ბოლოს და ამასობაში ზარიც დაირეკა.

არცთუ პატარა დრამა

ეზოში თეთრხალათიანი მენაყინე შემოვიდა და წარწერებით კანდასერილი ცაცხვისკენ წავიდა. შავულვაშა, ტანსრული, ორმოციოდე წლის კაცია. თეთრი ბერეტი ახურავს. დაკაპიწებულ მკლავებზე სვირინგები მოუჩანს. ყუთი მოიხსნა და ძელსკამზე დადო. მაღლა აიხედა. ცხვირსახოცი ამოიღო. შუბლკისერი შეიწმინდა, ფეხები გამართა და თავით ხეს მიეყრდნო. ორიოდე წუთში მის გვერდით ტრუსისამარა, ფეხშიშველა, თავბურძგლა ბიჭი გაჩნდა. ერთმანეთს არც მისალმებიან. კაცმა ნაყინი ამოიღო და გაუწოდა. ბიჭმა ფრთხილად შემოაცალა ქაღალდი და ჭამას შეუდგა. ეტყობა, ნაყინი ძალიან უყვარს.

– სახლშია? – კაცმა ბერეტი შუბლზე ჩამოიწია.

– კი.

– რას შობა?

– არ შევსულვარ. წამოწოლილი იქნება.

– გუშინ რომელზე მოვიდა?

– ადრე იყო. დაწოლილები არ ვიყავით.

– ბიძაშენი შინ იყო?

– ერთი ფეხით მოასწრო.

– იჩხუბეს?

– ყოველდღე არ ჩხუბობენ?

– რაიო, რა უთხრა?

– დღეს მაინც სად იყავი, შე ბოზოვო.

– რაიო?

– შე ბოზოვო.

– ეთერიმ?

– ეთერის ხმა არ გაუცია, თავის ოთახში შევიდა: უწინ ტიროდა. ახლა აღარ ტირის ჩხუბის დროს.

– უწინ ტიროდა?

– კიე. ახლა ჩუმად უსმენს, უსმენს და შედის თავის ოთახში.
– ხელი ხომ არ დაურტყამს?
– არა, უწინ ურტყამდა. ახლა აღარ ურტყამს. სულერთია, მაინც ვერ აკავებს სახლში.
– სად დადის თუ იცი?
– რა ვიცი მე.
– ყოველ საღამოს გადის სახლიდან?
– კიე.
– აბა, შე ბოზოვო, ასე უთხრა?
– კიე, შე ბოზოვო.
ეზოში ჭრელყურება, აქელებული ძაღლი შემოვიდა. ჯერ ბიჭს დაჰყნოსა ფეხებზე, მერე მენაყინეს, სკამეიკის ქვეშ შეძვრა და გაიშხლართა.
– წუხელი რომ დაბრუნდა, რომელი კაბა ეცვა?
– არ მახსოვს, მგონი ცისფერი.
– უხდებოდა?
– რა ვიცი მე.
– ბიძაშენი, მაგალითად, საღამოს ეუბნება, არ წახვიდეო?
– უწინ უშლიდა.
– მერე?
– ეთერი მაინც მიდიოდა.
– ახლა?
– ახლა აღარ უშლის. რო დაბრუნდება, მარტო მაშინ ეჩხუბება.
– მამაშენი რას აკეთებს მაგ დროს?
– არაფერს. იმგენის ჩხუბის დროს ბალკონზე გადის.
კაცმა ყუთს თუნუქის თავი ახადა. ხუთი ნაყინი ამოიღო.
– აუტანე.
– არ შეჭამს.
– შენ მაინც აუტანე.
ბიჭმა ნაყინები გულზე აიხუტა და კიბე აირბინა. მენაყინეს ასული არ ეგონა, რომ ბიჭი უკან მორბოდა. ხუთივე ნაყინი ყუთზე დააწყო, დაჯდომისას მაღლაშედგმულ მარჯვენა ფეხს ნიკაპით დაეყრდნო და მიწას ჩააჩერდა.

– რა თქვა?
– რას იტყოდა, მადლობელი ვარ, არ მიყვარს მაროჟნიო.
– რას აკეთებდა?
– იწვა. წიგნს კითხულობდა.
– თვალები ნამტირალევი ჰქონდა?
– არა.
– გლახა ხასიათზე იყო?
– არაფერ ხასიათზე არ იყო. წიგნს კითხულობდა.
– არ მიყვარს, აბა, მაროჟნიო?
– შენც ხომ იცი, რომ არ უყვარს.
– შენ უთხარი, მოშემ გამომატანაო?
– არ მითქვამს. თვითონ მიხვდებოდა.

მაღლა ჭრიჭინობელა აჭრიჭინდა. ქუჩაში ჯართის შემგროვებელმა მანქანამ ზარის რეკვა ატეხა.

– შეჭამე ეს მაროჟნი, გადნება ტყვილად.
– აღარ მინდა, – ბიჭს თავი არ აუწევია.
– როდის მერეა, რომ არ გიყვარს?
– რავა არ მიყვარს, უბრალოდ, ახლა არ მინდა.
– ეთერის ხომ არ უთქვამს, არ გამოართვაო?
– არა. მე თვითონ არ მინდა რაღაცა, დღეს.
– აბა, დედა დაიფიცე?
– დედას გეფიცები.
– ჰა, ეს ხუთი მაროჟნი და მიეცი ვინმეს, შენ თუ არ გინდა.
– მადლობელი ვარ.

ბიჭმა ნაყინი კვლავ გულზე მიიხუტა და ეზოს უკანა, ვიწრო ჭიშკრისაკენ გაიქცა.

მენაყინე ადგილზე დარჩა, ფეხებგამართული, თავით ცაცხვსმიყრდნობილი.

ცოლი

ცოლის ქება რომ აუგია, ჩემზე უკეთ თქვენ იცით, ბატონო, მაგრამ სიტყვას მოჰყვა და, ჩემს მეუღლეზეც უნდა გიამბოთ. თქვენ რომ არ წამოგეწყოთ ეს საუბარი და არ შეგეთამამებინეთ, ალბათ, არც მე გამახსენდებოდა, კაი ხანია არავისთვის მიამბნია. ფარსაგი არაფერი გეგონოთ, ჩვეულებრივი ამბავია.

მეც მედღეხვალიე კაცი ვიყავი ზოგიერთივით და დაოჯახება დამიგვიანდა, ცხონებულმა ბიძაჩემმა, მარტოხელა გახლდათ, ერთოთახიანი ბინა დამიტოვა და იმ ბინამ კინაღამ დამღუპა, უშვილძიროდ კინაღამ გადამაგდო. უნივერსიტეტი რომ დავამთავრე, ჩამოვედი გოჭოურაში, „ტყავფეხსაცმელში“ დავიწყე მუშაობა უმცროს ეკონომისტად და ვიყავი არხეინად. არხეინად იმიტომ, რომ ერთოთახიანში ვცხოვრობდი, ბიძაჩემის ანდერძის წყალობით, თავზე არ მაწვიმდა, თორემ შემოსავლით დიდად გალაღებული გახლდით-მეთქი, რომ გითხრათ, ტყუილი იქნება, ხელფასზე ვიჯექი. ზოგს ასე ეგონა მაშინ, „ტყავფეხსაცმელში“ თუ მუშაობ, თავი ქუდში გაქვსო, მაგრამ არც იმ დროს იყო მთლად ასე. სად იყო ფული, ფულს უმცროს ეკონომისტამდე ვინ მოუშვებდა. ბედს მაინც არ ვუჩიოდი, რაც მეტს იშოვი კაცი, ხომ იცი. მადაც გემატება. საბანს ისე ვიხურავდი, როგორც მწვდებოდა და მივყვებოდი დღეებს აღმადაღმა. ერთოთახიანი ბინის პატრონი უცოლო კაცები, დამერწმუნეთ, თითქმის ყველანი ერთნაირად ცხოვრობენ. ოჯახს არ ეკიდებიან, ფართობი არ გვეყოფაო, ხოლო ის საეშმაკო და სამამაძაღლო საქმიანობისთვის, უმეტესი მათგანი რომ ეწევა, ერთოთახიანი ბინა ფრიად მოხერხებული რამ არის. ასე რომ, ჩემი ფიქრით, ერთოთახიან მარტოხელა კაცებს, თუ მათთვის კარგი გვინდა, ან მეორე ოთახი უნდა დაუმატო და მკაცრად დაავალო ცოლის შერთვა, ან ის ერთიც უნდა წაართვა და ქუჩაში და-

ტოვო. ჩემს აზრს მოგახსენებთ, რასაკვირველია. და კანონის ძალას ნუ მისცემთ ამ ჩემ ნათქვამს, მე თვითონვე გთხოვთ.

გადიოდა დრო, გარბოდნენ წლები. ჯერ ისე არ გამჭირვებია, რომ ცოლი შევირთო-მეთქი, ვიმეორებდი უცოლშვილოთა აჩემებულ ნათქვამს, ხოლო უპრეტენზიო და მშვენიერი ქალები, ღვთის წყალობით, მაშინაც საკმარისად იყვნენ.

თავი რომ არ მოგაწყინოთ, ნელ-ნელა ჩავდექი ჯიუტ უცოლოთა მწყობრში, ჩემი წრე მაქვს, ჩემს პატატვრან სიყვარულებს ვაგროვებ, ჩემს სეზონურ ტრფობა-ცრემლობანას და წერილობანას ვთამაშობ. ორმოცს რომ მივუკაკუნე, ჩემს თავს მე თვითონვე ვუთხარი: – ერიჰაა, ნამეტანი გაუტიე, ბუჭა ხომერიკო. ასე არ ივარგებს, ყურები გამოიფხიკე და, მამაჩემსა აქვს ცხონება, პირველივე ქალი, რომელიც თვალში მოგივა, რასაკვირველია, თუ შენს ცოლობას ღვთის რისხვად არ მიიღებს, შეირთე და ოჯახს მოეკიდე-მეთქი.

ვთქვი და გავათავე კიდეც. იმ წელს მოანგარიშეთა კურსებზე საბუღალტრო აღრიცხვის საათები მომცეს. მოვძებნე სტუდენტობისდროინდელი, დაჩრჩილული რვეული და შევუდექი ლექტორის ძნელი პურის ჭამას. ერთ კვირაში, კარგად რომ მივიხედ-მოვიხედე, სამტრედიელ მოანგარიშე გოგოს დავადგი თვალი. ბევრი გაკითხვა-გამოკითხვა არ დამიწყია, ამ საქმეს რაც მეტს გააჯანჯლებ და ხალხის ჩარევას დაიწყებ, მით უფრო ცუდად დამთავრდება. შესვენებაზე სამასწავლებლოში დავიბარე გუგული და მიკიბვ-მოკიბვის გარეშე ვაჯახე ცოლად გამოყოლის წინადადება. ხვეწნის და დევნა-ლოდინის თავი არა მაქვს, ა, ეს ვარ, რაცა ვარ და, თუ ქალი ხარ, ხვალ მითხარი პასუხი-მეთქი. რაღა ხვალ, ახლავე გეტყვიო, გაეცინა, რა გაქვს ჩემი დასაწუნიო. თურმე იმასაც ჩავვარდნოდი გულში. მე მორწმუნე არ გახლავართ, მაგრამ რაღაც შინაგანი ძახილი აპოვნინებს ხოლმე ადამიანებს ერთმანეთს. კარგა ხნის მერე მითხრა ჩემმა ცოლმა: შემოხვედი თუ არა ჩვენთან ლექციის წასაკითხად, იმ წუთიდანვე ვიცოდი, რომ შენი ცოლი გავხდებოდიო, სამასწავლებლოში რომ დამიბარე, უკვე მესმოდა, რასაც მეტყოდი და ისიც კარგად ვიცოდი, რაც უნდა მეპასუხნაო.

ასე, გაუჭირვებლად ჩაიფარცხა ჩვენი საქმე. ერთი კვირის შემდეგ განცხადება შევიტანეთ და პატარა პურმარილი გავმართეთ. შვიდ-რვა ძმაკაცს დავუძახე, მეტის თავი არც მქონდა, მშობლებსაც არ შევატყობინეთ. ჩემებს იმ შუა ზამთარში ჭრებალოდან ჩამოსვლა გაუჭირდებოდათ, გუგულის ავადმყოფი დედაღა ჰყავდა. ამ, და სხვა მიზეზების გამოც, გაზაფხულზე დავთქვით ქორწილი.

განცხადება შევიტანეთ-მეთქი, უკვე მოგახსენეთ და სუფრა რომ ჩამთავრდა, მივაცილე გუგული თავის საერთო საცხოვრებელში. კაკიტელაშვილის ქუჩაზე იყო მაშინ, ახლა მგონი იმ შენობაში ფარმაცევტული სასწავლებელია. ცოლი ხარ ჩემი დღეიდან, ქალბატონო გუგული, შეკარი შენი ბარგი და წამოდი ჩემთან-მეთქი. ამ წუთში ჩამოვალ, დამიცადე, არ წახვიდეო, თქვა, და გაფრთხიალდა. წისქვილის ბორბალი შვიდ შემობრუნებას ვერ მოასწრებდა, ისე ჩქარა გაჩნდა ჩემ წინ პატარა, ნაცრისფერი ჩემოდნით ხელში. იმ ჩემოდანს აქამდე ვინახავდით, მაგრამ ბავშვებისაგან ვერ ვიპატიეთ, ჯერ სათამაშოებს ყრიდნენ შიგ, მერე აფრა გაუკეთეს და ნავად აჯალჯღალებდნენ აბაზანაში.

პირველ ღამეს ვათევ ჩემს ცოლთან და ბედნიერებასთან ერთად, ცოტა არ იყოს, შიშიც გამიჯდა გვერდებში. რისი შიში? ვინმემ არ მომიკაკუნოს შუაღამეზე. არ მომეჭრას თავი. რა დაგიმალოთ და, უსტუმრობას არ ვუჩიოდი მაინცდამაინც. ხან ქმარსგაშორებული ნაზიკო შემოირბენდა, ბავშვს და დედამთილს რომ დაძინებულს დაიგულებდა, ხან, ეს უფრო მიწყალებდა გულს, ძმაკაცთაგანი დამეღრიჯებოდა: გოგო მყავს მოყვანილი და ჩამოგვაჯინე ხუთ წუთს შენ ლოგინზეო. რამდენჯერ „მისეირნია“ შუაღამისას აკანკალებულს ეზოში და შორიდან მითვალიერებია ჩემი ოთახის ჩამქრალი ფანჯრები. არადა, ისე ჯიუტია ზოგიერთი, შენც რომ სტუმრად ქალი გყავდეს, არ შეგეპუება, გააცილე ჩქარა და შემომიშვი, კაცი არა ხარო? არ შემოუშვებ და ცუდი კაცი ხარ, შემოუშვებ და ერთსაათიანი იძულებული ბოლთის ცემით გამწარებული, სწყევლი მარტოხელა კაცის გაჩენას.

ისე აგიხდეთ ყოველივე კარგი, როგორც მე ეს შიში გამ-

იცხადდა. შუაღამისას ფრთხილი კაკუნი გაისმა. ჯერ წავუყრუე, იქნებ გუგულიმ ვერ გაიგონოს-მეთქი. ქალს კატის სმენა აქვს, შენ გამოაპარებ რამეს? საათს შევხედე, პირველს აღარაფერი აკლია. მივფშლატუნდი კართან ტრუსის ამარა. გავაღე და ელდა მეცა. ყელმოღერებული, თეთრხუჭუჭთმიანი, ანგელოზივით რუსის გოგო დგას კართან ჩემოდნით ხელში. დავაკვირდი – ლუსია, ლუსია კურჩატოვა. ამ ზაფხულს გავიცანი ზღვაზე, სევერნოდვინსკიდან ვარო, მისამართიც მიწერია ბლოკნოტში სადღაც. რა ქვას ვეცე ახლა, ამ შუაღამისას. რამ გაახსენა ჩემი თავი ამ ოჯახაშენებულს. თუმცა რაღა რამ. რაც მე ამას სიყვარული ვუმტკიცე. კურორტის ლამაზ ფერიებთან ლაპარაკი ყველა მამაკაცს მშვენივრად გვაქვს დამუშავებული: მე-მეთქი ჩემი ბუნებით გულჩახვეული, უენო კაცი ვარ და პირველი, ერთადერთი გოგო, რომელსაც გავესაუბრე, თქვენ ბრძანდებით-მეთქი. ადამიანი რომ შეგხედავთ, ისეთი სათნო თვალები გაქვთ და ისე სუფთა გამოხედვა, რომ არ შეიძლება სიმპათიით არ განეწყოს თქვენს მიმართ-მეთქი. აჰა, ჩემი გული და ჩემი მისამართი, სიკვდილამდე ერთგულ მეგობრობას გთავაზობთ-მეთქი. საქართველო ღვთის სიკეთით პირთამდე სავსე ქვეყანაა, იქნებ დაგჭირდეთ ხილეულ-ციტრუსეული, ღვინო, სუფთა ჩაი, ხურმის ჩირი და ამისთანობა, პირველივე თქვენს ზარზე ერთ ვაგონს გამოგიგზავნით-მეთქი. საერთოდ, როგორც კი დროს იშოვით, ჩამობრძანდით, გოჭოურა დინოზავრების ქალაქია, რიონის პირას თხმელებში ახლახან „არგოს“ ნარჩენები იპოვნეს-მეთქი. ნამეტანი დაპირება ვიცით, მაგრამ იმ წუთებში ისე უხდება საქმეს. ჰოდა, მოკიდა თავის ჩემოდანს ხელი ლუსიამ და ჩამოვიდა ამ სიშორეზე. რას ეტყვი, მე რა ვიცოდი, ცოლს თუ შევირთავდი ასე მალე. კაცმა რომ თქვას, არც თვითონაა მთლად მართალი. დაერეკა (თუმცა სად დამირეკავდა, სადაა ტელეფონი) ან დეპეშა მაინც გამოეგზავნა მაგ მამაგანათლებულს.

გამოვიხურე კარი და გადავეხვიე ლუსიას. საიდან, როგორ, რატომ არ შემატყობინე, ამ შუაღამეზე რამ მოგიყვანა-მეთქი. მიხვდა, რომ შევცბი, მთლად ისე რომ ვერაა ჩემი საქმე, როგორც ელოდა. მოსკოვ-წყალტუბოს ჩამოვყევიო.

„გოჭოურა-მეორე“ სადგური თქვენგან საკმაოდ შორს ყოფილა, ავტობუსს საათ-ნახევარი ველოდე და მერე ტაქსს გამოვყევიო. შინ რატომ არ მეპატიჟები, სტუმარი ხომ არ გყავსო. – ჩემო ლუსია, საყვარელო, ცრემლი ყელში მაწვება, ცოლი შევირთე-მეთქი. „ტი ჩტო-ვო“, გაიკვირვა, მერე უეცრად სევდამ გადაურბინა გადატკეცილ, ლამაზ სახეზე, რა ვქნა აბა ახლა, სადღა წავიდე ამ შუაღამეზეო.

ამასობაში გუგული ამდგარა, ხალათი ჩაუცვამს და გამომდგომია. „ვის ელაპარაკები, ბუჭა, შემოიყვანე სახლშიო“, მეძახის. კარი გავაღე და ერთმანეთს წარვუდგინე. გაცნობის ცერემონიალი მშვიდად ჩამთავრდა. მოსალოდნელზე გაცილებით უფრო ტკბილად შეხვდნენ ერთმანეთს. ჩემი დალეწილი რუსულიდან სწრაფად ჩამოვქართულდი, რაღა ახსნა უნდოდა, მაგრამ მაინც: გუგული-მეთქი, ეს გოგო ამ ზაფხულს ზღვაზე გავიცანი და სტუმრად ჩამოვიდა. რა ცეცხლში ჩავვარდე, არ ვიცი-მეთქი. ვენაცვალე, იმის შემდეგ ორჯერ მეტად შემიყვარდა ჩემი ცოლი, რა სასწაული ეს არის, მაგრამ ყველა გაგიგებს? ქორწინების პირველ ღამეს გაფაშფაშებული რუსის გოგო მოგადგა ჩემოდნით ხელში, პატარა საქმეა? „ზახადიტე პაჟალუსტაო“, გუგულიმ, შემოიყვანა, მოეფერა, სუფთა პირსახოცი მხარზე გადააფინა და აბაზანაში შეუძღვა, ჩაი გააწყო, დაალევინა, აბრეშუმის კულულებზე ხელს უსვამს, ალბათ, გზაში ნამეტანი გაწვალდითო, ეჭიკჭიკება ჩიქორთულად.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ აწი რაღას შვრები, ბუჭა ხომერიკო. სად აწვენ ამ გოგოს. ერთადერთი არაბული ტახტი გვაქვს. შეზლონგი მქონდა მიყუდებული კამოდს უკან, მაგრამ მეზობელს სტუმარი ჩამოუვიდა და, ჩემდა იღბლად, გუშინწინ ვათხოვე, რა ვქნა ახლა?

სად დავაწვინოთ ეს გოგო-მეთქი, გადავუკარი გუგულის. წარბიც არ შეუხრია. ჩემს გვერდით დავაწვენ, აბა, ეს რომ სასტუმროში მივიყვანოთ, გადარევენ, თუ ვინმე სალახანაა გოჭოურაში, ამის კართან დადგებაო. არ იცი, რა დაფეთება იციან, ამნაირი თმის პატრონ გოგოებზეო?

ასე იყო თუ ისე, მოვასვენე, ჩემი ცოლის გვერდით არაბულ ტახტზე ლუსია კურჩატოვა, მე კი – სიძე-კაცი ნათლიაჩემს

მივადექი შუაღამეგადასულზე. რომ მოვუყევი, ასე და ასე მომივიდა-მეთქი, ფარანი ხელიდან გაუვარდა ნათლიაჩემს და ისეთი სიცილ-ხითხითი ატეხა, ოჯახის წევრებს ვინ დაეძებს, მეზობლებიც დააღვიძა.

ხვამლს კარგად აშორებული იყო მზე, ნირწამხდარი და ფეხათრეული შინ რომ დავბრუნდი. სხედან ჩემი ცოლი და სტუმარი, ჩაის შეექცევიან და ისე ტკბილად მასლაათობენ, თითქოს ერთი დედის მუცლიდან იყვნენ ნაშობნი და მთელი ცხოვრება ერთად გაეტარებინოთ. „რა მშვენიერი გოგოა, რა საყვარლად ფშვინავდა, რომ იცოდე, მთელი ღამეო. დაძინებულზე ამის ყურებას არაფერი სჯობდაო. რა სუფთა გოგოა, რომ იცოდე, დაწკრიალებული აცვია ყველაფერიო. ნამეტანი ალალი გულის პატრონია, მიამბო ყველაფერი. მომკლა ამის საცოდაობამ, ლოთი შეხვედრია თურმე ქმარი და ხუთ თვეში გამოქცევიაო. ქსოვილ-კომბინატში ვმუშაობ და საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობო. ისე, რომ უჭირს, ეტყობა საწყალს. უბრალო აცვია ყველაფერი, მაგრამ კოხტად მორგებული. სად ექნებოდა ამას ამხელა გზის ფული. ხელფასზე მორჩენილი კაპიკებითაა, ალბათ, ჩამოსულიო“.

გუგული ამას რომ მეუბნებოდა, ოქროსთმიანი სტუმარი ხან მე შემომხედავდა და ხან ჩემს ცოლს შეავლებდა ალერსიან მზერას. გადამდები, მომნუსხავი სითბო და თვინიერება დასადგურებულიყო მის დიდრონ, ცისფერ თვალებში.

ერთ კვირას დარჩა ლუსია გოჭოურაში. ის ერთი კვირა გვერდიდან არ მოვშორებივართ მე და გუგული. მთელი დღე ხელჩაკიდებული დავატარებდით. რაც შეგვეძლო, ვაგეგუთვაგელათებდით, ხოლო ღამით სტუმარი ჩემი ცოლის გვერდით იწვა და მე, სამზარეულოში, შეზლონგზე მეძინა.

გაცილებისას რაიონის სადგურში ისე ხმამაღლა აქვითინდნენ და ჩაეფსკვნენ ერთმანეთს – ძლივს მოვაშორე.

ახლაც დიდი მიმოწერა აქვს ჩემს ცოლთან ლუსიას. ჩამოსვლით კი მეტი აღარ ჩამოსულა. გათხოვდა მალე და, ალბათ, ქმარმა აღარ გამოუშვა.

ხანი

უჯრას რომ ალაგებდა, შერმადინ გალდავამ ქაღალდის ნაგლეჯი იპოვა. დახედა და შლატე მსხალნაჭამივით დაემანჭა სახე. დაჭმუჭნა და საქაღალდე გიდელწნულში გადაუძახა. ერთხანს ყინტორა კისერზე ისვა ხელი; ამ დილით იგრძნო, რომ თავის უეცრად მოტრიალებისას კეფის ქვემოთ, კისრის მალა ტკაპუნობდა. შალით დავიზელ და გამივლისო, გადაწყვიტა, მაგრამ ძველმანებით სავსე უჯრამ შეიყოლია და მალის ტკაპუნი გადაავიწყდა. მერე, თითქოს რაღაც გაახსენდაო, გიდელწნულში ხელი ჩაჰყო, წელან დაჭმუჭვნილი ქაღალდი მოძებნა, გაშალა და წაიკითხა: „პოლიტმეცადინეობა სამშაბათს 12 საათზე, კოლაუ ნადირაძის წიგნის შოვნა, კულაკოვას წერილი ხარკოვში, ფერიდე – 61-07-89“. საზოგადოებრივი თვალსაზრისით ქაღალდის ეს ნაგლეჯი, რასაკვირველია, საინტერესოს არაფერს წარმოადგენდა. თუ მეტი არა, თვრამეტი წლის წინ მაინც გახლდათ დაწერილი და შერმადინის უცოლობის ხანგრძლივ, დრამატული დღეებით სავსე პერიოდს ეკუთვნოდა. წარწერის ზედა სამ პუნქტს განმარტება არ სჭირდება და არც გალდავა შეაჩერებდა თვალს თავის ორი ათეულისწინანდელ საქმეებზე, მაგრამ ის, რამაც შერმადინს დაჭმუჭვნილი ქაღალდი გიდელწნულიდან ამოაღებინა, რაღა მიხვედრა უნდა, გახლდათ „ფერიდე – 61-07-89“.

ფერიდე მაშინ ჩამკრახული ბალივით მკვრივი და ფეროვანი გოგო იყო, სკოლა ახალი დამთავრებული ჰქონდა და გაზაპარატის ქარხანაში მუშაობდა სტაჟისთვის. საახალწლო ბალ-მასკარადზე შეხვდნენ ერთმანეთს. არც კი ახსოვს, ვინ მიიწვია. ჩიტივით თავისუფალი, უცოლო კაცი იყო შერმადინი და, რა დასამალია, ასეთ საღამო-შეკრებაზე დასწრების საშუალებას ხელიდან არ გაუშვებდა. მეორეჯერ რომ გაი-

წვია „მასკარადის თვალი“ საცეკვაოდ, ფერიდემ ამოიხვნეშა და მამაკაცთა ყურადღებით გულგაწყალებული ლამაზი გოგოს ინტონაციით ჰკითხა, – რამდენი წლისა ბრძანდებითო. ოცდაათის ვხდებიო, გალდავამ დაუფიქრებლად რომ შეაგება, გოგოს მწვანე თვალები ათასი სხივით გაუბრწყინდა, სახე-მხრებზე გადაავლო ეშმაკური მზერა და ლამის დაიყვირა – რა საინტერესოა!? შერმადინი ვერ მიხვდა მაშინ, რომ ცხრამეტი წლის ფერიდეს ოცდაათი წელი უსაშველოდ სოლიდურ ასაკად მოეჩვენა, მაგრამ იმას კი მიხვდა, რომ ეს გაზაფხულის მსგავსი გოგო გულგრილი არ დარჩებოდა ოცდაათი წლის ბედისმაძიებელი ვულკანოლოგისადმი. მით უმეტეს იმის შემდეგ, გალდავა თავის უიშვიათეს პროფესიაზე, რომ ჩამოუგდებდა საუბარს და სხვათა შორის ეტყოდა, რომ ხშირად მივლინებაშია, მომქმედი ვულკანების კრატერთან, ცეცხლგამძლე კარავში ათევს ღამეს და ამოსროლილი ცეცხლის ქვების ტრაექტორიას სწავლობს ლავის მდინარის სიჩქარესთან ერთად.

სინამდვილეში მოქმედი ვულკანი არათუ მაშინ, ახლაც მხოლოდ ტელევიზორში თუ უნახავს შერმადინ გალდავას. ვულკანოლოგია მისი დიპლომისმიერი სპეციალობაა – იდუმალი და შორეული. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე საქწიგნის ცენტრალურ საწყობში უმცროს წიგნთმცოდნე-მეთოდისტად დაიწყო მუშაობა და დღემდე იქ მსახურობს. პირველ ხანებში ხშირად ეცხადებოდა ძილში ცეცხლისმფრქვეველი მთა თავისი ზღაპრული კაშკაშით, მერე, როცა წლები გავიდა, დაოჯახდა, და სიყმაწვილის ოცნებები ისეთმა ყოფითმა სინამდვილემ შეავიწროვა, როგორიც გახლავთ, ბროწეულის საწურის და ბავშვებისთვის ღამის ქოთნის შოვნა, ვულკანის ელვარება თანდათან გაქრა სიზმრებში. ამ ორი წლის წინ ჩამქრალი კრატერი ესიზმრა უკანასკნელად და ეს იყო სულ. ვულკანოლოგის სიყმაწვილეში აღთქმული ცეცხლის კოშკები საბოლოოდ მიინავლა და ჩაიფერფლა.

მამაკაცებს შეიძლება ბევრი რამ დაავიწყდეთ, მაგრამ, ნუ მოტყუვდებიან უყურადღებობისგან გაგულისებული ქა-

ლები. მიამიტი ადამის შთამომავალთ ქალთან დაკავშირებით არაფერი ავიწყდებათ. მეხსიერების მრუმე ეკრანს თანდათან დაუბრუნდა შუქი და სიცხადე. გამოჩნდა ფერიდე – თამამი და მიმნდობი გოგო. ვულკანოლოგზე, არც მეტი არც ნაკლები, სწორედ იმგვარად შეყვარებული, როგორი სიყვარულიც ცხრამეტი წლის გოგონებს შეუძლიათ საერთოდ. რა გასახსენებელი იყო, მაგრამ გალდავამ ის პატარა უსიამოვნო ეპიზოდიც კი გაიხსენა; ვაკის პარკში, ზაფხულის ერთ ცხელ ღამეს გაჯიუტებულ მილიციელს შეყვარებულები დიდი ფიცი-მტკიცებით რომ არწმუნებდნენ; ცოლ-ქმარი ვართ, დრო გამოგვეპარა, არ ვიცოდით, თუ ასე გვიანობამდე და ასეთ მოჩუმათებულ ადგილას ჯდომა არ შეიძლებოდაო. ამ ერთხელ გვაპატიეთ, მეტს აღარ ვიზამთო. განყოფილებაში წავიდეთ, იქ გავარკვევთ ყველაფერსო, გაფუჭებული გრამაფონივით მანამ იმეორებდა წესრიგის დამცველი, სანამ საქმეში ხუთმანეთიანი არ ჩაერია. ისიც კარგად ახსოვს შერმადინს, რომ ეჭვიანობის ნიადაგზე გაიყარა მათი გზები, ვაკის პარკში მომხდარი ამბიდან სულ რაღაც შვიდი დღის შემდეგ. მწერლები ამგვარ დიალოგს რატომღაც გვერდს უვლიან, მაგრამ იშვიათზე იშვიათია შემთხვევა, რომ შეყვარებულს შეყვარებულისთვის ერთხელ მაინც არ ეკითხოს, მითხარი, თუ გიყვარდე, ჩემამდე შენთვის ხომ არავის უკოცნიაო. შერმადინმაც ჰკითხა. ფერიდემ თავი გადასწია, თავისი უძირო, ლამაზი თვალები ღამეში ფოსფორის ზღაპრულ ნათებას რომ გამოსცემდნენ, მთვარეს გაუსწორა და დაიწყო, იმდენად მიყვარხარ, ვერ მოგატყუებო. შენამდე ერთი ბიჭით ვიყავი გატაცებული და ვხვდებოდიო; ნანდაურის დაბნეულ მზერას რომ წააწყდა, მაშინვე დაამატა – მაგრამ მალე ვიგრძენი, რომ ეს სიყვარული არ იყო და ჩემს გზას ვეწიე. სიყვარულით მხოლოდ შენ მიყვარხარო. ახლა ვინ აღარ იცის, რომ ამგვარი „გულწრფელობა“ საქმეს ვნებს. განა რა ასეთი ცოდვა ჰქონდა ჩადენილი ფერიდეს, აღიარებას რომ მოჰყვა? ენისთვის რომ კბილი დაეჭირა, ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა. ოცდაათი წლის ვულკანოლოგგმა ვერ აპატია სიყმაწვილის

პაწაწკინტელა შეცოდებანი შეყვარებულ გოგოს და ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. დაშორდნენ ტირილით, ცრემლის ღვრით, როგორც შეყვარებულები შორდებიან, მაგრამ მაინც დაშორდნენ. განშორების შემდეგ ვაჟმა ტელეფონით ერთიორჯერ მოიკითხა და რომ დარწმუნდა, ფერიდე თვითმკვლელობით ცხოვრების დამთავრებას არ აპირებსო, ცოტა ხანს ეულად იარა და მერე ცოლი შეირთო.

...კედლის საათს შეხედა, თერთმეტი სრულდებოდა. სამზარეულოში შევიდა და რადიოს ხმა აუწია. ცოლი აბაზანაში საქმიანობდა. ბიჭები შუშაბანდში მრგვალ მაგიდას მისხდომოდნენ. მარჯვენებით ერთმანეთს ჩაფრენოდნენ და სახეწამოწითლებულნი, თვალებგადმოკარკლულნი ერთმანეთს მწარე ღიმილით მიჩერებოდნენ. შერმადინს ორი ბიჭი ჰყავდა. უფროსმა შარშან დაამთავრა სკოლა და როგორც იქნა, ოქტომბერში გეოგრაფიული ფაკულტეტის მოსამზადებელ განყოფილებაზე ჩარიცხეს. უმცროსი მეათეკლასელი გახლდათ.

– აბა ჰე, აბა ჰე. ეს მაგიდა დაგრჩათ დაუმტვრეველი, – ჩაილაპარაკა გალდავამ და ბიჭებს წყრომით გადახედა, მაგრამ მკლავის ძალაში მოასპარეზეთ მშობლისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ და, გითხრათ სიმართლე, შერმადინი, ამ შემთხვევაში, მათგან გულისყურის გამოხატვას არც ელოდა.

ტელეფონის აპარატი შემოსასვლელიდან თავის კაბინეტში გაიტანა, კარი მიხურა და აკრიფა – 61-07-89.

– ბატონო, – ყურმილში ქალის ოდნავ გაბზარული ხმა გაისმა.

– თუ შეიძლება, ფერიდე მინდოდა, – გალდავას ყელში რაღაც გაეჩხირა დანაშაულზე წასწრებული ბავშვივით დაიმორცხვა.

– მე ვარ... ალო... ალო...

შერმადინმა მცირე პაუზის შემდეგ ამოიღო ხმა.

– ალო!

– მე ვარ, გისმენთ... გისმენთ...

– ფერიდე მინდოდა.

– მე ვარ, გისმენთ... გისმენთ...

– რა თქმა უნდა, ხმაზე ვერ გამიხსენებთ, შერმადინ გალდავა ვარ მე.

– ოჰო... ეს უკვე საინტერესოა. მართლა შერმადინი ხართ?

– ნამდვილად.

– რამ გაგახსენა ჩემი თავი, ძვირფასო შერმადინ? – ყოფილმა ვულკანოლოგმა ქალის ხმაში ზედმეტი სითამამე შენიშნა და უსიამოვნოდ გააჟრჟოლა.

– მე თქვენ ყოველთვის მახსოვდით.

– დავიჯერო?

– უბრალოდ... ხომ იცი, ცხოვრება... ხან იქეთ, ხან აქეთ, რას შვრები, როგორა ხარ, ფერიდე?

შერმადინმა არც კი იცოდა, „შენობით“ ელაპარაკნა თვრამეტი წლის უნახავ ქალთან, თუ „თქვენობით“.

– ვარ რა, უკეთესად შეიძლება, მაგრამ უარესადაც ბევრნი არიან. შენ?

– ოჯახი, ქმარ-შვილი? – კითხვას გვერდი აუარა შერმადინმა.

– გათხოვებაც მოვასწარი და გამოთხოვებაც... შვილი არა მყავს, – წყნარად, სევდიანად თქვა ფერიდემ, – შენსკენ რა ამბებია?

– ორი ვირის მამა ვარ.

– ღმერთმა გაგიზარდოს. სხვა? ჯანმრთელობა, სამსახური?

– თითქოს არა მიშავს... ისევ წიგნებში ვარ. ფერიდე.

– ბატონო.

– შენი ნახვა მინდა, ფერიდე.

– ოჰო? ძველი სიყვარულის ნოსტალგია? სინანულის თითზე კბენანი?

გალდავას მაღალფარდოვნება ჭირივით სძულდა და, მგონი, ინანა კიდეც ფერიდესთვის ნახვის ნატვრის გაცხადება.

– ისევ გაზაპარატში ხარ?

– რაღა დროისია. იმის შემდეგ ოთხი სამსახური გამოვიცვალე. ახლა საბავშვო ბაღში ვმუშაობ.

– უნდა შევხვდეთ, ფერიდე.

– რაღა დროს ჩვენი შეხვედრაა, დავბერდი ქალი.

– მე რაღა ვთქვა მაშინ. შენზე ათი წლით უფროსი რომ ვარ, დაგავიწყდა?

– ხომ იცი, ქალები უფრო ადრე ვბერდებით.

– ჯერ ერთი, ეგ მართალი არ არის და მეორეც, შენ ისეთი ახტაჯანა გოგო იყავი... შენ... არ დაბერდებოდი, ასე ჩქარა – სიტყვებს თავი ვერ მოაბა შერმადინმა.

– ახლა მთლად გადასაგდები ვარ-მეთქი, რომ გითხრა, არ იქნება მართალი.

– ჰოდა, ნუ მეტყვი, უარს, გთხოვ. ძალიან მაინტერესებს.

– რა გაინტერესებს?

– როგორი ხარ...

– მეტი არაფერი?

– და საერთოდ, სალაპარაკო მაქვს შენთან. რაღაც უნდა გიამბო. – იქნებ დაინტერესდესო, თორემ რა ჰქონდა „საამ-ბობი“.

– დღეს უნდა შევხვდეთ მაინცდამაინც?

– დღეს, კვირაა. აბა, ხვალ ვმუშაობთ მეც და შენც.

– მართალი ხარ. ხვალ მეც არა მცალია.

– ხუთ საათზე. – დაბეჯითებით უთხრა გალდავამ.

– სად?

– ხუთ საათზე. რუსთაველზე, აეროპორტის სალაროებთ-ან.

– მეტროს გამოსასვლელთან დამელოდე. მეტროთი მოვ-ალ. თუმცა... შენ მანქანით ხარ?

– არა... მანქანა გავყიდე – გალდავამ იცრუა. მანქანა არა-სოდეს ჰქონია. საშუალებას რომ თავი დავანებოთ, სურვილ-იც არ გასჩენია.

– კარგი... ესე იგი ხუთ საათზ, მეტროს გამოსასვლელთან.

– შევთანხმდით.

– ხომ მიცნობ შერმადინ?

– არ გრცხვენია? შენ?

– შევეცდები. ყოველ შემთხვევაში, რა გეცმევა?

– მწვანე პლაში. სამხრეებიანი.

– კეთილი, ბატონო, წავედი.

– ნახვამდის.

შერმადინმა ყურმილი დადო და ტელეფონის აპარატი შემოსასვლელში გაიტანა.

მერე ისევ მაგიდას დაუბრუნდა, მაგრამ უჯრის დალაგებას გული ვერ დაუდო. მინას ხავერდის ნაჭერი გადაუსვა, გუშინწინ პროფკავშირულ კონფერენციაზე დღის წესრიგთან ერთად მოცემული „გულახდილი დიალოგები“ დაიდო წინ და კითხვას შეუდგა. ვერც „გულახდილმა დიალოგებმა“ მიიზიდა მისი გონება. ავი ფიქრები ნელნელა ქინქლასავით დაეხვივნენ და გაიტაცეს.

„ეს ყოფილა ცხოვრება? ამისთვის იკლავს ხალხი თავს? რა გავაკეთე, რას მივაღწიე? წიგნების მტვერმა დამახრჩო და ვულკანი გვერდზე მიმრჩა. რას ვწვალობთ, რას ვჯახირობთ, რას ვსაცოდაობთ. ვინ დაგვსაჯა ასე, ვინ გაგვწირა, ვინ დასწყევლა ადამიანთა მოდგმა – სიკვდილამდე მოუცლელს გევლოსო? ახლა რაღა რჩება? რამდენი მშვენიერი დღე და საათი მაქვს ჩემი თავისთვის წართმეული და ათასი სისულელისთვის დახარჯული. რისთვის, კაცმა რომ თქვას? „როგორ შეიძლება, არ გეკადრებას“ ჩაქუჩს ვუხახუნებ ყოველ დღე ჩემს სურვილებს. ესაა ცხოვრება? ზოგმა ყველაფერი მოასწრო ამ ქვეყანაზე, ისიც და ისიც და ისიც და ისიც. პურის ფულისთვის ღოღიალს გადავყევი და ფერიდე კი არა, საერთოდ სიყვარული დამავიწყდა ამ ქვეყანაზე. სამსახურში ქალზე ლაპარაკს რომ დაიწყებდნენ, განზე გავიხედავდი. სასიყვარულო თავგადასავლები მოცლილი, ლაზღანდარა, არასერიოზული ხალხის საქმე მეგონა. რას ვთვლიდი მეორეხარისხოვან და ფუქსავატურ საქმედ – იმას, რომ კაცი ამ ლატარიულ ორომტრიალში წამით შეჩერდები, შენს წინ სანთელივით მოციმციმე სასწაულს – ქალს ხედავ და გახსენდება რომ კაცი ხარ, შენს თავს ეკუთვნი? ჯაყჯაყს და ფერხულს წამით გარიდებული შენს თავსაც და სხვასაც ხომ პატივისცემით, მოწიწებით სხვანაირად უცქერი, სწორედ მა-

შინ, როცა შეყვარებული ხარ. – აბა, მე ვარ ჭკვიანი მარტო ობობასავით რომ შევიყუჟე ჩემი საქმეების აბლაბუდაში და ეს ამდენი მწერალი, ფილოსოფოსი და რიტორი გიჟები იყვნენ, სიყვარულზე ღაღადისში ლამის ყბა რომ მოექცათ? მე აღარ მოვალ მეორედ ამ ქვეყანაზე თორემ ყველას თავისი წილი სიამტკბილობა ელის, ყველას თავისი ცისარტყელა დათამაშობს, ყველა თავის ფაცერს მიათრევს თავის საკალმახეზე.

მოეჩვენა, რომ ცხოვრებას უღმერთოდ ჩამორჩა და მის ჩამორჩენაში ბრალი ედო ყველას და ყველაფერს. იმასაც, აბაზანაში რომ საქმიანობდა და ვერც კი წარმოიდგენდა, თუ რას ფიქრობდა ამჟამად მისი მორჩილი თანამეცხედრე, შუშუბანდში მობუღრავე ბიჭებსაც, წარმოიდგინეთ, ტელევიზორსაც, მაგიდაზე გვერდულად დადებულ უთოსაც, სენაკის ფაბრიკაში მოქსოვილ ხალიჩასაც და ვოროშილოვის გახუნებულ სურათსაც, კედელს გარდაცვლილი მამის ჯიუტ მემკვიდრეობად რომ შემორჩენოდა. მეუღლემ კარებში მდგარი, გამოწყობილი შერმადინი რომ დაინახა, კითხვით არაფერი უკითხავს, მაგრამ გაოცებით შეხედა.

– გავივლი, იქნებ ხორცს წავაწყდე სადმე, – მშვიდად თქვა გალდავამ და სახელოებდასველებულ ქალს ეჭვი რომ არ შეჰპარვოდა, პლაშის ჯიბეში ჩატენილი ცელოფანის პარკი ამოიღო.

ტროლეიბუსიდან ჩამოვიდა, მიწისქვეშა გადასასვლელს მიაშურა; ჯერ ადრეა, ცოტას გავივლიო. ჯიხურში მანეთდაოცკაპიკიან მიხაკებს ჰყიდდნენ. ხუთ მიხაკს ვიყიდი და ფერიდეს გავახარებო. კარგა ხანს ამაოდ არჩია. მოკლეღეროიანი და მომჭკნარი მიხაკებიაო, აუწყა ბოლოს მძიმე ტანის, სქელტუჩება გამყიდველ ქალს, – სწორედ იმიტომ ღირს მანეთი და ოცი კაპიკიო, აუხსნა გამყიდველმა, – ნამდვილად სასაფლაოდან მოპარული მიხაკებია და ხელმეორედ ჰყიდითო, კინკლაობის გუნებაზე მოსული მუშტარი ამჯერად უპასუხოდ დატოვეს. შერმადინი ცოტა ხანს იდგა ირონიული ღიმილით დახლთან და მოქალაქეებს განუმარატავდა, – არ იყიდოთ, ხომ ხედავთ, ძველი, დამჭკნარი მიხაკებიაო, მაგრამ

მყიდველები მას ყურადღებას არ აქცევდნენ, ყიდულობდნენ და წითლად აბრდღვიალებული ნავაჭრით შორდებოდნენ ჯიხურს. ვინ იცის, იქნებ მათ სწორედ ასეთი, ოდნავ შელანძღული მიხაკის შეძენა აძლევდათ ხელს. რუსთაველზე რომ ამოვიდა, შერმადინმა გაიფიქრა, – კარგი ვქენი ის გაოხრებული მიხაკები რომ არ ვიყიდე, რაღა დროს ჩემი მიხაკით ხელში მეტროს წინ დგომაა.

რკინის მოაჯირს მარჯვენა ფეხით ჩამოეყრდნო და მანქანებით აღრიალებულ ქუჩას გახედა. ქუჩაში საინტერესო ვერაფერი აღმოაჩინა და მეტროს შესასვლელს გაუმეცადინდა, ფერიდეს ამოსვლა არ გამომეპაროსო.

მეტროს მოედანზე დიდი ფუსფუსი და რიარია იყო. შერმადინს ეჩვენებოდა, რომ ყკელამ იცოდა ყოფილი ვულკანოლოგის იქ დგომის მიზეზი. ზოგი თვალს განგებ არიდებდა, აქაოდა, რა მოხდა ერთხელ იცუღლუტოს გალდავამაცო, ზოგი შეხედავდა და მრავალმნიშვნელოვნად თავს გადააქნევდა. შერმადინს შეცბუნებული, დარცხვენილი სახე ჰქონდა და რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ემატებოდა სურვილი, დაეკრა ფეხი და ზოოპარკამდე უკანმოუხედავად გაქცეულიყო. ეგონა ეს მილეთის ხალხი იმისთვის ამოჰყვება ესკალატორს, მე დამინახოს და წისქვილის ვირთხასავით ისევ ხვრელში დურთოს თავიო.

„ნამეტანი გასუქებული არ იქნებოდეს და არ დავეძებ არაფერს. მათრახივით გოგო იყო. ორმოცს მიტანებულ ქალებს მკლავები უსუქდებათ და რაღაცნაირ ოთხკუთხედ ფორმას ღებულობენ.

ქმარს გავშორდიო. ყოფილი ქმარი ჩემი ნაცნობი მაინც არ აღმოჩნდებოდეს. რაზე გაშორდნენ ნეტავ? ხომ არ ვკითხავ, უტაქტობაა.

რა ჩემდა ჭირად ვიპოვე ეს ქაღალდი. რაღა დროს მიძინებული სიყვარულის გახსენებაა. იმ წყალმა ჩაიარა, ის ფერიდე დროს გაჰყვა. ახლა რომ შევხვდები, სულ სხვა ქალია, ვინ იცის, სად იარა და რა იეშმაკა ამ თვრამეტი წლის განმავლობაში.

ამაზე ფიქრი უკვე გვიანია. ახლა მთავარია, სად წავიყვანო, რანაირად გავართო, ფერიდე.

რესტორანში შევედით, ვთქვათ. მოგიტანენ გაყინულ ხორცს და ორი თვის ფხალს, აჭრილ ღვინოს და შეუფერადებელ, შაქრიან წყალს. ერთი ჭიქა მაინც ხომ უნდა დავლიო, ეს უნდა ჩემს ღვიძლს? ამ კვირაში შეტევა არ მქონია ჩემდა იღბლად. დავლევ და წყალში უნდა გადაყარო ეს ამდენი მკურნალობა. მერე? ისე უნამუსოდ გიანგარიშებს ოფიციანტი რომ, ფულს კი არ დაეძებ კაცი, შეურაცხყოფის გრძნობა გაგხეთქავს გულზე.

ვთქვათ, მცხეთაში წაიყვანე და ათვალიერებინე სვეტიცხოვლის ჩამოფხეკილი კედლები. აქეთ წამოსასვლელ ტაქსს ვერ იშოვი და უნდა იკანკალო ამ სიცივეში.

ხომ არ სჯობია, კაფე-ბარში მივჯდეთ სადმე კუთხეში და ვიმუსაიფოთ ტკბილად? კი მაგრამ, სად, რომელ კაფე-ბარში? მე შენ გეტყვი, გაცლიან წყნარად, მშვიდად ყოფნას. დისკოს დინამიკები საფეთქელში გიბრაგუნებენ და ევროპაში კაიხნის ჩამოფასებული რომელიღაც შანსონე ყურში ჩაგჩხავის. ყელგაწვდლმა რომ ეხვეწო ბარმენს, ცოტა დაუწიე ხმაო, სასაცილოდ არ ეყოფა. თუ არ მოგწონთ, სხვაგან მიბრძანდითო. არა, არა კაფე-ბარში შესვლა ნერვების მოშლაა, სხვა არაფერი.

ვასოს რომ მივაკითხო? მარტოხელა კაცია. გაისეირნებს ცოტა ხანს და დაგვითმობს თავის ერთოთახიან აპარტამენტს. კია, ცოტა არ იყოს, ჯანჯალი კაცი, მაგრამ არა მგონია, ვარი მითხრას, ასე აჯობებს, კი. მაგრამ ვასო რომ შინ არ აღმოჩნდეს? ან შინ რომ იყოს და სტუმარი ჰყავდეს? პირად სტუმარს რომ თავი დავანებოთ, ცოტა ჰყავს ვასოს ასე, ჩემნაირი შემწუხებელი? გამიჭირეს საქმე ამ საყვარლიანმა ძმაკაცებმა, ბალიშზე მშვიდად ვერ მიმიდვია თავიო, ამას წინათ მითხრა. შეხვალ, თორემ დიდ კომფორტს ეზიარები. თვეა ამ რაიონში ცხელი წყალი არ მოდის და დღეს, შეიძლება, ცივიც არ მოდიოდეს.

და ყველაფერი რომ კარგად მოგვარდეს, ვასოს სადარბაზოში ქალთან ერთად შესვლა არ გინდა? ფანჯრებს არ შორ-

დებიან მისი მეზობლები და ლოკატორებივით აქვთ ყურები ყველას.

ახლაც შეიძლება, ამ წუთში, ვინმე მითვალთვალებდეს. აბა, სად მიდის, ვის ელოდება, რას საქმიანობს ამ კვირა საღამოს ეს ჩვენი შერმადინ გალდავაო...“

იფიქრა, იფიქრა ყოფილმა რომეომ და ლამის იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ფერიდეს პაემანზე გამოცხადებას ამ უკანასკნელის მოუსვლელობა სჯობდა.

საათს შეხედა. ექვსის ათი წუთი იყო. ხუთ წუთს დაველოდები და თუ არ გამოჩნდა, ხვალ დავურეკავ, მსუბუქ საყვედურს ვეტყვი და ამით დამთავრდება ყველაფერიო.

ფერიდე არ ჩანდა.

ექვსის ნახევარზე ამბროლაურის ქუჩით შინ ბრუნდებოდა მწვანეპლაშიანი ორმოცდაათიოდე წლის მამაკაცი. მოაბიჯებდა მსუბუქად, გამართულად, თითქოსდა ვალმოხდილი და კმაყოფილი.

თავის სადარბაზოს რომ გაუსწორდა, მეზობლის ქურთმა გოგონამ ველოსიპედი კინაღამ დააჯახა. უკუდგა და თვალი გააყოლა. ტანაყრილი გოგო ორბორბლიან საბავშვო ველოსიპედზე ძლივს ეტეოდა.

უეცრად იგრძნო, რომ კისრის მალა კვლავ ტკაპუნობდა, ხვალ პოლიკლინიკაში მივალ, ფარსაგი რამ არ მჭირდესო, გაიფიქრა და ლიფტის ღილაკს თითი დააჭირა.

ცურვის მასწავლებელი

ერთხანს კეიროშის ნოველები ვიკითხე, მაგრამ მზემ ძალუმად შემომიტია. ახლომახლო თავი ვერსად შევაფარე. კაშკაშა სინათლემ თვალები ამიწვა, ასოებმა ციმციმი დაიწყეს და კითხვა შევწყვიტე. იმ ადგილას შევჩერდი, სადაც კეიროში ცოცხლებთან შედარებით მკვდრების უპირატესობაზე ლაპარაკობს ნოველაში „მკვდრები“. წიგნში ფეხსაცმლის თასმის ნაგლეჯი ჩავდე და წამოვჯექი.

მზე ხელგაშლილად იღვრება უკიდეგანო ზღვაზე და პლაჟზე ათასგვარ პოზაში მიმოყრილ სხეულებზე.

გავარვარებულ ჰაერს ხანდახან მედუზისგან შემკრთალი ქალის არცთუ ვნებიანი შეკივლება გაჰკვეთს.

რადიო წამდაუწუმ აცხადებს, შუადღის მზე მავნებელიაო, მაგრამ მზეს ისე გაუბრუებ-გაუთანგია ხალხი, რომ ადგილიდან არავინ იძვრის.

უზარმაზარ, მუქლურჯ სივრცეზე, შორს თეთრი ხომალდი მოჩანს და ჟანგისგან შეჭმულ რელსზე კოჩოთი მიბმულ ნავში პირაღმა გაშოტილა სახე-მკერდზე სომბრეროგადაფარებული ჩვენი ბრაზიანი მშველელი.

ცემენტის გიგანტურ ლოდზე ჩაყუნცულა დასასვენებელი სახლის ერთადერთი მეთევზე – რკინისნერვებიანი იაპონელი, რომელსაც იდეალური ჯოხანკესი აქვს და უკიდეგანო ნებისყოფა, მაგრამ, ალბათ, როგორც გუშინ, დღესაც ვერაფერს დაიჭერს.

მე დასვენების კაცი არ გახლავართ. აქ რომ მოგწყინდება კაცს სუფთა ლაჟვარდის და ტანკენარი ქალების ცქერა, მეთოდ-საბჭოების გაუთავებელ სხდომებზე რა ჯანდაბა მოგივა.

ჩემ წინ, პლაჟის ქოლგის ქვეშ (ამ ქოლგებს, რაკი ყველას არ ჰყოფნის, მარტო უცხოელ დამსვენებლებს აძლევენ)

ხანშიშესული ჩვანჩურიელი ცოლქმარი მოკალათებულა და ტკბილად ჭუკჭუკებენ „ნგჭუ“-ებით და „ბნგუ“-ებით სავსე ჩვანჩურიულ ენაზე.

ერთ თარგზე მოჭრილივით, ორივენი ტანმომცრონი, წვრილფეხება და მუცელტიკინა, ბრტყელსახიანი და ფართოტუჩება, ხშირთმებიანი და წვრილთვალება გახლავან.

საშუალოდ ყოველ სამ წუთში გულიანად ახითხითდებიან და ხითხითის დამთავრებისას კაცი სიყვარულით ჩამოუსვამს ხელს თავის თანამეცხედრეს ქალის ტანთან შედარებით გასაოცრად წვრილ, მოკლე, მაგრამ ჰაეროვან მკლავზე.

ბოლოს ადგება ქმარი, ცოლს ტანსაცმელზე ანიშნებს, მუხლამდე წყალში შევა, ნაპირისკენ გამოიხედავს, ჩაჯდება და ჯანმრთელ, ბარაქიან კბილებს გააელვებს.

– ქვამნა! – დაუძახებს ცოლი.

კაცი თავ-პირზე წყალს ისხამს და ხითხითებს.

როცა ქოლგის ქვეშ დაბრუნდება, მეუღლეს ბეჭებზე სველ ხელებს გაუტყაპუნებს, რაზეც ცოლი ცივი შეკივლებით უპასუხებს:

– ჯამნა!

ცოტა ხნის შემდეგ ცოლი დგება და ზღვისკენ ისე მიდის, როგორც მისი ერთი ციცქნა ტერფების პატრონს ძალუძს წვრილ კენჭებზე სიარული. ამ დროს ქმარი სერიოზული სახით თავს დაუქნევს, ტანსაცმელს უფრო ახლოს მოაჩოჩებს და მუხლამდე წყალში ჩამჯდარ თანამეცხედრეს შეეხმიანება.

– ქვამნა!

მერე ორივენი ხითხითებენ. ცოლი იქ – თხელ გამჭვირვალე წყალში, ქმარი აქ – ქოლგის ქვეშ.

წელს ზღვაზე ჩვანჩურიელები, ღმერთმა ამრავლოთ და, ბლომად არიან, მაგრამ ეს ცოლ-ქმარი დღემდე არ შემინიშნავს. ან, იქნებ, შემინიშნავს, მაგრამ ჩვანჩურიელთა ერთმანეთისგან განსხვავების ჩემი მობლაგვებული უნარის გამო ვერ ვიხსენებ.

ჯერ პირსახოცი გავშალე თეთრ კენჭებზე, მერე საჩურჩულო მანძილზე წამოვუწექი მეზობელს და ვკითხე:

– თქვენმა მეუღლემ, ალბათ, ცურვა არ იცის, ხომ?

გამომხედა და გაიცინა:

– არა.

– არც თქვენ უნდა იცოდეთ.

წამით ისევ მოაშორა მეუღლეს მზერა.

– არც მე. ჩვენთან ზღვა არ არის. ჩვანჩურიაში ყველაზე დაბალი ადგილი ზღვის დონიდან ათას რვაასი მეტრის სიმაღლეზეა.

ცოტა ხანს გავჩუმდი და სანამ მისი დარბაისელი მეუღლე ზღვიდან ამოვიდოდა და ტანის ჩვანჩურიული მოძრაობით ჩვენამდე მოაღწევდა, ვთქვი:

– იცით, ცურვის სწავლა ძნელი სრულიადაც არ არის.

რატომღაც ჩემ ყოველ სიტყვას ხუმრობად მიიჩნევს, გაიცინებს და მეთანხმება:

– დიახ.

– მე შემიძლია ერთ საათში გასწავლოთ ცურვა.

ისევ მოჭუტა თვალები და ნასასუქალი სიმინდის მარცვლებივით ჩაწიკწიკებული თეთრი კბილები მომანათა:

– დიახ.

ცოლმა, როგორც იქნა მოაღწია ჩვენამდე, პირსახოცს დაწვდა, სახე-მკერდი შეიმშრალა, ქმარს გვერდით მტრედივით მოუსკუპდა და მშვიდად უთხრა:

– ქვამნა.

კაცს არ უპასუხნია. იგი ჩაფიქრებული გასცქეროდა ჰორიზონტზე მაღლა აწეულ უშველებელ ზღვას.

წამოვიწიე და ჩვანჩურიელთ უცერემონიოდ წარვუდექი:

– სასიამოვნოა თქვენი გაცნობა. მე ზაზა მქვია.

კაცმა თავაზიანად დამიქნია თავი, ხელი გამომიწოდა და ხითხითით ჩამომართვა.

– ბრჩგმაი.

ხელი რომ გაინთავისუფლა, ცოლზე მიმითითა.

– ჩემი მეუღლეა.

მეუღლეს გავუღიმე. ბოდიში მოვიხადე და ზღვისკენ წავედი, რადგანაც მზემ ლურსმნებივით დამაყარა სხივები.

კარგა ხანს წინდაუკან ვიდგაფუნე წყალში და როცა ბატონი ბრჩგმაი, ჩვეულებისამებრ, მუხლამდე წყალში ჩაყუნცდა, მივცურე მასთან და განვუცხადე:

– მე ყოფილი მოცურავე გახლავართ. უნდა დამიჯეროთ. ადამიანს თავისუფლად შეუძლია წყალზე წოლა. ოღონდ შიშის გრძნობა უნდა გადალახოს.

– დიახ, – იცინის და სიცილის დროს ისედაც წვრილი თვალები სულ აღარ უჩანს.

– მე თქვენ ცურვას გასწავლით ქართული მეთოდით.

ეს „ქართული მეთოდი“ და „ყოფილი მოცურავეობა“ იმიტომ გამოვიგონე, რომ მენდოს.

– დიახ, – იცინის.

ხელი მოვკიდე, წელამდე წყალში შევიყვანე და ავუხსენი:

– აი, ასე ნელ-ნელა გადაიწიეთ და წყალზე დაწექით. ხელები ამგვარად გაშალეთ და თავი, აუცილებლად, ყურებიანად წყალში გქონდეთ. გაიზნიქეთ და წყალზე გაწექით.

– დიახ, დიახ, – შემკრთალი ღიმილით მითხრა და რომ მგონია, ახლა გაიმეორებს, რაც ვუჩვენე-მეთქი, ზურგი შემაქცია. წყლიდან ამობაჯბაჯდა და ქოლგისკენ წავიდა.

დაუოკებელმა სურვილმა შემიპყრო, ბრჩგმაისთვის ცურვა მესწავლებინა, მაგრამ ვხედავდი, რომ წყლისა ხოლერასავით ეშინოდა და დასაყოლიებლადაც ძნელი კაცი იყო.

იმ დღეს სადილამდე ზღვაში მეტად აღარც ჩასულან, აღარც სიცილს ურთავდნენ წამდაუწუმ საუბარში და რამდენჯერმე ჩემსკენ ნასროლი მათი ფარული მზერაც დავიჭირე.

მკვდარი საათის დროს ხეივანში გაისეირნეს, წამოვეწიე და დღე მშვიდობისა ვუსურვე.

ყუნცული შეწყვიტეს, შემომხედეს და უფულო მევალეებივით საწყლად და უხერხულად გამიღიმეს.

– ცურვა, – ბრჩგმაის მივუბრუნდი, – ყველამ იცის. ადამიანს, ისევე როგორც ცხოველს, გენებით დაჰყვება, მხოლოდ მისი გახსენებაა საჭირო. ხმელეთზე ცურვას ვერ ისწავლი. ცურვის სასწავლებლად ყელამდე წყალში მაინც უნდა შეხვიდე.

– დიახ, – თავი დამიქნია და ნაბიჯი განზე გადადგა. ცოლი შუაში ჩააყენა.

– პირველყოფილ ადამიანს ცურვას არავინ ასწავლიდა. წყალში რომ ჩავარდებოდა, ხელების უსისტემო მოძრაობით შველოდა თავს. ან შველოდა ან ვერა – თქვა ცოლმა.

ბრჩგმაიმ ჯერ ცოლს შეხედა შიშით და მერე მე.

– ცურვის სწავლის ქართულ მეთოდს სხვა მეთოდებთან შედარებით ის უპირატესობა აქვს, რომ სწავლა წყალზე გაჩერებით იწყება. წევხარ, ენერგია არ გეხარჯება, ორივე ხელს, როცა გაგეხარდება, ასე – ბალეტ „გედების ტბის“ ერთი პა შევასრულე, – დაიქნევ და გაცურავ საითაც გინდა.

– დიახ, – აშკარად ჩანდა ბრჩგმაის ცურვის სწავლების არც მშვენიერი და ხელსაყრელი „ქართული მეთოდი“ აინტერესებდა.

რაღაც მოვიმიზეზე და დავწინაურდი.

ნასამხრევს პლაჟზე, შეზლონგზე წამოწოლილი ველოდებოდი მათ.

ტანზე გახდა ვაცალე, მიიხედ-მოიხედეს და ახლომახლო რომ ვერსად დამლანდეს, კვლავ ჩვეულებრივი ხითხითი და ერთმანეთისთვის მხარზე ხელის ტყაპუნი დაიწყეს. ბრჩგმაიმ მეუღლეს ტანსაცმელზე რომ მიუთითა და თავის წვრილი, კაჭა ფეხებით მუხლამდე წყალში ჩაჯდა, წამოვდექი და ჩქარი ნაბიჯით მისკენ წავედი.

– ქვამნა! – დაუძახა ცოლმა, მაგრამ უკვე გვიან იყო. მე – ძალად მწვრთნელი, ჯიუტად განვაგრძობდი დაწყებულ საქმეს.

– ორივე ხელი უკან წაიღეთ და გადაიზნიქეთ აი ასე. ნუ გეშინიათ, წელამდე წყალში მაინც შემოდით. ნუ გეშინიათ, მე თქვენს გვერდით ვიქნები.

– დიახ, – ცხვირპირზე ხელი ჩამოისვა და ცოლს განწირულივით გახედა.

თითქოს დამიჯერა. გადაიზნიქა, ყურები წყალში დამალა, მაგრამ როგორც კი წყლის ჭავლმა სახეზე გადაუარა, შეშინებული აფართხალდა, ხელიდან დამისხლტა და ოთხით გაჩოჩდა ნაპირისაკენ.

ხრეშსმიწვდენილი ზეაღიმართა, ტანი ხბოსავით შეასხმარ-ტალა, მეუღლის გვერდით დაჯდა და სახეზე შევატყვე, ჩემი მისამართით არცთუ სასიამოვნო რამ ჩაილაპარაკა.

ცოტა ხანს სულის მოთქმა ვაცალე და მზემ რომ რიწის მთებისკენ იბრუნა პირი, გვერდით მივუჯექი.

– იცით თუ არა, რომ თქვენ უკვე იწექით წყალზე და საკ-მაოდ წარმატებითაც. შეგიძლიათ თავისუფლად შეხვიდეთ და გაწვეთ, რა სიღრმისაც უნდა იყოს. ძალიან ნიჭიერი მოწაფე ხართ.

– დიახ, – აშკარად შეეტყო უგუნებობა.

– ბოლო წამში ნერვებმა გიმტყუნათ. რატომ არ გჯერათ ჩემი? მე ამ საქმის სპეციალისტი გახლავართ. ათასებისთვის მისწავლებია ცურვა. საწოლში ხომ არ გეშინიათ?

– არა, – თვალმიწკურვით შემომხედა.

– ჩათვალეთ, რომ საწოლში ხართ. როგორც საკუთარ ლოგინში, ისე გაიშოტეთ წყალზე, ას პროცენტიან გარანტიას გაძლევთ, რომ არ ჩაიძირებით. ოღონდ დაძაბული ნუ ხართ, კუნთები მოადუნეთ, წამობრძანდით, მენდეთ.

ავდექი და დაველოდე.

ამომხედა, ცოლს რაღაც უთხრა.

– ჯამნა! – ლამის ტირილით მიუგო ცოლმა და უეცრად ორივემ ჰომერული ხითხითი ასტეხეს. კარგა ხანს იცინოდნენ, ძიგძიგებდნენ, ბოლოს, როგორც იქნა, ბრჩგმაიმ ძალა იხმარა და სალტესავით შემოაჭდო თოხივით კბილებს თავისი ფართო ტუჩები, მომიბრუნდა და თვალებაციმციმებულმა მითხრა:

– არ შეიძლება, ჯერ ჩემს ცოლს ასწავლოთ?

სამივემ გულიანად ვიცინეთ. ცოლი მუშტს უღერებდა და სიცილით რაღაცას ეუბნებოდა.

– ცოლს, თუ გაჭირდა, კიდევ ვიშოვი, – ამიხსნა სიცილის-გან თვალებში ცრემლჩამდგარმა ბრჩგმაიმ, ძლივს წამოდგა, ხელი ჩამჭიდა და ბავშვივით გამომყვა წყლისკენ.

– ქვამნა! – მოგვაყოლა მეუღლემ.

ჩემმა სიჯიუტემ გაჭრა. ჯერ წელამდე წყალში ხელზე გა-დავიწვინე ბრჩგმაი და ვაიძულე თავი, რაც შეიძლება, გა-

დაეწია და მოშვებულიყო, მერე ხელი ნელ-ნელა შევუშვი და ვუბრძანე არ განძრეულიყო, ჯერ, რა თქმა უნდა, შეშინდა და სახე დაემანჭა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა და შეურიგდა ბედს. ბოლოს ღრმა წყალში შესვლა და ხელის დაქნევაც ვასწავლე. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ბრჩგმაი თავისუფლად წვებოდა წყალზე და მარჯვნივ-მარცხნივ მოხვევაზე ვარჯიშობდა.

რაკი ჩემსას მივაღწიე, ნელ-ნელა დაუკარგე ინტერესი ბრჩგმაის მიმართ. ჩოგბურთის სათამაშოდ წავედი და ვახშმობას აღარაფერი აკლდა რომ დავბრუნდი, ერთს ჩავიყურყუმალავებ და ამოვალ-მეთქი.

გაკრეფილ პლაჟზე ერთ ადგილას ხალხი ირეოდა, რომ მივუახლოვდი, ასეთ სურათს წავაწყდი: გაწოლილიყო წყალზე ჩემი მოწაფე, თვალები დაეხუჭა და რაღაცას ქადაგებდა. ირგვლივ ჩვანჩურიელები შემოხვეოდნენ. ათიოდე კაცი წყალში იდგა, დანარჩენები ნაპირზე გამწკრივებულიყვნენ, იდგნენ მდუმარედ, დოინჯშემოყრილნი, მკლავჩახვეულნი როცა მივედი და დავუძახე, აბა, მარჯვნივ შებრუნდი-მეთქი. ბრჩგმაი თვალგაუხელელად მარჯვნივ შებრუნდა და აღტაცებული ხმით დაიძახა:

– კიმნა!

ამ სიტყვით აღტაცებული ჩვანჩურიელები ერთბაშად ჩემკენ შემობრუნდნენ და ტაში დასცხეს. ზოგმა ხელი ჩამომართვა, ზოგი მხარზე მითათუნებდა და „ხოროშო, ხოროშოს“ ჩამძახოდა. რაღა დაგიმალოთ, ჩვანჩურიელთა გახარებული და მადლიერი თვალები მიმაცილებდნენ სასადილოსკენ მიმავალს. ბრჩგმაი და მისი მეუღლე უკან მომყვებოდნენ და ჩვანჩურიელთა საზეიმო სვლას ხელმძღვანელობდნენ. უკან რომ მოვიხედავდი, ორივენი შეჩერდებოდნენ, მკერდთან შეტყუპებულ ხელებს მიიტანდნენ და თავის დაკვრით მადლობას მიხდიდნენ.

ვახშამი რომ ჩამთავრდა, კინოს ბილეთის რიგს მივაშურე. ერთიმეორეზე უარეს ფილმებს უჩვენებდნენ და კარგს არაფერს არც ამ საღამოს ველოდი, ამიტომაც აფიშაზე არც

დამიხედავს, მაგრამ დრო ხომ უნდა მომეკლა. ჩემ წინ ოცი-ორმოციოდე წლის ჩვანჩურიელი იდგა. საერთოდ ამ უძველესი და ბრძენი ხალხის ასაკის გარკვევა, ერთი შეხედვით ძალიან ჭირს და მეც ამოდენა შუალედით ჩვანჩურიელის ასაკს შეცდომისგან თავის დაზღვევის მიზნით მოგახსენებთ.

მომიბრუნდა და გამიღიმა.

მეც, რასაკვირველია, ღიმილით ვუპასუხე.

ასე რამდენჯერმე განმეორდა. ვატყობ, რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ ვერ გაუბედავს.

ბოლოს, როგორც იქნა, სძლია სიმორცხვე:

– თქვენ სასწაული ჩაიდინეთ, ასე ჩქარა ბრჩგმაის ცურვა ასწავლეთ. მეც ხომ არ მასწავლიდით? ძალიან გთხოვთ.

„ძალიან გთხოვთო“, შეეძლო არ ეთქვა, რადგანაც სახეზე ეხატა, რომ მართლა ძალიან მთხოვდა.

ახალი მოწაფე მეორე დღის თორმეტი საათისათვის დავიბარე. ორივე ხელი ჩამომართვა და მადლობის ნიშნად ლამის მხარზე მაკოცა.

ფილმი დეტექტური იყო. რომელიღაც მოძმე რესპუბლიკის კინოსტუდიის არცთუ წარმატებული ნაწარმოები. დასაწყისიდანვე მივხვდი, ვინ იყო მკვლელი და ნარკომანი. როცა ერთი სინდისგარეცხილი პერსონაჟი სახალხო რაზმელს მიეპარა და მკვლელის ხელში ნემეზიდას მახვილმა იელვა, ფირი გაწყდა და დარბაზი განათდა.

უკანა რიგიდან მხარზე ვიღაც შემეხო.

მოვიხედე. ნაციონალურ, ფართხუნატანსაცმლიანი ჩვანჩურიელი (ამ კაცს ერთადერთს შეენარჩუნებინა ერთგულება ეროვნული ტალავარის მიმართ და თეთრი ნიფხავ-პერანგით ამაყად დააბიჯებდა) მიღიმის და ბოდიშს მიხდის, რომ შემაწუხა.

– რა გნებავთ?

ცურვის შესწავლის მსურველი აღმოჩნდა. მეო არხის გაყვანის სპეციალისტი ვარო და ჩემთვის ცურვა აუცილებელიაო.

ხვალისთვის დავიბარე.

ფილმის დამთავრებას აღარ დაველოდე. ბოდიშ-ბოდიშ გამოვყევი რიგს და კარებს მივაშურე. დერეფანში ზურგსუკან ნაბიჯების ხმა მომესმა, აშკარაა ვიღაც გამომყვა.

ავუჩქარე ნაბიჯს, უცნობმაც აუჩქარა.

შევანელე სვლა, უცნობმა არ შეანელა. სამედიცინო ლაბორატორიასთან დამეწია, წინ გადამიდგა, ხელები გაშალა და გადახვევის მომლოდინეს ჩვანჩურიულად მომესალმა.

მეც ხელების მიტყუპებით და თავდახრით ვუპასუხე სალამზე.

ალბათ, ფილმი არ მოგეწონათო, მკითხა.

არა-მეთქი.

თქვენი კინოსტუდიის ნახელავი ძალიან მომწონსო.

მადლობა მოვახსენე.

პირდაღებულნი, არტისტული ღიმილით შევცქეროდით ერთმანეთს.

თქვენ ალბათ ცურვის შესწავლა გენდომებათ-მეთქი, დავაწარი.

მიმიხვდითო. იატაკს მორცხვად გაუსვა მარჯვენა ფეხი.

ნასაუზმევს ზღვაზე მობრძანდით-მეთქი.

თუ შეიძლება, ჩემს ძმასაც წამოვიყვანო.

ძმა რა მოხელეა-მეთქი, ვითომ თვით ამ კაცის საქმიანობა უკვე ვიცოდი, ან ცურვის სასწავლებლად პროფესიას რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა. ისე, სიტყვის მასალად ვკითხე.

ძმაც მემატყლეაო, არ დამიმალა.

გუნებამოძმარული შევედი ლიფტში. დაბალი ტანის, თავგადაპარსულმა შავსათვალება ჩვანჩურიელმა, რომელიც ზემოდან დაშვებულ ლიფტში დამხვდა, სათვალე მოიხსნა და სანამ ჯიბიდან ხელს ამოვიღებდი, მეხუთე სართულის ღილაკს დააჭირა საჩვენებელი თითი.

– ალბათ, შინ მიბრძანდებით? – სათვალე ისევ გაიკეთა.

– დიახ! – გაკვირვებით ვუპასუხე და ამით ისიც ვაგრძნობინე, რომ, სამწუხაროდ, არ ვიცნობდი.

– ხთბრფქი – სახელი უყოყმანოდ მაჩუქა და ხელი გამომიწოდა.

– ბატონო? – თუმცა სახელის გამეორებას აზრი არ ჰქონდა, მაინც ვერ დავიმახსოვრებდი.

– ხთბრფქი მქვიან-მეთქი, თქვენ შეგიძლიათ უბრალოდ ფქი დამიძახოთ.

– ნებას მრთავთ?

– კი, – ყურებამდე გაიღიმა.

– სასიამოვნოა, მე ზაზა მქვია.

– ვიცი, ბატონო. უნდა შეგაწუხოთ.

– ცურვა გწადიათ, ხომ?

– მიმიხვდით, – ჩემი მიმხვედრიანობა ისე მოეწონა, კინაღამ ტაში დასცხო.

– ხვალ, თერთმეტ საათზე.

– პლაჟზე?

– ცურვის სწავლა მხოლოდ წყალში შეიძლება. – წარბშეკვრით მივუგე.

– გმადლობთ! – ჩამძახა, ლიფტს არ დაელოდა, კიბე ტყაპატყუპით ჩაირბინა.

კარებთან ორი ჩვანჩურიელი დამხვდა. გასაღები რომ გადავატრიალე, წამოდგნენ და კარგი დეტექტივებივით უხმოდ ამომიდგნენ.

ჯერ ერთს გადავხედე, მერე მეორეს.

– ცურვა?

– დიახ, – ერთხმად მომიგეს და თავიც ერთდროულად დამიქნიეს.

– ხვალ, ნასაუზმევს, პლაჟზე.

– კეთილი!

კაპრონის ქუდები მომიხადეს, კაბალეროსავით ფეხებთან გამიქნიეს და უკანსვლით გავარდნენ.

კარი ჩავკეტე, გავიხადე და აივანზე ტრუსისამარა გავედი.

ვიღაცამ დააკაკუნა.

– ვინ არის? – შიგნიდან ვუპასუხე. მამაზეციერიც რომ მოვიდეს, აღარ გავუღებ კარს – მაპატიეთ, აბაზანაში ვარ!

– ცურვის საკითხზე გაწუხებთ! – ჩვანჩურიული აქცენტით, ბარიტონით ამბობს ვიღაც.

– ხვალ თერთმეტ საათზე ზღვაზე.

– გმადლობთ.

დერეფანში ჩქარი ნაბიჯების ხმა გაისმა.

ისევ აივანზე დავბრუნდი.

ზემოდან ძაფით ასანთის კოლოფი დაეშვა.

ძაფი შევხსენი. კოლოფში წერილი იდო: „ჩემი სახელია ღპნუი, ბრჩგმაის ნათესავი ვარ. ცურვის შესასწავლად უნდა შეგაწუხოთ“.

წერილს მეორე მხარეს დავაწერე: „ხვალ, ნასაუზმევს მობრძანდით პლაჟზე. ბრჩგმაის და მის მეუღლეს მოკითხვა გადაეცით“.

კოლოფში ჩავდე, ძაფი შემოვახვიე და დავქაჩე. სასართულე ფოსტა ამუშავდა და ორიოდე წუთში ზედა აივნიდან სიხარულის ყიჟინა მომესმა:

აივანს მოვშორდი, წამოვწექი, გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანს“ გადავხედე და ტელეფონიც აწკრიალდა.

– ცურვა? – სანამ გრძელ სატელეფონო სალამს მოათავებდა, ვაჯახე.

– დიახ.

– ხვალ, თერთმეტ საათზე!

შუაღამემდე რვაჯერ მაინც დარეკეს. ვინაობას და შეწუხების მიზეზს უკვე აღარ ვეკითხებოდი დამრეკავს. „ხვალ, თერთმეტზე, უბოდიშოდ ვპასუხობდი და ყურმილს ვდებდი.

დილით საუზმის დროს შვიდი კაცით გაიზარდა ჩემი მოწაფეების რიცხვი. პლაჟზე რომ გავედი, ცურვის შესწავლის მსურველნი ერთგულად მელოდებოდნენ. რომ დამინახეს, ჩემკენ გამოიქცნენ და ნაპირამდე მომაცილეს. გზადაგზა ვიხდიდი ტანზე და კვართ-საწმერთულს ანგარიშმიუცემლად ვარიგებდი ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ.

კრუხის დღეში ჩავვარდიო ქართველი კაცი იტყვის, დიდი ჯაფა-გაწამაწია რომ დაადგება. სწორედ რომ კრუხის დღე დამადგა. წარმოიდგინეთ, დაახლოებით, ასეთი სურათი: ვდგავარ მკერდამდე წყალში. ჩემ ირგვლივ მორებივით ტივ-

ტივებს აურაცხელი ჩვანჩურიელი. არის ყურთასმენის წამღები ჟივილ-ხივილი. ყველა მთხოვს და მემუდარება მივიდე და შევამოწმო, სწორად წევს თუ არა. აშკარად ეტყობათ, განსხვავებით სხვა ერის წარმომადგენელთაგან, შენიშვნას შექება ურჩევნიათ. შევაქებ თუ არა, სიხარულისგან პირს გააღებენ და ოცდაჩვიდმეტივე კბილით იღიმებიან. ციბრუტივით ვტრიალებ. თან შიშიც გამირბენს გულში: ე მანდ ვინმე არ დამეხრჩოს და ხათაბალაში არ გავყო თავი. ხანდახან გველნაკბენივით ვიყვირებ – გაჩუმდით, ყველანი ერთად ნუ მოდიხართ-მეთქი. წამით გაირინდებიან, მაგრამ როგორც კი ერთისკენ მივტრიალდები, სხვები მაშინვე აჭიჭყინდებიან ჰამოდმოსასმენი ჩვანჩურიული ჭიჭყინით.

მეორე დღესაც ვიმასწავლებლე პლაჟზე, მაგრამ მეტი ვეღარ შევძელი. ნერვებმა მიმტყუნა.

...რა გეჩქარებათ, ჯერ კიდევ ოთხი დღე დაგრჩათო, მკითხა ადმინისტრატორმა გასაღები რომ ჩავაბარე და პასპორტი მოვთხოვე, თბილისში მივემგზავრები-მეთქი.

პასუხი არ მიმიცია და არც თვითონ გაუმეორებია შეკითხვა. ალბათ, ისე, ზრდილობის გულისთვის მკითხა.

ლოთის მონოლოგი

ჰიმნი რომ ჩათავდა, ჩავიცვი და გამოვედი. მშვენიერი დილა იყო. ეზოში სოლიდურად ჩაცმული კაცი იდგა და დურბინდით ჩვენი სახლის ზედა სართულის რომელიღაც სარკმელს ათვალიერებდა. არაფერი მიკითხავს, ჩავუარე, ყველას თავისი საქმე აქვს, მე ჩემი საქმე ხუთი თითივით ვიცი. გავივლი ახლა დიოკლეტიანეს ჯიხურთან, ას გრამს დავლევ, ჩავჯდები სამ ნომერ ტროლეიბუსში და წავალ სამსახურში.

დახლს უწითელსამკლავო და უჰალსტუხო, ცვილისცხვირა კაცი ჩამოყრდნობია. დიოკლეტიანეს კი აღგზნებული სახე აქვს და ხურვებიანი ავადმყოფის დანისლული თვალები.

– არ მიგვიღია ფაჰლავა ჯერ, – მომახარა.

– რა არ მიგიღიათ?

– ფაჰლავა, შენი საყვარელი ნამცხვარი, – უცნობს შეხედა დიოკლეტიანემ. უცნობმა მაღლა და ოდნავ განზე გაიხედა.

– ნამცხვარი ვნახე ამოდაგული – ჩავილაპარაკე თუ არა, დიოკლეტიანემ ხომენკოს კინოსტუდიის მიერ შექმნილი დეტექტური ფილმის გმირივით ჩამიკრა თვალი. თვალი თვალით და ღრანჭი კინაღამ შეახია კბილებს.

მივხვდი.

ისე გამალებით მივაბიჯებ გმირ პაპანინელთა პროსპექტზე, შემირცხვენია ყველა გამოჩენილი მარათონელი.

ახლომახლო ყველა ჯიხურს ვეძგერე. ერთმა გამყიდველმა ალერსიანად გამიქნია თავი, მეორემ მუშტი მომიღერა, მესამემ ისე გაიკვირვა, თითქოს სიტყვა „არაყი“ არასდროს გაეგონოს, მხოლოდ ახალგაზრდა აერობიკოსთა კაფეში ამიხსნეს ადამიანურად:

– თქვენ რა, ჭურში ზიხართ? დღეს, დილის 8 საათსა და ნოლნოლ წუთიდან ლოთობა აიკრძალა!

– როდის იყო დაშვებული? – გულჩამწყდარი მოვშორდი დახლს.

გაქანებულ ტროლეიბუსს შევახტი, მაგრამ სამსახურში მაინც დამაგვიანდა.

მორიგემ ტაბელზე მიმითითა, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ თვის პრემიას უნდა დავემშვიდობო.

საქმეს გული ვერ დავუდე, ტანზე თითქოს ჭიანჭველები დაცოცავენ, ჟრუანტელი მივლის. შესვენებაზე ქუჩაში გასვლის ნება ვითხოვე, რესტორანში შევვარდი:

– ასი გრამი!

– მხოლოდ ხუთი საათის შემდეგ.

– დილამდე?

– რვა საათამდე.

– რვის შემდეგ?

ოფიციანტმა კითხვა-პასუხის საათი ამოწურულად ჩათვალა, მოვდივარ და ვფიქრობ: „მაინცდამაინც „ხუთიდან რვამდე“, რა დოზანაა. ასი გრამისთვის მე მჭირდება სულ ორი წამი. სამი საათის გამოყოფა, რა სულგრძელობაა. რატომ უნდა გავფლანგოთ თავზე თეორიული მუშაობისთვის განკუთვნილი ეს ძვირფასი დრო“.

გასტრონომში შევვარდი:

– თეთრი!

– მხოლოდ ოთხიდან ექვსამდე.

– იქნებ გამონაკლისის წესით?

– გამონაკლისები მხოლოდ გრამატიკის სახელმძღვანელოშია.

მოვრბივარ და ვფიქრობ: „ნერვებს რაღაზე გვიშლიან პატიოსან მშრომელებს. თუ აკრძალავდნენ, ბარემ ბოლომდე აეკრძალათ. ეთქვათ: ას გრამზე დახვრეტა ან გადასახლება. რანაირად შეიძლება ამ საათიდან იმ საათამდე დამიწესო დალევა. ზოგი სულ არ სვამდა. რა აკეთოს ახლა ხუთიდან რვამდე? გეკითხები მე შენ“.

საათს დავხედე, შესვენების დრო ამოწურულა.

დავიღუპე. მომხსნიან. ქუჩა უადგილო ადგილას გადავჭერი.

ფეხით მოძრაობის წესების დარღვევისათვის დამაჯა-

რიმეს. სურათიც გადამიღეს. კონსტიტუციის ქუჩის კედლის გაზეთი „თავს ვინ გვჭრის“ საქვეყნოდ გამომაჭენებს.

მორიგემ ისევ შემომბღვირა.

ბღვერას მიჩვეული ვარ. საქმეს კვლავ ვერ დავუდე გული, დღის ბოლოს ნაშრომი დაიანგარიშეს და მისაყვედურეს: „რა ღმერთი გაგიწყრა, დღიური ნორმა მხოლოდ ოცდაჩვიდმეტი პროცენტით შეგისრულებიაო“.

ახლა შენ ეს თქვი, სამსახურიდან ოთხზე გაპარულს გასტრონომში არყის რიგში რომ ჭყლეტვა მომიწევს.

ხომ ყველაფერი კარგად იქნებოდა, დიოკლეტიანეს რომ ჩვეულებრივ ეთქვა ამ დილით: „დააყოლებ რამეს?“

ხომ ავცდებოდი ამ დავიდარაბას.

რა იქედნურად იღიმები. მე ვარ რამეში დამნაშავე?

ჩვენ შორის დარჩეს და ამ დალევასაც შენ არ მიმაჩვიე? დაურტყი ვასია და მიდი, დაჰკა წერაქვი, გაბურღე, მიაწექიო. შენ არ ჩამყვირი ამდენი წელია?

იაგო მეჩონგურე

ამ სამი თვის წინათ გაზეთ „საამურ ცხოვრებაში“ დაიბეჭდა პატარა ნარკვევი სათაურით „იშვიათი პროფესიის ადამიანები“. გაზეთის მესამე გვერდიდან მკითხველს უღიმოდა მართლაც იშვიათი და კეთილშობილური პროფესიის კაცი – მეჩონგურე იაგო დოღონაძე. ნარკვევის ავტორი მიმზიდველად მიუთითებდა, რომ მეჩონგურის ხელობა იაგოს მამამ შეასწავლა, ხოლო მამას კი, შესაბამისად, ჩონგურის გამოთლის ძნელი საქმე მემკვიდრეობად თავისი მამისგან ჰქონდა მიღებული. 1985 წლის 11 მარტს, ესე იგი, ჩანახატის გამოქვეყნების მეორე დღეს, ორშაბათ საღამოს იაგო დოღონაძეს შინ ეწვია ახალგაზრდა მხატვარი ლევან ხურციძე. ახალგაზრდა მხატვარმა მეჩონგურეს აცნობა, რომ წაიკითხა „იშვიათი პროფესიის ადამიანები“ და სურვილი აქვს, შექმნას იაგო დოღონაძის პორტრეტი. დიდ დროს არ წაგართმევთ, ვიცი თქვენი მოუცლელობის ამბავი, მხოლოდ რამდენიმე სეანსი დამჭირდება, თანაც აქედან შორს არ ვცხოვრობ, ლომჯარიას ქუჩაზე, ოთხ ნომერში, ნაქირავებ ოთახში ვდგავარ, თუ კაცი ხარ, უარს ნუ მეტყვიო.

იაგოს, სიმართლე გითხრათ, გაუკვირდა მხატვრის ხვეწნამუდარა. მას ვერც კი წარმოედგინა, საერთოდ თუ შეიძლებოდა უარის თქმა ხელოვანისთვის, რომელსაც, არც მეტი, არც ნაკლები, შენი დახატვა უნდა, რა დაგიმალოთ და, იაგოსთან სხვა დროს არავინ მისულა ამგვარი დიდებული სურვილით და, რასაკვირველია, უარის თქმა გულში არც კი გაუვლია, მაგრამ რაკი ასე ძალიან მთხოვს, ჩანს, თავი უნდა დავიფასოო და სერიოზული, მოწყენილი სახით უთხრა მხატვარს: სხვას მართლაც უარს ვეტყოდი, სანატუროდ სად მცალია, მაგრამ ახალგაზრდა კაცი ხარ, ვერ გაგაწბილებო. მხატვარმა უღრმესი მადლობა მოახსენა და შეთანხმდნენ: ყოველ

სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს, თორმეტ საათზე, ჩონგურის ოსტატი მივიდოდა მხატვრის ბინაზე დასახატავად. საქმე ჩონგურივით აეწყო. იაგო გულისხმიერი მენატურე აღმოჩნდა. დათქმულ დროზე იგი კეთილსინდისიერად ცხადდება და უკვე მესამე თვე იწურება, მორჩილად შესცქერის ახალგაზრდა მხატვარ ლევან ხურციძეს, რომელიც ხატავს იშვიათი ხელობის კაცის საკმაოდ მოზრდილ პორტრეტს ზეთის საღებავებით.

...ყოველ მეორე დღეს ამოივლის შავდრაფისპალტოიანი და შოკოლადისფერშლაპიანი კაცი გოჭოურას აღმართს. ლომჯარიას ოთხ ნომერთან სულს მოითქვამს, ლათინური ამერიკის რომელიღაც პატარა სახელმწიფოს დეტექტური ფილმის პერსონაჟივით იდუმალ მზერას შეავლებს გარემოს, მკერდზე ორ ტოტად დაშვებული წითელი კაშნეს ერთ ბოლოს უკან გადაიგდებს და, არცთუ გამეტებულად, დაიძახებს:

– ლევან!

– შემობრძანდით, ბატონო იაგო, დაბმულია, – მაშინვე გაეპასუხება შუშაბანდის ღია ფანჯარას მომდგარი, მაისურის ამარა მხატვარი.

იაგო კოინდარზე მიაბიჯებს და თან თვალს არ აცილებს ბოღმა-ყეფით ლაშებაქაფებულ, შავდრუნჩა ნაგაზს, რომელიც ყეფას ჯერ კიდევ მაშინ იწყებს, მეჩონგურე აღმართს რომ ამოათავებს და, ხელოვნების ქურუმნი ნაქირავებ ოთახში რომ შეიკეტებიან, მხოლოდ მაშინ წყნარდება. ვერ იქნა და ვერ შეეგუა იაგოს შლაპას და წითელ კაშნეს ძაღლი. რაც დრო გადის, უფრო ენერგიულად უტევს ჭიშკარს მომდგარ, უცნაურად ჩაცმულ სტუმარს.

ღმერთო შეგცოდე და, ძაღლი კი არა, ადამიანებიც გაკვირვებით, შიშითა და რიდით მიაპყრობენ ხოლმე თვალს იშვიათი პროფესიის წარმომადგენელს.

გაკვირვებას, შიშსა და რიდს – სამივე გრძნობას ერთად ბადებს, არც მეტი, არც ნაკლები, ის ამბავი, რომ ივნისის ამ ცხელ დღეებში პალტო-ლაბადა-კაშნეთი დარახტული კაცი გამოჩნდებოდა ქალაქის ქუჩებში, თორემ ისე რა, იაგო სია-

რულის დროს ხელებს არ მიიქნევს და, მით უმეტეს, არც ქვას ისვრის.

ყველაფერი რიგზე იქნებოდა, ადამიანებმა მეჩონგურის არასეზონური ჩაცმულობის მიზეზი რომ იცოდნენ. მარტში, როცა ლევანმა პორტრეტის ხატვა დაიწყო, ქუჩაში თოვლ-ჭყაპი მეფობდა და ნაქირავებ ოთახშიც საკმაოდ ციოდა. იქნებ ოთახის დაბალმა ტემპერატურამაც განაპირობა ის გარემოება, რომ მხატვარმა იაგო სკამზე დასვა და ისე, როგორც მოვიდა, საზამთროდ გამოწყობილი გაამზადა სანატურედ. ეგ იყო, წითელი კაშნე ყელზე შემოახვია და ცალი ბოლო ზურგზე გადაუგდო.

ახლა კი ივნისი იწურება.

იმერეთში ტყემალი უკვე მოილია და საგვიანო ბალიღა მწიფს აქა-იქ.

ცხელა.

მზე რომ უქიმერიონს გაუსწორდება, ჩიტბატონები საღღაც გაქრებიან. ჰაერს, მათი ჭიკჭიკის ნაცვლად, ჭრიჭინობელების გულისწამღები ორკესტრის ხმა აავსებს. თითქოსდა მთელი ქვეყნის ჭრიჭინობელები ერთად, ამ ბებერ ცაცხვზე შეყრილანო, გაუთავებელი ოროტოტოსავით ერთი და იგივე მელოდიის გამოცემით უფრო აუტანელს ხდიან ივნისის ქარსიცხეს. ლევანს ხანდახან მოთმინების ძაფი გაუწყდება, პალიტრას ტაბურეტზე დადებს, ეზოში გავა და დაუსტვენს, ან ქვას ესვრის გაბარჯღულ ცაცხვს. ჭრიჭინობელები წამით დადუმდებიან და მაშინვე ახალი ძალა-რიხით შეუბერავენ ზაფხულის კამკამა ხვატს.

სეანსი დღესაც ჩვეულებრივ დაიწყო.

იაგომ ოთახს შემოუარა, მოლბერტის წინ დოინჯშემოყრილი დადგა და თვალები მოჭუტა.

– ხომ სწორად გითხარი იმ დღეს, მარჯვენა ყური მაღლაათქვა.

– კი, მაღალი იყო. გავასწორე. გუშინ კაშნეზეც წავიმუშავე ცოტა.

კაშნეს ხსენებაზე იაგომ ამოიოხრა.

– რაც დრო გადის, მკვდარი მამის სულს გეფიცები, უფრო და უფრო მიჭირს ასე ჩაცმული სიარული. დიდებს მოუვლი კაცი რამეფრად, ბოვშებს? ბოვშებმა დამინწყეს გამოკიდება.

– ერთს ვიტყვი მე, იაგო ბატონო, – მხატვარი პორტრეტს თვალს არ აშორებს.

– ჰო.

– აქ რომ დატოვო, ტანსაცმელი? მოხვალ და ჩაიცვამ.

მეჩონგურე ერთი შეჩქვიფდა, მაგრამ მაშინვე სახე გაუნათდა.

– შენ აგაშენა ღმერთმა. აქამდე ვერ უნდა მივმხდარიყავით მაგ ამბავს მე და შენ?

დიდი აღმოჩენები, ზოგჯერ, რა უბრალოდ კეთდება, ძვირფასო მკითხველო. თითქოსდა ისინი ჩვენს თვალწინაა, მაგრამ ვერ მიგვიგნია. რა ღვთაებრივად უბრალო ჩანს იმის შემდეგ, ბედნიერი შემთხვევა რომ ზედ მიგვადენის და საიდუმლო ყუთს გაგვახსნევინებს.

ზის იაგო დოღონაძე მაგიდასთან. ცალთვალოდნავმოჭუტული, ზეწარჩამოფარებულ ფანჯარას შესცქერის, მხატვარს სინათლე არ უყვარს და როცა კაშკაშა მზეა, ორ ზეწარს აფარებს ხოლმე სარკმელს. ხელჩახვეული, წელში გამართული, შუბლზე ჩამოწეული შლაპით და ირიბი გამოხედვით, მართლაც რომ, სადაა პატრონი თორემ, მშვენიერი დასახატია. ვერა და ვერ მიეჩვია ამ პოზას მეჩონგურე. ნახევარი საათის მერე თვლემა ერევა და საუბარს იწყებს. ლევანს ხატვის დროს ლაპარაკი მაინცდამაინც არ უყვარს, მაგრამ იცის, რომ თვლემამორეული იაგო ხელოვანის ჩანაფიქრს აცამტვერებს, თვალებმიბლეტილი, სახეჩამოღვენთილი, დაღლილ-დაჩუტული გამოხედვის მქონე მეჩონგურე ის აღარ არის და, საერთოდ, ამ ბოლო დროს შენიშნა ლევანმა, რომ იაგოს ასატანზე უფრო ცვალებადი სახე აქვს.

– ესე იგი, ვინ ხატავდაო, რა მითხარი, პორტრეტებს მსოფლიოში ყველაზე კარგად?

– ველასკესი.

– რამდენ ხანს უნდებოდა, თუ იცი?

– გააჩნია სახეს.

– მხატვარსაც ხომ არ გააჩნია?

– მხატვარსაც.

– პირველ პორტრეტად მაინც ჯოკონდა ითვლება, ხომ?

– კი.

– რამდენ ხანში დახატაო ლეონარდომ, რას ამბობენ? – იაგო დაიღალა. უნდა გავუგოთ, მას ახლა ყველაფერზე მეტად დიდ მხატვართა პორტრეტზე მუშაობის დრო აინტერესებს.

– არავინ იცის. იქნებ ერთი წელიც მოანდომა.

– აღარ ყოფილა საშველი, – იაგომ ამოიოხრა.

– პორტრეტის ხატვა, რა არის, იცი, ბატონო იაგო? შეიძლება უცებ მიაგნო იმას, მთავარს, შეიძლება დიდხანს ვერ იპოვო. ფსიქოლოგიაა მთავარი. ერთბაშად იცის მოვარდნა მუშაობის დროს.

– ხომ შეიძლება, საერთოდ ვერ მიაგნო?

– ასეთი შემთხვევებიც ყოფილა, მაგრამ იშვიათად, დრო უნდა ყველაფერს.

და იაგოც ჩუმდება. დრო კი ძალიან ნელა გადის ხატვის დროს. ჩვენ შორის დარჩეს და, დოღონაძე გულის სიღრმეში უკვე ნანობს, რომ ახალგაზრდა მხატვარს დაუკავშირდა. სამ საათს მაინც გრძელდება სეანსი. ნახევარი საათი იქით და ნახევარი აქეთ – ეს ერთი საათი. ორმოცი წუთი თქვი, თუ გინდა, მოკლედ, ლამის ნახევარი დღე დაკარგულია. ესეც არ იყოს, იაგო, მე მგონი, მხატვარზე უფრო მეტად იღლება. როგორი დასაჯდომია ამ სიცხეში დრაფის პალტოთი და შუბლზე ჩამოფხატული შლაპით, გაუნძრევლად? ოფლში იწურება, მაგრამ ხმას არ იღებს. სეანსი რომ მთავრდება, დაოთხილი გარბის სახლისკენ. ჩონგურის თლასაც თავისი განწყობა უნდა. წკრიალა ჩონგური სისხამ დილით უნდა გაითალოსო, ასე ასწავლა იაგოს ცხონებულმა მამამისმა. დაღლილი, გასავათებული, ნასადილევს რომ ჩაუჯდება, რა ჩონგური უნდა გამოვიდეს? ერთი სიტყვით, ამ პორტრეტის გადამკიდე, თავის საქმესაც ჩამორჩა დოღონაძე. აგვისტოს დასაწყისში კულტურის სასახლეს ოცდახუთი ჩონგური

უნდა ჩააბაროს. ხელშეკრულება დადებული და ავანსი უკვე შეჭმული აქვს. ამ ტემპით თუ იმუშავებს, ნახევარსაც ვერ მოასწრებს და შერცხვება კაცი. არადა, ჩონგური ისეთი რამ არის, ეს დალოცვილი, რომ სხვის ხელს არ იკარებს. მაშინვე შეეტყობა. ასე რომ, გულითაც რომ გინდოდეს, ვერავის დაიხმარიებ.

პორტრეტის დამთავრებას კარგი პირი არ უჩანს. კითხვით როგორ ჰკითხავს, მაგრამ საქმეზე ატყობს, ლევანს პორტრეტის შექმნის დიდი გამოცდილება არ უნდა ჰქონდეს. იქნებ პირველიც კია, ვინ იცის. თავიდან დიდი ინტერესით შესცქეროდა მხატვრის მუშაობას იაგო. სასწაულად ეჩვენებოდა, რომ გრძნეული კაცის ფუნჯს თითქოსდა ბურუსიდან გამოჰყავდა მეჩონგურის თვალები, ცხვირი, ულვაშები, პოინტერის ყურებივით ჩამოყრილი პალტოს საყელოები, კაშნე. ადამიანებმა ხომ არასოდეს იციან ზუსტად თავიანთი გარეგნობა. იაგოს ეჩვენებოდა, რომ პორტრეტიდან ვიღაც ძალიან ნაცნობი და ახლობელი შემოსცქეროდა. ჩაცმულობით მართალია, საბავშვო წიგნების ილუსტრაციების ხელმოცარულ მეკობრეს ჰგავდა, მაგრამ იმ მეკობრეს იაგოს ხელები და თვალები ჰქონდა და იშვიათი პროფესიის კაცი წინასწარ გრძნობდა სიამოვნებას, რასაც მისი ოჯახის წევრთა აღტაცებული სახეები განაცდევინებდა! პორტრეტს შინ რომ მიიტანდა და სასტუმრო ოთახში ჩაპაევის პორტრეტის გვერდით დაჰკიდებდა. ამ ბოლო დროს კი იაგოს სევდა დაეუფლა. ამ ფაქტს იგი მხატვრის შესაძლებლობებში დაეჭვებას აბრალებს. პორტრეტი თითქმის დამთავრებული იყო და ლევანმა, როგორც თვით აღნიშნა, მისი „დამუშავება“ დაიწყო. სწორედ მაშინ წახდა საქმე. ნამეტანი დამუშავებით პორტრეტი ნელ-ნელა გადაემგვანა მეჩონგურეს და მიმსგავსებული მხოლოდ პალტოს მარცხენა საყელო და კაშნე დარჩა. ძალიან რომ მგავდა, მაშინ უნდა შევჩერებულიყავითო, ხანდახან მოკრძალებით ჩაუკრავს იაგო, მაგრამ მხატვარს სასაცილოდაც არ ჰყოფნის მეჩონგურის მოსაზრება. არა და, რაც დრო გადის, პორტრეტი თანდათან შორდება დოღონაძეს და ვიღაცას,

უცხოს, შორეულს ემსგავსება. ყოველ შემთხვევაში, იაგოს ასე ეჩვენება და, ღმერთმა ქნას, სცდებოდეს.

მეჩონგურეს მარჯვენა ფეხი დაუბუჟდა. საათს დახედა, სამის ნახევარია. ქუდი მოიხადა, კოჭლობით წამოდგა და მოლბერტს მიუახლოვდა.

– აბა ვნახოთ, რა ვქენით დღეს...

მხატვარი უკუდგა.

არ მოსწონს, აშკარად აღარ მოსწონს დოღონაძეს პორტრეტი და, მოკალი, თუ გინდა. ეს თვალებჩამქრალი, ლოყებდაბერილი, შუბლგახრილი კაცი, შეიძლება, ვინც გინდა იყოს ამ ქვეყანაზე, მაგრამ მეჩონგურე იაგო დოღონაძე ნამდვილად არ არის. არადა, სანამ დაუმალოს ხელოვანს, რაც დრო გადის, პორტრეტის საქმე უკან-უკან რომ მიდის.

– ლევან!

– ბატონო.

ორივენი ნახატს შესცქერიან. ხან წინ გადადგამენ ნაბიჯს, ხან უკან, ხან კი, უბრალოდ, თავს ატრიალებენ.

– ნიკაპი რომ გაგიმწვანებია, ასე იყო საჭირო?

მხატვარმა ჯერ პორტრეტის ნიკაპს შეავლო თვალი და მერე ნამდვილ ნიკაპს შეხედა.

– მე კი არ გამიმწვანებია, თვითონაა მწვანე. საერთოდ, შავი და წითელი ფერი მწვანედ ურტყამს ნიკაპზე, ბატონო იაგო.

რა დაგიმალოთ და, იაგოს, ეს ცოტა არ იყოს, მწყრალი კილო არ ესიამოვნა.

– კეთილი და პატიოსანი. ეს ყური რომ წითელი ჭარხლის ფოთოლივითაა შეკეცილი ქუდში, ასე დარჩება?

– რა შუაშია ჭარხალი, ბატონო იაგო, – დღეს, რაღაც, ლევანიც ვერ იყო ხასიათზე. ჩვეულებრივი ამბავი მოხდა, ძვირფასო მკითხველო. ყველაზე ახლობელ ადამიანებსაც კი წელიწადში, თუ მეტი არა, ერთი დღე მაინც ერთმანეთის დანახვა არ უნდათ. ამას ფილოსოფოსები მიჩვევით გამოწვეულ მოწყენას ეძახიან. როგორც ჩანს, მხატვრისა და მისი მენატურის ცხოვრებაში ეს დღეც დადგა.

– მე გეკითხები, იმისი არ იყოს, რომ ვიცოდე, ხომ არ შეგეკითხებოდი, რა გული მოგდის, შე კაი კაცო?

– გული კი არ მომდის, ჭარხალი ჭარხალია და ყური ყურია.

– მეც მაგას ვამბობ, ახლა კიდევ გეტყოდი რაღაცას, მარა გეწყინება და შარის თავი არა მაქვს.

– ბრძანე, ბრძანე. წყენა რა შუაშია.

– ეს შუბლის ხაზი რომაა ჩატეხილივით, ამნაირი ოღრო-ჩოღრო შუბლი მაქვს მეე?

ლევანმა შუბლის ხაზს შეხედა. ღმერთო შეგცოდე, ამ დეტალს ვერავითარი ნაკლი ვერ უპოვა. პირიქით, შუბლის ხაზი ჩვეულებრივზე უფრო სწორად და შუბლი გაბრტყელებულად მოეჩვენა.

– საერთოდ, პორტრეტს სამ ნაბიჯზე მეტად არ უნდა მიუახლოვდეთ და თვალმოჭუტულად უნდა შეხედოთ, ბატონო იაგო.

– კი ბატონო, მე, თუ გინდა, სულ დავხუჭავ თვალს, მაგრამ ჩემს სახლში შემოსულ კაცს როგორ ვუთხრა, თვალმოჭუტულად შეხედე-თქვა, ყველამ ხომ არ იცის ეს ამბავი.

– ვინც არ იცის, იმისთვის არც იხატება პორტრეტი.

– რაღაც ვერ გამოდის ეს ამბავი სწორად. ესე იგი, ვისაც არ ესმის, არ შეხედოს ნახატს საერთოდ?

ლევანმა არ უპასუხა. ქილას წვრილთავიანი ფუნჯი ააძრო, შავ-ნაცრისფერში აურია, პალიტრის მშრალ კიდეზე თავი კიდევ უფრო გაუწვრილა და იაგოს ჯიქურ მიაწოდა.

– ა, ბატონო, თქვენ გაასწორეთ შუბლის ხაზი.

მეჩონგურემ ანგარიშმიუცემლად ჩამოართვა ფუნჯი და მხატვარს თვალებში შეხედა, ხომ არ მეხუმრებაო.

– რა არი ახლა ეს, ვითომ, ჩემო ლევან, დამცინი?

– როგორ გეკადრებათ, იქნებ თქვენ უკეთესად ხედავთ, გაასწორეთ, როგორც გაგეხარდებათ.

– დამცინი? არ მეკუთვნის შენგან, მკვდარი მამის სულს გეფიცები, – იაგოს მიტკლისფერი დაედო.

– არც მიფიქრია, უბრალოდ, რაკი შენიშვნებს იძლევით, იქნებ მართლა უკეთესად გააკეთოთ. იქნებ დავიღალე მე

თქვენი ხატვით. ან იქნებ მეტი აღარ შემიძლია და, ხომ არ მივაკლავ თავს.

– მერე ვინ დაგაძალა, შე კაი კაცო. მე მოვედი შენთან, გინდა თუ არა, დამხატე-მეთქი, შეგეხვეწე?

– არ გვინდა ახლა ეგ ლაპარაკი, ბატონო იაგო, უმორჩილესად გთხოვთ, დაუსვით ფუნჯი ნახატს. სცადეთ ერთი. ხომ არ მოგწონთ შუბლის ხაზი? გამისწორეთ, კაცი არა ხართ? დამეხმარეთ, ხომ შეიძლება?

იაგომ უყურა, უყურა, მერე რაღაც წაიბუტბუტა და მოლბერტისკენ შეტრიალდა. ჯერ შეშინდა, ხელი აუკანკალდა, ხაზი ხაზს ააცილა, მერე ქვედა ტუჩზე იკბინა და თავს მოერია. „ბოლოს და ბოლოს, ღმერთი არც ეს არის. კაცია ესეც. ამას ჰგონია, თვითონ იცის მარტო ხატვა ამ ქვეყანაზე“, – გაიფიქრა და გული მიეცა. შუბლის ხაზი გაასწორა, უკან დაიხია, შეხედა. მერე გულზეხელდაკრეფილ ლევანს კითხვით სავსე თვალები შეავლო. ლევანმა თავი დაუქნია. მეჩონგურე ამ თავის დაქნევამაც შეათამამა. ფუნჯი გამოცვალა, პალიტრა მოიმარჯვა და ხატვას შეუდგა. ნიკაპს ხორბლისფერი დაუბრუნა, შუბლის ცისფერი ღარები ამოავსო, ყური ყურს დაამსგავსა. ცხვირის ჩავარდნილი ნესტოები ამოსწია და ულვაში დაამოკლა. შლაპის ჩრდილი შუბლს ცერად გადაავლო. ქუთუთოებს სილბო მისცა და თვალებს სიცოცხლე. დრო ისე შემოადნა ხელში, არ გაუგია. ჭრიჭინობელების ხმა აღარც ესმის. ფერს რომ დაადებს, უკან დაიწევს და თვალმოუხუჭავად შეხედავს პორტრეტს. აშკარად ეტყობა, კმაყოფილია თავისი ნამუშევრით.

ლევანს ხმა არ ამოუღია, კედელს მიყრდნობილი, თავაწეული იდგა და მეჩონგურეს შესცქეროდა. როცა ოთახში საღამოს ლანდები აცეკვდნენ, იაგომ ხატვა შეწყვიტა. მასპინძელმა იგი ჭიშკრამდე გამოაცილა. ძაღლი ჩვეულებრივად ყეფდა.

– ხუთშაბათს ისევ თორმეტზე? – დოღონაძეს გატეხილი ხმა და შემცბარი იერი ჰქონდა.

– არა, ბატონო იაგო, მეტი მოსვლა აღარ არის საჭირო.

– დამემდურე, შე კაი კაცო? შენ თვითონ არ დამაძალე?

– არა, მაგიტომ კი არა, საერთოდ... ისე... მე თქვენ ველარ დაგხატავთ, არ გამომდის.

– ის პორტრეტი მაინც რომ გამატანო? – მორცხვად სთხოვა მეჩონგურემ.

– არა, ბატონო. არ გგავთ და ტყვილად რად გინდათ, სახლში გეკიდოთ, სხვა დროს... ბოდიშს ვიხდი, რომ გაგაცდინეთ... სხვა დროს დაგხატავთ... იქნებ მე თვითონ მოგაკითხოო...

– მშვიდობით, აბა, ღმერთი შენსკენ.

იაგომ პალტოს ჯიბეში ხელები ჩაიწყო და თავდახრილმა პანაშვიდურად გააბიჯა.

– კარგად ბრძანდებოდეთ.

ოცდაშვიდ აგვისტოს ახალგაზრდა მხატვარმა ლევან ხურციძემ იაგო დოღონაძის სახლის კარი შეაღო და სახტად დარჩა.

მეჩონგურეს რაიონის კულტურის სასახლის დირექტორი, ხალხური თვითშემოქმედების მეცხრე რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატი შანშე გიორგაძე დაესვა ვეფხვისფეხება სავარძელში და გატაცებით ხატავდა.

გიორგაძეს კახური ქუდი ეხურა, თავი ამაყად, მაღლა ჰქონდა აწეული, მუხლებზე კი ჩონგური არ ედო.

ურწმუნო თომა

სამოცდასამის გავხდი, მე რომ მიყურებ, შარშან, ა, თერთმეტ ენკენისთვეს და სამოცდამეოთხეს მივყვები. ამ ხნის კაცი, მოგეხსენება, ხშირად უკან მოიხედავს ხოლმე და თავის ნაბედაურალ თუ ნაჩანჩალევ დღეებს დააკვირდება. ზოგ დღეს თვალს აარიდებს, ზოგს დავიწყების სუდარას გადააფარებს, ზოგს მტრედივით ააფრთხიალებს მეხსიერების ცისთავანზე და აღტაცებით შეაჩერდება. არ გინდა ლაპარაკი, ვიცი, გახსენებული დღე თაფლგამოცლილი ფიჭასავითაა (ჩვენში ჯალას ეძახიან) ის სუნი და გემო დაკარგული აქვს, მაგრამ მაინც ოქროს ფასი აძევს კარგ მოგონებას. ვაი მას, ვინც ჩემს ხნობამდე მოყრილა და გასახსენებელი არაფერი აქვს. შენ კარგად იცი, ამ ცხოვრებასთან ჭიდილი სამუნათოდ არ დამიმთავრებია. ჩემსას ვეცადე მოკლე და ჭრელ წუთისოფელში. „მით, რაცა მინდა, არა მაქვს, რაცა მაქვს არ მომინდებისო“ – სულკურთხეული რუსთველი ბრძანებს. ეს სიტყვები ამ ბოლოს დროს უფრო განათლდა და აიზიდა ჩემთვის. საათივით მოერგო ჩემს მდგომარეობას. მე ის კაცი არ გახლავარ სიკვდილის არსებობა რომ დავიწყებია. ვიცი, ხვალ თუ ზეგ მეც ჩამოვჯდები ჩემთვის წყნარად და ჩამოვყრი კრიალოსანზე მორჩენილ, უქარაშოტო, მთვლემარე დღეებს, მაგრამ ამ ბოლო დროს ნამეტანი ქება დამიწყეს და, ცოტა არ იყოს, შევფიქრიანდი. კვირა არ გავა, არ მომაკითხონ, ასე, შენსავით კარგმა ბიჭებმა. გამომაწყობენ, წამასრიალებენ მანქანით, დამაყენებენ ტაშაგრიალებულ დარბაზში; ჰაი, ჩვენი ომის და შრომის ვეტერანიო, ჩვენი ამშენებელიო, ჩვენი სახელის გამტანი და გამჯირითებელიო. მხოლოდ მრცხვენია და მეტი არაფერი-მეთქი, რომ გითხრა, არ ვიქნები მართალი; მეშინია კიდეც. შეხვედრიდან მობრუნებული სარკეში ვდგავარ და ჩემს თავს ვეკითხები: „რაშია ვითომ საქმე, რას

გიპირებენ იოველ, მიქელ-გაბრიელის სიას ხომ არავინ ჩახე-და და იმქვეყნად ხომ არ გაცილებენ დაფა-ზურნით მეთქი“. თვალებში გეტყობა, დიდად არ გჯერა ჩემი. უნდა მენდო, ძმიშვილო, ჩემი საქმე ისე წავიდა, მარტო სიტყვით შემიძლია დაგარწმუნო, რომ მართალი ვარ. ვიცი, ბევრს თავმდაბლობა ნიღაბივით აქვს აფარებული ცხვირპირზე. მე ამას იმიტომ კი არ გიყვები; რომ მოვკვდები, შესანდობარში გაიხსენო, რა მოკრძალებული კაცი იყო, ერთხელ ასე და ასე მითხრაო. არა, შენი ჭირიმე. არც ისე ოტროველა ვარ, მიამიტად მიმაჩნდე და ჩემთან ცხოვრების სიბრძნის გასაგებად მოსულ გულუბრყვი-ლო დევრიშად გიცქერდე. მე განა რა სიბრძნეს ვეზიარე, რომ შენ გიწილადო. მეშინია-მეთქი ქებისა, არც მეტი არც ნაკ-ლები. ჯერ ერთი; მე იმ ზვირთებში ვერიე, საიდანაც მშრა-ლი ვერ გამოდიან. ჩემი ხელობის კაცს მტერი უმრავლდება. ამიტომ კი არა, „დიდ ნადირს რომ დიდი ნაგაზები ჰყეფენ“. რა დიდი კაცი მე ვიყავ, რაიაღმასკომის თავმჯდომარეობას არ გაშორებია ჩემი კარიერა, მაგრამ, ხომ იცი, როცა სკა-მზე დაგსვამს და შენს თანამკაფველებს ცოტას მაინც მაღლა აგაცილებს ცხოვრების კარუსელი, უმადური და ენაჭარტალა ადამიანების მსხვერპლობის უფრო მეტი შანსი გაქვს, ვიდრე შუბლზე კოცნის და გუნდრუკის კმევისა.

რა ჯურის კაცს არ შევხვედრივარ ცხოვრებაში. ჩემ წინ ვის რა ანგელოზის ფრთები არ დაუსხამს ეშმას მხრე-ბზე და ვის რა ოფოფები არ აუფრენია. კაცის ცნობაში არ შევცდებიო, ნურავინ დაიქადნებს. ადამიანთა სახეცვალებას საზღვარი არა აქვს. ჩაივლის ათასი ქამელეონი მეხსიერების კალეიდოსკოპზე, მაგრამ, ამ ბოლო დროს, კირილე ნიორაძე მაგონდება ყველაზე ხშირად. შარშან გარდაიცვალა. ჩავედი სოფელში და გულით ვიტირე. თურმე იმაზე მეტად მიყვარდა, ვიდრე მეგონა. კუბოშიც გაბრაზებული იწვა, პირმოკუმული, ნიადაგ უკმაყოფილო, გეგონებოდათ, ეს-ესაა წამოდგება და ყვავებივით ჩამწკრივებულ ჭირისუფალთ შენიშვნებისა და საყვედურების კორიანტელში გაახვევსო. თვალწინ დამიდგა ჩვენი შეხვედრები, გამახსენდა რამდენჯერ გავუგულისები-

ვარ თავისი პილპილიანი სიტყვით და ადგილიანი თუ უადგილო წკიპურტებით. მწარე ენა ჰქონდა, მაგრამ ხატზე დავიფიცებ, დიდი კეთილი გული უძგერდა მკერდში და ჩემი თავის კმაყოფილი იმიტომაც ვარ, რომ კირილესთვის სამაგიერო არასოდეს გადამიხდია. რაც შემეძლო, ხელიც გამიმართავს. ნიორაძის ავყიაობის მომჩივანისთვის ყური არ დამიგდია. არ დავმალავ, გულზე არ მეხატებოდა, მაგრამ ყოველთვის ვიცოდი, რომ კირილე მედროვეთ არ ჰგავდა. იგი სწორედ ისეთი იყო, როგორიც იყო, თავისი სახე ჰქონდა. რასაც ფიქრობდა, პირში გეტყოდა. „შენთან შენი და სხვასთან სხვისი“ როდი გახლდათ.

კირილე ნიორაძე სოფლის ბოლოში, ღელის გაღმა ცხოვრობდა. ჩემზე კარგა ხნით უფროსი იყო. ასე გასინჯეთ, ომში ხანდაზმულობის გამო არ გაუწვევიათ. შუბლგახსნილი იშვიათად მინახავს. ბავშვობიდანვე შიშითა და მორიდებით შევცქეროდი. ბოგირთან მდგარ მოღირღიც-მოქადაგე კაცებში როდი ჩადგებოდა, ყუნცულით გამოივლიდა და თუ ხასიათზე ვერ იყო, გამარჯობასაც არ იტყოდა. ჩია ტანისა გახლდათ, ჩვენში კვაჭაჭია კაცს რომ ეძახიან ისეთი. ბუსცხვირპირა, – ცხვირკაუჭა და ნიადაგ თვალდაჭყეტილი. ზაფხულშიც ჩაკეცილი რეზინის ჩექმები ეცვა და უკან, ქამარში, მოკლეტარა წალდი ჰქონდა გაჩრილი. დილით ხარიპარია ვარსკვლავს აასწრებდა. რომ არ ელოდი, ისეთ ადგილას გაგეჩითებოდა. შუადღისას ტყიდან გამოვიდოდა, მდინარის პირას, სიპ ქვებზე მიყრილ ბიჭებს ერთს დაგვხედავდა და ისევ ტყეს მისცემდა თავს. სად დაძვრებოდა, რა უნდოდა – საიდუმლოებით იყო მოცული. ქორწილში თუ დაპატიჟებდნენ, თავისთვის კუთხეში მიჯდებოდა. ყანწ-ჭინჭილას არ დაიკლებდა, თავის წილს იტყოდა და იმღერებდა კიდეც. უეცრად, თითქოს რაღაც გაახსენდაო, წამოხტებოდა და წავიდოდა. მთვრალი და ფეხარეული არავის უნახავს. სიპი ქვასავით შეკრული და ჩაკირული იყო. კენჭსაც ვერ მოაფშვნიდი და მოურყევდი.

მახსოვს, ჯარიდან ახალდაბრუნებული ჩემს ეზოში მორს ვთლიდი. ოდის დაწყებას ვაპირებდი და საკოჭე თელას

გვერდებს ვუსწორებდი. კირილემ ჩამოიარა. ჭიშკარი გააღო, მომიახლოვდა, ნაჯახი გამომართვა და განზე გადგა.

– ან ხეს რატომ აწვალებ, ბიძია, და ან თავს რაზე იწვალებ, რა ჰქვია, იცი, რასაც შენ აკეთებ?

– რა ჰქვია? – წყრომით შევხედე.

– რა ჰქვია და ხის ფორტნა. გეიგე ახლა? თუ გათლა გინდა, სხვანაირად უნდა მოიქცე. მიყურე.

ხე შეაბრუნა, ჯირკს ჩამოადო, გვერდიდან სოლებით გაამაგრა, გადაალაჯა და ორფეხსშუა მოიქცია. ჯერ რბილად ჩამოჰკრა სამ-ოთხ ადგილას ნაჯახი და მერე, თავიდან, ისე მსუბუქად მოჰყვა თლას, რა დაგიმალოთ და შემეხარბა, მაგრამ არ შევიმჩნიე. ნაჯახი მომიგდო, შემომხედა, ხელი ჩაიქნია და წავიდა.

სოფლსაბჭოს თავმჯდომარედ რომ ამირჩიეს, თავი გადავდევი და წელიწად-ნახევარში ახალი სკოლა ავაშენე. ძველი ხის შენობა თავზე ენგრეოდათ ბავშვებს. ვისაც სკოლა აუშენებია, მარტო იმან იცის; რა წვალება, ქაღალდობანა და გეგმაში ჩასმობანა სჭირდება ამ საქმეს. მერე დაწყებას არ გაღირსებენ და თუ დაიწყეს, დამთავრებით აღარ დაამთავრებენ. ხან ხალხის ენთუზიაზმი დავახმარე, ხან მთავრობა შევაწუხე, და, როგორც იქნა, დავადგით თავი. პირველ სექტემბერს ახალი სკოლის ზარი დავრეკეთ. მაგრამ მიტინგი რომ დამთავრდა, კირილე მომიახლოვდა. მისგან მოლოცვას და „ჰაიდოსტობას“ არ ველოდი, მაგრამ ერთ თბილ სიტყვას თუ არ გაიმეტებდა, არ მეგონა.

– ნუ იყინჩები გლახა მამალივით. რა ქენი ვითომ ამნაირი? არ იცის ხალხმა თვარა, ტაშს დაგიკრავენ კი არა, ქვას გესროდნენ ამ სკოლის აშენებისთვის.

– რატომ ვითომ? – გავუღიმე, ხელი გამოვდე და განზე გავიყვანე, რომ მისი ყრანტალი სხვას არ გაეგონა.

– რატომ და ამ სიმაღლეზე რომ წამოჭიმე, ეკლესიაა? სკოლა ქვევით უნდა აგეშენებია, ცენტრში. წყალს შენ ამეიყვან ამ სიმაღლეზე? ეს ფარღალალა ფანჯრები გაუძლებს ზენა ქარის ფსტვენას? ან გაკვეთილის ჩატარება არ გინდათ,

ან გათბობა არ უნდათ ბავშვებს ზამთარში? სამასწავლებლო რომ გააკეთე სამოცმეტრიანი, ბოვშებმა ფიზკულტურა თოვლში ითამაშონ? დარბაზი არ უნდოდათ? რავა ფიქრობ შენ?

– მე ეს შევძელი, ბატონო, და უკეთესი სხვამ გააკეთოს! – ბრაზი ვერ დავიოკე, ხელი გავუშვი და ზურგი შევაქციე.

– ბატონო არ უნდა ამას... – კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ აღარ მოვუსმინე.

ხიდის მშენებლობა რომ დავიწყეთ, კირილე სულ იქ ტრიალებდა. ხან ინჟინერს ედავებოდა, ხან მუშებს ეჩხუბებოდა. შეგვჭამა ნიორაძემო, შემომჩივლეს. სოფლსაბჭოს კანტორაში დავიბარე: რა გინდა, კირილე ბატონო, რა არ მოგწონს ჩვენი, გაგვაგებინე ერთი-მეთქი, – პირდაპირ დავუსვი კითხვა.

– არ გამოვა არაფერი მაგ საქმიდანო. საორდღისოდ ხიდის გაკეთება არ გამიგია მეო. ხიდს ერთხელ აშენებს სოფელი. უნდა იცოდე შენო. ჯერ ერთი, რბილარ ნაპირზე ხიდი ვერ მეიკიდებს თავს. ქვევით უნდა აგეშენებიათ, ბერიძეების კლდესთანო. მერე და ერთი ბიჯგი რას ეყოფა. ამ ჩვენი წყლის მოდიდების ამბავი შენ მაინც იცი, აქ გაქვს ჭიპი მოჭრილიო.

დავაშოშმინე, გავისტუმრე, ვეცი მეორე დღეს ინჟინერ-ტექნიკოსებს, ბევრი არაფერი, მაგრამ რაღაც მაინც შევაცვლევინე კირილეს რჩევით.

ხიდს ვხსნით. ზეიმი გვაქვს. კირილეს ვერ ვხედავ. დავჯექი ვილისზე და შინ ავაკითხე. სამზადში, კოჩაბანდზე იწვა, რომ დამინახა, არც წამომდგარა.

– ვზეიმობთ, ხიდს ვხსნით, კირილე ბატონო. არ წამოხვალ?

– არაფერი მაქვს საზეიმო და სატაშფანდურო, ბატონო, მე. ვინ დაგწყევლათ, ვერ გევიგე: თქვენი არ იცოდეთ და სხვისი არ გეყურებოდეთო. ხიდია მაგი? ხიდის ხიდობა მეხუთე წელიწადს უნდა იზეიმო. წინ ვერ უნდა გაიხედო კაცმა? ერთი ტრალერი გადეივლის და ნახე, თუ არ დაკოჩავს გვერდზე ე შენი მოწონებული ხიდი.

– რა დაგიშავე, კირილე ბატონო, არაფერი რომ არ მოგწონს ჩემი? – ხმაში ცრემლი გამერია.

– შენ რა შუაში ხარ. შენ რა იცი ხიდის. მე იმ ჯიბგირებთან მაქვს საქმე, შენც რომ გატყუებენ და ქვეყანასაც. მაგენი დეიხურავენ ქუდს და ხიდზე მე და შენ უნდა ვიაროთ.

თქმით არაფერი მითქვამს, გამოვიხურე კირილეს კარი და გადავწყვიტე, ფეხი აღარასოდეს დამედგა მის ეზოში.

რაიაღმასკომის თავმჯდომარედ რომ გადამიყვანეს, მესამე დღეს მომაკითხა. კაბინეტში შემოალაჯა. ჯოხი კუთხეში მიაყუდა და, არც ამბავი არც ხაბარი, პირდაპირ ჭკუის რიგება დამიწყო:

– თავში არ აგივარდეს. სხვას რომ ჯობიხარ, არ უნდა ლაპარაკი, მარა ქვეყნის თვალად ნუ წარმოიდგენ თავს. სუფთა კაცი ხარ, მარა უნდა იცოდე, ხალხის რიარიას დიდად ვერ შეცვლი. მარილის გაიაფება მარტო შენზე არაა დამოკიდებული, მთლად ზევიდან თუ რაღაცები არ დაიწყო. შენს კეთილ ქიჩმაჩს შენივე მტრები მრუდსაქმობად ჩაგითვლიან, ამისთვისაც მზად იყავი. ნელა და ჭკვიანად მიყევი საქმეს.

პირის გაღება არ მაცალა, ჯოხს ხელი დაავლო და კარისკენ გარაკუნდა.

მოგეხსენება, კარგა ხანი დავყავი რაიაღმასკომის თავმჯდომარედ. შენ იცი, ძნელ დროს მომიწია თავმჯდომარეობამ. დღე და ღამეს ვასწორებდი, რათა უკუღმაშეტრიალებული ბორბალი წაღმა დამებრუნებინა, ქვეყნად მართალი სამართალი გამეჩინა, წყალწაღებულისთვის ხელი გამეწვდინა, იმედდაკარგულისთვის რწმენა შთამენერგა.

რა გავაკეთე და რა ვერ შევძელი, მადლობა ღმერთს, ჩემ შემდეგ მოსულნი – უმრწემესნი კარგად ხედავენ. ცუდად რომ არ დავმაშვრალვარ, ესეც ფაქტია, წელგამართულად შემიძლია სოფლად ვიარო, ხალხს თვალებში შევხედო – ესეც არ გახლავთ პატარა საქმე.

სიტყვამ გამიტყუა. მაღალფარდოვნებიდან გულუბრყვილობამდე, ვიცი, ერთი ნაბიჯია. გატყობ, ნიორაძის ამბავი უფრო გაინტერესებს და ახლავე მოგახსენებ.

რაიაღმასკომში ხუთი წელი ისე დავამრგვალე, კირილე არ გამომცხადებია. ვიფიქრე, დავავიწყდი-მეთქი და სიმართლე

გითხრა, გულის სიღრმეში, ცოტა არ იყოს, მეწყინა. მე, ჩემის მხრივ, ერთი წუთითაც არ დამვიწყნია. რამე საქვეყნო საქმეს რომ წამოვიწყებდი, გამახსენდებოდა კირილე ნიორაძე და ჩემს თავს ვეტყოდი; ვინძლო ამ ურწმუნო თომას საქილიკოდ და სიღინცილო არაფერი დავუტოვო-მეთქი. არ გეგონოს, თითქოს, კირილესნაირი პილპილიანი კაცებისა მეშინოდა. შიშით, იმნაირი მასალისაგან გახლდით ნაჭედი, ამოღებულ ხმალს არ შევუდრკებოდი და, თუ გაჭირდებოდა, ლომს შევუყოფდი ხახაში თავს. უბრალოდ კირილეს არსებობა ამ ქვეყანაზე ცოტათი მაღიზიანებდა, ცოტათი მაწუხებდა და, მგონი, ცოტათი მაფხიზლებდა კიდეც.

ჩემს ერთ-ერთ მთავარ საქმედ რაიონის ისტორიული ძეგლების მოვლა დავისახე და, რომ არ დაგიმალო, ნერვების გლეჯის ფასად, ბევრი რამ გავაკეთე. კარგად ვიცოდი, ქვეყნის ისტორიული პასპორტი თუ გაცვდა დაიჩრჩილა, ერი თავის სახეს დაკარგავს. ახლა, რომ ჩავივლი, მე თვითონ მეამაყება. ლამის ცის ანაბარა დაგდებულ სიძველეთ თავისი სახე დავუბრუნე, აღვადგინე, მოვუარე, ავ თვალს არ ენახვება ახლა ჩვენი რაიონული ცენტრი. რომ მგონია, ახლა მაინც გვირწმუნა, ახლა მაინც დაცხრა კირილე ნიორაძე-მეთქი, შენც არ მომიკვდე, 1980 წელს უხვი მოსავლის დღესასწაულზე შემხვდა და აფთარივით დამაცხრა თავს.

– სალაპარაკო მაქვს შენთან, თავმჯდომარევ! – სხვების გასაგონადაც მომაძახა.

რას ეტყვი? კირილე ის კაცი როდია; სამსახურში, მიღების დროს მობრძანდითთქო რომ უთხრა. შეიძლება ისე გიპასუხოს, თავი მოგჭრას ამ მილეთის ხალხში. კოლონას ჩამოვრჩი და ბჟოლის ძირში მივდექით.

– სისატურას ეკლესია ბავშვობაში გინახავს? – მკითხა.

– კი.

– ახლა მიდი და ნახე.

მახსოვდა, სისატურას აღსადგენად რაიონის ბიუჯეტიდან კარგა მოზრდილი თანხა რომ გამოვაყოფინე და რესტავრაციის საქმე ახალგაზრდა, ნიჭიერ რესტავრატორებს რომ მივანდეთ.

– რაო, ვერ ასწრებენ საპირველმაისოდ?

– მიდი და ნახე. მადლობა ღმერთს, მანქანა არ გიჭირს და ჩემსავით ფეხით არ დაჩანჩალობ. მიდი ერთი ჩემს გასამტყუნებლად. გუშინდელი ბიჭების ნამუდრეგალი სისატურა ვის რად უნდა, მითხარი ერთი. გამოუსწორებელ საქმეს სჩადიან. გუშინწინ ვიყავი, გაჯით ლესავდნენ კედლებს. ძველი ფრესკების ნარჩენებს გაჯით ფარავდნენ, ახალი უნდა დავხატოთო. წინა კვირას შაბათობა მოუწყვიათ და სკოლის გადარეული ბავშვებისათვის სულ სიმღერ-სიმღერით ჩამოუფხეკინებიათ სისატურას კედლები. ესაა ძეგლის განახლება? შაბათობის იმედით და მოსწრებაზე რესტავრაცია გამიგონია? თუ არ შეუძლიათ, ის მაინც გაამაგრონ, რაც არი, და გაანებონ თავი, ჩემო ბატონო.

– როგორ ფიქრობ ახლა, შენ, კირილე, – უკან არ დავიხიე, – მე ვეტყოდი, გაკეთების მაგივრად გააფუჭეთ-მეთქი? შენ ხომ იცი, ჰაიჰარად, ყველაფრის მოსწრების წინააღმდეგი რომ ვარ?

– ვიცი, შენ ყველგან ვერ მიხვალ, შენ ფული გამოუყავი და იმედი გაქვს, საქმე გაკეთდება. ქე ჩამოვყარე გუშინწინ ხარაჩოებიდან და ერთს ქე გადავავლე გაჯიანი ვედრა თავზე, მარა რაი. ჩემსას გეიგონებენ მაგენი?

– დღესვე ავალ სისატურაში, კირილე, ჯავრი ნუ გაქვს. არ გავაფუჭებთ ჩვენ არაფერს. რა მოხდა, შე კაცო, ერთი თბილი სიტყვა რომ არ ამოგივა პირიდან. კარგი, სისატურას დავანებოთ თავი, სხვა, რაც გაკეთდა, ცოტა საქმეა? გადახედე, ასეთი იყო ჩვენი რაიონი უწინ? რომ მომვარდები ვაი-გრგვინვით, დავიჯერო ახლა შენ შეგტკივა მარტო ამ ქვეყანაზე გული და ჩვენ არა?

– მე არავის არ გეჯიბრებიყენ. მიწის სიყვარულის დაზომების დრო არ არის ახლა. სისატურას მიხედეთ, სისატურას! – მომაძახა და გამშორდა.

სისატურას მეორე დღესვე მივხედე, მაგრამ გავიდა წლები და კირილე ნიორაძეს არ გამოუხედავს ჩემკენ. არც ავი სიტყვა მსმენია, მისი, ცოდოს ვერ დავიდებ. მე ვერ მოვიცალე

და ვერ მივედი, თვითონ არ გადმოდგა ნაბიჯი ჩემკენ. მოგეხსენებათ, ყველა ჩვენს წილ საქმეებში ვართ ჩაფლული და კირილე მიმრჩა განზე. დავიწყებით კი, გითხარი, მისი არ იყოს, არასოდეს დამვიწყნია.

სამოცის რომ შევსრულდი და ჩემმა სოფელმა, მიუხედავად ჩემი წინააღმდეგობისა, დაბადების დღის ზეიმი რომ გამიმართა, კირილე წინა რიგში იჯდა; დაბერებული და გათეთრებული, ნიკაპზე ხელს ისვამდა და გულმოსული მიყურებდა ტრიბუნასთან, სავარძელში მიმჯდარს. ხანდახან კრძალვით გავხედავდი; ე მანდ არ წამოდგეს და რამე არ წამოროშოს-მეთქი. ზეიმი რომ დამთავრდა, მოვიდა, გადამეხვია. ცრემლი ედგა თვალებში: „ასე არ ჯობია?“ რამდენჯერმე გამიმეორა და ჩემი მარჯვენა კარგა ხანს ეჭირა თავის გამხდარ, ცისფერი ხაზებით გაძაგრულ ხელებში.

უკანასკნელად, უკვე გითხარი, კუბოში ვნახე. მივდექი კუთხეში და ვიტირე. მეგონა, დუნიაზე მარტო ამ ერთი კაცის წინაშე ვიყავი დამნაშავე, იმით, რომ რაღაც მაინც დავაკელი ჩემდა უნებურად.

ასეა, ძმიშვილო. თაფლუჭიანი სიტყვა ბევრი მსმენია, მაგრამ, თუ დამიჯერებ, ამ ბოლო დროს კირილე მაგონდება ყველაზე ხშირად.

მე რომ გავმარჯვდი და იმაზე მეტი გავაკეთე, ვიდრე ერთ კაცს მოეთხოვება, ახლა რომ ვუკვირდები, კირილე ნიორაძის ბრალიც არის.

დიდი ამბავი

რა თქვი, როგორაო? თავს ვერ შევირცხვენო? რა სირცხვილი და თავის მოჭრა ეგ არის, თუ ძმა ხარ. შენ იმის კაცი ხარ, რომ შენი უთხრა, ქალი იმისია, რომ თუ არ დაუჯდა ჭკუაში, უარი გითხრას. რა მოხდა მერე. დაიქცა ქვეყანა? თუ მართლა ასე ძალიან მოგწონს და არ იტყუები, უნდა მიხვიდე და უნდა უთხრა. სამი იმპერატორის პრინცესაც რომ იყოს, არ უნდა მოერიდო. ბოლოს და ბოლოს, ცუდს რას ეუბნები, მომწონხარ, მიყვარხარო, მეტს ხომ არაფერს? რა არის ამაში ცუდი? არ არსებობს ქალი, ჩემო იმანო, გულში მაინც რომ არ გაეხარდეს კაცის ყურადღება და სიყვარულის გამოცხადება. შეიძლება გარეგნულად არ შეიფეროს, პირიქით, ზოგი ისე შეიცხადებს, ეს რა მკადრეს, ეს რა გამიბედესო, გეგონება, ჭერი დააქციეს თავზეო. მაგრამ მე რომ ვუფიქრდები, ამასაც განგებ აკეთებს. აქაოდა სხვებმაც გაიგონ, რა ქალი ვარ, ამ კაცს შევუყვარდიო. გულის სიღრმეში კი მის სიხარულს საზღვარი არა აქვს. ასე ეს. გულში არ ჩაიკლა მეთქი სიყვარული, ამას გეუბნები, მეტს არაფერს, გამეცინა, შენ რომ თქვი, ისეთი ლამაზია, ჩემგან სიყვარულის ახსნას ითაკილებს და სასაცილოდ ამიგდებსო. როგორ გეკადრება მაგის თქმა. რა მოხდა, ქალია, ბოლოს და ბოლოს, მეტი ხომ არაფერი. თუ ცოტა მაინცა აქვს ჭკუა, კრიახს არ დაიწყებს და მით უმეტეს, სასაცილოდ არ აგიგდებს. შენ ვაჟკაცი ხარ და ჭადზე დასაყოლებელ შეჭამანდს კი არ თხოვ, სიყვარულს უცხადებ. რა არის აქ სასაცილო? ჯერ ერთი, ჭკვიანი ქალი კაცის შესახედაობას დიდ ყურადღებას არ აქცევს და ასეც რომ იყოს, რა გაქვს დასაწუნი. მშვენიერი ბიჭი ხარ. ეგ არის, ყურები გაქვს ცოტა ფართე, მაგრამ პატარა, მოხუჭულ ყურებს, ზოგიერთს რომ აქვს, კიდევ ეგ სჯობია, დამიჯერე.

შემხედე, აპოლონ ბელვედერს რომ არ ვგავარ, დამეთანხ-

მები, ალბათ, არც სიმაღლე მოხვდება თვალში ჩემი ქალს და არც თლილი თითები. ვერც შავარდნის გამოხედვით დავატყვევებ და არც იმნაირი ენაწყობა მაქვს, გველს ხვრელით გამოიყვანსო, რუსთაველი რომ ბრძანებს. ერთ ამბავს მოგიყვები და თვითონ განსაჯე. სხვისმა მაგალითმა სხვას შეიძლება კისერი წაატეხინოს, მაგრამ, არა მგონია, ამ ჩემს ამბავში რაღაცა ჭკუის მოსაკიდებელი არ დაიჭირო. დანარჩენი შენს შნო-მარიფათზეა დამოკიდებული, იმისი არ იყოს.

ახლა რომ ჩხობაძეები ცხოვრობენ შენს ზემოთ, მესამე სართულზე, სამასოცდაშვიდში, შარშანწინ ეგ ოთახი ერთ ახალგაზრდა, ორშვილიან მომხიბვლელ ქალს ეკავა. მამამთილმა ჩამოიყვანა ძველი „ვოლგით“, დააბინავა რძალი, ჩემო ბატონო და იმ საღამოსვე უკან გაბრუნდა. ჩვენ არც დაგვლაპარაკებია. უცნობი იყო. დარჩა მოკლეთ ეს ქალი თავისი ორი პატარა ბავშვით. ბიჭი ასე ექვსი წლის იქნებოდა, გოგო სამის. კალმით ნახატიო რომ იტყვიან, ისეთი ქალი იყო. ხორბლისფერი სახე, აბრეშუმის კანი. პატარა, ლამაზი ტუჩები, მხრებზე გადმოყრილი შავი, ვნებისმომგვრელი თმები. კოხტა, მათრახივით მოქნილი ტანი. ჩაცმითაც მშვენივრად ეცვა. ეტყობოდა ხელმომართული ოჯახისშვილი იყო. ასე ვიჯექით მაშინაც დამსვენებლები და ნარდს ვამღერებდით, მაგრამ ამ ქალს ჩვენკენ ერთხელაც არ გამოუხედავს. არ აინტერესებდა ჩვენი საზოგადოება, მორჩა და გათავდა. დედა, თავისი ორი ნუკრით, ისე ამშვენებდა. აქაურობას, ვერ აგიწერ. სულ ბავშვებთან იყო, ბავშვებს ეძახდა, ხან წყაროსთან შეგხვდებოდა ეს ულამაზესი ფურირემი, კუნტრუშა ხბორებში ჩამდგარი, ხან სულ ახლოს ჩაგვივლიდა კალმახისფერი გრძელი ხალათის შარიშურით და ფრანგული სუნამოს ისეთ ნიავს ააქროლებდა, სუნთქვა შეეკვრებოდა კაცს. მაგრამ რად გინდა, ყურადღება ნოლი! არცერთმა არ ვიცოდით, რა ფერის თვალები ჰქონდა. გვერდით ჩავლისას ფეხს ისე აუჩქარებდა, უნდა მიმხვდარიყავი, რომ ამ ქალს არ სურდა თუნდაც ისეთი უწყინარი შეკითხვისთვისაც ეპასუხნა, როგორიც გახლავთ „რომელი საათია“, ან „ეგ თერმოსი სად შეიძინეთ, ქალბატონო?“

რაღა გავაგრძელო, ჩამივარდა გულში ეგ ქალი. ღამე ძილი არა მაქვს და დღე მოსვენება. არადა ცოლ-შვილით ვარ მეც. მარტო რომ ვიყო, სხვა ამბავია. ცოლი მყავს იმნაირი, ნახატს რომ შევაჩერდე, იმაზე ეჭვიანობს. რა გინდა, რომ ქნა. საითაც გაიხედავთ, ყველგან იმ ქალზეა ლაპარაკი. ყველა მისკენ ატრიალებს ლოკატორივით თავს. ლამაზი ქალი თან ეშმაკიც ყავს გამჩენს. იცის რომ ყურადღების ცენტრშია, მაგრამ დადის მარტო, ფარშევანგივით. სასადილოშიც ცალკე მაგიდასთან ზის. ეტყობა მამამთილი ჰყავს უბედურნახევარი. ცალკე დასვა რძალი, ისე, ყოველ შემთხვევისათვის. ერთი მუღამი ვიცოდი, ამ დროს ბავშვს უნდა დაუწყო ფერება. ვსტაცე ერთხელ მის პატარა ბიჭს ხელი, დავისვი მუხლებზე. ჰაი იქით, ჰაი აქეთ, მარა შენც არ მომიკვდე, მიმიხვდა ქალი, რატომაც ვეთამაშებოდი ბავშვს. შემატოვა ხელში და გაეცალა იქაურობას. ამით მაგრძნობინა, გიცნობ, ვაჟბატონო, რაც გაქვს გუნებაში, არ გაგივა ეგ ნომერიო.

ერთ საღამოს, ჩემი ცოლი რომ ბავშვებს აძინებდა, ვითომ თუთუნის მოსაწევად გამოვედი, ავირბინე მესამე სართულზე და დავაკაკუნე ფრთხილად, სამასოცდაშვიდის კარებზე. ჯერ არავინ გამეპასუხა. ვიცი, შინ არიან. ისიც ვიცი, რომ პატარა ბავშვები ჰყავს და ამ დროს, თერთმეტს აღარაფერი აკლია, ბავშვებს უკვე სძინავთ.

– ვინ არის? – ძლივსგასაგონად დაიჩურჩულა.

– მეზობელი ვარ, ქალბატონო, მეორე სართულიდან.

– რა გნებავთ?

– გამიღეთ, ერთი წუთით, სათქმელი მაქვს.

– რა გნებავთ, ბრძანეთ – მკაცრი, კატეგორიული ხმა აქვს.

– გააღეთ ერთი წამით, არ შემოვალ, ერთ სიტყვას გეტყვით და წავალ. ბაგრატი მქვია, ქსოვრელი ვარ გვარად. თქვენს ქვევით ორასოცდახუთში ვცხოვრობ. ცოლ-შვილით გახლავართ.

– მაპატიეთ, ბატონო ბაგრატ, ახლა გვიან არის, მე თქვენ კარს არ გაგიღებთ და საერთოდ, ძალიან გთხოვთ, ნურასოდეს დააკაკუნებთ ამ კარებზე.

ცოტა ხანს ვიდექი მის კარზე, ბოლოს, იმედი რომ გადამეწურა, ჩამოვფშლატუნდი ძირს და მივწექი ჩემს ლოგინზე. მეორე დღეს ერთი-ორჯერ ისე მწყრალად შემომხედა, გამიკვირდა, საიდან იცის, რომ მე ვუკაკუნებდი-მეთქი. ღამით, ისევ იმ დროს, თერთმეტ საათზე მივუკაკუნე. ისევ ის ლაპარაკი, შენ ხარ ჩემი ბატონი. რა დაგიშავდებათ, ერთი წამით გააღეთ, დამენახვეთ, როგორი ხართ, სხვა არაფერი მინდა-მეთქი. მეხვეწება, მემუდარება, წადით, დაიძინეთ, ბატონო ბაგრატ, ვერ გაგიღებთ კარს, ბავშვებს ნუ მიღვიძებთ, ძლივს ჩავაძინეო. რომ არ მოვეშვი, მუქარაზე გადავიდა, ხვალ სასტუმროს დირექტორს შევატყობინებ ამ ამბავს, ბოლოს და ბოლოს, ვინ გგონივართ მე და, სად გგონიათ თავიო. სადირექტოროს არაფერს ვაშავებ, ქალბატონო, მიმართეთ ვისაც გინდათ, ნუთუ იმდენ პატივს არ სცემთ ადამიანს, იქნებ ერთი ჭიქა წყალი მინდა წამლისთვის, იქნებ ვკვდები კაცი, არ უნდა გააღოთ კარი-მეთქი? ბოლოს და ბოლოს არც ჩვენ ვართ მთლად დაკარგულები, ჩემი წრე და ნათესაობა რომ ჩამოგითვალო, გაგიკვირდება-მეთქი. არაო, პრინციპის გულისთვის არ გაგიღებო. არც მესამე დღეს გამიღო კარი. მეოთხე დღეს ჩვეულებრივზე უფრო დიდხანს ველაპარაკე. ვკვდები, შე ქალო, რა გახდა შენი დანახვა-მეთქი. ნუ გეშინია, არ გავხარ მომაკვდავსო. დღისით ხომ მხედავ, არ გყოფნისო? ღამით სხვა არის-მეთქი. ხულიგანი მიწოდა, მოშორდი ახლა კარებს, თორემ ვიკივლებო. ხმაზე ვატყობდი, არ იკივლებდა. მიეჩვია უკვე ჩემს მოსვლას. ბავშვებს ადრე აძინებდა და მელოდებოდა, როდის დავაკაკუნებდი, შემომიშვი, კუთხეში მივდგები, შენკენ ფეხს არ გადმოვდგამ, აქ ხალხი მიდი-მოდის, რატომ უნდა იჭორავოს ენააქავებულმა დამსვენებელმა-მეთქი. ამ სიტყვებმა იმოქმედეს, თუ საერთოდ გატყდა მისი მოთმინება, ეგ კი იყო; მოიცა ხალათს მოვიცვამ და გავაღებო. ისე გავთამამდი, კინაღამ წამომცდა; იყავი მასე, ღამის პერანგში, შინაურულად-მეთქი. გამიღო კარი. იმ ღამეს, მართლაც, კუთხეში მივდექი და ფანჯარასთან მდგარს ვეჩურჩულებოდი დაახლოებით ერთ საათს. რაღაც სისულელეებს ვუყვებოდი,

სალაპარაკოს რა გამოლევს. ოთახში ორი საწოლი იდგა, იქეთ, კედლისკენ, ბიჭს ეძინა, აქეთ – გოგოს. შეყვარებული კაცის გაბედულებას ხომ საზღვარი არა აქვს: გადააწვინე ეს პატარა ჩიტი თავის ძამიკოსთან, მე და შენ აგერ ჩამოვჯდეთ ლოგინზე და ვიჭუკჭუკოთ-მეთქი. ისეთი დამიბღვირა, მიწაში ჩაძვრომა ვინატრე. იმ ღამეს სულ ეს იყო. დასჯილ მოწაფესავით კუთხეში ვიდექი. მეორე ღამეს კარი დაკაკუნებისთანავე, უკითხავად გამიღო. გაგიკვირდება და თადარიგი დაეჭირა, გოგონას კედლის მხარეს, ძამიკოსთან ფეხშექცევით ეძინა, აქეთა საწოლი თავისუფალი იყო. მერედამერე კარსაც აღარ კეტავდა. დაუკაკუნებლად შევდიოდი, რომ ბავშვებს არ გაღვიძებოდათ. ხალათსაც აღარ იცვამდა, ღამის პერანგით მხვდებოდა. ხანდახან იტყოდა; ჩემი თავი მძულს, ასეთ საქმეს რომ ჩავდივარ, მაგრამ რა დამემართა, ანგარიში ვერ მიმიციაო. მართლაც რომ არ იყო გაეშმაკებული და მომენტით მოსარგებლე ქალი. თბილისში რომ გავიკითხ-გამოვიკითხე, უერთგულესი მეუღლის და შვილებზე გადამკვდარი დედის სახელი აქვს, რომ მიდიოდა, წინა ღამით ცრემლებით დამისველა ყელ-მკერდი, მეც გული ამიჩუყდა, ორივემ ვიტირეთ. მაპატიე, ჩემო სიცოცხლევ, რომ ასე შეგაწუხე, მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო-მეთქი. მართლა არ შემეძლო. ახლა ერთს გთხოვ და შვილებს გაფიცებ თუ არ შემისრულოო, შენი გულისთვის ლომს შევუყოფ თავს ხახაში-მეთქი, მართლაც შევუყოფდი, რაც ჩვენ შორის მოხდა, ამის დავიწყებას არა გთხოვ, ვიცი, შეუძლებელია, მაგრამ თბილისში ნურასოდეს დამირეკავო. ჩავთვალოთ ეს ყველაფერი ლამაზ სიზმრად და საგულდაგულოდ შევინახოთო. პირობა მივეცი, მაგრამ თბილისში რომ დავბრუნდი, ვერ მოვითმინე და დავურეკე. უცნობივით, ცივად მელაპარაკა. თუ ოდნავ მაინც პატივს მცემ, არ დამირეკო, თორემ თავს მოვიკლავო, მითხრა. უკვე მეორე წელი იწურება თვალით არ მინახავს და არც დამირეკავს.

ასე იყო ეს ამბავი. უნდა მიმიხვდე, რატომ მოგიყევი. არ გეგონოს, ჩემი ვაჟკაცობა ჩანდეს აქ. უფრო პირიქითაა, მა-

გრამ იცოდე, ქალთან, ძმაო, სიჯიუტე ხანდახან კარგი იარაღია. უნდა დაარწმუნო, რომ უიმისოდ არ შეგიძლია. თანაც, თუ ეს ნამდვილად ასე არ არის, ვერაფრით ვერ დაარწმუნებ. ქალები სიყალბეს რაღაც გასაოცარი, ქალური ინტუიციით გრძნობენ. რა შეიძლება დავარქვათ ამ ამბავს, სიყვარული? ჩემი მხრივ იქნებ ჰო, მაგრამ ქალის მხრივ არავითარ შემთხვევაში. როცა ჩემმა გრძნობამ ქალის გონებაში გაიარა, უკვე გვიან იყო. მაგრამ მან მაინც იპოვა თავის თავში ძალა, დროზე გამოფხიზლდა და მომშორდა. რატომ მიპასუხა? რატომ აჰყვა ჩემს სიჯიუტეს? იგი ნორმალური ქალი გახლავთ და მის არსებაში სწორედ იმ მთვლემარე სულმა გაიღვიძა, კაცობრიობას რომ ამრავლებდა იმ ათასეული წლების წინათ, სანამ ასეთი ჭკვიანები და აზრიანები გავხდებოდით. ამიტომაც ჩემს წარმოდგენაში ხომ წმინდან ქალად დარჩა ის ქალი, არც სხვას ყურჩევ მისი საქციელის ხელაღებით განსჯას, რადგანაც მთელ ამ ისტორიაში ბრალი თუ ვისმე მიუძღვის, ისევ და ისევ მე. ქალი კი მაინც ქალია, ძმობილო.

შენ კი დაგიჯინია, უარი რომ მითხრას, ხომ შევრცხვი, ხომ მომეჭრა თავიო. არ დაიჯერო, ეგ ამბავი. უარის შემთხვევაშიც დიდ საქმეს აკეთებ, იცოდე. შენს კაცობას ამტკიცებ და ქალსაც აგრძნობინებ რომ ქალია, იმ შუქს მიჰფენ სიყვარულისას, რომლის გარეშეც ქალი არ ქალობს. ოღონდ კიდევ ერთხელ გაფრთხილებ – გულწრფელი უნდა იყო. თუ ამ საქმეზე წახვალ, მართლა უნდა გიყვარდეს.

რაც შეეხება შესახედაობას, ეგ ეჭვი ამოიღე გულიდან. შენ მამაკაცი ხარ, მორჩა და გათავდა. ჭკვიანი ქალი მუშტრის თვალით არ გაზომავს შენს მიხვრა-მოხვრას. დიდი ამბავი – ყურები გაქვს დიდი, დაიქცა ქვეყანა?

ფილიმონ – თეთრი ყვავი

როგორც სხვები მუშაობდნენ, ისე ვმუშაობდი მეც. რომ გითხრა, თავს ვაკლავდი საქმესთქვა, ტყუილი იქნება. ეს სახარატო ჩარხი, ეს მომგონდალოცვილი, მოძველდა თუ არ მოძველდა, სხვებმა არკვიონ. ჩემთვის ვარგისიცაა, გამომდგარიც და ძველი ძმაკაცივით გამოიმასქნებულიც. სხვაგან სხვანაირადაა, მაგრამ ამ ჩვენს ქარხანაში ვერც ჩამორჩები ტემპს და ვერც წინ გახტუნდები მაინცდამაინც, ამწყობ საამქროს რაც სჭირდება, იმდენ დეტალს გამოჭრი, – ჰაერის ტუმბოს რკინის საცობებს ვამზადებთ, თვითონ ღერძი და ფოლადის ბურთულები გამზადებული მოდის. დიდი დიდი, ორმოცდაათი ცალი გამოჩარხო ზედმეტი. მეტი არცაა საჭირო და ვერც მოასწრებ. ის ორმოცდაათიც ზოგი სათადარიგოა და ზოგი ხვალინდელი საქმის წინ წასაგდებად. წელებზე რომ დაიდგა ფეხი, გადადვა თავი და ორასი ზედმეტი (ზეგეგმითს ეძახიან) საცობი გამოჭრა. ჯერ ერთი, მასალას ვინ მოგცემს, ნამეტანი წუწურაქობით და აფთიაქური მუშაობით (ეკონომიას ეძახიან, მარა რკინაა მაინც, რაც არ უნდა იყოს) ჰა, ჰა ოცი საცობის რკინა დაგრჩეს და მასალაც რომ იშოვო, სად უნდა დააწყო გამზადებული საცობები? ამწყობს რამდენიც სჭირდება, იმდენი მიაქვს. ხვეწნით, შეიძლება, ერთი ურიკაც გაატანო. ეს არის და ეს. არც ამწყობ საამქროს აქვს თავისუფალი ადგილი თავზე საყრელად. ხვდები ახლა რაშია საქმე? ამიტომ არ მჯერა ხანდახან გაზეთში რომ დაიწერება: ესა და ეს ხარატი ამა და ამ წლის ანგარიშში მუშაობსო. ჩვენთან ვერ იმუშავებ მომავალი წლების ანგარიშში, საქმე არ გაგიშვებს და სხვაგან, ალბათ, სხვანაირადაა.

ექვსი კლასი მაქვს მე განათლება და აგერ შარშანწინ ორმოცდაექვსი წლის კაცს პროფტექნიკური დამამთავრებინეს. სად მეცალა იქანა სასიარულოდ. მივედი, რომ არ მოგატყუო,

ერთი ხუთჯერ. მეტჯერ ვერ მოვახერხე მისვლა. სახარატო ჩარხს გვასწავლიდა ვინცხა, გვარი ქე დამავიწყდა, მასწავლებელი მოკლედ, იქაური, რა უნდა ეთქვა, ჩემთვის ახალი იმას, ამ სახარატო ჩარხზე მაქვს მოჭრილი ჭიპი. თხუთმეტი წლის ვიყავი მამა რომ გარდამეცვალა, მსმელი კაცი იყო და ნეფრიტით მოკვდა საწყალი. წლისთავი არ გადაგვეხადა, დედაჩემი გათხოვდა და მე და ჩემი ძმა, ბრმა მოხუცს – ბაბუაჩემს შეგვატოვა ხელში, ძმა მეოთხეში იყო. მე მეშვიდეში დავიარებოდი. დავიარებოდი და მეტი არაფერი. სწავლით მე იქანა არაფერი მისწავლია. პირველ კლასში რომ ორებს მიიღებ, ქე უნდა შეგატყონ მშობლებმა, რომ წიგნი არაა შენი საქმე. გათხოვდა დედაჩემი თუ არა, მეც დავანებე სწავლას თავი, სამი-ოთხი თვე უსაქმოდ ვიყიალე და დამიჭირეს კიდეც გაროხის ქურდობაზე (საკონსერვო ქარხანაში შემავალ მანქანებს შევახტებოდი და თითო ყუთ გაროხს ვცანცლავდი) და უბნის ინსპექტორმა, აშენდა მისი ოჯახი, ამ ქარხანაში მომიყვანა. ოცდაცამეტი წელია სახარატო ჩარხი და მე ერთად ვჯახირობთ და ჯერ თავი არ შეგვირცხვენია. ეს ახლა მეოთხე ჩარხია ჩემთვის. არც წინა სამ ჩარხს ვემდუროდი, მაგრამ ეს უკეთესია, რა შედარებაა, ხომ ხედავ, ალმასის დანები დახურულ ხუფში მაგრდება და ჭრას რომ მორჩება მისით ირთვება. რამდენმა მოიგლიჯა თითები უყურადღებობით იმ ძველ ჩარხებზე.

წელიწადია ახლა მე ჩემს გემოზე არ მიმუშავია, გემოზე კი არა, თვეში ერთხელ თუ შემოვირბენდი ქარხანაში. მოგიყვები, რაც დამემართა. ვინც მოგატყუოს, შავად ექცა. მე მუშა კაცი ვარ. კინაღამ გადავცდი ჩემს საქმეს და რავარც იქნა, ვძლიე თავს და მოვბრუნდი. ახლა რომ არ მოვბრუნებულიყავი, ვიცი, მერე ვერასოდეს მოვბრუნდებოდი.

ისე იყვნენ ჩემს მუშაობას გადაჩვეულები, რომ გუშინ, დილით, რვა საათზე რომ გამოვცხადდი და ცვლა ჩავიბარე, საამქროს გამგემ, ტყაჩირელი ბიჭია ცერაძე, სერიოზულად მკითხა – კინოგადაღება ხვარაფერია დღესო. რა კინოგადაღება, მე ვუთხარი. შენ დაბადებული არ იყავი, მე რომ

აქანა ვმუშაობდი, მე ვუთხარი გამოწერე ნარიადი და მიხედე შენს საქმესთქვა. ისე, კაცმა რომ თქვას, მართალი იყო ცერაძეც. არ მელოდა.

ცოტა არ იყოს, რიხიანი გახლდით და რომ ვუკვირდები ახლა, სწორედ ეგ იყო მიზეზი ასე უცებ რომ გამადიდკაცეს. რა რიხიანი ახლა, მაგალითად, ქვას კი არ ვისროდი; დენს რომ გამორთავდნენ, ავყვირდებოდი; ვინ მაიმუნობს ვინ გვაცდენს აქანათქვა, მასალას თუ დროზე არ მომაწვდიდნენ, საწყობში გავრბოდი და ერთი-ორჯერ ყურშიც ვტაცე ხელი საწყობის გამგეს. მოკლედ, საქმის დროს საქმე მიყვარდა და გამცდენს და მოღლაბუცეს ვერ ვიტანდი. მეტი არაფერი, ჩემზე უკეთესი ხარატებიც ბევრი არიან ამ საამქროში და უარესებიც, რასაკვირველია. არც კაცი მყოლია, პატრონიო, ზოგმა რომ იცის თქმა, ჩემს ნათესაობაში ყველაზე დიდი კაცი ბესო ყოჩიაშვილია ჩემი ბიძაშვილი, შრომის მასწავლებლად მუშაობს საკირეს ჩასახვევთან რომ სკოლაა, ორი დიპლომი აქვს, მარა არ გოუმართლა და თავს ხომ არ მოიკლავდა, ქეა ასოცდაშვიდ მანეთზე თვეში.

შარშან ოქტომბერში, რიცხვი ქე გადამვარდა გულიდან, პარასკევი დღე იყო, მახსოვს, ჩვენი დირექტორი შემოვიდა საამქროში გვერდით ვიღაცა ლოყებპუტკუნა ბიჭი მოყვებოდა, გალსტუკიანი. იმ ბიჭს ხალათი მოეხურა, დირექტორი უხალათოდ იყო. გამოიარეს საამქრო და პირდაპირ მე მომადგნენ. „გამარჯობა, ჩემო ფილიმონო“, დირექტორმა. ჩვენი უფროსი სალმიანი კაცი კია, მაგრამ ნამეტანი ვეხატები გულზე-მეთქი რომ გითხრა, ტყვილი იქნება. „ჯაჯღანა ფილიმონას“ მეძახდა, რომ შემხვდებოდა. „გაგიმარჯოს, ბატონო თქვა“, ჩარხი გავაჩერე და ხელები ჩვრით შევიწმინდე. „დიდი კაცი რომ გახდი, თუ იცი შენო?“, „ყველა დიდ კაცს გოუმარჯოს ქვეყანაზე ბატონოთქვა“, არ დევიბენი მეც. „მართლა გელაპარაკები, არ იცი არაფერიო? საქალაქო ცენტრჯგუფის წევრად აგირჩიეს გუშინ ერთხმადო. შენი გულისთვისაა ეს უფროსი ინსპექტორი მოსული აგერო“. ჯერ ვიფიქრე, მაგლახავებენთქვა, მაგრამ მერე და მერე, იმ პუტკუნა ბი-

ჭის სერიოზულ სახეს რომ დავაკვირდი, დავრწმუნდი, რომ მართალს მეუბნებოდნენ. ლაპარაკ-ლაპარაკში გამოვყევი გარეთ ორივეს და ახლა დირექტორს კი აღარ ვუგდებ ყურს, გალსტუკიან ბიჭს მივჩერებივარ. სხვათა შორის, იმ დღის მერე აღარ მინახავს ის ბიჭი. „თქვენო, ბატონოვო, მითხრა საქალაქო ცენტრალური ჯგუფის წევრად აგირჩიეს გუშინო. ესაო დიდი პატივიაო, ქალაქის ყველა წარმოებას და კიდევ რაღაც-რაღაცებს ხელმძღვანელობს ეს ჯგუფი თავისებურადო. ერთი სიტყვით, რაც გადასაწყვეტი და სათათბიროა, ეს ჯგუფი აკეთებს ყველაფერსო. ახალი შემოღებულია ეს საწარმოო ცენტრჯგუფი და დიდი უფლება-მოვალეობები აქვსო. მუშა მარტო თქვენ ბრძანდებით ამ ჯგუფის წევრი, სხვები მაღალი რანგის ინჟინრები და დაწესებულებების ხელმძღვანელები არიანო“. „რამდენი კაცია სულ ჯგუფშითქვა“, მეტი ვერაფერი „კითხვა“ მოვიგონე სახელდახელოდ, „სულ თერთმეტი იქნებითო, თავმჯდომარე სანაძეა ქე გეცოდინებათო“, „თვითონ სანაძეთქვა?“, გამიკვირდა. „თვითონ, ბატონო, რასაკვირველია, და ხვალ დილის თერთმეტ საათზე პირველ სხდომაზე გელოდებით ცხრა ძმის მოედანზე კუთხეში რომ მთავარი სახლია, იმის მესამე სართულზე, პირველ ოთახშიო“. „კი მარა, სმენის საქმე რავა იქნებათქვა“, დირექტორს შევხედე. „წადი, ჩემო ფილიმონ, შენ იქიდან გვიპატრონე და ამ პატარა საქმეს მოვუვლით უშენოდ რავარცხა იქნებაო“, დირექტორმა. „ბიჭოს, რაღაცა ფარსაგია ჩემს თავს-მეთქი“, გავიფიქრე და ორივეს – ჩემს დირექტორს და იმ ბიჭს კაი ხანს ვართმევდი ხელს. მეორე დილით სანამ მეზობელს გალსტუკი გავაფსკვნევინე და თეთრი პერანგი მესამეჯერ დაეუთოვა ჩემმა ცოლმა (იმ საღამოსვე გარეცხა, მაგრამ არ გაშრა. წვიმიანი დღე იყო და ბაკისუმის ნესტის ამბავი არ იცი?) ქე მოაწია ათმა საათმა. ტროლეიბუსი სანამ მოჩანჩალდა (ერთი დადის მარტო, მეორე რემონტზეაო და მთელი წელია არ უმუშავებიათ), სანამ დავჯექი და ცხრა ძმის მოედანზე ფეხით გადავედი ვოროშილოვის ქუჩიდან (ტროლეიბუსი „ქრონიკასთან“ უხვევს და უკან მიდის), ქე გახდა თერთმეტი.

სამი ნახტომით ევირბინე კიბე და პირველი ოთახის კარებს შევასკდი.

მაგიდის თავში სანაძეს მოვკარი თვალი, მაშინვე ვიცანი, სურათებზე მყავდა ნანახი და ერთხელ, მგონი, საპარადო ტრიბუნაზეც იდგა მარცხენა მხარეს, ბოლოში. „ბოდიშს კი მოვიხდი, მგონია აქანა ვარ დაბარებული თქვა“, ჩავილულლულე მორცხვად, დაგვიანებულ მოწაფესავით. „მობრძანდი, ბატონო ფილიმონ. ნება მომეცით, მოგილოცოთ დიდი პატივი, ცენტრჯგუფის წევრობაო“, ხელები გაშალა სანაძემ და ჩემსკენ წამოვიდა.

ცოტა არ იყოს, ეშმაკური ღიმილი კი დავლანდე სანაძის თვალებში, მაგრამ არ შევიმჩნიე, ხელი გავუწოდე და კაი ხანს აქანავებდა ჩემს მარჯვენას. მერე დავრწმუნდი, ასეთი, ლამის დაყენებული ღიმილით უღიმიან ეგენი ერთმანეთს. ერთი სიტყვით, მიმიყვანა, დამსვა ცარიელ სკამზე მწვანე მაუდიან მაგიდასთან. თვითონ თავის ადგილი დაიკავა და თვალს არ მაცილებს – რავაა ქვეყნის საქმე ბატონო ფილიმონო? მეკითხება. – როდის ჩამაბარეთ ქვეყანა, ამბავს რომ მეკითხებიყენ, ბატონოთქვა, არ დევიბენი მეც. ყველამ ერთბაშად გაიცინა. სანაძეს, გითხრა სიმართლე, სიცილი ქე უხდება, გემრიელი, მარილიანი სიცილი იცის, – ა, დღეიდან გაბარებთ ქვეყანას, ბატონო ფილიმონ და შენ იცი, თუ არ გადაგვჩეხავ კლდეზეო, – რაზე შემატყვე, ბატონო, საუფროსო ნიჭი მემეთქი. ეტყობა, რაღაცა ვერ გაქვთ საქმე აწყობილი, თვარა, როდის იყო ჩემნაირ კაცს საქმეში რევდით აქანათქვა. გავთამამდი ცოტა. იცინიან. იფხრიწებიან სიცილით. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ასე და ამგვარად დავიკავე ჩემი ადგილი. ცენტრჯგუფის წევრობა ზოგიერთს შეიძლება ადვილ საქმედ ეჩვენება გარედან. არა, ძმაო, რაც მე ამ ერთ წელიწადში იქანა ვნახე და გამოვცადე, სადაა პატრონი თვარა, ერთი დიდი წიგნი დაიწერება, საწიგნო და საგაზეთო ამბავია სწორედ, იმანუელს გეფიცები.

რა საქმე გქონდათ ამნაირი, დაჯდებოდი შენთვის ჩუმად და იქნებოდიო, შენ მეტყვი. შენ არ მომიკვდე, მასე არ იყოს.

ოთხშაბათს უნდა მისულიყავი თორმეტ საათზე და პროექტები გადაგვეკითხა, ყველას ცალ-ცალკე ჩვენ-ჩვენ ტყავის საქაღალდეში გვქონდა პროექტები. ეს ოთხშაბათი, ხუთშაბათობით ცენტრჯგუფის სხდომებია, მოგეხსენება, თერთმეტ საათზე რომ დაიწყება, ექვსზე თუ დამთავრდა, მადლობელი უნდა იყო. ეს შენი ოთხშაბათი და ხუთშაბათი. პარასკევობით მიღება აქვს სანაძეს და ჩვენც იქ უნდა ვიჯდეთ – ჯგუფის წევრები, გვავალებს რაღაცას, გვეკითხება ჩემო ბატონო. მე პირადად რას მავალებდა და რას მეკითხებოდა, ამას გიამბობ, მარა ყოველ შემთხვევაში პარასკევობით კაი ოთხ-ხუთ საათს ვიჯექი მის კაბინეტში. ესეც შენი ოთხშაბათი, ხუთშაბათი და პარასკევი. სამშაბათობით კომისიების სხდომებია, ყველა კომისია თავთავისთვის თათბირობს. მე შრომითი პირობების კომისიაში გახლდი და ყველაზე დიდი რიარია სწორედ ჩვენი კომისიის სხდომებზე იყო. რომ გავსავათდებოდით, ვწყვეტდით სხდომას მექანიკურად და შემდეგი სამშაბათისთვის გადაგვქონდა. რა გული და ჯანმრთელობა გაუძლებდა ცხრა საათს ჯაჯღანს, ჩემო. დარჩა ორშაბათი, ხომ? ორშაბათს გასვლის დღეები გვქონდა. ჩავსხდებოდით მანქანებში და სანაძეს მივყვებოდით ობიექტებზე. „აბა რავაა საქმე, აბა, ხვახვარაფერი გიჭირთ, მოუმატეთ ტემპსო“ სხვაპასხუპით მიაყრიდა სანაძე, „კარგად ვართ, მოვუმატებთ ხვალიდან ტემპსო“, უპასუხებდნენ მასპინძლები. მერე სახელდახელო პურ-მარილი ფეხზე და გავრბოდით სხვა ობიექტისკენ. ორშაბათს ოთხი-ხუთი ობიექტის ნახვა და მითითებების მიცემა მაინც უნდა მოგვესწრო, ახლა მითხარი, ქარხანაში მისვლის დრო დამრჩებოდა? შენ არ მომიკვდე. სად მუშაობო, კაცს რომ ეკითხა მაშინ, დავიბნეოდი. ვმუშაობდი? მუშაობა ერქვა ამას? რა ვიცი. სხვების თვალში, ალბათ, ჰო.

ცენტრჯგუფის სხდომები ასე ტარდებოდა: საკითხის გამო გამოძახებულებს შემოიყვანდნენ, ჩაამწკრივებდნენ კედელთან და ვისაც საკითხი გამოჰქონდა, ის კითხულობდა პროექტს. გამოძახებულები, უმეტეს შემთხვევაში, ჩუმად იყვნენ. თუ რამეს ჰკითხავდი, გიპასუხებდნენ, თუ არა და სდუმდნენ.

დადგენილების პროექტი წინასწარაა შეთანხმებული იმასთან, ვის საკითხსაც ცენტრჯგუფი იხილავს. ასე რომ, მისთვის მოულოდნელი სხდომაზე არაფერი ხდება. თუ გამოძახებული აყვირდება; რაში მაძლევთ საყვედურს, ბატონოვო?! სანაძე შემჭმელი თვალებით გადახედავს საკითხის გამომტანს, ეს იმას ნიშნავს, რომ ვინც საკითხი მოამზადა, არ შეუთანხმა „დამნაშავეს“. ასეთი საკითხი, როგორც მოუმზადებელი, დღის წესრიგიდან იხსნება.

დადგენილების პროექტის წაკითხვის წინ თითო-ოროლა შეკითხვას რომ წამოისროდნენ ცენტრჯგუფის წევრები და სახეზე ეტყობოდათ, ეს შეკითხვა ისე, მოდისთვის დავსვით, თვარა პასუხი მაინცდამაინც არც ქე გვაინტერესებსო, ყოველთვის მე მომმართავდა სანაძე – აბა, ბატონი ფილიმონი რას გვეტყვის ამ საკითხზეო, და სიცილი რომ მოეთოკა, დასძენდა – მთავარი სიტყვა შენზეა, ბატონო ფილიმონო. პირველ სხდომებზე გულუბრყვილოდ ვპასუხობდი: თქვენ უკეთ იცით, ბატონო, საქმეში ჩახედული ხალხი ხართ, მე თანახმა ვარ ყველაფერზეთქვა. ვიტყოდი ამას და ატყდებოდა ხითხითი. რა აცინებდათ, რა იყო ამაში სასაცილო, დღემდე ვერ გამიგია. ბოლოს ენას კბილი დავაჭირე და რომ მომაჩერდებოდნენ ყველანი ერთად, განზე გავიხედავდი და ჩავილაპარაკებდი: „თანახმა ვარ“. მაინც იცინოდნენ. სულ არაფერი რომ არ მეთქვა, სანაძე იკითხავდა თუ არა, რას იტყვის ბატონი ფილიმონიო, მაშინვე სიცილი უტყდებოდათ. ცოლს ვკითხე ერთხელ, ასე და ასე იცინიან, რაიმეს რომ ვიტყვი-მეთქი და რაშია ვითომ საქმე-მეთქი. გაჩუმდი და იჯექი შენთვისო, შენ იმიტომ გაგრიეს მაქანა, რომ ერთი მუშა უნდა ყოფილიყო, თვარა ვინ გკითხავს „ბალი ორშაურიას“ შენო. წავლაპარაკდით, ხომ იცი, მე და ჩემი ოჯახობა მაშინ. რავა გეკადრება, მე ვუთხარი. მე კი არ ვგლახაობ იქანა, საქმეებს ვარჩევ და ქვეყანას ვალაგებ, მე ვუთხარი. არ მეკითხებიან კი არა, სანაძე უჩემოდ საკითხს არ წყვეტს, მე ვუთხარი. „მასე გეგონოს შენო“, გამხეთქა გულზე, არ იცი, ქალის ჭკუა თხამ ნეკერს რომ შეაჭამა?

ამასწინათ ზურაბია ჩლაიძე დამხვდა სახლში. ჩემი ცოლის გარე ბიძაშვილია ზურაბია. ცოტა არ იყოს, ნაკლები გამევიდა. ისე, კი არაფერი ეშლება, მარა რომ შეეკითხები რამეს, უცებ ვერ გპასუხობს, დრო ჭირდება. ერთი სიტყვით, დამხვდა და შენ უნდა მიშველოვო, მეუბნება. დიდი კაცი ხარ თურმე, ცენტრჯგუფში ოურჩევიხარ და მიიტანე ეს ჩემი ამბავი, სადაც საჭიროა, სანამ უბედურება მოხდებოდესო. დიდი ძნელი საქმე არაფერი – ზურაბია პლასტმასის სამარილეებს აკეთებს თურმე და წყალი დენით თბებაო. ხანდახან დენი ეპარება წყალს და მეშინია ხელის ჩაყოფაო. არადა წყალთან მაქვს საქმე, ხან მზა სამარილე ჩაგივარდება, ხან დეტალია შესაცვლელიო. წესით ჩვენს საამქროში წყალი გაზით უნდა თბებოდესო. ერთი დარეკვა უნდა დირექტორს მაქედან და საათის ამბავია, საამქროს გაზზე გადაერთებაო. კი, ჩემო ზურია, გაგიკეთებ მაგ საქმეს, მეტი რა მოხელევართქვა, დავპირდი.

მეორე ხუთშაბათს, სხდომა რომ მთავრდებოდა, სიტყვა ვითხოვე, გაუკვირდა სანაძეს, მაგრამ ცოდვას ვერ დავიდებ, უარი არ უთქვამს, აბა, ბატონ ფილიმონს მოვუსმინოთ, ახლა ყურადღებითო, გამოაცხადა.

ავდექი და ვთქვი, ხალხი დაღლილია-მეთქი და ბევრი მიკიბ-მოკიბვა არ დამიწყია. „ზურაბია ჩლაიძე, თქვენ არც ერთს არ გეცოდინებათ, პლასტმასის სამარილეების ოსტატია-მეთქი. სამშაბათს იყო ჩემთან და შემომჩივლა, წყალში დენი გადის და თუ რამე არ ვუშველეთ, ერთ დღეს დააობლებს ოთხ შვილს-მეთქი“. ჯერ გაისუსნენ. მერე ვიღაცამ მკითხა; „რა მოხელეა ეგ შენი ზურაბია, ვერ მოვკარი ყურიო“. რომ ავუხსენი, პლასტმასის სამარილეებს აკეთებს-მეთქი, ჯერ სანაძე აძიგძიგდა და მერე ათივემ ისეთი სიცილი ატეხა, ფანჯრები ზანზარებდა. თუ რომელიმე სულს მოითქვამდა, ცრემლს მოიწმენდდა, გაკვირვებისაგან გაოგნებულს შემომხედავდა და მკითხავდა ამნაირ სისულელეს: „წყალში დენს რა უნდაო“ ან „რა ხნისაა ზურაბიას უმცროსი ბავშვი, გაგვაგებინე, თუ ღმერთი გწამსო“.

რა ხდებოდა ჩემს თავს, ვერაფრით ვერ გავარკვიე. რა ვთქვი სასაცილო, გამაგებინეთ, ლოთიანად, თქვენ იცინით და ზურაბიას იმ წყალში თუ გაზზე არ შეუერთეს, დაარტყამს დენი, რავა, ცოტა ყოფილა შემთხვევათქვა? შენ არ მომიკვდე, ვერავითარი აზრი ვერ გამოვიტანე ცენტრჯგუფის წევრების ჩაბჟირებული სახეებიდან. ის სხდომა ვეღარ გაგრძელდა, ვინც შემომხედავდა, ყველა იცინოდა და რა საკითხს გავარჩევდით ამნაირ მდგომარეობაში.

წინა ხუთშაბათს ისევ შევიკრიბეთ, როგორც წესი და რიგია. ჯგუფის წევრები თვალს მარიდებენ, ვხედავ ყველას ყელში აქვს მოწოლილი სიცილი, მაგრამ თავს იკავებენ. დაიწყო სხდომა და სანაძე მომიბრუნდა: ბატონი ფილიმონი ხომ არაფერს გვეტყვის, ხომ არავის შეუწუხებია, ამ ერთი კვირის განმავლობაშიო. რა მოხდა, სერიოზულად მკითხა კაცმა. წამოვდექი და ისევ ზურაბის ამბის შეხსენებას ვაპირებდი, მაგრამ ვინ მაცალა პირის გაღება. ატყდა ხარხარი, მაგრამ რა ხარხარი. სანაძემაც ვეღარ შეიკავა თავი და აყვა ისიც მოხითხითეებს. პატარა ხანს ვუყურე ამ სურათს და გული ამომივარდა, თავი ვეღარ შევიკავე – ეს ერთი წელია, მე, ბატონო, ყველაფერში მხარს გიჭერდით და ხმა არ ამომიღია აქანა-მეთქი. სასცილო ეგება სხვამაც ბევრი თქვა, მარა არ დამიფჩენია ზოგიერთივით პირი-მეთქი. მე ვატყობ, ხელს გიშლით მუშაობაში და წავალ ჩემს გზაზე. უჩემოდაც კარგად მიყვებით თქვენ საქმეს და ღმერთმა ხელი მოგიმართოთ-მეთქი. გამოვიხურე კარი და წამოვედი. სიჩქარეში ქუდი დამავიწყდა. ეს ქუდი რაღაზე დავტოვოთქვა და შუა გზიდან მოვბრუნდი. შევაღე კარი ჩუმად ისხდნენ, სანაძე რაღაცას ლაპარაკობდა და გაქვავებული უსმენდნენ. მობრძანდით, ბატონო ფილიმონ, დაიკავეთ თქვენი ადგილიო, სანაძემ კარებშივე მომაგება. „ადგილის დასაკავებლად არ მოვსულვარ, ბატონო, ქუდი დამრჩა, ღმერთმა ხელი მოგიმართოსკენთქვა“, ვთქვი და ისევ ახარხარდნენ.

მაგენის ხარხარს რას დავეძებდი, ჩამოვხსენი ჩემი ქუდი კედლიდან და გამოვედი.

ეს ამბავი გასულ ხუთშაბათს მოხდა. დღეს ორშაბათია. პარასკევ საღამოს გამომიგზავნეს კაცი, განყოფილების გამგის მოადგილე ვარო, მაღალი, ბერეტიანი ბიჭი იყო; ბატონო ფილიმონ, არ მოგვჭრა თავიო, თავისი ნებით ცენტრჯგუფის წევრობიდან ჯერ არავინ წასულაო. ნამეტანი შეწუხებულია სანაძეო. ასე დამაბარა, თუ ყოველ ხუთშაბათს ვერ შეძლებს მოსვლას, თვეში ერთხელ მაინც გამოგვიაროს, ამ წლის ბოლომდე არჩეული ხართ და მერე თავისუფალი იქნებითო.

– კი, ბიძია, მე ვუთხარი, ვიყო ისე, სახელად, რავარც გაგეხარდებათ, მარა მუშაობით მე ჩემს ქარხანაში დავბრუნდები. საქმეს მაინც გავაკეთებ რაღაცას. რაც შემიძლია, იმით შეგეწევიყენ აქიდან-მეთქი. ასე აჯობებს თქვენთვისაც და ჩემთვისაც-მეთქი. რა დროს ჩემი ღადაობაა, ოცდაცამეტი წელია ვმუშაობ და კაცს ჯერ გადაკრული სიტყვა არ უკადრებია ჩემთვის-მეთქი, ერთი სიტყვით მივახვედრე, რაზეც ვიყავი ნაწყენი, გამგებიანი ბიჭი ჩანდა; თვეში ერთხელ მაინც უნდა შემოგვიაროთ სხდომაზე, მეტს არ შეგაწუხებთო, დამიბარა და წავიდა.

ვნახოთ, თუ ნამეტანი არ შემაწუხეს, არც თვეში ერთხელ მიმსვლელი ვარ.

თანამდევი

მოლაპარაკების დაწყებამდე ორი საათიღა რჩება.

ცოტა ხანს გავივლი, მუხლებს ქარს ამოვაღებინებ-მეთქი, მაგრამ ვინ გაცალა. ბებერი იაპონელი ყუნცულით მომიახლოვდა, სამ ნაბიჯზე გამიჩერდა და თავი დამიქნია.

– ოჰაიო! (ოჰაიო – იაპონურად, „დილა მშვიდობისა“).

სალამზე ვუპასუხე და განზე გავიხედე ისე, როგორც ბევრი თქვენგანი გაიხედავს ხოლმე უცნობის მისალმებისას; ხომ არ შემეშალა, სხვას ხომ არ ესალმებიანო. იგი წელანვე შევნიშნე, კიმანო მიწაზე დასთრევდა, წელში მოხრილი, რაც შეეძლო, გამალებით მოაბიჯებდა. ხელებს ყინულზე მორბენალივით მიიქნევდა. დამინახა თუ არა, გველცემულივით გაშეშდა, თითქოს რაღაც უნდა მითხრასო. უპეებწყალჩამდგარი, ძლივსგახელილი თვალები ვერცხლისწყალივით დაუხტოდნენ მი და მო.

ეტყობა გამოცნაურება გადაიფიქრა. სასტუმროს კარს ზურგით მიაწვა და კიდევ ერთხელ შემათვალიერა.

ცხელა ტოკიოში.

ეტიკეტის ერთგულ იაპონელ ტაქსისტებს ქუდზე და თეთრ ხელთათმანებზე უარი უთქვამთ და კარგადაც მოქცეულან. რა ეთეთრხელთათმანებათ ამ გაგანიაში. მკლავჩახვეულები სხედან და თვლემენ.

მეხარბება მათი. მარტო აზიელებს შეუძლიათ საათობით ისხდნენ მუმიებივით, გაუნძრევლად. გაზეთი რაა, გაზეთიც არ გაშალონ. თითქმის გამოთიშავს გონებას და ზის. ჩვენ კი უსაქმურის და მახათის ანდაზისა არ იყოს, მაშინვე გამოვიძებნით საქმეს და თუ ვერაფერი მოვიხელთეთ, ზოოპარკის მგელივით წინ და უკან სიარულს მოვყვებით.

თითქოს აბრეშუმის ჭუპრიდან გამოძვრაო, იაპონელი, ისევ აფრთხიალდა ჩემ წინ. ხელები მუხლებს ჩამოაცილა და ჩაშავჩაყვითლებული კბილები მომანათა.

– ოჰაიო.

რასაკვირველია, სალამი დავუბრუნე.

ავტომატს მიწის თხილი ჩამოვაგდებინე, ხელისგულზე დავიყარე და შემოვბრუნდი თუ არა, ისევ წავაწყდი მოხუცის შემკრთალ მზერას.

ერთხელ კიდევ მიიდო მუხლებზე ხელები და მომესალმა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, რაღა წელში მოხრა უნდოდა, ისედაც გონიოსავით იყო მომართული.

რა თქმა უნდა, კიდევ ერთხელ შევახე ნიკაპი ადამის ვაშლს და იქვე, ჩაიხანაში, ბრინჯაოს არწივის ქვეშ, ბამბუკის სავარძელზე დავეშვი.

იაპონელი წინ გამიჩერდა და თავი დამიქნია. წამოვდექი, ცოტა არ იყოს, გაღიზიანებით და თეატრალურად თაყვანი ვეცი, მაგრამ შევატყვე, მაინცდამაინც ვერ მიხვდა ირონიას.

– შეიძლება თქვენს გვერდით დავჯდე?

– დაბრძანდით.

კიმანოს ღია სახელოები მხრებზე გადაიგდო, და მისი ასაკისთვის შეუფერებლად, მკვირცხლად დაჯდა.

– თქვენ უკვე შეუკვეთეთ?

– არა, ბატონო.

– მწვანეს ინებებთ, ალბათ.

– მწვანეს, რასაკვირველია. მაგრამ... რატომ წუხდებით?

– ორი მწვანე, ჰაი დოზო (ჰაი დოზო – გეთაყვა) – დაადევნა წინ ჩავლილ კელნერს, მარჯვენა ფეხს ორივე ხელი ამოსდო, ასწია და მარცხენა მუხლზე გადაიდო.

– შეგიძლიათ, მომისმინოთ? თქვენთან ვარ მოსული.

– მაპატიეთ, მაგრამ მე თქვენ არ გიცნობთ.

– მართალია, მართალი, – თითქოს გაეხარდაო, – მახსოვრობას ნუ დაემდურებით. პირველად ვხვდებით ერთმანეთს. სასტუმროს მენეჯერმა იცის ჩემი გასაჭირი და დამირეკა, რუსი ჩამოვიდაო. გიყურებთ, რუსს არ ჰგევხართ, ალბათ, სხვა არის-მეთქი. მენეჯერისთვის თქვენი ქვეყნიდან ჩამოსული, ყველა რუსია. ჩემი სახელია უმემურა. მიცურუ უმემურა. თქვენთან სათხოვარი მაქვს.

– ბრძანეთ.

– მაგრამ, სანამ სათხოვარს გეტყოდეთ, ცოტა ხანს უნდა მომისმინოთ, ნახევარი საათი მაინც, დრო თუ გაქვთ?

საათზე დავიხედე, თავი დავუქნიე.

კელნერმა ჩაი დაგვისხა, გაგვიღიმა.

მოხუცმა ტუჩები გაისველა, ჩაახველა და დაიწყო:

– მაპატიეთ, დავბერდი, მოკლედ ლაპარაკი აღარ შემიძლია. ორმოცი წლის წინანდელ ამბავს გიყვებით. ორმოცდახუთში ტყვედ ჩავვარდი. ხარბინთან ვიბრძოდით, კაცმა რომ თქვას, ტყვედ ჩავარდნა არც კი გამიგია. რვა ივნისი იყო. ასე ცხელოდა მაშინაც. დილის ხუთ საათზე წამოგვაგდეს და გვიბრძანეს, იერიშით წავსულიყავით. გავრბივართ მე და ჩემი ცხრა ამხანაგი, საზენიტო ქვემეხს მივათრევდით. ყურისგამხვრეტ ყვირილსა და გნიასში, მტვერსა და პაპანაქებაში გავრბოდით. იერიშზე ყვირილით წასვლას ხუთი თვე გვავარჯიშებდნენ. ჰოდა, ვყვირით და წინ მივიწევთ. მე მგონი, სამ საათს მაინც ვიძუნძულეთ. წინა ათეული რომ გაჩერდა, ჩვენც შევდექით და ქვემეხს მივეყარეთ. მათარიდან საკეს (საკე – იაპონური არაყი.) მოყლუპვა ვერც კი მოვასწარით, ხმა დაირხა, ტყვედ ჩავვარდითო. ზოგმა თავი იქვე მოიკლა. მე, გითხრა სიმართლე, თავის მოკვლა კი არა, გულის სიღრმეში კიდეც გამეხარდა ტყვედ ჩავარდნა. გაგონილი მქონდა, რუსები ტყვეებს არ ხვრეტენო. ყველაფერს გავუძლებ, ოღონდ ტყვიის შიში ნუ მექნება-მეთქი. შეიძლება არც კი დაიჯეროთ, გამეხარდა, რომ ჩემთვის ომი დამთავრდა. თქვენ ციმბირში ყოფილხართ?

– არა.

– ირკუტსკის ზემოთ, სულ რაღაც ხუთას კილომეტრში იყო ჩვენი ლაგერი. ციმბირის მასშტაბებით ეს დიდი მანძილი არც კი გახლავთ.

ლაგერი თქვენ, რასაკვირველია, კინოშიც არ გინახავთ. ვერ წარმოგიდგენიათ, როგორი იქნება. თავსაც ნუ შეიწუხებთ წარმოდგენით, რა საჭიროა. საჭმელი რუსებს მაშინ თვითონ არ ჰქონდათ, ქვეყანა შიმშილობდა, ჩვენთვის კი არა, თავიანთი კუჭისთვის არაფერი მოეძევებოდათ. დღისით ტაიგაში

ხეტყეზე მუშაობა, ღამით კივილამდე შიმშილი. რა გემრიელი იყო, ცხენის ქერის ბალანდა, რომ იცოდეთ, დღეში ორჯერ თითო ჯამს რომ გვაძლევდნენ. სამყოფს ვინ მოგცემდა. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, თვე-ნახევარში ძვლებზე დავედი. შიმშილმა ისე გამამწარა, ლელიანში წეროს ჩავუსაფრდი და კაჟიანი ქვა თავში ვრეხვე. მივვარდი გაბურბუსარებულ წეროს, წავაწყვიტე თავი და დავეწაფე სისხლს. ავშენდი კაცი. ახლა ამას ბუჩქებში შევინახავ და შესვენებას რომ გამოგვიცხადებენ, გავპუტავ, იქნებ ცეცხლიც კი გავაჩაღო, თუ არა და ხორცს ქვაზე დავბეჟავ და შევჭამ-მეთქი. განა არ ვიცოდი, წეროს ხორცი რომ არ იჭმევა, მაგრამ შიმშილისგან ილაჯგაწყვეტილს ფიქრის და რჩევის თავი მქონდა?

ის იყო ნანადირევი იელის ბუჩქებში შევჩურთე და წელში მოკაკვული გამოვტრიალდი, რომ ზურგს უკან მომესმა:

– საით, შე ფუღუროს მატლო!

ერთი მუდრეგი ზედამხედველი გვყავდა. გვარი აღარ მახსოვს, მაინცდამაინც ის დამდგომია თავზე. „აბა, გამოაცოცე, რა დამალე ბუჩქებშიო?!“ თავწაგლეჯილი წერო რომ დაინახა, ისე შეიცხადა, თითქოს ქვეყანა დაქცეულიყოს. „ჰაიტ, შე სისხლისმსმელო იაპონელოვო, ამ წმინდა ფრინველის მოკვლა მაინც რაღამ გაფიქრებინა, შე ბაყაყიჭამია მაიმუნო, შენაო“. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, წამომაქცია, დაიკავა ფეხებით წერო და მიბაზუნებს თავ-პირში. ბუმბულმა იქაურობა გადაათეთრა. მირტყამს და მირტყამს გამეტებით. ვღრიალებ, რაც შემიძლია, სახე ხელებით დავიფარე და გადავბრუნდი, ახლა ზურგზე დამცხო. ცოტა ნაყლაპიც უნდა ყოფილიყო. ისე დაუზარებლად მცემდა, ვიფიქრე, სულს გამაფრთხობინებს-მეთქი. უეცრად ქალის კივილი მომესმა და ჩემს ზურგზე წეროს ბრაგუნიც შეწყდა. წამოვჯექი. ვხედავ, ზედამხედველს ქალი ჩაფრენია ხელებში და წეროს წართმევას ლამობს. ჩემი „აღმზრდელი“ ილანძღება, იგინება, ერთი ორჯერ ხელიც ჰკრა გოგოს, მაგრამ ეს უკანასკნელი კაპუეტივით დააცხრა, არ მოეშვა, ხელზეც კი უკბინა. ბოლოს, როგორც იქნა, გააგდებინა წერო, ხელი დაავლო და ლაქაშებში მოისროლა. ბურდღუნით მიმავალ ზედამხედველს ენა გამოუყო.

მერე მე მომიბრუნდა, წამომაყენა, მტვერი შემომაფერთხა, ჭყანტობში ჩამიყვანა, ჭაობის წყლით პირი მომბანა, ბავშვივით ნიკაპზე ჩამომაწურა წყალი, თავი დამახრევინა, თავისი კაბის კალთით შემიწმინდა სახე და მკითხა, რა გქვიაო. მიცურუ უმემურა მქვია-მეთქი. გადაიხარხარა. სულ ერთია, მაინც ვერ დავიმახსოვრებ. მოკლედ, „უმას“ დაგიძახებო.

ასე დაიწყო ჩვენი ნაცნობობა. მოხდენილი გოგო იყო, ჯიშიანი ბედაურივით მაღალფეხება. თმა-წარბ-ღაწვებიანად თეთრი. რიაზანელი ვარო, ამბობდა. ოცდახუთი წლის იყო მაშინ, კატერინა ზახაროვა. კატიას ვეძახდი. მანამდეც რამდენჯერმე მოვკარი თვალი. ლაგერში მსახურობდა. სულ ხუთი-ექვსი ქალი იყო ლაგერში. კატიას რა ევალებოდა, ვერ გეტყვით. ხან ტყეში მოგვყვებოდა და უკან დაბრუნებისას რვეულში ჩვენს ნომრებს იწერდა, ხან დილით ზედამხედველების თანდასწრებით ხაზზე სიას ამოიკითხავდა, ხან ცოცხით ხელში ვხედავდი უფროსის კაბინეტის სიახლოვეს და ხან სასადილოში – საშკა მზარეულის გვერდით.

იმ დღიდან კატია მფარველ ანგელოზად მომევლინა. სადაც კი თვალს მომკრავდა, ჩემსკენ გამოიქცეოდა, რაღაცას მიყვებოდა, მეჭიკჭიკებოდა, ჭკუას მარიგებდა. მე, რა თქმა უნდა, რუსულზე მწყრალად გახლდით და არც კატიამ იცოდა იაპონური, მაგრამ მშვენივრად გვესმოდა ერთმანეთის. გამხდარ ბეჭებზე ხელს გადამისვეამდა: „შენ ხომ ვაჟკაცი ხარ, არ წახდეო“, მეტყოდა. ყოველ მოსვლაზე ჩუმად ისე, რომ სხვებს არ შეემჩნიათ, ჯიბეში პურის ნატეხს ჩამიდებდა, როცა ბალანდაზე მორიგეობდა, მეტს დამისხამდა და თვალს ჩამიკრავდა, ერთი სიტყვით, სული მომათქმევინა, ამ ქვეყნისკენ მომაბრუნა, ცოცხალი რომ ვარ, მხოლოდ კატიას ვუმადლი.

მთელმა ლაგერმა იცოდა ჩვენი ურთიერთობა და ყველანი „კატიას იაპონელს“ მეძახდნენ. აბა ერთი ვინმეს დავეჩაგრე, მაშინვე იქ გაჩნდებოდა და ქოქოლას დააყრიდა. მახსოვს, ერთხელ, დიდი ჩხუბლეწვობია გაიმართა. ვინ ვის ურტყამდა და რატომ ურტყამდა, ვერ გაიგებდი. საერთოდ, ლაგერში თუ ჩხუბი ატყდა, მტრისას. სანამ არ მოივლის მთელ ლაგერს და თავისას არ მოიჭამს გულში დაგროვილი ბოღმა, ვერ

დააწყნარებ; ქორივით ჩამოვარდა, „იაპონელს არ დაარტყა-ათო!“ იყვირა წელზე მომხვია ხელები, ლამის ამიტაცა და ჩხუბს გამომარიდა. რა მოჩხუბარი მე ვიქნებოდი, გვერდებში სინათლე გამდიოდა, ერთს წამარტყამდა ვინმე თავში და ცხვირით ქვაფენილს მახვნევინებდა.

ორმოცდახუთი წლის შვიდი აგვისტოს საღამო იყო. ახლაც თვალწინ მიდგას, ბარაკში მორიგე შემოვიდა და გიხმობენო. სამუშაოდან ახალი დაბრუნებული ვიყავით და ნარზე მიგდებულებს განძრევის თავიც აღარ გვქონდა, მაგრამ გახარებული წამოვხტი, კატია იქნება-მეთქი. აბა, სხვა ვინ დამიძახებდა. შეშის ფარდულთან იდგა. მოწყენილი მეჩვენა. რა მოგივიდა-მეთქი, არ მიპასუხა. იქვე კედელთან მივდექით. „ხიროსიმა თუ გაგიგიაო“, მკითხა. „როგორ არა-მეთქი“. შიშით შემათვალიერა. „შენები ხიროსიმაში ხომ არ ცხოვრობენო“. „არა, მე ჩრდილოეთ იაპონიიდან ვარ, ჩემი სოფელი საპოროსთანაა, ჰოკაიდოში, რა მოხდა-მეთქი“. ამოისუნთქა. უბიდან შალის წინდა ამოიღო და ხელში მომაჩეჩა. „გუშინ ხიროსიმა დაბომბესო“, მიჩურჩულა, მკლავებზე ხელი მომიჭირა, თვალებში ჩამხედა და გატრიალდა. კარგა ხანს ვიდექი წინდებით ხელში და ბინდში მიმავალს შევყურებდი. ბარაკში რომ დავბრუნდი, ადამიანის ფერი აღარ მედო, არავის არაფერი უკითხავს. მთელი ღამე გულზე მიხუტებული მქონდა კატიას მოქსოვილი წინდა და ვტიროდი.

ამის შემდეგ მალე დავშორდით ერთმანეთს. იმ დილით ტაიგაში მომაკითხა. ხელთ პატარა ჩემოდანი ეჭირა. ეტყობა ირბინა, ჩქარა სუნთქავდა, გული ამოვარდნაზე ჰქონდა. „სხვაგან გადავყავართო“, ცრემლი ედგა თვალებში. ნაჯახი ხელიდან გამივარდა, მორზე დავეშვი და მივაჩერდი. ზედამხედველს სთხოვა, ცოტას გავივლითო.

ახლაც ყურში ჩამესმის: „უმა, რადნოი, ბერეგი სებია!“.. უსიერ ტევრში ხავსზე ვიდექით, მეჩვენებოდა, რომ ქვეყანაზე მარტო დავრჩი და არავინ იყო ჩემი გამგები.

წავიდა და წავიდა. მეტად აღარ მინახავს. დამშვიდობებისას მისამართი დამიტოვა, ციმბირის კი არა, რიაზანისა. ახალი სამსახურის ადგილი თვითონაც არ იცოდა.

ორი წლის შემდეგ იაპონიაში დავბრუნდი. საქმეს მოვეკიდე. ქაღალდის რეწვის დიდი ფირმის თავი გახლავართ. ცოლ-შვილიც მყავს, რომ იტყვიან, ვიცხოვრე, მაგრამ ორმოცი წელია თან დამდევს ანგელოზივით თეთრი გოგო – კატერინა ზახაროვა.

დღე არ ყოფილა ამ ხნის განმავლობაში, რომ არ გამხსენებოდა. ახლა, როცა სიბერეში შევედი, უფრო ხშირად მეცხადება ძილშიც და ღვიძილშიც.

თქვენ პირველი არა ხართ, ვისაც ამ ამბავს ვუყვები, მაგრამ ჯერ ვერავინ დამეხმარა.

შარშანწინ გემის კაპიტანს გავატანე მისამართი და ოთხ თვეში წერილიც მივიღე, რიაზანში ამ მისამართზე კატია ზახაროვა არ ცხოვრობს და არც ახლომახლო არავინაა მისი მცნობელიო.

იქნებ როგორმე მოახერხოთ და გაზეთში გამოაქვეყნოთ, იქნებ ცოცხალია. მე მინდა თავისი ჯალაბიანად იაპონიაში მოვიწვიო.

მშვიდობისათვის ბრძოლა ახლა ჩვენს ქვეყანაში მოდაშია. მე ვიცი „მშვიდობისათვის ბევრ მებრძოლს“ შვიდი კაცი მაინც ჰყავს მოკლული, კატია კი სუფთა იყო და საკურას ყვავილივით მანათობელი. იგი არ შეიძლებოდა დაღუპულიყო, კატია არ დაიკარგებოდა წუთისოფლის ამ უთავბოლო ბრუნვაში, მე მჯერა.

ხომ არა გწყინთ, ძვირფასო სტუმარო, ამ ძნელი თხოვნით რომ გაწუხებთ? სასაცილოდ ხომ არ გეჩვენებათ, რომ ერთი ახირებული, ბებერი იაპონელი დედამიწის ზურგზე გაფაციცებით დაეძებს ორმოცი წლის წინანდელ გოგოს კატერინა ზახაროვას?

წუთისოფელი ძალიან მოკლეა იმისათვის, რათა შენი ცხოვრების გზაზე ნათლის სვეტად დაშვებული სახეები დაგავიწყდეს.

მრავალცოლშვილიანი

– შენ რამდენის ხარ?

– ოცდაერთის.

– ოცდაერთის ხარ, ბაბაია, შენ და არ იცი ჯერ, რომ გაიზრდები კიდევ მეტს, მერე გაიგებ, ცხოვრება თვითონ გასწავლის, რომ ახალგაცნობილ კაცთან ლაპარაკში ცოტა მეტი სიფრთხილეა საჭირო. სიფრთხილე ჰქვია თუ, რა ჰქვია იმას, ზომა?

– ზომიერება.

– ჰო, ბაბა. სიტყვაზე გეუბნები, მაგალითად, ისიც არაა მიღებული კაცს ჰკითხო ცოლშვილიანი არის თუ არა. ეს იგივეა ქალს ჰკითხო, რამდენი წლის ხარო. არაა ლამაზი. ლამაზი კი არა, სხვა რაღაცას ეძახიან ამას.

– ტაქტიანი.

– ვო, ვო! მართალია, ტაქტიანი არაა თორემ, ისე ქვეყანა კი არ იქცევა, ჩემო, ა მეოთხედ დამავიწყდა ახლა შენი სახელი.

– ერვანდი.

– ჩემო ერვანდი. სამოცდაშვიდი წელი არაფერი არ არისო, წელან რომ თქვი, არ ყოფილა? სახელი მავიწყდებოდა კი არა, გაქანებული მატარებლიდან ვიმახსოვრებდი ადამიანის სახეს. არაფერი ძნელი სახელი შენ არ გაქვს. ერვანდი ქვეყანას ჰქვია დღეს. მაგრამ ხომ ხედავ, მეოთხეჯერ გეკითხები სახელს. ასეა, ბიძია, ეს. სად ვართ?

– პერვომაისკაია აწერია.

– ჯერ სადაა როსტოვი. როსტოვში დამხვდებიან მე. აქ ამოვლენ პირდაპირ. გაგებული ექნებათ, რომ მოვდივარ. მაგნებს რამეს გამოაპარებ? შენ ვინ გერჩის რამეს, მარა ლაპარაკში მაინცდამაინც ნუ ჩაერევი. სხვა ხალხია, ჩემო ერვანდი. არ გეწყინოს, ვერ აგიხსნი ყველაფერს. სტუდენტი

ვარო, რომ მითხარი გამეხარდა. ე, მაგ საქმეა ყველაზე ნაღ-
დი საქმე. მაგ საქმეს გაუხდი მუყაითად. ახლა რასაც ისწავ-
ლი და აიღებ შენი მასწავლებლებისაგან, ის შეგრჩება. ჭკუა
თავის დროზე გინდა კაცს.

ბეჭბრტყელი, მაღალი კაცია. თეთრყირმიზა, თეთრგვრე-
მანი. წარბებს ქვემოთ სახე და ხელ-მკლავები აქვს მხოლოდ
ჟანგისფერი. ეტყობა, ქუდს არ იშორებს და მოკლესახ-
ელოიანი კვართი უყვარს. თეთრბალანმოდებულ მხარ-ბეჭზე
ტატუირების გარჩევა ჭირს, მაგრამ თუ ძალიან დაინტერეს-
დებით, მელნისფერი წარწერებიდან შეიტყობთ, რომ ჩემი
თანამგზავრი „აღმერთებს მშობელ დედას“ და თვლის რომ
„შენი საფლავის ქვა მხოლოდ შენ უნდა გათალო“. ოთხმა ჩა-
ჰალსტუხებულმა ახალგაზრდა კაცმა ამოაცილა. გენერლის
გასვენებაზე ორდენები რომ მიაქვთ, ისე მოჰქონდათ მისი
ბარგი. მოწიწებით გამოემშვიდობნენ. ვაგონის გამცილებ-
ელ ლეკის ქალს ჯიბეში ათმანეთიანი ჩაუკუჭეს, საწოლის
დალაგებ-დასუფთავება და ჩაი არ მოაკლოო. ყოველ დიდ
სადგურზე სანოვაგიანი ჩანთით ხვდება თითო-ოროლა კაცი.
მე ფანჯარასთან ვდგები და გამვლელთ ვათვალიერებ. რაში
მაინტერესებს, რაზე საუბრობენ. ცოტა ხანს იპუტუნებენ და
მერე დამხვედრნი მანამ უქნევენ ხელს, სანამ ბაქანზე კაცის
გარჩევა შეიძლება. ყველაფერს ვერ აგიხსნიო, რა ახსნა მინ-
და. ისედაც ვხვდები, ვინც არის. ერთი სული მაქვს, ვუთხრა,
რომ ბავშვობა სწორედ მისი პროფესიის ხალხში მაქვს
გატარებული და ერთი-ორი ისეთი მეზობელი დავუსახელო,
რომელთაც არ შეიძლება, არ იცნობდეს. ამ ხნის კაცს ხათრს
ვერ ვუტეხ, არა და ისე ხშირად ამბობს, თითოც დავკრათო,
რომ არყისგან ყელი მეწვის და გულზე მძმარავს.

– რახან მკითხე, უნდა გითხრა, თორემ მე თვითონ არაფრით
ჩამოვაგდებდი ამ ლაპარაკს. რა მოსაყოლი და სალაპარა-
კოა მაგალითად. რამდენი კაციცაა ქვეყანაზე, იმდენნაირი
ცხოვრებაა და არავისი საქმე არაა, ჭიშკრის შიგნით რა ტრი-
ალებს. ოჯახი უბედური საქმეა. არავის ეგონოს ადვილი მო-
საწყობი ოჯახის საქმე. შეიძლება სოფელს ალაგებდეს კაცი,

სიტყვაზე ვამბობ, მაგალითად, მარა ოჯახი ვერ დაალაგოს. ზოგს ჰგონია; თავიდანვე თუ ავიყვანე ჯალაბი ხელში, მერე რიხინ-რიხინით წავა საქმეო. არც ასეა. რამდენი თვალებ-ბრიალა და რომ იტყვიან, დისციპლინიანი კაცი მინახავს გადაყვანილი სტრელკაზე, დაყენებული ჩიხში. სწორედ ოჯახმა უყო მაგი, სხვამ არავინ. გაგიკვირდება, ვიცი, მარა არ დაგიმალავ, ოთხი ცოლ-შვილი მყავს მე. ოთხი ცოლი მყავს, ერთ სიტყვით, და თავისი ნამრავლ-ნაგრამი – ექვსი შვილი და თხუთმეტი შვილიშვილი. ორმოცდაორი წლისაა უფროსი ბიჭი, მინსკში მუშაობს ექიმად, უმცროსი გოგო მყავს ოცი წლის, საფერშლოზე სწავლობს. დედამისთანაა, რასაკვირველია, ხაბაროვსკში. ერთი წელია არ მინახავს. პატარა შევლაპარაკდით და გაბრაზებულია ჩემზე. წერილებსაც აღარ მწერს მამაძაღლი. უნდა ჩავიდე ახლა, როგორც კი მოვიცლი და უნდა შევირიგო. მე თვითონ მაწუხებს ეს ამბავი, თორემ ისე, რა ჯიღაც მე დავადგი მამაჩემს, იმას დამადგამს მეც, ვატყობ. მაგრამ შვილია მაინც, რაც არ უნდა იყოს, და მამა ვარ, მაინც, რაც არ უნდა ვიყო. ისე ლამაზი გოგოა ძალიან. გამოვიდა კი, დედისკენაა უფრო, დედა კაი შესახედავი ქალია, სლავის ჯანმრთელი ქალები რომ არიან. რაც მართალია მართალია, ქალები ჰყავთ, ძმაო, ბედაურებია, ქალები კი არა, ქალმა გადაარჩინა მაგნები. მივწერე და ჩამოვიყვანე შარშან ჩემი ნაბოლარა გოგო. ვერ ვიყავი რაღაცა კარგად და რომ მოვკვდე, თვალებს მაინც დამიხუჭავს-მეთქი. ჩამოვიდა ეს ეშხიანი გოგო, ენაცვალოს მამა, მთელმა უბანმა დაადგა თვალი, რასაკვირველია, მაგრამ ჩემი რიდით ვინ შეხედავს გლახათ, ვინ გასცემს ხმას უბატონოდ. ერთი კვირა არ გაუხედავს სახლიდან გარეთ. დამიკრიალა ბინა, დამირეცხა სარეცხი მერე, მოგეხსენება ოცი წლის გოგოს ენერგია. მატარებელს ვაჩერებ სადაც მინდა და ეს გოგო ვერ დავაკავე ვერაფრით. ჰაი ტანცი, ჰაი პაემნები და ქე შემოდის გვიან-გვიან სახლში – გაღუებული, გახარებული, ატკლეცილი, ბედნიერი. აჰ, ასე არ გამოვა, ბაბაია, მე ვუთხარი. შენ თავს მომჭრი აქ, ასე თუ იარე-მეთქი. ჩაალაგა ჩემოდანი და მეორე დღესვე

გამექცა. წერილსაც აღარ მწერს. უნდა ჩავიდე უსათუოდ და უნდა შევირიგო. ერთ-ორ კვირას ვიშოვი თავისუფალს და ჩასვლისთანავე გავათხოვებ, თვარა მარცხს იზამს რაღაცას. კავალრების მეტი რა ეყოლება, ფერხორციანი გოგოა. მოვაგროვებ ერთად სუყველას და რომელიც მომეწონება სიძედ, მივაჭედებ კედელზე ყურებით. ეს ნამეტანი სიმკაცრეა, თქვენი ჭკუით, ვიცი მე, მარა ასე თუ არ ჩაერიე შვილის ბედში, უმამოდ გაზრდილი გოგოა და რა ვიცი, რას იზამს, რას მოვაყოლე ახლა ყველაფერი ეს? ჰო, ოთხი ცოლი-მეთქი, რომ გითხარი, ალბათ, გულში გაგეცინა. ვიცი, სწორია, მთლად სერიოზულად არ გამოვიყურები ამ საკითხში. ვინც არ მიცნობს, იტყვის, ალბათ, უხასიათო, უჯიათი კაცია, ვერ ეგუება ვერავისო. შენ არ მომიკვდე მეტად, მე ქალს არ ვუყურებ ისე, რავარც სხვები. რას ჰქვია შეგუება. არც ერთ ჩემს ცოლთან ჩხუბი კი არა, შელაპარაკებაც არ მქონია მიდღემჩი. ოთხივე ცოლი ერთნაირად მიყვარს. ისე ჩვენ შორის დარჩეს და იმათ მაინც არ ვუყვარვარ ისე მოყვარული ცოლ-ქმარი რომ მინახავს. „სულში ჭირიმე, გულში ჭირიმეს“ სიყვარული რომ ჰქვია. სხვების რომ მინახავს, მაგრამ ამას ჩემს უბედურ, მომთაბარე ცხოვრებას ვაბრალი. მე ქალს ვუყურებ, როგორც ქალს, არც მეტი არც ნაკლები. ზოგი რომ დაუწყებს ქალს ღირზინს და ნიძლავობას. რა საკადრისია, ჩემო. ქალს ისე სერიოზულად როგორ უნდა შეხედო, საქმის გარჩევა და კამათი და, ხელის გადაწევ-გადმოწევა დაუწყო. არ დაიჯერებ შენ და მე მთლად გულჩვილი და გულჩიტა კაცი არ გახლავარ, მაგრამ ქალი იმდენად მიყვარს და ვაფასებ, ისე უმწეო არსებად მიმაჩნია და ისე დიდად მიღირს ქალის სიყვარული, რომ ყველაფერი შემიძლია, მაგრამ ქალთან უხეშობა (ცემაზე აღარაფერს ვამბობ), ქალის მოტყუება და ღალატი არა. არა ხარ შენ პატარა და გამოცდილიც გექნება, მე მგონია. რა არის იმაზე დიდი სიკეთე და სასწაული, კი, მე სასწაულს ვეძახი ნამდვილად, ორი საათის გაცნობილი ქალი, რომ გაიხდის და დედიშობილა ჩაგიწვება. ამაზე მეტი ნდობა, მეტი სიყვარულის გამოცხადება ღმერთსაც არ გამოუგონია.

შეიძლება შენზე მონდობილი, შენით გატაცებული ქალის დაუფასებლობა? მეტი რა ვარ, ბოლოს და ბოლოს.

ჩემს ცხოვრებას რომ იკითხავს ვინმე, დიდი მექალიე კაცი ვჩანვარ ალბათ. არც ისეთი სუსტი ვარ მე – ძიკი კაკაჩია, ქალმა რომ თავგზა ამიბნიოს და არც ისეთი მუსუსი ვარ ზოგიერთი რომაა ა, ქალებს რომ გაიხდის მთავარ საქმედ. დამუშავებული აქვთ მაგნაირებს სხვადასხვა ხასიათის ქალის დაბმის, ათასნაირი მეთოდი. დაბმას ეძახიან თუ რა ჰქვია იმას?

– გამოჭერა.

– გამოჭერა დავარქვათ, თუ გინდა. უცნობ ქალს დაელაპარაკებიან, მთლად უცნობს, და რას ეტყვიან, ვინ იცის, ეშმაკი, ათ წუთში გამოიბამენ ქამარზე. არსებობენ კი ასეთი კაცები, მეც ბევრს ვიცნობ. რაღაცა მუღამი იციან, ნიძლავს ჩამოვლენ, თუ გინდა, შენთან, კოლონიის უფროსის ცოლი მოიყვანა ერთმა შუაღამისას. რევოლვერიან ქმარს ააცალა საწოლიდან. პატიმარი იყო ა, უბრალო ჩემსავით. მე არ ვარ მაგის კაცი. არ მახსოვს გავგიჟებულიყო ქალისთვის და სდევნა დამეწყოს. ინტერესიანი რომაა ზოგიერთი, ეს ქალი მინდა მაინცდამაინცო და თავს რომ არ დაზოგავს, არ ვგავარ ისეთ კაცებს. გითხარი მისი არ იყოს, ქალი ქალია ჩემთვის. ერთია ყველა. რანაირიც ხარ შენ, იმნაირია შენი ცოლიც. არც მეტი, არც ნაკლები.

სად გვეჩქარება და რაკი ასე გაინტერესებს მოგიყვები ოთხივე ცოლის ამბავს. შენ თვითონ იანგარიშე მერე შენთვის. ერთს გეტყვი მარტო, შვილებზე გადამკვდარი მამა ვარ მე. ა, ამ ბარგს ხომ ხედავ, ორი ნიფხვის მეტი ჩემი არაფერი არაა შიგ, ცოლშვილისათვის და შვილიშვილებისთვის,. ნამეტნავად შვილიშვილებისთვის, მიმაქვს ეს გაძეძგვილი ჩემოდნები. ასე დავდივარ ოთხივე ცოლთან დატვირთული. მაინც არ ვუყვარვარ მაგ ოჯახქორებს. ოხერი ხარ, ოხერიო, უყვართ თქმა. ვხუმრობ, სიყვარულით როგორ არ ვუყვარვარ, მარა სხვა არის ქმარი რომ დღეღამე სახლში გყავს და ასე წელიწადში ორი კვირით, სტუმარივით, მოსული ქმრის და მამის

შეყვარება ძნელია ცოტა. კარგად იყვნენ და მე არც ვთხოვ მეტ სიყვარულს. ახლა რომელთანაც მივდივარ, პირველი ცოლია ეს ჩემთვის. ოცდარვა წლის ბიჭი ვიყავი, მეზობლის გოგო გადავიყვანე ა, მთლად კარის მეზობელიც არ ყოფილა. გაგვიჩნდა ორი შვილი და დამიჭირეს. მაშინ ოცი წლობა იყო და მომცეს ოცი წელი, ექვსი ვიჯექი, კი, კარგად მახსოვს, ექვსი წელი ვიჯექი და გავაკეთე პირველი პაბეგი. მაშინ ადვილი იყო კოლონიიდან გაქცევა. სამმა მოვილაპარაკეთ, სამივე ერთი საქმის ხალხი ვიყავით. გაქცევის დროს მუჟიკი არ უნდა გარიო საქმეში, მუჟიკს ვეძახით ა, სხვა საქმეზე როა დაჭერილი. პროდუქტის მანქანით გავიქეცით. შოფერს მოქონდა ხანდახან მარტო, შემოვიდოდა და გასაღებს მანქანაში ტოვებდა. ხელისმოსაწერად რომ შეირბინა შოფერმა მომმარაგებელთან, მოვახტით მანქანას და ჰაიდა. საგუშაგოს კარებიდან ვინ გაგვიშვებდა, პირდაპირ მავთულხლართებზე მივუშვით მანქანა. კოლონიას ხომ ორმო აქვს ირგვლივ შემოყოლებული, იმ ორმოს საბარგო მანქანა კი არა ტანკი ვერ გადაივლის. ესეც წინასწარ გვქონდა გაანგარიშებული. ერთ ადგილას ახალი ჭიშკრის გაკეთებას აპირებდნენ და ამოავსეს ორმო. წინა დღით პარტიანკები დავხიეთ და თეთრი ზორტები შევაბით მავთულის ღობეს. მივუშვით ოთხმოცით დაზვინული სუდაბეკერი, გავგლიჯეთ ღობე და სტეპს მივეცით თავი. სანამ განგაში ატყდა და მდევარმა ქამარი შემოირტყა, კარგა მანძილი გვქონდა გავლილი. დავაგდეთ გზაზე მანქანა და სხვადასხვა მხარეს გავიქეცით სამივე. მე მეცხვარეებმა დამმალეს. არ იყო მთლად იღბლიანი პაბეგი. ის ორი იმღამესვე დაუჭერიათ, მე გადავრჩი. იმიტომ გადავრჩი, რომ შორს არ გავქცეულვარ. იქვე ახლომახლო შევეფარე მეცხვარეებს და ეჭვი ვერ აიღეს. გამქცევი ასე ახლოს არ გაჩერდებაო, იფიქრეს. ათი დღეა პაბეგში ვარ, გამოვედი გზაზე. გამთენიისას დამეწია, „ტონკას“ ეძახდნენ, თუ გახსოვს, თუმცა შენ სად გემახსოვრება, პატარა მანქანა იყო, საბარგო, თუხთუხით დადიოდა. ფეხზე მაქვს ბრაუნინგი. რას ვკარგავ მე, პაბეგში ვარ. თუ მდევარია, უნდა ვესროლო მეტი გზა არ არის. კა-

ცის მოკვლა არ გვიწერია ჩვენ, მარა შესაშინებლად მაინც უნდა ისროლო, ახლა ჩემთვის ჩავარდნა სიკვდილს ნიშნავს. პირდაპირ ვუთხარი შოფერს, ასეა ჩემი საქმე და ზონიდან უნდა გამიყვანო-მეთქი. მე ჩუმად ვიქნები, ზევით გოგო ზის, სანიტარკა, იმას მოუარეო. ავხტი საბარგულზე. ჩაცუცქულა შინელიანი, შავთვალწარბა გოგო. მწყრალად შემხედა და მიაბრუნა თავი. კარგა ხანს ვიჩიქჩიქეთ უბრად, მე ვთქვი ბოლოს, გამოველაპარაკები, თუ ქართველი არ არის, რაღაც ჩვენი მხრის ქალს ჩამოჰგავს-მეთქი და პირდაპირ ქართულად ვუთხარი. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. გაშალა ხელები და გადამეხვია. კინაღამ გადამაგდო მანქანიდან. გურჯაანელი ქალი ვარო. თბილისში სამედიცინო ტექნიკუმი დავამთავრე და სამუშაო აქეთ რომ შემთავაზეს, ქვეყნის ნახვის იშტამ შემაცდინა და დავთანხმდიო. თავ-ბედს ვიწყევლი, ოღონდ ცოცხალი გავაღწევდე აქედან და რა უნდა ღმერთსო. ამ მანქანით მედიკამენტებს ვეზიდები სტეპებში, რომ არაფერი დამეკარგოს, ხომ ხედავ, კაბინაშიც კი არ ვჯდები. გამოქცეული პატიმრებითაა სავსე აქაურობაო. სამსახურში ხომ ამნაირ შიშში ვარ, დაბაში, ფეიქრების ჭუჭყიან საერთო საცხოვრებელში, პირველ სართულზე ერთი პატარა ოთახი მომცეს, მაგრამ რათ გინდა, გაიგეს მედიკი რომ ვარ და მთელი ღამე კარებზე მიბრახუნებენ, სუსუნატიდან გამწარებული ქალები და კაცები ნემსის გაკეთებას მთხოვენ, ამხელა დაბაში ერთი ვენპუნქტი არ არის, საქმეა ესო? მე რომ ვინმეს კარი გავუღო და ნემსი გავუკეთო, მერე იქ აღარ დამედგომება, რა წყალს მივცე თავი არ ვიცი პირდაპირო. რას იზამდი შენ, ჩემ ადგილას, ასეთ დროს? დატოვებდი გასაჭირში ანგელოზივით გოგოს? იმ დღესვე შევირთე ცოლად, რასაკვირველია, დაბაში ანგარიში გავასწორებინე, დავსვი მატარებელზე და შორეულ აღმოსავლეთში ამოვაყოფინე თავი. ახლაც იქ ცხოვრობს ვლადივოსტოკში. ოთხი წელი მართლაც ბედნიერად ვიყავით. ორი შვილი შეგვეძინა. ბიჭები ორივე. სურათებიც მაქვს სადღაც. მოიცა, ა, ეს დედაა ექთანი-მეთქი რომ გითხარი, იქაც ექთნად მუშაობს. ეს უფროსი ბიჭია, საზღვაოშია, კაპიტნის

თანაშემწეობამდე აღარაფერი უკლია. ეს უმცროსია, სწავლით მაინცდამაინც არ შეიწუხა თავი და ესეც პორტშია, გემების რემონტზე მუშაობს, მღებავია. ახლა პირველი ცოლიო, შენ მკითხავ, მაშინვე მივწერე ყველაფერი, როგორც მოხდა. ასე და ასეა ჩემი საქმე, ამ გოგოს უპატრონოდ ვერ დავაგდებდი და სხვა გზა არ იყო, უნდა გამიგო-მეთქი. ბავშვებს ჩემი თავი არ შეაძულო, არ შემარცხვინო. მე შენს ქმრად დავრჩები და ყურადღებას არ მოგაკლებ-მეთქი. მართლაც, რაც შემეძლო, თავი არ დამიზოგავს. მეორე ხელი აქეთ მქონდა. ყოველთვე ვუგზავნიდი, ხან რას და ხან რას. წელიწადში ერთხელ ჩამოვდიოდი თითო თვით. მეორე ცოლმა ეს ყველაფერი იცოდა, მაგრამ, შეგნებული ქალია, საყვედურიც კი არ გამოუთქვამს.

ოთხ წელიწადში ისევ ჩავვარდი. ამ ჩემმა ახალმა ცოლმა იცოდა, რაზეც ვიყავი ნაჯდომი (პირველმა ცოლმა დღესაც არ იცის, რა ხელობის კაცი ვარ), მაგრამ რაკი ლიმონათის ქარხანაში ვიყავი გაფორმებული ელექტრიკოსად (სხვა გვარით, რასაკვირველია) გამოსწორებული ვეგონე და ჩემ წარსულს არც იხსენებდა. სასამართლოზე ყველაფერი შეიტყო, მაგრამ ცოდოს ვერ ვიტყვი, ხმა არ გაუღია. თხუთმეტი მომცეს. პირველივე შეხვედრაზე ვუთხარი, ნუ გეშინია მალე გამოვალ, სამ წელიწადზე მეტს არ გავჩერდები. როგორც კი საშუალებას ვნახავ, გამოვიქცევი, მელოდე. იცოდე, ვისი ცოლი ხარ და შარში არ გამხვიო, ხორცი რომც შემოიჭამო ტანზე პატიოსნად დამხვდი, ამაგს არ დაგიკარგავ-მეთქი. რაღა ბევრი გავაგრძელო, ორ წელიწადსა და რვა თვეში მეორე პაბეგი დავურტყი, ამჯერად მარტო ეტაპს გავექეცი მანქანიდან. მესროლეს, მაგრამ დამაცილეს. მანქანის გაჩერება ვერ გაბედეს, ორნი იყვნენ და შეეშინდათ, სხვა პატიმრებიც გაგვექცევიანო. ვიარე, ვიარე და ქალაქ ტამშაიში ამოვყავი თავი. ახალი, პატარა ქალაქია, რუკაზე არც კია აღნიშნული, შენ ჯერ გაგონილი არ გექნება. ახალ ტანსაცმელში გამოწყობილი, ულვაშგაპარსული (რომ არ მიცნონ), ჩაცილინდრებული დავაბიჯებ ქალაქში. ერთი სული მაქვს, სანამ ჩემს ბიჭებს ვნახავდე. პირველად ვლადივოსტოკში

მივდივარ, ერთ ადგილას ჩოჩქოლი შევნიშნე და გულმა არ მომითმინა. ღობესთან ექვსიოდე კაცი ორმეტრიან ახმახს შემოხვევია და არიან ერთ ამბავში. მეორე სართულის ფანჯარაზე თმაგაშლილი ახალგაზრდა ქალი გადმომდგარა და ცრემლებს აღვარღვალებს. რაშია-მეთქი საქმე? ის გოგო უნდა მოვკლაო, ახმახმა. – რატომ, რას ემართლები? მიღალატაო. ჩემი საცოლე იყო და წუხელის ვიღაც ჰყოლია სახლშიო. ავხედე გოგოს, დავიწვი მისი საცოდაობით. არა და ბიჭი ისეთი ჩანს, ნაღდი გამკეთებელია, მოკლავს. მაშინვე მივიღე გადაწყვეტილება, ჯარში რომ იციან თქმა, ავედი, გოგო გამოვიყვანე. მარცხენა ხელით გოგო მომყავს ხელმკლავითო რომ იტყვიან, მარჯვენა, პიჯაკის ჯიბეში მიდევს, ჩახმახზე ხელი მაქვს; გავუტარე მკვლელს წინ და სხვების გასაგონად ვუთხარი – მე ვიყავი წუხელის ამ ქალთან, ბეწვი არავინ შეაწყვიტოს, თორემ ბაბუაწვერასავით შევუბერავ-მეთქი. პირდაღებული მიყურებენ. ჩავსვი ტაქსში ნატაშა და სადგურზე მივიყვანე. ორ დღეში სადაც გაჩერდება მატარებელი, იქ ჩამოდი და შენს გზას ეწიე, ვერავინ მოგწვდება-მეთქი. ორი დღე კუპეში მარტო ვიყავი. ჩამომეკიდა ეს ქალი ყელზე, უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლიაო. შევუყვარდი. ვერ ვკარი ხელი. შემეცოდა. ორი დღის მერე ერთად ჩავედით, ქალაქ სხლნიასთან პატარა დასახლებაა. ჩემი ცოლი პასპორტიანი, მე უპასპორტო. ვითომ გამქურდეს და დავკარგე ყველაფერი. ორ ბოთლ არაყში იძლეოდნენ პასპორტს მაშინ. ერთ კვირაში უკვე სხლნიას სრულუფლებიანი მოქალაქე გახლდით. ვითომ ენთუზიასტები, მშენებლობაზე მოხალისედ ჩამოსულები. ჩემმა ცოლმა ამწეზე დაიწყო მუშაობა, მე ავადმყოფობა მოვიმიზეზე და მომარაგებაში გავფორმდი. ისე, ყასიდად, რა თქმა უნდა. აბა წერილები ორივე ცოლ-შვილს. აქ ვარ, აქ ვცხოვრობ, ასეთი საქმე შემემთხვა, ცოლი შევირთე, მალე გინახულებთ-მეთქი. ცხრა თვის თავზე ბიჭიც შეგვეძინა და კიდეც დამიჭირეს.

ცოტა არ იყოს, დიდ საქმეზე დამიჭირეს მესამედ და ბიჭებს რომ ფული არ დაეტრიალებინათ, მომცემდნენ ბლო-

მად. თორმეტში გამჭედეს, მკაცრი რეჟიმით. ვიჯექი, რომ არ დაგიმალო, რვა წელი. წერილებს ვწერდი სამივე ცოლს. ვხელმძღვანელობდი სამ ოჯახს. ყველაფერი ვიცოდი ზეპირად; რას სწავლობდნენ ჩემი შვილები, რას საქმიანობდნენ ცოლები. დამავიწყდა მეთქვა; ამ მესამე ნასამართლობაზე გაიშიფრა, რასაკვირველია, ჩემი სახელი და გვარი, ამიტომ მომკიდეს ხელი მკაცრად და მეც, ჩემი სიგლახე უნდა ვთქვა, არ მიცდია გაქცევა. ჩემი საქმის კაცს კოლონიაშიც ბევრი აქვს საქმე და ვცხოვრობდი თავადიშვილურად. ისევ აქ ვარ მოსასვლელი და რა ოხრად მინდა ხლაფორთი და გამოძიება თავიდან, აწი ვიჯდე აქ, როგორც ვზივარ-მეთქი, ოჯახებსაც კარგად ვეხმარებოდი, შენ წარმოიდგინე. ვახერხებდი ფულის გაგზავნას. მოჰქონდათ ბიჭებს და მე კოლონიაში ფული მაინცდამაინც არ მეხარჯებოდა. გამომიშვეს რვა წელიწადში, მაგრამ რად გინდა, სხვაგან ცხოვრების უფლება აკრძალული მაქვს. სოფელი ხომენკოა უსტ-ბაბლინსკის ოლქში. რვა კილომეტრზეა ცენტრიდან. უბრალო სოფელია ა. ტაიგას ამუშავებენ და ტორფს იღებენ მიწიდან. სასადილოსავით გავხსენით რაღაც. ერთი მზარეული მყავს და ერთი ბუფეტჩიკი. რას ეძახიან ჩვენებურად ბუფეტჩიკს?

– მებუფეტე.

– მებუფეტეთ ვარ, ერთი სიტყვით, არამიშავს. ვაჭრობის კაცი არ ვარ მე. სადმე ხომ უნდა ვყოფილიყავი გაფორმებული და ისევ სასადილო ვარჩიე. ირმის ხორცი და არაყი, მეტი რა უნდა მაგნებს. ირმის ხორცი კი ბლომად მაქვს, იცოცხლე, გინდა შაშხი, გინდა სამწვადე, გინდა სახარჩოე. კლავენ ბიჭები და მოაქვთ. ჩემი მუშტრები „გავიადინას“ ეძახიან ყველაფერს, ღორის და ქათმის გარდა და მეც „გავიადინად“ ვასაღებ ამ ოქროსავით ირმის ხორცს. ასეა ეს. თუ არ დაგავიწყდა, გოგო მყავს-მეთქი ნაბოლარა, ოცი წლის, თავში გითხარი. მაგის დედა თავისი ფეხით მომადგა შუაღამისას ბინაში, ჩემთან. ვინიცაში ცხოვრობდა თურმე, იქ გაიზარდა. სკოლა რომ დაამთავრა, მისი კლასის გოგონები მაღაზიებში გაუშვიათ ნოქრებად. იმუშავა თურმე ერთი სამი წელი გამყ-

იდველად და მერე დააკლო ვიღაცას ოცდახუთი კაპიკი, აბა რას იზამდა, რას ჰქვია შენ მომხმარებელს ოცდახუთი კაპიკი გადაუღუნეო, შეუდგინეს საქმე და უნდა დაიჭირონ. დაჰკრა ფეხი თურმე ამ საწყალმა და გამოიქცა. გამოიქცა, მარა სად მიდის, არ იცის. გაგონილი აქვს, ა, აქეთ მხარეს შეიძლებბა დამალვაო და მოყვება მატარებლებს, არც ფული აქვს, არც პატრონი ჰყავს ვინმე. ერთი ვაგონიდან რომ ჩამომაგდებდნენ, მეორეზე ავიდოდიო, საწყალმა. ასე წვალებ-წვალებით ჩამოაღწია თურმე ჩვენს სოფლამდე, ხომენკო ჰქვიამეთქი, რომ გითხარი, სადაც მე ვცხოვრობ ახლა. ვიღაცას უსწავლებია, ეგერ ქოხში სინათლე რომ ანთია, იქ მიდი, კარგი „დიადია“ ცხოვრობს და ის შეგიფარებსო. მომადგა შხვართივით გოგო შუაღამისას და მომიყვა თავისი ამბავი. ა, მე ვუთხარი, ა, შენ ეს პატარა ოთახი, მე შემოსასვლელში დავწვები, ა, შენ ჩემი საბან-ქვეშაგები, იცხოვრე და იყავი, სანამ ხანდაზმულად გადიქცეოდეს შენი საქმე-მეთქი. სხვა რამე ფიქრში არ გამივლია. ლამის ოცდახუთი წლით ვიყავი მაგაზე უფროსი და ბავშვი იყო ჩემთან. მართლაც ერთი თვე ისე გავიდა, არც შემიხედავს სხვა თვალით მისთვის. მერე, გოგო იყო ჯანმრთელი, შეუჩნდა ეშმაკი და ქე შემომიგორდა ლოგინში. ვერ ვკარი ხელი და ასე ვითხოვე მეოთხე ცოლი. ეს კარგი იყო ნამეტანი, ეს ბოლო. თავს დაგავიწყებდა პირდაპირ, იმნაირი ფერება იცოდა. ბოდიშს კი ვიხდი, ბაბაია, შენ რომ გეუბნები ასეთ რამეს, შვილისტოლა კაცს. მაგრამ არც ეს ცოლი შემარჩინა განგებამ. ბევრი ვეხვეწე: „სტაროსტას“ ვეძახით ჩვენ, მამასახლისია ერთგვარი ჩვენი სოფლის, მარა არ გამიჩერა. ძიებაშია, როგორც ჩანს, მაგის საქმე და თუ მოაგნეს, სასამართლო არ აგცდებაო. მე ჩემი მხრივ არ დავასმენ, მაგრამ ვიღაცა დასტუკავს და შენ მე დამაბრალებო. ამიტომ ამ ორ დღეში აიკრას გუდა-ნაბადი და წავიდეს, ოთხივე კუთხით გზა ხსნილი აქვსო. რა მექნა, მოვიწყვიტე გულზე ოთხი თვის ფეხმძიმე ქალი და ხაბაროვსკში ვურჩიე წასვლა. ხაბაროვსკში დაიბადა, მე რომ გითხარი, ჩემი მეექვსე, სულელი გოგო. იქ გაიზარდა. მე ჩავდიოდი, რასაკ-

ვირველია, ორ წელიწადში ერთხელ. ორ წელიწადში ერთხელ ჩამოსული ქმარი რა არის, მაგრამ, არ ვიცი, შიშით თუ სიყვარულით, არც ერთ ჩემს ცოლს გლახა რამე არ გაუვლია გულში. ასეა კი, თორემ გავიგებდი ნამდვილად. ეს ისეთი საქმეა, არ დაიმალება. მით უმეტეს ჩემნაირი კაცის ცოლს თავისი მოთვალთვალე ჰყავს, რასაკვირველია, და ეს კარგად იციან მაგნებმაც.

ახლა ვბერდები და ასე დავდივარ ა დატვირთული ოთხ ცოლს შუა. თითო თვეს მაძლევენ წელიწადში, როგორც დამსახურებულ კაცს. ერთ თვეში უკან უნდა დავბრუნდე. ჩამოწერილი მაქვს გრაფიკი და თითო კვირას ვატარებ თითო ცოლთან. თვითმფრინავით დავდივარ, ძირითადად, მაგრამ ახლა რატომღაც მატარებლით გადავწყვიტე. ოცდახუთი წლის წინ გამოვიარე ეს გზა მატარებლით და მაინტერესებს ერთი, როგორ შეიცვალა ქვეყანა.

ჯერ მოსკოვში ჩამოვდივარ. იქ საბავშვო მაღაზიაში ნაცნობი ქალი მყავს. ბავშვებისათვის რაღაცების ყიდვა არაა იოლი საქმე დღეს. ერთი სიტყვით, ბავშვის წლოვანება უთხარი შენ და გაგიჩენს ყველაფერს. ფულს წაიღებს და პირდაპირ სასტუმროში მოგიტანს გახვეულს. დიდი კეთილშობილი ქალია, სხვათა შორის. არ უნდა შენი კაპიკი. ახლა შემომჩივლა, ქმარი გამექცაო. გადაკიდებია ვიღაცას და ა, ხომ იცი, არ მისცა ალბათ ქალმა საშველი და მიუტოვებია ცოლი. არადა ისეთი ტკბილი და ჭკვიანი ქალია, გაგეხარდება, რომ შეხედავ. ჩავუკვირდები ახლა ჩემს საქმეს და თუ ჭკუაში დამიჯდა, შეიძლება უკან დაბრუნებისას ვითხოვო ცოლად. თუ წამოვიდა ხომენკოში, ხომ კარგი, თუ არა და ორ წელიწადში მითავდება ვადა და მე თვითონ ჩამოვაკითხავ აქეთ.

კოსმოსში

კოსმოდრომი.

ავტობუსიდან ორმა კოსმონავტმა ჩამოაბიჯა და ტაშის გრიალში გაემართნენ ცისკენ აშვერილი, უზარმაზარი რაკეტისკენ. მიდიოდნენ მხარდამხარ. მოხდენილად-მეთქი, რომ გითხრათ, ტყუილი იქნება; ამის დიდი სურვილიც რომ ჰქონოდათ, სკაფანდარი საშუალებას არ მისცემდათ. ფეხებს განგან დგამდნენ. კიდევ კარგი, სასტარტო ადგილიდან ახლოს გაჩერდა ავტობუსი, თორემ შემართული ხელებით დიდხანს ვერ ივლიდნენ, ფოლადის მილებითა და ხელსაწყო-აპარატებით დაზუზღული სახელო ასაწევად მძიმე გახლავთ.

ცერემონიალი დამთავრდა. მიწაზე დასარჩენებმა პატაკი ჩაიბარეს. ღონიერმა ასისტენტებმა სკაფანდრის თავსაბურავები უკანასკნელად, საიმედოდ დააღრჭიალეს და კოსმონავტები კიბეს აუყვნენ.

კაბინაში გრილოდა, მაგრამ ორკესტრის საამო გრგვინვაქუხილი აქაც აღწევდა. წამით ყველაფერი მიწყნარდა და მიკროფონში მთავარი კონსტრუქტორის ნაცნობი ხმა გაისმა.

– ბუხუტი, ჩიტია, რავა არი საქმე?

– ნელთბილად! – ლამის ერთხმად წამოიძახეს კოსმონავტებმა.

– სკაფანდრი ხვარსად გიჭერთ?

– მორგებული გვაქ მაჩვის ტყავივით, – ბუხუტიმ ჩიტიას მაგივრადაც უპასუხა.

– ხომ გახსოვსკენ ყველაფერი? არ მომჭრათ თავი.

– არ გინდა ლაპარაკი – ჩიტიას ხმა იყო.

– ხვარ გეშინიათ?

– რაის გვეშინია, – ბუხუტიმ მარჯვენა სკაფანდრიანი ფეხი ფიზიოლოგიური საჭიროების თეთრ, ქათქათა დანადგარს გადაადო და გაიზმორა.

– აბა, მეყოლეთ კარგად. ვაძლევ კამანდას.

– წავედიიით!

გამაყრუებელი გრგვინვა-ქუხილი, ხომალდის ფანჯრებთან დატრიალებული თეთრი კვამლი, მეხთატეხის ბიძგი და რაკეტა შხუილით მიქროდა ლურჯ, უკიდეგანო ცისთავანზე. მთავარი კონსტრუქტორი კი თავის კაბინეტში დაბრუნდა და ცენტრალური გაზეთის კორესპონდენტთან ერთად შეუდგა იმ საზეიმო ტექსტის შედგენას, რომლის წყალობითაც ზეგ გაზეთებს მოეფინებოდა ცნობა სტარტის წარმატებით დაგვირგვინებისა და კოსმოსის გმირების არაჩვეულებრივი სიმხნევე-სიხალისის შესახებ. ვის დავუმალო, ჟურნალისტს რომ კარნახობდა, მთავარი კონსტრუქტორი წინა გაფრენის ინფორმაციაში ჩაიხედავდა ხოლმე; ისე, ყოვლი შემთხვევისათვის.

მატარებელი რაკეტა თანამგზავრს რომ მოშორდა, ხომალდი თითქოს შემსუბუქდაო, თვლემისმომგვრელი, აკვნური რწევით მოძრაობდა. ბუხუტი წამოიწია, მკერდზე გადაგდებული ღვედსამაგრი მოიცილა და ილუმინატორში გაიხედა.

– აჯამეთში ვართ? – ჩიტია იწვა და ჭერს შესცქეროდა.

– რა შუაშია აჯამეთი.

– აბა, ისე გულდაგულ იჭვრიტები, ერთბაშად სადგური არ გეცნოს, გულაბმსხალიანი პატატვრანი დახლებით და კიბულას წყლით მოვაჭრე ბიჭებით.

– ნუ გლახობ შენ და მაგ ღილაკს ჩამოკარი ხელი. მაგას არა, მარცხენა ყურთან რომ გაქვს.

– გამოვრთო გადამცემი?

– ხო, ცოტა ხნით გამორთე, მიწაზე რომ არ გაიგონონ შენი ბჟუტური.

ჩიტიამ ღილაკს გოგრისსიმსხო მუშტი ჩამოუსვა, სამართავი პულტის გვერდით მოციმციმე ეკრანი თითქოს რძით გაივსოო, თეთრად ათიმთიმდა და ჩაქრა.

ბუხუტი პლასტმასის ჭიქას მიწვდა, ტაბურეტის სკამის მსგავს მაგიდაზე დადო, უკან გადაიხარა, ყუთიდან მომცრო ბოთლი ამოიღო ეტიკეტს დახედა და თქვა:

– კაი ვქენით, ეს „ლებარდე“ რომ წამოვიღეთ – მიიხედ-მოიხედა. – გასახსნელი არსად ჩანს მაქით?

ჩიტიამ უჯრა გამოსწია, კარგა ხანს ათვალიერა და ყრუდ ამოილაპარაკა.

– აქ არ არის. სადმე იქნება, არ შეიძლება დავიწყებოდათ, მომეცი აქეთ.

ბოთლი გამოართვა, დაახლოებით მუცლის ქვემოთ, სკაფანდრის ღილაკს ჩამოჰკრა და აბუჟბუჟებული „ლებარდე“ ხომალდის მეთაურს დაუბრუნა.

ბუხუტიმ ჭერზე მონანავე ჭიქას შეავლო თვალი.

– სად გაფრენილა, ეს უპატრონო.

– რაი!

– ჭიქა.

– არ დამიწყო ახლა ჭიქა და ფუჟერი აქანა. ბოთლით ვერ დალევ, თუ გწყურია?

– ნუ იცი უშნო ლაპარაკი. რატომ ვერ დავლევ, მარა წესი წესია.

გიგანტური ბუს თავის მსგავსი თავსაბურავები ორივემ გულდაგულ მოიხსნეს და უწონადობას რომ არ გაეცურებინა, სავარძელთან, გვერდით, ლოკატორის ღვედებთან დაიკიდეს.

– „თავი“ რაც უფრო ახლოს გაქვს, უკეთესიაო – იხუმრა ჩიტიამ.

ერთხანს ილუმინატორებს მიაჭიჭინდნენ, მაგრამ მალე მოსწყინდათ მუქლურჯი, უსასრულო, უსიცოცხლო სივრცის თვალიერება. ქვემოთ დედამიწას იისფერი ბურუსი შემოხვეოდა. სახლები და, მით უმეტეს, შუშუბანდები ამ სიმაღლიდან არ ჩანდა.

– ავტობუსში რაღაცას ყვებოდი კარგს. – თქვა ჩიტიამ.

ბუხუტი შემობრუნდა, ყურის ბიბილო მოისრისა და მაღლა აიხედა:

– ჰო, ვეღარ დავამთავრე, სად გავჩერდი? დოუძახა თურმე თომიამ ჩემმა დეიდაშვილმა, იმ გოგოს თავის კაბინეტში. შევიდა დირექტორთან რასაკვირველია, ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკარად მუშაობა ნუნუს ექვსი თვის დაწყებული ქონდა

იქვე, გორისიდან გახლავს. ე, ჩემი დეიდაშვილი ქე გითხარი, გეოგრაფიული დაამთავრა ქუთაისში. დაწყებითი სკოლის დირექტორი იყო მაშინ, უცოლო, რასაკვირველია. ახლა საშუალოდ გადააკეთეს ის სკოლა და ორივენი ისევ ისე მუშაობენ, ქმარი დირექტორია, ცოლი – ბიბლიოთეკარი. ჰოდა, რაღა გავაგრძელო, მაშინდელ ამბავს ვყვები, მოსწონს დირექტორს ეს მარწყვივით გოგო – ბიბლიოთეკარი, მაგრამ არ გინდა თანამშრომელს უთხრა, ცოლად გამომყევიო? უარი რომ გითხრას? ხომ შერცხვი კაცი. ხომ დაკარგე ავტორიტეტი? არა და დროც არ ითმენს, სტაცებს ვიღაცა ამ კაი გოგოს ხელს და ქე დაისვამს სახლში. მოკლეთ, ასეთი გამოსავალი იპოვა თომიამ; ჭკუა და მოხერხება ნახე ადამიანიშვილის: – დროა აწი, უნდა გაგათხოვოთ, ნუნუ, შენო, ეუბნებოდა დირექტორი, გაწითლდა ბიბლიოთეკარი, ჩაღუნა თავი. თომიას დირექტორი ჰქვია, თორემ რვა წლითაა ნუნუზე უფროსი, მეტით კი არა, ოცდაათის თვით იყო მაშინ და ოცდაორის ნუნუ. – საქმროც შერჩეული გვყავს უკვე; თუ შენი თანხმობაც იქნებაო, მიაყოლა თომიამ. – რატომ წუხდები, პატივცემულო დირექტოროო, ქვეშიდან გამოხედა ლოყებატკეცილმა გოგომ.

– რა შეწუხებაა, ეს ჩემი მოვალეობააო – იღიმება დირექტორი, – ძალიან კაი ბიჭია, სერიოზული, წყნარი და, რაც მთავარია, უყვარხარ ძალიანო. – ვინაა მაინც არ მეტყვითო? – ინტერესით სულს ლევს ნუნუ. – ჯერ პირობა უნდა მომცე, რომ გაყვები და მერე გეტყვიო. – ასე უნახავად როგორ შეიძლება, წყალში თევზი ვინ დააფასაო, არ დაიბნა თურმე გოგო. – ხომ იცი, დირექტორი ცუდ ვინმეს არ გირჩევს, ამშვიდებს თომია. – ეგ ისეთი საქმეა, ბატონო, რომ ხათრით წაყოლა რავა იქნება, მეც ხომ უნდა მომეწონოსო, ძნელი მოსათოკავია ნუნუ. – აბა, გეტყვი რანაირია და თუ დაგიჯდა ჭკუაში, მითხარი, თუ არა და აღარ შევაწუხებ იმ კაცს, თავის გზას ეწევაო, ეშმაკები უსხედან თვალებში დირექტორს. ნუნუ სმენად იქცა. – შინაარსში და კაცობაში ეჭვი არ შეგეპაროს, უნდა მენდო, ამ მხრივ მე ვარ პა-

სუხისმგებელი, – დაიწყო თომიამ, ნუნუმ თავი დაუქნია, რა გაეწყობაო. – ახლა გარეგნობა ვთქვათ, ასე ჩემი სიმაღლის რომ იყოს? – დირექტორი წამოდგა და გაიარა-გამოიარა. ამ ორმეტრიანმა, მთასავით კაცმა, ცოტა არ იყოს, დააფრთხო ნუნუ, მაგრამ გული გაიმაგრა; – იყოს, რა უჭირსო. – ასე ჩემსავით მოუხეშავი რომ იყოს და ორმოცდაცხრა ნომერი ფეხი ჰქონდეს? – თქვენ მოუხეშავი როდის ხართ, პირიქით, – თავი ჩაღუნა ბიბლიოთეკარმა. – შემხედე, ასე ჩემსავით შავი წარბები და ნაჯახივით ცხვირი რომ ჰქონდეს? – რა უჭირს, ცხვირის სიდიდით კაცი ვის დაუწუნია, – გათამამდა ნუნუ, – მთავარია, რა მოხელეა, რისი მაქნისიაო? – პედა-გოგი რომ იყოს, გაწყობს? დირექტორი ფანჯარას მიადგა. – რომელია თქვენ სიმაღლე უცოლო პედაგოგი ამ ახლომახლო სოფელში? – კითხვა შეუბრუნა ეშმაკმა გოგომ. – ჯერ მე ვიძლევი შეკითხვებს და მიპასუხე. მოკლედ, ძალიან მგავს ის კაცი მე, ყველაფრით, ისე მგავს, მეტი რომ არ შეიძლება. პირდაპირ მითხარი ასე ჩემნაირ კაცს, გაყვები ცოლად, რომ რამე იყოს? ნუნუმ კარგა ხანს უყურა თურმე თავისი ფეხ-საცმლის წვერებს, – რა გაქვს დასაწუნიო, მერე ერთბაშად მიახალა და გაიქცა. ცხოვრობენ ახლა მერჯევში ერთად და ტკბილად. სამი შვილი ჰყავთ. ისე ლამაზად ჰყვებიან ამ ამ-ბავს სუფრაზე, გაგეხარდება. ა. ხალხი!

დაიწყო თუ არა ბუხუტიმ ამ ამბის მოყოლა, ჩიტიამ ჯერ გულიანი ღიმილი ააყოლა, მერე შიგადაშიგ ჩაიხითხითებდა და ბოლოს ისე ახარხარდა, რომ სკაფანდრიდან კინაღამ ამოხტა.

– არ ყოფილა კაცი? – არ გინდა მოფიქრება? თუ უარს ეტყოდა გოგო, არ გავყვები შენნაირსო, არ გაუმხელდა ბო-ლომდე სათქმელს და მისი თავმოყვარეობაც გადარჩენილი იყო და ავტორიტეტიც. უნდა მანახო, უნდა გამაცნო ეგ კაცი. რა ჰქვია?

– მაგაზე ადვილი რაა, თომია.

– რომელია შენთან?

– თორმეტი სრულდება.

– ე, ბიჭო არ გამოგვრჩეს. ჰონდურასის ეროვნული ფრონტის მებრძოლებს რომ უნდა მივსალმებოდით?

– შენ მაგას ნუ წუხხარ, აპარატი დაპროგრამებულია, თვითონ გაგზავნის დეპეშას.

– არ შევრცხვეთ, თუ კაცი ხარ.

– ვისთან? – ბუხუტი იღიმება.

– ჰონდურასელებთან.

– რა მაგის პასუხია და კიკიას იცნობ, ბალახვანში სალდაძეს? გამწვანებაში მუშაობს, იქვე საღორიასთან.

– მაღალ-მაღალი, სუსტი ბიჭი.

– ჰო, სწორია, გცნობია. შანშე გიორგაძის გოგოს ქორწილში ვიყავით გუშინწინ ერთად და მაგან თავისი ცოლის შერთვის ამბავი მოგვიყვა, მუცელი ხელით გვეჭირა. ძმაკაცი ყოლია, თურმე, ვინცხა უბედური, უსაშველო ხალასტიაკები რომ არიან, ხომ იცი. არიქა, არ დამიბერდეს ძმაკაციო და დოუწყია ქალის ძებნა, კიკიას, ამოურჩევია პატრიგეთელი გოგო, გვარი ქე დამავიწყდა. ჯერ ძმაკაცისთვის უჩვენებია, ჩუმად. კაი, ვითხოვ, ჯანდაბა თქვენს თავსო, დათანხმებია უგემურად ეს უცოლო და უბედური. ახლა გოგოს დაბმა არ გინდა? ქვა ააგდო და თავი შეუშვირა თურმე, არ წავყობი მაგასო. შეუჩნდა კიკია. დადის ყოველ მეორე დღეს თურმე ოჯახში. არის ამ თავისი ძმაკაცის ქება-დიდებაში. ამნაირია – იმნაირიო და ბოლოს გატეხა, რავარც იქნა, იმ გოგოს (გვარი ქე დამავიწყდა) ნებისყოფა. გახარებული მოვარდა ძმაკაცთან, აბა ხვალვე განცხადების შეტანა და ხელმოწერა, არ გადავაროს იმ ხალხმაო. გლახა რომ იქნება კაციშვილი. არ დაიხია უკან, თურმე, არ უყრის წყალში ამდენ წანწალს? არაო, არ ეკარება გულს და მომკალი, თუ გინდაო, არა ვარ მე მაგის მომყვანი, სხვა მოვძებნოთ ვინმე თუ ამხელა სიკეთე გინდათ ჩემთვისო. მე ვიცი, მაგნაირი გლახების ხასიათი. გაწვალებენ, გარბენინებენ და ბოლო წუთში გეტყვიან უარს. არ არიან ცოლის შემრთველი, მორჩა და გათავდა. უნდა გაანებო და ნერვები არ იშალო. ახლა კიკიას მდგომარეობა ნახე? ორცეცხლშუაა. ძლივს დაითანხმა გოგო, ჭირი მოჭამა

ხვეწნით და ახლა უარის თქმა, რავარი საქმეა? ვიმტვრიე თავი, მარა სხვა გამოსავალი ვერ ვნახეო, ყვებოდა. მივედი და ვუთხარი იმ გოგოს, არ მემეტები სხვისთვის და რა ვქნა, მთელი ქვეყანა რომც გადამეკიდოს, მე უნდა გავხდე შენი ქმარიო. არც გაკვირვებია, თურმე, გოგოს. ქე ჩოუვარდა თურმე გულში ეს ენერგიული მაშვრალი. კაიო, უთქვამს, ვერ გიმხელდი, თორემ თავიდანვე მაგის ფიქრი მქონდა მეცო.

– მაგნაირი შემთხვევა მეც გამიგონია. მაგი ხშირად ხდება – ბუხუტიმ „ლებარდე“ გამოცალა. ლუკი ოდნავ გახსნა და ქუთაისის შუშისტარის ფაბრიკაში დამზადებულ ბოთლს უკიდეგანო კოსმოსში გადაუძახა, – მეტს გეტყვი; ფილიმონა ნემსაძე ცხოვრობდა, თურმე, მწვანეყვავილაში ომის დროს. ქეიფის მოყვარული იყო. კაი შესახედავი, კაი პურისმჭამელი, ჯარში არ გაიწვიეს თურმე, რაღაცა ნაკლის გამო. ცოლ-შვილი სიდედრთან გახიზნა თურმე ბერწოულაში, თვითონ მოძებნა ერთი-ორი ამფსონი და მიადგა ხონს აბა, სასიძო კაცია ვითომ და ქალის გადასასინჯად დადის. ძმაკაცები წინასწარ ატყობინებენ გასათხოვარი გოგოს პატრონებს. იშლება სუფრა, კაი ქეიფი, კაი „ჩარირამა“, მერე ტაშიტუშით შორდებიან ეზოს. არ იბარებენ არაფერს. არ მეეწონა ალბათ ჩვენი გოგოვო, ფიქრობს მასპინძელი, მაგრამ ერთგან უქნეს ხონური. რომ იქეიფეს ერთ ოჯახში და ასე აპირებენ ათესვას, წამოეწია თურმე ჭიშკართან სასიმამრო და მიაბჯინა ყამა ზურგზე, – გიცნობ, ბიძია, ფილიმონა ხარ ნემსაძე, მწვანეყვავილელი. ისეც ვიცი, ცოლ-შვილიანი რომ ბრძანდები. შენი საგლახაო კბილები დიდი ხანია მევიცვალე. შენი გადასასინჯი და დასაწუნებელი არაა, ქე ხედავ, ჩემი გოგო. რავარც გინდა ისე ითხოვე ახლავე ცოლად, თვარა დაწერე ანდერძიო. რა მეტი გზა ჰქონდა. შეირთო. აპა!

– ვენაცვალე, კაცი ყოფილა.

– ვინ?

– სიმამრი.

– არ უქნია სწორად? ასე არ ეკუთვნოდა? ყველაფერზე შეიძლება ღადავი, მარა ამ საქმეში თამაში გამიგია?

– ათასი ჭკუის კაცი დაბორიალობს დუნიაზე.

– ნამდვილად.

ჩიტიამ ჭოგრიტით გულმოდგინედ დაათვალიერა მეორე მხრიდან განათებული მთვარე და ზედ დიდად საგულისხმო რომ ვერაფერი აღმოაჩინა, ჭოგრიტი კაბინაში აცურებულ ტყავის ხელთათმანებს გააყოლა და სავარძელზე თავდადებულ მეთაურს მიუბრუნდა.

– ისე, სად ვართ ბუხოია, რომ დაფიქრდე კაცი.

– აბა.

– მთვარეზე მაინტერესებს ფეხის დადგმა. რატომ არ ვჯდებით, თუ იცი, მთვარეზე?

– არაა, ალბათ, საჭირო და იმიტომ არ გვაჯენენ. რო საჭირო იყოს, დაგვაჯენდნენ.

– ისე, ჩვენში დარჩეს და ჩიტზე უფრო თავისუფალი ხარ ადამიანი კოსმოსში. ხომ შეგვიძლია ახლა მოვატრიალოთ ეს მაშინა და სადაც გაგვეხარდება, იქ დავჯდეთ?

– რა გაგებით ამბობ?

– ვთქვათ, რომ მოგვიაროს ხუშტურმა თავში და აღარ მინდა, ბატონო, შენთან ცხოვრება და დარჩენილი წლები ავსტრალიაში მინდა გავატაროო. რომ დავკრათ თავი და დავეშვათ ავსტრალიაზე. ე, შეხედე, რავარია ავსტრალია?

ბუხუტიმ ავსტრალიას ჩახედა. კოსმოსიდან მეხუთე კონტინენტი, მართლაც, ძალიან ჰგავდა გლობუსზე დახატულ ავსტრალიას.

– ჩიტია, ნინოშვილის ქუჩაზე ბუჭუია ხონელიძე ცხოვრობდა. ღალღაიას ვეძახდით. ერთი გაუბედურებული უპატრონო ბიჭი იყო. დედა ავადმყოფი ჰყავდა. ქუჩა ინახავდა სამადლოდ ორივეს. პატარა ქოხში ცხოვრობდნენ. ისე გავიზარდე, პირდაბანილი ბუჭუია მე არ მინახავს. სულ ჩამოძონძილ-ჩამოკონკილი, კისერგამურული დადიოდა. ბოლოს მემტრედეობა დაიწყო. მეექვსე კლასში ვიყავი, მახსოვს, ვიყიდე ფეხფაჩუჩა „სიზი“ ბუჭუსგან. ორ კვირას მყავდა გალიაში. საკენკი თავის დროზე, წყალი, ჩემო ბატონო, სისუფთავე იდეალური, რავარც გავუღე კარი, არ დაფიქრებულა, სამ წუთში ღალღაიას

ჩანგრეულ სახურავზე იჯდა და იქექებოდა, წამოვიყვანე იმ საღამოსვე, დავაპტკვენი ფრთები. ორ თვეს იგვანგვალა ჩემს ეზოში, გასუქდა, შეპატივდა, გაუმაგრდა თუ არა ფრთები, რომ მგონია, მოჩვეული მყავს-მეთქი, აფრინდა და ისევ ბუ-ჭუიას დაუბრუნდა. მოკლეთ, სამჯერ მომყიდა ჩემი „სიზი“ ღალღაიამ და სამივეჯერ უკან დაუბრუნდა. სულ მიკვირდა, ხელისგულზე მყავს ეს ბალანკურთხეული და მაინც ბუჭუს ქოხი ურჩევნია-მეთქი. ხომ გესმის ახლა, რა ვთქვი მე?

– კიე, მეც რავა, სიტყვას მოყვა, თვარა ჩემს ბალახვანს და მწვანეყვავილას შემოევლოს, რაც ავსტრალიაა ქვეყანაზე თავის კენგურუებიანათ.

ბუხუტიმ სტერილიზიბული ქაღალდით ხელები შეიწმინდა და საათზე დაიხედა.

– აღარაა პატარა სადილის დრო?

– თორმეტს გადაშორდა. რატომ არ გვაძლევენ კამანდას? – წამოჯდა ჩიტია.

– უი, კავშირის ჩართვა ქე დაგვიწყებია, შე მართლა ბაკისუმელო, შენ, აკარი ხელი იმ ღილაკს.

– შენ არ მითხარი, გამორთეო?

– ვიხუმრე, მაგის გამორთვა რავა შეიძლებოდა.

ჩართეს თუ არა გადამცემი, იმწამსვე გაისმა მთავარი კონ-სტრუქტორის შეშფოთებული ხმა.

– ბუხუტი, ჩიტია, ბუხუტი, ჩიტია, ბუხუტი, ჩიტია!

– ბატონო! – ერთხმად უპასუხეს კოსმონავტებმა.

– ცოცხლები ხართ, ბიჭო! რატომ შეწყდა კავშირი?!

– რაღაცას ჩვენთვის ვყვებოდით და გამოვრთეთ ერთწა-მას, რამ შეგაშინათ?

– ხალხი ხარ თქვენ ახლა? არ დაგვიხეთქეთ გულები? მე მეტს აღარ გამაცივებს ამ წელიწადს. მომისმინეთ ახლა ორივემ კარგად: იმ ღილაკს მეტი აღარ შეეხოთ. არ დავინახო გადამცემის გამორთვა. ეს ერთი და მეორე; ქე დაანებეთ ამ ერთ კვირას კერძო ლაპარაკს თავი. რაღაც სხვა ილაპარა-კეთ, საქმიანი, ჭკვიანური, კოსმოსს რომ შეეხება, გესმით ჩემი?

– კიე! – თავი დაუქნიეს მეგობრებმა, თუმცა ეს მეორე დავალება მთლად კარგად ვერ გაიგეს.

მესამე დღეს გაზეთებში ასეთი სასიხარულო ცნობა დაიბეჭდა:

„კოსმოსურ ხომალდ 2923-ის გმირული ეკიპაჟი დასახული პროგრამის მიხედვით განაგრძობს ფრენას. კოსმონავტებმა ხალისიანი სადილის შემდეგ დაისვენეს და უკვე შეუდგნენ მეორე დღის გეგმით გათვალისწინებული სამეცნიერო დავალების შესრულებას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს“.

ცირკის მარგალიტი

ჯერ ხმა გავრცელდა, საქარიაში ცირკი ჩამოდისო, მერე აფიშებით აჭრელდა ქალაქი და ნოემბრის ერთ უქარო დღეს, ადმირალ გიგიაძის მოედანზე, ერთბაშად აღიმართა ათასფრად მორთულ-მოკაზმული გიგანტური კარავი. რაკი საქარიას ცირკის სასტუმრო არ გააჩნია, მსახიობები სასტუმრო „არგონავტში“ მოათავსეს, ხოლო კარვის მახლობლად, რიონის ნაპირას, გაწვრთნილ ცხოველებს მშვენიერი სამხეცე აუშენეს. ამ ნოველის ავტორი ბოდიშის მოხდით ხმარობს სიტყვა „სამხეცეს“ იმ ბენგალიური სპილოებისა და, თუნდაც, ტრამალის რუხი მგლების მიმართ, არენაზე გონიერებისა და მორჩილების სასწაულებს რომ ახდენენ ხოლმე.

ცირკს სანახაობას მოწყურებული ხალხი მიაწყდა და ადმინისტრაცია იძულებული გახდა შაბათ-კვირას სამი წარმოდგენა დაენიშნა. – ჩვენი მაყურებელი ცირკში არ წავა, ჩვენ ჩვენი მაყურებელი გვყავსო, – ხმამაღლა ამტკიცებდა ოპერის თეატრის დირექტორი, მაგრამ გულის სიღრმეში საკმაოზე მეტად ეშინოდა იმ კონკურენციისა, სასწაულმოქმედთა სანახაობას – ცირკს რომ უნდა გაეწია. ასეც მოხდა; ქალაქის სხვა კულტურულ დაწესებულებებში მაყურებელთა რაოდენობამ, როგორც კანცელარიის მუშაკები იტყვიან ხოლმე, – საგრძნობლად იკლო. გიგიაძის მოედანზე გვიან ღამემდე არ წყდებოდა ორკესტრის გრიალი და კედლებს შეტყორცნილი მოტოციკლეტის რახრახი. ქალაქის ბიჭებმა ბაღისკიდიდან ცირკის სიახლოვეს გადმოინაცვლეს. საგარეუბნო რესტორნებში ხშირად შეხვდებოდით სუფრის თავში ლაღად მჯდარ ცირკის მსახიობს (განსაკუთრებულ პატივში კლოუნები, ილუზიონისტები და აკრობატი ქალები იყვნენ) სტუმრებზე მონადირე, დარდიმანდი იმერლებით გარშემორტყმულს. სკოლებში გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენების

რიცხვმა იმატა და ოფიციალურად არ ამხელდნენ, თორემ ფაბრიკა-ქარხნებში შრომის ნაყოფიერებამაც საგრძნობლად დაიწია.

ერთი სიტყვით, ცირკმა გარდაქმა ქალაქი და მე, როგორც საქარიელს, ღრმად მჯერა; ისტორიის დიდი უსამართლობაა, რომ ეს ღირსეული ქალაქი დღემდე უცირკოდ სუფევს.

ჯაბა წულაძემ აფთიაქის კარებზე გაკრულ განცხადებას დაადგა თვალი: „ცირკს ესაჭიროება სცენის მუშები და მუსიკოსები“. ბევრი აღარ უფიქრია; საქმე მაინც არაფერი მაქვს, სცენის მუშად მოვეწყობი, ცოტა ხანს თავს მაინც შევიქცევო, გადაწყვიტა და კინოთეატრ – „მოზარდთან“ მარჯვნივ შეუხვია. საქმე არაფერი რატომ ჰქონდა? საკონსერვო ქარხანაში მუშაობდა სეზონურად. ნოემბრიდან აპრილის ბოლომდე თავისუფალი გახლდათ. ამ სიჩქარეში დამავიწყდა მეთქვა, რომ ცირკი საქარიაში 11 ნოემბერს ჩამოვიდა. პირველი წარმოდგენა, რომელსაც, რასაკვირველია, ჯაბა წულაძეც ესწრებოდა ცირკისადმი მისი უსაზღვრო სიყვარულის გამო, 14 ნოემბერს გაიმართა. ხოლო ჯაბამ რომ განცხადება წაიკითხა, 24 ნოემბრის 12 საათი იყო. რა საჭიროა ეს ციფრები და საათები ასე ზუსტად, კაცმა რომ თქვას. მე შენ გეტყვი, შეამოწმებს ვინმე, მაგრამ იყოს მაინც. ზოგიერთ მკითხველს სიზუსტე უყვარს და, ა, ბატონო, სიზუსტე.

იმას ვამბობდი, ცირკში მუშაობა ასე ხელაღებით იმიტომ გადაწყვიტა ჩვენი ნოველის გმირმა, რომ შინ არავინ ჰყავდა მოსათათბირებელ-შესათანხმებელი. ორჯონიკიძის ქუჩის ბოლოში მარტოდმარტო ცხოვრობდა. რატომ გახლდათ მარტოხელა ოცდათოთხმეტი წლის მოწიფული ვაჟკაცი. სად იყვნენ მისი მშობლები, ან აქამდე ცოლი რატომ არ შეირთო; ეს ცალკე, სხვა ნოველის თემაა და აქ აღარ შევეხები. არ შევეხები თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ნოველის სიუჟეტი არ მოითხოვს. ჩვენ ამჯერად გვაინტერესებს თემა ცირკი და ჯაბა წულაძე.

ცირკის დირექტორ-განმკარგულებელმა, სათვალიანმა, კოჭლმა კაცმა, სანამ განცხადებაზე ხელს მოუწერდა, არც თუ

მთლად ხუმრობით გააფრთხილა: – ამხანაგო, არ გეწყინოთ, სერიოზული კაცი ჩანხართ და ამთავითვე უნდა გითხრათ, უპაკოევა არ შეგიყვარდეთ, თორემ ჩვენი თანამშრომლობა არ გამოვა. ცუდი ბიჭი როდი იყო, გუშინ რომ გავათავისუფლეთ. ახლავე გეტყვით გვარს, – მაგიდაზე ქაღალდი მოძებნა და წაიკითხა – შალიკაშვილი. უპაკოევა შეუყვარდა და.. მსახიობმა თვითონ გვთხოვა, მომაცილეთო. ჩვენ უფლება არა გვაქვს, მსახიობს არ დავუჯეროთ. სხვას, ყველაფერს იოლად შეძლებთ. მთავარი დაბრკოლება ჩვენთან უპაკოევაა. გაქვთ თავის იმედი?

– ვერ გავიგე, ბატონო? – ჯაბას ჯერ ეგონა, მეხუმრებაო, მაგრამ განმკარგულებელს ისეთი სერიოზული სახე ჰქონდა, რომ წულაძემ ინანა, ფეხი მომტეხოდა და აქ არ შემოვსულიყავიო.

– თქვენ ჩვენი წარმოდგენა გინახავთ? – ჰკითხა დირექტორმა და მაგიდაზე გადმოიხარა.

– დიახ.

– ტანმოვარჯიშე გოგონა ვალია უპაკოევა, მეორე ნომრად გამოდის, გახსოვთ, რასაკვირველია.

– კი.

– იმ ვალიაზეა ლაპარაკი. თქვენ ეს უბრალო პრობლემა არ გეგონოთ. ორი წელია უპაკოევა ჩვენთან მუშაობს და სისხლი გვაქვს გამშრალი. სადაც კი ჩავედით საგასტროლოდ, არშიყ მაყურებლებს რომ თავი დავანებოთ (სხვათა შორის, ვალიამ იცის, ისინი როგორ მოიცილოს), ყველა სცენის მუშას შეუყვარდა და უპაკოევას ჩახლაფორთებული საქმეების გარჩევის მეტს კი არაფერს ვაკეთებთ.

– თქვენ რა შუაში ხართ?

– იოლი სათქმელია, ამხანაგო. ჯერ ერთი, შეყვარებული სცენის მუშა საქმეს გულს ვერ უდებს. სულ ვალიასკენ აქვს კისერი მიღრეჯილი და სანამ არ უჩქმეტს კონფერანსიე, არენიდან რეკვიზიტი არ გამოაქვს. მეორეც, გასტროლები მთავრდება თუ არა, მოდის მუშა ჩვენთან და სცენებს გვიმართავს. უნდა წამიყვანოთო. მზად ვარ, მთელი ცხოვრე-

ბა უხელფასოდ ვიმუშაო, ოღონდ ვალიას სიახლოვეს ვიყოო.

– რთულად ყოფილა საქმე. თვითონ ვალია რა აზრისაა ამ ამბავზე?

– ვალია რა. ვალია გასათხოვარი გოგოა. ოცდაექვსი წლის. სხვათა შორის, არ არის ქარაფშუტა. არავინ არ მოსწონს, არავის ახლოს არ იკარებს. სიყვარული არა სჯერა. ნეტა სხვებივით ლაღი და თავისუფალი იყოს. იქნებ მის საქციელს ცოტათი მაინც შეემცირებინა მის მიერვე სამუდამო მოხიბლულთა არმია. მოკლედ, ამხანაგო, მე მოვალე ვარ გაგაფრთხილოთ. შევთანხმდით?

– კი, ბატონო, – ჯაბამ თავი დაუქნია და გაიფიქრა – „მართლა ცირკია, აბა რა არის. ამაზე დიდი უცნაურობა გაგონილა? ცირკის გარდა სადმე დაგიწყებენ ასეთ ლაპარაკს?“

საქმე პირველსავე რეპეტიციაზე აითვისა. შესაშური სიმარჯვით იჭერდა კლოუნების და ილუზიონისტების მიერ კულისებში ნასროლ გიგანტურ კოვზებს, ქაღალდის ყვავილებს, ფაიფურის ბურთულებს და წითელთვალება, თეთრ კურდღლებს. ასაფრენ ბადეს და ალუმინის ხარიხას ისე ოსტატურად ამაგრებდა ნახერხის იატაკს, რომ ლილიპუტი ძმები ჩოპები და მშვენიერი ვალია უპაკოევა მხოლოდ ხელით შეამოწმებდნენ, ღიმილით თავს დაუქნევდნენ და ქანჩს ხელს არ ჰკიდებდნენ. ეგ იყო, ხავერდის მწვანე კოსტუმს და ნაცნობი ბიჭების ქირქილს ვერ შეეგუა მხოლოდ. წარმოდგენა ისე არ ჩათავდებოდა, რომ ვინმე არ შეხმიანებოდა, დაახლოებით ასეთი, უაზრო ხუმრობა-ქილიკით: „ჯაბაია, წაი სახლში, ლომმა არ შეგჭამოს“, „რამდენ ხანს სწავლობდი, ჯაბაია, ცირკის სკოლაში, თუ გიყვარდე?“, „ჯაბაიას კლოუნად აწინაურებენო, მართალია?!“, რასაკვირველია, ბრაზდებოდა, მაგრამ არ იმჩნევდა. თვალს გააპარებდა მაყურებელთა დარბაზისკენ ხანდახან, რომ ღლაბუცა ბიჭი დაემახსოვრებინა და პირველსავე შეხვედრისას „ყურები ხელში მიეცა“.

ვალია უპაკოევა მაღალი, სწორფეხება, ცისფერთვალება ვალია, მართლაც რომ ცირკის მარგალიტი გახლდათ. ოდნავ დაკუნთულ ირმის ფეხებზე იდგა. შუბლზე გადასლექილი,

ხოლო კეფასთან ცხენისკუდივით გაშვებული აბრეშუმის თეთრი თმები წელამდე წვდებოდა. შავწამწამებიანი, დიდი, ცისფერი თვალები და მაცდურად ამობურცული, მკვეთრხაზიანი ტუჩები, ჩვეულებრივ გოგონასთან შედარებით ოდნავ მსხვილი (და რასაკვირველია ღონიერი) მკლავები ჰქონდა, მაგრამ მისი მკლავები სრულ ჰარმონიაში იყვნენ შესუქებულ ქვედატანთან და მაინცდამაინც თვალში არ გეცემოდათ. რა გავაგრძელო, და უპაკოევა სწორედ ისეთი გოგონა იყო, როგორი ქალიშვილებიც საქარიაში ძალიან მოსწონთ და არც სხვა ქალაქებში უმზერენ გულგრილად. მარტო მომხიბლავი გარეგნობა როდი გახლდათ მიზეზი იმისა, რომ ვალიას ნომერს მაყურებელთა უცნაური ამოოხვრანი და გამაყრუებელი აპლოდისმენტები ახლდა. ოლქის მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ვალია უპაკოევა ილუზიონისტურ ნომრებს კი არ აკეთებდა და ხალხს კი არ ატყუებდა, არამედ ნაღდად მიჰქონდა ნიკაპი ფეხის თითებამდე. ალუმინის კიბის ექვს საფეხურზე ცალხელს დაყრდნობილი ადიოდა და ჩამოდიოდა, ხარიხაზე ციბრუტივით ტრიალებდა და ჰაერში დაახლოებით ოთხ ბრუნს რომ გააკეთებდა, ვითომც აქ არაფერიო, ხელგაშლილი ქვავდებოდა მტვრიან ხალიჩაზე.

ჰაერში გაფრენილი კოცნებითა და მუხლებში ოდნავ ჩაკეცვით დაღლილი უპაკოევა უკანსვლით რომ გამოგოგმანდებოდა კულისებში, ჯაბას მადლობის ნიშნად თავს დაუქნევდა და საგრიმიორო ოთახისაკენ თეძოების მომაჯადოებელი რხევით გასწევდა. წარმოდგენის დამთავრებისთანავე ოსტატურად აიცილებდა თაყვანისმცემელთა მუდარით სავსე სახეებს და სიყვარულით მისკენ გამოშვერილ ხელებს, დაღლილობას მოიმიზეზებდა და ავტობუსში ტუცავდა თავს. სასტუმროსაკენ მიმავალ ავტობუსში ცირკის ორიოდე მსახიობთან ერთად (დანარჩენები საპატიო სტუმრის ძნელ მისიას შეუდგებოდნენ და „დაპატიმრებულები“ რესტორნისკენ მიჰყავდათ) ჯაბა წულაძეც ჯდებოდა. „არგონავტთან“ ჩამოვიდოდა და ფეხით დაუყვებოდა ორჯონიკიძის ქუჩას თავის სახლამდე.

თვე იწურებოდა, რაც ჯაბა ცირკში მუშაობდა და ამ ხნის

განმავლობაში უპაკოევას მისთვის ერთიმეორეზე ორი სიტყვაც არ უთქვამს. ჯაბას ეჩვენებოდა, ქუჩაში რომ შეხვედროდა, ალბათ, არც მიესალმებოდა. სიმართლე გითხრათ, არც ჯაბას ჰკლავდა ცირკის პროგრამის „მთავარ ლურსმანთან“ გამოლაპარაკების სურვილი. „რას ეფეთება ეს ხალხი? რა წერილობია და გვირგვინობია აუტყდათ. ერთი უბრალო გოგოა. ყურადღებით ნამეტანი გათამამებული“, იტყოდა გულში და თავის ქუჩას რომ დაადგებოდა, უპაკოევაზე ფიქრი მსწრაფლ სტოვებდა. საქარიაში ყოველ ფეხის ნაბიჯზე ნაცნობი და იმ ნაცნობთან დაკავშირებული მილიონი პროვინციული ამბავი ხვდებოდა.

ამას წინათ, შუადღის წარმოდგენაზე, თავისი საქმით გართულ ჯაბას მკერდზემკლავებდაკრეფილი უპაკოევა შეუმჩნევლად ამოუდგა კულისებში გვერდით და სრულიად მოულოდნელი შეკითხვა მისცა:

– თქვენ ცოლიანი ხართ?

ჯაბა მობრუნდა, არენიდან გამოსროლილი კოვზი მარჯვენით ოსტატურად დაიჭირა და ქალიშვილის ოდნავ მოწყენილ თვალებს რომ წააწყდა, ცოტა არ იყოს, მოჭრით და უხეშად უპასუხა:

– მე მგონი, ჩვენი სამსახურებრივი ურთიერთობისთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს.

უპაკოევას მეტი არაფერი უკითხავს. ხალათი მოიცილა, ცარცის მტვრით სავსე მუყაოს ყუთში ხელები ჩაჰყო და გვერდით ჩავლილ კონფერანსიეს სევდიანად გაუღიმა. ყოველ შემთხვევაში ჯაბას ასე მოეჩვენა.

გადიოდა დღეები. ცირკი თავისი ცირკული ცხოვრებით ცხოვრობდა. იგი უკვე ისე შეეზარდა ქალაქს, რომ საქარიელებს, თითქოს აღარც კი ახსოვდათ, არსებობდა თუ არა ოდესმე კოლხეთის უძველესი დედაქალაქი უცირკოდ. აღარავინ ფიქრობდა, რომ სამი თვის შემდეგ, ზუსტად თოთხმეტ თებერვალს, ლომების ღრიალი აღარ გააღვიძებდა III ინტერნაციონალის ქუჩის მცხოვრებთ და გიგიაძის მოედანი მონღოლთა გადავლილს დაემსგავსებოდა, ულამაზესი ცირ-

კის კარავი ფრთებს დაკეცავდა და მეზობელ რესპუბლიკაში გადაინაცვლებდა. ახლა ამის გაფიქრებაც არავის სურდა, რადგანაც სტუმართმოყვარე საქარიაში იყო ბუნების მეცხრე საოცრება – ცირკი, თავისი კეთილი კლოუნებით, კედლებზე მორახრახე მოტოციკლეტით, ლილიპუტი ძმებით და მათრახის ენასავით მოქნილი, მაგრამ მოუთოკავი უპაკოევათი.

ჯაბასა და ცირკის მარგალიტის ურთიერთობა კვლავ დაძაბული და გაურკვეველი იყო. თავის ნომერს რომ ჩაათავებდა, უპაკოევა ძველებურად აღარ გარბოდა საგრიმიოროსაკენ. ცოტა ხანს ჯაბას გვერდით რჩებოდა, ხან კლოუნების ჯადოსნურ კვერთხს მიაწვდიდა და ხან თეთრი კურდღლისგან დაუცლიდა ხელს. წულაძე თავისი საქმით იყო გართული და ვერც კი ამჩნევდა ქალის აჩემებულ ყურადღებას. იმდენად სულერთი იყო მისთვის, თუ ვინ გამოართმევდა ფუმფულა, მთვლემარე, გაწვრთნილ კურდღელს, რომ მადლობასაც არ ეუბნებოდა. მხოლოდ იმ ყველასათვის დაძაბულ წუთებში, აკრობატი მარჩენკო ალუმინის ჯოხით ხელში ბაწარზე რომ გადიოდა, მკლავებჩახვეული ვალია სცენის მუშას გვერდით დაუდგებოდა, თითქოს მიეყრდნობოდა კიდეც. ჯაბას ყურისძირში ქალის ცხელი სუნთქვაც კი ესმოდა და სწორედ მაშინ, როცა ერთი გაელვებაღა იყო დარჩენილი, რომ ჯიუტი მსახიობი ქალი მამაკაცის მკლავებში აღმოჩენილიყო, ჯაბა იქაურობას ერთი ნახტომით გაეცლებოდა. კულისების მეორე მხარეს გავიდოდა და მოხუც კლოუნს – კაკაფონოვს ზღვის კენჭებით სავსე უზარმაზარი წითელი მუყაოს ყუთის გამოთრევაში შველოდა.

ახალი წლის წინა კვირას მესამე წარმოდგენა რომ დამთავრდა და სამსახიობო გასასვლელს ცირკის ძველთაძველი დანჯღრეული ავტობუსი მოაყენეს, უპაკოევამ გულდამწვარი, უიმედოდ შეყვარებული N თაყვანისმცემლის მიერ გამოგზავნილი უზარმაზარი თაიგული შეაჩეჩა ჯაბას ხელში და გვერდით მოუსკუპდა.

წულაძეს მთელი გზა უხერხულად ეჭირა თაიგული ხელში და ვალიასკენ არც გამოუხედავს, ქუჩას ათვალიერებდა.

„არგონავტთან“ რომ ჩამოხდნენ, ქალმა ჰკითხა:

– ძალიან გეჩქარება?

– კი, – თავი დაუქნია ჯაბამ და თაიგული გაუწოდა. უპაკოევამ მარჯვენა ხელში თავდაღმა დაიჭირა ყვავილები და მარცხენა წინ გაიშვირა – ხომ არ ჩამოვჯდეთ, ცოტა ხანს?

სცენის მუშა უხალისოდ დათანხმდა.

ერთხანს დამდურებულებივით, უბრად ისხდნენ. მერე ქალმა თეთრი თმები სახიდან გადასწია, ყურზე ჩამოიმაგრა, ჯაბას მწყრალად შეხედა და ჰკითხა:

– რატომ ხარ ასეთი?

– როგორი? – წულაძეს ორივე ხელი გადაედო ხის სავარძლისთვის და მიწას დაჰყურებდა.

– სხვანაირი.

ჯაბამ არ უპასუხა.

უეცრად ცირკის მარგალიტმა ხელები სახეზე აიფარა და აქვითინდა.

წულაძე დაიბნა. პირველად ტიროდა ქალი მის წინ და არ იცოდა, ასეთ შემთხვევაში, როგორ მოქცეულიყო.

– რა გატირებს? – ჰკითხა, როცა უპაკოევამ ქვითინი შეწყვიტა, გულისჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, დაიქნია და ცრემლის შემშრალებას შეუდგა.

– დავიღალე, ღმერთო ჩემო, როგორ მომწყინდა ეს ყველაფერი.

– რა?

– ფეხის თითებთან ნიკაპის მიტანა, ფრენია კოცნები და რაც მთავარია, ამ ყვავილების მომრთმევთათვის ყალბი ღიმილის ჩუქება.

– არა მგონია, ასე მოსაწყენი საქმე იყოს ეგ.

– საშინელებაა, ჩემთვის არის აუტანელი, თორემ სხვა ჩემ ადგილას ბედნიერი იქნებოდა.

– გამიგონია, ქალს ყურადღება სიამოვნებსო და ამდენი ყვავილები, ალბათ, გოლიცინის მზეთუნახავისთვისაც არ მიურთმევიათ, რაზე ემდური ბედს?

– იცი, მე ეტყობა, არ შემიძლია განზოგადებული ქალის

როლის თამაში. ჩემმა სახელმა და სილამაზემ წელში გამწყვიტა. თავი შემაძულა. ეს რა ცხოვრებაა – კაცები, თითქმის უკლებლივ ვნებით დაბერილი ნესტოებით გიყურებენ, ქალები – შურით.

– ხომ შენ აირჩიე ეს გზა?

– არა, ჯაბა, მე სხვა გზა მქონდა. ერთი ბეჯითი გოგო ვიყავი, სპორტმა ჩემგან ყველაფერი წაიღო – სანაცვლოდ ცირკი დამიტოვა. განა მართალი არა ხარ, ბედს არ უნდა ვემდუროდე, მაგრამ წარმოიდგინე როგორ ხდება? შენ – სახელოვანი სპორტსმენი. შეკრებები, შეჯიბრებანი, პრესა, ტურნეები, საზღვარგარეთ, როგორ ფიქრობ, ეს ტრიუმფი რამდენ ხანს გრძელდება ნორმალური სპორტსმენისათვის? ჰა, ჰა, სამ წელიწადს, ან, თუ გნებავს, ოთხს. მერე დაეშვები თავქვე. ჯერ ნაკრებიდან დაგითხოვენ, მერე შეკრებაზე აღარ დაგიძახებენ. ერთბაშად დაგივიწყებს პრესაც და ტელევიზიაც. და იცი, ეს როდის ხდება? ჩემს სპორტში, მაგალითად, სულ რაღაც ოცდაოთხი-ოცდახუთი წლის ასაკში. როგორ გინდა შეურიგდე იმ აზრს, რომ ოცდაოთხი წლის გოგო სპორტისთვის უკვე ბებერი ხარ. ვერ წარმოიდგენ, რა მორალური თუ ფსიქოლოგიური სტრესია ეს.

– მერე?

– მერე რა. კარიერა ჩარიხინდა. წინ მოჩანს წვითა და დაგვით ნაშოვნი მწვრთნელის რამდენიმე საათი, ან ცირკი; ისიც, ცოტა ხნით, ფორმა, რა თქმა უნდა, ისეთი არა, როგორიც სპორტში მაგრამ აქაც საჭიროა.

– ასე მტკივნეულად არ უნდა შეხედო ამ ამბავს, ვალია, თორემ უფრო მეტ მიზეზს იპოვი გულის გასატეხად. ბოლოს და ბოლოს ჩვენი ცხოვრების წესს ჩვენ თვითონ არ ვირჩევთ?

– ან ვირჩევთ, ან არა. მე მგონი თვითონ ცხოვრება გვთავაზობს და ჩვენ, უმეტეს შემთხვევაში, ბრმად მივყვებით.

– შენ ბრმად მიმყოლს რომ არ ჰგევხარ? ამდენი ხანია გიყურებ და შენ სწორედ ის ქალი ხარ, რომელიც თავისი პრინციპებით ცხოვრობს. შენ არავის ნებას არ იხვევ თავზე,

როგორც თქვენში იციან ხოლმე თქმა, – დამოუკიდებელი გოგო ხარ.

– მაგრამ იცი, რა ნერვების გლეჯად მიჯდება ეს დამოუკიდებლობა? მეუბნებიან, სანამ ახალგაზრდა და ლამაზი ხარ, ახლა უნდა აიღო თამასუქი უზრუნველყოფილი სიბერისთვისო. ახლა უნდა გააბა კავშირები, გაიმრავლო ნაცნობები, მეგობრები, ითამაშო შეყვარებული ქალის როლი და ვინ იცის, ახალგაზრდობაში ნაშოვნი ეს თამასუქი, როდის გამოგადგებაო.

– მერე?

– რა მერე. ჩემს გულს ხომ ვერ გადავახტები. არ შემიძლია, მორჩა და გათავდა. მთელი ცხოვრების მანძილზე ნამდვილს ვეძებ ყველაფერს. ნამდვილ სიყვარულს; ნამდვილ თანაგრძნობას; ნამდვილ მამაკაცს, ვაჟკაცს, დიდსულოვანს, უცერემონიოს.

– მერე, როგორ ატყობ, იპოვი?

უპაკოევამ გაიღიმა და ტყავის ჯუბაჩის სახელოებზე ხელები ჩამოისვა.

– მე მგონი კი. არ დაიჯერებ, უყოყმანოდ გავცვლი ჩემს გაორკესტრებულ ცხოვრებას, იცი როგორზე? პატარა ოთახი, ღუმელი, თექის ფაჩუჩები, ფანჯარასთან ზიხარ და ელი ქმარს, რომელიც გიყვარს. აკვანს არწევ, შეშას ჩეხავ, ქმრის გრძელსახელოებიანი კვართი გაცვია. პურის მაღაზიაში შევლილს, უბატონოდ ხმას ვერ გაგცემენ, ღლაბუცს ვერავინ დაგიწყებს, კარგი ბიჭის ცოლი გქვია.

ცოტა ხანს კიდევ ისაუბრეს დაახლოებით ამგვარი, მკითხველისათვის არცთუ საინტერესო საუბრით: „ქალი – ჯაბა, რუსული ასე კარგად საიდან იცი? კაცი – ჯარში ვმსახურობდი რიაზანის ოლქში“! და ა. შ.

თორმეტი სრულდებოდა, როცა სასტუმროს კართან მოიხედა ცირკის მარგალიტმა, ჯაბას ხელი გაუწოდა და შიშით გაიფიქრა – „ღმერთო, ოღონდ ახლა არ მითხრას, თუ შეიძლება შემოვალ თქვენს ნომერშიო. ღმერთო, ოღონდ სხვებს არ დაემსგავსოს, ღმერთო...“

და წულაძემ აქაც „დაიჭირა გამოცდა“, ქალს ძილი ნებისა უსურვა და სიბნელეს შეერია.

* * *

7 თებერვალს, ის ის იყო ტელევიზიის დიქტორმა იმდღევანდელი პროგრამა დამთავრებულად გამოაცხადა, რომ ჯაბა წულაძის კარზე ფრთხილი კაკუნი გაისმა.

ვალია უპაკოევას თეთრი თავშალი შემოეხვია, ხელში ჩემოდანი ეჭირა და შემკრთალი, დარცხვენილი, დამნაშავესავით შეჰყურებდა მასპინძელს.

– მოვედი. – თქვა მან და თავი ჩაღუნა.

...14 თებერვალს ცირკი (როგორც დაგეგმილი იყო) სხვა რესპუბლიკაში გაემგზავრა საგასტროლოდ. კუპეში, ლამაზად ფეხშეკეცილ მდივან-მემანქანე გოგონას დაბეჭდილი პროგრამების უზარმაზარი შეკვრა ედო წინ. დირექტორის განკარგულებით უპაკოევას გვარისთვის ხაზი უნდა გადაესვა და ნაცვლად ბუფონადური სანახაობა „მხიარული ეტლი“ ჩაეწერა. ეს ნომერი მოძველდა და კარგა ხანია ამოღებული იყო პროგრამიდან, მაგრამ ახლა სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ და ისევ დააბრუნეს.

ვალია უპაკოევა საქარიაში დარჩა.

მსახიობი თადა ნამგალაძე

ნაცქაფავ ამბავს, მოჭორილ, მოჩმახულ ამბავს ეძახიან ჩვენში. ამ ნოველის ავტორს ბევრი ცოდვა მიუძღვის მკითხველის წინაშე. ხშირად თავის შესაძლებლობაში სრულიად უსაფუძვლოდ დარწმუნებულს, აუტანელი შეღავათი მიუცია ფანტაზიისთვის. იმდენი უსაბუთო რამ დაუბრალებია უდანაშაულო ადამიანებისთვის და იმდენი ტყუილი მოუბლანტავს, რომ სირცხვილით ქუჩაში ვერ უნდა გამოდიოდეს, მაგრამ ეს ამბავი ნაცქაფავი არ არის და, საერთოდ, წარსულის შეცდომებს, სამწუხაროდ, თუმც ვეღარ გამოისყიდის, მაგრამ რ. მიშველაძე დღეიდან უარს ამბობს მხატვრული ნაწარმოების ისეთ საეჭვო კომპონენტებზე, როგორიც გამონაგონი და განაგონი გახლავთ.

მსახიობი თადა ნამგალაძე კურორტ ბუჟში ისვენებდა. ბუჟში უსაგზურო დამსვენებლებიც ბლომად იყვნენ და თავს არცთუ ცუდად გრძნობდნენ, მაგრამ თადა საგზურიან დამსვენებელთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა. მსახიობს არც კუჭის წყლული აწუხებდა და არც ღვიძლი ჰქონდა დასნებოვნებული, მაგრამ ბუჟში უმიზეზოდ როდი ჩამოსულა. უმთავრესი მიზეზი, რა თქმა უნდა, ის გახლდათ, რომ თადა ნამგალაძემ ზღვის საგზური ვერ გაახერხა. მეორე (შედარებით მცირე) მიზეზი თადას ბუჟში ყოფნისა კი, არ ამხელდა თორემ ის იყო, რომ მსახიობ ნამგალაძეს წონაში უნდა დაეკლო. ორმოცდაოთხი წლის ნიჭიერ თადას შეყვარებული ბიჭების როლებს ვეღარ აძლევდნენ თავისი კარგა მოწეული ღიპისა და ნიკაპს ჩამოყოლებული სამკეცა ღაბაბის გამო. ხოლო დრამატურგები კი, თითქოსდა ჯიბრში უდგანანო, პიესებს მაინცდამაინც გამხდარ შეყვარებულებზე და უფრო გამხდარ, ცხოვრებისაგან გაბრაზებულ, მარტოხელა მამაკაცებზე სწერენ. ესეც არ იყოს, მიუხედავად რიგითი მსახიობის საკმაოდ მაღალი

ხელფასისა, თადას გარდერობი კატასტროფულ განახლებას მოითხოვდა; შარვლები წელზე აღარ წვდებოდა და კვართები მუცელზე. ახალი ტანსაცმლის ხარჯისთვის კიდეც რომ გაეძლო, სადღა იყო ქალაქ ურაპიპეში სანაქებო მკერვალი. ერთადერთი უზადო გამომჭრელი ჰყავდათ ვალიკო ალხანაძე, თუმცაღა რად გინდა, იგი ამ ბოლო დროს ყოველგვარ სიკეთეს სჩადიოდა, მაგრამ არც ჭრით ჭრიდა და არც კერვით კერავდა; ატელიეს დირექტორად გადაიყვანეს და როგორც ქალაქის საუკეთესო მკერავი, ადგილობრივი საბჭოების დეპუტატადაც აირჩიეს. უნდა აღინიშნოს, რომ ვალიკო სანაქებო დირექტორი დადგა და მაღალი ტრიბუნიდან სიტყვებსაც ომახიანს ამბობდა, მაგრამ კერვას თავი დაანება. ასე იყო თუ ისე, თადას აუცილებლად უნდა დაეკლო. ვიღაცამ უთხრა, თურმე ინგლისში სიმსუქნე უზრდელობად ითვლებაო. ეს ალბათ დიპლომატური წრეების წარმომადგენლებს შეეხებოდა და არა მდაბიო ინგლისელებს, მაგრამ თადას ინგლისელების ეს უცნაური შეხედულება ეკალივით დაესო გულზე და უფრო მტკიცედ გადაწყვიტა დაკლება, ვიდრე ამ სიტყვების გაგონებამდე ჰქონდა გადაწყვეტილი.

რა ასუქებდა სასურსათო პროგრამის შესრულებისათვის გამართულ ამ გაგანია ბრძოლაშიო, დარწმუნებული ვარ, ამ შეკითხვას საქმეში ჩახედული მკითხველი არ დამისვამს, მაგრამ თუ ნოველას თარგმნა უწერია (რაც გამორიცხული არ უნდა იყოს) უცხო ენებზე მოსაუბრე მკითხველთათვის განვმარტავ: რა ასუქებდა და ქართული ლხინი, რომლის ყადრიც ისე კარგად იცოდნენ, ბატონებო, ისევ თქვენმავე თვისტომებმა და ჩვენმა ტკბილად მოსაგონარმა მეგობრებმა ალექსანდრე დიუმამ, უორდროპებმა, არტურ ლაისტმა და სხვებმა.

თადა ხათრიანი კაცი იყო. ქალაქ ურაპიპეში კი თუ რაიმე ღუპავს ბოლშევიკს, ეს ზედმეტი ხათრიანობა და თავმოდრეკილობა გახლავთ. პოპულარულ მსახიობს და ტკბილმოუბარ მოქალაქეს ხშირად ეპატიჟებოდნენ სხვადასხვა რანგის ადამიანები; მოდი სუფრა დაგვიმშვენეო. არ იფიქროთ, თითქოს დამპატიჟებლებს თადასაგან ცხოვრების აზრის

მოსმენა და გაგება სურდათ. ინდოელ გრძნეულთა მიერ ჯერ კიდევ ბოლომდე შეუცნობელ ამ სიბრძნეს, რასაკვირველია, არც ნამგალაძე ფლობდა, მაგრამ ამყოლი სუფრის წევრობა, უჩხუბარი სიმთვრალე, სმაში უღალატობა, ჭეშმარიტი ძიებით დაღდასმული სადღეგრძელოები და სიმღერის საშუალო ნიჭი, მოგეხსენებათ, ცოტას როდი ნიშნავს იმისათვის, რომ მოქეიფეთა შორის სასურველ სუფრის წევრად იხსენიებოდე.

სანატორიუმი, სადაც თადა ჩამოხტა, მტკვრის მარცხენა ნაპირას, მშვენიერ ხეობაში გაეშენებინათ. ექსკურსიათმძღოლები წინა ხუთწლედამდე ჯერ კიდევ უხსნიდნენ ცნობისმოყვარე დამსვენებლებს; ეს ბაღი და ეს ქარვასლა დიდი მთავრის ძმამ – მიხეილმა თავის სამკუონალოდ გააშენააშენებინაო, მაგრამ ბოლო წლებში საკურორტო საბჭოს რომელიღაც თავმჯდომარემ, მიზანშეწონილად არ ცნო ამ წალკოტის ისტორია რევოლუციამდელ წყეულ პერიოდთან ყოფილიყო დაკავშირებული და ვინ იცის, იქნებ, სწორადაც მოიქცა. მით უმეტეს, რომ მთავრის ძმის – მიხეილის მიერ გაშენებულმა ბაღმა დროთა განმავლობაში იერი შეიცვალა, ხოლო ლაზათიანი არისტოკრატული სასახლის გვერდით გაჩნდნენ შესახედავად სადა, მაგრამ დასასვენებლად უფრო მოხერხებული თეთრი კორპუსები. ამიერიდან კულტმუშაკები ცნობისმოყვარეობისგან გულწასულ დამსვენებლებს მწყემსის მიერ ბუჟის წყლის აღმოჩენის რომანტიკულ ლეგენდას უამბობდნენ, ხოლო თუ ვინმე არ დაიშლიდა და მაინცდამაინც სასახლეზე ჩამოაგდებდა სიტყვას, მრავლისმთქმელი ღიმილით შეხედავდნენ და ფეხს აუჩქარებდნენ, აქაოდა ვერ გავიგონეო.

სანატორიუმის მთავარმა ექიმმა დაბალი ტანის, ლამის ჩურჩულით მოლაპარაკე, სქელშუბლა და მუდამ მორცხვად მომღიმარე კაცმა მსახიობი თადა ნამგალაძე სწორედ იმ კორპუსში და იმ ნომერში შეასახლა, სადაც პოპულარულ, მაგრამ უპრეტენზიო მსახიობს სუბორდინაციულად ეკუთვნოდა შესახლება. მთავარი ექიმი მხოლოდ ერთი შეხედვით სტოვებდა დაბნეული და უწყინარი კაცის შთაბეჭდილებას, თორემ,

სინამდვილეში, მას ბრწყინვალედ ჰქონდა შესწავლილი ყველა ნომენკლატურული საფეხური და სწორედ მისი ადმინისტრაციული სიფხიზლის გამო იყო თვეების განმავლობაში დაკეტილი ამ სანატორიუმში ლუქსები, ნახევარლუქსები და ერთადგილიანი ნომრები.

მართალია, თადას ოთახი უფანჯრო იყო და ონკანი თითქმის არ იკეტებოდა, მაგრამ სამაგიეროდ გაცივების საშიშროება ნაკლებ ემუქრებოდა დამსვენებელს და ონკანის ხმაურიც, თუ ცოტა ლირიული პიროვნება იყავი, კლდიდან მჩქეფარე ნაკადულის ილუზიას ქმნიდა. საერთოდ, თადა არ იყო საყოფაცხოვრებო პრობლემებზე მოწუწუნე კაცი და თანამეოთახეც მშვენიერი შეხვდა. ორმეტრიანი, ძალიან ხმელი ბერიკაცი, ნატანებ-ურეკის გამოსვლების მონაწილე, ხელჩართულ ბრძოლაში დუნდულებდაბეჟილი არისტო კვერნაძე მომცრო ნარდით ხელში დილით გავიდოდა ოთახიდან, გვიან ღამით შემოიპარებოდა, ბოდიშს მოიხდიდა, თბილ საცვლებს (და მგონი ზედა ტანსაცმელსაც) ჩაიცვამდა და დილამდე მღიმარი სახით ეძინა. მთელი დღე შილიფად ჩაცმული დადიოდა, ხოლო საწოლში ლამის საგარეოდ გამოწყობილს, ჩაცმულ-დავარცხნილს და ყაბალახშემოხვეულს ეძინა.

ზორბაბეჭებიანი და ხარისთვალება, ნალისებურულვაშება, ერთი შეხედვით მოუქნელი თადა, დაფშვნილი აგურით მოჩითულ ბილიკზე მოდიოდა. პიჯაკი მხარზე გადაედო, მაგრამ არ ღიღინებდა. დროდადრო შეჩერდებოდა, პეტრეს ციხეს ახედავდა და პიჯაკს ხელს შეუნაცვლებდა, თავზე განუყრელი რაჭული ქუდი ეხურა. ქუდი მელოტ კეფასაც მოხდენილად უფარავდა და არც ცხელი იყო მაინცდამაინც.

თვრამეტი სექტემბერი იყო. ვახშმობამდე საათ-ნახევარი რჩებოდა. ბაღში ასაკგადაცილებული დამსვენებლები ჯგუფ-ჯუფად მიმოდიოდნენ. შედარებით შენახული მოხუცები ჩერდებოდნენ და ლაღად მოარულ მსახიობს მრავალმნიშვნელოვნად შესცქეროდნენ; ხომ ნამდვილად ის არის, ხომ არ გვეშლებაო. გულმავიწყობით სნეულნი კი ზედაც არ უყურებდნენ. ისინი კარგა ხანია თეატრში აღარ დადიოდნენ. სიტყვა

მსახიობი მათთვის მხოლოდ ვასო აბაშიძეს და იუზა ზარდალიშვილს უკავშირდებოდა. აქა-იქ ახალგაზრდებიც დაჩნდნენ. ეს უკანასკნელნი როდი დასეირნობდნენ. გუნდებად ისხდნენ ხის სკამებზე და გაუთავებლად იცინოდნენ თავიანთ მარტივ, და მოხუცთა აზრით, საეჭვოდ სასაცილო ამბებზე.

თადა ყველას ესალმებოდა. იცოდა, რომ სალამი ღვთისა იყო და არ უნდოდა გონება დაეღალა ამ ნაცრისფერ ურდოში ნაცნობ-უცნობის გამორჩევით. უცნობს რომ მივესალმები, გულის სიღრმეში მაინც გაეხარდება, რომ არ მივესალმო და ნაცნობი აღმოჩნდეს, სად წავიდე მერეო. თადა ორი დღის ჩამოსული გახლდათ და ჯერ ბოლომდე ვერ ჩაბმულიყო დამსვენებლის დრამატულ ცხოვრებაში. პროცედურებზე (კუჭისა და ნაწლავების გამორეცხვა, ჟანგბადის კოკტეილი, ბუჟის წყლის აბაზანა, მასაჟი, ინჰალაცია...) უარი თქვა. ნამგალაძის ხარისებური ჯანმრთელობით გაოცებულმა ექიმმა ჭამამდე ნახევარი საათით ადრე მინერალური წყლის დალევა, დიეტა და სუფთა ჰაერზე სეირნობა დაუნიშნა. ღვინოს რომ არ დავლევ და ავადმყოფი კაცის ულუფას შევჭამ, არ შეიძლება, არ დავიკლოო, ფიქრობდა თადა და უსაზღვროდ კმაყოფილი იყო, რომ ბუჟში ჩამოვიდა.

ცხელოდა. მტკვარგაღმა ვალეს მატარებელი სიჩქარეს იღებდა.

ჰაერში შემოდგომის სუნი ტრიალებდა.

შადრევანთან ტიტლიკანა ბიჭები ჭყლიპინებდნენ. ისინი ახლა აუზის წყლით გაგრილდებოდნენ, მერე სანატორიუმის ეზოს კაკლებით უბეს დაივსებდნენ და სანამ დარაჯი გამოჩნდებოდა, იმავე ხვრელით გაძვრებოდნენ ქუჩაში, საიდანაც ყოველდღე ასე მოხერხებულად (და რაც მთავარია, კონსპირატიულად) მოძვრებოდნენ.

– თადა ბატონო, კაი გამარჯობა!

ნამგალაძე სწრაფად შემობრუნდა, ამას ვის ვხედავო, დაიძახა და მისკენ გამოფრენილი სამი მამაკაციდან დაწინაურებულს ისე გადაეხვია, რომ გარეშე თვალს, შეიძლება, ცრემლი მორეოდა.

მისალმების და მოკითხვის ათმა წუთმა რომ გაიარა, თადა სწრაფად დასერიოზულდა და გონება დაძაბა. სამიდან ორს ხაკისფერპერანგიან, თმახუჭუჭა, სვირინგებიან ბიჭს და მოგალიფოშარვლიან, სახენაყვავილარ, ჰალსტუხიან კაცს, პირველად ხედავდა. მესამე, ყველაზე მეტად რომ აქტიურობდა და იმ ორის დასანახავად მსახიობს თანშეზრდილი ძმაკაცივით ელაპარაკებოდა, აშკარა იყო, სადღაც... მაგრამ კონკრეტულად სად? – ნამგალაძემ ვერაფრით ვერ გაიხსენა და არც იმის იმედი ჰქონდა, რომ უახლოეს ორ საათში მოაგონდებოდა.

– თადა, ბატონო, დასარჩენად? – ჰკითხა მესამემ და ზღარბის ვარცხნილობაზე ხელი გადაისვა.

– ვაპირებ, თუ მშვიდობა იქნა. ერთ ოც დღეს გამოპარული ვარ სამსახურიდან.

– ისე ვინ გამოგიშვებდა, – მწუხარე სახით თქვა თმახუჭუჭამ.

– გადავიღალე ძალიან, – თავი დახარა თადამ.

– მესამე სართულიდან დაგინახეთ და გამოგედევნეთ, – სხაპასხუპით თქვა ზღარბთავამ.

– მე გიცანით, – დრო არ დაკარგა სახენაყვავილარმა ამ შეხვედრაში თავისი დამსახურების წარმოსაჩენად.

– ამან გიცნო, სწორია, – დაადასტურა ხაკისფერპერანგიანმა და საქმეზე გადავიდა, – თადა, ბატონო, უნდა დაგვაფასო. შარშანწინდელი ცოლიკაური გვაქვს, გესიამოვნება, ოჯახურად დაყენებული.

თადამ გაიღიმა და თავისი უშველებელი მარჯვენა მხარზე გადაადო დამპატიჟებელს.

– ხუთნი ვართ... ეგერ ნომერში ვზივართ... მისაყოლებელიც ქეა რაცხა... კაი გიტარა და ჩქარი ტაში... ცოლისძმამ მინახულა დღეს და პურმარილი ჩამომიტანა. კაი ბიჭია, გაგაცნობთ, – ნაწყვეტ-ნაწყვეტად, რაც შეეძლო, დამაჯერებლად ამბობდა მესამე.

თადამ აცალა, მერე ამოიხვნეშა და თითქოს აღსარებას ამბობსო, ამოიკვნესა:

– დიდი მადლობა, მეგობრებო. თქვენთან ჭუკჭუკს რამე სჯობია ახლა? მაგრამ მკვდარი გყავართ და უნდა მაპატიოთ. რავარც ერთ ჭიქას დალევ, ნაღველა და კუჭი გაგისკდებაო, ექიმმა. არ დაიჯერებთ, სერიოზული ავადმყოფი ვარ. დიდი მადლობა დაპატიჟებისთვის. არაფრით არ გამოვა ეგ საქმე.

ბევრი ეხვეწეს: „ისე წამოდი, ნუ დალევ, სუფრა დაგვიმშვენეო“, მაგრამ ვერ დაიყოლიეს. თადამ იცოდა, რას ნიშნავდა „ისე წამოდი“. ჭიქისკენ ხელი მაინც წაცდებოდა. ერთი სიტყვით, თავის იმედი არ ჰქონდა.

ბიჭებმა ბოდიში მოუხადეს და გულდაწყვეტილებმა ყურებისა და თავის ფხანვით პირველ კორპუსს მიაშურეს.

თადამ ერთხანს ისეირნა. მწვანე მონასტრის ასახვევთან ტყიდან გამოსული, იღლიებში ორბატამოჩრილი სათვალიანი კაცი შეეფეთა. კაცი ეტყობა არ ელოდა უცნობს, შეცბუნებულმა უკან დაიხია და გზიდან გადახვევა დააპირა, მაგრამ თადამ შეაჩერა, მიუახლოვდა და ასანთი სთხოვა.

– არ მაქვს, – ბატებიანს შეწუხებული სახე ჰქონდა.

– რა ლამაზი ფრინველებია – ჩია, სათვალიანი კაცის ხელში ბატები მართლაც ზღაპრის უზარმაზარ გედებს ჰგავდნენ, – სად მიგყავთ?

– არსად... ისე... ვეთამაშები... რა? არ შეიძლება? – ლამის ტირილით თქვა ბატოსანმა, შეშინებულმა უკან დაიხია, ბატები გადაყარა და უკანმოუხედავად მოკურცხლა.

ბატები წამით იმ პოზაშივე გაქვავდნენ, როგორც სათვალიანმა მოისროლა. მერე კურტუმო და თავ-კისერი გააქნ-გამოაქნიეს, თეთრი კრიალა ფრთები ააბათქუნეს, ერთი-ორჯერ უკმაყოფილოდ დაიყიყინეს და შესაშური სინქრონულობით გაბავჯბავჯდნენ.

ვახშამი კარგა ხანია დამთავრდა.

პირველი კორპუსის წინ, მოქეიფეთა ფანჯრების პირდაპირ, არისტო კვერნაძის ამფსონები შეკრებილან და ნარდს ამღერებენ.

თადამ რამდენჯერმე ჩაიარა მათ წინ. სეირნობა მოსწყინდა, უსაქმობამ დაღალა და მოეჩვენა, რომ ამოდენა სანა-

ტორიუმში ყველას რაღაც საქმე მოეძებნა. მასლაათობდნენ, ნარდს თამაშობდნენ, ქეიფობდნენ, მარტო თადა დარჩენილიყო უსაქმოდ, უფუნქციოდ, ეულად.

„რა გაიყვანს ამ საღამოებს. ქალი მაინც გამოჩნდებოდეს, ცოტა სიყვარულობია წავეთამაშო. სადაა ქალი. სასადილოში ოთხმოცს აქეთ არავინ შემინიშნავს. მეოთხე კბილის პროტეზს რომ ცვეთენ, სწორედ იმ ასაკისანი ბრძანდებიან. ბუდიონის ყმაწვილობა გუშინდელივით ახსოვთ“...

საერთოდ, ნამგალაძე სოლიდური ასაკის მანდილოსნებს დიდად აფასებდა, მათს ჭკუასა და გამოცდილებას ყოველთვის პატივს სდებდა, მაგრამ ამ წუთში ასე გაიფიქრა და მე თვითონ მიკვირს, რა ბზიკმა უკბინა.

მესამე სართულის ღია ფანჯრიდან მონაცვლეობით სიმღერა და სიცილ-ხარხარი მოისმოდა.

იარა, იარა თადამ და რაღაც უხილავმა ძალამ კვლავ მოხუც მენარდეებთან მოიყვანა. ძელსკამის განაპირას მოკრძალებით ჩამოჯდა, ცოტას მაინც გავერთობიო.

– სხვის საქმეში ჩარევას მე ვინ მკითხავს, მარა არის ახლა ეს სწორი? ხალხი მკურნალობს, შე კაი კაცო, თუ ქეიფი უნდოდათ, რაღა აქ ჩამოვიდნენ, საქეიფო ადგილი ვერ ნახეს? – თქვა ცალ თვალზე შავტყავაკრულმა ღაბაბიანმა კაცმა, რომელსაც ხელში დახვეული გაზეთები ეჭირა.

თადა მიხვდა, რომ ამ თემაზე საუბარი კარგა ხნის დაწყებული იყო.

– მამია, შენ ჩემს შეკითხვაზე რატომ არ მპასუხობ, მე გეკითხები, ხომ გინდა ახლა იქ რომ იჯდე, იმათ შორის და ქეიფობდე. გაფიცებ შვილიშვილებს, ხომ გინდა? – ჰკითხა ჩახლეჩილხმიანმა ყელშეხვეულმა წითურმა მოხუცმა.

ცალთვალა გაჩუმდა.

– გინდა, გინდა, გამოტყდი. იქ სიცოცხლეა და იმიტომ. იჯექი, აბა, ჩემ გვერდით და აჩხაკუნე ნარდი. ხომ ხედავ, არისტოსაც მოსწყინდა თამაში.

არისტომ მართლაც დაკეცა ნარდი, ზურგს უკან ამოიდო. ხელი ხელში ჩაიმწყვდია და მაღლა აიხედა.

– რას სვამენ ნეტავი?

– შამპანურს, ახლა, მოდაშია, – არ დააყოვნა თეთრწარბიანმა სანდომიანმა სახის მოხუცმა, რომელიც საოცრად ჰგავდა გერონტი ქიქოძეს სიცოცხლის ბოლო წლებში. თადამ სურათით მიამსგავსა, თორემ რა ვიცი, იქნებ არც კი ჰგავდა.

– მერე გაბმულ სმაში შამპანური გამიგონია? – ცალთვალამ იკითხა.

– რატომ, რა უჭირს?

– დასკდომაზე ექნებათ თავები დილით.

– ნუ გეშინიათ, ბატონო, ცოლიკაურს სვამენ, შარშანწინდელს. – ჩაერია თადა.

– რა იცი? – მიუბრუნდა არისტო.

– მითხრეს, დამპატიჟეს.

– მერე?

– უარი ვკადრე.

– რატომ კაცო? – შეიცხადა ცალთვალამ.

– რას ეკითხები, თავისი ანგარიში აქვს კაცს. არ უნდოდა და, არ წაყვა, – აუხსნა ყელშეხვეულმა.

მესამე სართულიდან სიმღერა მოისმა:

ნუ, ნუ სტირი, ნუ, ნუ ჰგოდებ, დედაო,
ნუ ინამავ ცრემლებს წამწამზედაო,
ავადა ვაარ, თვალით ვერა მხედაო,
ქვაა და, ლოდი, მაფარია ზედაო.

– მშობლების სადღეგრძელო დალიეს, – ჩაილაპარაკა არისტომ.

– არ ხარ მართალი, – გაჯიუტდა ცალთვალა, – მშობლების სადღეგრძელოს ახლა დალევდნენ? ოთხი საათია ქეიფობენ.

– გააჩნია თამადას.

– რათ მინდა თამადა, სიმღერაზე ვერ ატყობთ? – მტკიცედ თქვა არისტომ.

– ისე, ჩემო არისტო, მაგ სიმღერას გარდაცვლილი მეგობრების სადღეგრძელოს დროსაც მღერიან, – თქვა წითურმა.

– კი. – დაუდასტურა თადამ.

– რატომ არ წახვედი მაინც, ბიძია, გაფიცებ გულით საყვარელს? – ჩახლეჩილხმიანი მთელი ტანით შებრუნდა მსახიობისკენ, რაზეც შეეტყო, რომ კისერს ვერ აბრუნებდა.

– რა ვიცი... რაღაცა... ვერ გეტყვით...

ჩემსავით არ მოგივიდეს, – დაიწყო მამიამ, – ამ ათი წლის წინ, მაშინ ვსვამდი კარგად, მოყვრებში ჩავედი ქესათუბანში. მაქეთ კარგი ღვინო იციან. არ მოგატყუებთ, საქეიფოდ ჩავედი. დავლევ ამ სამეფო ღვინოს, ჩემო ბატონო, გადავხალისდებითქვა. პირველ დღეს გაიშალა დიდებული სუფრა ხარისკისერა სახლიკაცებს გადავხედე; მე ვთქვი, დამახრჩობენ ღვინოშითქვა და თავპაიჟი გავიდე. არ ვსვამ, ბატონო, ბევრს, ნაღვლის ბუშტი არ მივარგათქვა. არ დამაქცია ამ ერთმა სიტყვამ? ჩემ გვერდით ვინცხა ცეცელიძე იჯდა, ნადიაკვნარი. მე მოგარჩენ, ბატონოვო, ნაღვლის ბუშტი თუ გტკივა, წვეთი ღვინის დალევა არ შეიძლება შენთვისო. მოვა მერიქიფე, დააფარებს ეს ცეცელიძე უბედური ჩემს ჭიქას ხელს. – არ შეიძლება, ამისთვის ავადმყოფიაო. გამიშრა ყელი. – ცოტა ქე შეიძლება, ბატონო, ერთ-ორ ჭიქას დავლევ-მეთქი, სანებართვოდ გამიხდა საქმე. არავითარ შემთხვევაშიო, მპატრონობს ცეცელიძე. ერთი სიტყვით, იმ ღამეს იქეიფეს, იღადავეს სხვებმა და ამ ჩემთვის გაშლილ პურმარილზე მე ქე ვიჯექი ბოლომდე მშრალად. თურმე ჯერ სად ხარ. მეორე დილას ცეცელიძემ ერთი ტომარა ბალახბულახი მომართვა და ჩემს მასპინძელს უთხრა, სასწრაფოდ მოუხარშე ეს ბალახები, ორი ვედრო წყალი დაასხი და მანამდე იხარშოს, სანამ სამ ბოთლამდე დავიდოდესო. მერეო, მე მომიბრუნდა, თითო ღვინის ჭიქას დალევთ, ბატონო, სამჯერ დღეში და ერთ კვირაში ნაღვლის ბუშტი ვითომც არ გქონიათო. რას იზამ? ხომ არ ეტყვი ამ დარბაისელ კაცს, წუხელის ტყვილი ვთქვი, არაფერი მაწუხებსთქვა. რაღა გავაგრძელო, ერთ კვირას არ მომცილებია ცეცელიძე. გამჭყიპა წამლით. სუფრაზე გვერდიდან არ მცილდებოდა. ღვინის გემოც არ გამასინჯა. ჯერ ხელს აფარებდა ჩემს ჭიქას, მერე სულ ამართმევდა და განზე გადადგამდა. დავიტანჯე კაცი. წამოს-

ვლის წინა ღამეს, შუაღამისას, შევიპარე სამზარეულოში და მივიყუდე გრაფინით ღვინო. ღვინოდაულევლად რავა წავიდე ქესათუბნიდან-მეთქი. ასე დამღუპა ჩემმა ენამ.

ხომ სასაცილო ამბავი გაიხსენა მამიამ, მაგრამ რატომღაც, თადას გარდა, არავის გაუცინია.

– თუ მთლად ჩაქცევაზე არ ხარ, არ უნდა თქვა პურმარილზე უარი, არა. მეტი რაი ვართ, აბა? – თქვა კისერგაშეშებულმა.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

– ხალხი დისერტაციებს რომ იცავს და ყველგან რომ იწერება – ღვინო მავნებელიაო, ერთი იმის ტურად გადამაქცია, მართლა ასეა? – ყრუდ ჩაილაპარაკა არისტომ.

– სად იწერება? ღვინო მავნებელიაო, მე არსად წამიკითხავს? – ცალთვალა კამათის ხასიათზე მოდგა.

– აბა, არ წაგიკითხავს, შე კაცო? ალკოჰოლი მავნებელიაო? ალკოჰოლი არაა ღვინო?

– არა, ჩემო ბატონო, ღვინო ღვინოა, – ხრინწიანმა თითებჩამწყვდეული ხელები მუხლს შემოხვია.

– ზედმეტი ღვინისმა არი მავნებელიო, თვარა ნორმალური წამალიაო, ასე სწერია ყველგან, – განმარტა მამიამ.

– შენ გგონია ე ბუჟის წყალი რომ უზომოდ დალიო, არ გაწყენს? ზედმეტი და ნამეტანი რაია მარგებელი, ღვინო რომ იყოს. – წითურის ხმა იყო.

– რაზე ვკამათობთ, ვერ გავიგე. სუფრა მარტო ღვინის სმაა, ბატონებო? სუფრა ტკბილი მუსაიფია, სიმღერაა, ერთმანეთის დაახლოებაა და დაძმაკაცებაა; კაცის ღირსებების ჩამოთვლაა. წასულების გახსენებაა, ქვეყნის წინაშე შენი კაცური ვალის ხაზგასმაა, სიყვარულის სადღეგრძელოა და სამშობლოს მომავლის გასიგრძეგანებაა. სად კეთდება უფრო დიდი საქმე, სუფრაზე რომ კეთდება, ჩემო ბატონო? მე რაც ახლა ჩამოვთვალე, ეს ხომ არის და არის, რაც არ ჩამომითვლია? სხვა რა ღონისძიებით შეგიძლია ათი კაცი ისე დაამოყვრო და დააკეთილო ერთმანეთს, როგორც ეს კარგ სუფრაზე ხდება? – ტრიბუნის იერით ამბობდა მამია.

– თამადაზეც ბევრია დამოკიდებული, – თქვა ნამგალაძემ.

„ამ ქვეყანაზე ერთი ხარ, ერთიიი,
ქააალი კი არა, ღმერთი ხარ, ღმერთი!“ –

იჭაჭებოდა ვიღაც მესამე სართულზე. მოგვიანებით ორი ხმა აჰყვა. მეორეს არა უშავდა, მაგრამ ბანი ვერ იყო მიწნული, შორიახლო მიჰყვებოდა.

თადა წამოდგა და ხეივანს სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, დიდი თავადის – მიხეილის მუდმივრემონტოვანი სასახლისკენ გაჰყვა.

„სისულელე მომივიდა. რაღაცა ნახევარი კილოს დაკლებისთვის ხალხს ვაწყენინე, ვინ იცის, იქნებ მეტჯერ აღარც მთხოვონ, მობრძანდი, სუფრა დაგვიმშვენეო. რაღაცას მოვყვებოდი, რაღაცას გავიგონებდი! ბოლოს თამადას ერთი სადღეგრძელოს უფლებას გამოვთხოვდი და ვიტყოდი: „ამ გვიანი ღამით ვიღაც დადის საქართველოში, საქართველოში ვიღაცა კვნესის. ვახსენოთ ჩვენ ის უკანასკნელ სადღეგრძელოში. სადღეგრძელოში ვახსენოთ ჩვენ ის“. ისეთი ბიჭები ჩანდნენ, არ შეიძლება გალაკტიონი არ ჰყვარებოდათ“.

* * *

ის დღე და ის დღე, მსახიობი თადა ნამგალაძე კურორტ ბუჟში ფხიზელი არავის უნახავს.

ქეიფში და „ოხოხოიაში“ გაატარა საგზურით გათვალისწინებული ოცდაექვსი დღიდან ოცდაოთხი.

გამომგზავრების წინ ყოველ შემთხვევისთვის აიწონა. დაკლებული, რა თქმა უნდა, არ გახლდათ, მაგრამ, მისდა გასაოცრად, არც მომატებული იყო მაინცდამაინც.

დედოფლის მისია

მაღალ, ჩაჩუქურთმ-ჩახუჭუჭებულ კარებში მსახური რომ გამოჩნდა, მწერალმა შავლიემ პარიკი ყურებთან ჩამოიწია, ყელსახვევი გაისწორა, შალის თეთრი წინდები მუხლებსზემოთ ამოქაჩა და მისკენ გააბიჯა.

– მუსიე, დედოფალი გელოდებათ.

სულ რაღაც შვიდიოდე კარის გავლის შემდეგ მწერალი დედოფალ ჟოზეფინას კაბინეტში აღმოჩნდა. ცისფერთვალება ვნებიანნესტოებიან ქალს გვირგვინივით ედგა თავზე ფერფლისფერი კოწოლი. ლომისთავებიან, შავ საწერ მაგიდასთან იჯდა, სტუმარს დაღლილი სახით გამოხედა და სკამზე მიუთითა.

მწერალმა ჯერ მწვანეხავერდგადაკრულ სავარძელს დახედა, მადლობა მოიხადა, დაჯდა და ფეხი-ფეხზე გადაიწყო, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ ნაპოლეონის თანამეცხედრესთან ზედმეტ სითამამეს იჩენდა. შეცდომის გამოსასწორებლად წამოდგა და უნდოდა ორიოდე სიტყვა ფეხზე დამდგარს ეთქვა, მაგრამ ქალბატონ ჟოზეფინას თეთრხელთათმანიანი ხელი მაჯაში ნაზად ამოძრავდა და შავლიე მორცხვად ჩამოჯდა სავარძლის კიდეზე.

– უღრმეს მადლობას მოგახსენებთ მიღებისათვის, დედოფალო. მე მწერალი შავლიე გახლავართ. მცირე ნოველებს და ვოდევილებს ვწერ პარიზის საგარეუბნო თეატრებისათვის. ჩემი გვარი, ალბათ, არაფერს გეუბნებათ.

– რატომ?

– ცნობილი მწერალი არ გახლავართ. ჩემთვის ვცოდვილობ. არ ვიცი, რა გამოვა.

– ზედმეტი თავმდაბლობა ირონიის ფორმა ხომ არ არის, მოწყალეო ხელმწიფევ. საკმაოდ ცნობილი კაცი ხართ და ამას წინათ „მერკურე დე ფრანსეში“ დაბეჭდილი თქვენი თხზულებაც კარგად მახსოვს.

– გმადლობთ, დედოფალო.

– თუ არ ვცდები, იმპერატორსაც კარგად მოეხსენება თქვენი ნაწერების შესახებ.

– სწორედ მაგის გამო გეახელით. ამ ერთი კვირის წინ ფუშეს აგენტი მოსულა რედაქციაში და განუცხადებია: იმპერატორის ნებით შავლიეს სახელი აღარ გაჭაჭანდეს თქვენთან, თორემ ჟურნალს დავხურავთ და რედაქტორს სამართალში მივცემთო.

– რატომაო?

– მიზეზი საკმაოდ მარტივია. მუსიე ტალეირანმა დამასმინა შარშან, თითქოს მე ბურბონთა დამქაში ვიყო და ჩემს ნაწერებში ნაპოლეონის პოლიტიკას ცინიკურად ვიხსენიებდე.

– ხომ არ გეჩვენებათ, მუსიე, რომ თქვენს ამ ნათქვამში იმპერატორი არცთუ სახარბიელოდ გამოიყურება. ვეჭვობ ტალეირანის ჩაგონებითღა ირწმუნოს თქვენი ოპოზიციონერობა. მით უმეტეს, რომ ნაპოლეონს საკმაოზე უფრო მახვილი თვალი აქვს და „მერკურე დე ფრანსეც“, ღვთის წყალობით, დიდი ტირაჟით გამოდის.

– მაპატიეთ კადნიერება, მაგრამ დიდკაცნი ქებას იოლად ივიწყებენ, ხოლო ავი სიტყვა შვიდ წელიწადს ახსოვთ. საკმარისია ჩემს ნაწერებს ეჭვის თვალით შევხედო და მევე აღმოვაჩენ ჩემს თავში საფრანგეთის მტერს და ქრისტეს ფეხის მკვნეტელს.

– განა ლიტერატურა ასე მაცდუნებელია, მუსიე?

– ჩემთვის დიახაც არა, დედოფალო, მაგრამ დილეტანტები ხომ სხვის თვალში დირეს აღმოაჩენენ ხოლმე.

– მუსიე...

– მაპატიეთ, იქნებ თავიდანვე დამეზუსტებინა ჩემი ვიზიტის მიზეზი. თქვენ, ალბათ, მიჩვეული ხართ მთხოვნელთა მუდარით სავსე სახეებს და აკანკალებულ ყბებს. მე თქვენთან სათხოვარით არ მოვსულვარ.

– ?!

– სასაუბროდ მოვედი. მე მინდა იმპერატორის ღირსეულმა მეუღლემ იცოდეს ერთი უბრალო ფრანგი მწერლის აზრი ნაპოლეონზე.

– მოგისმენთ, მუსიე. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენი აზრი, თქვენსავე საზიანოდ, შეურაცხმყოფელი არ იქნება ბონაპარტესთვის.

– ღმერთმა დამიფაროს. მე მხოლოდ ჩემს მოკრძალებულ აზრს მოგახსენებთ. წელიწადია იმპერატორის ნებით და ფუშეს ხელდასხმით პარიზის ოფიციალურმა გაზეთებმა ჩემს ლანძღვა-გინებას მიჰყვეს ხელი. ამომიჩემეს და ყოველ ჩემს ნაწარმოებს ზოილის კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ. „ნაპოლეონის ტრიუმფის ვერდამნახავი, განზე განმდგარი კაცი“, ასე მიწოდებენ მსუბუქხელიანი ჟურნალისტები. აღარც კი ვთვლი ახლა საჭიროდ, მოგახსენოთ, რომ მე პირველი მივესალმე ნაპოლეონის გაიმპერატორებასაც და დღესაც მის რაზმში მყოფად ვრაცხ თავს. თუმცა მე იმ მწერალთა რიცხვს როდი ვეკუთვნი, ნაპოლეონის ერთგულებაზე დღენიადაგ გულზე მჯილის ცემით რომ გაჰყვირიან.

– მხედველობაში ვინ გყავთ?

– თქვენ უკეთ მოგეხსენებათ. მე აქ გვარების დასასახელებლად არ მოვსულვარ.

– ნაპოლეონს მწერალთა შორის ჰყავს პირადი მეგობრები და ამას არც მალავს.

– მაგრამ იმპერატორი არც ისე დიდი კაცია, სიყმაწვილის შთაბეჭდილებებზე, პირად სიმპათიებზე მაღლა დადგეს და დაფნის გვირგვინთა განაწილებაში შეუვალი ობიექტურობა დაიცვას.

– ისევ დაფნის გვირგვინები. თუ თქვენი სახით განაწყენებული დიდების მაძიებელი ლაპარაკობს, მოსაწყენი ხართ, მუსიე.

– გემუდარებით, ასე ნუ იფიქრებთ, დედოფალო. თუ რაიმე არ მინდა, ეს არის სწორედ ნაპოლეონის კარისკაცთა ბოძებული ჩინ-ტემლაკები. მე ვემსახურები საფრანგეთს და ნაპოლეონს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მას საფრანგეთისთვის ბედნიერების მოტანა ძალუძს. თუმც ამ ბოლო დროს ავი სიზმრები არ მასვენებენ.

– გულახდილად მითხარით. აი, თქვენ რომ ეხმეთ იმპერატორს და თქვენთან მეგობრობის სურვილი გამოეთქვა, უარს იტყოდით?

– მოგახსენეთ, რომ მე ვემსახურები საფრანგეთს და ამა ქვეყნის მეფეთა ნავში ჯდომა ჭეშმარიტი მწერლისთვის დამამცირებლად მიმაჩნია, რადგანაც ჯერ არ ყოფილა ხელმწიფე, თავისი ხალხისთვის მცირე ბედნიერებასთან ერთად დიდი უბედურებაც არ მოეტანოს.

– ნება მომეცით, თქვენს ნათქვამში ეჭვი შევიტანო, ნაპოლეონი, თქვენც კარგად ხედავთ, ჩვეულებრივი ხელმწიფე არ არის.

– რა თქმა უნდა. მან უკვე დაამტკიცა, რომ ისტორიის საჭესთან დგას. მაგრამ საქმე ის არის, საით ატრიალებს ამ საჭეს, წალმა თუ უკუღმა.

– თქვენ როგორ ფიქრობთ?

– ჩემს წინათგრძნობას ახლა მნიშვნელობა არა აქვს. მას ისტორია გაასამართლებს და ის დრო არც ისე შორს არის.

– ხომ არ გეჩვენებათ, რომ მისგან უკვე დიდად არის დავალებული საფრანგეთი თუნდაც იმით, რომ ბურბონთა სულელური, ბებრული მართვისაგან გაანთავისუფლა.

– წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან.

– ოღონდაც, მუსიე.

– ჰოდა, იმას მოგახსენებდით, ნაპოლეონის გადაკრული სიტყვაც საკმარისი იყო, რათა ჩემი პოპულარობით ისედაც განაწყენებულ ჩინოვნიკებს ხელები გახსნოდათ ჩემს წინააღმდეგ. იმპერატორმა კი, არც მეტი, არც ნაკლები – ომი გამომიცხადა. მშიშარა კაცი არ გახლავართ, მაგრამ, ვაითუ ეს ომი ბონაპარტეს საზიანოდვე დამთავრდეს.

– თქვენ რა, უფლებას არ აძლევთ იმპერატორს თავისი აზრი ჰქონდეს თქვენს ნაწერებზე?

– კი, მაგრამ ეს აზრი საქვეყნოდ არ უნდა განაცხადოს, მით უმეტეს, მაშინ, როცა სამეფო სკიპტრა უპყრია ხელთ. მიკერძოებაში ჩაეთვლება.

– ყველა ხელმწიფეს ჰყავდა მწერალთა შორის თავისი ფავორიტები და...

– ისინი, ვისაც სდევნიდა. უფრო ხშირად კი ასე ხდებოდა, ის ფავორიტები, უმეტესწილად, საშუალო ნიჭის მლიქვნელები იყვნენ, ხოლო დევნილნი...

– მაპატიეთ, რომ გაწყვეტინებთ. იქნებ ისტორიისთვის დევნილნი უფრო მომგებ პოზიციაში არიან? ზოგი მათგანი სწორედ იმით შევა ისტორიაში, რომ მას ნაპოლეონი სდევნიდა.

– ეგ ვერაფერი დიდი თამასუქია ისტორიაში შესასვლელად. რატომ არ ფიქრობთ, რომ, იქნებ, პირიქით მოხდეს? იქნებ სწორედ იმ მწერალმა დატოვოს ნაპოლეონი ისტორიაში?

– ამ შემთხვევაში მისამართი გეშლებათ. ნაპოლეონი საფრანგეთის დროშაა.

– მაგრამ სისხლისწინწკლებიანი დროშა. მწერალს კი, თუ იგი ნამდვილი მწერალია, საზოგადო აზრი უპყრია ხელთ და ერის გულისთქმას გამოხატავს.

– რატომ აზვიადებთ მწერლის დანიშნულებას? იქნებ მწერლის მისია სწორედ ის არის ახლა, რომ ნაპოლეონის ეპოქა დახატოს.

– მაგრამ მწერალს შეუძლია დახატოს იგი, როგორიც არის და მაშინ ისტორიაში ნაპოლეონისგან ბევრი აღარაფერი დარჩება.

– ეგ თქვენი აზრია. სხვათა შორის, თავში აღნიშნეთ თქვენი კეთილგანწყობა ბონაპარტეს მიმართ.

– ამას ახლაც სიამოვნებით ვადასტურებ, მაგრამ მე მინდა, თქვენ, საფრანგეთის დედოფალმა, სიმართლე იცოდეთ. ნაპოლეონი ლიტერატურასა და ხელოვნებაში ბუნდოვნად ერკვევა. იმპერატორის კარის რამდენიმე ბეცი მოხელის გარდა ყველა აღშფოთებით შეხვდა ქალბატონ სტალის პარიზიდან გაძევებას ლიბერალური აზრებისათვის. ასევე უხეშად ჩაერია ამას წინათ იმპერატორი სამეფო თეატრის მსახიობ ქალთა ინტრიგებში.

– ამით რისი თქმა გნებავთ?

– იმისი, რომ ხელოვნება ადამიანთა საქმიანობის სხვა, ფაქიზი სფეროა და იგი „რკინის ხელს“, ადმინისტრირებას ვერ ჰგუობს.

– იქნებ, არც ის იყოს თვით ხელოვნებისთვის სასარგებლო, რომ მის ნებაზე მიუშვა და ყველას, ვისაც რა აზრი მოუვა თავში, უფლება მისცე საფრანგეთის სახელით ილაპარაკოს.

– მე ჭეშმარიტ ხელოვნებაზე, ნამდვილ მწერლებზე მოგახსენებთ.

– განა ნამდვილი მწერლები არ სცოდავდნენ?

– იმდენად არასოდეს, რომ საფრანგეთისთვის ზიანი მოეტანათ, მაგრამ ბევრი სკიპტროსანი გააშავა ისტორიამ მწერლის დევნისთვის. იმიტომ, რომ მწერალი ერის ღვთიური ფიქრია და ფიქრის ჩამოხრჩობა არ შეიძლება.

– რამდენადაც ვიცი, თვით იმპერატორს უკუღმართი აზრებისთვის ჯერ არავინ გაუგზავნია გილიოტინაზე.

– „უკუღმართ აზრებზე“ მსჯელობა ისევ ისტორიას დავუთმოთ. იქნებ, რასაც მე და თქვენ შეცდომებს ვეძახით, ხვალ ეჭვმიუტანელ ჭეშმარიტებად იქნეს მიჩნეული. კვლავ მწერლის დევნის საკითხს დავუბრუნდეთ. აი, ნაპოლეონისგან შეთამამებული ჩემი პირადი მტრები ხვალ თუ ზეგ წესს ამიგებენ. თქვენ როგორ გგონიათ, მომავალი ჩემი განადგურებისთვის მხოლოდ და მხოლოდ ნაპოლეონს დასჯის, ნამდვილი მკვლელები ჩრდილში დარჩებიან.

– იქნებ, ასე არ გამოიდოს ისტორიამ თქვენთვის თავი? მაპატიეთ, თქვენ ნიჭიერი მწერალი ხართ, მაგრამ ცოტა მეტი წარმოდგენა ხომ არა გაქვთ თქვენს ძალებზე?

– ამ შემთხვევაში მე წარმოვადგენ არა მუსიე შავლიეს, არამედ მწერალს საერთოდ. და მე მგონი დამეთანხმებით; ჯერ არ დაბადებულა ჰომეროსზე უფრო დიდი იმპერატორი.

– ვერ გავიგე?

– ყოველი ჭეშმარიტი მწერალი თავისი ერისთვის გაცილებით უფრო დიდი კაცია, ვიდრე რომელიც გნებავთ მმართველი, დროის მიერ მაღალ სკამზე შესკუპებული. რადგანაც პირველი მისმა გონებამ ასწია მაღლა, მეორე კი სიტუაციამ, გარემოებამ ამოატივტივა.

– ნაპოლეონი სხვაა. ნაპოლეონი სიტუაციამ კი არ შექმნა, ნაპოლეონმა თვით შექმნა ისტორია.

– მაგ დასკვნასაც ისტორია შეამოწმებს. ხოლო ის ფაქტი, რომ იმპერატორს ჩემი დასჯა და მოსპობა შეუძლია, სრულიადაც არ მეტყველებს იმაზე, რომ ბონაპარტე ჩემზე დიდი კაცია. მე შემიძლია ჩემს მაგიდაზე ისეთი ხელნაწერი დავ-

ტოვო, ლაფში ამოვსვარო ნაპოლეონის მთელი ქიჩმაჩი ისტორიის კისერზე.

– და რომ ეს არ მოხდეს, რა უნდა მოიმოქმედოს იმპერატორმა?

– უფრო ზომიერი, ლმობიერი დამოკიდებულება დაამყაროს მწერლობასთან, იცოდეს კარგად, რომ მის აღმასვლას ახლაც მწერლები ამკვიდრებენ ხალხში და მომავალში ისტორიის ფურცლებს ნაპოლეონის გვარის გასწვრივ ისევ ჩემი კოლეგები შეავსებენ. პოლიტიკა, რომელსაც მწერლები განუდგებიან, დასაღუპავადაა განწირული.

– მაგრამ პოლიტიკის მიერ დაღუპული მწერლებიც გვახსოვს.

– სწორედ რომ ბურბონთა უგუნური პოლიტიკის მიერ და რა გამოვიდა აქედან? ამ ოცდაათი წლის წინ აღზევების ზენიტში მყოფი ბურბონები საფრანგეთის რჩეულ ინტელიგენციას გაუსწორდნენ. მერე? აიძულა თუ არა ისტორიამ ისინი სინანულის თითზე კბენანი და გაუთავებელი რეაბილიტაციები დაეწყოთ? ხომ იმ მკვდრების სახელითვე დაისაჯნენ ბურბონები ისტორიის ძლიერი ხელის მიერ?

– და იმ ძლიერ ხელს ისტორიისას სხვა ვინმე კი არა, თვით ნაპოლეონ ბონაპარტე განასახიერებდა.

– გეთანხმებით, მაგრამ მე მაინც მინდა ჩააგონოთ აღზევებულ იმპერატორს, არ გაიმეოროს ისტორიის შეცდომები. მისი საიმპერატორო სავარძლიდან ახლა ყველანი პატარები ვჩანვართ და ადვილია ომების უებარმა მცოდნემ და გამარჯვებათა დაფდაფებით გაყრუებულმა იმპერატორმა ვერ მოზომოს და ნაბან წყალს ბავშვიც გადააყოლოს.

– მუსიე შავლიე, – ჟოზეფინამ მარაო მაგიდაზე დადო, თითები ერთმანეთში გაუყარა და ზედ თავისი ლამაზი ნიკაპი ჩამოადო. – არ დაიზაროთ, გეთაყვა, და ერთხელ კიდევ განმიმარტეთ ჩემი მისია თქვენს ვიზიტთან დაკავშირებული.

– მაპატიეთ, რომ დაგღალეთ, დედოფალო. მე გთხოვთ, შეძლებისდაგვარად გადასცეთ იმპერატორს ჩვენი საუბრის შინაარსი. ეცადეთ თქვენი კომენტარები ნაკლებად დაურთოთ. თუ რაიმეს დაუმატებთ, მხოლოდ ის აცნობეთ ბონაპარტეს,

რომ ყველა ყველა და ფრანგმა მწერლებმა კარგად იციან ნაპოლეონის ღირსებაცა და ნაკლიც, კარგად ბრძანდებოდეთ.

– ნახვამდის, მუსიე. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ თქვენს დავალებას შევასრულებ ისე, როგორც ფრანგ ქალს და ნაპოლეონის მეუღლეს მისი შესრულება შეუძლია. ნაპოლეონის მეუღლეობას მე ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ ამით ისტორიის წინაშე ბობოქარი ბონაპარტეს გვერდით ჩემს უმწეობას ვაღიარებ.

დედოფალმა კარებამდე გამოაცილა.

ზურგსუკან ვეება კარები რომ მიიხურა, შავლიემ ღრმად ამოისუნთქა, დაცვარულ შუბლზე აბრეშუმის ცხვირსახოცი მოისვა და მისკენ მომავალ ორმეტრიან კარისკაცს თვალი ჩაუკრა.

* * *

ამ საუბრიდან ერთი კვირის შემდეგ, 1809 წლის 15 დეკემბერს პარიზის საიმპერატორო სასახლეში ნაპოლეონმა ხელი მოაწერა საფრანგეთის კანონიერ დედოფალთან, ქალბატონ ჟოზეფინასთან განქორწინების აქტს.

„პოლიტიკას გული არ გააჩნია, ჟოზეფინა, პოლიტიკა მხოლოდ თავით არსებობს“, ეს გახლდათ ნაპოლეონის უკანასკნელი სიტყვები თავისი, აწ ყოფილი თანამეცხედრის მიმართ განქორწინების მძიმე წუთებში ნათქვამი.

მალე ნაპოლეონმა ავსტრიის იმპერატორ ფრანცის უმრწემესი ქალიშვილი მარია-ლუიზა შეირთო.

ამბობენ, ქორწინების შემდეგაც ხშირად აკითხავდაო მალმეზონის სასახლეში განმარტოებულ ჟოზეფინას.

შერვუდმა ცეკვა არ იცის

არც ისე გრძელია კაცის ცხოვრება და არც ისე ძნელი, მოფილოსოფოსო მწერლები რომ ხატავენ. თუ შაბათობებს, დემონსტრაციებს და დასასვენებელ სახლებში გატარებულ დღეებს გამოაკლებს, შერვუდ აბესაძეს შეუძლია ხატზე დაიფიცოს, რომ ამ ოთახიდან არც გასულა. ტექნიკუმდამთავრებული, ულვაშღინღლა ბიჭი მოვიდა სანვეტსადგურში და ისე დაბერდა, არცკი გაუგია. ცხოვრებას მისთვის დიდი ჭიდილ-ჯაჯგური არ შეუთავაზებია, თორემ უფრო დაამახსოვრდებოდა დრო. ათიდან ექვსამდე ზის სამორიგეოში. საქმე თავზე საყრელი აქვს-მეთქი, რომ გითხრათ, არ ვიქნები მართალი. გამოძახებებზე ექიმები დადიან. გაცოფების მანიით შეპყრობილი ნევრასტენიკი თუ შემოაღებს ათასში ერთხელ კარს და ვინმე მარტოხელა ბებერი მადადაკარგულ ძაღლს თუ შემოიყვანს. ესეც იშვიათად ხდება. დაბა სოულში კატებისა და ძაღლების მოშენებით მაინცდამაინც თავს არ იწუხებენ. მოსაწყენ საქმედ ეჩვენებათ, მოქალაქენი სხვა, უფრო ნაღდი, საქმეებით არიან დაკავებული. ხოლო, ვისაც ჰყავს, ღმერთმა კარგად უმყოფოთ, ავად იშვიათად ხდებიან. მკითხველი, ალბათ, მიხვდა, რომ ისევ ძაღლებზე და კატებზეა ლაპარაკი. სიყმაწვილიდან პირდაპირ სიბერის მშვიდ ყურეებს მიაცურა შერვუდი ცხოვრებამ და ამიტომაც, რაც ახსოვს, თითქმის ყველაფერი ამ ოთახთანაა დაკავშირებული. სამსახურის გარეთა ცხოვრება ჰქონდა, როგორ არ ჰქონდა. ორი შვილი გაზარდა. ორივენი ახალჩერჟკამსკის საავტომობილო გიგანტის მშენებლობაზე მუშაობენ და ორი წელია ამოოხვრებით სავსე წერილებს იწერებიან. სამსახურიდან მობრუნებული, ქვემოთ გარაჟების ეპიდემიისგან სასწაულებრივად გადარჩენილ ერთ ფიორ მიწაზე მეზობლებთან ნარდს ამღერებს. ამასობაში ღამდება კიდეც, თავის

საქმეებში ჩაფლულ ცოლს გაელაპარაკება და სასთუმალს მოძებნის. ასე მიდის შერვუდის დღეები. არც ახალგაზრდობაში უყვარდა სამსახურის მერე ქუჩაში ყიალი. მოვიდოდა, ზოლებიან ფლანელის პიჟამოს ჩაიცვამდა და ნარდ-დომინოს მოტრფიალეებში გაერეოდა. ეს იყო მისი გართობა. არაფერი გრძელიც არ ყოფილა მისთვის წუთისოფელი. სულ რაღაც ოთხი პიჯაკი გაცვითა (სხვათა შორის, ოცდაათი წლის წინ ნაყიდი ახლაც ერგება ყველაფერი), შვიდამდე ფეხსაცმელი, ორი პალტო... ფულის სამჯერ გამოცვლას და ფასების რამდენიმე მომატებას მოესწრო. ეს იყო და ეს. არც ემდურის ცხოვრებას და არც ემადლიერება, კაცმა რომ თქვას. არც იცის, უკეთესად და სხვანაირად როგორ უნდა ეცხოვრა. აქამდე კიბო და ჭლექი რომ არ დამართა გამჩენმა, ინფარქტს რომ არ დაურტყამს, მადლობელია და სწორადაც ფიქრობს. რამდენი მისი ასაკის კაცია უდროოდ გამოსული მწყობრიდან და შერყეული ჯანმრთელობის გამო სამუდამოდ გამწარებული, იმ სკამმა, ეხლა რომ თამრიკო ზის, მარტო შერვუდის მახსოვრობაში, სამი ექთანი გამოიცვალა. პირველი ხანში შესული ქალი იყო, ეპრასია, საწყალი და შერვუდის მოსვლის მესამე წელს გარდაიცვალა. მეორემ – ლუბა ემხვაიამ კარგა ხანს იმუშავა, მერე თბილისში წაიყვანეს შვილებმა და თბილისშიც, მგონი, სანვეტსადგურში მუშაობს. მესამე, მშვენიერო გოგო ხათუნა, აქვე, სამსახურიდან გასული მოიტაცეს. ოცი არც კი შესრულებოდა. მერე, მგონი, ცუდად წაუვიდა საქმე, ვერ დადიოდა კარგი ხმები მაინცდამაინც. ახლა თამრიკო დანიშნეს ეს მესამე თვეა. არაა ურიგო გოგო. სამედიცინო სასწავლებელი დაუმთავრებია შარშანწინ, მეანობის განხრით. მთლად პროფილით არ მუშაობს, მაგრამ რა უჭირს. ინსტიტუტში მინდა სწავლის გაგრძელებაო, ამბობს. თუ არ გათხოვდა მანამდე, გააგრძელებს, რა შეუშლის ხელს.

თამრიკოს დილით ყოველთვის აგვიანდება და ყოველთვის ბოდიშს იხდის. თავის გრძელსახელურიან, რაღაც რაღაცებით პირთამდე გატენილ ჩანთას ლურსმანზე ჩამოკიდებს, მოსასხამს დაკეცავს და ფანჯრის რაფაზე დადებს, თეთრ ხალათს

ჩაიცვამს, მუჭის სარკეში წარბებს შეათვალიერებს, მოიკეცება სკამზე და ზის. არც წიგნს კითხულობს, არც ქსოვს. თავისი ფიქრებით, როგორც ეტყობა, მშვენივრად ერთობა. თორმეტამდე წელში ლამაზად გამართული ზის, მერე მოიღლება, მოიღვენთება. ხან იდაყვებით ჩამოისვენებს, ხან მარჯვენა მკლავს დააყრდნობს თავს და კედელს შესცქერის, ხანდახან ჩაიღიმებს, ხან პირიქით – ამოიოხრებს. რას ფიქრობს, ვინ იცის, ოცი წლის გოგოს ფიქრებს ეშმაკი ვერ გაიგებს.

– ბატონო შერვუდ, ცეკვა იცით?

შერვუდს ჯერ ეგონა ჩამესმაო, რომ მოიხედა და თამრიკოს თვალებს წააწყდა, ამ გარემოებამ უფრო დააბნია.

– ბატონო?

– ცეკვა თუ იცით-მეთქი.

– მე მეკითხებით? – შერვუდს სურდა საბოლოოდ დარწმუნებულიყო, ნამდვილად ეკითხებოდა ექთანი, თუ ეხუმრებოდა. სერიოზულად დასმული ეს შეკითხვა ხომ უცნაურად ჟღერდა, არც ხუმრობით ნათქვამი იყო მთლად მისაღები, რადგანაც ექთანი და ვეტფერშალი ერთმანეთთან შეხუმრებული არ იყვნენ. ამის საშუალებას არც მათ შორის არსებული ასაკობრივი ბარიერი იძლეოდა და, ჯერჯერობით, არც ერთად მუშაობის სტაჟი.

– არა, ბატონო.

დიდი, დამღლელი პაუზის შემდეგ უპასუხა შერვუდმა და ხალათის ჯიბეში მარჯვენა რომ ჩაიყო, რაღაც ცივ საგანს მოხვდა ხელი და გაუკვირდა. წეღან, შეკითხვა რომ მისცეს, თურმე ძველთაძველი მაკრატელი ჩაედო ჯიბეში.

ვერ გეტყვით, დააკმაყოფილა თუ არა პასუხმა თამრიკო. გოგონამ თითქოს გაუღიმა კიდეც უფროს კოლეგას, მერე ცოტა ხანს მკლავზე ყურდაყრდნობილი კედელზე მენდელეევის სურათს შესცქეროდა, წამოდგა, შერვუდისკენ არც გაუხედავს, ჩანთიდან ერთი ღერი სიგარეტი ამოიღო, ასანთი გააჩხაკუნა და გავიდა.

ხომ უმტკივნეულო შეკითხვა იყო. თამრიკოს, იქნებ დაავიწყდა კიდეც, რატომ დაინტერესდა შერვუდის ქორეოგრაფი-

ული შესაძლებლობით, მაგრამ ხანში შესულ ფერშალს კი წონასწორობა დააკარგვინა.

აბესაძემ ვერ გაიხსენა, მიუმართავს თუ არა ვინმეს მისთვის ასეთი შეკითხვით. „რა მოხდა ვითომ, რაშია საქმე? შემეშალა რამე ამ გოგოსთან? მივიღე მამაშვილურად. ავუხსენი ჩვენი მუშაობის სპეციფიკა. უბატონოდ ხმა არ გამიცია. დაგვიანებისთვის საყვედური არ მიკადრებია და შპრიცის ხელში დაკავებაც კი მე ვასწავლე. უზრდელი გოგოც არ ჩანს. არც ავყიობა შემიმჩნევია: დაუფიქრებლად რომ ისვრის ზოგი სიტყვებს. რა მოხდა აბა, რამ უბიძგა ამ შეკითხვისკენ?“ – ფიქრობდა შერვუდი და ერთი სული ჰქონდა, სანამ თამრიკო სიგარეტს მოსწევდა და შემობრუნდებოდა.

ქალიშვილს ოთახში სიგარეტის არცთუ უსიამოვნო სუნი შემოჰყვა. შერვუდისკენ არც ახლა გაუხედავს, თავის მაგიდას მიაშურა, დაჯდა, ასანთი უჯრაში ჩადო.

– რატომ მკითხე, თამრიკო, საერთოდ...

– რა, ბატონო?

– აი, ცეკვის შესახებ, წეღან.

თამრიკოს გაეცინა და ამ სიცილმა უფრო დააეჭვა შერვუდი.

– ისე... უბრალოდ, მაინტერესებდა. ხომ არ გეწყინათ, ბატონო შერვუდ?

– საწყენი რა არის, მაგრამ საერთოდ... რა ცეკვაზე იყო ლაპარაკი?

– ვერ გავიგე?

– რომელ ცეკვას გულისხმობთ. ცეკვა ბევრნაირია; ჩვენებური, ევროპული, აღმოსავლური, აი, მუცლით ცეკვას რომ ეძახიან.

თამრიკოს ისევ გაეცინა.

– სულ ერთია... რომელიმე-მეთქი, უბრალოდ ვიკითხე.

– ااااا... ჰოოო... გასაგებია! – ხაზგასმით, გაგრძელებულად, ჩამარცვლით თქვა ფერშალმა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს მისთვის ყველაფერი გასაგები გახდა, სინამდვილეში რაც მეტს ფიქრობდა, უფრო ბურუსით მოცული ეჩვენებოდა თამრიკოს წეღანდელი შეკითხვა.

სასადილო შესვენების დროს შერვუდი უჯრიდან სუფთა პირსახოცს ამოიღებდა, ხელს იქვე დაიბანდა, ტაბურეტს ახალ გაზეთს გადააფარებდა და შინიდან წამოღებულ ხახვ-პურ-ყველს, მინის ქილაში ჩადებულ ბადრიჯანს, ან კატლეტს შეექცეოდა. რამდენჯერმე შესთავაზა გოგონას, ერთად ვისადილოთო, მაგრამ ექთანმა ზრდილობიანი უარი მოახსენა. თამრიკო შესვენებისას მოპირდაპირე ქუჩაში საქალაქო არქივის ბუფეტს ეწვეოდა და ყავას მიირთმევდა.

დღეს კი სადილს გული ვერ დაუდო შერვუდმა. შეკითხვა ტვინს უხვრეტდა. ორიოდე ლუკმა გადაყლაპა, მეტი ვერა. ყველაფერს (ხახვსაც) ჩალის გემო ჰქონდა. შეახვია სადილი გაზეთში, ჩანთაში ჩადო, ხალათი გაიხადა და კარი გამოიხურა.

თამრიკოს წინ ძეხვის ბუტერბროდი და ფინჯანი ყავა ედო, ლამაზ ორ თითში მბოლავი სიგარეტი ეჭირა.

შერვუდი სკამზე ჩამოჯდა და თავის ახალგაზრდა თანამშრომელს ისე შეხედა, თითქოს რაღაც სასწრაფო და თანაც საიდუმლო უნდა ეცნობებინა.

– თამრიკო, რომ მეთქვა წელან, ცეკვა ვიცი-მეთქი, დავუშვათ, მაგალითად, მერე?

– რა მერე, ბატონო შერვუდ?

– იცეკვეო, მეტყოდით?

– როგორ გეკადრებათ, მე ბატონო შერვუდ, თუ გაწყენინეთ, ათას ბოდიშს ვიხდი, ვფიქრობდი რაღაცაზე და ზუსტად კი ვერ გეტყვით, შეიძლება წამომცდა კიდეც.

– საბოდიშოდ კი არ მითქვამს. ცეკვა, საერთოდ, იმაზეა დამოკიდებული, გეცეკვება თუ არა ადამიანს. ჩემ დროს არ იყო მაინცდამაინც ასე გავრცელებული ცეკვა, ახლა რომაა. არ ჩამვარდნია მომენტი, თორემ ვინ იცის, შეიძლება მეცეკვა კიდეც. თამრიკომ ფინჯანი მიიტანა ლამაზ ტუჩებთან. მოსვა, ფინჯანი რატომღაც სიგარეტის კოლოფზე დადო, მკლავები ჩაიხვია და შერვუდს ისე შეხედა, თითქოს პირველად ხედავდა, თითქოს ამ სათვალიანი თხელჭაღარა, ფერმკრთალი კაცის ცქერით გული არ ჰქონდა გაწყალებული სამი თვის განმავლობაში.

– კაცმა ცეკვა რომ არ იცოდეს, მე მგონი სასაცილო და საძრახისი სულაც არ უნდა იყოს. – ნელა, მოთოკილი ნერვიულობით ლაპარაკობდა შერვუდი და შუბლზე ოფლის წვეთები უბრწყინავდა – ცეკვას, ვთქვი, მისი არ იყოს, თავისი ხასიათი უნდა. მე, მაგალითად, რომ შევხედავ ადამიანს, გარეგნობაზეც ვატყობ, ვინ იცეკვებს შესაფერის სიტუაციაში და ვინ არა. ზოგი, საერთოდ, ცეკვა-ცეკვით დადის.

თამრიკოს არაფერი უთქვამს. იგი გულწრფელად ნანობდა, რომ ღვაწლმოსილ ფერშალს ასეთი არასერიოზული შეკითხვა მისცა.

დამდურებულებივით უხმოდ დაბრუნდნენ ვეტპუნქტში. კარებთან ტყავის სერთუკში გამოწყობილი, თავბურძგლა კაცი იდგა. გულთან ღონივრად ეჭირა ცელოფანის პარკში გახვეული ძუძუთა გოჭი. გოჭს დინგი მაღლა აეშვირა და ჭყვიროდა. თამრიკომ ყურადღება მიაქცია, შინაურ ცხოველს თეთრი წამწამები, საყვარელი სუფთა ღაბაბი ჰქონდა და ძალიან ლამაზი იყო.

შერვუდმა კარი გააღო. ჯერ თამრიკო გაატარა და მერე გოჭის პატრონი.

– რა ჭირს, ბიჭო, მაგ გოჭს? – სანამ სკამს გამოსწევდა და დაჯდებოდა, ღიმილით ჰკითხა თავბურძგლას.

– ჭყვირის, წეიღო ყურები.

– ნეძვიანად გყავთ?

– კიე.

– რამდენი გოჭი ყავს?

– ცხრაი.

– ძუძუს წოვს?

– რა ვიცი, ქე ებდღვნება დედამისს და.

– თუ დაკვირვებიხართ, დედამისს ყველა ძუძუ დამუშავებული აქვს?

თამრიკოს გაეცინა და ორი მამაკაცის გაკვირვებული მზერა რომ დაიჭირა, თითქოს აქ არაფერიო, ფანჯარაში გაიხედა.

– ვერ გევიგე, ბატონო? – თავბურძგლამ გაჩუმებულ გოჭს

თავი შეუბრუნა და მარჯვენა მკლავზე ჩამოადებინა.

– ძუძუს ხომ ეტყობა, რომელშია რძე და რომელში არა. ერთი სიტყვით, ზოგი ძუძუ გამშრალია. ჩვენ განუვითარებელს ვეძახით.

– არა, ბატონო, ცხრავე გატიკინებულია მშვენიერკარგად.

– სიდიდით ერთი ზომისაა ყველა გოჭი? ეს, ჭყვიტინა, მომცრო ხვარაა ტანად.

– არა, ბატონო, ერთ თარგზე მოჭრილივითაა ყველა.

– აბა, ნუ გეშინია. ჯანმრთელია შენი გოჭი, წაიყვანე და მიუსვი დედამისს.

– რო ჭყვირის, ეს ბალანამოსაწყვეტი?

– გოჭი იჭყვირებს, ბიძია, აბა, რას იზამს, ლექსს ხომ არ წაგიკითხავს სცენიდან. გამეერევა ხანდახან ასეთიც, ყველა ერთი ხართ თქვენ, დედმამისშვილები?

ეს ბოლო არგუმენტი, ჩანს, სარწმუნო აღმოჩნდა გოჭის ჭყვირილით თავმობეზრებული ტყავისსერთუკიანისთვის, ფერშალს მადლობა გადაუხადა, ჩვილივით წააფარა გოჭს ცელოფანი და გავიდა.

გოჭოსანი მოქალაქის წასვლის შემდეგ ოთახში კარგა ხნით ჩამოწვა სიჩუმე. ფანჯრიდან შემოჭრილი მზის სხივი კედელზე დიდხანს და სხვადასხვნაირად აჩრდილებდა თამრიკოს ლამაზ კისერს და მხრებზე ჩამოღვრილ თმებს. სიჩუმე შერვუდმა დაარღვია.

– ცეკვა, თამრიკო, მე რომ ტელევიზორს ვუკვირდები, ნამეტანი ჩქარა იცვლის მოდას. ცეკვას რომ მიყვე ადამიანი ახლა, ერთი კაცი მაგას მოუნდები. ერთს რომ ისწავლი კარგად, მოიხედავ და სხვანაირი ცეკვაა მოდაში. ასე არ არის? თამრიკომ ამოიოხრა.

– დიახ, ბატონო შერვუდ.

– ჩვენ მიგვაჩნია, რაღაც დიდ ამბად, თვარა, რომ დააკვირდე, კაცი, რა არი სასირცხვილო. თუ დადგება მომენტი, კიდეც უნდა იცეკვო ადამიანმა და ყველაფერი. სირცხვილმა შემჭამა მთელი ცხოვრება. ბავშვი ვიყავი და რა დროს ჩემი ცეკვაა-მეთქი, ჯეელი ვიყავი და კარგად რომ ვერ ვიცეკვო,

ხომ წავხდი კაცი-მეთქი. ახლა ხანში შევედი და რა დროს ჩემი ცეკვაა-მეთქი. არ უნდა იყო ამნაირი გაუბედავი ადამიანიშვილი. ასე არაა თამრიკო?

– დიახ, ბატონო შერვუდ, – საიდანღაც შორიდან, იდუმალი ხმით უპასუხა თამრიკომ და შერვუდს მოეჩვენა, რომ გოგონა ისე, გაუაზრებლად ეთანხმებოდა, ამ დროულ კაცთან კამათის გამართვა რომ არ სურდა, იმიტომ.

– იმისი არ იყოს, ახლანდელი ცეკვა სულ არაა ძნელი. გაბედვაა საქმე, თორემ მერე აყევი რიტმს და აქანავე ტანი, როგორც გაგეხარდება. რიტმის გრძნობა ქე უნდა გქონდეს. ისე გიბრაგუნებს თავში ახლანდელი ჯაზი, რომ კამეჩიც ააყოლებს ფეხს. ასე არ არის თამრიკო?

თამრიკოს არაფერი უთქვამს. წამოდგა, შერვუდს ღიმილით შეხედა, თმაზე ხელი ჩამოისვა და ამატირებლად საყვარლად, ტანის რაღაცნაირი რხევით გააბიჯა გარეთ.

შერვუდი კი იჯდა და ფიქრობდა: „რატომ მკითხა, რაშია ვითომ საქმე?“

სნეული

ვასილ ჯუფთაძეს ჯანმრთელობის ცნობა დასჭირდა. სამსახურში (რკინა-კავეულის კვლევის ლაბორატორიაში მუშაობდა) ბულგარეთის ღირსშესანიშნაობათა დამთვალიერებელი ტურისტული ჯგუფის წევრობა შესთავაზეს. იმ ლაბორატორიის ყველა თანამშრომელი სამ-სამჯერ მაინც იყო ბულგარეთში და ბოლოს ვასილის ჯერიც დადგა. რკინა-კავეულის ლაბორატორიას წლების განმავლობაში მხოლოდ ბულგარეთის ტურისტულ საგზურს სთავაზობდნენ. სემირამიდას დაკიდებულ ბაღებს და ფიჯის კუნძულების ეგზოტიკას სხვა ლაბორატორიათა თანამშრომლები ეცნობოდნენ.

ვასილი ჯანმრთელი კაცი იყო. ბიულეტენზე მონადირე მოქალაქეთა რიცხვს არ ეკუთვნოდა. ორმოცდახუთი წელი მოათია და ავად (სერიოზულ ავადმყოფობას ვგულისხმობ), თითქმის არ გამხდარა. სურდოსთვის და თავის წამოტკივებებისთვის ექიმს ხომ არ შეაწუხებდა, ამიტომაც პოლიკლინიკაში თითქმის არ დადიოდა და კაცმა რომ თქვას, არც პოლიკლინიკიდან აწუხებდნენ მაინცდამაინც.

– ასე ვქნათ ახლა ჩვენ, – პოლიკლინიკის გამგემ, არაელამმა, ბოხხმიანმა, ასაკოვანმა ქალმა ვასილის ანკეტა განზე გასწია, შავი ხაზებით აჭრელებულ ფურცელს თავზე ავადმყოფის სახელი და გვარი დააწერა და მავთულის სამაგრით („სკრეპს“ რომ ეძახიან), შვიდიოდე პატარ-პატარა ქაღალდიც ზედ მიაკრა – დღეს ჩამოვლა გავაკეთოთ, რასაც მოასწრებთ, რასაკვირველია. ხვალ ანალიზებს მოიტანთ და გაეშუქებით, – საათზე დაიხედა, – რენტგენოლოგი ჩვენთან თორმეტამდეა.

– მე... ისაა... არაფერი მაწუხებს და... ხომ არ შეიძლებოდა, რასაკვირველია, – განახლება-გარდაქმნამდე ვასილ ჯუფთაძის ეს სიტყვები სრულიად ბუნებრივად ჟღერდა, ახლა კი პოლიკლინიკის გამგეს სასაცილოდაც არ ეყო.

– როგორ გეკადრებათ, ათი თავი მაქვს? დამთავრდა ის დრო, ჯანმრთელ კაცს სიტყვაზე რომ ვენდობოდით. შვილი რომ იყოთ ჩემი, ვერაფერს დაგეხმარებით.

ბოხხმიანმა ქალმა ვასილი მოწყენილად ერთხელ კიდევ შეათვალიერა. „ძალიან ხომ არ ვიბერებ თავს. მართალია ჩემზე უმცროსია, მაგრამ, რა ადრეც უნდა გავთხოვილიყავი, ამხელა შვილი მაინც არ მეყოლებოდაო“.

ჯუფთაძემ მადლობა გადაუხადა გამგეს. ანკეტა-მიმართვები ჩაბღუჯა, დერეფანში გამოვიდა, პირველივე კარებთან გრძელ სკამზე მჯდომ, ბერეტიან ქალიშვილს დამთქნარება აცალა და მერე მოკრძალებით ჰკითხა:

– ექიმს ელოდებით?

– არა, – მიუგო გოგონამ და განზე გაიხედა.

– შეიძლება აბა შევიდე? ჩამოვლაზე ვარ.

– შებრძანდით, – ქალიშვილმა მხრები აიჩეჩა, ერთხელ კიდევ დაამთქნარა, ფეხები გამართა, უქუსლო, შინდისფერი მოკლეყელიანი ჩექმა-ფაჩუჩების წვერები ერთმანეთს გაუსვა და თავის ქალიშვილურ ფიქრებს დაუბრუნდა.

კედელთან ბრონზეს ასოებით ეწერა „სტომატოლოგი“.

ვასომ კარი შეაღო და გაქვავდა. სავარძელში კაცი იჯდა და ყელგამოღადრულივით ბღაოდა. აქედან მხოლოდ მისი უიმედოდ მოტვლეპილი თავი და მუხის ფოთლებივით შეჭრილ-შემოჭრილი ყურები ჩანდა. მკერდზე სათვალედაკიდებული, სანდომიანი სახის ექიმი ქალი მშვიდად, დაღლილი ხმით ეუბნებოდა.

– უნდა მოითმინოთ, ბატონო. უნდა მაცალოთ მუშაობა. ფესვამდე ხომ უნდა ჩავიდე.

– მმმ... უუუ... მმმ... – პრეისტორიულ ხმებს გამოსცემდა პაციენტი და თვითნასწავლი მუნჯური ჟესტიკულაციით ცდილობდა მიეხვედრებინა ექიმი, რომ მეტის ატანა აღარ შეეძლო.

– გადააფურთხეთ, – სანდომიანი სახის ქალბატონმა ხელში კალამივით მომარჯვებული ელექტრობურღი თავის ადგილს დაუბრუნა და ჯუფთაძეს გამოხედა.

მუხისყურამ გადანერწყვა. ყელსაფრით ცრემლი მოიწმინდა და ახლა იმანაც განწირული მზერა ესროლა შემოსულს.

– ჩამოვლაზე ვარ. ბოდიშს ვიხდი.

– ხომ ხედავთ, ბატონო, ავადმყოფი მყავს. უნდა მომითმინოთ ცოტა ხანს.

– კი ბატონო, ჩვენ ბოდიში.

ვასომ უკან გადადგა ნაბიჯი, კარი გამოიხურა და ის იყო ფანჯარას მიადგა, რომ სტომატოლოგის ოთახიდან ისევ მოესმა ბურღის წუილს მოდევნებული, დაგუდული ბღუილი. ასეთ ხმას ცხენები პირველჭედვაზე, ხოლო კამეჩები დადაღვის დროს გამოსცემენ.

ქალაქის იმ ნაწილს, რომელსაც ახლა ვასილ ჯუფთაძე უმზერდა, სრულიადაც არ ეტყობოდა, რომ მარტის შუა რიცხვები იყო; ხეებს წვენი რომ ჩადგომოდათ, იები და ყოჩივარდები რომ მოსდებოდნენ თბილისის ირგვლივ ჯერ კიდევ შერჩენილ დაბალ ტყეებს და ძეძვნარებს, ხოლო ჩრდილიანებში ძველი თოვლი თვალდახელშუა რომ მიიპარებოდა. ქალაქში ჯერ კიდევ პალტოები ეცვათ. ქვემოთ, ჭიშკართან ბრეზენტისჯუბაჩიანი მუშა ცეცხლზე შედგმულ შავ კასრს შავი კეტით ურევდა და სახეზე ხელაფარებული თავის უზარმაზარ ჩექმებს დასცქეროდა. აქეთ, ტელეფონის ჯიხურთან, ავტოინსპექტორი დახრილიყო და „გრა 39-67“ თეთრ ჟიგულზე ნომრებს ხსნიდა.

უეცრად კარი თვითნაკეთი ბომბის გასკდომასავით გამაყრუებლად გამოიგლიჯა და თავკოტორა პაციენტი გულზემჯიღდადებული გამოვარდა ჰოლში. კენგურუს სამიოდე ნაბიჯი რომ გადადგა, სამხედრო მეცადინეობის ბეჯითი კურსანტივით სწრაფად შემოტრიალდა და სხვა მხარეს გაიქცა. ისევ შეჩერდა, ისევ ასოთხმოცი გრადუსით შემობრუნდა, ყელ-მკერდზე ჩამოპროწიალებული ხილაბანდი მოიგლიჯა, სტომატოლოგს კაბინეტში შეუგდო და ისე შეუვალად გააბიჯა, რომ აშკარად ჩანდა, ამ ხუთწლედში უკან მომბრუნებელი არ იყო.

– თქვენ მე მელოდებით? – ისე მშვიდად ჰკითხა სტომა-

ტოლოგმა სავარძელზე ლამაზად ფეხებგაჭიმულ გოგონას, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

– არა – ქალიშვილი არ წამოწეულა. იგი დაღლილი გახლდათ და წამდაუწუმ ამთქნარებდა.

– შემობრძანდით, – ნახევრადმომდურალი მეზობელივით შეხედა ექიმმა ვასილ ჯუფთაძეს.

ბულგარეთის ტურისტული ჯგუფის მომავალმა წევრმა კარი შეიხურა და ქაღალდების ჯგრო მაგიდაზე დააწყო.

– მითხარით, არ არის ახლა ის სულელი? – ექიმმა ხელი შეიმშრალა და მაგიდას მიუჯდა.

– აბა რა არის, – ვასილს გაუხარდა, რომ ქალმა რაღაც ჰკითხა მისთვის სრულიად ნეიტრალურ საკითხზე. ნეიტრალურზე იმიტომ, რომ აწყვეტილი ბუღასავით დერეფანში გაჭრილი მუხისყურება კაცის ფსიქიკური წონასწორობა, ამ შემთხვევაში, ჯუფთაძეს ნაკლებად აინტერესებდა, მას თავისი დარდ-საფიქრალი ყოფნიდა.

– კბილები გაწუხებთ? – ქალმა ანკეტას ის ფურცელი გამოარიდა, რომელშიც სტომატოლოგს დასკვნა უნდა ჩაეწერა.

– არა, – დაბეჯითებით უპასუხა ვასილმა.

– ეგ თქვენი აზრია, მობრძანდით.

ჭერისკენ ყბააშვერილ ვასილს კარგა ხანს უკაკუნა კბილებზე პაწაწკინტელა ჩაქუჩი, მერე ჩაქუჩზე უფრო პატარა სარკე უტრიალა კბილის ღრუში და განუცხადა, რომ საღეჭი მეოთხე და ზედა, წინა, საკბეჩი მეორე კბილის „კარიესი“ უკვე დაწყებული იყო და სასწრაფო საექიმო ჩარევას საჭიროებდა. უკანა ქვედა სიბრძნის კბილის აქეთა, არასიბრძნის კბილი ჩამოტეხილი იყო და ჯერ ამოშენებას, მერე კი გადაკვრას ითხოვდა. რატომღაც ექიმმა მარცხენა ყბის პირველი ქვედა საღეჭი კბილი გაუბურღა, გაბურღულში ბამბა შეუკუჭა, დააკვირდით შინ, ცივზე, ან ცხელზე თუ გეტკინებათო, დააბარა და ზეგ, სამის შემდეგ დაიბარა.

დერეფანში გამოსულ ვასილს ქალიშვილისთვის რაღაც უნდა ეკითხა, მაგრამ ეუხერხულა. სტომატოლოგის კაბინეტის წინ სავარძელში მიყუჩულ გოგონას თუ არ ეძინა, თვ-

ლემით ნამდვილად თვლემდა, ყოველ შემთხვევაში გარეგნულად ასე ჩანდა.

თუ გასინჯვის ბარბაროსულ ვითარებას მხედველობაში არ მივიღებთ, ვასილ ჯუფთაძე ურولოგთან არ დაყოვნებულა. შარვალს რომ იცვამდა, მორცხვი ღიმილით შეჰყურებდა ორფასათვალიან, ფოცხვერისულვაშა ექიმს, რომელსაც უსვირინგო მკლავებზე თეთრი ხალათი იდაყვამდე აეკაპიწებინა და წერისას, ხანდახან, ქვედა ყბას წინ კონტუზიანივით წამოწევდა.

– გაყენებს ღამღამობით?

– ვერ გავიგე?

– ღამე თუ შარდავ-მეთქი.

– კი, ხანდახან.

– ერთჯერ?

– ნამდვილად.

– აწი მოგიმატებს. პაციენტები მყავს – ექვსჯერაც კი დგებიან საწოლიდან. ჯერ შენთან საგანგაშო არაფერია, მაგრამ დროული ჩარევა მაინც სჯობია. შარდმდენს დაგინიშნავ და კვირაში ორჯერ მასაჟს.

– მასაჟი აუცილებელია? – შიშით ჰკითხა ჯუფთაძემ.

– აუცილებელი, ახლა... კი არ დაგიჭერენ ამაზე. შენთვის გეუბნები. ახლა თუ არ მიხედავ, ორმოცდაათის რომ გახდები, საოპერაციო მაგიდაზე დაწოლა მოგიწევს. პროსტატას ნუ ეხუმრები. ხომ იცი, როგორი მგრძნობიარეა. რა მოხელე ბრძანდები?

– ლაბორატორიაში ვმუშაობ.

– ეტყობა კიდეც შენს პროსტატას. ხანდახან არც ღვინოზე იტყვი უარს, ისე, ზომიერად, ხომ ასეა?

– ისე, ზომიერად, იშვიათად რასაკვირველია.

– ჰოდა, თუ ჯანმრთელობა გინდა, პროფესიის შეცვლაზეც უნდა იფიქრო. რამე უფრო მოძრავი სამუშაო არ გაწყენდა.

ვასილმა მადლობა გადაუხადა. მასაჟზე მოსვლის დღეებად სამშაბათი და შაბათი აირჩია (ორშაბათს კბილის ექიმთან უნდა მისულიყო) და, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანებული დაშორდა ურولოგს. პროფესიის შეცვლის მოთხოვნამ დაადარდიანა.

ნევროპათოლოგის კაბინეტთან ორი გრძელი სავარძელი სავსე იყო ავადმყოფებით და რამდენიმე კაცი წინდაუკან, მხოლოდ მისთვის გასაგები ბუტბუტით მიმოდიოდა. ჯუფთაძემ ქაღალდებიანი მარჯვენა გულზე მიიდო და პაციენტებს თხოვნა შეჰკადრა – თუ შეიძლება, გამონაკლისის წესით, ერთწამიანი საქმე მაქვს, ძალიან მეჩქარებაო. გაირკვა, რომ ორსკამეიკანახევარ ავადმყოფებსაც ერთწამიანი საქმე ჰქონდათ და ყველას ძალიან ეჩქარებოდა. – ავადმოფი არ გახლავართ, ცნობა დამჭირდა ეს ოხერი, ხელს მომიწერს და ამ წუთში გამოვალო – მავედრებელი ხმით და საწყალი კაცის იერით თქვა ვასილმა. გაირკვა, რომ ნევროპათოლოგთან ყველა ჩამოვლაზე იყო და ყველა ცნობაზე ხელმოწერის ერთ ფიორ საქმეს შეეწუხებინა. ვასილმა ეშმაკობას მიმართა, ნევროპათოლოგის და თერაპევტის კაბინეტებთან ცოცხალი რიგი დაიკავა და შედარებით თავისუფალი ლარინგოლოგის სადად მორთულ სამუშაო ოთახში ამოჰყო თავი.

ლარინგოლოგი დიდხანს და, ვერ დავუკარგავ, ერთგულად სინჯავდა ჯუფთაძეს. იგი წონაში სპილოსგამოდევნებული, შუახანსგადაცილებული მამაკაცი იყო და მძიმედ, ხვნეშით სუნთქავდა. სამოცდაათი კილოგრამი მაინც უნდა დაეკლო, რომ საშუალოდ შესუქებული მამაკაცის იერი დასდებოდა. ამისთვის შეიძლება, სამოცდახუთი კილოგრამის დაკლებაც საკმარისი ყოფილიყო, დანამდვილებით ვერ მოგახსენებთ, შარის თავი არა მაქვს.

ჯერ ცხვირის ხრტილზე ხელი ღონივრად მიაჭირა ჯუფთაძეს და ნესტოებზე სარკე მიანათა. ხელის მიჭერა, ცოტა არ იყოს, მაგრად მოუვიდა, ხრტილმა „ტკაპ“ დაიძახა, მაგრამ ავადმყოფის წამოყვირებაზე ექიმს ხელი არ აუღია. „იცის ალბათ, ასეთი უბრალო დაწოლით ხრტილი რომ არ ტყდებაო“ გაიფიქრა ჯუფთაძემ, მერე ყურში პატარა, მონიკელებული ლამაზი ძაბრი ჩაუდო და მანამ უტრიალა, სანამ ხიცინით აღელვებულმა პაციენტმა ნერვიული ხითხითი დაიწყო. გასინჯვის ბოლო ეტაპი უფრო ძნელი აღმოჩნდა: პირი დააღებინა, „ა�ა“ დააძახებინა, კიდევ ერთხელ დააძახე-

ბინა „ااااა“ და შესაფერისი მომენტი რომ შეურჩია, ისე ენერგიულად თხარა ყელში ლარინგოსკოპი (ფოლადის გრძელ ღეროზე დამაგრებული სარკე) რომ რკინა-კავეულის ლაბორატორიის თანამშრომელს თვალები კინაღამ ბუდიდან გადმოუცვივდა და ქუთუთოები ყელშიწაჭერილივით დაებერა. აქამდე თუ ჩუმად იყო, გასინჯვის მერე ბეჰემოთისწონიანი ლარინგოლოგი გამოცოცხლდა. „თქვენი სენებიდან ორი მკურნალობას ემორჩილება, ერთი არაო – მიახარა ვასილს – ყელში სიმშრალე გაქვთ, ყურის ბარაბნის შესქელება და ცხვირში ქრონიკული სურდო – ლორწოვანი გარსის ქრონიკულ ანთებაშია გადასულიო. ყელისთვის ყოველდღე ინჰალაციას გინიშნავთ, ყურისთვის გამორეცხვას და ფიზიოთერაპიას, ცხვირში დღეში სამჯერ ნაფტიზინი ჩაიწვეთეთ და ამ კურსს რომ მორჩებით, მომაკითხეთ, იქნებ მერე სხვა კურსი გახდეს საჭიროვო“.

ვასილის ანკეტა-მიმართვებს სამი ქაღალდიც დაემატა: რეცეპტი და ორი დანიშნულების ფურცელი. საინჰალაციო მესამე სართულზე აღმოჩნდა, საკარდიოგრამო ლაბორატორიის გვერდით, ხოლო ფიზიოთერაპიის კაბინეტი მეორე კორპუსში გადაეტანათ და იქ რა ადგილას იყო, ზუსტად ვერავინ უთხრა. გადადით მეორე კორპუსში და იქ მიგასწავლიან, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, არ დაგიმალავენ. კეთილი ადამიანები ყველგან არიანო, უთხრა ლურჯხალათიანმა, მკლავზე წითელჯვრიანმა სანიტარმა ქალმა, რომელსაც ხელთ ცოცხი და ვედრო ეჭირა და, ვინ იცის, გარემოების გამო, იქნებ, დამლაგებლის თანამდებობასაც ითავსებდა.

სიტყვა რომ აღარ გავაგრძელო, მოკლედ მოგახსენებთ: ოკულისტმა თვალის გარსის ანთება, თვალის წნევა და მხედველობის მსუბუქი დაქვეითება აღმოუჩინა. წვეთები და სათვალე გამოუწერა, ხოლო აკრძალვით წყალში ყვინთვა, დიდხანს კითხვა და ტელევიზორის ერთ საათზე მეტ ხანს ყურება აუკრძალა. ყვინთვას იოლად შეელია ჩვენი გმირი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არათუ ყვინთვა, ცურვაც არ იცოდა და ზღვაში მხოლოდ წელამდე შედიოდა, ისიც იშვიათად, კარ-

ტის თამაშით და მაღალფეხება სვერდლოვსკელი გოგონების ცქერით რომ დაიღლებოდა. წიგნთან და ტელევიზორთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა, რომ არ დაგიმალოთ, აშკარად შეაშფოთა. წიგნის კითხვა და ტელევიზორი (განსაკუთრებით ტელევიზორი) ჯუფთაძეს ძალიან უყვარდა.

ვერც თერაპევტს დაშორდა მშვიდობიანად. ვასილს მუცლის პერიოდული შებერილობა, ყაბზობა და კოლიტის დასაწყისი სტადია აღმოაჩნდა. დიეტა, საღამოობით ფეხით სიარული და სასაქმებელი ზეთი დაუნიშნა. თუ ამან ვერ გიშველაო, კვირაში ერთხელ ნაწლავების გამორეცხვას მიმართეთო, სთხოვა ახალგაზრდა, ბროლისთითება ფერფლისფერთმიანმა თერაპევტმა, რომელიც ისე მსუბუქად და დიდხანს სწავლობდა ვასილის მუცლის შებერილობას, თითქოს როიალზე უკრავსო.

ნევროპათოლოგთან შესვლამდე კამათის მეთოდით მოუწია ვასილს ავადმყოფთა შორის იმის დამტკიცებამ, რომ მან ამ ორმოცი წუთი წინ რიგი დაიკავა. კამათმა კატეგორიული ფორმა მაშინ მიიღო, როდესაც ჯუფთაძე საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მის შემდეგ მოსულ პაციენტს ცდა მოსწყენოდა და წასულიყო, ხოლო წინ მდგომ, ხელჯოხიან მოხუცს რკინაკავეულის ლაბორატორიის თანამშრომელი აღარ ახსოვდა. ხელჩართულ ჩხუბამდე საქმე არ მისულა; ვინც ვასილამდე იდგა რიგში კამათის შედეგი სულ არ ანაღვლებდა, ხოლო ვინც ბოლოში იყო, ფიქრობდა – მაინც კარგა ხანს მიწევს ლოდინი, რაზე ავიწეწო კიდევ უფრო, ეს ისედაც აშლილი ნერვებიო. ახლომახლო მდგომ ორ-სამ კაცს, როგორც იქნა, მოუარა ვასილმა: ზოგს ლოგიკის რკინის კანონით, ზოგს ეჭვმიუტანელი საბუთებით და ზოგს უბრალოდ დაშინებით (რაკი სხვა გამოსავალი ვერ იპოვა).

ულვაშ-ცხვირიანად გაპარსულმა, გამხდარმა, ჭაღარაშეურეველმა, ხუჭუჭთმოსანმა ჭარმაგმა ნევროპათოლოგმა იმდენ ხანს ატარებინა თვალები იქეთ-აქეთ (შესაბამისად ზემოთ და ქვემოთ) და იმდენ ხანს ურტყა ჩაქუჩი მუხლებზე ვასილს, სანამ ნევრასთენიის მსუბუქი ფორმა და გადატანილი ვეგეტონევროზი აღმოუჩინა. დღეგამოშვებით აბაზანის

პროცედურები, სარაჯიშვილის მიქსტურა და დაწოლის წინ „ტაზეპამი“ დაუნიშნა ავადმყოფს, რომელმაც თავისი საინტერესო ავადმყოფობის შესახებ ეს-ესაა შეიტყო და ექიმს შიშისგან გაფართოვებული თვალებით შეჰყურებდა.

მეორე დღის თავგადასავლებით და საანალიზო-ლაბორატორიული დაკვირვებების ჩამოთვლით მკითხველს აღარ გადავღლი და ზოგი რამის წარმოდგენას მის მდიდარ ფანტაზიას მივანდობ.

* * *

ამასწინათ შემხვდა ვასილ ჯუფთაძე, ძლივს ვიცანი. ყელი შეეხვია, ყურებში ბამბა გაერჭო, ხელჯოხი ეჭირა და ფერდაკარგული ჩანდა. პოლიკლინიკის შესასვლელთან ხალხი ირეოდა და დიდხანს ვეღარ გავუჩერდით ერთმანეთს სალაპარაკოდ. მეჩქარებოდა. სამსახურში ჯანმრთელობის ცნობა მომთხოვეს და სასწრაფოდ უნდა მიმეტანა. რამ შეგაწუხა-მეთქი, ვკითხე.

შენ ის მითხარი, რამ აღარ შემაწუხაო. სერიოზული ავდმყოფი ვარ, მესამე თვეა პოლიკლინიკაში ვაღამებ, მაგრამ უკეთესობას, ჯერჯერობით, ვერაფერს ვატყობ თავსო. რა მებულგარეთება ავადმყოფ კაცსო.

სამსახური-მეთქი?

სამსახურისთვის ჯერ თავი არ გამინებებია, ბიულეტენზე ვარ, მაგრამ სანამ შეგინახავს ბიულეტენი, გამათავისუფლებენ ალბათ ამ დღეებში და სტაციონარულ მკურნალობაზე გადავალო.

სად?

ცხვირსახოცზე ხელების მშრალებით, ხველება-ლაპარაკით, მხარზე გადაკიდებული ჩანთების წამდაუწუმ სწორებით შევლაგდით მწვანედ აფერადებულ დარბაზში და მაგიდებს შემოვუსხედით. ექსკურსიული ყაყანისაგან დაისვენა ყურებმა. გრილა და სიმყუდროვეა. მწვანე ხალიჩაზე ოფიციანტებიც ფეხაკრეფით დააბიჯებენ. აკვარიუმის თევზიც გარინდებულა. ასეთ ფეშენებელურ რესტორანში მეორედ ვსადილობთ. სხვა დროს ნახევრადსარდაფ დარბაზებში და ჭილოფისსკამებიან ბარებში გვიწევს პურის ჭამა. ამას გიდები ნაციონალურ სამზარეულოსთან ჩვენი ურთიერთობის გასარკვევად გვიწყობენ. ახლა კი, ვატყობ, ის შემთხვევაა, როცა ცარიელი თეფშის ირგვლივ თექვსმეტი დანა-ჩანგალი აწყვია და კერძსა და კერძს შორის საშუალოდ, თუ მეტი არა, ერთსაათიანი ინტერვალი მაინც ძევს. დირიჟორივით გამოწყობილმა, ხუჭუჭაღარა კაცმა საზეიმო იერით გამოგვიცხადა რაღაც. ყველანი წამოიშალნენ უკმაყოფილო ბუზღუნით. ჩემი გიდი, რომელიც თავპირით და მიხვრა-მოხვრით კუს წააგავს, მიხსნის, რომ თურმე ჩვენთვის მაგიდა სხვა დარბაზშია გაწყობილი და რესტორნის მენეჯერი იქეთ გვეპატიჟება. რა გაეწყობა. სხვა დარბაზი შედარებით ვიწროა და დაბალჭერიანი სკამშემოწყობილ მაგიდებს შორის გავლა ჭირს, არც აკვარიუმი ჩანს და არც მწვანე ხალიჩები. მეც არ გამიკვირდა? რა სერიოზული და მედიდური სახეებით ვუსხედით წელან ყაყაჩოებით შემკობილ მაგიდებს და ხავერდის სავარძლებზე თითებს ვათამაშებდით.

დარბაზის სიღრმეში ჯდომა არ მიყვარს, სული მეხუთება. ოფიციანტების ხელისმოსანაცვლებელი მაგიდის გასწვრივ, ფანჯარასთან მოვკალათდით. თარჯიმანმა მენიუ გაშალა, ისე, ყოველ შემთხვევისათვის. კარებში ორი დაგვიანებუ-

ლი მამაკაცი ჩანდა. დგანან და დარბაზს ზვერავენ. ჩვენი ამქრის წევრები გახლავან. დილითვე შევამჩნიე, ავტობუსში წინა რიგში სხედან. ერთი ლომისფაფარა, მომცრო ცხვირ-პირიანი, მაღალი კაცია, გარდი-გარდმო ხუთიოდე ჩანთა ჰკიდია, მეორე, ჩია ტანის, შავწვერა ბიჭია – გიდი. უკან რომ ვბრუნდებოდით, წეღანაც შევნიშნე, მაღლა, მონასტრის შემოგარენში. ჩუმად, მაგრამ გულმოდგინედ, გაფაციცებით მუშაობენ. ჩანთოსანი ჯერ სინათლისმზომს ამოიღებს და დიდხანს, ბუტბუტით დაჰყურებს, მერე გადაღებას იწყებს. ჯერ ფოტოაპარატებს აჩხაკუნებს, მერე კინოაპარატს ააღუ-ღუნებს, მორიგეობით აჩეჩებს გიდს ხელში თავის ფოტოკი-ნოარსენალს. ბოლოს გაიქცევა, ტაძრის ფონზე ჟირაფივით აღიმართება და გიდს, რომელმაც თავისი მოვალეობა ამ-ჯერადაც ჭკვიანურად შეასრულა (აპარატის ღილაკს თითი დააჭირა) კმაყოფილი უქნევს თავს. მერე კვლავ იბრუნებს აპარატთა-ხურჯინებს და მძიმედ დატვირთული, საოცრად მხნედ, ჩხაკუნ-ჟღარუნით განაგრძობს გზას.

ჩვენს მაგიდასთან ორი სკამი თავისუფალია. ხელი და-ვუქნიე. წამოვიდნენ და დასხდნენ. არც მადლობა, არც ამ-ბავ-ხაბარი, მაღალი ჯერ ჩანთებიანად გაიჭიმა, მერე ნელ-ნელა დაიწყო ტვირთის მოცილება. ბოლო ჩანთა რომ მოიხ-სნა, გიდს რაღაც ჩაულაპარაკა და წამოდგა. ჩანს, ხელის დასაბანად გავიდა. სანამ მისი კლიენტი დაბრუნდებოდა, არც შავწვერა გიდს გამოუხედავს ჩვენკენ.

მერცხლისკაბოსანმა, ულვაშაწკეპილმა ოფიციანტმა ოთხი ბოთლი სოდიანი წყალი დაგვიდგა მაგიდაზე და თავაზიანი ღიმილით გაგვეცალა. მაღალი, წერომიხატული ჭიქებიდან წყალს ვწრუპავთ და სადილს ველოდებით. ჯერ ჩითილში გამოყვანილი, არაჟანგადასმული კიტრის უმარილპილპილო სალათა ჩამოგვირიგდება, მერე ღრმა ფინჯანებში ჩასხმული ბულიონი, რომელშიც ნახევარი კვერცხი ტივტივებს. მერე ზედაპირშემომწვარ, თითქმის უმი ხორცის ჭამით გვეტკი-ნება ყბები და ბოლოს მსხლის კომპოტით ჩავიკოკლოზინებთ ყელს. და ყოველივე ამას ორი საათი მაინც დასჭირდება. ვინ

გცემს იმდენ პატივს, ყველაფერი ერთად მოგიტანონ, შეჭამო შენი არჩივი და მიხედო შენს საქმეს კაცმა. ვათვალიერებ, ჩემს მეტს ნერვები არავის ეშლება. ეს იმას ნიშნავს, რომ ასეა საჭირო და საერთოდ, ჩემისთანა ნერვებმოშლილი კაცი საზღვარგარეთ არ უნდა დადიოდეს.

ჩემი გიდი ბალკანელია. ორი უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული. ცოლ-შვილს ადრე მოკიდებია და მოსწრებული შვილები ჰყავს. უფროსი ქალიშვილის სურათი დღეს მეოთხედ მიჩვენა, კოლეჯში სწავლობს შდცხჰლბორდში (რაღაც ამის მსგავსი ქალაქი დამისახელა, მკითხველს ბოდიშს მოვუხდი, სიზუსტეზე თავს ვერ დავდებ), აქედან ხუთას კილომეტრზეა, შინ იშვიათად მოდის. ახლა ისე აქვს საქმე, მგონი, თხოვდება კიდეც, თუ რაღაც ამის მსგავსიო. დილიდანვე კროსვორდს უკირკიტებს. თუ დროზე ამოხსნა, მოიცლის, ალბათ ჩემთვისაც.

დრო ნელა გადის. მოწყენილობისგან მთქნარება ამიტყდა. რა მშვენივრად ეწყობიან ადამიანები ერთმანეთს. ჩემ ირგვლივ მრავალხმოვან-მრავალეროვანი დიალოგები ისმის. მარტო ჩვენს მაგიდაზე მეფობს სიჩუმე. ოთხივენი ჩვენთვის, ჩვენს ფიქრებში ჩავძირულვართ. ასე არ ივარგებს. ბოლოს და ბოლოს ერთი ფირმის სტუმრები ვართ. რას იფიქრებს ეს პატიოსანი კაცი. ბაიყუშივით დადუმებული რომ შევცქერი. კულტურის ამბავია, რაღაც უნდა ვკითხო, რამე უნდა მოვიფიქრო, ცოტას მაინც ავალაპარაკებ. მართალია, ფოტოკინომაგნიტოვიდეოტექნიკის მე ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ სხვა რამეს ვკითხავ, სალაპარაკო ცოტაა?

– ჰკითხე ერთი, თუ ძმა ხარ, – ჩვენს გიდს მივუბრუნდი, – რომელ ქვეყანას წარმოადგენს.

გიდმა შეკითხვა ვერ გაიგო.

– საიდან ბრძანდებით-თქო.

ჩემმა გიდმა ჯერ თავის კოლეგას უჩურჩულა, იმან თავის მხრივ ლომისფაფაროსანს ჰკითხა და იმავე გზით პასუხი დამიბრუნდა.

როცა შევიტყვე, საიდანაც იყო, გავუღიმე ისე, ზრდილობისათვის. იქედანაც რომ არ ყოფილიყო, საიდანაც არის,

მაინც გავუღიმებდი. ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, ღმერთმა ხელი მოუმართოს.

– თუ საიდუმლოება არ არის, რა მოხელე-ნაჩალნიკია?

ჩემმა გიდმა, ალბათ, ცოტა შეალამაზა შეკითხვა და მსვლელობა მისცა.

შევატყვე, თანამესუფრეს მაინცდამაინც ხალისით არ მიუღია შეკითხვა. ოთხი სიტყვა გადაუგდო თავის გიდს.

– სახუმარო ლექსებს, კუპლეტებს და შარადებს ვწერო კაბარეებისთვის.

არაა ურიგო საქმე.

„თუ შეიძლება, თქვენს ქვეყანაში, მარტო მაგ ხელობით კაცმა თავი ირჩინოს-მეთქი“. ისე, უბრალოდ, სიტყვის მასალად ვეკითხები, მინდა ავალაპარაკო, თორემ რას დავეძებ, ვინ მკითხავს, ძუკუს საქმე ძუკუმ იცის.

კითხვა რომ მოისმინა, მომიბრუნდა და საბაჟოს მოხელის კატეგორიულობით, ცოტა ხმააწეულად მომმართა. შევატყვე, მთლად სასიამოვნო რაღაც რომ არ უთქვამს, მაგრამ ვერც იმას წარმოვიდგენდი, ასე ხვადაგი თუ აღმოჩნდებოდა.

„მეო, პროფესიონალი გახლავართ და საერთოდ, ინტერვიუშიც კი ფულს მიხდიანო. ჩემი საანკეტო მონაცემები სხვა არხით დაადგინეთ, თუ ძალიან გაინტერესებთ. მე კი მაპატიეთ, მაგრამ სადილს ველოდები და მეტ შეკითხვას ნუ მომცემთო“.

ა, კაცი. არ ვარ ენამოსაჭრელი? დამდურებულებივით ჩუმად რომ ვართ, უზრდელობაში არ ჩამომართვას-მეთქი, თორემ რა ენა მექავებოდა? რა ენაწყლიანობა და ცნობისმოყვარეობა ამიტყდა. გუნებაც გამიფუჭა და ჭკუაც დამარიგა. ახია ჩემზე. ახლა, იქნებ, იმასაც იმსახურებს, თავის კუპლეტ-წკიპურტებიანად გავგზავნო ერთ ადგილას, მაგრამ არ მეკადრება. წყენა არ უნდა შევიმჩნიო. მით უმეტეს, რომ ჩემი ბრალიცაა და, კაცმა რომ თქვას, ისეთი არაფერი უკადრებია.

უხალისოდ, უგემურად ვისადილე. დესერტს აღარ დავლოდებივარ. გამოვედი, ცოტას გავისეირნებ, გულის ჯავრს გადავიყრი-მეთქი.

მოედანი გადავჭერი და ტაძრისკენ წავედი. დგას ათასწლოვანი, ღმერთის სახლი მაღალი კარებით, ცისკენ წასული ბრინჯაოსფერი გუმბათით, მოფრთხიალე მტრედებით, დგას გალავანშემორღვეული, მაგრამ გრანდიოზული და ღონიერი.

ქალაქს სამოცი კილომეტრითაა მოცილებული ეს მონასტერი. კლდეების უბეში მიყუჟულა. სამი მხრიდან აყუდებული კლდეებითაა დაცული.

სიჩუმეა მონასტრის ტალანებში. სხვა სამყაროა, სხვა სამეფო. სანთლების შუქზე, საკურთხევლის მარჯვნივ ბერი მიმჯდარა. თავს არ ანძრევს. გაქვავებულა. ნეტავ რაზე ფიქრობს?

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი მარტო. მახსოვს, წარმოუდგენლად დავმშვიდდი და გამოვიცვალე. წეღანდელმა წყენამაც გამიარა. აქ, მონასტრის სიმყუდროვეში არავინ გერჩის, მარტო ხარ შენს თავთან. შეგიძლია ფიქრით ქვეყანა მოიარო და უკან დაბრუნდე. აქ სიგნალს და ზარს არავინ გაძლევს. აქამდე ვერ აღწევს ნერვული დრო და ტოტალური სიჩქარე. ამიტომ მიყვარს მონასტერში დგომა და ქრისტეს წამებული სხეულის ცქერა.

– გწამთ?

მოვიხედე. ჩემ წინ მთლად გათეთრებული, სათნო სახის, სწორცხვირიანი, შავანაფორიანი მღვდელი დგას და მიღიმის, თბილი, დარბაისლური ღიმილით.

შევცბი, რა ვუპასუხო?

– მაპატიეთ... იცით... როგორ გითხრათ, მწამს-მეთქი რომ გითხრათ, არ ვიქნები მართალი, მაგრამ მონასტერში ყოფნა ძალიან მიყვარს... არ ვიცი... არ გეწყინოთ კია...

– თქვით, თქვით, არ მიკვირს თქვენი პასუხი, სრულიად ბუნებრივია. ახლა აქ შემომსვლელთა ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი ამ პასუხს მაძლევს.

– ხომ იცით... ძნელია, ჩერნობილის მერე ღმერთი იწამო კაცმა.

– გასაგებია, ძნელია, მაგრამ ხომ მაინც გიყვართ აქ შემოსვლა?

– მონასტერი ჩემთვის მარტო ღმერთი და რელიგია არ არის. ჯერ ერთი, იგი ჩემი წარსულია და მეორეც, ალბათ, ერთადერთი ადგილია, სადაც ჯერ ურბანიზმის საშინელება, ხმაური და სირბილი არ შეჭრილა. აქ სხვანაირად მშვიდდება კაცი.

– ესე იგი, ხომ მაინც ყოფილა ჯერ კიდევ საჭირო?

– რასაკვირველია, და იქნებ უფრო მეტადაც, ვიდრე სხვა დროს.

ამ შუა ტაძარში ჩემი გულუბრყვილო საუბრით თავი არ მოვაწყინო-მეთქი, მადლობა მოვახსენე და გავეცალე. შევატყვე, კიდევ რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ წელანდელმა გაკვეთილმა თავი შემახსენა და გარეთ გამოვედი, მოედნის მარცხენა მხარეს, ქვის ვიწრო კიბეს ჩავყევი და მდინარის პირას ქვაზე ჩამოვჯექი.

ავტობუსის წასვლამდე ჯერ კარგა დროა.

ხეობიდან ქარმა დაუბერა და შემაცივა. ისევ მონასტრის ეზოში დავბრუნდი. ჩემი ნაცნობი მღვდელი ფოტოაპარტიან ტურისტებს შორის დგას და რაღაცაზე გატაცებით საუბრობს. დამინახა თუ არა, ჩემკენ წამოვიდა.

– იცით, მე თქვენ გეძებდით.

– თქვენი მონა-მორჩილი.

– წელანდელი საუბარი არ დაგვიმთავრებია. გეჩქარებათ?

საათზე დავიხედე.

– არც ისე...

– მობრძანდით, აგერ მივჯდეთ ცოტა ხანს.

ხელი მომკიდა, კიპარისის ძირში ხის სავარძელზე მოვიკეცეთ.

– თქვენ თქვით, ნერვული დრო ეკლესიაში არ შეჭრილაო.

– დიახ.

– შეიჭრა და მერე როგორ. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა დღეში ვარ. მე, პირადად, ამ ეკლესიის წინამძღოლი გახლავართ, პეტრო მქვია. ოცდაათი წელი ჩარჰევბგში ვწირავდი, აქედან ოცდაათ კილომეტრზეა. მეხუთე წელია აქა ვარ. გარედან ასე ჩანს, მღვდლები, ბერები, ლიტანია, მოშორებ-

ულები ქვეყნის ყაყანს, ღვთის უბეს შეფარებულნი. თქვენც არ მომიკვდეთ, ასე არ იყოს. ჯერ ერთი, რაც ეს რესტორანი ახლოს აგვიშენეს, ყურთასმენა აღარაა. ავტობუსი ავტობუსზე, მომსვლელი, წამსვლელი, ზოგი შეკითხვას გაძლევს, ზოგი სურათის გადაღებას გთხოვს. მუხლის ჩასახრელად და სატრაპეზოდ არა გვცალია. შვიდი ღვთისმსახური ვართ ჩვენ აქ, ჩემიანად. სამი ღრმა მოხუცია, თავსაც ვერ უვლიან, გარეთაც ველარ გამოდიან. როგორი მოსავლელია სამი ავადმყოფი, მოგეხსენებათ. ამას თავი რომ დავანებოთ, ორმოცკაციანი სასტუმრო გვაქვს ეკლესიის განკარგულებაში. როგორც მოგახსენეთ, ყოველდღე სტუმრიანობაა. ან ექსკურსიაზე მოდიან ქალაქიდან, ან უცხოელი საპატიო სტუმრები გვეწვევიან. მარტო საერო კი არა, წარმოიდგინეთ, სასულიერო პირიც ბევრი მიდი-მოდის ახლა საზღვარგარეთ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სასტუმროს დალაგება-დასუფთავება პატარა საქმეა? ჩვენი, ოთხი კაცის კისერზეა ეს ყველაფერი. ერთადერთი ქალი გვყავდა, ოთხმოცსმიღწეული მონაზონი, ის იყო ჩვენი პატრონი, სადილს გვიმზადებდა. ორი კვირაა ავად გაგვიხდა, საავადმყოფოშია, კვდება საწყალი, ღმერთმა უშველოს, ასე უცბად ვერავის იშოვი, შემცვლელს. ახლა ხელისუფლებასთან კავშირი? სად, ვინ გაგიშვებს შენ ნებაზე. ჩვენდენი კონტროლი და შემმოწმებელი არც ერთ უწყებას არა ჰყავს. ჯერ ჩვენი მღვდელმთავრები. ეკლესია, თქვენ როგორ გგონიათ, ეს უმტკიცესი აპარატია. ჩვენი მორალური მხარის შემმოწმებელი საიდუმლო სამსახურიც ჰყავს, ისე კი არაა საქმე. სხდომები, კვალიფიკაციის კურსებს რომ ეძახით თქვენ, იმის მსგავსი შეკრებები, თათბირები. მერე საერო მთავრობა? ეკლესია მართლა სახელმწიფოსგან მოწყვეტილი ხომ არ გგონიათ? ყველა მღვდლით და ეპისკოპოსის კურთხევა ჯერ, სადაც ჯერ არს, იქ უნდა შეთანხმდეს, თუ მოგცემენ დასტურს, მერე შეგიძლია ეკურთხო. ახლა ეს ხმაური, გასვლა გამოსვლა, უცხო სახეები შენი დარდი, სხვისი დარდი, მოდის კაცი, შემოგჩივლებს. რაღაც უნდა უსაშველო, საქმით თუ არა, სიტყვით მაინც უნდა გაამაგრო. დამანებე

ერთი, თუ კაცი ხარ, აღარ ღირს, არა. აქაც აღარ ღირს. არც ჩვენი ყოფა შეგეხარბოს.

...მამა პეტრო ამ ლაპარაკში ავტობუსის კარებამდე მომყოლია. ყველაფრის თქმა უნდა მოასწროს, ლამის ყურში ჩამყვირის, მომდევს, მარწმუნებს, თავის გასაჭირზე მექაქანება.

დგანან რესტორნიდან გამოსულნი და გაოცებით შემოგვცქერიან. ფოტოაპარატების ჩხაკუნი და კინოაპარატების ღუღუნი მესმის. სად წავიდეთ, მამა პეტრო, სად, სად?

პაციენტი

ჩემს მერე ერთი კაცია და მერე შენ იქნები. ჯოხიანი კაცი არ შეგხვედრია ქვევით? თქვენს მერე მე ვიქნებიო, მითხრა და ჩაბრუნდა კიბეზე, ეგებ აღარც ქე მოვიდეს. დაჯექი, მოიცადე. მე მალე მოვალ. ხუთწუთიანი საქმე მაქვს. გამსინჯავს და გამოვბრუნდები. რას ვუცადო, აბა, მაგენის მკითხაობის თავი არა მაქვს.

წვერიც ვეღარ გავიპარსე დღეს. ოჩოკოჩს ვგავარ. ვერ მოვასწარი, შვიდსაათიან ავტობუსს გამოვყევი. მეორე ავტობუსი ნაშუადღევს ჩამოივლის და ნასადილევს შენ დაიჭერ ექიმს ადგილზე? „გამოძახებაზეა!“ მოგახლიან იმწუთში. არის, არ არის გამოძახებაზე, ეშმაკმა იცის. რაღაცნაირი, ახალი ავადმყოფობა გაჩნდა ამ ქალაქში; სამსახურში ჯდომა არავის უნდა. ოღონდ თავის საქმეს ნუ გააკეთებინებ კაცს და თუ გინდა, დირიჟაბლით ავა მაღლა, არ შეეშინდება. დადიან წითელჭინჭშემობმული, საქმეს მოცდენილები. ჰყოფენ ცხვირს სხვის დავთარში. „ვინ ხართ?“ „კომისია ვართ!“ რაის კომისია, ბატონო? აღარ გათავდა ეს კომისიობა? თუ მენდე და თუ მომეცი პატარა გასაქანი, მაცალე ცოტა ხანს. მეკოპერატივე კაცს ყელში თუ წაუჭირე და წამდაუწუმ ნაბიჯი უზომე, იშვლიპავს ქუდს და გაგექცევა, აბა რას იზამს. ამგენს ისიც უნდათ, პატარა საროჭიკო – წასაგებელი გაიჩინოს კაცმა და ისიც უნდათ, ძველებურად მუჭაში ყავდეთ მომწყვდეული. ასე სადაა. სახლშიც თუ კონტროლად და რევიზიად მიუხტი, რაზე აიტკივებს თავს? დაიწყებს ისევ – შენთან მუშაობას და მოიპარავს, როგორც ადრე იპარავდა. სახელმწიფოს ფართო ჯიბე აქვს და ყველანაირი ზომის ხელი ეტევა, ნუ გეშინია.

თვე გათავდება ახლა იმ ოთხშაბათს, რაც ექიმების კარზე ვარ აღოღებული. ისე მოვიყარე ორმოცდათოთხმეტი წლის, ექიმი და წამალი არ ვიცოდი. ოყნა რომ ოყნაა, ისიც მიდღემ-

ჩი არ გამიკეთებია. არ დამჭირვებია და ტყვილად, ისე, ფასონად ხომ არ გავიკეთებდი. მეხუთე ექიმთან ვარ ახლა ამ კვირაში. ამაზე მითხრეს კაი ექიმიაო. ვნახოთ, გავიგებ, რაცხა ხვითო ჰყავს გამჩენს. ამანაც თუ ვერაფერი გამიგო, თბილისში წავალ. მინდა, ერთი, ჩემთვის გავარკვიო, სათქმელად და დასაფიცებლად მჭირდება; იციან ამ ჩვენმა ექიმებმა რამე, თუ ბაიბურში არ არიან ავადმყოფობის და ტყვილად გვაქვს მაგენის იმედი.

მოვიწამლე მე ამ თვე-ნახევრის წინ. ჩამყვა ალბათ რაღაცა, ცოტა ნერვიულობაც შემხვდა სამსახურში, ეს მოწამვლაც დაერთო და კინაღამ წავიღე წერილი. ძლივს გამომგლიჯეს სიკვდილს. რაც მე შრატები მისხეს და წვეთოვანები მიერთეს, გელაპარაკები მეშინოდა სისხლი არ გამიწყალდეს-მეთქი. მაინც თავის დღემდე არ მონაკდომა ადამიანიშვილი. გამოვედი, როგორც იქნა, მდგომარეობიდან, მარა მოწამლვამ ფხანა დამიტოვა. ესაა სულ ჩემი ავადმყოფობა. მეტი კი არაფერი მჭირს. ჩვენი რაიონის პოლიკლინიკაში მივედი თავიდან. სად წახვალ აბა. რა გაწუხებსო მორიგე ექიმმა. მე ავადმყოფი ვარ, მე ვუთხარი და რაცხა მაწუხებს, თუ ექიმები ხართ, უნდა მიხვდეთ თქვენ-მეთქი. აბა რისი, ექიმები ხართ, რას მიკეთებთ მეტს აქანათქვა.

იმან იმასთან გამგზავნა, იმან იმასთან, არ ვეუბნები განზრახ, რაც მაწუხებს. გაგიგონია? ავადმყოფობის ინჩიბინჩი არ იცის არც ერთმა. ყველამ თავ-თავისი წამალი გამომიწერა. ერთი უჯრა რეცეპტი მიყრია სახლში. არც მივსულვარ აფთიაქში, არც გამომიტანია. მაგენის წამალს მოვაკვლევინებ თავს?

ორი კვირაა ახლა, რაც აქ ვარ. ნათესავთან ვარ გაჩერებული, მაგერ გოჭოურაზე. ვიყავი გუშინწინ ერთთან. კაი სპეციალისტიაო. ახალგაზრდა ბიჭია, სათვალიანი. მაგერ ცხოვრობს მწვანეყვავილაზე, სასაფლაოს ასახვევთან. „რა გაწუხებსო“, „ფხანვა მაწუხებს-მეთქი“. მსინჯა კაი ხანს. „რისი მიზეზია ბიძია, თუ იციო“. „მიზეზს მე მეკითხება“, მე ვუთხარი? „ექიმი შენ ხარ და მიზეზი შენ უნდა მითხრა-

მეთქი. მე ქე ვიცი, რისი მიზეზით მეფხანება, მარა ამას რავა ვეტყვი. ექიმია და მიხვდეს, გაანძრიოს თავი პატარა.

მიტრიალა თვალთან თითები, მიკაკუნა მუხლებზე ჩაქუჩი და ვითომ ბევრს მიხვდა, სარაჯიშვილის მიქსტურა გამომიწერა. მიქსტურა მინდა მეე?

ა, ბატონო, ესაა ჩვენი ექიმობა. ეგენია შიდსს და კიბოს რომ მოარჩენენ? მევიწამლე კაცი და მოწამლვამ დამიტოვა ქავილი. ამაზე ადვილი ავადმყოფობა და ჩემზე ადვილი მოსარჩენი, არ მგონია, ვინმე ყავდეთ მაგენს, მარა მე არ ვეტყვი. მე რაზე ვეტყვი მოვიწამლეთქვა. თვითონ უნდა მკითხონ, ხომ არ მოწამლულხარო, არ ვარ სწორი?

მინდა ერთი გავარკვიო, რა ექიმები გვყავს. რომ მეუბნებოდნენ, არ მჯეროდა. ახლა ამას გავესინჯები და ამანაც თუ მიქსტურა გამომიწერა, თბილისში წავალ. იქაურ ექიმებსაც შემოვივლი.

ჯერჯერობით ქე ვუძლებ ამ ქავილს. ყოველთვის კი არ მეფხანება, ხანდახან იცის. ახლა მაგალითად არაფერი. ამის მორჩენა სულ არ მეჩქარება მე. სიმართლე გითხრა, ახლა იმის გაგება უფრო მინდა, მართლა ტყვილა აქვს ნახევარზე მეტს დიპლომი მიღებული თუ არა.

მე არ ვეტყვი, მოწამლვამ დამიტოვა, ქავილითქვა, თუ კაი ექიმია, მიხვდეს თვითონ. ჩქარა გამოვალ, ნახავ აგერ. დიდხანს არ გავუჩერდები. რომ გოვუჩერდე, რაი მერე. რას მიმიხვდება.

ცისფერი ყანწები

ქუჩაბანდს მოაჯირიანი აივნების ჩრდილი მაქმანივით ეხატა. ქვაფენილს ცალკერძ ჩამოყოლ-ჩამოჭურჭურებულ რუში იხვები ისხდნენ და ყვითელ ნისკარტებს აქშუტუნებდნენ. ხანდახან თავს მაღლა ასწევდნენ, მწვანეჭიშკრიანი ეზოს სარდაფიდან დაძრულ წუილ-კაკუნს მიაყურადებდნენ და ისევ ქვებში მიკარგულ წყალს უბრუნდებოდნენ. ჩაყოფდნენ ნიჩაბა ნისკარტს რუში, აჩინჩხლ-აამღვრევდნენ, მერე ყიპყიპით გაეხმაურებოდნენ ერთმანეთს, ფრთებს გაისწორებდნენ და დასხდებოდნენ. რა მიზნით იქცეოდნენ ასე, ეშმაკიც ვერ მიხვდებოდა. მოშლილი ონკანის წყალს საკბილო-სანისკარტო არა ჩამოჰქონდა რა, არც სცხელოდა (დეკემბერი იწურებოდა), რომ იხვებს გაგრილების სურვილი გასჩენოდათ. გულუბრყვილო კაცს შეიძლებოდა ეფიქრა, რომ იხვები, უბრალოდ, ერთობოდნენ. იქნებ, ერთობოდნენ კიდეც. ვინ იცის.

ნეონის კუსტარული ლამპით განათებულ სარდაფში ოთხნი ისხდნენ. გაბმული ქამრებით გამართული მეხუთე სკამი ცარიელი იყო. ოთხივენი თავაუღებლივ, თითქოს ერთმანეთს ემდურიანო, ხელოსნური ქილიკ-მასლაათის გარეშე ქლიბავდნენ ორარშინიან მაგიდაზე დახვავებულ თითო წყრთის ზომის რქებს. რქები, ან ნიამორისა უნდა ყოფილიყო, ან ჯიხვისა. თუმცა ფოლადისზარნიშიანი ყანწებისთვის ოთხეული რომ გულდაგულ აკეთებდა, მასალას დიდი მნიშვნელობა როდი ჰქონდა. სანამ უბრალო რქა ყანწად ჩამოიქნებოდა, ცოტა გულისყური და ჯაფა როდი უნდა დაეხარჯათ, განსაკუთრებით იმგვარ ახალბედა ოსტატებს, როგორიც კოოპერატივ „ჯიხვის რქის“ წევრები იყვნენ.

დაბალმა, ჩიკორა თავგადახოტრილმა ხელოსანმა ქლიბვა შეწყვიტა, მაგიდის კიდეზე ჩამოდებულ, ლამის ნავლადქცეულ სიგარეტს წასწვდა, ნეკა თითით ფერფლი მოაშორა, ორივე ჯიბეზე ხელი გაიტყაპუნა, ასანთი დააძრო, მოუკიდა,

ერთი ნაფაზი დაარტყა. ისევ ძველ ადგილს დაუბრუნა მბოლავი სიგარეტი, წამოდგა, სარკმელთან მივიდა, შეიდიშის კრეტსაბმელი გადასწია და ყრუდ იკითხა:

– პარადი? პარადის საქმე როგორ იქნება?

სახელოსნოში ქლიბის წუილი შეწყდა. ჯერ სარკმელთან მდგომს შეხედეს, მერე ქლიბ-ყანწი მაგიდაზე დააწყვეს და ერთმანეთს მიაჩერდნენ.

– რაის საქმე? – პარადის, სიტყვაზე ვამბობ. პარადზე ხომ უნდა გავიდეთ. ასე მარტო გავიაროთ ხუთმა კინკილა კაცმა? რომელ კოლონას უნდა გავყვეთ, რომ გვკითხოს ვინმემ, ვისი ხართ, ვის დაეკარგეთო?

ვიღაცამ გაიცინა.

– იცინე, იცინე შენ და შეიძლება არც გაგვიშვან. ასე, ცალკე პირებს, ხომ იცი, არ უშვებენ პარადზე.

სამიდან ერთი, რომელსაც იდაყვებამდე წაკაპიწებული შავბალნიანი ვეება მკლავები უჩანდა, სქელი ულვაშები საულვაშეზე ძლივს ეტეოდა და გიზო ერქვა, როხროხა ხმით გაეპასუხა:

– რა დროს პარადია. პარადი გიჭირს ახლა შენ, ბენია?

– სიტყვაზე ვამბობ, – ბენიამ კეფა მოიფხანა და თრუთის მთის თხემს გახედა. თხემი ყვითლად იყო განათებული ღრუბლებიდან ჯიუტად გამოღწეული ერთი შეკვრა სხივებით.

სწორი ბრძანდება პატივცემული მკითხველი, რომელმაც წარბი შეიკრა ახლა, ამ წამში და, თუ ჭკვიანად არ მოვიქცევი, შეიძლება, ეს ნოველაც განზე გადადოს. ჯერ იყო და იხვებს ვერ მოვწყვიტე მზერა, მერე იდუმალ სარდაფში რქებზე მომუშავე ოთხ მამაკაცს მივაჩერდი და მათგან ერთერთს ისეთი უცნაური შეკითხვა დავასმევინე, როგორიც გახლავთ, ოთხი თვის შემდეგ რომ საპირველმაისო დემონსტრაცია ჩატარდება, იმ დემონსტრაციაში რა თანმიმდევრობით უნდა დალაგდნენ კოოპერატივის წევრები (და საერთოდ, ევალებათ თუ არა მონაწილეობის მიღება). მკითხველს კონკრეტული ლაპარაკი უყვარს. ახლა მიეთ-მოეთების და თხემზე დაშვებული ოქროცურვილი ღრუბლების აღწერის დრო არ არის. ამიტომაც პირდაპირ საქმეზე გადავდივარ.

ელეფთერ შუბლაძემ ლამის სამი ათეული წელი მოათია ორმოცდამეშვიდე საფოსტო ყუთის ახლოს მდებარე ქარხანაში (მკითხველს ბოდიშს მოვუხდი, თვით ქარხნის დასახელება სამხედრო-პატრიოტული მოსაზრებით ჯერ არ შემიძლია, რ. მ.) და როცა გაზეთში წაიკითხა კერძო კოპერატივების გახსნის უფლება აქვს კერძო მოქალაქეს ან მოქალაქეთა ჯგუფსო, ბევრი აღარ უფიქრია – მტკიცედ ჩაიდო გულში კოოპერატივის შექმნის განზრახვა. ამფსონების ძებნაში რიოშ კაცს არ გადავაწყდეო და ჯერ თავის მამიდაშვილს – კაკი ჩაკალიდს მიადგა. კაკი მესამე ინტერნაციონალის სახელობის პარკში მწვანე ნარგავების მომვლელ-მეთვალყურედ მუშაობდა. ნიადაგ სუფთა ჰაერზე ყოფნის გამო მხნედ გამოიყურებოდა და ჭამის მადაც დიდებული ჰქონდა, მაგრამ უფულობას უჩიოდა. კოოპერატივის სარფიანმა იდეამ ააღელვა კაკი და წინადადებაზე მაშინვე დაყაბულდა, მაგრამ თავსატეხი კოოპერატივის პროფილის შერჩევა აღმოჩნდა. სახაშის ან სახინკლის გახსნა ორიგინალური არ იქნებოდა და კონკურენციისაც შეეშინდათ. სამკერვალოს შექმნის აზრი მაშინვე უკუაგდეს, აწი ჩვენ რომ კერვას ვისწავლით, მეტი არაა ჩემი მტერიო. იკამათეს – იმარაქეს და, როგორც იქნა, შეთანხმდნენ ყანწების კოოპერატივის დაარსებაზე. თუ ჯიხვის რქა ვერ ვიშოვეთ, ხარის, კამეჩის, ან თხის რქას რა გამოლევს ჩვენში. ესეც არ იყოს, ამგვარი სახელოსნო განსაკუთრებულ დაზგა-დანადგარებს არ საჭიროებს და მუშტარიც ბლომად გვეყოლება. ყანწს, აქაურს რომ თავი დავანებოთ, უცხოელიც ეტანება, განსხვავებული, არაჩვეულებრივი ჭურჭელია მაინც. რაც უნდა იყოსო. კოოპერატივის დანარჩენი სამი წევრის მოძებნა, სიმართლე გითხრათ, გაუჭირდათ. კაკიმ და ელეფთერმა მეყანწეობისა ბევრი არაფერი იცოდნენ. თუმცა არც ის იქნებოდა სწორი, რომ ორივენი (განსაკუთრებით ელეფთერი) მთლად ამ საქმეში სრულ უტუყრუებად გამოვაცხადო. საოჯახო ნივთების ჩირთიფირთი და აკვან-შიბაქის გამოთლა, თუ ქარვის მძივების აგვირისტება ორივეს ბავშვობიდანვე ეხერხებოდა. მიუხედავად ამისა, კოოპერატივის დანარჩენი სამი წევრი მაინც უნდა ყოფილიყო ყანწის

საქმის სპეციალისტი. „ხანჯალ-ჩიხტი-კოპის“ გაერთიანების მესამე საექსპერიმენტო ფაბრიკასთან მამიდაშვილების დესანტად ჩასხდომამ და შინ მიმავალ მუშებთან კოოპერატივის უპირატესობის შესახებ გაწეულმა პროპაგანდამ შედეგი გამოიღო. სამიოდე კვირის შემდეგ ფაბრიკას თავისივე განცხადებით ორი მომპირკეთებელი გამოაკლდა – გიზო ტარიგაშვილი და ბენია ღიბრაძე. რაც შეეხება კიჭია კვეკვესკირს, იგი დროებით უმუშევარი გახლდათ. ზუსტი დეტალების ცივად დამუშავების სპეციალისტად იყო თურმე ტორფის ბურღების დამამზადებელ ქარხანაში და ადგილკომის თავმჯდომარესთან შელაპარაკება მოსვლოდა იმის გამო, რომ სამუშაოდან თავისუფალ დროს, შინ ყანწებს აკეთებდა და შეღავათიან ფასებში ჰყიდდა, ქარხნის საინჟინრო-ტექნიკურ პერსონალზე. რაისაბჭოს აღმასკომში მომავალი კოოპერატივის წევრებს გულთბილად შეხვდნენ, მაგრამ, კოოპერატივის დამტკიცებაზე უარი უთხრეს. ჯერ ერთი, ფართობით ვერ დაგაკმაყოფილებთ, არა გვაქვსო. მეორეც, საყანწე მასალას „ბოინი“ არ დაგითმობთ სახელმწიფო დაწესებულებასთან – ფაბრიკა „იალქანთან“ აქვს ოცდახუთი წლით ხელშეკრულება დადებულიო, მესამეც, არ გირჩევთ ხათაბალაში თავის შერგვას, ტყუილად გაწვალდებით, კოოპერატივი დღეს დაუშვეს, თორემ ხვალ შეიძლება აკრძალონ და მშრალზე დარჩეთ რიყეზე ამოყრილი თევზებივითო. ესე იგი უარს გვეუბნებითო? არცთუ უპრეტენზიოდ იკითხა ელეფთერმა, უარს რატომ გეუბნებით, უარი ვინ გკადრათო, კოოპერატიული მეურნეობის უფროსმა. უარის თქმაა, აბა, რა არის ესო, ხმა აღიმაღლა კაკიმ, იშოვეთ, ბატონო, რაკი არ იშლით, სამუშაო ადგილი, შეიძინეთ რქები და, როცა დავინახავთ, რომ საქმის ხალხი ხართ, დაგიმტკიცებთ კოოპერატივს, აბა, რას ვიზამთო.

იმ დღეს, უფროსის კაბინეტიდან რომ გამოდიოდნენ, გიზოს წამოცდა; ფართობს და ნედლეულს თუ არ გვაძლევენ და არაფრით გვეხმარებიან, რად გვინდა მაგათი დამტკიცება, ვიყოთ დაუმტკიცებლად, ვაკეთოთ და ვყიდოთ ყანწებიო, მაგრამ ეს წინადადება არც მეგობრებს ჩაუგდიათ ანგარიშში და რომ დაუფიქრდა, გიზოს თავისივე ნათქვამისა თვითონვე

შეეშინდა; არ არსებობს დუნიაზე ადამიანთა იმგვარი კორპორაცია, სადმე მაინც დამტკიცებული რომ არ იყოს და დავთარში გატარებულიო.

დაფაცურდნენ ბიჭები. სარდაფი საიხვის ქუჩაზე დაიქირავეს (სახლის პატრონისათვის თვეში ხუთი თუმანი უნდა მიეცათ და შვიდი ყანწი), რქები კიჭია კვეკვესკირმა სადღაც იაფად გაახერხა და შუაღამისას მეზობლის ვილისით მოზიდა. აღმასკომში ამის შემდეგაც ცოტა აჯა-ნუკვა როდი დაჭირდათ კოოპერატივის დასამტკიცებლად. მაგრამ ბოლოს მაინც თავისი გაიტანეს და ჩვენ მიერ ნოველის დასაწყისში აღწერილ ქუჩაბანდზე, მწვანე ჭიშკართან, გაჩნდა თვითნასწავლი მხატვრის გაუწაფავი ხელით დახატული აბრა ცისფერი ყანწითა და დაქანებული წარწერით: კოოპერატივი „ჯიხვის რქა № 7“. საყანწო კოოპერატივი ამ ქალაქში ერთადერთი იყო და საიდან იღებდა სათავეს ნუმერაცია ამოსაცნობი შვიდით, ვერ გეტყვით, ვერ მოგატყუებთ.

უნდა გენახათ, რა მუყაითად შეუდგნენ საქმეს. არავითარი ტაბელი, არავითარი საყვირი არ ყოფილა თურმე საჭირო სამსახურში კაცის დროზე მოსაყვანად. ერთმანეთს ასწრებდნენ დილით. უსაქმოდ წუთს არ კარგავდნენ. ერთმანეთის ხათრი და რიდი ჰქონდათ. ამ ერთ თვეში იმდენი ყანწი დაამზადეს ხუთმა კაცმა, რომ ფაბრიკა „ხანჯალ-ჩიხტი-კოპის“ დირექტორსაც გააკვირვებდა. ლამაზი, ცისფერი ყანწების ჯგრო სარდაფის ჭერისკენ მიიწევდა და ელეფთერი უკვე გამსაღებელ ფირმას დაეძებდა, რომ პირველი პროდუქცია დროზე გაეტანა, როგორც გაზეთებში წერია ხოლმე, სარეალიზაციოდ.

მაგრამ უკვე თვე იწურებოდა, რაც კოოპერატივი შეიქმნა და „ჯიხვის რქის“ წევრებს ნელ-ნელა იპყრობდა საოცარი სევდა იმის გამო, რაც უკან დარჩა, რასაც, მათი აზრით, სამუდამოდ გამოეთიშნენ. ეჭვის პირველი ნაპერწკალი ბენიამ გადააგდო მეკოოპერატივეთა ისედაც აბორგებულ სულში

– პენსიის საქმე, როგორ იქნება. სიტყვაზე ვამბობ მაგალითად? – იკითხა მან გასულ სამშაბათის სწორ სამშაბათს.

– რა დროს პენსიაა ჯერ – ანგარიშმიუცემლად უპასუხა

ელეფთერმა, თუმცა გულში მაინც გაჰკრა; „მართლაცდა, პენსიას ვინღა დაგვინიშნავს, ჩვენ ხომ ფაქტობრივად უკვე გამოვეყავით სახელმწიფოს, ვინ იზრუნებს ჩვენს სიბერეზეო“.

– შენ ასე გგონია? ნახავთ აგერ. ერთი გაფრენა დამრჩა სიბერემდე მე, პირადად და, თქვენი არ ვიცი, რას შევალიე ჩემი ჯანი ამდენ ხანს, თუ ვიცოდე, ცხონებული ბაბუაჩემის პირწყალი დამადგეს, – გიზომ ჩარხი დაატრიალა და ყანწს სატუჩე მოუსწორა.

– არც ახლა ვართ მართალი. აბა ასე ვარგა? ბინის რიგში ვიდექი, ტელეფონის რიგში ვიდექი, – ბენიას აშკარად გულდაწყვეტილი კაცის იერი ჰქონდა.

– იდექი რიგში, მეტი ხომ არაფერი. მთელ ცხოვრებას რიგში გაგატარებინებდნენ. ხომ ტყვილად იდექი რიგში, გაფიცებ გულით საყვარელს?

– მაინც რაღაცა იმედი იყო. ხანდახან ტყუილიც შველის კაცს. თავი მოვიკალი, სანამ აღრიცხვაზე ამიყვანეს.

– კი, კი. შენ არ მომიკვდე. აღრიცხვაზე აყვანას გაგიჯანჯალებდნენ, რასაკვირველია. ვითომ მაგენის აღრიცხვა რამეს ნიშნავდეს. იყავი აღრიცხვაზე. მიიკარი ე შენი ნომერი ერთ ადგილას და იარე წინ და უკან.

– მაინც რამდენ ადგილას ვიყავით დანომრილი, რომ გამახსენდება. ამის ნომერი, იმის ნომერი, იქ ნომერი, აქ ნომერი, მოფიქრება არ გინდა? ყურებით ვყავდით მიწებებული იმ ჩვენს ნომრებზე, – კიჭია ამ საუბრებში იშვიათად ერეოდა და ახლა ნომრები რომ გაიხსენა, ყველას გაუკვირდა.

– მაინც ის სჯობდა, სიტყვაზე ვამბობ.. გამოვყრუვდი ამ ერთ თვეში კაცი. შეიძლება კრებაზე არავინ გეძახდეს, მიტინგზე არავინ გიბარებდეს, საყვედურს არავინ გაძლევდეს პირად საქმეში შეტანით და არ გიხსნიდეს სამი თვის მერე? იმ მოხსნასაც თავისი გემო ჰქონდა. ელოდებოდი კაცი. ახლა, ასე მგონია, სამორინეში ვართ და ხვალ ან ზეგ უეჭველად მოვლენ ჩვენს წასაყვანად-მეთქი, – ბენია თავისას განაგრძობდა.

– ნუ გეშინია, მალე გაგივლის კრებობიის და ზეიმობიის მონატრება. მესმის შენი, მარა იმას რამე სჯობია, დილით რომ ადგები და იცი, რა უნდა გააკეთო, ვისთვის ირჯები და

რას ჩირთიფირთობ? ეს რომ იცი, პატარა საქმეა?– ელეფთერს პასუხი მზად ჰქონდა.

– კი, მაგრამ აქ ჩხუბი რომ მოგვივიდეს და ერთმანეთი დავჭამოთ, მეოხად არავინ დაგვიდგება. ის სხვადასხვა უჯრედი რომ გვაყურადებდა, საჭირო იყო მაინც.

– რისთვის იყო საჭირო, ლოთიანად, ამიხსენი იმდენი უფროსი რომ გვაჯდა თავზე? რა გვაქვს საჩხუბარი და გასაყოფი? კაცი შენს ცხოვრებას შენთვის ვერ მოიჩუმათებდი. ყველას ყველაფერი უენდა სცოდნოდა – თქვა კაკიმ.

– აბა, ნახავ აგერ უპატრონო ნახირივით მგელს თუ არ გადავაწყდებით. საჭირო იყო-მეთქი, გეუბნები. დაწესებულებაში ერთი ინტრიგანიც საჭიროა, ერთი მუქთამჭამელი უეჭველი უნდა იყოს. იმ ენის მიმტანსაც თავისი ადგილი აქვს, რომ იცოდე, სიტყვაზე ვამბობ, მაგალითად, – ბენიამ დოინჯი გაიკეთა და სახელოსნოს ცენტრში, რამპის ქვეშ დადგა.

– ისე, ჩვენ შორის დარჩეს და ყველაფერი საფიქრალია. ჩვენ, მე მგონია, ცოტა ვიჩქარეთ, – კაკის ხმა იყო, – აქ ახლა არაფერი წახალისება ჩვენ არ გვექნება. კორესპონდენტი რომ შემოვიდოდა და ფოტოაპარატს გაატკაცუნებდა, ისიც რაღაც სტიმული იყო.

– რა წახალისება გინდა, ორმოცდაათი წლის კაცს, კაკია, არ გადამრიო, ბავშვი ხარ, პატარა? წახალისება არ იქნება ფულს რომ მიიტან სახლში და ხვალინდელი შიმშილის შიში არ გექნება? – წყენა გაერია ხმაში ელეფთერს.

– ფული კი, რასაკვირველია, მაგრამ ფული ჩვენთან ყველაფერს არ ნიშნავს. არაა ისე ცხოვრება მოწყობილი, მაგალითად, ფული გაქვს და საგზურის ყიდვა გინდა. ვინ მოგყიდის საგზურს, თუ არ გამოგიყო ადგილკომმა, – თქვა კიჭიამ.

– საგზურიც სათქმელია და საგზურამდე? ტალონს რომ გვაძლევდა მთავრობა? – ჩაერთო ბენია.

– რა ტალონს?

– ტალონს ხორცისას, კარაქისას, ყველისას.

– მოგვცემენ, ალბათ, მთლად ასე რავა იქნება. მთლად რავა მიგვატოვებენ. კოოპერატივის გადასახადს რომ ვიხ-

დით, ის ხომ ნიშნავს რაღაცას. ყველაფერი იქნება, მე მგონია, ჩვენ ჩვენი გავაკეთოთ, გაირკვევა მერე თანდათანობით, – ელეფთერმა თვითონვე იგრძნო რომ კოოპერატივის თავის სახით ამ წუთში, ცოტა არ იყოს, გულგატეხილი, დაეჭვებული კაცი ლაპარაკობდა.

მალე ყველაფერი გაირკვა.

პირველი სტუმარი სწორედ იმ დღეს, ბენიამ რომ პარადზე ჩამოაგდო სიტყვა, ელეფთერს თითქმის ფეხდაფეხ შემოჰყვა.

მაღალი, წონწოლა კაცი იყო. ქამრის ბალთა მიწაზე დასთრევდა. სახეზე იფქლივით ეყარა ნაყვავილევი. შემოვიდა თუ არა, დამზადების სარევიზიო ჯგუფიდან ვარ შემოწმებაზეო, საზეიმოდ განუცხადა კოოპერატივის წევრებს. სკამი რომ დაუდგეს, დაჯდა, ტყავის საქაღალდე გაშალა, სათვალე მოიხსნა და თითქოს აღმოჩენა გააკეთაო, რიხიანად, ცოტა ამაყადაც იკითხა:

– თქვენ მეშვიდე ხართ, ხომ?

– დიახ. ბატონო – მიუგო ელეფთერმა.

– მეორე სკამი არა გაქვთ?

კიჭია წამოდგა და თავისი სკამი გაუჩოჩა რევიზორს.

– როგორაა ყანწების საქმე?

– არაა ცუდად, – სხვებს დაასწრო პასუხი გიზომ.

– გადის?

– რას შვრება?

– თუ ჰყავს-მეთქი მუშტარი.

– ჯერ არც ერთი ყანწი არ გაგვიყიდია.

– რას უცდით? – სარდაფს თვალი მიმოავლო და მზერა ყანწების კედლზე შეაჩერა.

– ჯერ ახალი ვართ, მოგეხსენებათ. გვინდა მოვურიგდეთ ვიღაცას, ერთად წაიღოს. მისთვისაც ხეირი იქნება. ჩვენ თითო ყანწის გაყიდვა ნამეტანი გაგვაცდენს.

სტუმარს არაფერი უთქვამს, წამოდგა და საქაღლდეახუტებულმა მძიმედ, საქმიანად დაიწყო თავისი მოვალეობის შესრულება. ყველაფერი აინტერესებდა; რქები სად იშოვეს, სარდაფი ვის ეკუთვნოდა, დღეში რამდენ ყანწს აკეთებდნენ... მეკოოპერატივეებს მზა ნაწარმი სხვა კედელთან გადმოაწყო-

ბინა, უთუოდ იმის გასარკვევად, ჰონდა თუ არა სახლოსნოს საიდუმლო გასასვლელი. მერე ბენიას კვალიფიკაციით დაინტერესდა. თუ გაქვს რამე სპეციალური სასწავლებელი ყანწის კეთების განხრით დამთავრებულიო, შესაფუთი საშუალებები რა გაგაჩნიათო, დამზადებული ყანწების აღრიცხვას თუ „აწარმოებთ“ და სპეციალური ჟურნალი თუ გაქვთ ამისთვისო. ელეფთერის ბუნდოვან პასუხებზე თავს უკმაყოფილოდ გადააქნევდა და დავთარში რაღაცას ინიშნავდა.

რევიზიას რომ მორჩა, ხელი დაიბანა, ტაბურეტზე დაჯდა, წეღან კიჭიამ რომ დაუთმო, ის სკამი წინ დაიდო, მაგრამ ტყავისქამრიანი სკამი საწერად რომ მოუხერხებელი აღმოჩნდა, იმდენს კი მიხვდა, რომ წამომდგარიყო და სკამებისთვის ადგილი შეეცვალა.

დიდხანს წერდა, ბუტბუტითა და ვოროშილოვის ულვაშების ცმაცუნით. წერას რომ მორჩა, ელეფთერს ორ ადგილას მოაწერინა აქტზე ხელი და რატომღაც ხელმოწერის შემდეგ განუცხადა – სხვას ყველაფერს ეშველება, მაგრამ რქების შემოტანის ქვითრები რომ არ გაქვთ, ეს მაშინებს ძალიანო.

– თქვენ თვითონ იშოვეთო, აღმასკომში გვითხრეს, – გულწრფელად იმართლა თავი ელეფთერმა.

– კი, რასაკვირველია, ასე გეტყოდნენ, მაგრამ შოვნას გააჩნია. ვინც მოგყიდათ, რაღაცა ქაღალდი ხომ უნდა გამოეწერა.

– სიმართლე გითხრათ, ჩვენ თვითონ შევაგროვეთ, არ გვიყიდია, ნათესავები ჩამოვიარეთ. ზოგს გადაყრილი აქვს ამნაირი რქები. აღარ ჭირდება არაფერში, – მიაყარა თავისივე მოხერხებულობით სახეგაბადრულმა კაკიმ.

რევიზორმა საქაღალდე გაატყაპუნა, კაკის კარგა ხანს უყურა დამტუქსავი, აღმზრდელობითი მზერით და მშვიდად უთხრა:

– ეგ ზღაპრები, შვილიშვილებს მოუყევი, თუ გყავს, დაწოლის წინ.

გავიდა და ჯერ მარჯვნივ დაადგა ქუჩაბანდს, რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, შემობრუნდა და სხვა მხარეს გასწია. საითაც ახლა წავიდა, იმ მხარეს ავტობუსის გაჩერება ახლო-

მახლო არ იყო. იქნებ ტრამვაის ძველი გაჩერება ახსოვდა, სანამ ტრამვაის გააუქმებდნენ, იმ ადგილას, მართლაც უხვევდა ტრამვაი.

თითქოს „ჯიხვის რქისკენ“ გზა ისწავლესო, ის დღე და ის დღე, კოოპერატივს შემმოწმებელი და მეთვალყურე არ მოჰკლებია. სახანძრო რაზმის, წარმოების უსაფრთხოების სამსახურის, შრომის დაცვის საზოგადოების, სანიტარული ინსპექციის და ქალაქის ელქსელის აგენტები თუ დიდხანს არ ჩერდებოდნენ და მათი სპეციფიკის გადამკიდენი მოკლე აქტებით კმაყოფილდებოდნენ, სამაგიეროდ საათობით ისხდნენ სახელოსნოში სახალხო კონტროლის, აღმასკომის რეიდის, ფინსამსახურის, საინსპექციო ჯგუფის და მილიციის წარმომადგენლები. კოოპერატივის წევრები თავიდან თუ მშვიდად ხვდებოდნენ სახელმწიფოს მიერ გამოჩენილ ყურადღებას, და, ვინ იცის, ბენიას გულში უხაროდა კიდეც, რომ უყურადღებოდ არ დააგდეს მეყანწეთა უპრეტენზიო ორდენი, მერე და მერე, როცა გაცდენას თავი დავანებოთ, შემოწმებები აუტანელი შეიქმნა, ელეფთერის საძმოს წევრები მოკლედ და, ცოტა არ იყოს, ამრეზილადაც პასუხობდნენ კონტროლრევიზორთა შეკითხვებს.

კაკიმ, ამას წინათ, იმდენი გაბედა, რომ აქტზე თავდახრილ სახინსპექციის ელამ წარმომადგენელს, არც მეტი არც ნაკლები, პირდაპირ აჯახა:

– ახლა, ერთი მე რომ გკითხოთ, შეიძლება?

რევიზორმა სათვალე მოიხსნა.

– ბრძანეთ.

– რისთვის გვამოწმებთ, თუ საიდუმლო არ არის? თქვენი გვმართებს რამე?

– ვინ გეუბნებათ, გმართებთო.

– აბა, რა დავაშავეთ ამნაირი. რქები ჩვენია, ქლიბი ჩვენია, ეს მარჯვენა, ეს დასაწვავი, ჩვენია. თუ რამეს მოპარვა გვინდა, ჩვენს თავს ხომ არ მოვპარავთ.

ამ კითხვას უცებ უპასუხა-მეთქი სტუმარმა, რომ გითხრათ, არ ვიქნები მართალი. იფიქრა, იფიქრა სახელმწიფო წარმომადგენელმა და ასეთი პასუხი მოიფიქრა:

– ენა რატომ გისწრებთ, თქვენ, კოოპერატივის ხალხს, წინ. რა შუაშია მოპარვა. გეხმარებით, ბატონო, გეხმარებით. დანახვა უნდა ყველაფერს.

– მადლობელი ვართ შემწეობისთვის, მარა. თუ გვენდეთ და გაგვიშვით, ცოტა რომ გვაცალოთ, არ შეიძლება? თქვენ ერთი ხართ და კვირაში ცხრა თქვენნაირი დამხმარე მოდის. ჯერ არც ერთი ყანწი არ გაგვიყიდია. არც კი ვიცით, გასაღდება თუ არა. ეგება აღარც უნდა ხალხს ყანწები და ტყვილად ვჯახირობთ ამ სარდაფში, – გაუბედავად, თითქოსდა თავისივე ხმისა ეშინიაო, ჩაილაპარაკა ელეფთერმა.

დამხმარე ორგანიზაციის წარმომადგენელმა ქვედა ტუჩი გადმოაბრუნა და სანამ კარს არ გაცდა, ტუჩი ბუნებრივი მდგომარეობისთვის არ დაუბრუნებია. აშკარა იყო, ელეფთერის თხოვნა არ ესიამოვნა, მაგრამ ისევე, როგორც ყველა მისმა კოლეგამ ამ უკანასკნელმაც სიამოვნებით წაიღო „სახსოვრად“ კოოპერატივის მიერ ნაჩუქარი, გაზეთ „წინსვლაში“ გულმოდგინედ შეხვეული ორი ცისფერი ყანწი.

* * *

კოოპერატივ „ჯიხვის რქას“ ჯერ სამი თვეც არ შესრულებია, მაგრამ ელეფთერმა უკვე კვირაზე მეტია, რაც რაიაღმასკომში ხუთეულის ხელმოწერილი განცხადება შეიტანა კოოპერატივის გაუქმების თაობაზე. თხოვნის დასაბუთება უკეთ შეიძლებოდა, მაგრამ ისიც კი, რასაც მეყანწე ძმები წერდნენ, საკმარისი იყო „ჯიხვის რქის“ დასახურავად.

უარი უთხრეს: ჯერ ვერ გაგაუქმებთო. ჩვენ მხოლოდ კოოპერატივების გახსნის ინსტრუქცია მოგვივიდა. დახურვაზე იქ არაფერია თქმული. და საერთოდ, ჯერ კოოპერატივის გაუქმების შემთხვევა არ გვქონიაო.

ტელეხიდი

ტელეხიდის მონაწილეთა შეკრება-სემინარები ექვს თვეს გაგრძელდა. ვინ იცის, როგორ ემზადებოდა იქეთა მხარე, მაგრამ ვერ დავუკარგავ, ჩვენებს თავი არ დაუზოგავთ. ტელეხიდთა მაღალკვალიფიციური სპეციალისტები სამ თვეს თეორიაში ამეცადინებდნენ ადგილობრივ ხელმძღვანელთა მიერ შერჩეულ კანდიდატებს პოლიტიკურად მომწიფებულ აქტივისტთა წრიდან, ხოლო დარჩენილი სამი თვე პრაქტიკულ მუშაობას დაეთმო. ტელეხიდის მონაწილეებმა შეისწავლეს არა მარტო თანამედროვე ამერიკის წინსვლის გადაულახავი დაბრკოლებანი, არამედ ის შეკითხვებიც, რაც წინა ტელეხიდებზე ჩვენი შეფერხება-გაწითლებების მიზეზი გახდა, გაიზეპირეს იდეურად მონოლითური საგანგებო კომისიის მიერ შედგენილი სასურველი, არაორჭოფული პასუხები წინა შეკითხვებზე და, თქვენ წარმოიდგინეთ, ასოცამდე მოსალოდნელი შეკითხვაც კი ჩაიწერეს- ჩაიკონსპექტეს, სათანადო, არცთუ მთლად ზრდილობიანი, მაგრამ საბუთიანი გაპაექრებით. არანაკლებ ძნელი აღმოჩნდა ამერიკელ მედიალოგეთათვის შესაკითხი ტექსტის შემუშავება. სემინარის მონაწილეებმა მაინც მოძებნეს თხუთმეტიოდე, იდეური მოწინააღმდეგის წელში გამწყვეტი შეკითხვა და ისიც მშვენივრად აითვისეს, რომ ჩიკაგოელთა ყველაზე მომხიბლავი პასუხის შემთხვევაში აქეთა მხარეს უკმაყოფილება-უარყოფის ნიშნად სამჯერ თავი უნდა გაექნია.

მოსამზადებელი პერიოდი უკან დარჩა და, როგორც იქნა, ტელეხიდი დაიწყო. ჩვენი მხარის წამყვანი-ბრიგადირი სამოქალაქო, ევროპულ ფორმაში მშვენივრად გამოწყობილი, თმაჭაღარა, სხვადასხვა დროს სათანადო სამსახურებში თავგამოჩენილ-გამობრძმედილი კაცი გახლდათ. საუბრის დელიკატურ-დიპლომატური მანერით თუ არ გამოირჩეოდა,

სამაგიეროდ, მის ფხიზელ თვალს ჯაშუში და სამშობლოს გამყიდველი არ გამოეპარებოდა. კარგად იცოდა, რომ ისინი, ვინც წამის შემდეგ კედლის ეკრანზე გამოჩნდებოდნენ, არც მეტი არც ნაკლები დიადი საბჭოთა ქვეყნის დაუძინებელი მტრები იყვნენ და მათთან საუბარში, გარდა სიფრთხილისა, ოდნავშესამჩნევი ზიზღნარევი გამომეტყველებაც უნდა ჰქონოდა.

– ჩიკაგოს მოქალაქენო, გესმით ჩვენი?! – მიკროფონს მხნედ ჩასძახა პროგრამის წამყვანმა.

– კი, – მოისმა კედლის ეკრანიდან. წამყვანმა თვალი შეავლო სავარძლებზე ბურჟუაზიული მოშვებულობით მსხდომ, საეჭვო თმის ვარცხნილობის მქონე ჩიკაგოელ ბატონებს, მერე გრეხილი ავეჯის გაერთიანება „სამი სკამის“ ნაწარმზე გამართულად მსხდომ, თვალებგაფაციცებულ, ჩაჰალსტუხჩასამკერდენიშნებულ ჩვენს დელეგაციას გადახედა და ესიამოვნა. გარეგნული ეფექტის მოხდენის პირველი მოსაგები ქულები აღებული იყო.

ჩვენმა წამყვანმა, იმათ წამყვანს – ყურებშითმაჩასულ, ჩაჩაჩულპერანგიან, ახმახ ამერიკელს მიმართა:

– შეკითხვებს თქვენ დაიწყებთ, თუ ჩვენ დავიწყოთ?

– ბატონო? – ყურს ხელი მიახმარა იქეთური ტელეკომპანიის წარმომადგენელმა.

– შეკითხვაზე გადავიდეთ?

– გისმენთ, – უხალისოდ დაეთანხმა ამერიკელი ტელებიზნესმენი.

რიგრიგობით დგებოდნენ ჩვენი ტელეხიდელები და, როგორც მოსალოდნელი იყო, გამანადგურებელ შეკითხვებს ყუმბარებივით ესროდნენ მჭვარტლიანი ჩიკაგოს სატელევიზიო სტუდიის მესამე დარბაზში ბელურებივით შეყუჟულ ამერიკელებს. შეკითხვები ძირითადად აპარტეიდისა და გენოციდის პრობლემებს, ამერიკის ადმინისტრაციის თვითნებობას, შავკანიანთა და ფერადკანიანთა დამონებულ მდგომარეობას და მზარდ უმუშევრობას შეეხებოდა. მრისხანე შეკითხვებით კუთხეში მიმწყვდეული იმპერიალიზმის მსხ-

ვერპლნი პასუხის დროს ცრემლებს ყლაპავდნენ, ხელებს შიდსიანებივით ასავსავებდნენ, ჩვენი შეკითხვების პათოსს თითქმის ეთანხმებოდნენ და ამერიკული ყოფის ნაკლოვანებებს, ძირითადად, რეიგანის და მისი კაბინეტის მოუქნელ მუშაობას აბრალებდნენ.

ჩვენს მხარეს ჩიკაგოელთა პასუხები მაინცდამაინც არ აინტერესებდა. დარწმუნებულნი იყვნენ შეკითხვების შემოუსვლელობაში. ამიტომაც შეკითხვის მიმცემი სათქმელს რიხიანად რომ ჩაამთავრებდა, დაჯდებოდა, თავს უწინდებურად მაღლა ასწევდა და თავის ტკბილ-მწარე ფიქრებში ჩაიძირებოდა.

პასუხებზე მადლობის გადახდა და კომენტარი პროგრამის წამყვანის საქმე იყო. ჯაშუშთა და მზვერავთა რისხვა მასზე დაკისრებულ მოვალეობას თავს მშვენივრად ართმევდა. ამერიკელები რომ ალთას იტყოდნენ, ეს ბალთას პასუხობდა და იმათ გაურკვეველ სახეებს რომ შეხედავდა, საკუთარი უპირატესობის შეგრძნება ღიმილის გუნებაზე აყენებდა, მაგრამ არ იღიმებოდა. უპირატესობა კი აშკარად ჩანდა. ამერიკელები თავსაც კი არ იმართლებდნენ, შეკითხვაში ჩაქსოვილ ნაკლოვანებებს თავის მხრივ რაღაცას უმატებდნენ და, როგორც მოგახსენეთ, ბრალს სდებდნენ მთავრობის უნიათო მოქმედებას.

დაიწყო ტელეხიდის უაღრესად პასუხსაგები – მეორე ნახევარი. ახლა ამერიკელები დაგვისვამდნენ შეკითხვებს და ჩვენს აქტივისტებს, მიახლოებითი პასუხი მაინც უნდა გაეცათ, რაკიღა ჩვენი დელეგაციისგან განსხვავებით, ოკეანის გაღმელ ჯალათებს გულწრფელად აინტერესებდათ, რა პასუხს გავცემდით ჩვენ მათი ფიქრით ელემენტარულ, ხოლო ჩვენთვის კი უაღრესად ძნელ, ჩამჭრელ, უკუღმართ შეკითხვებზე.

– რა მოგცათ გარდაქმნამ?

გამხდარი, აწოწილი, პარიკიანი ჩიკაგოელი, რომელმაც ეს კითხვა ამოშაქრა, მეგობრული კოლექტივის ილუზიის შექმნის მიზნით ერთად შექუჩულ ჩვენს დელეგაციას კედლის ეკრანიდან ჩამოჰყურებდა. კონკრეტულად არავის მიმართავ-

და და სანამ წამყვანი იმ სამ მონაწილეს შეხედავდა, ვინც სპეციალურად ამ მოსალოდნელ შეკითხვაზე იყო ნავარჯიშევი, ჯგუფის განაპირას მჯდომ, მოწინავე მემონტაჟე-მეარმატურეს სულმა წაძლია:

– სხვას რა მისცა, რომ ჩემთვის მოეცა.

წამყვანი გაშრა. იმპერიალისტს სახეზე გაურკვეველი ღიმილი დაეხატა.

– ბატონო?

– გიპასუხათ, რაც სხვას მისცა, ის მომცა მეცაო – შეასწორა პასუხი წამყვანმა.

ოკეანისგაღმელები თავის კანტურს შეუდგნენ და მაშინ შეწყვიტეს, როცა ახმახმა ისევ იკითხა:

– თავისუფალი არჩევნები სად გაქვთ?

– ქვედა ინსტანციებში, – მეარმატურეს ეგონა, კარგი რამ ვთქვიო და მორცხვად დახარა თავი.

– თავისუფლად ვისი გაკრიტიკება შეგიძლიათ? – არ ცხრებოდა აგრესორული ქვეყნის წარმომადგენელი.

– სტალინის! – იყვირა გულმიცემულმა საბჭოთა ტელეხიდელმა, მაგრამ იმწამსვე იგრძნო, როგორ დაქაჩეს საგანგებოდ შეკერილ პიჯაკზე, სკამზე მოწყვეტით დაეშვა და, არათუ სხვა ტელესაუბარში შემხვედრია იმის შემდეგ, იმ პირველ და უკანასკნელ დიალოგზე კრინტიც აღარ დაუძრავს, გაბუსუნებული იჯდა.

– ვთქვათ წყალსადენის მილი გასკდა და ქუჩაში წყალი იღვრება, როგორ ხდება თქვენთან მისი შეკეთება? – ასეთი იყო ამერიკელთა შემდეგი შეკითხვა. როგორც ხედავთ, იგი წინა კითხვასავით ჭირვეული და დამბნევი არ ჩანდა, მაგრამ წამყვანმა გაიფიქრა, ეს შეკითხვაც არ ჩაგვივარდესო და რაიკომის ინსტრუქტორად ნამუშევარ, ამჟამად სკკპ ისტორიის მასწავლებელს მიუტანა კბილებთან მიკროფონი.

– ჩვენთან წყალსადენის მილი არ სკდება! – იყვირა ნაინსტრუქტორალმა.

ოკეანის გაღმა გაიღიმეს.

– მაინც, მაინც, ერთხელაც რომ მოხდეს და გასკდეს? –

პასუხს ჯიუტად ითხოვდა შეკითხვის ავტორი, ლიმნისფერთ-მიანი, მოხუცი, ბუკლესპიჯაკიანი ჯენტლმენი.

– მივმართავთ სახლმმართველობას. თუ სახლმმართვ-ელობას ავტოგენი არ აღმოაჩნდა, მივმართავთ რაისაბჭოს განცხადებით, თუ რაისაბჭომ წაგვიყრუა, ვუჩივლებთ ქალაქ-ის საბჭოში. თუ იქაც ვერაფერი გავაწყვეთ, მივმართავთ ჩვენი რეგიონის დეპუტატს უმაღლეს საბჭოში.

– ვის?

სიცილს ძლივს იჭერდა ლიმნისთავა.

– დეპუტატს! და საერთოდ, სასურველია, წყალსადენის მილი არ გასკდეს. დეპუტატი ხალხის მსახურია და ასეთ უბრალო საქმეზე არ ღირს მისი შეწუხება!

წამყვანმა თავი დაუქნია, მასწავლებელმა პასუხი შეწყვი-ტა, ნიშნისმოგებით ახედა კედელს და დაჯდა. „პასუხი ნორმ-ალური იყო და რა აჭიხვინ-ახარხარებთ ამ ოჯახქორებსო“, ფიქრობდა ჩვენი ტელეთავი.

ოკეანისგაღმელმა ჯალათებმა სული რომ მოითქვეს, წამოდგა შავთვალწარბა, ცხვირკეხიანი, ბამბისფერსვიტრი-ანი კაცი, რომელიც „რ“-ს იმაზე უფრო რბილად წარმოთქ-ვამდა, ვიდრე ჩვეულებრივ ამერიკელები წარმოთქვამენ:

– თქვენ, თქვენ, მესამე რიგში, ებრაელი ბრძანდებით ხომ?

– ემეთია, – წამოხტა ჩვენიანი მეშვიდე რიგიდან, რითაც ერთხელ კიდევ დადასტურდა ცნობილი აღმოჩენა, იმის შეს-ახებ, რომ ებრაელები უაღრესად ნიჭიერი ხალხია და ერთ-მანეთს სამი ათასი კილომეტრიდანაც მშვენივრად ცნობენ.

– ვთქვათ საცხოვრებლად ისრაელში გინდა წამოსვლა, პირველ რიგში რას მოიმოქმედებ?

– ფულს შევაქუჩებ და განცხადებას დავწერ, ან განცხადე-ბას დავწერ და ფულს შევაქუჩებ!

ოკეანისგაღმა გაიცინეს.

– ფულს რისთვის შეაქუჩებ? – იკითხა ბამბისფერსვიტ-რიანმა.

– თქვენ რომ ფიქრობთ იმისთვის არა, – არ დაიბნა საბჭო-თა ებრაელი – განცხადებას რომ დავწერ, საზღვარგარეთ მი-

ვდივარ საცხოვრებლად-მეთქი, იმ დღიდან რომ სამშობლოს მტრად გამომაცხადებენ, სამსახურიდან მომხსნიან და პროფკავშირიდან გამრიცხავენ, სანამ ჩემს ნაცნობ-ნათესავებს სიდედრებიანად გაჩხრიკავენ და ჩემი და ჩემი ცოლიძმების პასუხგებაში ნამყოფობას შეამოწმებენ და, მერე, ან იქით გამიშვებენ და ან იმის იქით, იმ ხუთ-ექვს წელიწადში ჭამა არ მინდა?

– ნასამართლეობას რისთვის ამოწმებენ? – ვითომ არ იცოდა, მიამიტურად იკითხა ოკეანისგაღმელმა ებრაელმა.

– რისთვის და... ისრაელში ცუდად რომ არ მოვიქცე და გამზრდელ მილიციას თავი არ მოვჭრა! – ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ბიბლიის შემქმნელი ერის შთამომავალმა.

ბოლოსწინა შეკითხვა სხვა შეკითხვებზე უფრო საძაგელი აღმოჩნდა. წამოდგა ფერადსათვალიანი და შავკანიანი თმახუჭუჭა, ასაკრებუსა (ზანგებს ასაკი ძნელად ეტყობათ) ჩიკაგოელი და ჩვენს დელეგაციას მრავალმნიშვნელოვნად ჩამოაჩერდა:

– არ ვიცი, აქედან ჩანს თუ მართლა ასეა, ზოგ თქვენგანს, მგონი, ამერიკული პერანგი და შარვალი აცვია. საიდან გაქვთ? – ყრუდ იკითხა მან.

– პასილკიდან! – ვიღაცამ უფრო ყრუდ უპასუხა ამერიკელ ბიზნესმენს.

– ამანათიდან – გაუსწორა ვიღაცამ ვიღაცას.

– ამანათიდან – გაიმეორა პირველმა ვიღაცამ.

– კი, მაგრამ, თქვენი ნაწარმი რატომ არ გაცვიათ, არ ვარგა? – ჩაგვაჯინდა რასობრივი ჩაგვრის მსხვერპლი ჩიკაგოელი.

ყველამ იმ ვიღაცას შეხედა.

– ჩვენსას ვერ ვშოულობთ, – სერიოზულად განაცხადა მან.

ამ განცხადებაზე თუმცა აკრძალული ჰქონდათ, მაგრამ ჩვენი დელეგაციის წევრებსაც კი გაეცინათ.

– ამხანაგს სურდა ეთქვა, რომ ჩვენში შეკერილს საგარეოდ ვინახავ, ხოლო ამერიკული იმიტომ გვაცვია, რომ უბრალოა

და ყოველდღიურ სახმარად მოსახერხებელი. – განმარტა პროგრამის წამყვანმა და საბოლოოდ მოგვჭრა თავი.

საერთო სიცილ-ძიგძიგში თმახუჭუჭა ჩიკაგოელმა მადლობა გადაიხადა ამერიკული ნაწარმის მაღალი შეფასებისთვის.

– როგორია თქვენთან მცირე ერების ბედი? – ასე დაიწყო შეკითხვების მეორე წრე პარიკიანმა, ახმახმა ამერიკელმა.

– დიდ ერებში ითქვიფებიან! – იყვირა ნაინსტრუქტორალმა და პროგრამის წამყვანს შეხედა. იფიქრა, ახლა ხომ მაინც კარგად ვთქვიო და გამამხნევებელი ღიმილის მოლოდინში თავი იუპიტერისკენ შეაბრუნა.

– როგორ არიან თქვენთან სხვაგვარად მოაზროვნეები? – ამერიკის მხარესაც ჰყავდა პროგრამის წამყვანი. იგი აქამდე ჩუმად იჯდა და ჩვენი წამყვანის ნერვიულობას ღიმილ-ფიქრიანი ჩამოსცქეროდა.

– სხვაგვარად აზროვნებენ! – უპასუხა იქით წასვლის იმედგადაწურულმა ებრაელმა.

– როგორ ექცევა მათ მთავრობა?

– მკურნალობს! – ჩვენებური ჩანს, ფიქრობდა, სულერთია აწი მაინც აქეთ ვრჩები და სიმართლით მაინც დავამახსოვრებ თავს მშრალზე გასულებსო.

– როგორც გიჟებს?

– როგორც სხვაგვარად მოაზროვნეებს, – ნაღვლიანად ჩაილაპარაკა მოსეს მიმდევარმა.

– მე მითხრეს, რომ თქვენს ქვეყანაში „პოლიტიკური ლაყბობისათვის“ სამასორმაცდაათი კაცი დღემდე ციხეშია! – გამოაცხადა ბამბისფერსვიტრიანმა ჩიკაგოელმა.

– ეგ მტკნარი სიცრუეა და უნამუსო ცილისწამებაა! სამასორმოცდაათი კი არა, სამასორმოცდაშვიდი! – დაიჭექა ჩვენმა ტელებრიგადირმა.

– დემონსტარციების თავისუფლება გაქვთ? – ზანგმა დამოკლეს მახვილივით დაჰკიდა შეკითხვა საბჭოთა დელეგაციის თავზე.

– კი! შვიდ ნოემბერს და პირველ მაისს! – დაიძახა კულაშის მკვდრმა და საბოლოოდ გადაჯდა მეარმატურის გვერდით.

– კმაყოფილი ხართ ცხოვრებით? – ღიმილით იკითხა ბანკირის თავკისრის მქონე, პირში გაუჩაღებელსიგარაგაჩრილმა ამერიკელმა.

– ძალიან! – იყვირა მეორე ვიღაცამ.

– ისე აშენდა შენი პატრონი... – ქართულად ჩაილაპარაკა ლომისთავა ჩიკაგოელმა, მაგრამ ამ სიტყვებისთვის ყურადღება არავის მიუქცევია, რადგანაც ჩვენი დელეგაციის წევრთაგან ქართული არავინ იცოდა.

საერთოდ რად ავიტეხეთ ეს ტელეხიდი, ხათაბალაა და მეტი არაფერი. ნერვიულობ კაცი და ჭირის ოფლში იწურები, როცა ამგვარ, სადისტურ შეკითხვებს გაძლევენ. ხომ არ აჯობებდა ტყუილების თქმაში გასავარჯიშებლად ჯერხნობით შინაური ტელეხიდები მოგვეწყო.

საჩქეფელას სტუმრები

ხომ წარმოუდგენელია, თერთმეტი საათის განმავლობაში დუმილი; დარიას და პეტრეს, თუ შორისდებულებს და ნაწილაკებს მხედველობაში არ მივიღებთ, სიტყვა არ უთქვამთ ერთმანეთისთვის. წუხელის, პირველის ნახევარზე დაიძრა მატარებელი. ოთხკაციან კუპეში სხვა არავინ შემოსულა. დილით, ირიჟრაჟა თუ არა, დარიამ ჩაიცვა და ფანჯარას მიუჯდა. დროდადრო გამოხედავდა თავდაღმამწოლ თანამეცხედრეს, თითქოს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრებდა, და ისევ სარკმელს მიუბრუნდებოდა. დარწმუნებული არ იყო, რომ პეტრეს არ ეძინა და არც იმაში იყო დარწმუნებული, რომ ქმარი რაიმე ახალს ეტყოდა. ასე დაახლოებით, თერთმეტ საათზე, პეტრემ ჰალსტუხი გაიკეთა, ლურჯი ხავერდის პიჯაკი (რომელიც კარგად ექნებოდა, ორი ნომრით დიდი რომ ყოფილიყო) შემოიტმასნა ფართო ბეჭებზე, ხელები მუხლებზე დაიწყო და დარიას მიაჩერდა. თვალი არ მოუშორებია, ფანჯრისკენ არ გაუხედავს, ასე მიშტერებოდა თავის ცოლს და ვინ იცის, რას ფიქრობდა. შიგადაშიგ ურჩ ჭაღარას ხელით გულმოდგინედ დაილაგებდა, მერე კეფასთან მიიდებდა ხელისგულს და ასე ეჭირა წოლისაგან აბურდული ქოჩორი, მაგრამ ხელს ჩამოიღებდა თუ არა, თმა ნელა, ერთმანეთის მიყოლებით, სწორდებოდა და წუთის შემდეგ კვლავ იმგვარ ფორმას იღებდა, როგორი თმისწყობითაც საზოგადოებაში გამოჩენა ეთიკური თვალსაზრისით მთლად მოსახერხებელი არ გახლავთ.

მატარებელი მიმინოსწყაროს რომ უახლოვდებოდა, დარიამ ქმარს გამოხედა, უყურა, უყურა და მშვიდად, შეჩვეული, მოყვარული ცოლის კილოთი უთხრა:

– შეიხსენი ეს გალსტუკი, შემიწუხდა გული, არ გიჭერს?

პეტრეს გაეცინა.

– ამდენ შეხსნა-შებმაში ამოუვარდება თავი და მერე გასანასკვადაც ხალხს ვსდიო ქუჩაში? ჩონთამ დამაბარა, თუ აუცილებლობა არ იქნა, არ შეიხსნა, ღამე ცოტაზე გაშალე და თავზე გადაიძვრინეო.

– რად გინდოდა საერთოდ, როდის იკეთებდი გალსტუკს?

– საჭიროა, – პეტრემ მარცხენა ხელს მარჯვენა ხელისგული ამოადო (მანამდე პირიქით ჰქონდა) – შენ რა გესმის, პროვინციაში მივდივართ. უჰალსტუხოდ ჩასვლა საკუთარი თავის უპატივცემულობაა.

სად მიდიოდნენ მაინც ისეთ ადგილას, სადაც, პეტრეს ღრმა რწმენით, უჰალსტუხოდ ჩასვლა საკუთარი თავის უპატივცემულობას უდრიდა, ძვირფასო მკითხველო? ქალაქ ყვანცალაურის მკვიდრნი, ცოლ-ქმარი დარია და პეტრე სტუმრად მიემგზავრებოდნენ სოფელ საჩქეფელაში, სადაც ისინი ახალშეძენილ მეგობარს შავლეგო შავრიკიას ჰყავდა არაოფიციალურ ვიზიტად მიპატიჟებული.

შავლეგომ და პეტრემ ამ თვე-ნახევრის წინ, ბამბის მაღაზიაში, სრულიად შემთხვევით, გაიცვნეს ერთმანეთი. შავლეგო ყვანცალაურში მივლინებით გახლდათ, მაგრამ გავამხელ და ვიტყვი, რომ მივლინების ფურცელი ყალბი იყო. უფრო გასაგებად რომ ვთქვა, მივლინება სახელმწიფოს მიერ არ ნაზღაურდებოდა, რადგანაც ამჯერად ყვანცალაურში შავლეგო სამსახურის საქმეზე კი არა (როგორც სხვები დადიან ხოლმე) სწორედ რომ ბამბის საყიდლად იყო ჩასული. ბამბა, ისე როგორც ზოგი სხვა რამ, საჩქეფელის რაიმაღაზიაში არ იშოვებოდა. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, შავლეგო თხუთმეტიოდე წუთით გაერიდა თავის რიგს არცთუ აუცილებელ საქმეზე; ბარემ, გვერდით მაღაზიაში შევირბენ და ბავშვისთვის წითელი რეზინის საშლელს ვიყიდიო. საჩქეფელაში მხოლოდ ცისფერი საშლელი იყიდებოდა, ცისფერი საშლელი კი, როგორც წაშლის მოყვარულ მკითხველს მოეხსენება, მხოლოდ ფანქრით დაწერილს შლის, დაბრუნდა შავლეგო და რიგში თავის ადგილას ჩადგომა დააპირა, მაგრამ ნურას უკაცრავად. რიგმა პროტესტი გამოუცხადა. „ვიდექი და სულ რამ-

დენიმე წუთი გავედიო“, ყელში ცრემლი მოაწვა შავლეგოს. „ჰკითხეთ, თუ არ გჯერათ, აგერ, ამ დარბაისელ კაცსო“, და სწორედ იმ კაცზე მიუთითა, რომელიც მის წინ იდგა და შავლეგოს ჰკითხა კიდეც: „ნეტავ თუ შეგვხვდება, ბამბაო“. დარბაისელმა კაცმა მოიხედა, შავლეგო აათვალიერ-ჩაათვალიერა და მშვიდად განაცხადა: „არ მდგარა“. ერთადერთი იმედი მაღალ-მაღალი, ბობრწამწამა, მწვანეთვალება ქალი გახლდათ. იგი სწორედ შავლეგოს ზურგს უკან იდგა რიგში და, მართალია, შავლეგოსთვის თავის მხრივ არაფერი უკითხავს, მაგრამ შავლეგოს კითხვაზე „თქვენ აქ იქნებით?“, ქალმა თავი დაუქნია. „ვიდექი თუ არა თქვენს წინ ქალბატონო?!“ ხმამაღლა ჰკითხა თავის სიმართლეში დარწმუნებულმა შავლეგომ. ქალმა ბობრი წამწამები ააფახულა და შავლეგოს გაუღიმა: „მე თქვენ პირველად გხედავთ“. „არ მდგარა“! იხუვლა რიგმა და ის იყო შავლეგოს სამუდამოდ მოკვეთა დააპირა, რომ საჩქეფელელი სტუმრის ზურგს უკან ვიღაცამ დაიძახა: „იდგა, მე მახსოვს“. შავლეგოს სახე გაებადრა. რიგმა მცირე ჭოჭმანის შემდეგ მოწმის ჩვენება სარწმუნოდ მიიჩნია და ჭეშმარიტებამ იზეიმა. შავლეგო თავის ადგილას ჩააყენეს. მკითხველი, ალბათ, უკვე ხვდება, რომ შავლეგოს მხსნელი პეტრე გახლდათ. ხოლო უცნობი კაცის ეს ბუნებრივი ნაბიჯი სრულიად საკმარისი გამოდგა იმისათვის, რომ შავლეგოს პეტრესთვის სამუდამო მეგობრობა შეეთავაზებინა და თავის მშობლიურ სოფელ საჩქეფელაშიც მოეწვია მეუღლითურთ.

წერილების გაცვლა-გამოცვლა თვე-ნახევარს გრძელდებოდა. ბოლოს გაჭრა შავლეგოს მხურვალე თხოვნამ, პეტრემ სამდღიანი უფასო შვებულება (დანომრილ ქარხანაში მეტაბელედ მუშაობდა) ითხოვა, დარია კი დიასახლისი გახლდათ და დანარჩენი მოგეხსენებათ.

მიმინოსწყაროს „მიმდებარე ტერიტორიაზე“ ცხელოდა. ნელა, რაწკუნითა და ქშენით მიმავალი მატარებლის ფანჯრიდან ჯერ ზედ რკინიგზასმომდგარი გრძელი სატვირთო შენობები გამოჩნდა და მერე-გადარუხებული ბაქანი სახესთან ცხვირსახოც-მარაო აფრიალებული მოქალაქეებით და

ნაყინის „სკასთან“ მდგარი თეთრხალათიანი გამყიდველებით. მზის ბუღის მიუხედავად, ნაყინს არავინ ყიდულობდა. აქაურებს ნაყინი ძალიან უყვარდათ, მაგრამ მიმინოწყაროული ნაყინი ყვანცალაურულზე ბევრად ნაკლები გახლდათ. რომ დავმალო, ვის დავუმალო, ისედაც ყველამ იცის.

არც მატარებლის გაჩერების შემდეგ გამოუჩენია პეტრეს დიდი დაინტერესება მიმინოსწყაროს ვაგზლის მიმართ. მან მშვენივრად იცოდა, რომ ვაგზლის შენობები ჩვენს დიად ქვეყანაში ერთმანეთს ძალიან ჰგვანან. ხოლო ბაქანზე ლამის ყველგან ერთნაირი სურათია. ხის სავარძელზე სხედან ბოღჩაჩემოდნებახლომიწყობილი მგზავრები, ერთმანეთის თვალის არიდებით დასეირნობენ მილიციელები და ქურდები, ყველგან ჰყიდიან აჭრილ, თბილ ლიმონათს და მცირემარილიან მჟავე კიტრს. მატარებელი სამიოდე წუთის გაჩერებული არც კი იყო, რომ ვიღაცამ კუპის კარი განზე გასწია, შემოიხედა, ბოდიში მოიხადა და ისევ რაჩხუნით მიკეტა. პეტრეს ეცნაურა მგზავრის მზით გარუჯული სახე, განზე გასული თვალები და კვართის შეხსნილ ღილიდან ამოჩრილი კუპრივით შავი თმები, მაგრამ გახსენებისთვის დრო აღარ იყო, რადგანაც მკერდბანჯგვლიანი სტუმარი ისევ გამოჩნდა კარებში და აღტაცებით შემოიძახა:

– პეტრე! ჩემო პეტრე!

პეტრეს ჯერ კითხვით აევსო თვალები, წამოდგა და დაჯდა, მერე ხითხითი აუტყდა, სახელოზე ხელი მოჰკიდა, გვერდით მოისვა და დარიას მიუბრუნდა.

– ღმერთო ჩემო, ეს ხომ შავლეგოა, – დაბნეულად შესცქეროდა ხან ცოლს, ხან შავლეგოს, – აქ საიდან გაჩნდი, ჩვენ ხომ შენთან მოვდივართ.

– გულმა არ მომითმინა. მატარებელში გაწვალდებიან-მეთქი, ჩამოვედი და დაგხვდით. მანქანით ვარ. აქედან ჩემს სოფლამდე შვიდი საათის გზაა. თან გზასაც დავათვალიერებთ. ხომ ასე აჯობებს? რავა იტყვით თქვენ? – შავლეგო დარიას მიუბრუნდა, – ეს ქალბატონი, ალბათ, ჩემი რძალია, არ უნდა ლაპარაკი. მაპატიეთ, ქალბატონო, სიხა-

რულისგან ისე დავიბენი, ხელიც ვერ ჩამოგართვით. დეპეშაში მეთერთმეტე ვაგონი კი ეწერა, მაგრამ მაინც ვინერვიულე, ვაითუ გადაცვალეს ადგილი და ვერ ვიპოვო-მეთქი, აბა, მივხედოთ საქმეს... ეს ჩემოდანი... ზემოთ ხომ არაფერი გაქვთ... არაფერი დაგვრჩეს... მატარებელი აქ, საერთოდ, ნახევარ საათს ჩერდება, მაგრამ თუ დაგვიანებულია შეიძლება ათ წუთშიც გავიდეს... გაუშვი ხელი, ჩემო პეტრე... როგორ გეკადრება... როგორ გეკადრება...

ბაქანზე ჩქარი ნაბიჯით მიმავალ ბარგაკიდებულ შავლეგოს უკან რომ მისდევდნენ, ცოლ-ქმარს, ცოტა არ იყოს, დაბნეული და გაკვირვებული სახეები ჰქონდათ. პეტრემ კი, გითხრათ სიმართლე, უცნაურობაზე ცოტა მეტ საქციელად შეაფასა შავლეგოს ნაბიჯი. „რა საჭირო იყო მიმინოსწყაროში დახვედრა, როცა მატარებელი სულ რაღაც ცხრა საათის შემდეგ საჩქეფელას ბაქანს მიაკივლებდაო“. გაიფიქრა, მაგრამ სიარულისას წამდაუწუმ მობრუნებული მეუღლის „რა ხდება?“ რომ დაეკმაყოფილებინა, ძალად მშვიდი სახე მიიღო და დარიას განუმარტა: „ამათთან ასეა მიღებული“.

გაზეთების ჯიხურის მარცხენა მხარეს, ევკალიპტის ჩრდილში მდგარ ძველთაძველ, სიასამურისფერ „პობედას“ დაახლოებით ოცდაათ ნაბიჯზე რომ მიუახლოვდნენ, მანქანის კარი გაიღო, ჯიქურ გადმოხტა ოცდაათიოდე წლის, გრუზათმიანი ტანსრული კაცი. მეხანძრის შეუპოვრობით გამოიქცა, ჯერ შავლეგოს ეცა და ჩემოდან-ზურგჩანთა გამოგლიჯა, ორიოდე ნაბიჯი რომ გადადგა, ბარგი ბალახზე დაყარა, მურა დათვის სიმარდით შემოტრიალდა და ხელგაწვდილი ეძგერა ჯერ პეტრეს და მერე მის მეუღლეს: „შიო, ბატონო! შავლეგოს უმცროსი ძმა!“ დარიამ ერთი პირობა გაქცევა დააპირა, მაგრამ შავლეგოს უმცროსი ძმის გაბადრულ სახეს რომ წააწყდა, თამამად გაუწოდა ხელი და, მგონი, შავლეგოს უთხრა კიდეც – „რა მარდი ძმა გყოლიათო.“.

რამდენიმე წუთის შემდეგ ოთხმგზავრიანი უტენტო „პობედა“ რესპუბლიკის ალაგალაგასფალტიან ნახევრად სამხედრო გზაზე მიჰქროდა. შავლეგომ თავიდანვე მოუბოდიშა სტუმრებს: „მაპატიეთ, მანქანა დამიძველდა, მაგრამ შიშით

არ შეგეშინდეთ, მავალი ნაწილები, მთლიანად „ვოლგის“ უყ-ენიაო“. პეტრე ტუჩებმოკუმული, ლაჯებში ხელებჩაწყობილი იჯდა უკანა სავარძელში და რახრახით მიმავალი ვეტერანი მანქანის ყოველ აყირავებაზე შავლეგოს ნათქვამში მავალი ნაწილების „ვოლგისეულობის“ შესახებ ეჭვი ეპარებოდა. დარია კი ციტრუსებიანი ეზოების თვალიერებით იყო გარ-თული და ხანდახან უკან გზასაც გამოხედავდა. დარია მან-ქანებში მაინცდამაინც ვერ ერკვეოდა და მოსწონდა კიდეც, რომ მასპინძლის „პობედა“ გზაზე რეაქტიული თვითმფრინა-ვის მსგავსად ცისფერ, გაუშლელ ბოლს ტოვებდა.

არ ექნებოდათ გავლილი ცამეტი კილომეტრიც კი, შავლე-გომ შიოს მშობლიურ ენაზე რაღაც რომ გადაულაპარაკა და იმ გადალაპარაკების შემდეგ სტუმრებმა იგრძნეს, რომ ძმებს რაღაც სერიოზული საზრუნავი გაუჩნდათ. გაჩერდებოდა „პობედა“, მობრუნდებოდა, ქშენით მიუჯდებოდა შავლეგოს და რაღაცას ეტყოდა. შავლეგო უპასუხოდ დაუქნევდა თავს და მანქანას დაძრავდა. მეშვიდეჯერ შიოს გადარბენა-მო-ბრუნების შემდეგ პეტრემ შემკრთალი ხმით იკითხა: „რაიმე უსიამოვნო ხომ არ შეგემთხვათო?“

შავლეგომ გრძელთაგრძელი მუშტუკი გამოიღო პირიდან, სიგარეტის ნამწვი გადააგდო, მუშტუკი სულის შებერვით გა-მოასუფთავა, პატარა სარკეს მიაჩერდა და ხითხითით აუწყა სტუმრებს: „ჩვენ ბოდიში, სასაუზმო ადგილს ვარჩევთ“.

დარიამ მხრების აჩეჩვით შეხედა ქმარს. თქმით არაფერი უთქვამს. პეტრეს ღირსეულ მეუღლეს უკვირდა, რა შერჩევა უნდოდა სასაუზმო ადგილს, როცა ირგვლივ წალკოტი ჰყვა-ოდა.

ბოლოს, როგორც იქნა, გამოიძებნა მწვანებორცვიანი, შემაღლებული ადგილი, რომელზეც დღემდე ამოუკითხავ წარწერიანი, ხავსმოდებული შვიდი გობის დასატევი, ბრტყ-ელი ქვა იდო, ხოლო იქვე, გვერდით, წყარო მოლიკლიკებდა.

საბარგულიდან მრგვალად მოხარშული დედალი, წვენგად-ენილი სულგუნის ყველი, კაკლისფოთლებაღბეჭდილი ჭადები, ცელოფანის პარკში ჩადებული საგულდაგულოდ გარეცხილი კიტრ-პამიდორი და წიწმატ-ოხრახუში, ნიგვზიანი ბადრიჯანი,

ვერცხლისფერი ეკალა და დოქით ღვინო ამოალაგეს. პეტრემ პირველად ის იკითხა: „ღვინო შინნაკეთი ხომ არ არისო“ და დადებითი პასუხი რომ მიიღო, ერთბაშად მოიწყინა. ვიღაც ღვთის პირიდან გადავარდნილმა ამ ოციოდე წლის წინ შეაშინა, ქართველების თვითნაკეთი ღვინო სანდო არ არის, დაბეჭდილს მიეძალეო. იმ ღვთისპირიდან გადავარდნილ მრჩეველს პირიქით რომ ეთქვა, ალბათ პეტრეს მთელი სიცოცხლის მანძილზე ქარხნის ღვინის შიში ექნებოდა.

საუზმემ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. თუ რა სადღეგრძელოები ითქვა, ამით მკითხველს არ გადავღლი; ვინც ქართულ პურობაზე ერთხელ მაინც ყოფილა სადღეგრძელოების ჩვეულებრივი რიგი მოეხსენება, ხოლო ვისაც ამგვარი შემთხვევა არ ჩავარდნია, მოსალოდნელი სიამოვნების წართმევას მოვერიდები და არ გავუმხელ.

როცა „ჩვენ, დარჩენილი დღეების“ სადღეგრძელოზე დარიამ აღტაცება გამოთქვა: „რა ლამაზად ლაპარაკობენო“ პეტრე გადაიხარა და შეთქმულივით უჩურჩულა: „ოვაციები არ გინდა, ლაპარაკობენ, მეტი ხომ არაფერი“.

ტრაპეზი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა დარიამ გულუბრყვილოდ იკითხა: „რა გემრიელი ბადრიჯანია, ნეტავ რა რეცეპტით აკეთებენო“. პეტრემ ჯერ განზე გაიხედა, მერე, როცა შავლეგო დოქით ჭიქას ავსებდა, დრო იხელთა და ტუჩი ყურთან მიუტანა თანამეცხედრეს: „თავი შეიკავე, ბადრიჯანია მეტი ხომ არაფერი“.

სხვა შემთხვევაში დარია ქმარს შეეკამათებოდა და, ვინ იცის, იქნებ უკმეხადაც ეპასუხნა: „რა გამიწყალე გული, ბადრიჯნის მოწონებაც არ შეიძლებაო?!“ მაგრამ პეტრეს მეუღლე გონიერი ქალი იყო და ამჯერად არაფერი უთქვამს. გაფიქრებით კი გაიფიქრა: „განა იმიტომ არ გეპასუხები, ჩემო პეტრე, რომ შენი აჩემებული „მეტი ხომ არაფერი“ ძალიან მომწონს, უბრალოდ, არ მინდა მასპინძლებმა ჩვენი კინკლაობა შეამჩნიონ“.

სანამ ნახევრად ზღვით დაფარულ უძველეს კოლხურ ქალაქამდე მივიდოდნენ, შავლეგომ სტუმრებს ოკინკილეს მღვიმის დათვალიერება შესთავაზა. პეტრეს გამოქვაბულე-

ბი საერთოდ არ უყვარდა და ახლა მით უმეტეს, გემრიელი საუზმის შემდეგ, მანქანიდან გადმოსვლა არ ეგუნებებოდა, უკმაყოფილოდ შეიშმუშნა და ის იყო „სხვა დროს, სხვა დროსო“ უნდა ეთქვა, მაგრამ რაკი დარიამ სიხარულის ტაში დასცხო – პირში წყალი ჩაიგუბა. აბრეშუმის ყაჭის სიჩქარით მუცელ-მუცელ გადმოხოხდა მანქანიდან და სანამ მასპინძლები რიგის გვერდის ავლით (სტუმრები რომ არ შეეწუხებინათ) ბილეთების გახერხების ფაციფუცში იყვნენ, თვითონ მედიდური პასუხისმგებელი ამხანაგივით შორიახლო გადგა ზურგზე ხელებდაწყობილი.

ოკინკილეს მღვიმე სამი აღმოჩენილი და შვიდი აღმოუჩენელი დარბაზისაგან შედგება. სტალაქტიდ სტალაგმიტების ანსამბლიდან დარიას განსაკუთრებით სტალაგმიტები მოეწონა, ხოლო იისფრად განათებული ასმეტრიანი მეგობრობის დარბაზის ხილვამ ისე დააბნია, რომ თავის გაუკვირვებელ ქმარს ხელკავი გამოსდო და აღტაცებით უჩურჩულა: „შეხედე, პეტია, არ არის უკვდავი, ვინც ეს გამოქვაბული აღმოაჩინა?“ პეტრეს სციოდა. მღვიმის სინესტემ უსიამოვნო ფიქრები აუშალა და კისერზე ერთი ორი სტალაგმიტური წვეთიც რომ დაეცა, შეაჟრჟოლა. „რა იყო რა მოხდა, გამოქვაბულია მეტი ხომ არაფერი“ – თქვა და მოაჯირიდან ცისფრად განათებულ მღვიმის ტბას ჩახედა. გამოქვაბულის სილამაზეზე უფრო მეტად ამგვარი საზრუნავით აევსო გონება: „ეს მოაჯირი რომ ჩაირღვეს, ნეტავ გადავრჩებით თუ არაო“. კაცმა არ იცის, ძვირფასო მკითხველო, საჭიროების შემთხვევაში ეს უკანასკნელი ფიქრი უფრო გამოსადეგია, თუ დარიას აღმაფრენა, იმის გამო, რომ სტალაგმიტების ბროლის თვალებით მღვიმეში შესულებს ხუთი მილიონი წელი შეჰყურებდათ.

მღვიმიდან მშვიდობით გამოსულებს კაშკაშა მზემ მოსჭრათ თვალები და ივლისის ხვატმა სახეში შეასუნთქათ. „აქაური მზე ნამეტანი თამამია, ისევ გამოქვაბულში ყოფნა სჯობდაო“, სრულიად სერიოზულად თქვა პეტრემ. ძმებმა შავრიკიებმა ეს ნათქვამი რატომღაც ხუმრობად მიიჩნიეს და გემრიელად ახარხარდნენ. პეტრე შეძრწუნებული შესცქეროდა ხან ძმებს და ხან თავის მეუღლეს. მას შავლეგო და

შიო, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურ ადამიანებად მიაჩნდა და მათგან ყველაფერს მოელოდა, ამჯერად ის უფრო ვერ გაეგო, რა აცინებდა დარიას – მეტაბელის ერთგულ თანამეცხედრეს.

„პობედამ“ ვირიხიდას აღმართი რომ აიქშინ-აითუხთუხა და გავაკებულზე გზას ისე სწრაფად გაუწვა, რა სისწრაფის განვითარებაც ომისშემდგომ პირველსავე ხუთწლედში დაბადებულ მის ბებერ სხეულს შეეძლო, დარიამ თავიანთ მასპინძლურ ფიქრებში გართულ ძმებს ბეჭებზე ერთდროულად მოუთათუნა ხელი და გულწრფელად სთხოვა: „თუ შეიძლება იმღერეთო“. შავლეგო და შიო ამგვარ თხოვნას არ მოელოდნენ და, ჩვენ შორის დარჩეს, აღარც ახსოვდათ, მანქანაში ოდესმე უმღერიათ თუ არა, მაგრამ სტუმარს უარს ხომ არ ეტყოდნენ, სიამოვნებითო, შეთანხმებულად გაუღიმეს მეგობრის მეუღლეს, ერთანეთს გადახედეს და სიმღერა დაიწყეს. „შენ ჩემი გაზაფხული და...“ ირწეოდა ვალმოხდილი „პობედის“ სალონში და აფართხუნებულ პარპრიზს აწვებოდა რომ გარეთ გამსხლტარიყო და გზას დაჰფენოდა, „უსმენ?“ – დარიამ ფეხებშუახელებჩაწყობილი, ყეყეჩივით გაქვავებული ქმარი მხარზე ნაზი შეხებით გამოარკვია. „ვუსმენ მერე? მერე რა, მღერიან მეტი ხომ არაფერი“, თქვა ისე, რომ ლაჯებში ჩამწყდვეული მიტყუპებული ხელები არ გაუტოკებია.

დიდხანს, გრძლად და სევდიანად მღეროდნენ ძმები, ისინი მაშინაც კი მღეროდნენ, სიცხისაგან და გზისგან მოთენთილ ცოლ-ქმარს ერთმანეთის მხარზე თავმიდებულებს რომ ჩაეძინათ და, ვინ იცის, სანამ იმღერებდნენ, შემთხვევით შიოს უკან რომ არ მოეხედა და ძმა არ გაეფრთხილებინა: „სძინავთ, ბიჭო, ამგენს მე მგონიაო“.

ოფურჩხეთის რესტორან „სამამლიაში“ ლაზათიანად ისადილეს. რესტორნის გვერდით გრძელი, კომბინირებული მაღაზია იდგა. მაღაზიაშიც შეიხედეს. ისე, ყოველ შემთხვევისათვის. სავსე იყო მაღაზია იმგვარი საქონლით, საერთოდ რომ არ იყიდება. უსაქმურობისგან დაოსებული გამყიდველები ერთად შეჯგუფულიყვნენ და ძველ გაზეთს ხმამაღლა კითხულობდნენ. პეტრე ერთ-ერთ მათგანთან მივიდა,

თვალები ეშმაკურად მოწკურა და ჰკითხა: „ავტომატი თუ გაქვთ, კალაშნიკოვის?“ „გვქონდა, გუშინ გაგვითავდა. იმ კვირაში მივიღებთ“, ირონიას მიუხვდა ჩოფურა გამყიდველი და კარგა ხანს ორივენი გულიანად ძიგძიგებდნენ. საერთოდ პეტრეს წესად ჰქონდა ღარიბულ მაღაზიას რომ ნახავდა, აუცილებლად იკითხავდა – „კალაშნიკოვის ავტომატი ხომ არა გაქვთო“. თვით პეტრეს ირონიის გრძნობა დიდად გამახვილებული როდი ჰქონდა, ეს შეკითხვა ყვანცალაურში ვიღაცისგან მოისმინა და სამუდამოდ დაამახსოვრდა.

საჩქეფელაში რომ ჩავიდნენ, ზაფხულის დროით, ათს აღარაფერი აკლდა. გაიარეს წნული ორღობე და მდინარე წყალთბილას მონჯღრეულ ბოგირზე რომ გავიდნენ, შავლეგომ მანქანა გრანიტის უშველებელი კლდის წინ გააჩერა, კლდის შიბზე შემომჯდარმა თეთრპერანგა ბიჭმა ხელაპყრობით წარმოსთქვა მხურვალე მისასალმებელი ლექსი. დარია და პეტრეს სიტყვები გარკვევით არ ესმოდათ, მაგრამ იქიდანაც კი რაც გაარჩიეს („ჩრდილოეთის ციალი“... „თეთრი ღამეებიდან...“ „მზიური ველი..“ „მარადიული დღესასწაული“...) აშკარად ჩანდა, რომ ბიჭი მთელი მზიური კუთხის სახელით მადლობას უხდიდა ცოლ-ქმარს ჩამობრძანებით გაბედნიერებისათვის. ბიჭმა სიტყვა რომ დაამთავრა, გორგალს დაწვდა და კლდეს ლურჯ-მწვანედ აჭრელებული ტრანსპარანტი გადმოეფინა. ტრანსპარანტზე ცაში ატყორცნილი თავთოვლიანი მთების ფონზე მრგვალი ასოებით ეწერა „მშვიდობა თქვენს მობრძანებას“. ასოები მხატვარს ისე ჩამოემწკრივებინა, რომ ერთმანეთის მხრებზე შემდგარი სპილოები გეგონებოდათ. ბროწეულების ხეივანი გაიარეს და რკინის ჭიშკარს მიადგნენ. ეზოში ცადგაბარჯღული ცაცხვის ქვეშ გრძელი სუფრა იყო გაშლილი. იქვე, თეთრქუდიანი მამაკაცები და საგარეოდ გამოწყობილი ქალ-ბავშვნი ფუსფუსებდნენ. მწვანედ შეღებილ ჭიშკარზე ახალთახალი (ყოველ შემთხვევაში პეტრეს ასე მოეჩვენა) სპილენძის ფარი ეკიდა. სტუმარ-მასპინძლები ჭიშკარს რომ მიუახლოვდნენ, ბროწეულის კულისებიდან ურო-შემართული ყმაწვილი გამოვიდა და ისე ღონივრად როფა ურო სპილენძის ფარს, რომ ექო ქვაკოჩიას მთას მიაწყდა და

ქვემოთ, საჩქეფელას ჭალებში გაიშალა. ქვაკოჩიას მთიდან ექო ჯერ კიდევ მთლიანად არ მობრუნებულიყო, რომ ღია ჭიშკარში შავ ჩაბალახგადაფენილი, თეთრწვერა მოხუცი გამოჩნდა. ასაკის და მდგომარეობის შესაფერისად ბეჭგაჭიმული ბებრები ოდნავხრინწგარეული, მაგრამ მაინც ღონიერი და ხაფიანი ხმებით მღეროდნენ, უძველეს ხალხურ სიმღერას იმის შესახებ, თუ როგორ დააცდინა შვიდმა მონადირემ შვიდ-შვიდი ტყვია ჯიხვს და როგორ გადმოკიდა რქებით ქარაფზე ჯიხვი ბერი პაპას ნასროლმა ხირიმმა.

სუფრაზე დასხდომის წინ შავლეგომ თავისი მეუღლე ქიონია და ქალიშვილი თათია წარუდგინა სტუმრებს. ქიონია ტანმორჩილი, გამხდარი, სანდომიანი და გამრჯე, პაწკვი ქალი გახლდათ, ხოლო ჩვიდმეტიოდე წლის თათია შავთვალწარბა და მოხდენილი, მაგრამ დედაზე უფრო გამხდარი იყო.

პურობა ალიონამდე გაგრძელდა. იმდენად უჩვეულო და გამაბრუებელი იყო პეტრესთვის ლხინის თავისებური ადათი, რომ იქაურმა ძველშავმაც ვერ დაათრო. იგი სულგანაბული შესცქეროდა ამ უცნაურ სუფრა-სერობას, მაგრამ გარეგნულად გულგრილ იერს ინარჩუნებდა. უფრო მეტიც, რამდენჯერმე მოუხდა აღტაცებული მეუღლის შეჩერება უკვე მომაბეზრებელი ჩაგონებებით: „ხუმრობენ მეტი ხომ არაფერი, ცეკვავენ მეტი ხომ არაფერი...“ პეტრეს ამ უსასრულოდ გაგრძელებულ ნადიმში განსაკუთრებით ორი რამ აღელვებდა: ა) რატომ არ გამოთქვამდნენ აღშფოთებას ახლომახლო მცხოვრებნი შავრიკიების ხმამაღალი სიმღერის გამო, ბ) რატომ არ სხდებოდნენ სუფრასთან ქალბატონი ქიონია და მომხიბვლელი თათია. კითხვა რომ ეუხერხულა, თვითონვე დაასკვნა, ალბათ, ახლომახლო მცხოვრებნი აქვე სუფრაზე ბრძანდებიან და თვითონვე მღერიანო, ხოლო ქიონიას და თათიას ადგილობრივი, უცნაური ტრადიციის გამო აკრძალული აქვთ სტუმრებთან დაჯდომა, ისინი, ალბათ, ნასუფრალს შეექცევიან და გამხდრებიც ამიტომ არიანო.

ოთხ დღეს დარჩნენ სტუმრები საჩქეფელაში. რაც შეეძლოთ, იმგვარად კი არა, რაც არ შეეძლოთ, იმგვარად სცეს შავრიკიებმა ცოლ-ქმარს პატივი. რა მოსატანია, მაგრამ თუნ-

დაც ეწყინოს შავლეგოს, ჭეშმარიტების ხაზგასასმელად უნდა ვთქვა, რომ მესამე დღეს საჩქეფელას ოთხწლიანი სკოლის სუფთა წერის მასწავლებელმა შავლეგო შავრიკიამ თავისი უმცროსი ძმა გაგზავნა ხონში ბიძაშვილთან ფულის სასესხებლად და როცა ძმამ დაბარებული ორასი მანეთის ნაცვლად მხოლოდ ასი მანეთი მოუტანა, ფული გამოართვა, არავინ დამინახოსო, მიხედ-მოიხედა, ჯიბეში ჩაიკუჭა და თვალმოწკურვით უთხრა. „ისე მთლა ვარი ეთქვა მირჩევნოდა, მარა ორასი მანეთის გადახდას ასი მანეთის გადახდა სჯობია. რავა თქვა ბრძენმა? ფულის სესხება წაგებაა მსესხებლისთვისო, იღებ დროებით, აძლევ სამუდამოდ, წაგებაა, აბა, რა არიო“.

მეცამეტე და უკანასკნელ სუფრაზე, მაშინ, როცა მატარებლის გასვლას ერთი საათი აკლდა, პეტრემ, აქამდე ჩუმად მყოფმა, მასპინძლობით გალაღებულმა (ასე ეგონათ სხვებს) პეტრემ, თამადას ნებართვა გამოსთხოვა და მასპინძლების სადღეგრძელო კი არა თქვა, საკმაოდ გრძელი და დამრჩომთათვის გულისმომკვლელი სიტყვით გამოვიდა. ლაპარაკობდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად, აშკარად გაგულისებული, ყველაფერს რა გამახსენებს, დაახლოებით კი ასე განაცხადა – რაა ბოლოს და ბოლოს, ეს გაუთავებელი ლხინიო. დავიჯერო ახლა ასე გაგეხარდათ ჩემი ჩამოსვლა და თუ ასე გაგეხარდათ, რატომ გაგეხარდათ, რომელი მესია მე გამოგეცხადეთო. ზომა უნდა ყველაფერსო. კაცმა რომ თქვას, რა ხდება ასეთი, უბრალო ამხანაგი გესტუმრათ, მეტი ხომ არაფერიო. დაწვრილებით ილაპარაკა მის მიერ შემჩნეულ სხვა უმსგავსოებებზეც და, ბოლოს, მგონი ოკინკილეს მღვიმესაც შეეხო. მაგ მღვიმით თავი რომ მოგაქვთ, რა თქვენი დამსახურებაა, მიწისქვეშა წყლების ხუთმილიონწლიანი ნამუშევარია, მგონი, საკუთრივ თქვენი არც კი უნდა იყოსო.

მასპინძლებმა სიმთვრალეში ჩაუთვალეს პეტრეს ეს პილპილიანი სიტყვა და რა სიყვარულითაც მიიღეს, იმ სიყვარულითვე გამოაცილეს.

დარია ვაგონის ფანჯარასთან მიმჯდარიყო და სიცხეში ჩაძირულ ეზოებს ჩაჰყურებდა – კრამიტისსახურავიანი, ფარ-

თოკიბეებიანი ოდებით და ოწინარიანი ჭებით დამშვენებულ ეზოებს. პეტრეს ლაჯებში ჩაეწყო ხელები და ცოლს იმ მოლოდინით შეჰყურებდა, რა მოლოდინითაც ნაქეიფ-ნადებოშარი ქმრები მეორე დილით საავდრო ღრუბელივით მოქუფრულ ცოლებს შეჰყურებენ. ბოლოს, როგორც იქნა, დაადგა საშველი, დარიამ თვალნი არისხნა პეტრეს და ახსნა-განმარტება მოსთხოვა მის უკადრის საქციელზე: რა მოხდა ბოლოს და ბოლოს, რატომ მოიჭერი თავი, მასპინძლები თან გვყვებოდნენ და რატომ ჩაგვაშხამე ყველაფერიო.

– შენ რა გესმის, ქალო, შენ თვალით ზომავ ყველაფერს, მე კი წინ ვიხედები. მე რომ ნაწყენი იერი არ მიმეღო და გულმოსული არ წამოვსულიყავი, საპასუხო ვიზიტად ხომ ჩვენ უნდა დაგვეპატიჟნა. სად მიდიოდი მერე? ასე დამხვედრი ვიყავით ჩვენ? არ ვიყავით... შენ ახლა სულელი გგონივარ, მაგრამ არც ეგრეა საქმე... შენ... შენ ყველაფერი ძალიან იოლი გგონია... ასეა ეს...

დარიას არაფერი უთქვამს.

მატარებელი ქშენა-ქშენით მიქროდა მწვანე უდაბნოში. ამ ევკალიპტებსა და ცაცხვებს შორის მიქროდა იგი დიდი ხნის წინათაც. მატარებელმა თავისი გზა იცოდა.

ხიფათი

ეშმაკს არ სძინავს, ბატონო. მართალია, ყველაფერს ვერ განჭვრეტ კაცი და წინასწარ ვერ გაპლანავ, მაგრამ რაც შეგიძლია, უნდა იფრთხილო. წუთისოფლის აღმა-დაღმა ბრუნვას ისე უნდა ააყოლო ტანი, რომ ზვირთს ქვეშ არ მოექცე. შენი ცდა-ქიჩმაჩი არ უნდა დააკლო შენ წილ ცხოვრებას, მერე, ჩემი ხნის რომ მოიყრები, სანანებლად რომ არ დაგრჩეს, ნეტავ, ასე მექნა და ამ გზით წავსულიყავიო. კი, მაშინ სხვა დრო იყო და ახლა სხვა დროა, მაშინ უფრო ადვილი იყო კაცის გაფუჭება, ავ სიტყვას და ენატანიობას მაშინ მეტი გასავალი ჰქონდა, მაგრამ არც ახლა უნდა დარჩე შენს დღეებს ბრმად მინდობილი. შენი ორთაყვირი შენ უნდა გეჭიროს და შენი ცხოვრების ტივს შენ უნდა უმარჯვო. ასეა ეს. ჭკუა უნდა დააყოლო კაცმა შენს ნამოქმედარს, თუმცა ხიფათს იქნებ მაინც გადაეყარო, როგორც მე დამემართა. ერთი წელი ვხეხე. ათას ცხრაას ორმოცდახუთი წლის იანვარში დამიჭირეს და ორმოცდაექვსის თებერვალში გამომიშვეს. ახლავე მოგიყვები, რაც მოხდა ჩემს თავს. ამას რატომ გეუბნები, თუ იცი, არაფერი არ უნდა გაგიკვირდეს. უცებ შეიძლება შავი ღრუბლები დაგროვდეს შენს თავზე, ისე რომ ბაიბურშიც არ იყო. შენი გულუბრყვილობით, შენი სიბეცით რომ გაებმები კაცი მახეში, უფრო მწარეა. თვითგვემას იწყებ და საკუთარი თავის რწმენას კარგავ. თუ სინდისი სუფთა გაქვს და უბრალო ხარ, როგორიც მე ვიყავი მაშინ, იმედს არ იწურავ, იცი, რომ ადრე თუ გვიან მიხვდებიან შენს სიმართლეს. იმედი დიდი რამეა. იმედი აძლებინებს კაცს გასაჭირში. იმედდაკარგულ, სასოწარკვეთილ კაცზე უფრო საცოდავი არავინაა ამ ქვეყანაზე.

მწვანეყვავილაზე მაქვს მე ბავშვობა გატარებული. მამაჩემი ასტრონომიის მასწავლებელი იყო და რაკი ხელფასი არ გვყოფნიდა (ოთხი შვილი ვყავდით), მეორე ადგილზეც მუშაობდა. ასოების გამოყვანა ეხერხებოდა და აღმასკომის მხ-

ატვრად იყო გაფორმებული. ლოზუნგებს წერდა. ჩვენი ეზოს კოინდარზე, შუშაბანდში, კიბეზე გადაფენილი დიდი წითელი ჩითის ნაჭრები და იმ ნაჭრებზე ფუნჯით ხელში დახრილი მამაჩემი ახლაც თვალწინ მიდგას. მეცხრე კლასში ვიყავი, ჩვენ მეზობლად გერმანელი რომ ჩამოსახლდა. რა ვიცი, საიდან გაჩნდა ქუთაისში გერმანელი, ამბობდნენ, პირველი მსოფლიო ომიდან დარჩენილაო. თურქმენი ცოლი და ერთი გოგო ჰყავდა – კლარა ერქვა იმ გოგოს, რა დამავიწყებს. სვანაძეების სახლი იყიდეს თუ დაიგირავეს. ჩვენგან მეოთხე მოსახლე იყო სვანაძე. ტიფმა ამოწყვიტა მთელი ოჯახი და იმ სახლში დიდხანს არავინ ცხოვრობდა. ბიძაშვილი აკითხავდა ხანდახან გოდოგნიდან. დიდი ბოქლომი ედო ჭიშკარს. ამომწყდარი ოჯახი რომ იყო, ალბათ იმიტომ, ბავშვები შიშით და რიდით ჩავივლიდით. ხილის მოსაპარავადაც არავინ ჩადიოდა ეზოში. ეკალბარდს მიჰქონდა მთელი ეზო. ის ბიძაშვილი, წუღამესტებიანი კოჭლი გაცი, ჩამოვიდოდა წელიწადში ერთხელ, გააღებდა კარს, გამოიტანდა აივანზე სკამს, იჯდა, იჯდა და საღამოს გაუყვებოდა თავის გზას. წკირი რაა, წკირს არ გადააადგილებდა ეზოში. თოხს არ აიღებდა და ხეებს სარეველას არ შემოაცლიდა. რაში იყო საქმე, ვერ გეტყვი.

ჩამოსახლდა გერმანელი და დაემგვანა სახლი – სახლს, ეზო – ეზოს. დააწკრიალეს ყველაფერი. სახლი სამფერად შეღებეს, შენ ხარ ჩემი ბატონი, ცინკით გადახურეს, ხეებს შემოუბარეს, კირით შეათეთრეს, გასხვლა და გადაბელვა, მყნობა და გადაწინდვა არ დაუკლიათ, ააყვავეს და გაალამაზეს იქაურობა. მე რომ არ გითხრა, გერმანული მუყაითობის ამბავი, შენ არ გეცოდინება? ცოტა ხანში არაფერი სჯობდა სვანაძეების ეზოში გადახედვას. მერე რავარი სამეზობლო და ტკბილი ხალხი. ქართულს, მგონია, ჩემზე უკეთ ლაპარაკობდნენ. კლარა, რასაკვირველია, სკოლაში მიაბარეს, ჩემზე ერთი კლასით უკან იყო. მე მეცხრეში ვიყავი, კლარა მერვეში, ათას ცხრაას ოცდაცხრა წელი გახლდათ. მაინც რა მოკლეა კაცის ცხოვრება, გუშინდელი დღესავით მახსოვს და რამდენი წელია გასული, ნახევარ საუკუნეზე მეტი, ხომ? დამანებე ერთი, თუ კაცი ხარ თავი, არაფერი არა ვართ, არაფერი.

კაი თვალით შემხედეს, გითხრა სიმართლე, გერმანელებმა. რა ვიცი, რატომ. წყნარი ბავშვი ვიყავი, უფროსის დამჯერე. მყავდა, როგორ არ მყავდა თავში ახალგაზრდობის ოფოფები, მაგრამ ქვას არ ვისროდი და აცვენილი არ ვიყავი ზოგიერთივით. უფროსს თვალებში შევყურებდი, ჭკვიანური რა გამეგონა და რა საქციელი გადამეღო, იმაზე ვიყავი გამეცადინებული. კლარას ნამეტანი მკაცრად ზრდიდნენ. ნაბიჯს და წუთს უზომავდნენ, მაგრამ მე ისე მენდობოდნენ, რომ მეთქვა, შუაღამისას გამოუშვით ჩემთან ერთად ღურღუთ ტყეში-მეთქი, გამოუშვებდნენ. მოხდენილი გოგო იყო, ცოდვას ვერ ვიტყვი. კვიპაროსივით სწორი ტანი, ქერა, სწორი თმა და შავი თვალები ჰქონდა. ერთად დავდიოდით სკოლაში. გაკვეთილი რომ გაუცდებოდა, სიკვდილს იღირსებდა და სხვას არ დაემგზავრებოდა, იჯდა ცაცხვის ძირში და მიცდიდა. რა დაგიმალო და თავიდან, ცოტა არ იყოს, მეხამუშებოდა ეს ამბავი. მაშინ ქუთაისში ჩვენხელა ბიჭების გოგოს გვერდით ქუჩაში გავლა ქალაჩუნობად ითვლებოდა. მერე და მერე შევეჩვიე კლარასთან სიარულს და, თუ ჩემ გვერდით არ იყო, წონასწორობას ვკარგავდი. ასე მეგონა, მთელი ცხოვრება მე უნდა ვუპატრონო და ავი თვალისგან დავიცვა-მეთქი. ლამაზი გოგო იყო და, რასაკვირველია, უფროსკლასელ ბიჭებში კლარას გულისთვის დიდი მოძრაობა იყო გამართული. კლარა რომ სალაპარაკოდ არავის უჩერდებოდა, მე მჩრიდნენ ხელში წერილებს და მე მაბარებდნენ სიყვარულის გამოცხადების რთულ წინადადებებს. მერე და მერე, ხე ხომ არ ვიყავი და, როგორც იმ ასაკში მოსალოდნელია, მე თვითონ შემიყვარდა კლარა. ვერც თვითონ ვატყობდი ამ მხრივ გულგრილობას ჩემ მიმართ და ერთ დღეს, სკოლიდან წამოსვლისას, არც ვაციე, არც ვაცხელე, გავუტყდი; მიყვარხარ-მეთქი. სიტყვა არ უთქვამს. ელოდა, არ ელოდა, გოგოს შენ გაუგებ? გულზე ორივე ხელებით მიიხუტა ჩანთა, თავი დახარა და ნაბიჯს მოუჩქარა. მეც დამუნჯებული მივყვებოდი გვერდით. „ეს რა სისულელე ვქენი-მეთქი“, ჩემს თავს ვტუქსავდი, „ვაი თუ ხვალიდან ხმა აღარ გამცეს, ვაითუ სამუდამოდ დავაფეთე ეს შეჩვეული გოგო-მეთქი“ მეთერთმეტეში ვიყავი მე მაშინ და კლარა მეათეში იყო. ოცდაცხრა ოქტომბერს

მოხდა ეს ამბავი. სამშაბათი დღე იყო. მთელი ღამე ძილი არ მომკარებია, ვერ წარმომედგინა კლარას სახლთან ჩამევლო და ჭიშკართან არ დამხვედროდა, თავისი ორსაკეტიანი, ყვითელი ჩანთით ხელში. იდგა, მელოდა. ჩემზე ბედნიერი კაცი არ იყო იმ დილით. ისევ ისე, როგორც გუშინ გამშორდა, გულზე ჩანთაახუტებული და თავჩაქინდრული რომ მომიახლოვდა, თავისი უძირო შავი თვალები რომ მომანათა და „დილა მშვიდობისაო“, მითხრა. ამით ყველაფერი იყო ნათქვამი. სხვა პასუხი მე რად მინდოდა. რა ძვირფასი იყო კლარა ჩემთვის იმ საათიდან, ამის თქმა შეიძლება? რა ასაკია მაინც დალოცვილი თხუთმეტ-ჩვიდმეტი წელი. უეცრად დავდინჯდით ორივენი თითქოს. კლარაც უფრო ფიქრიანი და წყნარი გახდა. მე რაინდად ვიგრძენი თავი. აბა, ვინმეს უბატონოდ სიტყვა გაებედა გერმანელი გოგოსთვის?! მშობლებს არ გაუგიათ ჩვენი ამბავი. რა ვიცი, იქნებ ხვდებოდნენ, მაგრამ არაფერს გვეუბნებოდნენ. გავაგრძელო ახლა პირველი სიყვარულის ეს ლამაზი ამბავი? ახალი რა უნდა გითხრათ, თქვენც გამოცდილი გექნებათ. ერთმანეთის ნახვას არაფერი გვერჩივნა, მომავლის გეგმებს ვაწყობდით, თუ სადმე მოფარებულში მოვიხელთებდი, გულზე მივიხუტებდი და ვკოცნიდი. ნეტაი იმ დროს, იმ კოცნის გემო ხომ არავითარ სიტყვაში არ ეტევა. კი, ნამდვილად, უძლურია სიტყვა ყველანაირი გრძნობის გამოხატვაში.

სკოლა რომ დავამთავრე, ჯარში გამიწვიეს. მახსოვს, იმ საღამოს მეზობლები და ახლობლები რომ მაცილებდნენ. კლარამ რომ მამამისის პორტსიგარი მომიტანა საჩუქრად და გერმანულად ჩემსახელამოქარგული ცხვირსახოცი. რომ ვეღარ მოვითმინე, ყველას თვალწინ გულში რომ ჩავიხუტე და ორივეს ღვარღვალით ჩამოგვდიოდა ცრემლი, დამალვას აზრი აღარ ჰქონდა და ჩემს მშობლებს განვუცხადე – „ეს გოგო მიყვარს და რომ მოვბრუნდები, უნდა შევირთო-მეთქი“. „კაი შვილო, როგორც შენ გაგეხარდება, კაი გოგოა, ჩვენც ნამეტანი მოგვწონსო“, მამაჩემმა. დედაჩემმა, ცხონებულმა, არაფერი მითხრა, გულზე მიიკრა ატირებული გოგო და თვითონაც ცრემლი მოერია. ასე დარჩა ჩემს მახსოვრობაში ბოლოს კლარა დედაჩემთან ჩახუტებული.

როსტოვთან იდგა ჩვენი ნაწილი. პირველ სამ თვეს ყველაფერი კარგად მიდიოდა. ერთ წერილს რომ შინ ვაგზავნიდი, ორს კლარასთან, თვითონაც დაუყოვნებლივ მპასუხობდა, რა სიამოვნებით გადავხედავდი ახლა იმ წერილებს, მაგრამ სადაა. რომ დამიჭირეს, ჩემებს სასწრაფოდ დაუწვავთ.

გამიგრძელდა სიტყვა, ხომ? მოგაწყინე ალბათ თავი, ჩემო იმანო, ახლავე დავამთავრებ. ჯარში ჩემი ყოფნის მეოთხე თვეს კლარას წერილი მომივიდა. „გერმანიაში ვბრუნდებით საცხოვრებლადაო. ყველაფერი ვცადე, რაც შემეძლო, მაგრამ არ გამივიდაო. დაწვრილებით დედაშენი მოგწერსო. შენი ნახვის იმედით ვიცოცხლებო. ფეხზე უფრო მყარად რომ დავდგები, ჩამოვალ და სიკვდილამდე შენი ერთგული ცოლი ვიქნებიო!“ თავზარი დამეცა, მაგრამ რას ვიზამდი. მერე დედაჩემის წერილი მივიღე. თავს იკლავდა თურმე წასვლის წინ კლარა. ეხვეწებოდა და ეღმერთებოდა მამამისს: „ნუ წამიყვანთ, დამტოვეთო“. წასვლის წინა საღამოს ჩემს სახლში მოსულა. ჩემი ოთახი დაულაგებია, ჩემს ძველ წიგნებს, ჩანთას ყველაფერს გულში იკრავდა თურმე. დავიწვით მისი საცოდაობითო, დედაჩემი მწერდა. ერთი პირობა შეყოყმანებულა მამამისი, დავტოვებო, უთქვამს, ჩემი მშობლებიც, რა თქმა უნდა, დათანხმებულან, მეორე დილითვე გავარდნილან სადაც საჭირო იყო, მაგრამ ვინ დატოვებდა კლარას. ჯვარდაწერილები რომ იყოს, შეიძლებოდა, ახლა კი ამაზე ლაპარაკიც ზედმეტიაო.

წავიდა და წავიდა, დაიკარგა და დაიკარგა ჩემთვის კლარა. არც ამბავი და არც ხაბარი. ვინ იცის. იქნებ მომწერა კიდეც. მაგრამ იმ წლებში საზღვარგარეთული ფოსტა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენნაირი უბრალო ხალხისთვის, არ მუშაობდა. ჯარიდან რომ დავბრუნდი, უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დავამთავრე, კვახჭირში გამამწესეს სკოლის დირექტორად, ორიოდე წელიც ველოდე კლარას ჩემი ჭკუით, და ბოლოს, ზედ ომის დაწყების წინ ცოლი შევირთე.

ომში არ წამიყვანეს. სკოლის დირექტორებს, მოგეხსენება, ჯავშანი გვქონდა. ზურგში ვმუშაობდი, რაც შემეძლო დღე-ღამეს ვასწორებდი. სკოლის გარდა, რაიკომშიც ვმორიგეობდი, გამწვევი პუნქტის ორგანიზატორიც ვიყავი, ომში

დაღუპულთა ოჯახების მიმხედავი კომისიის თავმჯდომარეც, დამზადების აგენტებსაც დავყვებოდი, ფრონტზე გასაგზავნი სურსათ-ნივთების შემგროვებლად. ერთი სიტყვით, როგორც ყველა შინდარჩენილი, ჩართული ვიყავი საქმეში.

ორმოცდახუთი წლის იანვარში დამაპატიმრეს-მეთქი, უკვე გითხარი თავიდანვე. შეიძლება კაცი არაფერში არ იყო დამნაშავე და ვინც დაგაპატიმრა, ისინიც მართლები იყვნენ? ასე იყო ჩემი ამბავი. თავს ვიმართლებდი, რაც შემეძლო, მაგრამ რომ გამასამართლეს, იოტის ოდენადაც გული არ დამწყვეტია იმათზე, ვინც ციხე მომისაჯა. დაპატიმრების მეორე დღესვე გამომძიებელმა ჯერ ჰიტლერის გერბიანი ქაღალდი დამიდო წინ. იმ ქაღალდზე საქართველოს მომავალი საბურგომისტროს ახალი მთავრობა იყო ჩამოწერილი. გერმანული იმდენი კი ვიცოდი, იმ ქაღალდის შინაარსში ჩემით გავრკვეულიყავი. ფაშისტებს საქართველო, თავიანთ ჭკუაში, უკვე აუღიათ, გერმანიის იმპერიის ერთ პატარა გუბერნიად გამოუცხადებიათ და იმპერიის განსაკუთრებით ერთგულ პირთაგან მთავრობის კაბინეტიც შეექმნათ. იმ სიაში დასავლეთ საქართველოს სამამასახლისოს ერთ-ერთ უფროსად ჩემი გვარიც ეწერა. მაშინ მე, რასაკვირველია, ჰიტლერის მწვანე საქაღალდეზე არაფერი ვიცოდი. სინამდვილეში ახლა ხომ საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოს საბურგომისტროს ფაშიზმი დროებით ქმნიდა. საბოლოო მიზანი საქართველოს განხალხება და ქვეყნის დასასვენებელ პუნქტად ქცევა იყო. ჭკუიდან შეშლას ცოტა დამაკლდა, საიდან? როგორ? რა მინდოდა ფაშისტების ერთგულ კაცთა სიაში? ან რა შემატყვეს ერთგული ბურგომისტრის იმ ძაღლთაპირებმა. რასაკვირველია, აღშფოთებით განვუცხადე გამომძიებელს. „ეს დოკუმენტი გერმანელთა მორიგი პროვოკაციაა, რომ ერთგულ კომუნისტებთან თქვენვე ანგარიში გაგასწორებინონ-მეთქი“, „არაო, ეს დოკუმენტი ვლადიკავკაზიდან გარეკილი გერმანელების „შტაბში აღმოჩნდაო“. „ეს ვითარებას არ ცვლის-მეთქი“, დავიჟინე. მაშინ გამომძიებელმა იმავე შტაბში ნაპოვნი მეორე ქაღალდი დამიდო წინ. ეს გახლდათ კლარას მიერ ჩემთვის ქართულად მოწერილი ბარათი. „ჩემი

ცხოვრება ისე წარიმართა, რომ ამჟამად ჰიტლერის გენერლის მეუღლე ვარო“, კლარა მწერდა, „არ გეგონოს ერთი წუთით დამავიწყდით შენ და ქუთაისიო. რომ იცოდე, როგორ მინდა, თუნდაც ერთხელ თვალი შეგავლოო. არ ვიცი, მიიღებ თუ არა ამ ბარათს, გჯეროდეს, მე შენთვის ვლოცულობო. პოლიტიკის გარეშე მდგარ ქალს აქედან რა შემიძლია გაგიკეთო, მაგრამ ჩემს ქმარს ვთხოვ და ყოველივე შემწეობას აღმოგიჩენენო. ძალიან გთხოვ, არ გაუძალიანდე შენებურად და შემოთავაზებულ სკამზე უარი არ თქვაო. იცოდე, არ არსებობს ახლა დედამიწაზე გერმანიის მომრევი ძალა და წინააღმდეგობას ნუ შეეცდებიო. შენ რომ ამ ომში დაიღუპო ჩემზე უბედური ქალი ამქვეყნად არ იქნებაო. იმედი მაქვს, შევხვდებით ერთმანეთსო“.

ამას რომ ვკითხულობდი, გერმანელები უკვე განდევნილი იყვნენ ჩვენი ქვეყნიდან და კანიბალთა დარჩენილ ურდოებს ჩვენი ჯარები საკუთარ ბუნაგში მოსაშთობლად მიერეკებოდნენ.

...სასჯელი რომ მოვიხადე, მადლობა ღმერთს, საშუალება მომცეს ჩემი გარჯით დამემტკიცებინა, რა სულის კაცი ვიყავი და რა თვალებით ვუცქერდი ამ ქვეყანას.

ახლა, ალბათ, ფრაუ კლარას და მისი გერმანელი ქმრის (უფრო ქმრის) ძვლებიღა იქნება მიწაში, მაგრამ რომ გავიხსენებ, შიში გამკრავს გულში, მართლა რომ გამწყრალიყო ღმერთი, უკუღმა დატრიალებულიყო დედამიწა და კლარას მფარველობით ბურგომისტრობა შემოეთავაზებინათ, ხომ უნდა მომეკლა თავი?

აღარც მახსოვს, რატომ მოგიყევი ეს ამბავი. ჰო, ალბათ იმის სათქმელად, რომ კაცმა არ იცის, სად ჩაგისაფრდება ხიფათი და რანაირად შეგიტრიალებს შენგან დამოუკიდებელი მიზეზით ცხოვრებას.

ერთი გენიალური ანდაზაც გვაქვს ქართველებს: „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო“.

გიგილო

ეს ამბავი ოცდაათი წლის წინ მოხდა; ათას ცხრაას ორმოცდაჩვიდმეტი წლის ცხრამეტ იანვარს. არ დავმალავ, ჩვენ, მწერლები, ხანდახან, ათასი მიზეზის გამო, მოქმედების ადგილსა და თარიღს გადავწ-გადმოვწევთ ხოლმე, ისე, როგორც საქმეს მოუხდება. ეს ამბავი კი ზუსტად ოცდაათი წლის წინ მოხდა – ათას ცხრაას ორმოცდაჩვიდმეტი წლის ცხრამეტ იანვარს. ზუსტად-მეთქი უფრო იმიტომ მოგახსენებთ, რომ ახლა ათას ცხრაას ოთხმოცდაშვიდი წლის ცრამეტი იანვარია.

ქალაქ მუჟუჟიას აღმასკომის თავმჯდომარის მისაღებში ოცდაათიოდე წლის, თეთრმოსასხამიანი, ელამი ახალგაზრდა გიგილო ცხადაძე შევიდა და მდივანს ჩუმად, შინაურივით, ჰკითხა:

– ბევრი ჰყავს ხალხი?

– არავინ არ ჰყავს, მარტოა.

გიგილოს მდივანი გოგონას პასუხი გაუკვირდა და არც მოეწონა. ურჩევნოდა, ეთქვათ, „დაკავებულია“, „ბევრი მთხოვნელი ჰყავს“, „დღეს ვერ მიგიღებთ, სხვა დროს მობრძანდითო“. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მისაღებებში ამგვარი პასუხები უფრო ბუნებრივად ჟღერს. მეორეც, გიგილო მიჩვეული იყო ცოტა გაბრძოლებების შემდეგ შესვლას დიდ კაცთა კაბინეტებში. ჯიუტად მოიცდიდა, წყენას ხმამაღლა გამოთქვამდა, ამასობაში სათქმელსაც უკეთ მოიფიქრებდა და შესვლისას პირველი სიტყვაც მზად ექნებოდა: „ძლივს შემომიშვეს, ბატონო, თქვენთანო“. ახლა კი, რაღაც, ისე არ გამოდის, „როგორც ჩანს თავმჯდომარე არავის ღებულობს“, გაიფიქრა.

გიგილო ფანჯარასთან მივიდა. აღმასკომის დარაჯი, ყოფილი ლოთი ბოკერია ხეებიდან თოვლს ბერტყავდა. ტოტს რომ დაიქნევდა, განზე გახტომას ლამობდა, მაგრამ ვერ ასწრებდა და მზედაღვრილი თოვლი თავზე ბრწყინვა-ბრკიალით ეფრქვეოდა.

– შეხვალ? – ჰკითხა მდივანმა გოგონამ.

– შევალ, თუ შემიშვებ. მოახსენე, ცხადაძეა, პირად საქმეზეთქვა.

– არ უნდა „მოხსენება“, შედი და შენ თვითონ უთხარი.

გოგონამ მწვანე საქაღალდეს პირი მოუკრა, კარადაში შეჩურთა, წამოდგა, ჩამოჩაჩული ქვედაკაბა გაისწორა და კარი გაუღო.

აღმასკომის თავმჯდომარედ იმხანად პიმენ როხვა მუშაობდა. პიმენი ათას ცხრაას სამოცდაერთ წელს, ყველასაგან მოულოდნელად, მაკულატურის შემგროვებელი კანტორის უფროსად გადაიყვანეს. ექვსი თვის შემდეგ დაიჭირეს და მხოლოდ წელიწად-ნახევარი იჯდა. განთავისუფლების შემდეგ არქივს განაგებდა და ახლაც იქ იქნებოდა, შარშან, ზამთარში თივით დატვირთული მანქანა რომ არ დაჯახებოდა და არ გარდაცვლილიყო.

არსებობს ეგრეთ წოდებული თავმჯდომარული ალღო, რომლის მეშვეობითაც თავმჯდომარეები ხშირად ხვდებიან მთხოვნელის შემოსვლის მიზანს, ერთს ახედავენ და, თითქოსდა, სტუმარს შუბლზე ეწეროს, რა საკითხზეა მოსული, თავმჯდომარეები ამოიოხრავენ და გუნებაში უარიც მზადა აქვთ. მერე რაც ხდება, თვითდინებით მიმდინარეობს. თითქოსდა გრძნეულმა რეჟისორმა სამუდამოდ დააკანონა უმკაცრესი სცენა: შენ ცდილობ, რაც შეიძლება გულისამაჩუყებლად სთხოვო; ის ცდილობს, რაც შეიძლება უსაფუძვლოდ მოგაჩვენოს შენივე სათხოვარი და ბოლოს თუ „უარი არ გეყო“, ყალბი დაპირებით გამოგისტუმროს. მთხოვნელებს ამ ბოლო დროს სწორი დასკვნები გამოაქვთ ამგვარი შეხვედრებიდან და კაბინეტის მესვეურის რამდენიმე საეჭვო ფრაზას: „ვეცდებით, გამოიარეთ, დავსვამ საკითხს, მოვეთათბირები ამხანაგებს. მე პირადად ხელს არ შეგიშლით, პირიქით, რაც შემიძლია, ხელს შეგიწყობთ...“ გამოსვლისას ერთბაშად, ერთი სიტყვით აფასებენ: „უარი მითხრა“.

ეს ყოველივე სიტყვას მოჰყვა. მკითხველს კი ვთხოვ მხედველობაში იქონიოს, რომ ეს ამბავი ოცდაცხრა წლის წინ მოხდა და გიგილო ცხადაძეც არ გახლავთ მთლად ჩვეულებრივი

მთხოვნელი. ასე რომ იყოს, რასაკვირველია, ეს ნოველა არ დაიწერებოდა.

პიმენ როხვამ იცნო სტუმარი, მაგრამ მეტს ვერაფერს მიხვდა. წამოუდგომლად გაუწოდა მარჯვენა, მარცხენათი სკამზე მიუთითა და სანამ გიგილო დაჯდებოდა, დროის მოგების მიზნით ჰკითხა:

– თქვენ ხომ იყავით ჩემთან?

– კი, ბატონო, – დაეთანხმა გიგილო.

– მერე? კიდევ არ გაკეთდა ის საქმე? რა საქმე იყო? გამახსენე, თუ კაცი ხარ, გადამვარდა გულიდან.

ცხადაძემ თვალი შეავლო თავმჯდომარის დაღლილ სახეს, შეტრუსულივით მოკლე და ქერაფცუა წარბებს ზემოთ, შუბლზე აწეულ სათვალეს, ყბასმიჭირებულ, ბალანმორეულ ხელის ზურგს და მუჭში ჩაახველა.

– თქვენ თვითონ დამიბარეთ, ბატონო პიმენ, ნაახალწლევს, თუ გახსოვთ.

– ეგ როგორ არ მახსოვს, რაზე იყო მაგი?

– რაი?

– თვითონ საქმე გამახსენე.

– მამაჩემის საქმე იყო, – თითქოს და განგებ ძუნწსიტყვაობდა სტუმარი.

– ჰო. რა მამაშენის?

– რეაბილიტაციის საქმე.

– გვარი მითხარი, – თავმჯდომარემ უჯრა გამოსწია. გრძელი, რუხი ბლოკნოტი ამოიღო და წინ დაიდო.

– ცხადაძე შერმადინი, – შეაშველა მოსულმა.

– მოიცა, ცხადაძე, ცხადაძე შერმადინი. აგერაა, განათლების განყოფილებაში მუშაობდა, გოდოგან-კვახჭირ-საყულიის ზონა ებარა, პროფესიით ისტორიკოსი, ხომ მართალია?

– კი, ბატონო, ეგ არის.

– მერე? – თავმჯდომარემ ბლოკნოტი დაკეცა და უჯრაში ჩააბრუნა.

– ვიყავი იქანა. მაღალმა, ბობრმა კაცმა მიმიღო, ცალი ხელი პროტეზის ჰქონდა. გვარი არ უთქვამს. ამოატანია საბუთები. დიდხანს აქნია თავი და მერე მე მომიბრუნდა: ოცდაე-

რთში გამოიარე, მანამდის კომისია განიხილავს და მოგვცემს თავის დასკვნასო. დღეს რა რიცხვია? ცხრამეტი ხომ? ზეგ უნდა მივიდე.

– გაკეთებულია საქმე, – პიმენი წამოდგა და წელანდელზე უფრო ღონივრად, საზეიმო იერით ჩამოართვა ხელი. გიგილომ ხელი გაითავისუფლა და კვლავ სკამზე დაეშვა.

– სათხოვარი მაქვს, პიმენ ბატონო, თქვენთან.

– ჰო, გისმენ, – თავმჯდომარემ მუშტები ერთმანეთს დააწყო და ზედ ნიკაპი ჩამოადო.

– არ შეიძლება ეს საქმე გავაჩეროთ?

– რა საქმე?

– მამაჩემის რეაბილიტაციის საქმე. მაქვს მე უფლება, უარი ვთქვა მამაჩემის რეაბილიტაციაზე? თუ მაქვს?

პიმენი გველცემულივით გაქვავდა. კარგა ხანს მონუსხულივით უყურა ცხადაძეს, მერე სათვალე ჩამოიწია და მოსულს უფრო ყურადღებით დააკვირდა.

– ხვარ გადაირიე, ბიჭო, შენ?

– არა, ბატონო, სრულ ჭკუაზე ვარ. თუ შეიძლება თქვა. რომ მოვდიოდი, ქე ვიცოდი, დაახლოებით, რა პასუხს მეტყოდით. შენთვის არც დასჯა უკითხავთ, ჩემო ბიძია, და არც რეაბილიტაციას გკითხავენო, მარა მამაჩემის შვილი ხომ ვარ მე?

– კი, – თავმჯდომარეს თითქოს წამოცდაო.

– ჰოდა, ხომ შეიძლება შვილს თავისი აზრი ჰქონდეს მამის რეაბილიტაციაზე?

– აპა, აპა, – კვერი დაუკრა თავმჯდომარემ, წამოდგა და შავი ჩექმების პრაჭუნით კაბინეტში გაიარ-გამოიარა.

– თუ შეიძლება, დაბრძანდით აგერ და მომისმინეთ პატარა ხანს. თავგახურებული მთხოვნელი რომ არ ვარ, თქვენც ქე ხედავთ, – გიგილო ცდილობდა მშვიდად ელაპარაკნა, მაგრამ ფერდაკარგული ტუჩები ამჟღავნებდნენ მის შინაგან მღელვარებას, – ღამეები არ მძინავს იმაზე ფიქრით, რაც ახლა უნდა გითხრათ. მომისმინეთ ბატონო და, თუ სისულელეს ვიტყვი, მითხარით, სხვასთან არ გაიმეორო-თქვა. მე არც კი ვიცი, მაქვს თუ არა ამნაირი ლაპარაკის უფლება. ერთი-

ერთზე გელაპარაკებით ამიტომ და სხვა დანარჩენი თქვენს სინდისზე იყოს.

პიმენ როხვა სკამზე გვერდულად ჩამოჯდა. გამოღებული უჯრები შესწია. მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებს მოუსვა და გვერდზე მიაჩოჩა, სათვალე დაკეცა და ჭაობისფერი კიტელის გულისჯიბეში ჩაიდო. ამას რომ აკეთებდა, გიგილოს თვალს არ აშორებდა, რა ჯურის მთხოვნელი არ ახსოვს თავმჯდომარეს მაგრამ, ასეთ საქმეზე მასთან არავინ შემოსულა.

– ა, ბატონო, დავჯექი და გისმენ.

– მამაჩემი რომ წაიყვანეს, ცხრა წლის გახლდით მე – გიგილო ცხადაძე რკინისბადიან ფანჯარას თვალს არ აცილებდა, ოდნავ მოგუდული, გაბზარული ხმით ლაპარაკობდა, – მეორე კლასის მოწაფე ვიყავი. ამ ხნის ბავშვს, რაც შეიძლება დაამახსოვრდეს, ყველაფერი მახსოვს. იმ უბედურ ღამეს რამ გამომაღვიძა, ვერ გეტყვით. მამაჩემი იცვამდა და ხანდახან შუა კარებში თვალგაშტერებით მდგარ დედაჩემს რაღაცას ჩაულაპარაკებდა. მაგიდასთან ორი უცნობი კაცი იჯდა. ისინი ჯერ ერთმანეთს შეხედავდნენ და მერე შეთანხმებულებივით ჭერს ააჩერდებოდნენ. ნიფხვისამარა რომ წარვუდექი ამ კამპანიას, მამაჩემმა თავზე ხელი გადამისვა და დედაჩემს წყრომით ჩაულაპარაკა: – ხომ გითხარი, გააღვიძებ ბავშვს-თქვა. ხვალის გაკვეთილები ნასწავლი გაქვს, ბაბაია? – ახლა მე მომიბრუნდა. – კიე, – ვუპასუხე, დედაჩემთან მივედი და იდაყვზე ლოყით მივეყრდენი. არ მომეწონა მისი დუმილი. მკლავჩახვეული იდგა და ბუხრისთავზე შემოდებულ ლამპას შესცქეროდა. „კი მარა, ამ შუაღამისას რაზე ვეძახითო, არ გითხრეს? ერთი საათის მოსული ვარ გოდოგნიდან. დაწყებით სკოლას ლარძაყინები გამოვუცვალეთ. თავზე თუ არ დაადექი, ვინ გიმუშავებს ამ ყინვაში, არა და ჩამომპალი იყო მთლად, შეიძლება ბავშვებს ჭერი თავზე ჩამოქცეოდათ“. – მაგიდასთან მიმჯდარ სტუმრებს ელაპარაკებოდა მამაჩემი და სერთუკის ღილებს იკრავდა. „ჩვენთვის არ უთქვიათ არაფერი. რაცხა ორ სიტყვას ვკითხავთო და ქე გოვუშობთ სახლშიო“, – დედაჩემს შეხედა დიდთავა სტუმარმა. – „წავედით, მანქანით ხართ“? – მხნედ იკითხა მამაჩემმა.

„არა“, – უპასუხეს სტუმრებმა და ზლაზვნით წამოდგნენ. „დაიძინეთ ახლა თქვენ, კარს ურდულზე ნუ ჩაკეტავ, ისე მიუგდე. მოვბრუნდები საათ-ნახევარში და გამოვიძინებ, თვარა აღარ ვივარგებ ხვალ. შენ ბავშვის ოთახში დაწექი. არ შეეშინდეს მაგას“. – შუაში არ ჩაუყენებიათ, ისინი წინ წავიდნენ, მამა მიჰყვათ. „შიგნით თბილი ჩეიცვი?! – მიაძახა დედაჩემმა; ეს იყო დამშვიდობებაც და ყველაფერი. „კი, თბილად ვარ!“ – ჭიშკრიდან უპასუხა მამაჩემმა და სიბნელიდან, იქნებ ხელიც კი დაგვიქნია, მაგრამ ჩვენ არ დაგვინახავს. აივანზე მდგართ არეული ნაბიჯების ხმა გვესმოდა მხოლოდ და როცა ის ხმაც მიწყდა, დედაჩემი მომიბრუნდა: „უი, ჩემი სიკვდილი, ასე ტრუსისამარა გამიგონია, დედა, გარეთ გამოსვლა? შენ ახლა დიდი ბიჭი ხარ, სად გსდიო კუდში, წამოი, წამოი, დეიძინე. ბაბაია მალე მოვა“.

იმ ღამეს დედაჩემი ფლანელისხალათისამარა დილამდე იჯდა ჩემს საწოლთან, ცალ ხელს კეფაზე მისვამდა, მეორე კბილ-ნიკაპზე ჩამოედო და კედელსმიყრდნობილი, ფანჯარას მიშტერებოდა. დილისკენ ცოტა წამთვლიმა და რომ გამომეღვიძა, დედა ისევ ისე იჯდა.

აღარ მინდა ახლა იმის მოყოლა, რაც მერე დატრიალდა ჩვენს თავზე. ჯერ ერთი, ახალი არაფერი იქნება თქვენთვის, ბევრჯერ გექნებათ მოსმენილი. თან არც მე მინდა გავიხსენო. რა გასახსენებელია. რაც მეტი დროის მტვერი დაეყრება ამ ამბავს, უკეთესია ჩემთვისაც და თქვენთვისაც.

ოცდაათის ვხდები ახლა აგერ, თოთხმეტ თებერვალს. უმცროს ამფეთქებლად ვმუშაობ გზა-ხიდ-გვირაბის ტრესტში, ახლა ზევითკენ ვართ. ქე გეცოდინებათ, ხვამლის გზას ვანგრევთ და ვაფართოვებთ. გავიდა დრო, თითზეკბენები და დაჩემება რომ დავუწყო ახლა მე ვიღაცას, სისულელეა, პიმენ ბატონო. ვინ იყო დამნაშავე, მამაჩემი რომ იმ ღამეს წაიყვანეს და გააქრეს? ერთი კვირის თავზე რომ ბინიდან გამოგვასახლეს და ბიძაჩემმა შეგვიკედლა (იქ ვიყავით შარშანდლამდე, შარშან ერთოთახიანი მომცა საგზაომ და ჯერჯერობით, ცოლ-შვილი არ მყავს, მე და დედაჩემი ქე ვეტევით, მერე, ალბათ, კიდევ იქნება რაღაცა). ვისი ბრალია, დედაჩემი რომ

დაწყებითი სკოლის მასწავლებლობიდან გაანთავისუფლეს მაშინ და სანამ დაინვალიდდებოდა (ოცდათვრამეტი წლის ქალს პარალიჩმა დაარტყა) სამკერვალო ფაბრიკაში უთოზე მუშაობდა? ვისი ბრალია, მე რომ კომკავშირში არ მიღებდნენ (ცხრამეტის შეეედი) და შიშით გული მისკდებოდა, ჩვენს შესახვევში უცნობ, პლაშიან კაცს რომ დავინახავდი? ვის დავაბრალო? შენ? იმ ორ შტერ კაცს, მამაჩემი რომ წაიყვანეს იმ ღამეს?

თქვენ გგონიათ არ ვიცი, რომ სხვაგან და სხვა დროს უარესებიც მომხდარა?! ისტორიის დიდ მოსახვევებზე რამდენი პატარა კაცი, ან, თუ გნებავთ, რამდენი პატარა ქვეყანა გაჭყლეტილა. სახელმწიფოები ქრება, ერები ქრება, მსოფლიოს რუკები იცვლება, ჩემო ბატონო, თვალის დახამხამებაში, მაშინ, როცა ისტორია მოიქნევს თავის ღონიერ ხელს და ჩვენ ვინ ვიყავით? განათლების განყოფილების საწყალი ინსპექტორი შერმადინ ცხადაძე კი არა, რამხელა თავები შეეწირნენ ეპოქის უშველებელი საცრის ჯანჯღარს – მაშინაც და მერეც. მეტი კი არაფერი წერია ისტორიის წიგნებში. მაკედონელის დრო ნახე? ნაპოლეონის დრო ნახე? რომის იმპერიას ჩახედე? ასე რომ, გაკვირვებით მე არაფერი მიკვირს. ის, რაც ისტორიის საჭესთან დგება, რათ უნდა ლაპარაკი, თავის არსებობას დაიცავს და არც ბოდიშს მოიხდის ისტორიის წინაშე, თუ ყოველთვის თეთრი ხელთათმანებით და დიპლომატის თავდაჭერილობით არ იცავდა თავის სიმართლეს. მერე, რასაკვირველია, დრო რომ გავა, ისტორია თავისას იტყვის, გაარკვევს, ვინ იჩქარა და ვინ არა. გაარკვევს, იყო თუ არა მართალი ის, რასაც ძალა ჰქონდა და რა მოუტანა იმ მუშტის ქნევამ ქვეყანას, მაგრამ პირუთვნელ ისტორიკოსს, ხომ ვიცით მე და შენ, პიმენ ბატონო, რომ ხშირად აგვიანდება. იგი უმეტესწილად მაშინ მოდის, როცა ვნებები დამცხრალია და ისტორიის ნანგრევებზე მწვანე ბალახი ამოდის.

დედაჩემს ხომ ასე მოექცნენ, მეც დიდხანს მიყურებდნენ ალმაცერად. არავინ ავალებდა ჩვენი სკოლის სამხედროს მასწავლებელს, მარა ცოტას რომ წავიშმაკებდი, მაშინვე წამომძახებდა: „ვისი შვილი ხარ, კაცი რომ გამოხვიდეო“. მე

რაც გამოვედი, ესა ვარ და თვითონ, მასწავლებელი კაცი, ქათმის ქურდობაზე დაიჭირეს შარშანწინ. მეზობელს ქათამი მოპარა და გოჭოურაზე რესტორნის მზარეულს მიყიდა. პატარა რომ ვიყავი, გითხრათ სიმართლე, გულში ვსაყვედურობდი ხშირად მამაჩემს, რომ მისმა საქციელმა ასე გაგვამწარა მთელი ოჯახი: ხმამაღლა რომ დავიჩივლებდი: „მე რომ კაი მამა მყოლოდა, სხვანაირად წავიდოდა ჩემი საქმე-მეთქი“, დედაჩემი ყურში წამავლებდა ხელს და ცრემლმორეული მეტყოდა: „გაჩუმდი ბიჭო, არ იცი არაფერი შენ, ნუ პრუტუნებ სისულელეს. არ გყოლია ცუდი მამა შენო“.

რომ წამოვიზარდე, სხვანაირად ვუყურებდი ამ საქმეს. მამაჩემის გადარჩენილ სურათებს ხშირად ვათვალიერებდი. სარკესთან დავდგებოდი, სურათს გვერდზე დავიჭერდი და მამაჩემთან ჩემ მსგავსებას ვეძებდი. თმასაც ისე ვივარცხნიდი, როგორც შერმადინს ჰქონდა. ოცდარვა წლის ყოფილა მაშინ, მე ახლა უფროსი ვარ მამაჩემზე, რა დიდი მეგონა. ოცდარვა წლის ბიჭი ყოფილა, მეტი არაფერი. რამდენი მადლიერი კაცი ჰყოლია. რამდენმა გადამისვა თავზე ხელი და გულზე მიმიხუტა, როცა უთხრეს, შერმადინის ბიჭიაო.

მოგეხსენებათ, ქვეყანა დიდია და არც ჩვენ დავკარგულვართ. ჩვენც რაღაცას ვეწიეთ ამ ქვეყანაზე. მე და დედაჩემს სირცხვილი არ გვიჭამია და თავი არვის წინაშე დაგვიმცირებია. მუხლზე არ დავცემულვართ და პატიება არ გვითხოვია. მამაჩემის მერე არც პატარა უბედურებანი გაგვკვირვებია და არც კაცთა სიგლახე შეგვიცხადებია.

ჩემს გულში, პიმენ ბატონო, მამაჩემი, რომ დოვუკვირდი მის ხატებას და ამ ჭრელ ქვეყანას, ასეთ კაცად ჩამოყალიბდა: ოცდარვა წლის ბიჭმა, ქე უნდა იცოდეს, რა უნდა, ამ ცხოვრებასთან თავისი დამოკიდებულება გარკვეული უნდა ჰქონდეს. მამაჩემიც, ეტყობა, ყურბარტყუნა კაცი არ იყო. რაღაც-რაღაცებზე თავისი აზრი ჰქონდა. მთლად ბოტი თუ არ იყო, არც ფარას ბრმად მიმყოლი ცხვარი გახლდათ. სურვილი ჰქონდა კაცს და მოთხოვნილება, ამბებზე და მოვლენებზე თავისი აზრი გამოეთქვა. ვიღაცა ჰყვარებოდა და ვიღაცა არ ჰყვარებოდა. მაშინ, როგორც ჩანს, თავისი აზრის

ქონების დრო არ იყო. პატარა ფეხის არევას მწყობრში ზოგ-ზოგები დანაშაულად გითვლიდნენ და მამაჩემიც შეეწირა თავის აზრს, თავის შეხედულებას. მე არც კი ვიცი, მისცეს თუ არა მას საშუალება სიტყვით და საქმით დაემტკიცებინა, რომ არაფერი საშიში მისი გონებიდან არ წამოდგებოდა, ქვეყნის გადატრიალების განზრახვა არ ჰქონია, უბრალოდ, ფიქრიანი კაცი იყო და ავ-კარგის გარჩევას ხანდახან ხმამაღალი ფიქრით ცდილობდა. ეს კი არ აპატიეს.

ასეთ კაცად მყავს მე მამაჩემი ჩემს ჭკუაში დახატული და რომ გითხრათ, არ ვამაყობ შერმადინ ცხადაძით-მეთქი, არც უნდა დამიჯეროთ და ტყუილიც იქნება. ოცდარვა წლის კაცმა, განათლების ახალგაზრდა მუშაკმა, შეძლო საკუთარი რწმენისთვის სიკვდილი. ეს ცოტას არ ნიშნავს, ბატონო პიმენ, და ცოდვა გამხელილი სჯობს, ამ საკითხში მე მამაჩემზე ბევრად სუსტი კაცი გახლავართ. ის, რაც შერმადინმა შეძლო, მე არ შემიძლია. მე სხვანაირად გამზარდეთ და სხვა კაცი ვარ. საკმარისია, პატარა თითი დამიქნიონ, რომ ყველაფერზე უარს ვამბობ. დაჟინებით არაფერს ვიჟინებ, კამათში არ ვერევი, ყველაფერზე მოგყვებით და ყველაფერში გეთანხმებით.

მისმენთ, ბატონო პიმენ? მაინც არ მინდა მამაჩემის სახე გამიუფერულონ, გამიპუსტიაკონ და ჩემზე უფრო საწყლად მომაჩვენონ. იცით, ეს ჩემთვის ძალიან ცუდი იქნება. კიდევ უფრო დავბეჩავდები და ბეჩავი ვის უნდა? არ სჯობია მიმაჩნდეს მე, მამაჩემი, თავისი, თუნდაც მცდარი ფიქრებისთვის დასჯილ კაცად, ვიდრე მივიდე ოცდაერთში და მითხრან: თურმე არაფერ შუაში არ ყოფილა შერმადინ ცხადაძე იმ საქმესთან, მთლად უბრალო და საცოდავი ყოფილა. რომ იტყვიან, ტყემალზე მჯდარა. მთლად შეცდომით, ბრმად, არაფრის გულისთვის გაუფუჭებიათო?

გამიგეთ, რისი თქმა მინდა? მამაჩემი მტყუანი იყო თუ მართალი, ამას არავინ მეტყვის და არც მინდა, მაგრამ მინდა კი, რომ რაღაცას წარმოადგენდეს. იყოს, ბატონო, შემცდარი, მაგრამ სულ არაფერი იყოს? უბრალო, გაუგებარი, უცოდინარი, კრავივით უცოდველი, ცხვარივით მიმყოლი ყველაფერ-

ზე ტაშის დამკვრელი კაცის გულისთვის ვეწამეთ მე და დედაჩემი კაი ხანს?

არა, ჩემო ბატონო, იყოს შერმადინი, როგორც იყო აქამდე. რეაბილიტაცია აწი ვეღარაფერს უშველის. მე ნუ მიქცევთ ოცდარვა წლის მამაჩემს ჩვრად და ტუტად. იქნება მართლაც არაფერს წარმოადგენდა, მაგრამ მე არ ვღებულობ ასეთ უსახურ და უფერულ მამას. ძლივს დავხატე, ძლივს შევაკოწიწე, ძლივს მივედი შერმადინ ცხადაძესთან და შევინახო იგი, შვილმა ისეთად, როგორიც წარმოვიდგინე. თქვენ ეს არაფერში ხელს არ შეგიშლით. პირიქით, უკეთესია. მე გულის სიღრმეში ვფიქრობ, რომ მამაჩემი შეცდა, შეცდომისთვის დასასჯელი იყო და იქნება ზომაზე მკაცრად, მაგრამ მაინც დაისაჯა.

ა, ეს არის ჩემი სათხოვარი. მაპატიეთ, არეულად ვლაპარაკობდი. ყველაფრის თქმა მინდოდა მომესწრო. იქნებ დაურეკოთ და უთხრათ: შვილი უარს ამბობს მამის რეაბილიტაციაზე-თქვა. ვიცი, ეს ცოტა უცნაურად მოეჩვენებათ, მარა თქვენი იმედი მაქვს და თქვენ იცით, თუ არ გამაწბილებთ.

გიგილო რომ გაჩერდა, ოთახში სიჩუმე ჩამოწვა. პიმენმა ყველაფერი კარგად მოისმინა, მაგრამ არ იცოდა, რა გზას დადგომოდა. თავმჯდომარული „ვიმსჯელებთ, ვითათბირებთ“ და უყალბესი – „ვეცდებით, დაგეხმარებით“ აქ აღარ გამოდგებოდა.

– ჯერ დავუცადოთ. იქნება ისეც არაა საქმე, ჩვენ რომ გვგონია. რა იცი, რა პასუხს გვაძლევენ, მოფიქრება უნდა ამ საქმეს.

– პასუხს რომ მოგვცემენ, გვიან იქნება, პიმენ ბატონო. არ მინდა, აღარ მინდა, გითხრათ სიმართლე, არც ისეთნაირი პასუხი მინდა და არც ასეთნაირი. მე რას გთხოვთ, იცით, გამიგეთ?

– კი.

– ჰოდა, ნუ მატკენთ გულს ერთხელ კიდევ. მამაჩემი საფლავში წევს და არ მინდა ვიღაცეების გასაშავებლად, მაგალითად ატრიალონ წაღმა-უკუღმა, მამაჩემის ყველაზე კაი რეაბილიტაცია ის იქნება, უდანაშაულო კაცს თუ აღარ

გამოეკიდებით აწი მაინც და მართლის მთქმელს ლაგამს არ ამოსდებთ.

– რავა?

– არაფერი... ისე ვთქვი...

გარეთ გამოსვლისას კიბესთან ადგილობრივი გიჟი კუჭუხიძე შეეფეთა. კუჭუხიძეს კონსერვის ქილებზე მისაკრავი ქაღალდებისაგან გამოჭრილი სამხრეები ჰქონდა დაგლეჯილ პიჯაკზე დაკრული და მკერდზე, ორივე მხარეს უამრავი წახალისების ნიშანი უბრწყინავდა. რას არ ნახავდით აქ: მეფისნაცვლის ტემლაკებს, ნიკოლოზ მეორისგამოსახულებიან სამხედრო ჯვრებს, კავკასიის დამპყრობის მესამე ხარისხის მედალს, ალპინისტის, მოწყალების დის, დამკვრელი მეხანძრისა და ვოროშილოვის მსროლელის ნიშნებს. კუჭუხიძე ყოველდღე მოდიოდა აღმასკომში, „მორიგე ვარო“, ამტკიცებდა. ზემოთ რომ თანამშრომლებს გულს გაუწყალებდა, სთხოვდნენ, ახლა ქვევით, კიბესთან იმორიგეევეო, ჩამოდიოდა და საღამომდე კიბესთან „მორიგეობდა“.

...ეს ამბავი ოცდაცხრა წლის წინ მოხდა; ათას ცხრაას ორმოცდაჩვიდმეტი წლის ცხრამეტ იანვარს. არ დავმალავ, ჩვენ, მწერლები, ხანდახან ათასი მიზეზის გამო მოქმედების ადგილსა და თარიღს გადავწ-გადმოვწევთ ხოლმე, ისე, როგორც საქმეს მოუხდება. ეს ამბავი კი ზუსტად ოცდაცხრა წლის წინ მოხდა – ათას ცხრაას ორმოცდაჩვიდმეტი წლის ცხრამეტ იანვარს. ზუსტად-მეთქი, უფრო იმიტომ მოგახსენებთ, რომ ახლა ათას ცხრაას ოთხმოცდაშვიდი წლის ცხრამეტი იანვარია.

შემცდარია...

ექსკურსიათმძოლი ზოზო მაჩაჩუნა საპასპორტო ფორმალობათა მაგიდას გამოცილებულ შავტუხა, პიჯაკმოჭადრაკულ მამაკაცს წინ გადაუდგა და ზანზარეთულ ენაზე მოწიწებით ჰკითხა:

– ბატონი აუარა იჩქით-ჰული ბრძანდებით, ხომ კი?

სტუმარმა მოსასხამი მხარზე გადაიგდო, შოკოლადისფერი ტყავის ჩემოდანი ძირს დადო და დამხვდურს თეთრმანჟეტიანი მარჯვენა გაუწოდა.

– დიახ. თქვენ?

აუარა იჩქით-ჰული ყანაოთისფერ, ჯიშიან კბილებს აელვებდა. იგი მხრებგანიერი და წელში გამართული, ვეტერან სპორტსმენს მოგაგონებდათ. ვეტერანს მხოლოდ იმიტომ, რომ თმა შევერცხლოდა და სიცილის დროს ბავშვის დახატული სხივებივით აჩნდა ყვრიმალებთან ნაოჭები.

– გთხოვთ მიცნობდეთ, თქვენ გიდი ზოზო მაჩაჩუნა. უბრალოდ ზოზო დამიძახეთ, – ზოზომ ჩემოდანი გამოართვა და სტუმარი წინ გაატარა.

– სასიამოვნოა... სასიამოვნოა, – აუარა ჰოლში მიაბიჯებდა და წამდაუწუმ აბრუნებდა თავს. ერთი-ორჯერ ჩემოდანსაც წაწვდა, რატომ წუხდებითო, მაგრამ ზოზომ არ დაანება.

„ოპელ-ეფრეიტორის“ საჭეს ექსკურსიათმძღოლი მიუჯდა. მანქანამ აეროპორტის მოედანს შემოუარა და თეთრი ხაზებით აჭრელებულ ბეტონის გზატკეცილს გაუყვა.

– ხომ არ დაიღალეთ?

– თქვენ წარმოიდგინეთ, სრულიადაც არა.

– ჭურჭურიაში პირველად ბრძანდებით?

– პირველად. მეტყობა? – სტუმარმა მოსასხამი, რომელიც აქამდე ჯერ კიდევ მხარზე ჰქონდა ხურჯინივით გადაკიდებული, უკანა სავარძელზე მოისროლა, თითები მუხლს შემოაჭდო და ზოზოს გაუღიმა ალალი ზანზარეთული ღიმილით.

– როგორ მიცანით?

– პროფესიული ალღოს წყალობით – მასპინძელმა მოძრაობის მარცხენა, პირველი რიგი დაიკავა – საბაჟოს მოსაცდელშივე შევათვალიერე თვითმფრინავის მგზავრები. ჯერ ეულნი გამოვყავი. მარტო, საერთოდ, ცოტანი მგზავრობენ. მერე მარტოხელა მგზავრთაგან ზანზარეთული გარეგნობისანნი ამოვარჩიე. ბოდიშს ვიხდი, ჯერ ქალები გამოვრიცხე, ვიცოდი რომ მამაკაცს ვხვდებოდი. ზანზარეთელები ჩვენთან იშვიათად ჩამოდიან, მაგრამ მიახლოებით მაინც ხომ ვიცი, რომ ყველა ყველა და ნამდვილ ზანზარეთელს სამხრეთული იერი და თვალები ჩვეულებრივზე ოდნავ წვრილი უნდა ჰქონდეს. სახეზე მზისფერი ეტყობოდეს. ასეთი მხოლოდ თქვენ იყავით.

აუარა მიხვედრილ მოწაფესავით უქნევდა თავს და უკვე ფიქრობდა, რომ მისი გამოცნობა ჭურჭურიელ ექსკურსიათმძღოლს, მართლაც, არ უნდა გასჭირვებოდა.

ზაფხულის სიცხე საიმედოდ დაბანაკებულიყო ქალაქში.

ზოზოს მინები ორივე მხარეს ჩაწეული ჰქონდა, მაგრამ სიცხეს ვერაფერს უხერხებდა, რადგანაც გარედან გამონაბოლქვით დამძიმებული, თბილი ჰაერი უბერავდა.

სტუმარი, თითქოს აქ არაფერიაო, გზას მშვიდად გასცქეროდა. მას, უდაბნოეთის მკვიდრს, სიცხე სრულიადაც არ აწუხებდა.

ზანზარეთი ჭურჭურიადან სამსაათ-ნახევრის საფრენზეა. ეს, ერთ დროს უძლეველად მიჩნეული, ლამის სამ მატერიკზე გაბატონებული ქვეყანა, ახლა ეკონომიურად (და მგონი პოლიტიკურადაც) მოკრძალებულ დონეზეა. ისტორიას თავისი ირონიული კანონები აქვს. ვინ იფიქრებდა, რომ უკიდეგანო ზანზარეთის იმპერია, რომელმაც ამ ორი ათას ხუთასი წლის წინ აყვავების ზენიტს მიაღწია, ქვეყანა, არაერთი ტომის ეროვნული თვითმყოფობა და კულტურა ღრუბელივით რომ შეისრუტა, მეოცე საუკუნეში ერთ პაწაწკინტელა სახელმწიფოდ ჩამოყალიბდებოდა ორმილიონ-ნახევრამდე მცხოვრებით, ერთი მავრიკიის მიერ ნაჩუქარი გემით, ორი დანჯღრეული თვითმფრინავით და ფილთა თოფებით შეი-

არაღებული არარეგულარული ჯარით (ეს ჯარი პოლიციის ფუნქციებსაც ითავსებდა). ზანზარეთის ძველი დიდება ისტორიის ფურცლებზე, არაერთხელ გაძარცულ მუზეუმებში და იმ ძველ რუკებზეღა დარჩენილიყო, ზოგი ვაიპატრიოტის ოჯახში რომ ეკიდა შვილიშვილთათვის იავარქმნილი იმპერიის საზღვრების შესახსენებლად.

აუარა იჩქით-ჰული, რომ იტყვიან, თავისუფალი პროფესიის კაცია. ზანზალაკების სარესტავრაციო სახელოსნოს მენეჯერი გახლავთ. საზღვარგარეთ პირველადაა საერთოდ. მოგზაურობის ტრფიალი როდია, ისე, უბრალოდ, რატომღაც მოუნდა ერთხელ მაინც „გაეჭვრიტა გაღმა“, ენახა რა ხდება სხვა ქვეყნებში. ზანზტურისტის ქვეგანყოფილებაში ურჩიეს, ჭურჭურიას ესტუმრე, ხვავითა და ბარაქით სავსე, პატიოსანი შრომით გამდიდრებული, მაღალი კულტურისა და სამაგალითო მომსახურების ერთი კოპწია, ნეიტრალური სახელმწიფოაო.

სანამ ქალაქში შევიდოდნენ, მწვანედ აღაღანებულ გორაკს შემოუარეს. დახვეული გზა გორაკის თხემზე ხელაწევით მდგარ უზარმაზარ ქანდაკებას უახლოვდებოდა. აივაკეს თუ არა, ზოზომ მანქანა მაგნოლიის ჩრდილში შეაყენა და სტუმარს მიუბრუნდა:

– თუ წინააღმდეგი არ იქნებით, მაინც გზაზე ვართ, თავისუფლების მემორიალს დაგათვალიერებინებთ.

აუარა, რასაკვირველია, დათანხმდა.

სანახაობა, მართლაც შთამბეჭდავი იყო. თმებგაშლილი, ცისკენ მარჯვენააღპყრობილი, უზარმაზარი ქვის დედაკაცი, რომელსაც დაშვებულ მარცხენაზე გაწყვეტილი ბორკილი ეკიდა, ახლოდან თავისი დევური სიდიდით გულზე გაწვებოდა, ხოლო შორიდან უფრო უკეთ იკითხებოდა. მოედანზე ოვალურად გაშლილ კედლებზე თვალშიმომხვედრი მოზაიკით გამოსახული იყო უბრალო ადამიანთა შორეული წარსულის სურათები. ყველა მათგანის გაგება აუარას გაუჭირდა სცენათა სიმბოლური გამომსახველობითი მხარის გამო, მაგრამ რამდენიმეს მშვენივრად მიხვდა: ერთგან მიწურ ქოხში შევარდნილი თავჩალმიანი კაცი ცეცხლს შემომჯდარ ქალ-

ბავშვთა და მოხუცთა თვალწინ კერას აქრობდა, მეორე სურათზე რამდენიმე ფართხუნაშარვლიანი, ხელმათრახა დამპყრობელი საცოდავად წახრილ, თავფეხშიშველ, სამოსშემოხვეულ ადამიანებს გაურკვეველი მიმართულებით მიერეკებოდა. კედლებთან ჯგუფ-ჯგუფად, თავიანთ გიდ-მოძღვრებთან მორჩილად იდგნენ ექსკურსანტები და ხან მემორიალს შესცქეროდნენ, ხან კი სხვა ჯგუფების შემადგენლობას აკვირდებოდნენ, ისე, ყოველ შემთხვევისათვის.

– ვისგან განთავისუფლების მემორიალია ეს? – აუარამ ყურადღებიანი ტურისტის ცნობისმოყვარეობა გამოიჩინა, თორემ განა არ იცოდა, რომ ეს, ჩქარი ნაბიჯით მიმავალი, გრძელხელება, ხუჭუჭთმიანი, თხელულვაშა ახალგაზრდა კაცი – ზოზო მაჩაჩუნა ახლავე აუხსნიდა ყველაფერს.

ზოზო შადრევანთან დადგა, ჩაახველა და თავზე მზის მხრიდან ჭილოფის შლაპააფარებულ აუარას აუწყა:

– ჭურჭურიას ძნელი წარსული ჰქონდა, ბატონო აუარა. ჩვენ პატარა ქვეყანა ვიყავით და ხშირად გვიპყრობდნენ. საშუალო წელთაღრიცხვის მეოთხე-პირველ საუკუნეებში ზანზარეთს ვყავდით დამონებული. დიდი ხნის მერე თავი გავითავისუფლეთ და მოპოვებული თავისუფლების უკვდავსაყოფად ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ ავაგეთ ეს მემორიალი.

აუარამ ისტორია საერთოდ ცუდად იცოდა, მაგრამ რას წარმოიდგენდა, თუ მისი წინაპრები ორი ათას სამას ოცდაშვიდი წლის წინ პატარა ჭურჭურიაშიც ჩამოაღწევდნენ. თურმე მოზაიკის ენით გამოსახულის კერიისმქრობი და მომათრახე ვაჟბატონები ზანზარეთელები ყოფილან.

– თავი როგორღა გაითავისუფლეთ? – აუარას წამოცდა ეს კითხვა, თორემ მის ადგილას მყოფი კაცი სხვა, უფრო ჭკვიანურ და დელიკატურ შეკითხვას მოიფიქრებდა.

– როგორ გითხრათ. წინააღმდეგობის ფრონტი, საზოგადოებრივი აზრის შექმნა, თავისუფლების ძლიერი სული და... კაცმა რომ თქვას, პატარ-პატარა შეტაკებები, რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ დიდ სისხლისღვრამდე საქმე არ მისულა. მოგეხსენებათ, ზანზარეთის იმპერია დაიშალა თავისი შინაგანი წინააღმდეგობის და ულ-კაბ-ივრ-ჩამჩაათის მემკვიდრეთა

კინკლაობის გამო. ზანზარეული ბატონობა ამით დასრულდა. ურდოდან მხარდაჭერის გარეშე დარჩენილი ზანზარეთის ასისთავები ჩვენ თვითონვე გავყარეთ აქედან და თავისუფლებას გამოვკარით ხელი, როგორც ხედავთ.

– მერე აღარავის დაუპყრიხართ? – არც ეს შეკითხვა მოეწონა აუარას, „რა მემართება დღესო“, გაიფიქრა.

– ბევრჯერ.

– მერე ხსვებისგან განთავისუფლების მემორიალი რატომ არ გააკეთეთ? ახლა ხომ თავისუფალი ხართ?

– ძალიან – ამაყად მიუგო გიდმა.

– ალბათ, სხვათა ბატონობა ცოტა ხანს გაგრძელდა, ხომ?

– არა, რატომ, ჩვენ ექვსასწლიანი მონობის რეციდივიც გვიწერია ისტორიაში. ზანზარეთი ჩვენი პირველი და უკანასკნელი დამპყრობელი არ ყოფილა. თქვენ გული არ დაგწყდეთ. ისე, მემორიალი ბევრი გვაქვს. აქ ეს არის, სხვაგან თავისუფლების სხვა მემორიალებია.

აუარა ცოტათი დამშვიდდა, მაგრამ მისი შორეული წინაპრების კვალის ხილვამ ჭურჭურიის მიწაზე არ ააფორიაქა-მეთქი, რომ გიმტკიცოთ, თქვენც არ დამიჯერებთ.

ამასობაში გვერდით მდგომი ექსკურსანტების ჯგუფს, სანდომიანი სახის, შუაზეთმეზგაყოფილი, გრძელნაწნავებიანი, თეთრკაბა გოგონა გამოეყო, აუარასთან მივიდა და რაღაც ჰკითხა.

აუარამ ყური ტუჩთან მიუახლოვა გოგონას ყურადღების ნიშნად.

გოგონამ კითხვა გაუმეორა.

სტუმარი აშკარად შეწუხდა, რომ გოგონამ ნათქვამში მისთვის გასაგები ერთი სიტყვაც ვერ გაარჩია.

– არ ესმის, გენაცვალე, მაგას ჩვენი ენა.

– სადაურია? – ახლა გიდს მიაპყრო ფართო, თაფლისფერი თვალები ქალიშვილმა.

– ზანზარეთელია.

გოგომ ბოდიში მოიხადა და სწრაფად შეუერთდა თავის ჯგუფს.

ზოზო მემორიალის აშენების ისტორიას ჰყვებოდა, ბატონმა აუარამ განზე გაიხედა და გიდს საუბარი შეაწყვეტინა:

– ხომ არაფერი მოხდა?

ახლომახლო მდგომი ესქკურსანტთა ორი ჯგუფი ექსკურსიათმძღოლიანად შემოტრიალებულიყო და ზანზარეთელ სტუმარს მდუმარედ შესცქეროდა.

– არაფერი, – გიდმა ხელი მოჰკიდა აუარა იჩქით-ჰულს და იქაურობას გაარიდა, – აქ საინტერესო სხვა არაფერია, კიბეზე ავიდეთ და ქალაქს გადავხედოთ.

მწვანე მარმარილოს გრძელ კიბეზე რომ ადიოდნენ, იჩქით-ჰულმა ერთხელ კიდევ მოიხედა. ექსკურსანტთა მზერა ზანზარეთელს კვლავ მიაცილებდა. სტუმარს გააჟრჟოლა და ღრმად ჩაისუნთქა.

გრანიტის ქალის მარცხენა ფეხის ცერა თითი კარგა მოზრდილი ცხვირისოდენა იყო. აუარა იდაყვით ჩამოეყრდნო განთავისუფლებული ქალის ფეხის თითს, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და დაცვარული შუბლი შეიმშრალა.

ჭურჭურიის დედაქალაქი აქედან მშვენივრად ჩანდა. თეთრი ქვისაგან ნაგები ექვს-შვიდსართულიანი სახლები მზეზე გასაოცრად ლაპლაპებდნენ. ქუჩებიც კი თეთრი ასფალტისაგან იყო მოკირწყლული და საერთოდ, ქალაქს თეთრი ათინათი დასთამაშებდა. თითქმის ყველა სახლის სახურავზე ყვავილთა წალკოტი და ლურჯი აუზები მოჩანდა. გრძელი სახლების თავზე აქა-იქ ჩოგბურთის მოედანიც ელავდა. თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი მობურთავენი ჩოგანს ამღერებდნენ. ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით წამოყუდებულ მწვანე მთაზე ორი თეთრი ტაძარი იდგა. ხოლო ტაძართა ქვემოთ, ლამაზად დაშვებულ ტერასებზე, თითოსართულიანი კოტეჯები. აუარამ ყურადღება მიაქცია ქალაქის ჭკვიანურ დაგეგმარებას, მაღალი სახლები მხოლოდ ქვემოთ, ტაფობში აეშენებინათ, ფერდობზე კი მხოლოდ ბანიანი პატარა სახლები შეეფინათ, რათა ქალაქის ულამაზესი ბუნებრივი ლანდშაფტი არ დარღვეულიყო. ჭურჭურიის დედაქალაქის დიდებულ ამფითეატრს უამრავი თეთრი და აგურისფერი საყდარი ამშვენებდა.

– ზემოთ, ფიჭვნარის ბოლოს, კლდესთან ბილიკს ხედავთ? იმ ბილიკით მიერეკებოდნენ ტყვეებს – ზოზოს ხელის ზურგი მზეს ნარინჯისფრად მოეხატა. იქეთ, საითაც იგი ხელს იშვერდა, ყველაფერი მშვენივრად ჩანდა, ბილიკის გარდა.

– ვინ მიერეკებოდა? – ყრუ ხმით იკითხა სტუმარმა.

– ზანზარეთელი დამპყრობლები.

– რა იცით, რომ მაინცდამაინც მაგ ბილიკით, იქნებ სხვა ბილიკით სარგებლობდნენ? – ბოლოს და ბოლოს, ორი ათასი წლის ამბავია, ხომ შეიძლება ხალხს ბილიკი მაინც დავიწყნოდაო, გაიფიქრა აუარამ.

– ლეგენდაა ასეთი. ფეხმძიმე ქალი გაქცევია თურმე ზანზარეთელ ათისთავს და აი იქ, ცხვირწაშვერილი კლდე რომ დგას, იმ კლდიდან გადამხტარა.

– რასაკვირველია, დაიღუპებოდა, – ჩაილაპარაკა იჩქითჰულმა და გამხელით არ გაუმხელია, მაგრამ გულის სიღრმეში დაასკვნა: მაინც ნაჩქარევი საქციელია. ამაზე უარესს რას დამართებდა, საცოდავს, ის ათისთავი ანდა სად ჯანდაბაში მიერეკებოდა ნეტავი ფეხმძიმე ქალსო.

სასტუმრო „საპარსია“, სადაც სტუმარს უნდა ეცხოვრა, ქალაქის ცენტრში უცნობი პოეტის ძეგლის პირდაპირ აღმართულიყო. სამსართულიან, ბაროკოს სტილით აგებულ შენობას სწორედ თავისი ჩუქურთმა-ქიმერების სიმრავლით გადაერჩინა თავი. იდგა იგი მომინულ-მოღიავებულ მაღალ სახლებს შორის, მიწას ჩაკირულ-ჩახვეული, რუხ-შავი, იდუმალებით მიმზიდველი და გამძლე. ჩაანკეტებ-ჩანომრებას დიდი დრო არ დასჭირვებია, ზოზომ, როგორც ჩანს, აუხსნა ადმინისტრატორს, რომ ზანზარეთელი სტუმარი დაღლილი იყო და მოსვენება ესაჭიროებოდა. სიტყვა „ზანზარეთი“ რომ ახსენა, სასტუმროს მოხელე, ლურჯსათვალიანი, მსხვილკისერა, დაბალი კაცი, რომელსაც ციცრისფერი ჟილეტი თეთრ პერანგზე შეუკვრელად მოეცვა, ჯერ აუარას დააკვირდა, ისე, როგორც დავიწყებულ ნაცნობს დააკვირდება კაცი, ხომ არ მეშლება, ნამდვილად, ის არის თუ არაო. მერე წამოხტა და წინკარში გაუჩინარდა. ორიოდე წუთის შემდეგ ადმინისტრატორი სერიოზული სახით დაბრუნდა, იგი აღელვებას ძლივს

ფარავდა, მაგრამ მოჩვენებითი სიმშვიდით ადარებდა ერთმანეთს პასპორტსა და ანკეტას. ჟილეტიანს ფეხდაფეხ შემოჰყვნენ თეთრ პერანგოსან-ჰალსტუხიანი თანამშრომლები, ისინი მკლავჩახვეულნი გამწკრივდნენ კედელთან და აუარას თვალს არ აშორებდნენ, ჭურჭურიელმა გიდმა ჩემოდანს ხელი წამოავლო და, როგორ ჩანს, უხერხულობის გასაფანტავად, რაღაც სახუმარო უთხრა სასტუმროს ცნობისმოყვარე პერსონალს, მკლავჩახვეულები ერთხმად ახარხარდნენ და სიცილ-სიცილით, ერთმანეთის მიყოლებით იმ შტორებიან კარს მიეფარნენ, საიდანაც ახლახან ასე ერთსულოვნად გამოლაგდნენ.

მეორე სართულზე, მეთერთმეტე ოთახში დაიდო ბინა ზანზარეთელმა სტუმარმა. ძველებური, მაღალჭერიანი ფართო ნომერი შეხვდა, აივანი ქუჩის მხარეს გადიოდა. ზოზომ, სტუმარმა ხელ-პირი რომ დაიბანა, ტყავის საქაღალდე გახსნა და ტურისტული მოგზაურობის პროგრამა გააცნო. საგზურის მიხედვით ბატონ აუარას სამი დღე ჭურჭურიის დედაქალაქში უნდა გაეტარებინა, ხოლო ოთხი დღე ჭურჭურიის ყოფილ დედაქალაქში, რომელიც იქედან ჩქარი მატარებლით შვიდი საათის სავალზე იყო. მერე თავაზიანმა გიდმა მუყაოზე აკვარელით შესრულებული ნახატი აჩუქა სტუმარს და აუხსნა, რომ ეს იყო თანამედროვე პოპულარული ჭურჭურიელი მხატვრის კიუკიოს ორიგინალი. ნახატზე გამოსახული იყო საყდარი, რომლის შესასვლელშიც თეთრთმოსანი, ჯვალოსჩოხაშემოფლეთილი მნათე განწირული სახით ხელგაშლილი წინაღდგომოდა ორ ხელსატევრიან, თმაგაბურძგნულ მეომარს და საყდარში არ უშვებდა. მომხვდურნი ზურგით იდგნენ და აუარამ დაბეჯითებით ვერ დაასკვნა, ზანზარეთელნი იყვნენ თუ არა საყდრის წარყვნის მსურველები. ნახატზე ზრდილობიანი მადლობა მოახსენა ზოზოს და თავის მხრივ, მის სახელოსნოში რესტავრირებული ზანზალაკი უსახსოვრა.

რესტორან „საპარსიაში“ მსუბუქად ივახშმეს, მერე გიდმა კიბეებამდე მიაცილა სტუმარი, დილით ცხრა საათზე მოგაკითხავთო, დაუბარა და დაემშვიდობა.

აუარამ პიჯაკ-ჰალსტუხი სკამის საზურგეზე გადაჰკიდა, სარკის წინ სამჯერ ხელების აწევ-ჩამოყრით ღრმა ჩასუნთქ-ამოსუნთქვები გააკეთა (ამ ვარჯიშს იგი უგუნებობის, ან გადაღლილობის ჟამს მიმართავდა) და აივანზე გავიდა.

ქალაქი საღამოს ცხოვრებით ცხოვრობდა. ქუჩაში აქაც ნელა დააბიჯებდნენ ერთმანეთის წელჩაბღუჯული შეყვარე-ბული გოგო-ბიჭები, აბეზარი ყვირილით გამორბოდნენ მეგა-ზეთენი და წითლად არეკლამებული კაფე-ბარების წინ იდუმ-ალი ღიმილით იდგნენ ნახევრად მეძავი – ნახევრად ფოტო-მენატურე ქალიშვილები. უეცრად დაფდაფების ხმა გაისმა, მანქანების მოძრაობა შეწყდა და ტროტუარზე მოქალაქენი ჩამწკრივდნენ. უცნობი პოეტის ძეგლის მხრიდან უცნაური პროცესია დაიძრა. აუარა მაშინვე მიხვდა, რომ რომელიღაც ხალხურ სანახაობასთან ჰქონდა საქმე, რადგანაც პროცესიის წინამძღოლი ოთხი პოლიციელი მხოლოდ იმით იყო გართუ-ლი, რომ ღიმილით სთხოვდა გამვლელებს, ტროტუარიდან არ გადმოსულიყვნენ და საზეიმო მსვლელობისთვის ხელი არ შეეშალათ. სანახაობა კი ასეთი გახლდათ: ათიოდე ჩოხაშ-ემოგლეჯილ მონას მხარზე გაედო ფიცარნაგი, ფიცარნაგ-ზე თავდაღმა ეგდო ტრუსისამარა ზურგზეხელებშეკრული, მკლავგორგალა მამაკაცი და ტკივილებისგან იგრიხებოდა იმ სერიოზული მიზეზის გამო, რომ მას თეატრალური გამეტე-ბით მათრახს სცემდა თავჩალმიანი, წელსზემოთ შიშველი წი-თელწვერა ჯალათი. პროცესიას უკან მოჰყვებოდნენ დოლ-ჭიანურის დამკვრელნი და ადევნებული ბალღები, მხიარული სტვენითა და ყიჟინით იქაურობას რომ აყრუებდნენ.

აუარას გვერდითა აივანზე გამოსული ღიპიანი მოქალაქ-ისა და მისი თანამეოთახე ქერა მანდილოსნისთვის არაფერი უკითხავს. ჯერ ერთი, ენა არ იცოდა და მეორეც, რაც ამ კარნავალის სიუჟეტიდან შეიტყო, მისთვის, ზანზარეთელი კაცისთვის, სრულიად საკმარისი იყო.

ოთახში შემობრუნდა, კარ-ფანჯარა ჩაკეტა, ფარდები ჩამოუშვა და ბეჭებზე ხალათმოსხმული აბაზანაში რომ შე-დიოდა, გაიფიქრა: „ყველაფერი ახსოვთ“.

აუარა არც მიამიტი კაცი იყო და არც ლირიულ-ნერვიულად

მგრძნობიარე. მან მშვენივრად იცოდა, რომ მეოცე საუკუნის ორმოციან წლებში დაბადებულ ერთ უწყინარ მეზანზალაკეს არაფერი ჰქონდა საერთო ორი ათას სამასი წლის წინათ მომხდარ ამბებთან და მისი წინაპრების დამპყრობლური (მაშინ ყველა ერთმანეთს იპყრობდა) საქციელის გამო პასუხს არავინ აგებინებდა, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც განიცდიდა მცირეოდენ სინდისის ქენჯნას. თანაც გაოგნებული იყო იმით, რომ თითქოს სპეციალურად ჩაიფიქრესო, ჭურჭურიაში მისი ჩამოსვლის პირველივე საათებში რასაც კი თვალი შეავლო, ყველაფერი ეროვნული ჩაგვრის (თუ ეროვნული განთავისუფლების) ნაღვლიან ისტორიასთან იყო დაკავშირებული.

იმ ღამით ცუდად ეძინა. ორჯერ დაესიზმრა ფეხმძიმე, თმაგაწეწილი ქალი, რომელიც ცხვირწამახული შავი კლდის ქიმისაკენ კივილით გარბოდა.

ფანჯარას მტრედისფერი ათინათი ადგა, რომ გაეღვიძა. აწი მაინც აღარ დამეძინებაო, რადიოს ღილაკს თითი ჩაჰკრა. დიქტორი რაღაცას აღტაცებით აუწყებდა თავის მსმენელებს. აუარას გულწრფელად შეეხარბა ჭურჭურიელი მოქალაქეებისა, რომლებიც ამ დილაუთენია საწოლშივე შეიტყობდნენ იადონივით მოჭიკჭიკე დიქტორის ბაგეთაგან მათთვის უაღრესად სასიამოვნო ცნობას. ცოტა ხანში რადიომ სასიხარულო ამბებს სიმღერები მოაყოლა. ყველას თავისი ხალხური სიმღერები უყვარს და, სიმართლე გითხრათ, სტუმარს ჭურჭურიული ჰანგები ზედმეტად მინაზებულად და ნაღვლიანად მოეჩვენა. ზანზარეთული ვაჟკაცურ-სტეპური ერთხმიანი და სწორხაზოვანი სიმღერები უფრო ხვდება გულსო, დაასკვნა. ვინ შეედავებოდა, კაცი ლოგინში თავისთვის, თავის ფიქრებში ზანზარეთულ სიმღერებს აქებდა.

ვერ გაიხსენა, რომელ საათზე გამოუვლიდა გიდი. ვერც გაიხსენებდა, რადგანაც ზოზოს დაავიწყდა, დაეთქვა შეხვედრის ზუსტი დრო. სკამით მსუბუქად ივარჯიშა და დილის პროცედურები (ზანზარეთული რადიოს ტერმინია) დამთავრებული ჰქონდა, ტელეფონი რომ აწკრიალდა. „მაპატიეთ, ბანკში შემაგვინდება, ერთ საათში გამოგივლითო, ბუფეტი მანდვეა, თქვენს სართულზე, დერეფნის ბოლოში, ისაუზმეთ

და, გნებავთ, ნომერში დამელოდეთ, გნებავთ სასტუმროს წინ გაისეირნეთო“.

აუარამ „სასტუმროს წინ გასეირნება“ არჩია. ისაუზმა და ოთახში შემობრუნებულმა კარგა ხანს იტრიალა სარკესთან, ჭურჭურიელ მოქალაქეს ოდნავ მაინც რომ დამსგავსებოდა. მართალია, ზანზარეთულობა შუბლზე არ მაწერია, მაგრამ თავისიანად რომ დამიგულვებენ, ნაკლებ ყურადღებას მომაქცევენო. პიჯაკი გაიხადა, თეთრი პერანგი ზემოდან სამ ღილზე შეიხსნა, შარვალი წელსქვემოთ ჩამოიჩაჩა, თმა, რომელიც უკან ჰქონდა გადავარცხნილი, ყურისზემოთ გაჰყო და მარჯვნივ გადაივარცხნა, მოუკიდებელი სიგარეტი ტუჩის ბოლოში მოიქცია, საჩვენებელი თითით პიჯაკი მხარზე გადაიკიდა და კიბეზე რომ ეშვებოდა, სასტუმროს თვალმაყვალა ადმინისტრატორმა გოგონამ გაკვირვებით გააყოლა თვალი. აუარამ ყურადღება მიაქცია, გუშინდელი, ჟილეტიანი ადმინისტრატორი არსად ჩანდა.

ქუჩაში გამოსულ აუარას ძალად მშვიდი სახე ჰქონდა და, რაც უფრო ცდილობდა შეუმჩნეველი დარჩენილიყო, მით უფრო გრძნობდა გამვლელთა დაჟინებულ მზერას. აშკარა იყო, ჭურჭურიელები აკვირდებოდნენ, მაგრამ რატომ და რა მიზნით, ვერა და ვერ გამოიცნო. ჩაუვლიდა გვერდზე მასავით მხარზე პიჯაკგადაგდებული მოქალაქე, ცოტას რომ გაივლიდა, შეჩერდებოდა და მოუხედავდა. რამდენიმე ნაბიჯს გადადგამდა, თითქოს რაღაცის თქმა უნდაო, ერთხელ კიდევ შეჩერდებოდა და მოუხედავდა. ამ იდუმალი თვალიერებით შეწუხებულ აუარას არც უფიქრია, ყველამ იცის ზანზარეთელი რომ ვარ და თავს ერთბაშად იმიტომ არ მესხმიან, რომ შესაფერის მომენტს ეძებენო. შიში არ გამკრთალა მის გონებაში, მაგრამ მაინც რაშია საქმე, რატომ მაკვირდებიანო, ცდილობდა მიმხვდარიყო. იქნებ ჩვევა აქვთ ჭურჭურიელებს ასეთი, იქნებ ყველა სტუმარს გულდასმით ათვალიერებენო, დაასკვნა ბოლოს და გულის გადასაყოლებლად ვიტრინებს ჩამოუარა.

ამასობაში ზოზოც დაბრუნდა. სანამ მანქანას დაძრავდა, სტუმარს ჭურჭურიული ფული ჩაუთვალა და სახელმწიფო ბანკის ქვითარზე ხელი მოაწერინა. აუარამ ანგარიშიანი კა-

ცის გულმოდგინებით ტყავის საფულე ამოიღო და თუმნიანმანეთიანები ჩახარისხებით ცალ-ცალკე, მოუკეცავად ჩაალაგა. ტურისტული პროგრამის მიხედვით აუარას დღის პირველ ნახევარში ქალაქგარეთ ხელოვნური ზღვის დათვალიერება უნდა მოესწრო.

– საბანაო კოსტუმი წამოიღეთ? – ჰკითხა ზოზომ.

სტუმარმა თავი გააქნია.

– უნდა წამომეღო?

– თქვენი ნებაა. იქნებ ბანაობის სურვილი გაგიჩნდეთ. მართალია, მტკნარი წყალია და ცოტა ცივიც იქნება, მაგრამ ტურისტები უკვე ბანაობენ, შეხედულებისამებრ, რასაკვირველია.

სტუმარი გამოუტყდა, ზღვაში ჯერ საერთოდ არ ჩავსულვარ და მით უმეტეს ცივ წყალს ვერ ვიტან. ესეც არ იყოს, ცურვაზე საერთოდ მწყრალად გახლავართ. თუ რაიმე ეთნოგრაფიულ-ტრადიციულ აუცილებლობასთან არაა დაკავშირებული, იქნებ ზღვაში ბანაობა-ცურვისაგან თავი შევიკავოთო.

– როგორც თქვენ გაგეხარდებათ, ტურისტის ნება კანონია, – შუბლზე ხელი მიიდო ზოზომ და ძრავი ააძიგძიგა.

„ოპელ-ეფრეიტორი“ ქალაქგარეთ გადატრუსულ გორაკებს შორის მიჰქროდა.

– წარმოიდგენდით, რომ აქ ოდესღაც გაუვალი ტყეები იყო. წყაროები ჩუხჩუხებდა და შველ-ირმები დაქროდნენ! – ექსკურსიათმძღოლმა უდაბნოდქცეულ გორაკებზე ანიშნა.

– ვერა, – მიუგო სტუმარმა, – მერე რა იქნა ის გაუვალი ტყეები?

– გაჩეხეს, ჯერ კიდევ ორი ათას სამასი წლის წინათ.

აუარას გული შეეკუმშა, ესეც ჩემი წინაპრების ნამოქმედარი არ იყოსო, მაგრამ მაინც იკითხა:

– ვინ გაჩეხა?

– ზანზარეთმა.

– რატომ, რა მიზნით?

აუარამ ერთხელ კიდევ მიმოიხედა, უბუჩქო გორაკები შორს, ჰორიზონტს მიღმა იკარგებოდა. ასე რომ, ამოდენა ტყეების გაჩეხვა მაშინდელი ტექნიკის პირობებში იოლი როდი იყო.

– როგორ გითხრათ, მე თვითონ ვერ ამიხსნია. ტყის გაჩეხვის ზუსტი მიზეზი წიგნებშიც არ სწერია. ფაქტია, რომ გაჩეხეს, აღარ არის.

– იქნებ თავიდანაც არ იყო. ტყე ხომ ყველგან არ ხარობს.

– არა, როგორ გეკადრებათ. მე ტყუილს გეტყვით? იყო, ნამდვილად იყო, მაგრამ გაჩეხეს. იქნებ ქვეყნის ეკონომიურად გაჩანაგების მიზნით. მოგეხსენებათ, ტყე სიმდიდრეა. იქნებ იმ მიზნით, რომ მოსახლეობა ტყეში არ შეხიზნულიყო. ამ შიშველ გორაკებზე ხომ ვერსად დაიმალები. ასე რომ, გინდა – არგინდა, ბედს უნდა დაემორჩილო.

აუარამ მაინც ვერ იპოვა ლოგიკის მარცვალი ზანზარეთელთა ნამოქმედარში. „ქვეყანა ისედაც დაპყრობილი გაქვს, ტყეს რას ერჩი, ტყის საჩეხავად გცალია შეენ? ხომ არაფერს მატყუებს ეს გიდი“ – გაიფიქრა.

– ეგ რა არის. თუ სადმე წააწყდნენ, ვენახს, არ გაუშვეს აუჩეხავ-აუკაფავ-ამოუძირკვავი.

– ვენახიც?

– ნამდვილად.

– ყურძენს რომ ისხამს, ხომ იმაზე ამბობ?

– კი.

– გასაყეყეჩებელი, თუ გინდა, ეს არის. ვენახმა მაინც რა დაუშავათ?

– ეგ უფრო ადვილი მისახვედრია, თქვენი წინაპრები ხომ ღვინოს არ სვამდნენ. მოგეხსენებათ, რელიგია...

– კი, ბატონო, მაგრამ ყურძენს ხომ ჭამდნენ?

– ყურძენს, ალბათ, კი.

– ყურძნად ეჭამათ. და საერთოდ ჭკუათმყოფელი დამპყრობელი ვენახს დაეტაკება? პირიქით, მოუაროს მონამ და წაართვი მერე მოსავალი. მაგაზე ადვილი რა არის.

– არც აგრეა საქმე. ზანზარეთელმა იცოდა, რომ ვაზი ჩვენთვის მარტო ყურძენი და ღვინო არ გახლდათ. იგი სხვა რამ იყო.

– მაინც რა „სხვა რამ“?

– როგორ გითხრათ, რაღაც უფრო მეტი. ჩვენი არსებობის სიმბოლო. ჩვენი ეროვნული სახის ერთი ნიშანი.

– კაი ერთი, თუ ძმა ხარ, – აუარას ავყიად წამოცდა ეს არცთუ ძალიან საწყენი ფრაზა, მაგრამ მაშინვე ენაზე იკბინა; რას ვეკამათები მეც, ჩემს ძველებს ამ ხალხისათვის სიცოცხლე გაუმწარებია და ჩემი ახლანდელი ჩაძიება სხვანაირად არ გაიგოს. ენას კბილი უნდა დავაჭირო და გავჩუმდე. ეს მევალება, სხვა არაფერიო. ისე, ყველაფერი რომ მართალი იყოს, ტყის და ვენახის აჩეხვას მაინც ვერ დავიჯერებ. ასეთ სისულელეს როგორ ჩაიდენდა ცათა და ხმელთა დამპყრობი ზანზარეთის იმპერიაო.

1986 წლის 19 ივნისს ჭურჭურიის ძველ დედაქალაქში ზანზარეთელ დამპყრობელთაგან განთავისუფლების ყოველწლიურ ზეიმზე სიტყვა ითხოვა ტურისტმა აუარამ იჩქითჰულიმ. მისცეს. ტრიბუნაზე რომ ადიოდა, ზოზოს ხელკავი გამოსდო და უჩურჩულა: ნუ გეშინია, სისულელეს არაფერს ვიტყვი. რომ არ ვთქვა, გული გამისკდება, მითარგმნე, თუ ძმა ხარ.

აუარამ მართლაც მოკლე, მაგრამ უცნაური სიტყვა თქვა:

მეო ზანზარეთელი გახლავართო. ხუთი დღეა თქვენს ლამაზ ქვეყანაში ვმოგზაურობო. ბოდიში მინდა მოგიხადოთ იმ უპატიური საქციელისათვის, რაც ჩემმა წინაპრებმა ორი ათასზე მეტი წლის წინათ აქ ჩაიდინესო. მრცხვენია პირდაპირ მათ მაგივრადო, მაგრამ ისიც უნდა იცოდეთ, რომ ისტორიასთან თქვენი ასე მარჯვედ ყოფნა ზანზარეთის იმპერიის ბრალიც არისო. თქვენ თავისუფლების ფასი ასე კარგად რომ იცით, ესეც, იქნებ, დამპყრობელთა საქმე იყოსო. არ დაგაძინეთ, არ მოგასვენეთ, ამას პატარა მნიშვნელობა როდი აქვსო. ჩემი ქვეყანა ზანზარეთი არავის დაუპყრია, თვითონ ჩასთვლიმა ორი ათასი წლის წინათ და დღემდე რომ თვლემს, ამიტომაა უკან-უკან რომ მიდის მისი საქმეო. ისტორია სამართლიანია; ოდესღაც ორმოცდაშვიდმილიონიანი ზანზარეთი დღეს ორნახევარმილიონამდე დავიდა, ასე რომ გული არაფერზე დაგწყდეთო. ჩემს წინაპრებს თქვენი გაზანზარეთელება რომ სდომებოდათ, უფრო ჭკვიანურ პოლიტიკას დაადგებოდნენ. მოფერებით და დაყვავებით წაგართმევდნენ ჯერ ენას და მერე ჭურჭურიულ ხასიათსო. ამის მაგივრად ისინი, როგორც

ვხედავთ, დაპყრობისთანავე თქვენი საყდრების თავლად გადაკეთებას, ტყე-ვენახის აჩეხვ-ამოძირკვას და კლდიდან ორსული ქალების გადაყრას იწყებდნენო. ვერ ხვდებოდნენ, რომ ამით ერთ მუშტად თქვენს შეკვრას და ჭურჭურიელთა ისტორიულ რისხვას იწვევდნენ, სხვას არაფერსო. მეტს აღარ გავაგრძელებ, თუ შეგიძლიათ გვაპატიეთ, ჭურჭურიელნო, დაქცევისკენ წასულ ზანზარეთელებს ეს ბავშვური, წინდაუხედავი საქციელიო.

რა დაამთავრა, შუბლზე ცხვირსახოცით ოფლი შეიწმინდა, ყურადღებისთვის მადლობა გადაიხადა და ზოზოს მკლავსდაყრდნობილი ტრიბუნას მოშორდა.

მართალია, ბატონი აუარას სიტყვა აღელვებული კაცის ფიქრები გახლდათ და მთლად დალაგებული არ იყო, მართალია, მის ნათქვამში მობოდიშების გარდა, ცოტა არ იყოს, სინანულიც ჩანდა (დაახლოებით ასეთი : ჩემი წინაპრები ჭკვიანურად რომ მოქცეულიყვნენ, დღესაც აქ იქნებოდნენო), მაგრამ მომიტინგეებმა ტაში მაინც დაუკრეს.

ესეც ჩვევის ამბავია.

მახე

დაბეჯითებით ვერ გეტყვით, სხვა ხალხს აქვს თუ არა ერთი უცნაური წესი, რომელმაც, მემატიანეს ცნობით, იმერეთში ფეხი მოიკიდა მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში და მერე მთელს საქართველოში გავრცელდა. ამ ახირებულ ტრადიციას ქალის გადასინჯვა ჰქვია. ზოგიერთები ქალის გადანახულებასაც ეძახიან. რამდენიმე დაახლოებული პირის თანხლებით უცოლო მამაკაცი ზოგჯერ ნებით, იშვიათად კი მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, მიდის გასათხოვარი ქალის ოჯახში. რასაკვირველია, მასპინძლები ცდილობენ სასიძოს თავი კარგად გააჩვენონ და იმართება ნადიმი. განა ქალის გადასინჯვა ნეიტრალურ მოედანზე – სკვერში ან დრამატულ თეატრში არ შეიძლება, მაგრამ ოჯახში გადანახულებას სხვა ფასი აქვს. ჯერ ერთი: საქმრო ადგილზე ამოწმებს საპატარძლოს მონაცემებს საოჯახო საქმიანობაში, მეორეც, სასიმამროს ოჯახსაც შეავლებს ხოლმე თვალს იმის გასათვალისწინებლად, თუ რა წრეში, რა ტრადიციისა და შეძლების ოჯახში აღიზარდა მისი მომავალი თანამეცხედრე. ქალის გადასინჯვის ნაღვლიანი სურათი ბრწყინვალედ დაგვიხატა უკვდავმა დავით კლდიაშვილმა „დარისპანის გასაჭირში“, და თუ ახლა მე ვკადნიერდები, მხოლოდ იმით ვინუგეშებ თავს, რომ ჩემს ნოველებში მოთხრობილი, დარისპანის ცხოვრებიდან თითქმის ასი წლის შემდეგ, მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში ხდება, ხოლო დასასრული ამბისა „დარისპანის გასაჭირისგან“ სრულიად განსხვავებულია.

მაშ, ვახსენებ ღმერთს და ვიწყებ:

ოცდაცხრამეტი წლის თავგადაკლული უცოლო რაფიელ ზუმბაძე სოფელ საპრასიაში ქალის გადასანახულებლად მიჰყავდათ. სიტყვა „მიჰყავდათ“ აქ შემთხვევით არ მიხსენებია. რაფიელი მართლაც რომ მიჰყავდათ, რადგანაც კეფაზე თმა-

შეთხელებულ ფარმაცევტს, როგორც მე შენ არ მოგკლავ, ძვირფასო მკითხველო, ისე არ სურდა ცოლის შერთვა. რა მიზეზი არ მოჩმახა, რამდენ ხანს არ ითრია ფეხი, მაგრამ ვერ იქნა და ვერ იხსნა თავი. ნათესავებმა და მეგობრებმა (განსაკუთრებით მისი თანაკლასელი, სამი შვილის მამა, გიზო შავდია, აქტიურობდა) მტკიცედ გადაწყვიტეს რაფიელის დაქორწინება და აი, უკანასკნელი სამი თვის მანძილზე გადასინჯვის მეშვიდე ცერემონრიალს ესწრებოდა აფთიაქის შეურცხვენელი მუშაკი. წინა ექვსი ცდა რაფიელის დაქორწინებისა სასიძოსთვის ფრიად სასურველად ჩატარდა. ერთ შემთხვევაში საპატარძლომ დაიწუნა, ერთ შემთხვევაში სასიდედრომ თქვა მოკრძალებული უარი, ხოლო ოთხჯერ ზუმბაძე შეჯდა ჯორზე: „არ მომწონს, არ ეკარება გულს, და მომკალით თუ გინდათ. გიზოს რა უჭირს, გიზომ კი არა, მე უნდა ვიცხოვრო მთელი ცხოვრება არასასურველ ადამიანთანო. ხანძარი ხომ არ არის, რა წამიჭირეთ ყელში ხელი. მივდგეთ-მოვდგეთ ცოტაც და გამოჩნდება უკეთესი ვინმეო“, ბოლოს და ბოლოს, რაფიელსაც კაცის გული ჰქონდა, ხანდახან ღამე არ აძინებდა მის მიერ უსამართლოდ დაწუნებულ ქალიშვილთა კითხვაჩამდგარი თვალები, მაგრამ არ უნდოდა ცოლის შერთვა და რა ღონეს არ ხმარობდა, არც მწვადი დაეწვა, არც შამფური. რაც არ უნდა მინდისაო, ყურში მძიმედ მისდისაო, ნათქვამია. თვითონაც არ იცოდა, რატომ არ სურდა ცოლის შერთვა. ეგონა რაღაც ახალი და ძნელი დაიწყებოდა მის ცხოვრებაში. თავისუფლების ოქროს ხანა დამთავრდებოდა, დაედგმებოდა კისერზე იძულების მძიმე უღელი.

საპრასიელი გონგაძის ოჯახი გიზომ აღმოაჩინა. მიწათმომწყობ ტარიელ გონგაძის ქალიშვილს – შორენას პედაგოგიური სასწავლებელი აქვს დამთავრებული და ბაღდადის დაწყებით სკოლაში მასწავლებლობს, შესახედაობით, ოჯახიშვილობით და წესიერებით (ეს უკანასკნელი იმერელი კაცისთვის ძალიან ფართო ცნებაა და, დელიკატური მოსაზრებით დაზუსტებას არ შევუდგები) წუნი არ დაედებაო, გიზომ, თუ ხარ, საერთოდ, ცოლის მთხოვნელი და თუ გლახად

არა ხარ დაბადებული, დღეს გამოჩნდებაო. მოკლედ, რაც შეიძლებოდა, დამოძღვრეს და დაანამუსეს, გაპარსეს, გამოაწყვეს და მიჰყავთ „ძალად სასიძო“ საპრასიაში. „ღმერთო, გადამარჩინე“ – ფიქრობს რაფიელი და მთელი გზა ჩუმად გაჰყურებს საღორიის მუხებს. ღმერთო, შეგცოდე და სძულს ახლა ფარმაცევტს თანშეზრდილი გიზო შავდიაც, „თვითონ სამი ბღარტი რომ აზის მხრებზე, ტელევიზორში ფეხბურთის საყურებლადაც რომ ვერ მოუცლია და იმდენად „გაეგოისტებულია“, ახლა ძმაკაციც უნდა შეაბას უღელში“, ბრალს სდებს უმცროს (ასევე ცოლ-შვილიან, რ. მ.) ძმას – დათუნას და გაუთხოვარ მამიდა ვარას; „ჟიგულის“ უკანა სავარძელში რომ მოკალათებულან და საპრასიის ვიზიტზე დიდ იმედს ამყარებენ. „არაფერი არ გამოგივათ“, ფიქრობს რაფიელი და გულში უხარია, რომ, გაფიქრებით მაინც, რაც უნდა იმის გაფიქრება შეუძლია.

დაამუხრუჭა თუ არა გიზომ, მწვანედ შეღებილი ჭიშკარი მოღლიავდა და პატარა ბიჭმა ჭიშკრის ორივე კარი ასფალტზე ენერგიულად რომ გააჩოჩ-გამოაჩოჩიალა, ხელები წითელ პერანგზე შეიხოცა და სამზადიდან ჩქარი ნაბიჯით გამოსულ ტარიელს შეაჩერდა.

– ეზოში შემოიყვანე, გიზო ბატონო, ეზოში! გამარჯობათ ჩემო ბატონო, – პირველ რიგში მამიდა ვარას ჩამოართვა ხელი მასპინძელმა.

– რავა რა უჭირს? – გიზომ მანქანის კარი ღია დატოვა – ბატონო ტარიელ, ეს ჩემი მეგობარი რაფიელ ზუმბაძე გახლავთ, მისი ძმა დავითი, ქალბატონ ვარას ქე იცნობთ, მგონი.

– ისე, შორიდან – გონგაძემ იხტიბარი არ გაიტეხა, თორემ გიზოს გარდა ყველას პირველად ხედავდა. – კი არაფერი უჭირს, მაგრამ მაინც ეზოში მირჩევნია. ბოვშები დარბიან, არაფერი მოიწიონ. სხვა, ხომ კარგად და მშვიდობით, გიზო ბატონო?

– რავა იქნები, გახურებული ასფალტის შემყურე ამ სიცხეში! – ქალაქელობას ხაზი გაუსვა გიზომ, მანქანა ეზოში მაინც არ შეიყვანა. – აქეთ ვიყავით ერთი კაი საქმეზე

და შემოვიარეთ. მე ვთქვი, ბატონი ტარიელის ჭიშკარს ჩუმად ვერ ჩავუვლითქვა. თქვენ რომ ქუთაისში ჩემს სახლთან ჩამოიაროთ, ასე არ იზამთ თქვენც?

– რა სათქმელია, აპა, მეტი რაი ვართ ადამიანები. რავარი გამახარე, ჩემო გიზო, – მასპინძელი ძვირფას სტუმრებს ეზოში ჩამოუძღვა, უშველებელ რკინისჩუქურთმებით დამშვენებულ მოაჯირიან კიბესთან მიიყვანა.

– ზევით ამობრძანდით, ჩემო ბატონო, ეგების ნარდით შეიქციოთ თავი.

– გმადლობთ, თქვენი ჭირიმე, აგერ ვიქნებით სუფთა ჰაერზე – რაფიელმა იცოდა, რას ნიშნავდა ზევით ასვლა, ოდაში მორცხვად თავდახრილ საპატარძლოს შეახვედრებდნენ და უნდოდა ეს უხერხული წუთები, რაც შეიძლებოდა, გადაევადებინა.

– ავალთ, ტარიელ ბატონო, აბა არ ავალთ? ჯერ პატარას თქვენს ლამაზ ეზოში გავივლით, მუხლს ქარს ამოვაღებინებთ. ჯდომის მეტს რას ვაკეთებთ ქალაქში.

– აბა, დაგტოვებთ, ერთწამს. ბოდიშს კი ვიხდი, – ტარიელი სამზადისკენ გაფაცურდა.

საპრასიაშიც საკმაოდ ცხელოდა. აგვისტოს ხვატი ოდნავღა გაენელებინა ხანისწყალიდან დარხეულ სიოს, შუა ეზოში გაბარჯღულ ცაცხვის ფოთლებს წაღმა-უკუღმა რომ აბრუნებდა და ამით ხეს ვერცხლისფრად ალაციცებდა.

ღობესშეყოლილი კიტრის ფოთლები სიცხეს ძირებთან შემოეხმო და ყვითლად დაბერილი ნაყოფი მოჩანდა, წვეროებში ჯერ კიდევ მწვანედ ბჟუტავდა მოჩვარულ-მოხუჭული ფოთოლი. არც სიმინდს ადგა კარგი დღე. გრძელი და ნატიფი მკლავები მოტეხილივით ჩამოეყარა და სიცოცხლის ნიშანწყალს იმითღა ამჟღავნებდა, რომ ტაროს წვერებზე ატმისფერი გრძელი „ულვაშები“ გადმოეშვა და ნიავის ქროლვისთვის აეყოლებინა.

ზურგზეხელებდაწყობილმა რაფიელმა ლაფაროში გაიარა და თვალი სამზადისკენ გააპარა.

სამზადში ორი შაოსანი ქალი ტრიალებდა, კერიასთან

ტარიელი იჯდა და შამფურზე წამოცმულ დედალს ატრიალებდა.

ნაჭაზე დაკიდებულ, გამურულ კარდალაში ღომი პარტყალებდა.

– შემობრძანდით, ბატონო. ბოდიშს ვიხდით, მიულაგებელი გვაქვს აქაურობა, – სტუმრის მზერა მეყვსეულად დაიჭირა ცომშიხელებწაყოფილმა, თეთრხილაბანდწაკრულმა, სანდომიანმა დედაკაცმა.

– უიმე, – შამფურს ხელი გაუშვა ტარიელმა და შემოტრიალდა – ამ წუთას გამოვალ, თქვენი ჭირიმე.

– არა ბატონო, რავა გეკადრებათ. ასე ყურება მიყვარს სამზადის. რავა მოისპო ჩვენთან სამზადი სახლის კულტურა. ქალაქში ხომ ვეღარ ნახავ, სოფელშიც აღარა აქვს ბევრს.

– კაი საშუალებაა ნამდვილად. ჯერ ერთი სუფთად ინახავს სახლს და მეორეც, გაზი ქე გვიდგია მაგერ, პირველ სართულზე, მარა მე და ჩემ ცოლს ასე, გლეხურად გვირჩევნია. რაღაცა, ცეცხლს უფრო ვიმხრობთ.

– მერე ცეცხლზე გაკეთებულს სხვა გემო აქვს, – მცირე პაუზის შემდეგ თქვა სასიძომ და კარებს მოშორდა, მაგრამ ამასობაში ტარიელმა ხელი წაიბანა და გამოუდგა.

კიბეზე რომ ადიოდნენ, მასპინძელმა გიზო შეაჩერა:

– რავა იტყვი, გიზო, ბატონო, ზევით გავაშლევინო სუფრა თუ...

– რატომ წუხდები, ჩემო ტარიელ, გასაჩერებლად კი არ მოვსულვართ. ამდენი დროც არ გვაქვს. ეგერ მივჯდეთ, ცაცხვის ძირში, აჯობებს ყველაფერს. სახლში ეცხელება რაც არ უნდა იყოს.

აივანზე თევზისფერკაბიანი, თეთრყირმიზა, ჩაქვირითებული ქალი გამოეგებათ. შორენას საპატარძლოსთვის ცოტა უჩვეულოდ, ეშმაკურად უციმციმებდა თვალები და ლამაზ ტუჩებზე მომდგარ ღიმილსაც ძლივს იოკებდა. ეტყობოდა, არც მისთვის იყო პირველი გადანახულებ-გადასინჯვის ცერემონიალი. სწორი თმა, მოკლეზე შეკრეჭილი, შავი მოშვილდული წარბები და თხელი, ლამაზნესტოებიანი ცხვი-

რი; ოდნავ შესქელებული მკლავებიღა ამჟღავნებდნენ, რომ შორენა ოცს კარგა ხნის გადაშორებული გახლდათ.

გაიცვნეს, მოიკითხეს ერთმანეთი, ცოტა ხანს ამინდზე წაისაუბრეს და მერე, როგორც გეგმით იყო გათვალისწინებული, სასტუმრო ოთახიდან შეუმჩნევლად გაიკრიფნენ, ქალვაჟი „გადამწყვეტი საუბრისთვის“ მარტონი დატოვეს.

„ქალის გაჩენას რა ვუთხარი მე, თვარა ამ ჯეირანივით გოგოს რა ჭირს ჩემი დასაწუნი. უნდა დავანებო თავი ამ მაიმუნობას. მეტს აღარ წამოვყვები აღარავის ქალის გადასასინჯად. ვიღაცა თავს გამიტეხავს. ცოლის მთხოველი მე არა ვარ და აწუხე ახლა ამდენი ხალხი. ოჯახში შედიხარ, რაც არ უნდა იყოს, მერე, დაწუნებული ქალიშვილის მამა, ისე თუ არ გაგრძნობია, გულში მაინც მტრად გეკიდება. არ მინდა ცოლითქვა გამოვაცხადებ და დამანებებენ თავს, აბა რა ჯანდაბა იქნება, მარა გიზოია გადარეულს შენ დააჯერებ? რა ვუთხრა, რა ველაპარაკო ახლა ამ პატიოსან გოგოს? ამდენი არტისტობის თავი მაქვს მეე?“ – ფიქრობდა ზუმბაძე.

შორენას იდაყვებზე ხელები შემოეწყო, კედელზე რემბრანდტის „ბალაამის ვირის“ რეპროდუქციას შეჰყურებდა და საუბრის დაწყებას ელოდებოდა.

– რომელ კლასებს ასწავლით? – ჰკითხა რაფიელმა ისე, სიტყვის მასალად, შორენაც მშვენივრად მიხვდა, რომ იმ საქმესთან, რა საქმისთვისაც ისინი მარტო დატოვეს, ამ შეკითხვას არავითარი კავშირი არა ჰქონდა.

– დაწყებითებს.

– ალბათ, ბავშვებს ძალიან უყვარხართ.

– არც უმაგისობაა. პატარებს ადვილია თავი შეაყვარო.

რაფიელს ენაზე მოადგა: დიდებისთვის თავის შეყვარება ცოტა ჭირსო, მაგრამ არ თქვა, ნამეტანი ქარაგმებით ლაპარაკი გამომივაო.

– სკოლა შორს გაქვთ? – „რას ჩავაცივდი ამ სკოლასო“, გაიფიქრა რაფიელმა, მაგრამ გვიანღა იყო.

– ქვევით, ცენტრშია, სადაც თქვენ ამოუხვიეთ, ხელმარჯვნივ.

– ფეხით დადიხართ?

– თუ ნაცნობი ვინმე არ წამომეწია, კი.

– ხშირად „წამოგეწევიან“ ხოლმე?

– საკმაოდ ხშირად. ამ სოფელში მარტო ჩემს ბიძაშვილს, ხუთი ჰყავს „ჟიგული“.

– გონგაძეების გარდა არავინ ცხოვრობს ამ უბანში?

– გონგაძეები ბევრი არა ვართ, სხვათა შორის რაჭიდან გახლავართ ჩვენ გადმოსულები. ისე, ძირითადი მაცხოვრებლები კოტრიკაძეები, ცერცვაძეები და სამხარაძეები არიან.

– აგაშენა ღმერთმა, – დამშვიდდა ფარმაცევტი. წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და ეზოში გადაიხედა.

ცაცხვის ძირას სუფრა იშლებოდა.

– რა ტყუილად შეგაწუხეთ დღეს.

– რას ბრძანებთ, სტუმარი ღვთისაა, – მაშინვე შეაგება შორენამ.

– გიზომ აიჩემა, თორემ მე არ ვარ ამის კაცი. არ მიყვარს ასეთი რამეები.

– რატომ? საჭიროა ხანდახან.

– რა არის საჭირო? – რაფიელი ფანჯარას თვალს არ აშორებდა.

– მისვლა-მოსვლა.

ზუმბაძე შემობრუნდა და ჩვეულებრივზე უფრო მკაფიოდ თქვა:

– შორენა, გულახდილად უნდა მოვილაპარაკოთ მე და შენ.

რაფიელის ნათქვამში კატეგორიულობას მუდარაც გაერია.

შორენა სმენად იქცა.

– ღირს ახლა ეს ყველაფერი? ხომ ხედავ, რა ხდება დედამიწაზე. ყველამ თავის თავს უნდა მიხედოს. რა დროის ბავშვების აკიდებაა. მოუვა ვიღაცა გადარეულს რაღაც თავში, დააჭერს ღილაკს ხელს და მეყოლე კარგად, შენი ბღარტებიან ჩიხტიკოპიანად.

– რამ შეგაშინა, შე კაცო, – სხვისი ხმით თქვა შორენამ.

– გიზოს თავისი პეპლები ჰყავს თავში. მე საღად ვუყურებ ცხოვრებას. მაშინ უნდა ავკვინტილებულიყავი და შემერთო

ცოლი, როცა ოცდახუთის ვიყავი, თვარა, ჩამოკონწიალება მინდა ახლა მეე? ისედაც ძლივს ვდგავარ ფეხზე. ორმოცს მალე გადავაბიჯებ, ხომ ხედავ, გაპუტულ ბატს მიგავს სახე.

შორენა სდუმდა.

– შენ შეგნებული გოგო ჩანხარ და სწორად უნდა გამიგო. არ ვარ მე ოჯახის კაცად გაჩენილი. არ შემიძლია ბოვშობია და წამლობია და აკვნობია და ნათესავობია. არ ვარ ბაზარში მორბენალი და რძის რიგში ჩამდგომი კაცი. არ ვარ და ძალაა? არ დამბადა ამ საქმისთვის გამჩენმა.

– მერე? ვინ გაძალებს? – განზე გაიხედა ქალმა.

– ვინ მაძალებს? შემჭამეს ოჯახში. იმ მამიდაჩემ ვარას რომ უყურებ, ღვთის პირიდან გადავარდნილია. თვითონ არ გათხოვდა, ქეა გალოკილი თითივით, დეიკვანწება მარტოდმარტო და მიშრობს სისხლს. სახლში შესვლა მეზარება. ეს ჩემი შტერი ძმაა და, მე მრცხვენია ქალაქში გამოსვლა შენ მაგივრად, უცოლოდ რომ ბერდებიო. რა არი, თუ ქალი ხარ, სასირცხვილო? რავა, ყველა კი არ გაუჩენია ღმერთს საოჯახოდ.

– მართალია.

რაფიელს იმედი მიეცა. სკამი შორენასთან ახლოს მიაჩოჩა და უფრო ენერგიულად ალაპარაკდა.

– ანგელოზივით გოგო ხარ, რა გაქვს ჩემი დასაწუნი, მარა არ მოხდება ეს ჩვენი საქმე. შენს ადგილზე მარიამ ღვთიშობელიც რომ იყოს, არ მინდა. არ ვარ ცოლის შემრთველი, მე, საერთოდ. შენ გგონია ჩემი ნებით მოვედი? გიზოია დამთხვეულმა ძალით შემტენა მანქანაში. ახლა მე რომ უარი ვთქვა, ვიცი მაგისი ოფოფები – თავს გამიტეხავს. შენ უნდა მიშველო.

– რა უნდა ვქნა? რაც არ გინდა, ღმერთმა ნუ მოგცეს, – იდუმალი ხმით თქვა შორენამ.

– შენ გიშველა ღმერთმა. აი, მესმის შეგნებული გოგო. შენ უნდა თქვა უარი ჩემზე. ისედაც ასე აჯობებს, რად გინდა, ჩემი დაწუნებულის სახელი გქონდეს. შენ უნდა თქვა; არ მომეწონა, ღობის სარს წავყვები და მაგას არათქო. რაც შეი-

ძლება შორს დამიჭირე. ცოლის შემრთველიც რომ ვიყო, ისე-დაც არ ვარ შენი ღირსი მე. არ გამოვდგები ოჯახში. ერთხელ დავურწიე აკვანი ჩემს ძმიშვილს და თავბრუ დამესხა. გლახა რომ დეიბადება ადამიანიშვილი, ნაკლები რომ გამოვა, ისე ვარ სწორედ.

– კი ბატონო, მაგაზე ადვილი რა არი. – როგორც წელან შეხვედრის დროს, ისე ათამაშდნენ შორენას თვალებში ეშმაკე-ბი და რაფიელი ვერ მიხვდა, სიბრალულ-თანაგრძნობის იყო ეს ღიმილი, თუ გონგაძის ქალი ცოტას დასცინოდა კიდეც.

– მე ვიტყვი, მომეწონა-მეთქი და შენ სასტიკი ვარი დაარტყი. სახვეწი და საღრიჭინო არ დაუტოვო არავის. გადაწყვეტილად თქვი; არ მინდა, მორჩა და გათავდათქო. მაგათ ჩემი სიკვდილი უნდათ, მგონია. რაღა დროის ჩემი ცო-ლია, ღამე ძილი არ მივარგა. მე მგონია, ავადმყოფიც უნდა ვიყო. ექიმთან ვარ მისასვლელი, მარცხენა თირკმელა ყრუდ მტკივა და, მგონი, ნაღვლის ბუშტიც ამოსაჭრელი მაქვს.

– ნუ მოიკლავ ახლა თავს.

– მართლა გეუბნები, რა მაქვს მოსატყუარი, – გულთან ორივე ხელი მიიტანა – არ დამღუპო, შორენა. კატეგორიული უარი უნდა მტკიცო. შეგნებული გოგო ხარ შენ.

შორენამ გაიღიმა, რემბრანდტის ნახატს თვალი მოაცილა და რაფიელი ერთხელ კიდევ აათვალიერ-ჩაათვალიერა:

– რას მევაჭრები, შე კაცო. ისედაც მასე თქმას ვაპირებდი, რომც არ გეთხოვა შენ.

ფარმაცევტი წამოხტა და ქალიშვილს ხელზე აკოცა.

– აგაშენა ღმერთმა.

გიზო ორი ნახტომით კიბესთან გაჩნდა. შორენა წინ გაატა-რა და რაფიელს მკლავში სტაცა ხელი.

– რა ქენი?

– მომათქმევინე სული, რას მეცი კაპუეტივით?.. – განზე გაიწია ზუმბაძემ.

– არ მითხრა, არ მომეწონაო, თვარა შემოვიხევ ტანზე ყველაფერს. – კბილებში, მტკიცე გადაწყვეტილებით, გამო-ცრა გიზომ.

დამფრთხალმა სასიძომ ერთხანს უყურა და რა ირწმუნა, შავდია არ ხუმრობსო. დინჯად თქვა:

– რა აქვს ჩემი დასაწუნი, მარა...

– რა მარა?!

– არ ეკითხები, შე გადარეულო, იმ გოგოს? შენ გგონია ის ტაშისკვრით წამომყვება?

– მაგას ვნახავთ, – შავდია ლამის ჩამოფრინდა კიბიდან და ცაცხვისკენ გაბადრული წამოასკინკილდა.

...თამადას, ტარიელ გონგაძეს, წინაპრების სადღეგრძელო უნდა შეესვა, რომ გიზომ სიტყვა ითხოვა.

– მაპატიეთ ძვირფასებო. დასამალი და მისაკიბ-მოსაკიბი არაფერია. უცხო არავინ გვიზის სუფრაზე. ყველამ კარგად იცის, რა საქმეზეც მოვედით დღეს აქანა. დღესვე უნდა გადაწყდეს, ან ისე, ან ასე. გადადებული საქმე ეშმაკისაა. აგერ ზის ჩემი რაფიელი და აგერაა საყვარელი შორენაც. შეიძლება ვჩქარობ, მაგრამ მე პირდაპირი კაცი ვარ. ამ პურმარილის მადლი გაუწყრეს, ვისაც სიკეთის გარდა სხვა ედოს გულში. გეკითხები მე შენ, რაფიელ, არც მთვრალი ხარ და არაფერი, მოგწონს ეს გოგო?

რაფიელმა მიიხედ-მოიხედა და თავჩამოგდებით ამოღერღა:

– კი.

– შეირთავ ცოლად?

– კი ბატონო, მარა ვთქვი მისი არ იყოს, თვითონ მომყვება?

მამიდა ვარას ცრემლი ედგა თვალებში.

– ახლა შენ გეკითხები, ჩემო დაიკო. აგერ არიან შენი მშობლები და აგერ ვართ ჩვენც. გახედ-გამოხედე საქმეს და პირდაპირ გვითხარი: მოგწონს ეს კაცი? ძალას არავინ გატანს, გადასადები არაა ეგ საქმე. მოგწონს, გაყვები ცოლად?

სუფრაზე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

შორენამ ოხრახუშს ფოთოლი შეაწყვიტა და თითებით დაატრიალა, მერე გიზოს შეხედა, გაიღიმა, ამოისუნთქა და რამდენადაც მოუხერხდა, თამამად თქვა:

– კი.

მეხის გავარდნად ჩაესმა რაფიელს ქალის პასუხი. მიხვდა, რომ გაწირეს, შუბლი დაეცვარა, გულმა ბაგა-ბუგი ასტეხა, ყურებში შუილი იგრძნო.

ულოცავდნენ, ეხვეოდნენ, გიზო შავდია ნეფე-დედოფლის სადღეგრძელოს სვამდა. ფარმაცევტს უკვე აღარ შეეძლო სიხარულის იმ ნიაღვარის შეკავება. დაბნეული წამოდგა, შორენასთან მივიდა, მხარზე ხელი გადაადო და ყურებში უჩურჩულა.

- ესაა შეგნებული ვარო? მეტი ვერ უნდა გენდოს კაცი, შე ქალო?

შორენამ ხელზე-ხელი მოუთათუნა და ამ ქვეყნად ყველაზე ბედნიერი ქალის ღიმილით გაუღიმა.

...ქორწინების დღედ 1984 წლის 8 სექტემბერი, შაბათი, დათქვეს.

ასაკუსა

დილიდანვე მარჯვენა თვალი უპარპალებდა.

თვალის პარპალმა გამთენიისას გამოაღვიძა. საათს შეხედა, შვიდიც არ იყო. საბანი თავზე წაიხურა და კედლისკენ გადაბრუნდა, იქნებ ჩამეძინოსო. ამაოდ.

რაც უფრო მონდომებით ცდილობდა დაძინებას, მით უფრო ფხიზლდებოდა. ძილის ბურუსიდან გონება გამალებით გადმოდიოდა სიცხადეში, სადაც ერთმანეთში ირეოდნენ იაპონიის დედაქალაქის ბრჭყვიალა რეკლამები, ორსართულიანი ესტაკადები, აბრეშუმივით ნაზი და უხმაურო მასპინძლები. ყოველ ფეხის ნაბიჯზე თავაზიანი „მოსი, მოსი“ („მოსი, მოსი“ – გისმენთ გისმენთ.) და სამშობლოს მონატრება – ყველა გრძნობაზე უფრო ძლიერი.

მაინც არ მეძინება, ცოტას წავივარჯიშებო. კიმანო საწოლზე მოისროლა, ტყავის ქოშებში ფეხი წაჰყო და აბაზანაში შეტყაპუნდა. სარკეს ენა გამოუყო და დიდხანს აკვირდებოდა. „ეხლა მაინც რა სიკვდილმა გამითეთრა ენა. გუშინ მაინც არ მიჭამია ლოკოკინას სალათა“. ჭიქას სტერილიზების ქაღალდი შემოახია. ონკანს შეუშვირა და ქლორისგან აყროლებული წყალი პირში ჩაიგუბა. ყელში ააბუჟბუჟა და გადმოღვარა.

მერე ონკანს პეშვი შეუშვირა და მარჯვენა თვალი კარგა ხანს აპაჭუნა წყალში.

პარპალმა არა და არ გაუარა.

ტელეფონი აწკარუნდა.

– გისმენთ ქალბატონო ელეონორა.

სხვა ვინ უნდა ყოფილიყო.

ერთგული მამალივით ელეონორა აღვიძებდა ყოველ დილით. ეს ქალი დელეგაციას ყვავეთიდან გამოაყოლეს, თქვენი თარჯიმანი იქნებაო. ელეონორამ იაპონური, ალბათ, კარგად

იცოდა და შესახედავადაც ურიგო დედაკაცი როდი იყო. მაგრამ გერასიმეს გულს ურევდა ამ ქალის ხაზგასმული ოფიციალურობა, აქაოდა, იაპონური ვიციო, თვითდაჯერებული ტონი და თავის თავზე ზოგჯერ ისეთი ფუნქციების აღება, რომელიც უწყინარი თარჯიმნის როლს შორს სცილდებოდა.

ოფიციალურ ქაღალდებში ეწერა, რომ ფარმაცევტთა დელეგაციაში, რომელიც ფარმაცევტთა საერთაშორისო ასოციაციის იაპონიის განყოფილების მოწვევით ამ ქვეყანაში ორი კვირით მიემგზავრებოდა, მხოლოდ ორი წევრი იყო – ვასილ ფლიევი და გერასიმე ფაღავა. ელეონორა დელეგაციის წევრი არც კი გახლდათ და მისი მდგომარეობით შეხვედრების დროს დაბალი რანგის ჩინოვნიკის სტატუსს უნდა დასჯერებოდა, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, ელეონორა ტოკიოში ჩასვლის პირველი საათებიდანვე ისე ენერგიულად მოქმედებდა, რომ აშკარად ცდილობდა ეს ორი დამსახურებული ფარმაცევტი თავის ჭკუაზე ეტარებინა და, თქვენ როგორ ფიქრობთ, მისი შენიღბული სითამამით და იდუმალი თვითდაჯერებით ახერხებდა კიდეც.

ვასილი პირველი დღიდანვე შეურიგდა ამ ამბავს, გერასიმე კი ვერა და ვერა. ვასილს არა მარტო დამყოლი ხასიათი ჰქონდა, ეტყობა, თავმოყვარეობითაც ვერ დაიკვეხნიდა, ხოლო თავმოყვარეობის სისუსტე და რბილი ხასიათი კი, მოგეხსენებათ მისწრებაა ვასილისა და გერასიმეს მდგომარეობაში მყოფ სტუმართათვის. ამ (და სხვა მიზეზთა გამოც) ვასილი და ელეონორა დამეგობრდნენ, გერასიმე კი მარტო დარჩა.

ტოკიოში ჩასვლის მეორე დღიდანვე დაიწყეს პუტუნი და ბოლომდე შესვენებითაც არ შეუსვენიათ. ლაპარაკობდნენ გაუთავებლად; მეტროს ესკალატორზე, ტაქსში, ფარმაცევტული საზოგადოების სხდომებზე, ოფიციალურ თუ არაოფიციალურ ბანკეტებზე. თითქოსდა ირგვლივ ვერვის ამჩნევდნენ. მოკალათდებოდნენ გვერდიგვერდ და ნახევარი ყბით ჩურჩულებდნენ, ვასილი მთლიანად ჩართული გახლდათ ამ დიალოგში, ელეონორა კი თავის „მთავარ“ საქმესაც ასწრებ-

და. დელეგაციას წარუდგენდა მასპინძლებს, პათეტიკურ სიტყვას წარმოსთქვამდა, იატაკის ბრტყელ ბალიშზე მოკალთდებოდა და კვლავ ვასილს მიუბრუნდებოდა. ზრდილობიანი იაპონელები, აქაოდა თარჯიმანი არ შევაწუხოთო, ან საერთოდ არაფერს ამბობდნენ, ან დამტვრეული ინგლისურით და მიმიკებით (გერასიმეს ეს უკანასკნელი, პირველყოფილი ენა უფრო ესმოდა) აგებინებდნენ ქართველ ფარმაცევტებს, რომ მოხარული იყვნენ მისი სტუმრობით და გაისადაც თუ მოძებნიდა დროს ამომავალი მზის ქვეყანაში ჩამოსასვლელად, ურიგო როდი იქნებოდა.

– იცით რა, თქვენ რომ გუშინ ასაკუსას დათვალიერება გსურდათ დამირეკეს, თხუთმეტ წუთში გოგონა მოვა და გაგყვებათ ხომ არ გადაიფიქრეთ?

გუშინ შუადღისას ერთი ღონიერი ფარმაცევტული ფირმის პრეზიდენტს შეხვდნენ. აუდიენცია რომ დამთავრდა, ქუჩაში გაიარეს. სადილამდე ნახევარი საათი რჩებოდა. გერასიმემ ჩასახვევში, მარჯვნივ უზარმაზარ ტაძარს ჰკიდა თვალი და შეჩერდა. ფარმაცევტს სიძველენი აინტერესებდა და სანამ იკითხავდა, იაპონელებმა დაასწრეს: ეს ასაკუსაა, ბუდისტური ტაძარი მეთოთხმეტე საუკუნისა, ტოკიოში ოცამდე ასეთი ტაძარიაო.

თუ შეიძლება ახლოს მისვლაო, მოკრძალებით შეაჩერდა გერასიმე მასპინძლებს, მაგრამ მაშინვე ინანა, ელეონორამ ყოველგვარი თათბირის გარეშე მოუჭრა: ახლა რესტორანში მივდივართ, ბატონო გერასიმე, რა დროს ექსკურსიაა, და საერთოდ, გთხოვთ ჩემს ფუნქციებში ნუ ჩაერევით, ხომ იცით, აქ ყოველი წუთი განსაზღვრულიაო.

ფირმის წარმომადგენელმა შეატყო, რომ დელეგაციის წევრსა და თარჯიმანს შორის უსიამოვნო საუბარი ასაკუსას გამო შედგა და ელეონორას მიმართა: თუ ბატონ ფარმაცევტს ტაძართან უფრო ახლოს მისვლა სურს, ადვილი საქმეაო, მაგრამ ელეონორა რისი ელეონორა იქნებოდა, უკან რომ დაეხია. გერასიმემ, რასაკვირველია, უცხო ენები არ იცოდა, ხოლო იაპონურში სხვა უცხო ენებზე უფრო სუსტად ერკ-

ვეოდა, მაგრამ ალღოთი და მიმიკით ყველაფერს მიხვდა. და აი, ეტყობა, გულისხმიერ მასპინძლებს სურთ დღეს მაინც აჩვენონ ასაკუსა.

– თავისთავად გადაფიქრებული არ არის? ახლა რაღას მოვასწრებთ, ქალბატონო ელეონორა.

– უარს ვეტყოდი, რომ მცოდნოდა, – ჩაიკვნეს-ჩაისინანულა თარჯიმანმა.

– რომელზე უნდა გავიდეთ ჩვენ? – გერამ იცოდა, რომ სასტუმროდან პირველზე უნდა გასულიყვნენ, მაგრამ ისე, სიტყვის მასალად იკითხა.

– პირველზე, ორზე აეროპორტში უნდა ვიყოთ.

დელეგაციას ბარგი უკვე შეკრული ჰქონდა. სამ საათზე „ნარიტას“ საერთაშორისო აეროპორტიდან აფრინდებოდა თვითმფრინავი და კურსს სამშობლოსაკენ აიღებდა.

– უნდა გეთქვათ, გუშინ აინტერესებდა, დღეს აღარ აინტერესებს-თქო, ისედაც ამდენს ვაწუხებთ ამ ხალხს.

– რომ არ გაყვეთ, უარესად შეწუხდებიან. მეტროთი წახვალთ და მოასწრებთ, უხერხულია. გასწიე-გამოსწიე ორი საათი გეყოფათ. ნახევარი საათის გზაა მეტროთი. პირველს რომ თხუთმეტი დააკლდება, ფოიეში დაგელოდებით. მოემზადეთ, სადაცაა გამოჩნდება ის გოგო.

– რომელი გოგო? – გულუბრყვილოდ ჰკითხა გერასიმემ. თითქოსდა მისთვის სულერთი არ იყო, რომელი გოგო მიაცილებდა ტოკიოს ბუდისტური ტაძრის – ასაკუსას სანახავად.

გაიპარსა, შხაპი გადაივლო, გამოეწყო და დერეფანში გამოვიდა.

„ალბათ ეს არის“, – გაიფიქრა გერასიმემ, როცა გვერდით ტანმომცრო იაპონელმა გოგონამ ტკაპატკუპით ჩაუარა და ელეონორას ნომრის კარებზე ფრთხილად დააკაკუნა.

რამდენიმე წუთში ფარმაცევტი და იაპონელი გიდი არცთუ მთლად ფეხაწყობილად გარბოდნენ გინზაზე (გინზა – ტოკიოს ერთ-ერთი მთავარი ქუჩა).

მაღალი, მოუხეშავი გერასიმე დაღლილი მარათონელივით ქელავდა, მაჯაზე გამობმულ ხელჩანთას მიიქნევდა, მარჯვე-

ნათი ხალხს მიარღვევდა და ცდილობდა გოგონას არ ჩამორ-ჩენოდა.

გოგონა კი პროპორციულად ტანმორჩილი გახლდათ და სიარულის დროს მუხლებს ერთმანეთს უხახუნებდა. ისე საყ-ვარლად მიაბიჯებდა ტანის რხევითა და პატარა ნაბიჯებით, როგორც მარტო მომხიბვლელ იაპონელ ქალებს ძალუძთ. საყველპურო რუსულს ახერხებდა და წელან მეტროს ესკა-ლატორზე რომ იდგნენ, გერასიმემ უკვე მოასწრო მის ლამაზ გამყოლზე ზოგი რამ გაეგო; გოგონას მიცუკი ერქვა. უნივერ-სიტეტის მესამე კურსის სტუდენტი იყო. მშობლები კიოტოში ცხოვრობდნენ, თვით კი რუსულ ენაში წასავარჯიშებლად და, რა დასამალია, ეკონომიური მოსაზრებითაც, თავს ნებას აძლევდა გამოსაძახებელი თარჯიმნის სამსახური შეეთავა-ზებინა საბჭოთა კავშირთან საქმიან ურთიერთობაში ჩაბმუ-ლი იაპონური ფირმებისათვის. გერასიმეს შეკითხვაზე ჯერ გაიღიმებდა, მერე გულზე ახუტებული ჩანთიდან მინიატუ-რულ ლექსიკონს დააძრობდა, სიტყვებს ერთხელ კიდევ დაა-ზუსტებდა და პასუხს უსათუოდ მობოდიშებას მოაყოლებდა. გერასიმე წამდაუწუმ ამხნევებდა, რა გაქვთ საბოდიშო, მშ-ვენივრად ლაპარაკობთო, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ მიცუ-კის თავაზიანი ფარმაცევტის ქათინაური არ სჯეროდა.

გინზას ბოლოში რომ გავიდნენ, მიცუკიმ ავტობუსების განრიგის მაჩვენებელ ელექტროტაბლოსთან მიირბინა, კარ-გა ხანს ათამაშა თითები მწვანედ განათებულ ღილაკებზე, ეტყობოდა ასაკუსას ახლომახლო გაჩერება ვერ აღმოაჩი-ნა, მოწყენილი სახით გამობრუნდა, გერასიმეს სთხოვა, აქ დამიცადეთო, მოედნის შუაგულში მდგარ პოლიციელთან მიირბინა. პოლიციელმა ერთი მოუხედა და ზურგი უჩვენა. მიცუკი ერთგულად უხსნიდა რაღაცას, მაგრამ პოლიციელი მისკენ არ შემობრუნებულა. გოგონა თეძოების ნაზი რხევით (თითქოს იაპონური მულტფილმების მზეთუნახავ თოჯინებს აჯავრებსო) ისევ მონარნარდა გერასიმესთან, კიბეზე ჩაი-მუხლა და ტოკიოს ქუჩების სქემა დააძრო. ორივენი გულ-დასმით დასცქეროდნენ სქემას.

– ჩვენ სად ვართ ახლა, მიცუკი? – ჰკითხა გერასიმემ.

– აქ, – სქემას ფანქარი დაადო გოგონამ.

– შენ ხარ ჩემი ბატონი, ასაკუსა?

– აქ, – სქემის მეორე მხარეს, ქალაქის განაპირას, წრე შემოხაზა მიცუკიმ.

– შენ ეს მითხარი, რა ქუჩაზეა ასაკუსა?

– ტოკიოში ქუჩებს სახელი არა აქვთ, – მიცუკის დაღლილი ღიმილი ჰქონდა.

– აპა?

– აქ ქუჩები დანომრილია, მარტო გინზას ჰქვია გინზა. მთავარი ქუჩაა და იმიტომ.

– ორმოცდამეჩვიდმეტეზე.

– მერე? რა გვიშლის ხელს?

– არაფერი, პოლიციელს ვკითხე, რა ტრანსპორტით უფრო ჩქარა მივალ-მეთქი და ხმა არ გამცა.

– რა მინდაო?

– ლაპარაკი არ შეუძლია, ნება არა აქვს. მოძრაობას არეგულირებს.

– მერე? ჩვენც ისეთი პოლიციელი მოვძებნოთ, ვისაც გზადაბნეული მოქალაქისთვის გზის ჩვენება ევალება.

თითქოს დიდ ჭეშმარიტებას ეზიარაო, მიცუკიმ მადლობის ნიშნად გაუღიმა, სქემა დაკეცა, ჩანთაში ჩაჩურთა და ტროტუარს აღმა აუყვა.

კარგა ხანს ეძებეს პოლიციელი, მაგრამ განსხვავებით სხვა კაპიტალისტური ქვეყნებისაგან (პოლიციელები ყოველ ფეხის ნაბიჯზე თვალში რომ გეჩხირებიან) ტოკიოში წესრიგის დამცველი იოლი საპოვნი როდი აღმოჩნდა.

შადრევანთან მოიხელთეს შავქუდიანი მოხელე და ორივენი ჯიქურ მიადგნენ. – ჰაი დოზო („ჰაი დოზო“ – გეთაყვა) – სული არ მოათქმევინა მიცუკიმ.

– ჰაი, ჰაი („ჰაი, ჰაი“ – დიახ, დიახ.) – ქუდთან ხელი მიიტანა ახალგაზრდა, მეჩხერკბილება პოლიციელმა.

მიცუკი დიდხანს უხსნიდა თავის გასაჭირს, სქემაც დააძრო, ზედ დახატული ასაკუსაც უჩვენა, მაგრამ იაპონელი

ქალიშვილის ნაღვლიან კილოზე ხვდებოდა გერასიმე, რომ პოლიციელმა გიდს სანუგეშო ვერა უთხრა რა.

ის იყო მიცუკიმ გულიდან ამოსული არიგატო („არიგატო“ – გმადლობთ.) დაუტოვა სახელმწიფოს გუშაგს და ტანჯული სახით გამოტრიალდა, რომ პოლიციელი დაედევნა და აღტაცებული სახით რაღაც ჩაუიაპონურა.

გახარებულმა მიცუკიმ კვლავ დააძრო სქემა და ისინი შადრევანის გასწვრივ, კედელთან, პრეზიდენტის სურათის ქვეშ ჩამოსხდნენ.

– ჰაი, ჰაი... ჰაი... ჰაი... ჰაი, ჰაი, – წამდაუწუმ იმეორებდა გოგონა და ბოლოს, როგორც იქნა, დააღწია თავი გულისხმიერ პოლიციელს. ქუჩა გადმოჭრეს და კიბეს ჩაუყვნენ თუ არა, პოლიციელი ისევ წამოეწიათ, ერთხელ კიდევ გააშლევინა მან მიცუკის სქემა და ერთხელ კიდევ სუფთა იაპონურით განუმარტა, როგორ უნდა მისულიყვნენ ასაკუსამდე.

ათიოდე წუთის შემდეგ ისინი მეტროს მატარებელში ისხდნენ. მიცუკი კვლავ მუხლებზე გაშლილ სქემას დაჩერებოდა, ფანჯარას მიჭიჭინებული გერასიმე კი მეტროს ყოველ სადგურზე შემოგებებულ პლაკატს (პლაკატზე მატარებლის სავარძელში ღრმად ჩაძინებული მაიმუნი ეხატა) შეავლებდა თვალს და მერე რეკლამების გასწვრივ მდუმარედ ჩამწკრივებულ იაპონელებს გახედავდა.

ფარმაცევტს, რა დაგიმალოთ და შურდა იმ კაფანდარა ათასებისა, მეტროს ესკალატორს აღმა-დაღმა რომ დაუყვებოდნენ და მშვენივრად იცოდნენ, საით მიდიოდნენ და რა საქმეზე.

საათზე დაიხედა. თერთმეტის ნახევარი იყო.

– ისე, ჩვენ შორის დარჩეს და თუ ასე შორს არის, აუცილებელი კი არაა, კაცმა რომ თქვას, ასაკუსას ნახვა. იქნებ მეორედ ჩამოსვლისთვის გადაგვედო? – შეაპარა გიდს გერასიმემ.

მიცუკიმ შეძრწუნებული სახით მოიხედა.

– არა, არა, გერასიმე სან („სან“ – იაპ. მიმართვის ფორმა, „ბატონო“). შორს არ არის, ჩვენ უბრალოდ გზა დაგვებნა. სხვა სადგურით უნდა წავსულიყავით. მე თვითონ იქ არასოდეს ვყოფილვარ, ხომ მაპატიებთ?

გერასიმე ხელის ზურგზე მოეფერა ისედაც შეწუხებულ გოგოს და რაც მოუხერხდა, ალერსიანად უთხრა:

– რა სათქმელია.

კიდევ ერთი „მძინარე მაიმუნი“ გაიარეს და მატარებლიდან ჩამოვიდნენ.

გრძელი დერეფანი გაირბინეს და ბილეთების „სასხლავით“ ხელში მდგარ მეტროს მორიგესთან მივიდნენ, გაირკვა, რომ ერთი სადგურით ადრე ჩამოსულან. ეს „ხურაის“ ძველი სადგურია, თქვენ კი ბილეთი ახალ „ხურაიმდე“ გაქვთო.

უკან გამოუყვნენ რეკლამებით აყვირებულ გრძელ დერეფანს.

როგორც იქნა ამოაღწიეს მიწის ზემოთ.

გზაჯვარედინთან მარჯვნივ აუხვიეს. სკვერი გადაჭრეს და ცირკის აფიშებთან პატარა მოედანს მიადგნენ.

მიცუკიმ კვლავ მიირბინა ელექტროტაბლოსთან. კვლავ ათამაშა თითები კლავიშებზე, მერე აცრემლებული სახით გვერდით მდგომ ქალს რაღაც ჰკითხა და ორი წუთის შემდეგ მიცუკის ირგვლივ გულჩვილი იაპონელების წრე რომ შეიკრა, გერასიმეს გულმა რეჩხი უყო. ჩანდა, მიცუკი კიდევ ერთხელ დაიბნა.

უყურა, უყურა გერასიმემ და რაკი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ კოლექტიური გზის სწავლება კარგს არას უქადდა (მიცუკის ირგვლივ ცნობისმოყვარე მოქალაქეთა რიცხვი სწრაფად იზრდებოდა და შეიძლებოდა გულშემატკივართა თათბირი მიტინგში გადაზრდილიყო) გოგონას ხელი დაავლო და წრეს გამოარიდა.

მიწისქვეშა გადასასვლელში რომ ჩადიოდნენ, გერასიმემ მოიხედა, მოქალაქენი ისევ იქ იდგნენ და კამათობდნენ.

კიბესთან სული მოითქვეს. მიცუკიმ ისევ დააძრო სქემა, ავტომატურ ფეხსაცმელსაწმენდს ჩამოაფარა, ორივე ხელი საფეთქელზე მიიდო და დააცქერდა.

– დაწყნარდი, მიცუკი, რა ვუყოთ, ხდება. ახლა თორმეტის ნახევარია. დრო ცოტა რჩება, გავბრუნდეთ – დაიწყო გერასიმემ.

– ასაკუსა? – გოგონას ირიბად გაჭრილ თვალებში სასოწარკვეთა ჩადგომოდა.

– მე ვიტყვი, დავათვალიერეთ-მეთქი. ძალიან მომეწონა-მეთქი. დავანებოთ თავის ასაკუსას. ტაქსში ჩავჯდეთ და უკან გავბრუნდეთ. დამიჯერე. ასე აჯობებს საქმისთვის.

გოგონამ მთლად კარგად ვერ გაიგო, რას ნიშნავდა – „მე ვიტყვი; დავათვალიერეთ-მეთქი“. მაგრამ მეათასედ დაიხედა საათზე. სქემა არც კი დაუკეცავს, გერასიმეს ხელი ჩაავლო და ყვითელთაღიან ჭიშკარში შეარბენინა.

ჭიშკარი გაიარეს, ესკალატორით ქვედა ქუჩაზე ჩავიდნენ და ბამბუკის ჯიხურში ჭოტივით მობუზულ ქალს მიადგნენ.

მიცუკი წამდაუწუმ საათზე იხედებოდა და რაღაცას ეევედრებოდა, ჭოტი-მორიგე კი მშვიდად პასუხობდა და წინ მდგარ მიკროფონს ნიადაგ ერთსა და იმავეს ჩასძახოდა.

მიცუკიმ გერასიმეს ხელი გამოსდო, მარცხნივ გაარბენინა და კვლავ ესკალატორზე შეაყენა.

– რა მინდაო? – ჰკითხა ფარმაცევტმა.

გოგონამ გამშრალი ტუჩები ააცმაცუნა:

– ტაქსით დაგაგვიანდებათო. ახლა პიკის საათი იწყება. კვლავ მეტროთი უნდა წავიდეთ.

– წავიდეთ მერე, რა გვიშლის ხელს.

– არაფერი. ახლავე მეტროს სადგურს ვიპოვი. თქვენ აქ მომიცადეთ...

მაგრამ გერასიმეს მოცდის თავი აღარ ჰქონდა. იგი ფეხდაფეხ კი არ მიჰყვებოდა, ზოგჯერ წინ უსწრებდა თავის გიდს. ერთი-ორჯერ ხელიც კი ჩაავლო და წითელ შუქზე გადაარბენინა. გიდი მთლად მოეშვა. იგი მორჩილად მიჰყვებოდა ფარმაცევტს და ტირილით ბოდიშს იხდიდა.

მესამეჯერ სხვადასხვა მხრიდან ერთსა და იმავე, ჟან გაბენის ვეებერთელა სურათიან მოედანს რომ მიადგნენ, გერასიმემაც დაკარგა გზაკვალი.

მიცუკი ტროტუარზე ჩამოჯდა. სქემა ამოიღო და ქვითინი აუტყდა.

პირველს ოცი წუთი აკლდა. დრო ელვის სისწრაფით გარბოდა.

გიდი ტუჩებსა და თითებს იკვნეტდა. სქემას აფრიალებდა და გამვლელებს ისეთი ხმით დასძახოდა, რომ მოქალაქენი ჩერდებოდნენ და სხვა რომ არაფერი შეეძლოთ, უსიტყვო თანაგრძნობას იქვე დგომით გამოხატავდნენ.

ვიღაცამ ქაღალდი ამოიღო და მოქალაქეთა ხელმოწერის შეგროვებას შეუდგა. გერასიმე მიხვდა, გამვლელთა მოწმეობა მიცუკის გიდური რეპუტაციის გადასარჩენად იყო საჭირო.

ფარმაცევტმა მხნეობა მოიკრიბა და აკანკალებული სტუდენტი ლამის ძალით დასვა ტროტუარზე.

– დაჯექი აქ, მე შენ გელაპარაკები. რა მოხდა, შე ქალო, დაიქცა ქვეყანა? ადამიანის ფერი აღარ გადევს. შენ თუ მოკვდი, რაღად გინდა რამე. ასე გადარევა გამიგონია? ვის არ აქცევია მხარი. მოიწმინდე ცრემლი და გაშალე ეგ დასაწვავი სქემა. რა მოედანზე ვართ ჩვენ ახლა?

სქემის გაშლა აღარ დაჭირდათ. პოლიციელმა წრე გაარღვია, მიცუკის და გერასიმეს შუაში ჩადგა, ორთავეს ხელკავი გამოსდო და ყვითელი მანქანისკენ წაიყვანა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენი მგზავრები პოლიციის მანქანით მიქროდნენ ტოკიოს ქუჩებში. მძღოლი სირენას აყვირებდა, მაგრამ ქალაქის უსაშველო პიკთან ვერას ხდებოდა. ყვითელი „ტოიოტა“ წამდაუწუმ ჩერდებოდა და ფანჯარაში თავგაყოფილ პოლიციელს ყვირილით უხდებოდა თავის კოლეგებთან ურთიერთობის გარკვევა.

მიცუკი სავარძელში მისვენებულიყო და დატუქსვის შემდეგ მოფერებული ბავშვივით სლუკუნებდა.

გერასიმეს გულმუცელი ეწვოდა, მაგრამ გარეგნულად არაფერს იმჩნევდა. მანქანის ფანჯრიდან მოჩვენებითი გულგრილობით შესცქეროდა ხელჩანთიან, კოპწია იაპონელებს, პირზე ღიმილით და პაკიპუკით რომ მიიჩქაროდნენ თავიანთ იაპონურ საქმეებზე.

„ნარიტას“ აეროპორტში რომ მივიდნენ, „ილ-64“ – მარშრუტით ტოკიო-მოსკოვი თხუთმეტი წუთის გაფრენილი იყო.

გერასიმე ფაღავამ აეროპორტის თანამშრომლებს და სხვა დაინტერესებულ პირთ განუცხადა, რომ დააგვიანდა ფრი-

ად სერიოზული მიზეზის გამო, ასაკუსას დათვალიერებისას გული ცუდად გაუხდა და სიარული ვეღარ შეძლო.

წერილობით ჩვენებაში, რომელიც ოფიციალურ პირთა თანხმობით რუსულად დაწერა, იგი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ გულისხმიერ იაპონელ გოგონას – მიცუკის მის დაგვიანებაში ბრალი არ მიუძღოდა. გიდმა დროის ზუსტი გაანგარიშებით გააკეთა თავისი საქმე, მაგრამ მე გულმა მიმტყუნა და ყველაფერი ამ გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო მოხდაო.

...თვითმფრინავმა სიმაღლე რომ აიღო, აპილპილებულ ელეონორას გვერდით სტიუარდესა ჩამოუჯდა და ერთხელ კიდევ ჰკითხა დარჩენილი მგზავრის შესახებ.

– უცნაურად იქცეოდა, გულჩათხრობილიც იყო, მაგრამ სამშობლოს თუ გაყიდდა, ვერ წარმოვიდგენდიო, – ხმამაღლა, სხვა მგზავრთა გასაგონადაც პასუხობდა თარჯიმანი.

სინამდვილეში იმ სტიუარდესას საქმე ძირითადად თვითმფრინავში მსხდომთა მომსახურება გახლდათ. დარჩენილებთან მას არა ესაქმებოდა რა. უბრალოდ ცნობისმოყვარე და ცოტა ენაჭარტალა გოგონა იყო.

ერთი კვირის შემდეგ დაბრუნდა გერასიმე.

როგორ დაბრუნდა და რა გადახდა, ცალკე, სხვა ნოველის თემაა და ისედაც დაღლილ მკითხველებს დღეს აღარ შევაწუხებ.

ხათრიანი კაცი

უდანაშაულოდ კაცის დასჯა როგორ არ გამიგონია, მაგრამ რაც მე დამმართეს, ნამდვილად დასაწერი ამბავია, თუმცა იქნებ, დასაწერადაც არ გამოდგეს, მკითხველს დაუჯერებლად მოეჩვენება. ორმოცდაორი წელი ისე მოვათიე ჭრა-კერვის კურსებზე ჭრის პედაგოგად, საყვედური რაა, ერთი საყვედურიც არ მიმიღია. სამმართველოში სიგელით დაჯილდოვებას და საპატიო გაცილებას მიპირებდნენ თურმე. ახლა ვიღა დამაჯილდოვებს, თითით საჩვენებელი გავხდი მთელს ქალაქში. მე შენ გეტყვი, ჭორიკანა ხალხი აკლია ქარათელეთს. მაშინვე მეთქვა სიმართლე, იცოცხლე, კარგი იყო. გადავრჩებოდი ამ დავიდარაბას, ახლა აღარ დამიჯერებენ და ვინ იცის, იქნებ არც მაშინ დაეჯერებინათ. არა მჭირდა ჭირიო, ძალად ვიკარ ჩხირიო, ისეა ჩემი საქმე. გავჩუმდი და იმ გაჩუმებამ ისეთი კეტი მკრა, წელში ვეღარ გავიმართები. გული მხოლოდ იმაზე მწყდება, უბრალო რომ ვარ. ცოტა, პაწაწკინტელა დანაშაული მაინც მიმიძღოდეს და არ ვჩივი არაფერს.

თუ არ გეჩქარება, ძვირფასო მკითხველო, თავიდან დავიწყებ და წვრილად გიამბობ, რაც გადამხდა. ხოლო თუ გეჩქარება, სხვა (უფრო პატარა) ნოველა წაიკითხე. „ხათრიანი კაცის“ წაკითხვა სხვა დროისათვის გადადე და თუ დროს ვერ გამოძებნი და საერთოდ არ წაიკითხავ, არც ამით დაიქცევა ქვეყანა.

ამ ორი თვის წინათ ჩემს ეზოში ვზივარ და ინდაურის ბჟიტებს (ქარათელეთის გარდა, სხვაგან, ყველგან ჭუკებს ეძახიან) ჯოხს ვუქშევ, ახლადამოყრილი კოინდარი რომ არ გადაჭამონ.

საშურა აბრამიძის ჭიშკართან ბიჭი დგას და კაი ხანია ამაოდ უხმობს მასპინძელს. რომელი ხარ-მეთქი, გავეხუმრე წამოუდგომლად. სტუმარი ახლა ჭიშკარს მოადგა. – გამარჯობა, ალექსი ბიძია, აბრამიძისანები არ არიან სახლში, თუ იციო?

ვიცანი ჩიჩი გვილავა. მელენტის უფროსი ვაჟი. ჩემგან მეხუთე მოსახლეა. წესიერი ბავშვი იყო, სხვათა შორის, და საქმეც კარგად წაიყვანა. შარშან იურიდიული დაამთავრა და ჩვენს ქალაქში გამოანაწილეს, არ ვიცი, რა თანამდებობაზე. – საშურა ახლა გავიდა ამ წუთში და ვერ გეტყვი როდის მოვა-მეთქი. ბაბუცა ხომ მაიას ადგას თავზე თბილისში. ცოტა ხელი შეეშალა იმ გოგოს, გაიგებდი ალბათ-მეთქი. ასე რომ, სახლში მარტო საშურაა და საშურაც, ქე გითხარი, გავიდა, მაგი დღეს ფხიზელი აღარ მობრუნდება-მეთქი. თუ საჩქარო არაფერია, ხვალ დილით მობრძანდი, გვიანობამდე არ იღვიძებს-მეთქი.

– რაკი ასეა, თუ არ გეწყინება შენ უნდა შეგაწუხო და, თუ ჩემი ლექსო ბიძია ხარ, არ მითხრა უარიო, – დამეჯღანა ჩიჩი გვილავა. მაინცდამაინც კი არ მესიამოვნა, საშურას ალავერდი ასე უცებ რომ გადმომილოცა, მაგრამ რას ვიზამდი, ბჟიტები დავამწყვდიე და გვილავა შემოვიპატიჟე. შინ შემოსასვლელად არ მცალიაო, მელენტის ძემ, მოგეხსენებათ, ალექსი ბატონო, მილიციაში ვმუშაობ მეო. ღამის მორიგე ინსპექტორი გახლავართ ჯერჯერობითაო. დიპლომიანებს გამომძიებლობაზე ნაკლები არ ეკუთვნით, მაგრამ ადგილი არ იყო და, სანამ გამოჩნდებოდეს დავთანხმდი ღამის ინსპექტორობაზეო. ჩვენი მუშაობის ხასიათი გეცოდინებათ; თუ არავინ დავსაჯეთ და თუ ვინმე არ დავტუქსეთ, აქეთ დაგვსჯიან და დაგვტუქსავენო. გამიჭირდა და უნდა დამეხმაროთო. საშურასთან გამომიშვა მამაჩემმა (თქვენ ვერ გაგიბედეთ), მაგრამ საშურა შინ არ არის და, რომც იყოს, ჩემი თავი არ ექნება ახლა იმასო. რა მოუვიდა მაიას? არაფერი არ გამიგიაო. – რა და არ თხოულობს ის ბიჭი-მეთქი, მოკლედ მოვჭერი. – კი, მაგრამ ხომ გათავდა ეგ საქმე, ხომ წაიყვანა, ასე ვიცი მეო? – ხელს არ აწერს, ცალ-ცალკე არიან ისევ-მეთქი. ისე უგემურად ვუთხარი, ვაგრძნობინე, ამ თემაზე საუბარი რომ არ მსიამოვნებდა. – ჰოდა, შეგაწუხეთ, ალექსი ბიძია, ასეთ უცნაურ საკითხზეო: ამ თვეში, ჩემი მორიგეობის დროს არაფერი ხელმოსაკიდი არ მომხდარა და სუფთა

ჟურნალს რომ ნახავს უფროსი, შეიძლება დოყლაპიობისთვის საყვედურიც კი გამომიცხადოსო. შევადგენ პატარა აქტს, გავატარებ ჟურნალში – ვითომ შენ, ღამის პირველ საათზე, წულუკიძის სკვერში, დებოშს ტეხდი და მილიციის მუშაკებმა მთვრალი სახლამდე მიგაცილესო. – რას ვტეხავდი-მეთქი? ჩავუღრმავდი, – ჩხუბსო, – ამიხსნა, - ჩემი დათრობა და ჩემი ჩხუბი კაცს არ გაუგონია, თორმეტგოჯაზე წყლული რომ მაქვს, მთელმა ქალაქმა იცის, არ დაგიჯერებენ მაგ ამბავს, ისევ საშურას დაელოდე, საშურა გამოგადგება-მეთქი, რაკი ასეა, სხვა დანაშაული მოვიფიქროთ, შეწუხდა ჩიჩი; ვითომ შარდს აქცევდი შუაღამისას აკაკის ბაღში და მილიციელებმა წესრიგისაკენ მოგიწოდესო. შარდზე, ცოტა არ იყოს რომ შევყოყმანდი, დაუმატა: – ნუ გეშინია, ალექსი ბიძია, არც აქტს და არც ჩვენს დასკვნას, არავინ წაიკითხავს და ვერავინ გაიგებს. უბრალოდ ჟურნალში გავატარებთ, მუშაობაში ჩაგვეთვლებაო. იქნებ არც მოიკითხოს უფროსმა. ერთი წლის მერე ვწვავთ და ვანადგურებთ გატარების ჟურნალსო, აშკარად იცრუა.

გავბრიყვდი და შევჯექ ვირსაო, ხომ გაგიგონია. ავწონ-დავწონე და ჩიჩისადმი პატივისცემამ მძლია. რა მოხდა, ბოლოს და ბოლოს, ახალგაზრდა კაცს მხარში ხომ უნდა ამოვუდგე, მეტი რა ვართ ადამიანები ერთმანეთის. კაცის მოკვლაზე ხომ არ მიმოწმებს. დავიბრალებ ერთადერთხელ ჩემს ცხოვრებაში უადგილო ადგილას შარდის დაქცევას. ჯერ ერთი, როგორც ჩიჩი ამბობს, ჟურნალს არავინ ჩახედავს, და რომც ჩახედონ, ამ საქმეს არავინ გამოეკიდება-მეთქი.

ასე და ამგვარად, დავთანხმდი. აქტი იქვე, ჩემს ეზოში დაიწერა. „დანაშაულის ჩადენის“ შემოთავაზებული ადგილი, ჩემი თხოვნით, წულუკიძის სკვერით შევცვალეთ, რადგან აკაკის ბაღის ყველა კუნჭული მთელი ღამე განათებულია და საქმეს, რომელშიც ბრალი მედება, ვერ გავბედავდი. საათიც გადავწიეთ, ცოტა, რა მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ პირველი საათი, ორის ნახევრით შევაცვლევინე. ჩიჩი ჩემს რედაქციულ შენიშვნებს სიტყვის შემოუბრუნებლად ითვალ-

ისწინებდა, რისთვისაც ახალგაზრდა იურისტის მადლობელი დავრჩი. მოვაწერე აქტს ხელი და მე და ჩიჩი პირზე კოცნით დავშორდით ერთმანეთს. 1984 წლის თერთმეტი ივნისი იყო, რა დამავიწყებს.

არ გასულა ამ ამბის შემდეგ სამი კვირაც, რომ დირექტორი მიბარებს. მე და დირექტორი საბავშვო ბაღის ძმაკაცები ვართ, მოხარშულს მიცნობს. უდევს წინ რაღაც ქაღალდები და ხითხითებს. – როდის შემდეგ დაიწყე, ლექსო, ხულიგნობა – შენო? – რავა რა იყო-მეთქი, ელდა მეცა. – შეტყობინებაა მილიციიდან მოსული, ზომების მისაღებად, შუაღამისას შარდის დასაქცევად წულუკიძის ბაღში რამ წაგიყვანა, შე კაცო, სხვაგან ვერ ნახე ადგილიო? ვფურცლავთ და ვათვალიერებთ მილიციიდან მოსულ შეტყობინებას. ჩემს ეზოში დაწერილი აქტისთვის ერთი საბუთიც დაუმატებია ჩიჩის. ზემდეგი ყრუ-აშვილი (რომელიც არასოდეს მინახავს და იქნებ ვერც ვერასოდეს ვნახო) წერს: „მიუხედავად ჩვენი სიტყვიერი გაფრთხილებისა, მოქალაქე ჯიუტად განაგრძობდა დაწყებულ დანაშაულებრივ ქმედებასო. საქმეს რომ მორჩა, წინააღმდეგობა არ გაუწევია, დანაშაული ვერმოთმენის მოტივით ახსნაო. ასე რომ, ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლა არ დაგვჭირვებია. მოქალაქე ალექსი დარაბაძე მკაცრად იქნა გაფრთხილებული და პირობა ჩამოერთვა, რომ მსგავს დანაშაულს აღარ გაიმეორებსო“.

დირექტორს მაინც რაღაზე დავუმალავდი. ავდექი და ვუამბე: – ეს, ყველაფერი, სიცრუეა, მეზობლის ბიჭმა ჩიჩი გვილავამ მთხოვა და ხათრი ვერ გავუტეხე. ალბათ შეტყობინება, მასთან შეუთანხმებლად, მექანიკურად გადმოაგზავნეს-მეთქი. სიცილისაგან მოგვრილი ცრემლები შეიმშრალა: – მე ვიცოდი, რომ შენ უადგილო ადგილას არ მოფსამდი, ალექსიო, აგაშენა ღმერთმა ინსპექტორის მხარდაჭერისთვის, მაგრამ ჩვენ რა ვქნათ, რაღაც რეაგირებას რომ გვთხოვს მილიციის განყოფილებაო. – რა და თქვენც მექანიკურად მისწერეთ: „ზომები მიღებულია, ალექსი დარაბაძე გაფრთხილებულიათქო“. ეს ქაღალდი, თუ კაცი ხარ, არავის აჩვენო,

თავი არ მომჭრა-მეთქი, შევადგინეთ იქვე რეაგირების ტექსტი; ვითომ მე ჭრა-კერვის კურსების პროფკავშირულ საერთო კრებაზე საჯაროდ გამკიცხეს და აღსაზრდელად ადგილკომის უჯრედს გადამცეს. გავგზავნეთ „რეაგირება“ მილიციაში და მეგონა ამით ყველაფერი დამთავრდა-მეთქი.

თურმე ჯერ სადა ხარ, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, ხომ გაგიგონია.

ოცდაცხრა სექტემბერია, ჭრა-კერვის მუშაკთა რაიონულ შეკრებას ვესწრები. მომხსენებლად რაიონული გაერთიანების თავმჯდომარეა. მომხსენებელი ურიგო კაცი როდი გახლავთ, ახალგაზრდა, ენერგიული სპეციალისტია – გარაყანიძე. აგრონომიული აქვს დამთავრებული, ამბობენ ხარისხზეც მუშაობსო. სადგურის მორიგის პოსტიდან ჩვენთან გადმოიყვანეს, ერთი წელი არაა ჯერ. მოხსენების პირველ ნახევარს სხვა ვინ უსმენს, მე რომ მომესმინა, ჩამოაჭიკჭიკა წარმატებები და რეგლამენტით გათვალისწინებული სამი წუთი ნაკლოვანებებს დაუთმო. „სამწუხაროდ, – თქვა – ჩვენს რიგებში ჯერ კიდევ მოიძებნებიან ადამიანები, შეგნებულად თუ შეუგნებლად ჩრდილს რომ აყენებენ, ამ არნახული აღმავლობის ვითარებაში, ჩვენს წარმატებებსო. ალექსი დარაბაძე გამოცდილი, ღვაწლმოსილი მუშაკია და ვინ ელოდა, თუ ასე ამჩატდებოდაო. დარაბაძის უტაქტო მოქმედება ჩირქსა სცხებს ჩვენს ჯანსაღ კოლექტივსო. ეს ამბავი მწარე გაკვეთილად უნდა იქცეს არა მარტო თვით დარაბაძისთვის, ყველა ჩვენგანისთვის, საერთოდო“.

ერიჰაა, ესეც შენი ხათრი-მათრი. ცივმა ოფლმა დამასხა. ვიფიქრე, გამოვალ კამათში და ვიტყვი სიმართლეს. ამ ხალხს, როგორც ჩანს, მართლა დამნაშავე ვგონივარ-მეთქი, მაგრამ შენც არ მომიკვდე, დღის წესრიგი ისედაც გადატვირთული იყო და მე კი არა, წინასწარმომზადებულ მოკამათეთაგან ნახევარს არ მისცეს სიტყვა. არც „განცხადებისთვის“ დარჩა ჩემთვის ადგილი.

შეკრება რომ დამთავრდა, კეთროვანივით მიყურებდნენ ჩემი კოლეგები, ბევრს აშკარად ვძულდი, როგორც კოლე-

ქტივის შემარცხვენელი. ზოგი მალულად, შორიდან მითანაგრძნობდა. ერთმა გაბედა და მკითხა: რა ქვა გატეხე ასეთი, გაგვაგებინე, თუ კაცი ხარო. რომ ავუხსენი, ეჭვით შემომხედა და სწრაფად გამეცალა. ეტყობოდა, ერჩია, უფრო დიდ დამნაშავესთან ჰქონოდა საქმე, ვიდრე უადგილო ადგილას შარდის უპრეტენზიო დამღვრელთან.

არც კი გამიგია, როგორ გავიდა ოცი უგემური დღე რაიონული შეკრებიდან. ჩიჩი ორჯერ შემხვდა ქუჩაში, მაგრამ პირი ამარიდა, რცხვენია ალბათ, ყმაწვილს, რომ უნებლიედ ამ ყოფაში ჩამაგდო. მეც არ შევხმიანებივარ, ჩემს ჩაქანებულ საქმეს ჩხუბი და აყალმაყალი ვეღარაფერს უშველის. არ მინდა დავაყვედრო, განა თვით სურდა მოშარდვის ხაზით ქალაქში განთქმულ კაცად ვექციე.

მოგეხსენებათ, ჭრა-კერვის მუშაკთა რაიონულ შეკრებას ამავე გაერთიანების საქალაქო შეკრება მოჰყვება ხოლმე. მე საერთოდ საქალაქო შეკრებაზე არ მიხმობდნენ (სუბორდინაციულად არ მეკუთვნის), მაგრამ მოსაწვევი ბარათი რომ მივიღე, გულმა რეჩხი მიყო. – ალბათ, საქალაქო გაერთიანების გენერალურ დირექტორს მოხსენებისთვის ფაქტი დასჭირდა, ჩემთვის თავს ვინ გამოიდებდა, ადგნენ და ჩამაყუდეს დირექტორის მოხსენებაში-მეთქი.

ისე აგიხდეთ ყოველივე კარგი, როგორც მე ეს საშინელი წინათგრძნობა ამიხდა. გატრუნული ვუსმენ მოხსენებას, დანა რომ დამისვა, სისხლი არ გამომივა. რეიგანის ლანძღვაგინებიდან მომხსენებელი ჩემზე გადმოვიდა: „მაგრამ სავალალო ის არის, რომ ამ გამწვავებულ საერთაშორისო ვითარებაში, შინაც გვყვანან სახელის გამტეხნი. ქალაქის მოწინავე საზოგადოებამ აღშფოთებით დაგმო ჭრა-კერვის კურსებზე მომხდარი ფაქტი. ალექსი დარაბაძის დაუფიქრებელმა ნაბიჯმა ჩირქი მოსცხო ჩვენს სახელოვან უწყებას. რა გამოვიდა, ჭრის პედაგოგი დღისით თავის მოწაფეთა შორის სათნოებასა და წესრიგს ქადაგებს, ღამით კი, თურმე, ნუ იტყვით, ასეთ საძრახის საქციელს სჩადის. ამაზე ითქმის „სახით მღვდელი და საქმით მგელიო“.

მომხსენებელმა ქვემოთ სხვებიც გააკრიტიკა, მაგრამ ვერ დავუკარგავ, ყველაზე შთამბეჭდავად და ხატოვნად ჩემზე შეჩერდა: მართალია, დარბაზიდან გამოსვლისას შეურაცხმყოფელი შეძახილები („არც კი რცხვენია!“ „ესეც იტყვის კაცი ვარ და ქუდი მხურავსო!..“) არავის დაცდენია, მაგრამ, ჟრუანტელი მივლიდა და ზურგი ისე მეწვოდა, თითქოს მათრახით ნაცემი გახლდით.

ავტობუსის გაჩერებამდე აჩა-ბაჩად მივედი. კეფა მეწვის, ეტყობა წნევამ ამიწია. ტროტუარზე მტრედები ფართხალებენ, ფრთებს ატკაცუნებენ და საკმარისია ერთმა მათგანმა გახურებულ ასფალტს ყასიდად ნისკარტი ჩაჰკრას, რომ ყველანი იქვე გაჩნდებიან და ისეთ კაკუნს ატეხავენ, გეგონება ბანზე გაშლილ ქერს მიაგნესო. სადღაც ჩანთაში შავი პურის ნაჭერი მეგდო მტრედებისთვის, მაგრამ ახლა ამის თავი არა მაქვს.

ოთხმა ნომერმა საერთოდ არ გააჩერა, ეტყობოდა გადატვირთული იყო. ზურგს უკან ორი მამაკაცი თითქოსდა განგებ, ჩემს გასაგონად იწყებს მასლაათს:

– ნახე დღევანდელი გაზეთი?

– კი.

– წაიკითხე „ვინ გვარცხვენს?“

– კი, მაგრამ მაინც ვერ გავიგე, რა დანაშაულზეა ლაპარაკი. დაწერე, შე კაი დედმამიშვილო, გასაგებად. სწერია, „ალექსი დარაბაძე ღამის ორ საათზე საზოგადოებრივი შეკრების ადგილას საძრახის საქციელს სჩადიოდაო“. რაზეა ლაპარაკი, რას აკეთებდაო, თუ ღმერთი გწამს?

– ამდენს ვერ უნდა მიხვდე? ქალზეა ლაპარაკი, ყველაფერს ხომ არ ჩაგიკაკლავენ დაწვრილებით. გაზეთი მისია, რომ რაღაცას შენ თვითონ უნდა მიხვდე.

– ჭრა-კერვის კურსებზე ნამუშევარა, სამოცდაათს მიღწეული ყოფილა.

– ქალს მაინც არ შერცხვა იმ უპატრონოს? ისიც კაი უბედური ეყოლებოდა გამჩენს.

ერთი სული მქონდა შემოვბრუნებულიყავ და მოსაუბრეთა სახეები დამენახა, მაგრამ შემეშინდა, არ მიცნონ-მეთქი.

წელმოწყვეტილივით ავედი რომელიღაც ავტობუსზე და კუთხეში მივეგდე.

რას დავეძებ, საით წამიყვანს, ამ ადგილს ხომ გამაცილებს.

ისე, კაცმა რომ თქვას, არ სჯობია ჩიჩი გვილავას მიერ თავდაპირველად შემოთავაზებულ დანაშაულზე შევჩერებულიყავი? სიმთვრალის ნიადაგზე დებოშის ატეხვის ცდა იმდენად თავისმომჭრელი არ გახლავთ, როგორც სრულიად ფხიზელი კაცისაგან შუა სკვერში შარდის დაღვრა. მით უმეტეს, როცა დანაშაულის პირდაპირ დასახელებას გაურბიან და ცნობისმოყვარე მსმენელებს ჭორაობის ფართო ასპარეზს გადაუშლიან ხოლმე.

კაკტუსი

თავის ძნელ ცხოვრებაზე დაფიქრებული, არცთუ მოწინავე მელიორატორი, ქაჯანა აფაქიძე ივნისის ერთ ქარიან საღამოს ვასილ კიკვიძის ქუჩით შინ ბრუნდებოდა.

ქაჯანა გეგუთიდან თერთმეტ ნომერ ავტობუსს მოჰყვებოდა, მინისტარის ქარხანასთან ჩამოვიდოდა, არხს გვერდს აუქცევდა, სანდრო ჟორჟოლიანის სახელობის კინოთეატრთან მარცხნივ ჩამოუხვევდა და კიკვიძის ქუჩაზე გავიდოდა.

ქალაქის განაპირას, კიკვიძის მესამე ჩიხში, ქაჯანა რკინის ბოძებზე შემდგარ, ხის სამოთახიან ოდაში ცხოვრობდა.

სამუშაოდ სოფლად ასე შორს ეგზოტიკისა და იდილიის ხათრით კი არ დადიოდა, უბრალოდ, უკეთესი სამსახური ქალაქ ბაგრატისეულში ვერ იშოვა. მელიორატორის რთული ხელობა, მოგეხსენებათ, სოფლად უფრო ფასობს.

წვრილშვილიან ქაჯანას შინ ლოგინად ჩავარდნილი სიდედრი ჰყავდა. რაც დრო გადიოდა, ავადმყოფობისაგან თავგაბეზრებული მოხუცი უფრო და უფრო ძნელი მოსავლელი ხდებოდა. ყველა სიკეთესთან ერთად ეჭვიანობაც დასჩემდა. ეჩვენებოდა, რომ სიძეს სძულდა. იქნებ დროზე გაასწოროს ანგარიში წუთისოფელთანო, წამალს არადანიშნულებისამებრ აძლევდა და ღვთის სამსჯავროს შიში რომ არ ჰქონოდა, სიამოვნებით ჩაუგდებდა ჩაიში ლურსმანს.

სინამდვილეში კი საქმე პირიქით გახლდათ. თუ რამე არ უნდოდა ქაჯანას, სწორედ სიდედრის სიკვდილი, სხვა მიზეზთა შორის იმ მიზეზის გამოც, რომ ხელმოკლედ ცხოვრობდა და დაკრძალვის ხარჯები მძიმე ტვირთად დააწვებოდა ოჯახის ისედაც ძლივს მფეთქავ ბიუჯეტს. აფაქიძეს არც იმის იმედი ჰქონდა, რომ დასაფლავების ხარჯებს სახელმწიფო გაიღებდა და, ბუნებრვია, ქაჯანა მკურნალობას არ აკლებდა, რომ ნეკრესის ქარებისგან სახსრებდაჭმული სიდედრი, როგორმე, ფეხზე წამოეყენებინა, მაგრამ ამაოდ.

მიაბიჯებდა მელიორატორი ქაჯანა აფაქიძე დაღლილი კაცის მძიმე ნაბიჯებით. ბეჭებზე გახუნებული, ცისფერი კვართი და ცალჯიბიანი, ბუსუსებიანი ლურჯი შალის შარვალი ემოსა. ფეხთ ადგილმრეწველობის გამოშვებული ადიდასსმიმსგავსებული („ადიდასის“ ფირმის ემბლემა დროთა ვითარებას წაეშალა) შავ-მწვანე ბოტასები ეცვა. ეს ბოტასები, სხვათა შორის, ფირმულისაგან ბევრით არაფრით განსხვავდებოდა; ეგ იყო, ტყავ-პირი ჩაცმის მესამე დღესვე სათასმოსთან გარდიგარდმო სკდებოდა და ლანჩა საგულდაგულო მცდელობითაც კი არ იღუნებოდა. წელში წახრილ ქაჯანას ორივე ხელი შარვლის ჯიბეში ეწყო და ფეხებს ისე მიისროდა წინ, თითქოს უდროოდ აფართხუნებულ ფეხსაცმელს იხდისო.

არც უსტვენდა და არც ღიღინებდა.

თაფლისფერ თვალებზე წარბ-ქუთუთო საიმედოდ ჩამოეფარებინა და ორიოდე ნაბიჯის სიგრძესაც მხოლოდ იმიტომ ინათებდა, რომ ქვისთვის ფეხი არ წამოეკრა. ისე დაღლილიყო, ნაცნობთათვის მისალმების თავიც არ ჰქონდა და, კაცმა რომ თქვას, საყულიაში გაზრდილ და ბაგრატისეულში ჩასიძებულ ქაჯანას ამ ქალაქში ნაცნობებიც ცოტა ჰყავდა.

ზაფხულის დროით ცხრას აღარაფერი აკლდა. სწორედ ის დრო იყო, როცა სიცხისგან ჩამკვდარ ქუჩას ნელ-ნელა უბრუნდება სიცოცხლე, გასათხოვარი გოგონები დიდი ხვეწნით რომ გამოტყუებენ მშობლებს „დაქალთან შევლის“ ორიოდე საათს და პაემანზე გარბიან, როცა საყვარლიანი მამაკაცები პირს იპარსავენ და საზოგადოებრივი ღონისძიების მომიზეზებით თავიანთ საეჭვო საქმეზე მიეშურებიან.

პირწმინდად გადალოკილ ცაზე ღრუბლის ფთილაც კი არსად ჩანდა. გეგონებოდათ, ამ უსაშველოდ ღრმა, ბაცლურჯ ცარგვალზე საავდრო ღრუბელი აღარასოდეს გადაივლისო.

ნარინჯისფერი მზის მეწამული ტანი ისე ჩქარა ეფარებოდა ხვამლის მთას, როგორც მეყვსეულად ამობრიალებული ხოხობი ჩაიკარგება ხოლმე ჯაგნარში.

წვებოდა მზე და დასავლით ცეცხლშენთებულ ცას სამი მხრიდან ეპარებოდა ჩრდილისფერი, უშველებელი ფრთები ღამისა.

უეცრად ქაჯანას კისრის სიახლოვეს მარჯვენა ბეჭზე

რაღაც დაეცა. პირველი, რაც სახელდახელოდ მოისაზრა, განზე გახტა და ტროტუარზე წაკოტრიალდა, მხარზე რაღაც ბლანტი მასა და სისველე იგრძნო. ხელი მოისვა და ოდნავ დამშვიდდა, სისხლი კი არა, სველი, შავი მიწა იყო, წამოუდგომლად გადმობრუნდა და იმ ადგილს დააჩერდა, სადაც წეღან იდგა. ქვაფენილზე ერთი ციდა კაკტუსი და დამსხვრეული ქოთანი ეგდო. შავ მიწაში მიმოფანტული ქოთნის ნამსხვრევები ტროტუარამდე უწევდა. მელიორატორმა ბეჭის ტკივილი ახლა უფრო მწვავედ იგრძნო. საფარიდან გამოვიდა, გაფითრებულმა მაღლა აიხედა და აივნებს გასძახა:

– დაგექცა ოჯახი! არ მომკლა კაცი?!

სახლი ხუთსართულიანი გახლდათ. რკინის აივნებზე არავინ ჩანდა და ქაჯანას, რასაკვირველია, არავინ გაეპასუხა.

როგორც ახალგაზრდა გამომძიებლები იტყვიან ხოლმე, შემთხვევის ადგილზე ხალხი შეიყარა. „თავში ხომ არ დაგეცათ, ბატონოვო“, მესამედ ეკითხებოდა მაღალი, ტილოსკიტელიანი, კაფანდარა, სათვალიანი მოხუცი და როცა ქაჯანამ ტალახი კისრიდან ჩამოიცილა და დაინტერესებულ კაცს პასუხი აღირსა, ბერიკაცმა მშვიდად ამოისუნთქა: – მთავარი იყო თავში არ დაგცემოდათ.

– კაცს ქუჩაში მშვიდად ვერ გაგივლია, საქმეა ეეს? – რისხვაგარეული სისაწყლით თქვა დაზარალებულმა, შავად გადაღებილი, სველი კვართი ჩაიწია და მოქალაქეებს ჩაბეჟილ-ჩაწითლებული მხარი უჩვენა.

– ძალიან გტკივათ? – შავნაწნავებიან, ტანსრულ ქალს დაშვებულ ხელებში სანოვაგით გაძეძეგილი ჩანთები ეჭირა. ჩანთები ძირს დასადებად არ ემეტებოდა, არა და მართლა აინტერესებდა სტკიოდა თუ არა ქაჯანას მხარი.

– ადამიანია ახლა ის? გეკითხები მე შენ, ადამიანია? – თვალებზე ხელი მიიჩრდილა და მაღლა აიხედა ულვაშებდაგრეხილმა, თეთრჩექმება კაცმა, – კაცი კინაღამ მოკლა და ყურსაც არ აპარტყუნებს. ჩამოვალ, ბოდიშს მაინც მოვიხდი. ბოდიშის მოხდას რა უდგას წინ.

ჩოჩქოლზე მესამე სართულის აივანზე იაპონურხალათიანი, თავგადაპარსული კაცი გადმოდგა და რა მოხდაო, იკითხა.

პასუხს არ დაელოდა, დამსხვრეულ ქოთანს ჰკიდა თუ არა თვალი, მოაჯირს ორივე ხელით დაეყრდნო და მაღლა აიხედა.

– შენ გეუბნები! – ულვაშებდაგრეხილმა ასძახა, – ვინ გადმოაგდო, ვერ უნდა გავიგოთ?

მესამე სართულის ბინადარმა ხელები გაასავსავა და კვლავ ზევით აიხედა.

– მილიციას უნდა გამოვუძახოთ, – დაასკვნა თეთრჩექმოსანმა.

– რად უნდა ამას მილიცია, – ჩანთოსანი დიაცი წასვლას არ აპირებდა, – ადით კაცებმა და აახიეთ ყურები, ხომ ხედავთ, ხვადაგია ვიღაცაა.

– შენ გგონია, ასე ადვილად გატყდება? რაკი დამალვა იკისრა, ატკაზსაც მშვენივრად დაგვირტყამს. აქეთ მოგდებს შარს, სახლში შემომივარდნენო. მაგნაირების ამბავი მე მკითხე, – იღლიაში გაზეთებამოჩრილი, ხელჯოხიანი კაცი ტანაჯორივით ნაღმა-უკუღმა ტრიალებდა.

სად იყო და სად არა, მილიციელიც გამოჩნდა. ზემდეგი ციკოლია გახლავართ, უბნის ინსპექტორიო, წარუდგა ხალხს ოცდაათიოდე წლის ტანთხელი, ფორმიანი კაცი. ქაჯანას თავსგადამხდარი ამბავი მოკლედ აამბობინა, ქოთნის ნამსხვრევები და კაკტუსი გაზეთში შეახვია, მოქალაქეებს გადახედა, ორი მოწმე დაგვჭირდება, დანარჩენებს გთხოვთ დაიშალოთო, გამოაცხადა და ტყავის საქაღალდე გაშალა.

ხუთიოდე წუთის შემდეგ ქაჯანა და ზემდეგი ციკოლია ორი მოწმის თანხლებით დამნაშავის მოსაძებნად კიბეს აუყვნენ. დიდი დადგენა არ სჭირდებოდა იმ ფაქტს, რომ ქოთანი კიბის მარცხენა მხარეს განლაგებული აივნებიდან იყო ჩამოვარდნილი.

სანამ დამნაშავისმაძიებელნი პირველ სართულზე ამაოდ რეკავდნენ ზარს, ზემოდან იაპონურხალათიანი, თავგადაპარსული, წამახულნიკაპიანი კაცი ჩამოვიდა, ციკოლია გაიხმო და რაღაც უჩურჩულა. ზემდეგმა ყურადღებით მოუსმინა, თავი დაუქნია და სანამ „ფხიზელი“ მოქალაქე კიმონოს სახელოების ფართხუნით გაუჩინარდებოდა, მობრუნდა. სმენაზე დამდგართ მიუახლოვდა, კარებს გამოარიდა და იდუმალი ჩურჩულით აუწყა:

– მეოთხე სართულიდანაა გადმოგდებული.

ორმა მოწმემ – ულვაშებდაგრეხილმა, ჩასკვნილმა, კავალერისტის მიმოხვრის პატრონმა კაცმა და კაფანდარა, ხელჯოხიანმა მოხუცმა წელში გამართვითა და მხნე გამოხედვით აგრძნობინეს ზემდეგს, რომ მზად იყვნენ მეოთხე სართულზე კი არა, ცხრა მთას იქით წამოსულიყვნენ, ოღონდ სამართალს პური ეჭამა.

მუყაოს ფანერისგან შეჭედილ, თეთრად შეღებილ კარს ფანქრით ეწერა „ბაკურაძე“. აშკარად ჩანდა, რომ ბაკურაძე იმ იშვიათ გამონაკლისთა რიცხვს ეკუთვნოდა, ვისაც კარი არ გამოუცვლია, ან საყოფაცხოვრებო ტერმინი რომ ვიხმაროთ, ბინა არ გაურემონტებია.

კარი დაბალმა, გალეულმა, თვალებად და ცხვირადქცეულმა კაცმა გააღო და მილიციელი რომ დაინახა, სახეზე სასოწარკვეთა გამოეხატა. უკანდახეულმა ფოსტლი ფოსტლს გამოდო და კინაღამ წაიქცა.

– მობრძანდით, – წვრილი, დამფრთხალი ხმით თქვა მან.

ციკოლიამ, რატომღაც, ჯერ ქაჯანა გაატარა და მერე თვითონ მიჰყვა. მოწმეებმა ერთდროულად გადმოდგეს ნაბიჯი და ვიწრო კარებში კინაღამ გაიჭედნენ.

სასტუმრო ოთახში ლამის ყველაფერი თავდაყირა იდგა. სკამები ერთმანეთზე ეწყო. საგულდაგულოდ დახვეული იაფფასიანი ფარდაგი ფანჯრის რაფაზე იდო. აივნის კარიდან მარცხნივ, ქვეშაგებაყრილი ორი რკინის საწოლი იდგა. ტაბურეტზე მოდიდან ამ ოცდაათიოდე წლის წინ გამოსული პატარაეკრანიანი „რეკორდის“ სისტემის ტელევიზორი იდო. ტელევიზორთან ტაშტში ჩამბალი ტომრის ნაგლეჯი და კედელსმიყუდებული იატაკის საწმენდი ჯოხი მოჩანდა.

იჯდა დამნაშავე სტუმრების თვალწინ ფეხებმორყეულ მაგიდასთან, ბოლომდე შეკრული, ოდესღაც ცისფერი ფლანელის კვართის ღილებს ხელით აწვალებდა და მსჯავრს ელოდა. ყველაფრიდან ჩანდა, რომ მან კარგად უწყოდა თავისი დანაშაულიც და ისიც, რისთვისაც იყვნენ მოსული ეს პატიოსანი ადამიანები.

ზემდეგმა გაზეთი დიდის ამბით გაუშალა წინ და ქოთნის ნამსხვრევებზე ანიშნა.

– ეს თქვენია?

– კი ბატონო, – მასპინძელმა ღილებს უშვა ხელი და მუხლებზე დაიწყო.

– რატომ გადმოაგდეთ? – ციკოლიას გამჭოლი მზერა და მტკიცე, გაუბზარავი ხმა ჰქონდა.

– გადმომივარდა, წყალს ვუსხამდი და გადმომივარდა, ეგ უპატრონო, კაკტუსიან ქოთანს ვინ სულელი გადმოაგდებდა, – ისე დამაჯერებლად და გულწრფელად თქვა ბრალდებულმა, რომ მოწმეებმა თავები ჩაქინდრეს, ხოლო ქაჯანამ ინანა, რომ აქ შემოვიდა.

– აჩვენე ერთი ამას ბეჭი! – მელიორატორს მიუბრუნდა ზემდეგი.

ქაჯანამ კვართის ზედა სამი ღილი შეიხსნა და შეწითლებულ-შესივებული ბეჭი გამოაჩინა.

– ჩემი სიკვდილი, – დაიწრიპინა კაკტუსის პატრონმა.

– დაინახე, კაცს რომ დაეცა? – ულვაშებდაგრეხილი მოწმის შეკითხვა ორგანოს მუშაკს ნაადრევად მოეჩვენა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

– კი, დავინახე.

– მერე, რატომ არ ჩამოხვედი?

– კარი გავაღე და მოვრბოდი, მარა ხალხი რომ დავინახე, შემრცხვა.

– შეგრცხვა? ვისი შეგრცხვა, კაცო? – ქაჯანამ თავი ვერ შეიკავა.

– მეზობლების. ყველაფერი ამას რავა ჭირსო, სიცილს დამაყრიდნენ.

– შენი სირცხვილის გულისთვის კაცს კლავდი, ამხანაგო? – კაფანდარა მოწმის ხმა იყო.

– რა მოკლავდა, ბატონო?

– რა მოკლავდა და ქოთანი.

– ერცახე ქოთანია, ბატონო. სული ძლივს უკიდია, ვერ ხედავთ რა თხელია? – ნამსხვრევებს მიათითა დამნაშავემ.

– სხვას რომ მოხვდა იმიტომაა მჩატე და თხელი, თვარა აბა შენ დაგცემოდა, რანაირად იჭიკჭიკებდი, – ულვაშებდაგრეხილი მოწმე მრისხანებას ვერ მალავდა.

– მოკლედ, ორნაირი დამნაშავე ხარ: ჯერ ერთი, ქოთანი რომ გადმოაგდე და მეორე – შენგან დაზარალებული მოქალაქე ბედის ანაბარა რომ მიატოვე. აღარ უნდა ამას ლაპარაკი, – თქვა ზემდეგმა.

– დამნაშავე ვარ, ბატონო, გეუბნებით, არ ვარ დამნაშავეთქვა? – ქაჯანას თვალს არ აცილებდა უზომოდ შეწუხებული მასპინძელი.

ციკოლიამ ტყავის საქაღალდე გაშალა, აქტის დაბეჭდილი ბლანკები ამოიღო, ორ საასლე შავ ქაღალდში მოაქცია და ფანქრით წერას შეუდგა.

აქტს ჯერ თარიღი და ნომერი დაუსვა, მერე, წერის დროს, მორიგეობით ეკითხებოდა დამნაშავეს და დაზარალებულს სახელს, მისამართს და თანამდებობას.

ქოთნის გადმომგდები – დროებით უმუშევარი ბადრი ბაკურაძე აღმოჩნდა.

ზემდეგმა ხმამაღლა წაიკითხა აქტი, ოთხივეს ხელი მოაწერინა, მერე თვითონ, ორ ადგილას მოაწერა ხელი, ხვალ, თორმეტ საათზე მილიციის ქვეგანყოფილებაში ოცდამეცხრე ოთახში გამოცხადდებითო, ბაკურაძეს დაუბარა და ამჯერად, რატომღაც, პირველი თვითონ გავიდა დროებით უმუშევარი მასპინძლის ფარღალალა კარებში.

საკონსერვო ქარხნის კლუბთან შეჩერდნენ. ზემდეგმა მოწმეების მისამართები ჩაიწერა, მადლობა გადაუხადა და დაემშვიდობა, ხოლო ქაჯანა აფაქიძე სამედიცინო ექსპერტს მიჰგვარა, სხეულის მსუბუქი დაზიანების ცნობა ააღებინა და ის ცნობაც, აქტთან ერთად, ჩანთაში ჩაიდო.

ქაჯანას შინ არც გაუმხელია ეს ამბავი. მართალია, ბეჭი სტკიოდა, მაგრამ არც ისე ძალიან, რომ ვერ მოეთმინა. მეუღლე ტყუილად ინერვიულებდა და შველით ხომ მაინც ვერას უშველიდა.

მეორე დღეს, „ვრემიას“ დაწყებას აღარაფერი აკლდა, ძაღლმა ჭიშკართან ყეფა რომ ატეხა.

– მიხედეთ, შეჭამა ძაღლმა ვიღაცა, არავინ ხართ მაქეთ, დაწყდით სუყველა? – მისი მდგომარეობის ადამიანისთვის სრულიად შეუფერებელი, მჭექარე ხმით დაიძახა სიდედრმა,

მაგრამ ქაჯანას მისი ხმა არ გაუგონია, იგი ჭიშკრისკენ მიდიოდა და თან ძაღლს ამშვიდებდა.

ელექტრონის წრეში, ბოძთან ხელებდაშვებული ბადრი ბაკურაძე იდგა. ქაჯანას იგი კიდევ უფრო დაპატარავებული მოეჩვენა. მასპინძელი რომ დაინახა, ერთი ნაბიჯი გადმოდგა და ისე მიადგა ფეხი, როგორც მონაფეებმა იციან ხოლმე საპარადო მზადებისას.

– შემობრძანდით, არ იკბინება, – ჭიშკარი გამოაღო მასპინძელმა და ღრენაზე გადასულ ქოფაკს შეუტია – გადაშენდი იქით!

– თუ შეიძლება დააბით, ბატონო, მე ვიცი ჩემი იღბალი. ქვეყანაზე კაციშვილს რომ არ ერჩოდეს ძაღლი, მე მიკბენს მაინცდამაინც, – სტუმარს ანგინიანი კაცის ჩაკვნესილ-ჩახრინწული ხმა ჰქონდა.

ქაჯანამ ძაღლი დააბა და ბაკურაძე შინ შეიპატიჟა.

– შინ არ შეგაწუხებთ, ბატონო, აგერ მივჯდეთ ცოტა ხანს, ორი სიტყვა მაქვს სათქმელი, თუ შეიძლება, – სთხოვა მოსულმა და შიშით გაიხედა დაბმული ძაღლისკენ, რომელიც ახლა უფრო მეტად გაავებულიყო, რადგანაც მის დაბმაში მთავარ დამნაშავედ სრულიად სამართლიანად სტუმარს თვლიდა.

საგვიანო ტყემლის ძირში, ძელსკამზე, ჩამოსხდნენ.

სტუმარი მუხლებზე ხელებს ისვამდა და საუბრის დაწყებას აგვიანებდა.

– მხარი როგორ გაქვთ? – როგორც იქნა იკითხა შავცასაშტერებულმა ბაკურაძემ.

– მტკივა ცოტა. დაბეჟილია. მოტეხილი არ არისო, ექიმმა.

– ფეხები რატომ არ მომტყდა, მაინცდამაინც იმ დროს რომ გავედი აივანზე. კაკტუსის მოვლა მაკლდა სწორედ. კაკტუსი ვნახე დამწვარი.

– რა შენი ბრალია, ძალით ხომ არ გინდოდა.

– თავში რომ დაგცემოდა, ბატონო? თავის გატეხვისთვის რა მნიშვნელობა აქვს, ძალით გადმოაგდე თუ გადმოგივარდა. სად წავსულიყავი მაშინ, მეტი რომ მოგსვლოდა?

– ყურადღებით უნდა იყო, მარცხი ერთ წამსაა. ის ზემ-

დეგი რომ არ მოსულიყო, მე არც ამოვიდოდი მაღლა. რა მეწყინა უფრო მეტად, ხომ იცი?

– ვიცი, ბატონო.

– ქართველ კაცს, მე ვთქვი, ისე რამ გაუყინა სისხლი-მეთქი, ამხელა ქოთანი კისერში მდრუზა და ზის არხეინად, ამბავი-ხაბარი მაინც იკითხოს, ეგება ვკვდები ადამიანისშვილითქვა.

– ისე არხეინად დაჯდა შენი დამაწყევარი, მე რომ არხეინად ვიჯექი. არხეინად კი არა, კბილს კბილზე ვაკაწკაწებდი. თითები დავიჭამე. ორჯერ ჩამოვედი კიბეზე, მაგრამ გარეთ გამოსვლა ვერ გავბედე. ფეხზე მდგარი რომ დაგინახე, გადავრჩენილვარ-მეთქი და პირველად მაშინ გადავყლაპე ჰაერი თავისუფლად.

– იყავი დღეს მილიციაში?

კი. თორმეტზე მივედი, როგორც დამიბარა. არ იყო კაბინეტში. მაგენსაც წაღმა-უკუღმა დაარბენინებენ, რა ქნან, ამხელა ქალაქია. ასე, საათ-ნახევარში მოვიდა. არ ჩანს, სხვათა შორის, გლახა ბიჭი. მეო, სულ არ მინდა თქვენი დასჯაო, მარა როგორც კანონი მოითხოვს, ისე უნდა მოვიქცეო. მე რომც შემეძლოს, ახლა, შენთვის თავის განებება, აფაქიძე არ მოისვენებსო. მიჩივლებს და სამხრეებს დამატოვებინებსო.

– ვუჩივლებ აპა, მეტი არა მაქვს საქმე. ხომ გითხარი, დამაძალეს, თვარა არც მაშინ მინდოდა ამოსვლა. რაღაი ცოცხალი გადავრჩი, მე ვთქვი, აღარ დავეძებ არაფერსთქვა.

– რავა გეკადრება, ბატონო. დამნაშავე ვარ და პასუხი უნდა ვაგო. ასე თუ ყარა ხალხმა აივნიდან ქოთნები, წინ წავალთ ნამეტანი. ბოდიშის მოხდა ადვილია, ბოდიში არ შველის ამ საქმეს. საბოდიშო პირი რომ არ მქონდა, იმიტომ არ ჩამოვედი. მე ანერვიულებული ვიყო და ხელი მიკანკალებდეს, თქვენ რა შუაში ხართ. ჩემზე უარეს დღეში ჩააგდე, ღმერთო, ვინც მე ამ დღეში ჩამაყენა, ვიწყევლები დედაკაცივით.

– რავა, რა იყო? – ქაჯანა წინ გადმოიხარა და საქმესმიწყობილი ხელის თითები ერთმანეთში გაუყარა.

– ვერ ვარ კარგად, ბატონო. უძილობა მჭირს და ხელი მიკანკალებს. ღამეში ორი „ტაზეპამი“ არ მყოფნის. ხანდახან იმნაირ შავ ფიქრებში გადავვარდები, რომ ერთი ბეწო მიკლია,

გავაღო კარი და ვისკუპო მეოთხე სართულიდან. უწინ, კაცმა თავი მოიკლაო, რომ გავიგონებდი, მიზეზის გაგებაც არ მსურდა. რამ უნდა მიგიყვანოს კაცი ამ ნაბიჯამდეთქვა. ახლა სხვანაირად ვფიქრობ. არის თურმე ცხოვრებაში წუთები, როცა ერთადერთი გამოსავალი თვითმკვლელობაა. თავს არავის ვაცოდებ, ბატონო. მე რაც მჭირს, ალბათ, ჩემი ბრალია, მაგრამ რომ ჩავუკვირდები, არც მთლად ჩემი ბრალი ჩანს. მე, ჩემის მხრივ, ცდა და გარჯა არ დამიკლია, მარა ვერ ავაწყვე ცხოვრება. ხომ არის ხანდახან – არ გამოვა, არ აეწყობა. გინდა მჯილით მიაწექი და გინდა რქებით. დედ-მამა არ მახსოვს. საწყლები ერთად წასულან ამ ქვეყნიდან. მამაჩემი მონტიორი ყოფილა და თავის სახლში, სამზადში დენი რომ გაყავდა, დაურტყამს და ჩაუხვევია, დედაჩემს უფიქრია მივეშველებიო და შიშველი ხელით სცემია მავთულს. ერთად გაუსვენებიათ ორივე. სამი წლისა დავრჩი ობლად. ჩემმა აპეკუნმა – დეიდის ქმარმა, თხუთმეტ წლამდე შემინახა, მერე სახლი გამიყიდა, შენს გაზრდაში ამდენი დამეხარჯაო, იანგარიშა, ნახევარზე მეტი თვითონ ჩაიჯიბა და იმ ერთოთახიან ბინაში, სადაც თქვენ ბრძანდებოდით, თაგვი რომ კუდს ვერ მოიქნევს, ჩამტოვა. დავამთავრე ავტოტექნიკუმი დაუსწრებლად. თან ფაიფურის ქარხანაში მეყალიბედ ვმუშაობდი და თან ვსწავლობდი. რადიოს ფაბრიკაში გამანაწილეს დანადგარების ტექნიკურ ზედამხედველად. ათი წელი იქ მოვათავე. ხელფასზე ვიჯექი რასაკვირველია. უშნო თავმოყვარე რომ იქნება კაცი; საამქროს გამგემ (იმ დღეს გლახა გუნებაზე იყო) შე ბოთევო, დამიძახა, რაღაც არ მოეწონა, ერთი დაზგა არ მუშაობდა, ჩემით ვახლაფორთებდი, ჩამოსაწერი დაზგა იყო. უნდა მომეთმინა, რასაკვირველია მარა ნერვებმა მიმტყუნა და რადიო ვესროლე თავში, პატარა ექვსმანეთიანი რადიო რომაა. მეორე დღესვე მომხსნეს სამსახურიდან. წამოვედი და დავიწყე ახალი სამუშაოს ძებნა. მოხსნილს, ხომ იცი, ყველგან სხვანაირად უყურებენ. ბოლოს, შევეცოდე ღვთიან-მადლიან კაცს – გამტარების კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს და ლაბორანტად დამნიშნა. ექვსი წელი იქ ვიმუშავე და ახლაც იქ ვიქნებოდი. არ ვიყავი სამსახურის უკმაყოფილო. ლაბორანტობა წყნარი საქმეა. ახლაც იქ ვიქნებოდი-მეთქი, მაგრამ შტატების შემ-

ცირებაში მომაყოლეს, ახლა აგერ მეორე თვეა. სამი ლაბორანტი შეგვამცირეს, გვპირდებიან რაღაცას მარა როდის იქნება. სანამ რამეს გამოგვიძებნიდნენ, ჭამა გვინდა თუ არა, არავის აწუხებს. არ მესმის, რანაირად შეიძლება, დილით, სამსახურში მოსულ ადამიანს – შეგამცირეთო, გამოუცხადო. რა ქნას, სად წავიდეს, არ უნდა უთხრა? უდანაშაულოდ კაცის ქუჩაში გაშვება შეიძლება? არ ვიყავი ცუდი ლაბორანტი, ორჯერ მადლობაც მქონდა მიღებული, მარა დირექტორსაც ვერ ვამტყუნებ. შეამცირე ლაბორანტებიო, უთხრეს და რა ექნა იმასაც.

უფხო და უგერგილო დამბადა გამჩენმა და სამსახურის საქმე ხომ ასე წავიდა, ოჯახიც ვერ ავაწყე. გოგო მიყვარდა სკოლიდან და ცხვირწინ გამითხოვდა. ნათქვამი გვქონდა პირობა ერთმანეთისთვის, სახლშიც დავდიოდი, მისმა მშობლებმაც იცოდნენ. მე ტექნიკუმის მესამე კურსზე ვიყავი, თვითონ ლითოფონის ქარხანაში მუშაობდა. გათხოვდა უცებ. რას გაუგებ ქალს, რა ბზიკმა უკბინა, რა ვიცი. რაკი ასე დავმარცხდი სიყვარულში, სიმართლე გითხრა, დაოჯახებას არ ვაპირებდი. ოთხ წელიწადში ჩემს ყოფილ შეყვარებულს ქმარი მოუკვდა, ავარიაში მოყვა საცოდავი. ერთი წელი იგლოვა და მერე ქე გამომყვა ცოლად. ბავშვი არც ჩემს ხელში შეძენია. შარშან ლითოფონს თავი დაანება და ქვიტირის გზაზე ღამის სკოლაში ხატვის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. თურმე გაყიდული ვყავარ თხასავით. სანამ მე ეჭვს ყურს მივუგდებდი და მითქმა-მოთქმას დავიჯერებდი, ადგა ეს ჩემი ცოლი, გეიქცა სახლიდან და ღამის სკოლის ქიმიის მასწავლებელს გაყვა... ცოლ-შვილი დაატოვებია იმ კაცს. ქალია ახლა მაგი? სამი კვირის ამბავია ეს ამბავი. ჯერ განქორწინებაც არ გაგვიკეთებია.

დავრჩი ასე, ქაჯანა ბატონო, უცოლოდ და უსამსახუროდ, უსაშველო და არავის რომ არ დამართნია ისეთი არაფერი მჭირს, მარა ჩემს, ისედაც დაწყვეტილ ნერვებს დააწვა ეს ყველაფერი და გავნახევრდი კაცი. იმ დღეს იატაკს ვრეცხავდი, ვალაგებდი ვითომ, სახლს, ჩემი ჭკუით. კაკტუსს, გოდოუშენდა მაგას მომგონი, წყალს დავუსხავთქვა, გადაკოჩა ფიცარმა და ქე გადმოგორდა ის ქოთანი, ის უპატრონო, რაღა

ჩემდა იღბლად, შენ გამეიარე მაინცდამაინც იმ წუთში. ა, ეს იყო სულ. რატომ მოვედი შენთან? გულგრილ და ფეხზემ-კიდია კაცად რომ არ ჩამთვალო, სხვა არაფერი.

ორივენი კარგა ხანს სდუმდნენ.

ქაჯანა აფაქიძეს ყელში რაღაც აწვებოდა და ბაკურაძის მოგუდული თითქოსდა გატეხილ სალამურში გამოტარებუ-ლი ხმით ნათქვამი აღსარება გულ-მუცელს უწვავდა. მარტო სიბრალულს კი არ გრძნობდა, ეს რაღაც მეტი იყო; თანა-გრძნობაც, შემწეობის სურვილიც, მეინახის სიყვარულიც – ყველაფერი გაერთიანდა. დამნაშავედაც გრძნობდა თავს ბადრის წინაშე. ეგონა, რომ მის თავზე დატრიალებული ავი ბორბლის ღარში წყლის მიმშვებთაგანი თვითონაც იყო.

– წავალ ახლა მე, – ბაკურაძე წამოდგა – არ შემაგინო, თუ ძმა ხარ: ჩემზე გლახა რამ არ ჩაიდვა გულში. ხვალაც ამ თვისაა. ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს.

– რავა გეკადრება. შენ სხვა საქმეს მიხედე. ამის დარდი ნუ გექნება. ხვალ დილას მივალ ციკოლიასთან და დავახ-ევინებ იმ აქტს. ავუხსნი ყველაფერს, – ჭიშკრისკენ წასულს ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ქაჯანა.

– თუ ძმა ხარ, მაგას ნუ იზამ. სხვანაირად იფიქრებენ, – შეეხვეწა ბაკურაძე.

მეორე დღეს ქაჯანა სამსახურში არ წასულა. ავტობუსის გაჩერებასთან შეკრებილ მელიორატორებს თავს წაადგა და სთხოვა უფროსისათვის გადაეცათ, რომ დღეს გადაუდებელი ოჯახური საქმის გამო სამსახურის გაცდენა უწევდა.

ზემდეგი ციკოლია ადგილზე აღმოჩნდა. აფაქიძემ დიდი ბოდიშის მოხდითა და დამორცხვებით აუხსნა, რომ ბადრი ბაკურაძეს აღარ უჩივის და სახელმწიფოს წარმომადგენელს სთხოვს, გააუქმოს გუშინ შედგენილი აქტი. ციკოლიამ ულ-ვაში ქვედა ტუჩში მოიქცია და ერთხანს იწიწკნიდა კბილებით შავი, მეჩხერი ულვაშის ბოლოს. მერე დაზარალებულს ახედა და უსაყვედურა:

– გუშინდელი ბავშვი არ ჩანხარ, ამხანაგო აფაქიძე და მეტი არ იცი, მოწმეების და მილიციის თანამშრომლის ხელმოწ-ერილი აქტის დახევა რომ არ შეიძლება? სხვათა შორის, მე ვიცოდი, დღეს რომ შენ მოხვიდოდი და ამას მეტყოდი. რა

უბედურება გვჭირს, გამაგებინეთ. მარტო ბაგრატისეულში ხართ ასე გულჩვილი ხალხი? მეორე წელია თქვენთან ვმუშაობ და საქმის ბოლომდე მიყვანას დიდი ვაინაჩრობით ვახერხებ. ყველა ერთმანეთის ნაცნობი და მოკეთეა, შეიძლება ასე? თუ იმ დღეს, იმ წუთას დაიჭერ კაცს, თვარა მეორე დღეს მთელი ქვეყანა დაგესევა და პირველ რიგში დაზარალებული წაგიჭერს კისერში ხელს. შენ იოლი გგონია ეს, ყველაფერი? შენ, კი, ბატონო, აპატიე ბაკურაძეს ქოთნის თავში დარტყმა, მარა, შენ გგონია სხვებმა, გამვლელებმა აპატიეს? შენ გგონია, ის ორი დარბაისელი მოწმე არ იკითხავს, რა უყავით ქოთნის გადმომგდებსო? შეიძლება ხუთი თვის მერე სამმართველოში შევიდეს ანონიმური წერილი: „ამა და ამ დღეს“, რა ქუჩა იყო?

– კიკვიძის.

– ამა და ამ დღეს, კიკვიძის ქუჩაზე, ესა და ეს ფაქტი მოხდა და ზემდეგმა ციკოლიამ ხელი დააფარაო. ხელის დაფარებას ჩვენთან, ხომ იცი, უმეტეს შემთხვევაში, ქრთამის აღებით ხსნიან.

– კი, მაგრამ კაკტუსი ხომ მე დამეცა? სხვას არავის. მე არ ვჩივი. დაგიწერთ ახსნა-განმარტებას. – შეწუხდა ქაჯანა.

– ვერ გაიგე? შენ დაგეცა, მარა შენს გარდა იქ ოცზე მეტი მოქალაქე მოგროვდა, რომელიც აღშფოთებული გაჰყვიროდა: – ხომ შეიძლებოდა, მე დამცემოდაო. გესმის ახლა? მე არაფერი შემიძლია. დაწერე ა, ბატონო – ქაღალდი და კალმისტარი გაუწოდა, – ვაჩვენებ უფროსებს და, როგორც იტყვიან, ისე იქნება.

ქაჯანამ დაწერა: – ქოთონის მსუბუქი ნატეხი დამეცა, კაცმა რომ თქვას, მაინცდამაინც არც მიგრძვნია. თავს მშვენივრად ვგრძნობ და ბადრი ბაკურაძეს არ ვუჩივი. გთხოვთ გუშინწინ შედგენილი აქტი გააუქმოთო.

ზემდეგმა კარგა ხანს ატარა კაბინეტებში ბაკურაძის საქმე, ბოლოს, საღამოისპირს შემოირბინა და ჩათვლემილ ქაჯანას ახარა:

– ხუთ თუმან ჯარიმას გადიხდის ხვალ შენი ბაკურაძე და თავისუფალი იქნება. ესეც დიდი პატივისცემაა, რომ იცოდე. მეტი არაფერი მოუხერხდა.

– სადა აქვს ხუთი თუმანი იმ საწყალს, – ჩაილაპარაკა აფაქიძემ და წამოდგა.

– იშოვის, ნუ გეშინია... მთლად ისე ამოწყვეტილი რავა იქნება, ხუთი თუმანი ვერ იშოვოს, – ზემდეგსაც სინანულგარეული, პატრუქდაწეული ხმა ჰქონდა.

კარი რომ არავინ გაუღო, მეზობელს დაუკაკუნა.

რკინიგზელის ფორმიან, ჭაღარა კაცს ქაღალდი სთხოვა.

ჭაღარა შეტრიალდა, ქაღალდი გამოუტანა; სახლში იქნება ბადრი, გარეთ იშვიათად დადის. შეიძლება აბაზანაშია და ვერ გააგონეთო, უთხრა და კიბე ჩაირბინა.

შეიძლება მართლა ასე იყო, მაგრამ ქაჯანას მეტჯერ არ დაუკაკუნებია.

კიბის მოაჯირს ჩამოეყრდნო და დაწერა:

„ბადრი, ციკოლიას ბევრი ვეხვეწე, მაგრამ მთლად პატიება არ შეიძლებაო. მე მგონი, მართლა არ შეიძლება. ხვალ დილით მიხვალ მილიციაში. ჯარიმის ქვითარს გამოგიწერენ. ამ ხუთ თუმანს გადაიხდი და თავისუფალი ხარ. ეს საქმე ამით დავამთავროთ. საერთოდ გულს ნუ გაიტეხ. ჩემთან ხშირად გამოიარე, ვილაპარაკოთ. ქაჯანა აფაქიძე“.

წერილში ხუთი ათმანეთიანი შეხვია და კარის ღრიჭოში ქვემოდან შეაცურა.

ორიოდე წუთის შემდეგ კიკვიძის ქუჩას მსუბუქი ნაბიჯით წელში გამართული მოუყვებოდა მელიორატორი ქაჯანა აფაქიძე.

ივნისის ქარიანი საღამო იყო. ქარი ბაგრატისეულში, სულ ცოტა ერთკვირიანი მაინც იცის.

უფინალო ნოველა

ნანა კარებშივე ალაპარაკდა.

– შლაპიანი მოხუცი ქალი. ოციანი წლების ყოფილ ბალერინას ჰგავს, პენსნე უკეთია და თვალებზე აბრეშუმის შავი ბადე აქვს დაშვებული.

კაცმა მხრები აიჩეჩა:

– ალბათ სტუმარია.

– თქვენ რომელზე-მეთქი, ქალბატონო, არ მიპასუხა. მე რომ მეხუთეს დავაჭირე, პენსნეთი დააკვირდა ღილაკს. დამდურებულივით მიცქეროდა.

– მაღლა ავიდა?

– კი, რომელზე ვერ გეტყვი.

ნანამ ასე იცოდა. სალამს კი არ იტყოდა, პირდაპირ საუბარზე გადადიოდა. სანდრო უკვე შეჩვეული იყო, შემოვიდოდა ნანა და, ან იმით იწყებდა, თუ როგორ აეკიდა ტროლეიბუსში ვიღაც „იდიოტი“, ან იმით, რომ დღეს უსაშველოდ გრძელი დღე იყო და ლექციების დამთავრებას საშველი არ დაადგა, ან იმით, რომ პალტოში ძალიან ცხელა და ხალხის რომ არ რცხვენოდეს, სიამოვნებით ივლიდა მოსასხამით ამ შუა ზამთარში. მერე პალტოს ან ჩექმებს მიყრი-მოყრიდა. სანდროს ხალათს და შლოპანცებს ჩაიცვამდა, დივანზე მოკალათდებოდა, ტელეფონს მუხლებზე დაიდებდა და სამ-ოთხ მეგობარს მაინც დაურეკავდა, რომ სანდროსთან არის და თუ დედაჩემმა დარეკოს, უთხარი ჩემთან იყო და ამ წუთში წამოვიდათქო. „მერე მაშინვე დამირეკე, გესმის? წავედი“, დააყოლებდა, ჭერს ახედავდა, ესეც ეგრეო, იტყოდა, დივანზე თავდაღმა, ლამაზად გაწოლილი, ჩანთას გადაუწვდიდა ხელს, სიგარეტს და სანთებელას ამოიღებდა, სიგარეტს გააჩაღებდა, გაზეთს ცალ გვერდს აახევდა, ძაბრივით საფერფლეს გააკეთებდა და გააბოლებდა.

მეორე წელია სანდრო ამ დროს, ერთსა და იმავეს ეუბნება:

– აკი ხვალიდან აღარ მოვწევო?

– გეხვეწები, ამ ერთხელ. ხვალიდან მართლა აღარ მოვწევ.

სანდრო ადგებოდა, კარადის თავზე დადგმულ საფერ-ფლენიჟარას აიღებდა, მიუახლოვდებოდა, საფერფლეს სკამზე დაუდებდა და ხუჭუჭა თმაზე მოუქიჩავებდა, მოეფერებოდა.

მაგრამ იმ დღეს გოგონამ მასპინძელს უგუნებობა შეატყო და ლიფტში დამგზავრებულ მოხუც ქალზე საუბარი უცებ შეწყვიტა, პალტო გაიხადა, ჩანთა დივანზე მოისროლა, სკამი გამოსწია, მუშტებს ლამაზი ნიკაპი დააყრდნო და სანდროს თვალებში შეხედა.

– რა მოხდა?

– მამაშენი იყო ჩემთან.

– როდის? სად?

– სამსახურში დღეს, ასე თორმეტისკენ იქნებოდა.

– მარტო იყო?

– მარტო.

– რაო?

სანდრომ თითები მაგიდაზე აათამაშა, ნანას თვალი შეავ-ლო და განზე გაიხედა.

– რას მეტყოდა.

ქალიშვილმა სიგარეტს მოუკიდა და საფერფლის კიდეს ჩა-მოადო.

– დაწვრილებით მომიყევი.

– შენ არ გითქვამს, რომ მამაშენმა ყველაფერი იცოდა.

– იცის. დაურეკეს.

– ვინ დაურეკავდა?

– რა მნიშვნელობა აქვს. ჩვენი ამბავი მთელმა ქალაქმა იცის. მერე?

– მოვიდა ის კაცი. ოთახიდან გამომიხმო. ქვევით ბაღში ჩავედით. მე ხომ ნანახი არ მყავდა, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ მამაშენი იყო.

– ?

– გგავს რაღაცით. წარბებით მგონი.

– მერე? – ნანამ სიგარეტი აიღო, ნაფაზი დაარტყა, გადაფერფლა და ისევ საფერფლეს ჩამოადო.

– მეო, ყველაფერი ვიციო. ვატყობდი, ლაპარაკი უჭირდა. დაღლილი, ნაწამები სახე ჰქონდა. რა მინდა ახლა აქ რომ მოვედიო, თუ ძმა ხარ, ქვეშ გამომსვლელ კაცად არ ჩამთვალო. მე ჩემს წრეში ვაჟკაცად მიცნობენ და ერთ სიკვდილს ვათავებ, ახლა რომ გელაპარაკებიო. შენ რას გემართლები, კაცმა რომ თქვას, მე ჩემსას უნდა მოვუარო. მაგრამ რა ვქნა, შვილს ვერ მოიკვეთ თურმე, ძნელი ყოფილაო. არადა, მთელი ოჯახი გადავყევით, მაგრამ არაფერი გაგვივიდაო. ისიც ვიცი, რომ ცოლშვილიანი ხარ და ისიც ვიცი, რომ შენს შვილებზე მზე და მთავარე ამოგდისო. მე საპრეტენზიო არაფერი მაქვს, ა, ორი კაცი ვართ აგერ, იქნებ როგორმე მოვუაროთ ამ საქმესო. ეს სიტყვები ისე მიაყარა ერთმანეთს, რომ სიტყვის ჩადგმა არ მაცალა. ვერც ვიკადრებდი და მაიმუნობაც იქნებოდა, რომ დამეწყო: როგორ გეკადრებათ, ეგ სიცრუეა, თქვენ ქალიშვილს ხეირიანად არც ვი კიცნობ, მონაჭორია ყველაფერი-მეთქი. ხომ მართალი ვარ?

– მერე?

ნანას ფართო შავმაყვალა, გრძელწამწამებიანი თვალები გამალებით მოძრაობდნენ. მზერა სანდროს ხელებიდან მხრებზე, ტუჩებზე, თვალებზე გადადიოდა. მოჩვენებით სიმშვიდეს, ნანას რომ ფარად ეხმო, სწორედ რომ შეშფოთებული თვალები ამხელდნენ.

– რა მერე, ვიჯექი და ვუსმენდი. იგი ჩემთან დასატუქსავად ან ჭკუის სასწავლებლად კი არ მოსულა. ასე რომ ყოფილიყო, გავლიზიანდებოდი და მეც რაღაც პოზიციას დავადგებოდი. შვილი მეღუპებაო, მითხრა. აბა შენ წარმოიდგინე, ჩემ მდგომარეობაში შენი თავიო. მე ჩემი გითხარი და აწი, როგორც სინდისმა გაგიჭრასო, ადგა და წავიდა.

– შენ არაფერი გითქვამს?

– კი. რაღაც გაურკვეველი... აღარ მახსოვს... ყოველ შემთხვევაში მომეჩვენა, თითქოს, ჩემს სიტყვას მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. რა ვქნათ?

ნანა ყველაფერს ელოდა ამ შეკითხვის გარდა. ნუთუ დღემდე გარკვეული არ იყო, რაც უნდა ექნათ. იგი წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და შემოუტრიალებლად თქვა.

– ვიცოდი, რომ მოვიდოდა. სამ თვეზე მეტი იქნება, რაც მე იმ სცენებს ვუძლებ, რამაც შენ პირველივე დღეს ასე შეგაშფოთა. ყოველ დღე ნატაციებს მიკითხავენ. დედაჩემმა გუშინწინ შენი საყვარელი „ბანანები“ დამიჭრა და კარებში გასულს ტუფლი მესროლა, მაგრამ მე შენთვის ერთი სიტყვაც არ მითქვამს.

– ამას რატომ მეუბნები? მეც არ უნდა მეთქვა?

– რა ვიცი, – ნანა მობრუნდა და ნერვიული ნაბიჯით წამოვიდა სანდროსკენ, მხრებზე ხელი დაადო, დაიხარა და თვალებში ჩახედა. მათი ტუჩები ლამის ეხებოდნენ ერთმანეთს – სალაპარაკოდაც არ ღირს-მეთქი ყველაფერი ჩვენს სიყვარულთან შედარებით. მე ყველაფრისთვის მზად ვარ, სანდრო. დედა იმისია, რომ შეიცხადოს და „ბანანები“ დამიჭრას, დამამწყვდიოს და სახლიდან არ გამომიშვას, მამა იმისია, რომ ჩემ „გადასარჩენად“ რამე იღონოს. გარეგნულად ხომ საზიზღრად ჩანს: მე ოცდაერთი წლის გოგო შენი, ორმოცდახუთი წლის ცოლშვილიანი კაცის, საყვარელი ვარ. ასე რომ, მე ძალიან კარგად მესმის ჩემი მშობლების.

– და ჩვენ ვალდებული ვართ ანგარიში გავუწიოთ.

– რაში გავუწიოთ ანგარიში, სანდრო, სიყვარულში? ეს მხაზველობითი გეომეტრიის ფრიადზე ჩაბარება, ან სარეცხის გაწურვაში მოხმარება კი არ არის. მთელი ცხოვრების აზრია. შენ არ მითხარი? ან რა შენი თქმა მინდოდა, მე თვითონ ვერ ვგრძნობ? მელაპარაკებიან სახლში გაუთავებლად, დააბიჯებს წინ და უკან მამაჩემი და მაგალითები მოჰყავს, როგორ დაღუპა მავანი და მავანი, როგორც თვითონ ეძახის, ბავშვურმა გრძნობამ. აკაწკაწებს კბილებს დედაჩემი, ქვად მქცეოდი მუცელში და შენ არ გამეჩინეო. ხანდახან, თითქოსდა, მეც ვირწმუნებ, რას ვერჩი ამ ხალხს-მეთქი. ვზივარ და ყველაფერი მჯერა. პირობასაც ვაძლევდი ადრე, რომ ხვალიდან არ გნახავდი. მერე? დამთავრდება ლექციები და არც კი ვიცი, როგორ აღმოვჩნდები ხოლმე შენს კარებთან. ერთი რამ ვიცი, მთელი ქვეყანა რომ წინ გადამიდგეს, მაშინ, როცა ტროლეიბუსში ვჯდები და შენკენ მოვდივარ, ვერ დამაკავებს. ამ ბოლო დროს მიხვდნენ, რომ არაფერი გამოვა და

თავი გამანებეს. აკი მამაჩემსაც უთქვამს. ახლა იერიში შენზე მოიტანეს. ბოლოს ყველაფერში დარწმუნდებიან და შენც მოგეშვებიან.

სანდრომ კისერი გაინთავისუფლა, ხელისგულები დაუკოცნა, სკამზე დასვა და თავის ადგილს დაუბრუნდა.

– არც ასე იოლადაა საქმე. ცოტა უნდა დავფიქრდეთ, რაღაც-რაღაცეებს ანგარიში უნდა გავუწიოთ.

ნანამ კვლავ მუშტებს დააყრდნო ნიკაპი.

– შენ მე გიყვარვარ, სანდრო?

– ძალიან.

– ჰოდა, მორჩა და გათავდა. სიყვარული განსჯას და ბჭობას ვერ იტანს.

– სიცოცხლეს რომ მირჩევნიხარ, სწორედ იმიტომ მინდა ყოველთვის კარგად იყო.

– რას მთავზობ ჩემი კარგად ყოფნისთვის, ბატონო სანდრო?

ბოლო ორი სიტყვა ნანამ გაღიზიანებული ხაზგასმით წარმოსთქვა.

– ნუ ბრაზობ. თუ გჯერა ჩემი, მომისმინე.

– გისმენ, ნაფიცი მოწაფესავით.

– შენ იმდენად საყვარელი გოგო ხარ, რომ ჩემსავით კისერგასიებული, თმაგაცვენილი, უწარბო კაცისთვის არც კი მემეტები. მე შენ იმდენად მიყვარხარ, რომ შენ რომ რამე გაგიჭირდეს, თავს მოვიკლავ.

– სენტიმენტების გარეშე მითხარი.

– მე არაფერი წინადადება არა მაქვს. შენს თავს ვფიცავარ, მეც ისე ვარ მთვრალი შენით, რომ განსჯის თავი არა მაქვს, მაგრამ რაღაც უნდა მოვიფიქროთ. ეს შენთვისაა საჭირო, თორემ ჩემი თავი ჯანდაბას. მე არც მომავალი მაქვს და არც ხვალინდელ დღეზე ვფიქრობ.

– მამაჩემი სანამ გნახავდა, არ ფიქრობდი ჩემს მომავალზე?

– ვფიქრობდი, რატომ მელაპარაკები ასე გამომწვევად?

– ვიჩხუბოთ, სანდრო? – ნანას ტუჩები უთრთოდა.

– არა. ვილაპარაკოთ. ბოლოს და ბოლოს, შენ უნდა გათხოვდე და შენს გზას ეწიო.

ნანა წამოდგა. ხელები თოჯინასავით გააქან-გამოაქანა, გაიცინა და სარკესთან დადგა.

– დიდი მადლობა ზრუნვისათვის, სანდრო. საქმროს შერჩევაშიც ხომ არ დამეხმარებოდი?

– აი, ხომ ხედავ, შენთან ლაპარაკი არ შეიძლება. ვიტყვი, რაც სათქმელი მაქვს და მერე, როგორც შენ გსურს, საერთოდ, ისე მოვიქცეთ. მე შენ მიყვარხარ, გესმის?

– ეგ სიყვარულის ხმა არ არის, სანდრო.

– სწორედ რომ სიყვარულისაა.

– შენ შარშან, გუშინ ამ დროს, ასე არ ლაპარაკობდი.

– დღეს მამაშენი იყო-მეთქი ჩემთან. ჩვენ ორივენი მამაკაცები ვართ.

– კეთილი, მამაჩემი ყველაფერში მართალია. მამაჩემს სურს შენ ჩამოგშორდე, ცოტა ხნის შემდეგ, როცა, როგორც თვითონ ამბობს, ყველაფერი გამივლის, მოვძებნო ვინმე ჩემი შესაფერისი და გავთხოვდე, მაგრამ შენ? შენ შეგიძლია მშვიდად იყო იმ დროს, როცა მე ქორწილის ცერემონიალს გავითამაშებ, როცა გრძელი, თეთრი კაბით და თაიგულით სხვის გვერდით საქორწინო სახლის კიბეზე ავალ?

– ჩემთვის ეს ძალიან მძიმე იქნება, მაგრამ უნდა გავუძლო.

– შენ ხომ არ გაგიჟდი, სანდრო, ამას შენ ამბობ? რას უნდა გაუძლო, მე რომ სხვის საძინებელ ოთახში ჩემი ფეხით შევალ? ეს შენ არ მეკითხები ყოველდღე, ამ და ამ საათიდან და ამ წუთიდან სად იყავიო? შენ არ გიწითლდება ყურები, მე რომ ქუჩაში ვაჟს მივესალმები და ყელში მოწოლილი ბოღმით არ მეკითხები, საიდან იცნობო?!

– დამშვიდდი, ნუ ყვირი. ეგ ყველაფერი ეგრეა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს.

– რა ბოლოს და ბოლოს?

– შენ ჩემი თაობის გოგო არა ხარ. მე, ხვალ თუ ზეგ, დავბერდები.

– ეგ შენი სიტყვები არ არის, სანდრო. შენ ხვალ დაბერდები თუ ზეგ, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მე ახლა, ამ წუთში ბედნიერი ვარ შენთან და სხვაზე არაფერზე ვფიქრობ.

– მაგრამ შენ ხომ მთელი ცხოვრება წინა გაქვს.

– მიჩუქნია შენს მიღმა დარჩენილი მთელი ცხოვრება იმ-ისთვის, ვისაც ძალიან უნდა.

– უფრო კონკრეტულად ვილაპარაკოთ. ჩემთან შენი ურთ-იერთობა, თავიდანვე გითხარი, უპერსპექტივოა.

– რა პერსპექტივაზე ლაპარაკობ. მე შენ მაღაზიაში არ მიყიდიხარ და არც მოლაპარაკებების დრო გვქონია. მე შენ-თან ყოფნა მინდა და ვარ.

– მაგრამ ხვალ? როცა წლები გაირბენს და რაღაც-რაღაცე-ბი შენთვისაც გვიან იქნება?

– ნუ მაშინებ, სანდრო, გეხვეწები. როდის გახდი შენ ასე საზიზღრად ჭკვიანი და პრაქტიკული.

სანდროს თვალზე ცრემლი მოადგა, მან მშვენივრად იცოდა, რომ სისულელეს ამბობდა, მაგრამ უკანდახევა არ შეეძლო.

– შენთვისვე, ჩემო ძვირფასო.

ნანა წამოხტა, უკნიდან შემოუარა და თვალებზე ხელი ააფარა.

– ძალიან გთხოვ, მითხარი, რომ ხუმრობ!

– მე არ ვხუმრობ, ნანა.

ქალიშვილი დივანზე დაემხო და აქვითინდა.

– მე ვიცი, ახლა გძულვარ, მაგრამ ოცი წლის შემდეგ ამ დღის მადლობელი იქნები. ეს მე მივდივარ სასიკვდილო მსხ-ვერპლზე შენი გულისთვის.

– არა! არა! არა!

ნანამ მუთაქას ხელები დაუშინა.

– დაწყნარდი. ესა ხარ სუულ? აკი ყველაზე ჭკვიანი გოგო ვარო, – სანდრო დივანზე ჩამოჯდა და აცახცახებულ მხრე-ბზე ხელით ჩამოჰყვა, – რა გითხარი ასეთი, მე შენს გვერდით ვარ, და არსად წასვლას არ ვაპირებ.

– შენ... როგორ შეგეძლო... თურმე ჩემს გათხოვებასაც შეეგუები.

– შევეგუები თუ არა, ეგ სხვა საქმეა. შენი მომავლისათვის კი ეს აუცილებელია.

– ვის? ვის? მე შენს იქით ვერავის ვერ ვხედავ. ყველა მამაკაცი ნერვებს მიშლის. მზადა ვარ ქუჩაში უტიფრად მო-ჩერებულს მივუბრუნდე და თვალები ამოვკორტნო!

– ეგ ახლა გეჩვენება.

ნანა წამოჯდა და თვალები თითებით შეიმშრალა.

– მე არც ისე პატარა გოგო ვარ, რომ რაღაცები მეჩვენებოდეს. ჩემი ტოლი ბიჭები ნერვებს მიშლიან.. დეგენერატებად მეჩვენებიან და მათთან, შენთვისაც ბევრჯერ მითქვამს, მკაცრი მასწავლებლის დამოკიდებულება მაქვს. მინდა ხანდახან ყური ავუწიო.

– ესეც დროის ამბავია. გაივლის.

– სანდრო, – ნანა ჭერს შესცქეროდა და კარგა ხნის შემდეგ მიაბრუნა თავი სანდროსკენ, – სხვებიც ასე ამთავრებენ? ასე ცუდად?

– ჩვენ არაფერს ვამთავრებთ. უბრალოდ ვსაუბრობთ, ხომ გითხარი. საერთოდ, შემთხვევათა მსხვერპლია ადამიანი.

– ეს როგორ?

– ჩვეულებრივად. ჩემი და და სიძე რომ ალჟირში არ წასულიყვნენ, ამ ოთახსაც არავინ დამიტოვებდა. თუ ეს ოთახი არ მექნებოდა, მე მგონი, შენც არ მეყოლებოდი.

– არ გამაგიჟო, ახლა რაღაც დიდი საშინელება წამოიწყე.

– როცა თავისუფალი ბინის გასაღები ხელთ მქონდა, მე შენ გამოგიგონე.

– ბატონო?

– სწორედ იმ თვალით შეგხედე ინსტიტუტის ვესტიბიულში, რის საშუალებასაც თავისუფალი ბინა და გასაღები მაძლევდა.

– უარი რომ მეთქვა და აქ არ წამოგყოლოდი?

– მაშინ, ალბათ, სხვას ვეტყოდი.

– სანდრო!

სანდრომ გაიცინა. გადმოატრიალა, თვალები დაუკოცნა.

– ჩემი სულელი გოგო. აი, რა ადვილად შეიძლება შენი გაგიჟება. ხომ იცი, როგორ მიყვარხარ. არაფერი არ დაიჯერო. მე შენთვის არაფერი მითქვამს.

ნანა მოშვებული იწვა. განძრევის თავიც აღარ ჰქონდა. ალერსს მარტო იმით პასუხობდა, რომ სანდროს ტუჩებს თავის ამობურცულ, კახაბალივით წითელ ტუჩებს შეაგებებდა ხოლმე.

სანდრო წამოდგა, ხალათი და შლოპანცები გამოიტანა და დივანთან დაუწყო.

– შედი აბაზანაში. შენთან ყოფნა მინდა.

არაბულ ტახტზე იწვნენ. ნანა სანდროს მარცხენა გვერდს ჩაჰკვროდა, მორგებულ-მიწებებულს სწორედ იმ ადგილას ედო თავი, სადაც კაცის გულისცემა ყველაზე მკაფიოდ ისმის ხოლმე. ქალიშვილს ყურში უბრაგუნებდა ვაჟკაცის მშფოთვარე დაღლილი გული. სანდროს მარჯვენა თავქვეშ ამოედო...

კაცმა მარჯვენა გაინთავისუფლა, სკამის საზურგეზე დაკიდებულ ელექტროსაათს მისწვდა და დახედა.

– გეჩქარება, რასაკვირველია – ძილბურანიდან თქვა ნანამ.

– შვიდზე შინ უნდა ვიყო.

– ფეხბურთია, რა თქმა უნდა.

– არა, ფეხბურთი არ არის. უნგრელი სტუმრები უნდა მეწვიონ.

– უნგრელები თუ არა, ჩეხები მაინც იქნებიან.

– მართლა, შენ თავს ვფიცავარ.

– ცოტა ხანს ვიყოთ, გეხვეწები, ოც წუთში წავიდეთ. რაღაც თავი მტკივა. დამაწყვიტე ნერვები.

– სულელი ხარ, შენთან ადამიანურად ლაპარაკი არ შეიძლება.

– რას ეძახი ადამიანურად ლაპარაკს?

– რატომ არ გესმის. რატომ გინდა ჩემი სიკვდილი. შენ რომ ცუდად იყო, ხომ იცი, თავს არ ვიცოცხლებ.

– კარგად რომ ვიყო, ამისათვის რა, დავუჯერო მამაჩემს და დედაჩემს?

– მე შენ კუბოს კარამდე მეყვარები, მაგრამ...

– რა მაგრამ, სანდრო? – ნანა წამოჯდა და პრიალა, სწორი შავი თმები უკან გადაიგდო.

– არ შეიძლება რაღაც-რაღაცებს ანგარიში არ გავუწიოთ.

– ისევ დაიწყე?

– ნანა, შენ ახლა ბავშვი ხარ. ხომ გეუბნები, დრო გაივლის და მერე, როცა ყველაფერი განელდება და ტკბილ მოგონებაში გადავა, პირველი შენ დამდებ ბრალს, რატომ შემიყოლიეო.

– რა განელდება, სანდრო? – ნანა გამშრალი ხმით ეკითხებოდა.

– ახლა შენ ამაზე ფიქრიც არ გინდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი ძველდება და ქრება. ერთ მშვენიერ დღეს შენ თვითონვე აღმოაჩენ, რომ თურმე უკვე მოგწყინდი.

– შენ? მე?

– ჰო, შენ რომ წიგნები წაგიკითხავს და კინოები გინახავს, უდროოდ შეწყვეტილი სიყვარულებია. სიმძაფრე, ცრემლი და დრამატიზმი სწორედ იმას ახლავს. აბა დაეხატა შექსპირს რომეოსა და ჯულიეტას სასიყვარულო ურთიერთობა მათი ქორწინების მეოცე წელს, ყველაფერი რომ ნორმალურად განვითარებულიყო? ეს იქნებოდა მთქნარების მომგვრელი, მოსაწყენი ამბავი.

– რატომ გავიწყდება, რომ მე ახლა ოცდაერთი წლისა ვარ და ჩემს გონებას ფიქრიც არ შეუძლია იმ სასიყვარულო სიბრძნეზე, რითაც შენ ასე გულმოდგინედ მაშინებ.

– ვიცი, მესმის, მაგრამ ცოტათი ხომ უნდა დამიჯერო.

– და რა გავაკეთო?

უნდა შეუშვა თავში იმის ფიქრი, რომ ყველაფერსა აქვს დასაწყისი და დასასრული.

– ვთქვათ დავიჯერე. ამით რა შეიცვლება?

– არაფერი... საერთოდ... გეცოდინება...

– მე რომ დავიჯერებ, სიყვარული თანდათან ნელდება და ქრება-მეთქი, ხომ იცი, იმ წუთიდან ცოტათი უფრო ნაკლებად მეყვარები. შენ ეს გინდა?

– არა, აი, მე მჯერა, მაგრამ ამის გამო „ცოტათი უფრო ნაკლებად“ არ მიყვარხარ.

– გახსოვს? შენ ერთხელ მითხარი; სიყვარული თანდაყოლილი თვისებააო, სიყვარულის ნიჭი ყველას არ დაყვებაო. ადამიანთა საკმაოდ დიდი ნაწილი თავიდანვე განწირულია უსიყვარულობისთვისო. მართლა ასეა?

– კი.

– მერე მე ხომ ბედნიერ უმცირესობათა შორის ვარ. მიყვარხარ და რატომ გინდათ შენ, მამაჩემს, დედაჩემს – ყველას, ვინც ჩემ ირგვლივ ტრიალებთ, დამიპატარავოთ, გამიქა-

რწყლოთ, პრაქტიკული სისულელეებით დამინაგვიანოთ ეს წარმოუდგენელი ბედნიერება – სიყვარული?

– ამის გაქარწყლებას ვერავინ შეძლებს. ჩვენ უბრალოდ გვინდა გაგახსენოთ, რომ სიყვარულის გარდა არსებობს, იქნებ არც ისე მთავარი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი რამ – ცხოვრება.

– განა სიყვარული ცხოვრება არ არის?

– სიყვარული რაღაც უფრო მეტია. უფრო სწორად, ცხოვრება სიყვარულის გარდა ისეთ წვრილმანებსაც მოიცავს, როგორიცაა „სასურსათო პროგრამა“ და ლატარიის ბილეთი.

– მაგით რა გინდოდა გეთქვა?

– რაც მინდოდა, უკვე ვთქვი.

ნანამ დაამთქნარა და კედლისკენ შეტრიალდა. სანდრო ზურგზე მიეკრო. ქალიშვილის ტანი სასიამოვნოდ გრილი იყო.

– ნუ მიბრაზდები, თუ ჩემი სიცოცხლე ხარ. შენთან ყოველი შეხვედრის დროს ის ფიქრი მიღრღნიდა ტვინს, რომ არ მქონდა შენს ცხოვრებაში ასე ღრმად ჩარევის უფლება.

– სიყვარული და უფლება ერთმანეთს ხომ იცი, ვერ ეწყობიან.

– ეგ მართალია, მაგრამ შენ ისეთი ანგელოზი ხარ, ასე მგონია, მარტო შენს წინაშე კი არა, მთელი ქვეყნის წინაშე ვარ-მეთქი დამნაშავე.

ნანა გადმობრუნდა, ორივე ყურში ჩააფრინდა სანდროს და სახეში ჩასძახა:

– გეხვეწები, შეწყვიტე ეგ ლაპარაკი!

სანდრომ გაიცინა:

– ასე მგონია სანდრო კი არა, უცხო ვიღაც ხარ, გაზეთის მოწინავედან გადმოსული და მამაჩემის დარიგებული.

– ცოტა ასეც არის, მამაშენთან საუბრის შემდეგ, რაღაც ჩაწყდა ჩემს გულში, რომ იცოდე.

– შეგიძლია, სანდრო ერთი რამ შემისრულო?

– ჰო.

– ახლა მე ჩავიცვამ და ძალიან გთხოვ, სანამ წავიდოდე, არც ერთი სიტყვა არ მითხრა. არც ერთი სიტყვა. გადაბრუნდი და ჩემკენ არ გამოიხედო. ახლა შენი ხმა რომ კიდევ

გავიგონო, ყელის ძარღვს გადავიჭრი. ერთი დღისთვის ძალიან ბევრია. წავალ ახლა მე და ვიფიქრებ. არ შეგეშინდეს, სისულელეს არ ჩავიდენ. ხვალ, თორმეტ საათზე, დაგირეკავ და ყველაფერს გეტყვი.

ნანა აუტანლად დიდხანს იცვამდა. სანდროს მისკენ არ გაუხედავს. როცა კარმა გაიჭრიალა, წამოხტა.

კარებში გადეხვივნენ ერთმანეთს.

ლიფტი რომ ამოვიდა, ნანამ ხელი დაუქნია და ლიფტში გაუჩინარდა. სანდრომ ფანჯარა გამოაღო და ქუჩას დააჩერდა. ორ წუთში ნანა სადარბაზოდან გამოვიდოდა, ხელს დაუქნევდა და ტროლეიბუსის გაჩერებისკენ წავიდოდა. ნანას მაღლა არ ამოუხედავს, თავჩაქინდრული მიიჩქაროდა გაჩერებისკენ.

სანდრო შემობრუნდა, ხალათზე ქამარი შემოიჭირა და სარკეში ჩაიხედა.

თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

მინაწერი: ამ ნოველას ფინალი არა აქვს.

დამერწმუნეთ, თვითონაც არ ვიცი, რა იქნება ხვალ. რა გზას დაადგება ნანა, ან ინანებს თუ არა სამუდამოდ იმდღევანდელ საუბარს სანდრო.

გითხრათ სიმართლე, ცხოვრების ორომტრიალის შემყურე, მეც დავიბენი. თქვენ როგორ ფიქრობთ, როგორ აჯობებს ამ ორი ადამიანის სიყვარულის ხვალინდელი დღის გათენება ამ დაულაგებელ ცისქვეშეთში?

ჰოდა, როგორც თქვენ გაგეხარდებათ, ისე იყოს.

მე რომ ამ თავსატეხის ამოხსნა შემეძლოს, თქვენზე უკეთესს ვის ვეტყოდი.

თებერვალი

– გოგო, ადამიანურად გავლა არ შეგიძლია შეენ?

– რა იყო, ბაბუ?

– აბა, თექვსმეტი წლის გოგოს ასე ბრიგინ-ბრიგინით სიარული გამიგონია?

– მეჩქარება, ბაბუა, ოთხზე სკოლაში უნდა ვიყო.

– რა გინდა ოთხზე სკოლაში?

– შეხვედრა გვაქვს.

– სულ რავა გეჩქარება. შეხვედრა გუშინ არ გქონდათ?

– გუშინ რეპეტიცია გვქონდა, ბაბულია.

– ციალა!

– რა იყო?

– ნელა იარე, შე გადარეულო, ამომაგჯა გული. ნუ გეშინია, არ გაგექცევათ შეხვედრა არსად.

ციალა შეჩერდა, ჩანთა მარცხენა ხელში გადმოიტანა, ცვილისფერი პალტოს ჩაბრუნებული საყელო ნიკაპთან ამოაცოცა, ქუსქუსით მომავალ ბაბუას გამოხედა და ზუსტად ისე მოიქცა, როგორც მისი ასაკის გოგონებმა იციან წყენის გამოხატვა: მუხლებში ორჯერ ოდნავ ჩაიკეცა და გაიმართა

თებერვალი იწურება.

ზამთარმა კუდი მოიქნია და მესამე დღეა ყინავს.

თვის დასაწყისში მოულოდნელად დათბა. თოვლი სწრაფად გაადნო და ღობისძირებსღა შეატოვა ზამთრის მოგონებად. გოჭოურას უასფალტო შესახვევებში თოვლ-ჭყაპი გამეფდა. გუბეები და სარდაფები წყლით აივსო. ფეხით მოსიარულეთათვის ყველაზე უსიამოვნო დღეები დადგა და აი, ამ ბოლო დროს, ყინვამ მოუჭირა. გუბეებს თხელი გამჭვირვალე აპკი გადააკრა, მაგრამ ყინულის სქელ ფენად ვერ აქცია. ფეხის დადგმისთანავე ყინული იბზარება და წყლით იფარება. მანქანებითა და კარეტებით დახაზული მიწა გააქვავა და, მართალია, ტალახით მოსვრის საშიშროება აღარ არის, მაგრამ

დიდი სიფრთხილე გმართებს, ფეხი არ დაგიცდეს და ყინულს შენი სხეულის ნაწილები არ დაახატო.

დიდი სამამულო ომის ვეტერანი ეპიფანე ლომსაძე თავის „გადარეულ“ შვილიშვილს ფეხდაფეხ მიჰყვება და ისე ტუქსავს, რომ სხვა გამვლელებმა ვერაფერი შეამჩნიონ, ხოლო ციალა ზოგჯერ შეჩერდეს, მუხლები შეატოკოს და ბაბუას იძულებულის სახით დაელოდოს.

ეპიფანე ნაბიჯს არ უჩქარებს, თავმოყინულ გუბეს შემოუვლის. მოლიპულ მიწას ფეხით მოსინჯავს, ხომ არ სრიალებსო, და მიუხედავად ციალას ბუზღუნისა, დინჯად, მძიმედ მიაბიჯებს. მისი ასაკის კაცებს აღარ შეჰფერით („აღარ შეჰფერით“, იქნებ მთლად ზუსტი გამოთქმა არ იყოს) ლაღი და გაბედული სიარული, როცა შენი მუხლების იმედი გაქვს და თუ წაიქცევი, არც ამით დაგიშავდება რაიმე.

ეზოებში ნაზამთრი მამლები ძიძგილაობენ, ღობესმომდგარი იხვები ფრთებს აბათქუნებენ და ნაცრისფერ ცას შეჩერებული, უსაქმობით დაღლილი ძაღლები ამთქნარებენ.

– ცხონებულმა ბებიაშენმაც მაგნაირი, მეველესავით სიარული იცოდა, მისგან გამოგყვა შენც. გამიგონია ქალის ამხელა ნაბიჯებით სიარული, ბაბუკა?

– რა ვქნა, აბა, როცა მეჩქარება ასე ვიარო, ასე? – ციალა ფეხის წვერებზე იწევა და გავის თამაშით ზანტად მიიწმაწნება, ჩანთას საკარცხულივით მიიქნევს.

– წესიერად გაიარე, გოგო. ნუ მაიმუნობ თვარა გამომრჩები კაი წკნელს კოჭებში! – წყრება ეპიფანე.

– რა ვქნა აბა, ბაბულია. მეჩქარება. იცი რას ჰქვია „მეჩქარება?“

– თუ გეჩქარებოდა, დავეტეოდი სახლში. არ მჭირდებოდა შენი კავალრობა. რავარცხა იყო, მოვიტანდი ამ ხორცს, ნელა, უშენოდ.

– ა, შენ არ მითხარი, წამოდი, დაღლილი ვარ, მეშინია, გული არ შემიწუხდესო?

– არა ხარ კაი გოგო, ბაბუა, არა. ასეა ეს. წაღმართიანად არ მიეხმარები კაცს არაფერში.

ამ ლაპარაკით ჩავიდნენ ეზოში. ციალამ ჩანთა სამზადში

შეაგდო და კიბე ორი ნახტომით აირბინა, ვიოლინო გამოარ-ბენინა და ჭიშკრისკენ გაიქცა. ეპიფანემ თვალი გააყოლა, ხელი ჩაიქნია და ბლის ქვეშ, ლურჯად შეღებილ ძელსკამზე დაეშვა.

სამზადიდან წინსაფრიანმა რძალმა გამოხედა, იხვებს რო-ფოში ღერღილის ნარეცხი ჩაუსხა და ეპიფანეს შეეხმიანა.

– გეიქცა ეს თხაბელა? ხვარ გიჩხუბიათ კიდევ?

– არა, ბატონო, არა. რა ქნას მაგანაც. ეჩქარებოდა და დამაწყვიტა მუხლები. შეხვედრა ჰქონიათ დღესაც, – ეპი-ფანეს მუხლებზე ხელები ეწყო და შორს უქიმერიონის თავზე წამოჭიმულ, შავთეთრად დაღარულ ხვამლის მთას შეჰყურე-ბდა.

მეხუთე თვე დაიწყო, რაც გოჭოურაში სერგეი ლაზოს ქუჩაზე, აბანოს გვერდით, ომის ვეტერანთა მაღაზია გახსნეს. მაღაზია უნივერსალური გახლავთ: ეს იმას ნიშნავს, რომ სურსათიც იყიდება და სამრეწველო საქონელიც. ამ კეთილ-შობილურ დაწესებულებას კარგად ამარაგებენ და ამიტომ, შესასვლელთან ყოველთვის ხალხმრავლობაა. შესასვლელთ-ან-მეთქი იმიტომ მოგახსენებთ, რომ კარებთან ისინიც იკრი-ბებიან, ომში მონაწილეობა რომ არ მიუღიათ, მაგრამ დიდი სურვილი აქვთ ისარგებლონ ვეტერანთათვის განკუთვნილი ამ სიკეთით. მაღაზიაში შესვლა, რაღა თქმა უნდა, ვეტერ-ანთა წიგნაკებითაა, თანაც ომის მონაწილემ პირადად უნდა წარმოადგინოს საბუთი. მოგეხსენებათ, ვეტერანის მოწმობის სხვაზე გადაცემა არ შეიძლება. კარებში მდგარი, წითელ-სამკლაურიანი მორიგე-ვეტერანი მკაცრად იცავს დადგენილ წესს და, მიუხედავად ზოგი ენაჭარტალა მოქალაქის პრო-ტესტისა („შეგვიშვი ჩვენც, რა მოხდა, ბოლოს და ბოლოს, ჭამა ერთნაირად უნდა ვეტერანსაც და წვევამდელსაც...“), დახლთან მომხმარებლად ყოველთვის ჩვენი სახელოვანი, ტყ-ვიის წვიმასა და ქარცეცხლში გამოვლილი მოხუცები დგანან.

ზის თავის მამაპაპეულ ეზოში ეპიფანე ლომსაძე და, რა დაუჯერებლადაც უნდა მოგეჩვენოთ, ლაფაროში, უნაბის გასწვრივ, განმარტოებით მდგარ თეთრთავა ინდაურზე ფიქრობს. იმ ინდაურმა დილით უეცრად მოიწყინა. წყალში

ჩამბალ შავ პურს ერთი-ორჯერ უხალისოდ ჩაჰკრა ნისკარტი, მერე განზე გადგა და ჟრიამულ-ალიაქოთით როფოს მისეულ ინდაურებს და ქათმებს მიაჩერდა. ეპიფანეს რძალმა, ნანულიმ სცადა ხელით დაეპურებინა უქეიფოდ მყოფი ინდაური, მაგრამ განგისპირას გაჩენილი ფრინველი გაჯიუტდა. თავს ისე მოხერხებულად იძვრენდა ნანულის თითებიდან, რომ ქალმა მხოლოდ ორიოდე მსხვილი ლუკმის ჩატენვაღა მოახერხა ინდაურის მოჩვარულ ნისკარტ-ჩიჩახვში. ხელი რომ გაუშვეს, ერთი-ორჯერ უკმაყოფილოდ ჩაიკრუხუნა, აქაოდა, რა დამამცირებელი მეთოდით მასაუზმესო. მსხალსა და ლაფაროს შუა გაირბ-გამოირბინა, მერე ბუმბული აიბურდა და თავის გემოზე სვენებ-სვენებით დაილაგა. ახლა ისევ ლაფაროში დგას. აშკარად ეტყობა უგუნებობა, თვალს დახუჭავს, ფრთებს ჩამოყრის და თვლემამორეული წაბორძიკდება. ფეხს წადგამს, კისერს წაიგრძელებს და, თითქოს, რა მოხდაო, ირგვლივ მიმოიხედავს. მერე ისევ უპატარავდება კისერი, კვლავ ელულება თვალები და, რაც ყველაზე უსიამოვნოა, ფრთები ნელ-ნელა უცურდება მობუზულ მხრებიდან.

ეპიფანეს შესცივდა, ხელები ერთმანეთს გაუსვ-გამოუსვა, თითის წვერები პირთან მიიტანა და დაიორთქლა. რეზინის მაღალყელიან ჩექმებში თითები აათამაშა და ქუსლები ერთმანეთს მიარტყა. ერთხანს შუბლსა და დაფანჩულ, თეთრ წარბებზე ისვა ხელი, მერე ძველთაძველ, ზევითშეკრულ დაბამბულ ქუდს ნასკვი გაუხსნა და ყურებზე ჩამოიწია. ნაცრისფერი, ოთხად გაკეცილ-დაუთოვებული ცხვირსახოცი ამოიღო, გულმოდგინედ გაშალა, დაფერთხა, ჯერ სიცივისგან ცრემლჩამდგარ თვალებში ამოისვა, და მერე ისეთი ხმაურით მოიწმინდა ბადრიჯანისმსგავსი, ვეებერთელა ცხვირი, რომ ცალ ფეხზე მდგარი ავადმყოფი ინდაური შეკრთა და ორი ნაბიჯი უკან გადადგა.

დაიღალა ეპიფანე. დღეს მეორედ მოუწია სერგეი ლაზოს ქუჩაზე გასვლა. დილით ნამგალაძის სიდედრმა წაიყვანა, იქნებ ყველი გამომატანინოთ, ეპიფანე ბატონო, თქვენი მაღაზიიდან, გრამი ყველი არ მაქვს სახლშიო. უარს ხომ არ ეტყოდა. გაყვა. ორმანეთიანი ყველი იყო, არა უშავდა, კი-

ლონახევარი თავისთვისაც აიღო. იცოდა, სამ საათზე ისევ მოუწევდა წასვლა. ხორცს შესვენების მერე მივიღებთო. სკოლიდან მოვარდნილი ციალა აიმგზავრა და ძლივს მიუსწრეს ხორცს. ადრე მოეტანათ და კიდეც გაყიდულიყო. ეპიფანეს რომ არ ემარჯვა და მაღაზიის კარებთან მორიალეთა ცრურიგი არ გაერღვია, აღარაფერი შეხვდებოდათ. დღეს დეკეულის ხორცი მოეტანათ და ვეტერანები კვირის მარაგსაც ყიდულობდნენ. მაღაზია ხორცს, მართალია, ყოველდღე იღებდა, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ ასეთი, მაღალი ხარისხის ხორცი ამ კვირაში აღარც მოეტანათ.

– კაი გამარჯობა, ეპიფანე ბიძია!

– რომელი ხარ? – ვეტერანმა თავი ასწია, ჭიშკარსმომდგარ სტუმარს გახედა. ხმა ეცნაურა, მაგრამ ცნობით ვერ იცნო.

– ტუხუ ვარ, ტუხუ!

– ტუხუ?

– გუბელაძე. ვერ მიცანი? ხვარ დაგვიბერდი, ეპიფანე ბიძია?

– არც უმაგისობაა. შემოდი ეზოში, ტუხუია. რავა უცხოსავით ირჯები, ბიჭო, შენ!

ტუხუ კალისტრატე გუბელაძის ბიჭია. საწყალ კალისტრატეს შარშან თიაქარი გაუმიზეზდა, ინფექცია შეეჭრა და სისხლი მოეწამლა. ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ ვეღარ უშველეს. ეს ერთი შვილი დარჩა. ტუხუ არაა გლახა ბიჭი. ფიზკულტურული დაამთავრა და საცურაო აუზის დირექტორად მუშაობს. სამი თუ ოთხი შვილი ჰყავს. ხელმოკლედ ცხოვრობს. რა ქნას აბა, გულითაც რომ უნდოდეს და შეეძლოს, რას მოიპარავს აუზში. ქუდი არ ახურავს. გრძელი, ლურჯი მოსასხამის ქვეშ ზურგსუკან დაუწყვია ხელები და შავ ულვაშებში ღიმილმიკარგული ისე გულდაგულ მოდის, გეგონებათ მასპინძელს რაღაც გულგასახარი საიდუმლო უნდა აუწყოსო.

– ხომ ხარ ძველებურად, ეპიფანე ბიძია?

– ძველებურად სადაა, მარა ვუძლებ ჯერჯერობით, – ეპიფანემ სტუმარს ხელი ჩამოართვა – დაბრძანდი.

– დასაბრძანებლად რომ მეცალოს, კაი შენ, ჩემო ბიძია.

– დეისვენე პატარა, მეითქვი სული. სულ რავა გარბიხართ, ბიჭო, რა ხალხი ხართ თქვენ.

– მაინც ნახევარს ვერ ვასწრებთ, ეპიფანე ბიძია, ა, საქმეებს შევრჩი. იქეთური -აქეთური და სამსახურში კი არ წავსულვარ დღეს, – ამ ლაპარაკში ტუხუ მასპინძელს გვერდით მიუჯდა, წკნელი აიღო, შუაზე გატეხა, გრძელი ბოლო მოისროლა, მოკლე დაიტოვა და თითის წვერებზე ირტყამს.

– რას შობით მამაშენისას?

– მარტში სრულდება, აგერ ა, თორმეტ მარტს. რაღა დარჩა.

– თორმეტ მარტს იყო? მე რაღაცა იქით მახსოვდა.

– თორმეტში, ეპიფანე ბიძია, თორმეტში დევიქეცი და დევიმხე კაცი. კალე რომ მყავდეს, რა მიჭირდა. ხომ ავად იყო, მარა მაინც რამხელა იმედი ყოფილა სახლში. ახლა მთლად მარტო ვარ.

– აბა რავა გინდა, ახლა მალე ბოვშები წამეგესწრებიან.

– სანამ მაგენი ჭკუას ჩახვდებიან, მე ჩემი მომივა.

– შენ მასე გგონია. ხელათ გადის დრო.

– რავაა წესი, კი არ ვიცი. ზუსტად იმ დღეს უნდა გავაკეთო წლისთავი?

– რა დღე უწევს? – ოთხშაბათია, მგონი.

– შეგიძლია გადაწიო შაბათამდე. სამი დღე იქით, აქეთ არა აქვს მნიშვნელობა. ისე, ცა და ქვეყანას ნუ მეედები. პატარა წლისთავი გააკეთე.

– ხარჯი, ხარჯია, ეპიფანე ბიძია. მეზობლებს და ახლობლებს ხომ უნდა დაგიძახოთყენ, მარტო აქ გროვდება სამოც კაცამდე. რა ვქნა ახლა, თავს ვერ შევირცხვენ. როგორც წესია, ისე უნდა გავაკეთო. მეტს აღარაფერს მომთხოვს მამაჩემი.

– შენც მართალი ხარ.

ცოტა ხანს ჩუმად ისხდნენ.

– ეპიფანე ბიძია, – სტუმარმა ცაში გაბარჯღულ კორკიმელს ააყოლა თვალი, – ერთ სიკვდილს ვათავებ, რომ გაწუხებ, მარა სხვა გზა არ მაქვს და უნდა მიშველო.

– ჰო, ეპიფანემ ქუდი იმ მხრიდან აიწია, რა მხრიდანაც გუბელაძე იჯდა.

– რაცხა შარვალივით იყიდება თურმე, თქვენს მაღაზიაში, შემჭამა ჩემმა გოგომ.

ვეტერანს გაეცინა.

– მაგაზე გუშინწინ მე და ჩემმა შვილიშვილმა რაღმე დავხოცეთ ერთმანეთი. დამიჟინა; შარვალი იყიდება, არიქა, არ გათავდესო. გავვარდით. რა შარვალი, რისი შარვალი, გალიფეა ოფიცრის, ჩემო ბატონო. სტაცა ციალამ ხელი; ესაა, ამაზე გეუბნებოდიო. რაა, გოგო, მე ვუთხარი, არ ამწიო ახლა ჭკუიდანთქვა, ამას ჩეიცვამ ქალიშვილი ქალი, სამხ-ედრო გალიფე შარვალს შენ თქვა? თავი მეიკლა. ესაა ახლა მოდაში, ვიცი მეო. – რაკი ესაა მოდაში, ამით ჩემ ეზოში ვერ გეივლი შენ-მეთქი. თუ ასე ძალიან გინდა, გიყიდი და გადაშენდი სახლიდან, ჩემმა თვალმა არ დაგინახოს, ჩემს ბარობაზეთქვა. დავაშინე ვითომ, ჩემი ჭკუით. ახლანდელ ბოვშებს შენ გადაათქმევინებ რამეს? შამემეხვია ყელზე, ჩემი ბაბულია, ჩემი სიცოცხლე, თუ არ მიყიდი, თავს მევიკლავ ახლავეო. ვუყიდე, რა მექნა? სად ჩეიცვამ, გოგო, ამას, მე ვუთხარი. სადაც ჩევიცვამ მე ვიციო. ქე უკიდია სახლში, იმას ჩააცვამს დედამისი? მეტი არ იქნა ჩემი მტერი.

– მაგ დღეში ვარ მეც, – დაიჩივლა ტუხუმ.

– კი ბატონო, წაყოლაზე რავა გეტყვი უარს, მარა ვარგა ასე?

– რაი?

– მივუშვათ, ასე, ბოვშვები თავის ნებაზე?

ტუხუს არაფერი უთქვამს, წამოდგა და წელში გაიზნიქა.

– მომკლა ამ წელმა, ამ უპატრონომ, დამტანჯა კაცი.

– იშიაზი გექნება.

– იშიაზი რომ მქონდეს რა მიჭირს, მალის ამოვარდნი-ლობა მაქვს.

– რამ ამოგიგდო, ბიჭო, მალა?

– რა ვიცი, ეშმაკი. ფარცხანაყანებში სვამსო, ვიღაც ექიმ-ბაში, სინაურიძე ყოფილა. მიხვალ და ჩაგიჯენსო ხელად.

– მერე?

– მევიცალე მისასვლელად?

– გესმის?! – სამზადი სახლის კარებს გასძახა ეპიფანემ.

კარებში ნანული გამოჩნდა.

– ტუხუს ჩავყვები მაღაზიაში ერთწამას და მოვბრუნდები. ეს ინდოური ვერაა კარგად. საღამოსაც თუ არაფერი ჭამა, დანა და მისი ჯანი.

– ჭირი თუ დაგვეცა, ის თქვი შენ. – ნანულიმ თავსაფარი ლოყებქვეშ შეიკეცა.

– ჩაყობოდა რაღაცა. ჭირი სადაა ამ ზამთარში, – ტუხუ გაეპასუხა.

ჭიშკარი გაიკეტეს და გზაზე რომ გავიდნენ, ტუხუმ ჰკითხა:

– წიგნაკი ხომ წამოიღე, ეპიფანე ბიძია?

– აპა, აპა, ისე ვინ შემიშვებს. ჯიბეში მიდევს სულ.

ექვსს აღარაფერი აკლდა, რომ დაბრუნდნენ.

ყინვა ძვალ-რბილში ატანდა და ცის დასავალს ნარინჯისფერი დასდებოდა.

– ქარი იქნება ხვალ. – ყრუდ ჩაილაპარაკა ტუხუმ და გაზეთში გახვეული გალიფე შარვალი იღლიაში ამოიჩარა.

– შემოდი ცოტა ხანს, წევივახშმოთ პატარა, – გაეიმერულა მასპინძელი.

– შენ არ მომიკვდე, დასაჯდომად არ მეცალოს. ქუჩაში მიცდის ჩემი სულელი გოგო, ვიცი მე. რავა შეგაწუხე, რავა დაგღალე, ეპიფანე ბიძია, ამხელა გზაზე. შენ შემოგევლოს ჩემი თავი, – ტუხუ ჭიშკარს მოშორდა.

– კაი ერთი, თუ ძმა ხარ. აბა, მეყოლე კარგად.

– დიდი მადლობა, გადამეხადოს, ეპიფანე ბიძია, – სახლისკენ წასულს დაადევნა სტუმარმა და ჩქარა გააბიჯა.

ის იყო ივახშმა და სამზადში ტახტზე წამოწოლილს წასთვლიმა, რომ ეზოში ლაპარაკი მოესმა და მიაყურადა.

გარეთ ბნელოდა.

– ახლა მობრუნდა. მეტი ხანი არ არი. დაღლილია, მე ვერ ვეტყვი, შენი ჭირიმე, – ნანულის ხმა იყო.

– არ გამომჭრა ყელი, თავი მომეჭრება, – იხვეწებოდა სტუმარი.

– ა, ბატონო, მაგერ წევს და შენ უთხარი, – წყენა გაერია ხმაში რძალს, მაგრამ ჯიუტმა სტუმარმა, როგორც ჩანს, არ დაიშალა და მოხუცს თავზე წაადგა.

– ეპიფანე ბიძია, ოღონდ ახლა მიშველე და შენხელა სანთელს დაგინთებ, ხაკოიის სულს ვფიცავარ.

გაუკვირდა, ხმაზე როგორ ვერ ვიცანიო, ზაურ რევიშვილი, წყალსადენის მორიგე. ახლახან ჩამოსახლდა ამ ქუჩაზე. დომენტი კვირკველიას ნახევარი სახლი იყიდა ჭასთან. ღორღოცა ხმა აქვს. ხმამაღალი ლაპარაკი იცის და ენასაც უკიდებს ოდნავ შესამჩნევად.

– რა იყო, ბიჭო?

– სტუმრები დამეცნენ მოულოდნელად. ოთხი კაცი, რა ქვას ვეცე, არ ვიცი. მაგენის ყბიდან ვერ ამოვალ.

– ახლა მევედი, ციალას გეფიცები, ჩამომწყდარი ვარ ფეხზე. რაღაც გულიც ვერ მაქვს კარგად, – ეპიფანე ტახტზე წამოჯდა და მუხლებზე ხელი ჩამოისვა.

– კაი, ეპიფანე ბიძია, სხვას ვეწევი რაღაცას. ვიცი, შენ ფეხზე რომ იყო, უარს არ მეტყოდი, – ზაურის ხმაში სასოწარკვეთა გაერია, კარებისკენ წავიდა და შემობრუნდა, – მე რომ მათხოვო, მოწმობაა თუ რაღაცა, ეპიფანე ბიძია?

– არ შეგიშვებენ შენ, ბატონო, არა, – ყრუდ ჩაილაპარაკა ეპიფანემ – წამოდგა და ღრმად ამოისუნთქა.

– სადაა, გოგო, ქუდი?

– აგერ, ბატონო, – ნანულიმ ქუდი მიაჩეჩა.

– კი მარა, თუ ავად ხარ... თუ დაღლილი ხარ... ეს რა მომივიდა... რაღა ჩემდა ჭირად, ახლა მევიდნენ მაინცდამაინც... ეპიფანე ბიძია... დარჩი თუ არ შეგიძლია, შენი ჭირიმე, – ალუღლუღდა სტუმარი.

– წამოდი, ბატონო, წამოდი, ვივლი რავარცხა იქნება. თუ მივუსწარით, რომელია შენთან?

– შვიდი სრულდებოდა, სახლიდან რომ გამოვედი.

მივუსწრებთ, მე მგონია, რვაზე კეტავენ. გესმის? – ეპიფანე ნანულის მიუბრუნდა: – მე თუ დამაგვიანდეს, ბოვშს გოუდექი. ჩამოსახვევთან დახვდი. არ შეაშინოს ვინმემ. რა შეხვედრები ოუტყდათ ამ სიცივეში. რა ქნა ინდაურმა?

– შეცოცხლდა პატარა. ვუყუროთ დილამდე, რას იზამს.

– ჭამა?

– ცოტა წეიციცქნა.

– არ გვეზარალოს...

– შენი ჭირი წოუღია. – რძალმა სკივრიდან ხელთათმანები ამოიღო და გაუწოდა, – გაიკეთე, მამა, თუ გიყვარდე, ჰყინავს.

– ვერ ვგუობ მაგ ოხერს, თვარა კაი შენ, – ზაურს შეხედა, – თურმე ახალგაზრდობაში რაცაა კაცი, ის დანარჩენა ბოლომდე; ხელთათმანებს ვერც ახალგაზრდობაში ვგუობდი. სტალინ-გრადთან რომ ვიბრძოდით, ოც გრადუს ყინვაში დახეთქილი მქონდა თითები, მარა ხელთათმანი არ მიხმარია. აბა, წევედით.

ჭიშკარს რომ გასცდნენ, მარჯვნივ შუკაში რწევით მო-მავალი კაცი შენიშნეს, მოსახვევიდან გამოსულმა მანქანამ რომ მიანათა, ვეტერანმა ერთი გახედა, ნაბიჯს აუჩქარა და სალდაძის გარაჟს ამოეფარა. ზაური მიჰყვა.

– რა იყო, ეპიფანე ბიძია? – ჩურჩულით ჰკითხა.

– ის პარმენი არ იყო, სანდუხაძე?

– მე მგონი, რავა?

– არაფერი. მივდგეთ აგერ ერთწამას, ჩეიაროს. არ მინდა შევხვდე.

– ხვარაფერი გაწყენინა?

– რავა გეკადრება. მაწყინარი კაცია სალდაძე? მაგნაირი ტკბილი ბიჭი ამ მოსახვევში არ მეგულება, მარა რა იყო იცი? ამ ერთი თვის წინ ოცი მანეთი ისესხა ჩემგან. არ დარჩა ხელზე, ალბათ, თვარა აქამდე მომიტანდა. არ მინდა ახლა პირისპირ შევხვდე. დეიმორცხვებს, საერთოდ, ეს იცოდე, ჩემო ზაურო, თუ კაცს შენი ვალი აქვს, ხშირად არ უნდა შეეჩხირო თვალში, თორემ შეძულდები. ასე იცის ვალმა.

სალდაძემ ღიღინით ჩაიარა, გარაჟსმიმალულებს არც კი გამოხედა, ეტყობოდა, შეზარხროშებული გახლდათ.

სალდაძე რომ თავის ჩიხში მიიმალა, მეზობლები საფარი-დან გამოვიდნენ და გზა განაგრძეს.

– აღარ მოგვეშვება, აწი ეს ზამთარი? – ეპიფანემ ჯიბიდან ხელები ამოიღო და დაიორთქლა.

– ჩვენ რა გვიჭირს, იქით ყოფილა გლახათ საქმე. ბათუმში რვა გრადუსი ყინვააო, რადიო ლაპარაკობდა ამ დილით.

– აუჰ, – შეიცხადა ვეტერანმა, – აბა დაახრჩობს ციტ-რუსებს, ხომ? რვა გრადუსს, ბათუმში ეხუმრები?

– თუ ქარი არ იქნა, შეიძლება ვერ დააზიანოს. თუ ქარი დაერთო, მეყოლე კარგად.

სერგეი ლაზოს ქუჩაზე რომ გავიდნენ ლამპიონები გამოირთო. შეჩერდნენ.

რევიშვილმა უქიმერიონს ახედა და ჩაილაპარაკა:

– აქეთ, გამოღმა ჩააქვრეს, ხიდს გაღმა ქე ანთია.

– რაშია ანი საქმე?

– სულ ვიძახი, ასე ღამით გამოსვლისას ფარანს ჩევიდებ ჯიბეშითქვა, მარა არ დამიყენეს ბოვშვებმა, ვერ დავმალე ვერსად. „ჟუკის“ ხმა მეზარება და ამას წინათ გრძელი, კაი ფანარი ვიყიდე, ვერ მივაგენი. წეიღეს ალბათ და ან დაკარგეს, ან აჩუქეს ვიღაცას.

მთვარის შუქზე თავმოყინული გუბეები ლამაზად ჩანდა. სინათლის ჩაქრობასთან ერთად ქუჩაში არაჩვეულებრივმა სიჩუმემ დაისადგურა. აქა-იქ ფანჯრებში მკრთალი ციალი დაჩნდა, მაგნიტოფონ-ტელევიზორთა ხმაურისგანაც დაისვენა ყურებმა.

მაღაზიამდე ბევრი აღარაფერი დარჩენოდათ, დენი რომ ჩართეს. ღამის ქალაქი ერთბაშად გაცოცხლდა, დაიძრა, ახმაურდა, თვალში გამოიხედა.

კარებთან მდგარ, წითელსამკლაურიან მორიგეს ეპიფანემ მოწმობა გაუწოდა და რევიშვილზე ანიშნა.

– ჩემთანაა.

– ვხედავ, ბატონო, – მორიგემ „ბატონოს“ რატომღაც ხაზი გაუსვა, მოწმობისთვის არც დაუხედავს, განზე გაიწია და მოსულნი გაატარა.

ხორცი აღარ იყო. „ბრინზას“ ტიპის ყველი იყიდეს: ზღვის ბალახის კონსერვები და ბულგარული მწნილი. გამოსვლისას მორიგემ დოინჯი გაიკეთა და ეპიფანეს მწყრალად შეხედა.

– თქვენ სხვას უნდა არიგებდეთ „ტავარიშ პადპალკოვნიკ“, ნამუსიც კაი საქონელია.

– რა არის? – ვეტერანს ჯერ ეგონა მეხუმრებაო.

– რა არის და ნამუსიც კარგი საქონელია.

– მე მეუბნები? – ეპიფანეს სული შეეხუთა, გულმა დაქაჩა და რკინის მოაჯირს მიეყუდა.

– თქვენ გეუბნებით სწორედ, მეოთხეჯერ მოდიხართ დღეს. ამას ვიტყვი, სადაც საჭიროა.

– თქვი.

კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვეღარ მოახერხა. გარეთ რომ არ გამოსულიყო და ღრმად არ ჩაესუნთქა, ეგონა, გული გაუსკდებოდა.

სახლამდე ისე მოვიდნენ, ერთმანეთისთვის არაფერი უთქვამთ.

რევიშვილი ხვნეშოდა. უნდოდა როგორმე განემუხტა ეს დაძაბულობა, მაგრამ არ იცოდა, რითი დაეწყო. სიტყვებს ვერ პოულობდა. ჭიშკარს რომ მიადგნენ გულუბრყვილოდ ჰკითხა:

– სულ მინდოდა მეკითხა. ომში რავა იყო ჯანმრთელობის საქმე. სიტყვაზე მაგალითად, თუ არ დაიჭრებოდი, ისე ხდებოდი კაცი ავად?

ეპიფანემ კარგა ხანს არ უპასუხა. ჭიშკარი გააღო, ეზოში შევიდა. გაშლილი ხელები მესრებს ჩასჭიდა და ჩუმად თქვა:

– ომში ახლა ვარ, ბატონო, მე.

– კარგად იყავი, ეპიფანე ბიძია, დიდი მადლობა, – ყელი გაუშრა ზაურს.

– კარგად მეყოლე.

ეპიფანე ცინცაძე დილით თავის ლოგინში მკვდარი იპოვეს. ძილში გაპარულიყო.

ვეტერანთა საბჭოს გადაწყვეტილებით, ყოფილი პოდპოლკოვნიკი ორკესტრის თანხლებით დაასაფლავეს. გოჭოურაში ორკესტრით ახლა მხოლოდ მაღალი რანგის ჩინოვნიკებს და ომის ვეტერანებს ასაფლავებენ.

დავიდარაბა

ირაკლი მურღულიამ იმ დილით უგემურად იცურავა. წყალიც ეგრილა და ხასიათზეც ვერ იყო ვარჯიშის. ტვინს უხვრეტდა გუშინ სარედაქციო თათბირზე რედაქტორის ნათქვამი; ვინც ერთ ნარკვევს მაინც არ დაბეჭდავს, ნუ ეწყინება და დახასიათებას ვერ მიიღებსო. ნახევარი თვე გავიდა, რაც ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მესამეკურსელები გაზეთ „ჰარმონიაში“ პრაქტიკას გადიან. სხვებმა ხელი გამოიღეს და თავი გამოიჩინეს. ირაკლიმ „დღეს-ხვალ, დღეს-ხვალო“ და ჯერჯერობით სტრიქონი სტრიქონს ვერ მიაბა. არა და, თუ პრაქტიკა არ ჩაეთვალა, სტიპენდიას ხომ დაკარგავს, ვინ იცის, იქნებ კურსზეც დატოვონ.

პირსახოც-შლოპანცები ჩანთაში ჩაყარა, სველ, გრუზა თმაზე სავარცხელი გადაისვა და დერეფანში გამოსულს აუზის ექიმის – რაჟდენ ჩაჩუას ყვირილი მოესმა. არ გაკვირვებია. აუზის მომსახურე პერსონალთაგან „ძია რაჟდენი“ ყველაზე ჯავჯღანა კაცი იყო. ახლა წყალბურთელთა ნაკრების წევრს იმაზე ეჩხუბებოდა, – „მაჩალკა“ არა გაქვს და ვერ შეგიშვებო.

„მოდი, სულაც რაჟდენზე დავწერ ნარკვევსო“, გაიფიქრა ირაკლიმ და ეს „აღმოჩენა“ იმდენად გაუხარდა, რომ კინაღამ ხმამაღლა წამოცდა. კუთხეში მიდგა და მოშუღართ მიაყურადა. რაჟდენს თეთრი ხალათი მუცელზე ძლივს წვდებოდა. პიჯაკის ზედა ჯიბეზე ორდენ-მედლების ნიშნები ეკეთა, ეროსი მანჯგალაძის ხმა ჰქონდა და მესაზღვრის კატეგორიული ტონი. ნაკრების წევრის დატუქსვა (უკანასკნელი გაფრთხილებით გააბრუნა) რომ დაამთავრა, ირაკლის მიუბრუნდა: „გნებავთ რამე?“ „არა, ბატონო რაჟდენ“, „აბა, რას მომჩერებიხართ, იცურავეთ? წადით სახლში, საქმეს მიხედეთ!“ ირაკლიმ გაუღიმა და გამოტრიალდა. რაჟდენ ჩაჩუაზე მეაბონენტე მოცურავეთა ღიმილი მაინცდამაინც არ მოქმედებდა. ეგონა, ამ ღიმილის უკან კანონის დარღვევა, ცუღლუტობა იმალებაო.

რედაქციაში რომ მივიდა, ნარკვევის განყოფილების გამგეს, ტანკენარ სათვალიან ქალს ლუბა კირვალიძეს გაანდო; თუ შეიძლება საცურაო აუზის ექიმ რაჟდენ ჩაჩუაზე ნარკვევი დავწეროო. ლუბამ სათვალე მოიხსნა, კარგა ხანს უყურა სტუდენტ-პრაქტიკანტს და მოძღვრის კილოთი აუწყა: „საერთოდ, ნარკვევის გმირად ყოველი ადამიანი გამოდგება, თუ საინტერესო პიროვნებაა. ყოველ შემთხვევაში, დააზუსტე – ნასამართლევი ხომ არ არის, ან ამჯერად პარტიული სასჯელი ხომ არ ადევსო“.

ირაკლიმ მეორე დღესვე „დააზუსტა“. ადგილკომის თავმჯდომარეს ქურციკისთვალება, კოჭლ კაცს, რომლის სახელიც არ იცოდა, მაგრამ ბუფეტთან მოფუსფუსე ხშირად ენახა, მეორე დღესვე გამოეცხადა და ჰკითხა: ხომ ვერ მეტყვით, ბატონ რაჟდენს, ამ ბოლო დროს, მთავრობისგან რაიმე წყენა, ან საყვედური ხომ არ შეხვედრიაო. თავმჯდომარემ ფანჯარა მიკეტა, კენგურუს ნახტომებით შემოურბინა მაგიდას, ირაკლის გვერდით მოუჯდა და შემკრთალი კაცის ხმით ჰკითხა: „დააშავა რამე? ლაყბობაშია შემჩნეული? მითხარით, მითხარით, მე სანდო ვარ“. ჟურნალისტ-პრაქტიკანტმა განზე გაიხედა, „არაფერი, ისე გკითხეთო“, რებუსური პასუხით დააკმაყოფილა ცნობისმოყვარე. „მე, ჩემდა თავად, ცუდს ვერაფერს ვატყობ. ოფიციალურად დასჯილი არასოდეს ყოფილა. ეგ კი არა და, ამ ორი კვირის წინ მეექვსე თუ მეშვიდე მედალი მიიღო. ისე, რას გაუგებ ადამიანს, თქვენ თუ დამავალებთ, აწი საგანგებოდ დავაკვირდებიო“. რა ვიცი, ვინ ეგონა ადგილკომის თავმჯდომარეს ჩვენი ირაკლი, მაგრამ მის საქციელში რომ დამკვირვებელთა ხელშეწყობის ნიჭი ჩანდა, ფაქტია. მან აშკარად გულდაწყვეტილმა გააყოლა თვალი კაბინეტიდან გასულ მურღულიას. რაზე დაწყდა გული? რაჟდენ ჩაჩუას სასჯელი რომ არ ედო, თუ ირაკლი რომ ბოლომდე არ გაენდო და არც თავისი ვინაობა აუწყა? იქნებ ორივეზე ერთად?

ხუთიოდე წუთის შემდეგ რაჟდენს მიაკითხა. სპორტკომბინატის ექიმმა ახალგაზრდა ჟურნალისტის სურვილი რომ შეიტყო, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. „ნარკვევი, საერთოდ,

ამ ჩვენს დაწესებულებაში გამოჩენილ სპორტსმენზე უნდა დაიწეროს, ან, უკიდურეს შემთხვევაში, დირექტორზე. მე რა, მე რა სანარკვევო მნახე. აუზის ექიმი ვარ. ხარისხი რაა, ხარისხიც კი არა მაქვსო“. სწორედ თქვენზე უნდა დავწერო, დავალებული მაქვსო, დაიჟინა ირაკლიმ. სიტყვა „დავალებულმა“, ცოტა არ იყოს, მოალბო გაკერპებული ექიმი და დამცხრალმა ჩაილაპარაკა: „კი, ბატონო, რაკი არ იშლით. საერთოდ არ გირჩევთ. ჯერ ერთი, ცოლგანაშვები ვარ და მეორეც ბევრი პიროვნული ნაკლი მაქვს. ფიცხი ვარ ნამეტანი, შენ მაინც იცი, მოვაბეზრე ყველას თავი ამ კომბინატშიო“. ჟურნალისტმა თავისი გაიტანა და იმავე საღამოს, შეთანხმებისამებრ, იგი არტილერიის ქუჩის შვიდ ნომერში რაჟდენ ჩაჩუას კარებზე აკაკუნებდა.

„მობრძანდით, „გელოდებათო“, მაღალმა, ქერათმიანმა ქალმა, რომელსაც ზებრისზოლებიანი ფლანელის ხალათი ეცვა, ირაკლი სასტუმრო ოთახში შეიყვანა. ოვალურ, საპურმარილო მაგიდაზე უწესრიგოდ მიმოყრილ საქაღალდეებთან დახრილიყო რაჟდენ ჩაჩუა და ლუპით რაღაცას ათვალიერებდა. სტუმრის დანახვაზე წამოხტა, ქუსლი ქუსლს გაუტკაპუნა, „მაპატიეთ, ვერ შეგამჩნიეთ, ეს, ჩემი მეუღლე, ბაბილინა გახლავთო“, სხაპასხუპით მიაყარა მურღულიას და მეუღლეს პათეტური ტონით შეაგება: „ეს არის ის, ჟურნალისტი ირაკლი, მაპატიეთ გვარი?“ „მურღულია, ბატონო“ – თქვა ირაკლიმ. „ირაკლი მურღულია! ჩემზე ნარკვევი რომ უნდა დაწეროს. ახლა შენ მარტო დაგვტოვე და შენს საქმეებს მიხედე. ჩვენ აქ ცოტას წავიმუშავებთ, ჭადის გამოცხობა არ დაგავიწყდეს!“ მეუღლემ თავი დაუქნია და თავის მეუღლურ საქმეებზე რომ გავიდა, რაჟდენმა მარჯვენა თვალზე ისევ მოირგო ლუპა და პრაქტიკანტს სერიოზულად ჰკითხა: „ჭადი ხომ გიყვართ?“, ირაკლიმ თავი დაუქნია.

„წამუშავება“ დიდხანს გაგრძელდა. ირაკლის რომ ეგონა, რამდენიმე თარიღს ჩავიწერ, ოჯახის წევრებს თვალს შევავლებ და დანარჩენს ფანტაზიით შევთხზავო, საქმე ასე იოლი არ აღმოჩნდა. რაჟდენი განსაცვიფრებელი ენერგიულობით ზედიზედ ხსნიდა მაგიდაზე დახვავებულ საქაღალდეებს და

ბლოკნოტმომარჯვებულ ჟურნალისტს ხმამაღლა უკითხავდა ყველაფერს, რაც ხელთ მოხვდებოდა. ჯერ ჩაჩუების გვარის წარმომავლობაზე გაათვითცნობიერა სტუმარი, მერე წინაპართა გენეალოგიური სქემა დაუხაზა ბოლოდან მეშვიდე თაობამდე (რაჟდენის ჩათვლით), სხვადასხვა დროსა და საჭიროების შემთხვევაში შექმნილი თავისი ავტობიოგრაფიები და დახასიათებები უკითხა, საოჯახო ალბომები ათვალიერებინა. სათითაოდ გამოუძახა შვილებს და ირაკლის წარუდგინა, მათი ასაკის და კონკრეტული საქმიანობის დაწვრილებითი გადმოცემით. ამას ყველაფერს ისე ჩქარა და რიტორიკულად აკეთებდა, რომ ექიმს სახე მოუოფლიანდა და შიგადაშიგ ორი თითით იწმენდდა ტუჩთა ბოლოებზე მომდგარ ქაფს. ირაკლიმ თხუთმეტი წუთის შემდეგ დაკარგა ინტერესი „ძია რაჟდენის“ საქაღალდეების მიმართ. უბის წიგნაკშიც ბოლოს კუბებსღა იხატავდა, მაგრამ ყურადღებიანი კაცის ნიღაბი ბოლომდე შეინარჩუნა და სიხარული მაშინაც კი დაფარა, როცა დიასახლისმა ჩაიზე უხმოთ. „როგორ მოვიქცეთ, დღეს ყველაფრის წაკითხვას ვერ მოვასწრებთ, ხვალაც უნდა მობრძანდეთო“, რაჟდენმა შეწუხებული სახით გახედა სტუმარს. „არ არის საჭირო, ბევრი რამ ჩავიწერე. ერთი ნარკვევისთვის საკმარისია. თუ რამე დამაკლდა, დაგირეკავთ, თუ შეიძლება, ერთი სურათი შემირჩიეთ გაზეთისთვისო“, ირაკლი ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე წამოდგა და კარგა ხანს მოუწია ფეხზე დგომამ, რადგანაც ბატონმა რაჟდენმა მაგიდაზე მიმოყრილი ფოტოები ფაცხაფუცხით დიდხანს ქექა და ბოლოს, ერთზე: ირაკლის აზრით, არცთუ უკეთეს, სურათზე შეჩერდა. „თუ შეიძლება ეს იყოს, აქ, როგორც ხედავთ, შედარებით ახალგაზრდა ვარ. ეს მირჩევნია. ამ ბოლო დროს, რატომღაც ფოტოზე ისეთი ვერ გამოვდივარ, როგორც მინდაო“. ირაკლიმ სურათი ბლოკნოტთან ერთად გულისჯიბეში ჩაიდო და იქნებოდა ასე, პირველის ნახევარი, როცა მასპინძლებს დაემშვიდობა.

ნარკვევი მეორე დღესვე დაწერა, უნივერსიტეტელ მბეჭდავ ქალს – მარგოს გადააბეჭდვინა და ოთხშაბათ დილით, სანამ რედაქციაში მიიტანდა, რაჟდენს გაურბენინა: „თვალი გადაავლეთ, რაიმე ფაქტობრივი შეცდომა არ იყოსო“. რა-

ჟდენმა კაბინეტის კარი ჩაკეტა, ცოტა ხანს არვინ შემაწუხოსო, ექთანი გააფრთხილა და ირაკლის თხოვა წამიკითხე, თორემ მე დიდხანს მოვუნდებიო.

ირაკლიმ ნელა, გამოთქმით დაიწყო კითხვა:

„შეჩერებულ წამთა ღაღადი“.

– რა?

– სათაური ჰქვია ასეთი – „შეჩერებულ წამთა ღაღადი“. შეიძლება, რედაქციაში გამოუცვალონ.

– კეთილი. შემდეგ? განაგრძეთ, ბოდიშს ვიხდი.

აშკარად ეტყობოდა, რომ რაჟდენი ღელავდა.

ირაკლიმ განაგრძო:

„სამოცდაათს მიტანებულია რაჟდენ ჩაჩუა. საცურაო აუზის ექიმად მუშაობს. ენერგიული მიხვრა-მოხვრის, ტანსრული კაცია. ისე ჩქარი და ნერვული საუბარი იცის, გეგონება, სულ სადღაც აგვიანდებაო. ჩვენი ნაცნობობა ასე დაიწყო: ცურვის აბონემენტზე ბეჭდის დარტყმა ვთხოვე. ვიფიქრე, ალბათ, თვითონაც დაღლილია, ჩემი გასინჯვის უსიამოვნო რიტუალისგან გავანთავისუფლებ-მეთქი, და ჩავულაპარაკე: – ბატონო რაჟდენ, წელიწადში სამჯერ მაინც მიმოწმებენ ჯანმრთელობას, ცურვაზე ხუთი წელია დავდივარ, იქნებ მენდოთ და ხელი მომიწეროთ-მეთქი. უნდა გენახათ, რა გაოცება და სასოწარკვეთა ჩაუდგა თვალებში. „როგორ გეკადრებათო, აბა, მე ექიმი რისთვის მქვიაო. თქვენს სიტყვებში ეჭვი როდი მეპარება, მაგრამ იმას როგორ გაკადრებთ, ან თქვენ და ან ჩემს თავს, გაუსინჯავად მოგიწეროთ ხელიო. გახსოვდეთ, ადამიანის ჯანმრთელობა ყოველდღე იცვლებაო. თქვენ ღმერთმა კარგად გამყოფოთ, მაგრამ მე დღეს ის აღარ ვარ, რაც გუშინ ვიყავიო. დაიჯერებთ ახლა ჩემი შემხედვარე, რომ წლების განმავლობაში მე სამხედრო ოლქის ჩემპიონი ვიყავი ტანვარჯიშშიო?“ შემრცხვა ჩემი თხოვნის და თავს გავუჯავრდი, რომ ინტუიციამ მომატყუა. რაჟდენ ჩიჩუას სიტყვებში წუწუნი ან ჭირვეული კაცის გაჯიუტება კი არ ჩანდა, ზოგიერთს რომ სჩვევია – აქაოდა, კეთილი ინებე, ანგარიში გამიწიეო, მე აქ იმიტომ დამსვეს, რომ რაღაცა მეკითხება და მევალებაო. არა, ფიზკულტურის კომბინატის ექიმის პირით

პროფესიონალი ლაპარაკობდა, ჰიპოკრატეს ფიცის ერთგული. მოვალეობის კეთილსინდისიერად ამსრულებელი, სამხედრო კაცის გულისყურის და წესრიგის მქონე ექიმი.

ამ დიალოგს ის მოჰყვა, რომ ჩვენ ჩვენ აზრები გავუცვალეთ ერთმანეთს საზოგადოებრივი წესრიგისა და პიროვნების შინაგანი დისციპლინის შესახებ. „წესრიგიო, საწოლიდან დილით ფეხის გადმოდგმისთანავე უნდა გვახსოვდესო. კაცის ხასიათი იმაშიც კი ჩანს, მანქანიდან როგორ გადმოვაო. ზოგი ფეხს აიშვერს და ისე ისკუპებს, კარის მიგდებაც დაავიწყდებაო. ზოგი აქაოდა საქმეებით ვარ დატვირთული, გადმოვა, კარს, მოუხედავად, ხელის უკან გაქნევით, ღონივრად მიიჯახუნებს და წავა. ზოგი კი შემობრუნდება, მძღოლს ორიოდე თბილ სიტყვას ეტყვის, კარს ფრთხილად მიხურავს და თავის გზას გაუყვებაო. „რა აუცილებელია, რა აუცილებელიას“ წამდაუწუმ გამეორებით ზოგმა ჩვენთაგანმა კანონის არშესრულების გამომგონებლობითი სასწაულები მოვახდინეთო. ყველამ, რაც გვევალება, ის რომ გავაკეთოთ, საზოგადოების ფსიქიკა მტკივნეულად, მაგრამ მაინც მალე შეეგუება წესრიგის დაცვასო. წესრიგი ყველას გვინდა, მაგრამ სხვისთვის; ჩვენთვის იოლად ფონს გასვლის ხერხს ვამჯობინებთო. რაც უფრო უტიფარია კაცი, ზოგ წრეებში მით უფრო მოხერხებულს და მარიფათიანს ეძახიანო“.

მთელი დღე არ მომასვენა, ერთი შეხედვით უბრალო კაცის – საცურაო აუზის ექიმის, საოცარმა თვისებამ – მანქანიდან კაცის გადმოსვლაშიც კი დაეჭირა მისი ხასიათის ნიშნები. ამავე დროს იმის გაგებაც მსურდა: რაც რაჟდენ ჩაჩუამ მითხრა, მისი შინაგანი ბუნების ძახილი იყო, თუ გარემოებისგან შეძენილი პოზა, სიტუაციის მიხედვით რომ აიფარებენ ხოლმე ადამიანები შეუვალი, ობიექტური კაცის ნიღაბს და თუ თვალს მოარიდებ, პირველივე მოსახვევში რომ მოიხსნიან და გადააგდებენ.

არ ვიცი ჯიუტი ცნობისმოყვარეობა გადაედო, თუ პირველივე შეხვედრიდან სიმპათიით რომ განვიმსჭვალე, იმას მიმიხვდა და ხათრი ვერ გამიტეხა, ფაქტი ის გახლავთ, რომ ვზივართ ახლა ბატონი რაჟდენი და მე არტილერიის ქუჩაზე ჩაჩუების

სადად მორთულ ბინაში, ცისა და ბარის ამბავს ვუყვებით ერთმანეთს და ჩემი ენაწყლიანი მასპინძელი მარტო საოჯახო ალბომს კი არა, თავის პირად არქივსაც მათვალიერებინებს.

იშვიათად ვყოფილვარ ასე სასიამოვნოდ გაოცებული და განუმეორებელი შთაბეჭდილებებით აღსავსე.

ერთ გაცრეცილ ფოტოალბომში და ერთ საქაღალდეში კაცის ცხოვრებას რა ჩატევდა, ეს სურათები და სიგელ-გუჯრები, თუ საბუთები, ექიმის ბობოქარი ცხოვრების შეჩერებულ წამთა ასლებია მხოლოდ. გრძნობას, ამ ალბომ-საქაღალდეთა გადათვალიერების შემდეგ რომ გეუფლება, სევდა ჰქვია. სევდა იმის გამო, რომ წლები ელვისსისწრაფით გარბიან და ენერგიულად გვაჯანჯღარებენ, რომ იქნებ ერთ დღეს საკუთარი თავის ცნობაც გაგვიჭირდეს.

სახელგანთქმული ჩაჩუათა შთამომავალი, ლეგენდარული გერვასი ჩაჩუას ვაჟი რაჟდენ ჩაჩუა სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში საავადმყოფოებსა და ამბულატორიებს ხელმძღვანელობდა, ბოლოს მშობლიურ თბილისს დაუბრუნდა და ამჟამად, როგორც მოგახსენეთ, სპორტული კომპლექსის ექიმად მუშაობს. მეუღლე ბაბილინა მიხეილის ასული გამოცდილი სტომატოლოგია. ორი შვილი ჰყავთ – ლია და გოჩა. ლია ქიმიკოსია, გოჩა ექიმი-კარდიოლოგი.

სულ ესაა. ესაა მშრალად, გადარბენით ციფრებისა და კანცელარიის მოსაწყენი ენით რაჟდენ ჩაჩუას ცხოვრება. მაგრამ ის, რასაც თვით ჩემი მასპინძელი მიამბობს და რასაც მისი არქივის ეჭვმიუტანელი დოკუმენტები ღაღადებენ, რევოლუციის თანანაჯაფარი კაცისა, რომლისთვისაც ომი უსაშველოდ დიდხანს გაგრძელდა, რწმენის გამოცდის წინაშეც არაერთხელ დააყენა ცხოვრებამ და ახლაც ეპოქის ქარტეხილებს უშვერს ნაოჭებით დაღარულ, ნამუსიან შუბლს.

ნუ მოეჩვენება ყავლგასულად და მოსაწყენად რაჟდენ ჩაჩუასთან შეხვედრილს ამ კაცის უნაპირო ერთგულება სიყრმეშივე გულს ჩაჭედილი ჭეშმარიტებისადმი, მტკიცე პოზიცია და დროშასავით მაღლა აფრიალებული პატიოსნება, თითქოსდა ამ კაცის გვერდით არ ჩაუვლია ყველა საზოგა-

დოებრივ სნებას, თითქოსდა მის გონებას არც მიკარებია, მისი სინდისის თეთრ მანტიას ბაც წერტილადაც არ დამჩნევია მექრთამეობის, კარიერიზმის, ფლიდობის, თაღლითობის, ორსახოვნების საეჭვოდ გაფუებული ნაკლოვანებანი.

გესაუბრება იგი ოცდაათიანი წლების კაცის ოპტიმიზმით და ცოტა არ იყოს ლოზუნგურადაც, მაგრამ თავისი ომახიანი ენთუზიაზმით მთლიანად გიპყრობს და გიმორჩილებს. შენ, დაღლილს და პრაქტიციზმით დატვირთულს, გაიძულებს მისებურად იფიქრო, შორდები და გეუფლება განცდა იმისა, რომ შენ კვლავ მწყობრში ჩაგაყენეს, კვლავ ლაშქარში შეგაბრუნეს და სიკეთისთვის ბრძოლის ფერხულში ჩაგაბეს.

რა მშვენიერია რომ ასეთი კაცები არსებობენ.

დღეს რაჟდენ ჩაჩუა, ომისა და შრომის ვეტერანი, მთავრობის შვიდი მაღალი ჯილდოს კავალერი, თავისი პირადი მაგალითით და მართალი საზოგადოებრივი ფიქრებით ჩვენთვის, სულიერი კათარზისისა და საყოველთაო გარდაქმნის ამ ეტაპზე, უაღრესად საჭირო კაცია“.

ირაკლიმ კითხვა დაამთავრა და ექიმს გახედა. რაჟდენს მსუქანი ლოყებისთვის ხელისგულები შეედგა და წინ, სასწორსა და კარადას შორის თეთრ კედელს შესცქეროდა. თითებშუა ჩამოზნექილი კანი ისე სასაცილოდ უჩანდა, გეგონებოდათ თითებს შორის ფელამუში იღვენთებაო.

კარგა ხანს იყუჩა, მერე მოუბრუნდა შეფასების მოლოდინადქცეულ ავტორს და თითქოს საიდუმლოს ანდობსო, ჩურჩულით აუწყა:

– რა კარგად დაგიწერიათ. სიტყვები არ მყოფნის.

– რას ბრძანებთ, ბატონო რაჟდენ, თქვენ უკეთესის ღირსი ხართ, ეს ისე, ნაჩქარევად, მართლა მოგეწონათ? – მოითავმდაბლა ირაკლიმ.

– ბრწყინვალეა! – ხელის ზურგზე მოეფერა რაჟდენი და უეცრად საქმეზე გადავიდა, – ის სურათი გამოგადგათ? თუ შეიძლება, მეორე ეგზემპლარი მაჩუქოთ? შინ უფრო დალაგებულად წავიკითხავ. მოსმენით მაინც სხვაა. თქვენ პროფესიონალი ხართ; ნამდვილი. თუ შეიძლება, თქვენი ტელეფონი ჩამაწერინეთ. მქონდეს მაინც. ამდენი პატივი ჩემთვის

არავის უცია. ასე კარგად როგორ გამიცანით? თითქოს ჩემს გულში იჯექით და შიგნიდან დამინახეთ. თქვენ ძალიან შორს წახვალთ...

გახარებულ სტუდენტ-ჟურნალისტს აუზის ექიმის მიერ აღვლენილი ქება ყურში ერთ გაბმულ კანტატად ჩაესმოდა. ხანდახან ეჭვის მზერასაც კი შეავლებდა მისი ნახელავით ათრთოლებულ რაჟდენს, ბოლოს ტელეფონის ნომერი და ნარკვევის მეორე პირი დაუტოვა, ჩანთა ზურგზე მოიგდო და რედაქციისკენ მიმავალ ტროლეიბუსს შეახტა:

იმავე ღამით „ვრემიას“ დაწყებას აღარაფერი აკლდა, ირაკლის ტელეფონთან რომ უხმეს. იქნებ ნოველის სიუჟეტისთვის არც დამჭირდეს-მეთქი და თავიდანვე არ გავუმხილე მკითხველს, რომ ირაკლი სტუდქალაქის მეოთხე, ახალ კორპუსში მეხუთე სართულზე ცხოვრობდა, ხოლო ტელეფონი დერეფნის ბოლოს მორიგის მაგიდაზე იდგა. სტუდქალაქის ადმინისტრაცია წამდაუწუმ აფრთხილებდა მდგმურებს, ეცადეთ ტელეფონთან მხმობთა რიცხვი არ გაზარდოთ, მორიგე თავის საქმეებსაც ძლივს აუდისო.

– გისმენთ! – ჩასძახა ყურმილს ირაკლიმ და მარცხენა ხელით სპორტული პიჟამოს ჩამოჩაჩული შარვალი აიწია.

– ბატონო ირაკლი, რაჟდენი ვარ მე. ხომ არ გაგაღვიძეთ? ალბათ საქმეს მოგაცდინეთ ხომ? რაჟდენი ვარ, ერთი სიტყვით და, მინდოდა მეკითხა, ხომ არ წაგიღიათ ჯერ ნარკვევი?

– წავიღე, რაჟდენ ბატონო.

– აუჰ! – ამოიხვნეშა ექიმმა.

– მოხდა რამე, ბატონო რაჟდენ?

– არა, ისეთი კი არაფერი. ალბათ ჩასწორება აწიც შეიძლება.

– კი ბატონო, რამეა ისეთი?

– ისეთი კი არაფერი. მე თქვენ შენიშვნას როგორ გაგიბედავთ. პატარა რაღაც. პირველ გვერდზე ნერვული საუბარი იცისო, რომ გიწერიათ, „ნერვული საუბარი“ ნამეტანი ხომ არ არის? ნერვული საუბარი, მოგეხსენებათ, გიჟებმა იციან და არ გაგვცინოს ვინმემ. თქვენ უკეთ იცით, მაგრამ იქნებ ნერვული სხვა სიტყვით შეგვეცვალა, ვთქვათ, „დინჯი“, „დაწყო-

ბილი“, „დალაგებული“ ხოლო, შესაბამისად, „სულ სადღაც“ წაიშლება და ჩაემატება „არსად“. გამოვა – „გეგონება, არსად აგვიანდებაო“. ასე აჯობებს.

– კი, ბატონო, მივალ და ჩავასწორებ, ისე ჩქარი, ნერვული საუბარი თქვენი ხასიათის შტრიხად მომეჩვენა, – კეფა მოიფხანა ირაკლიმ.

– არა, მე კი არ გეკამათებით, ბატონო ირაკლი. ჩქარი საუბარი ვიცი, როგორ არ ვიცი, მაგრამ ნერვულად მხოლოდ მაშინ ვლაპარაკობ, როცა ანერვიულებული ვარ. თუ გნებავთ, ასე ჩაწერეთ, „როცა ააღელვებენ ჩქარი ლაპარაკი იცის თქო.“ როგორც თქვენ გაგეხარდებათ. ისე, მე თუ მკითხავთ, „დინჯი საუბარი“ მირჩევნია.

– კარგი ბატონო, როგორც თქვენ გნებავთ, ისე ჩავწერ.

– ხომ არ გაწყენინეთ, ბატონო ირაკლი. თქვენ პროფესიონალი ბრძანდებით. მე თქვენ შენიშვნას როგორ გაგიბედავთ, – რაჟდენი აშკარად ჩქარა და ნერვულად ლაპარაკობდა.

– არა, ბატონო რაჟდენ, სხვა ხომ არაფერია?

– ჯერ ეს მიბრძანეთ; ხომ არ გაწყენინეთ?

– როგორ გეკადრებათ, თუ შეიძლება, ჩქარა მითხარით, ეს მორიგის ტელეფონია. დიდხანს დაკავება არ შეიძლება.

– უი, ბოდიშს ვიხდი, ბატონო ირაკლი. ახლავე, ახლავე ამ საათში. ისა... მოიცათ, ჰო, მეორე გვერდზე გიწერიათ – „ერთი შეხედვით უბრალო კაცის“... გახსოვთ? იქნებ სხვა სიტყვებით შევცვალოთ. „უბრალო კაცი“ ნამეტანი გაპუსტიაკება არ გამოვიდეს. სხვებს ეწყინებათ, ჩემს კოლეგებს, თორემ მე არაფერი. რატომ ვარ უბრალო? ექიმი გახლავართ, საცურაო კომპლექსის ექიმი. არ ივარგებს ასე. დამცირება გამოგვივა.

– „ერთი შეხედვით“-მეთქი, ბატონო რაჟდენ.

– ან თუნდაც ერთი შეხედვით რატომ ვარ უბრალო. თეთრი ხალათი მაცვია, სათვალეები მიკეთია. მე მგონი უბრალო კაცის შთაბეჭდილებას არ უნდა ვტოვებდე. სწორად გამიგეთ, მე თქვენ კი არ გასწავლით, ღმერთმა დამიფაროს. მე თქვენდენი განათლება ვინ მომცა. თქვენ პროფესიონალი

ბრძანდებით. ისე, ჩემი გაგებით, საქმისთვის რომ უკეთესი იყოს, ხომ არ გწყინთ, ბატონო ირაკლი?

– არა ბატონო, გასაგებია ყველაფერი. ჩავასწორებ უთუოდ. სხვა?

– მეტი არაფერი. ჯერჯერობით.

– აბა მაპატიეთ, კარგად ბრძანდებოდეთ.

ირაკლიმ ყურმილი დადო, თუმცა ექიმის მიერ ნათქვამი „ჯერჯერობით“ ცუდად ენიშნა. თავისი ოთახისკენ რომ მიფშლატუნებდა, უკვე ნანობდა, რომ სწორედ რაჟდენ ჩაჩუაზე დაწერა ნარკვევი.

შუაღამისას, თორმეტის ნახევარზე კარზე კი არ დაუკაკუნეს, დაუბრახუნეს. ირაკლიმ იცოდა, რომ ასე უტიფრად მხოლოდ სართულის მორიგე იქცეოდა და ისიც იმ შემთხვევაში, როცა ძილს გააწყვეტინებდნენ და უდროო დროს ტელეფონთან სტუდენტის დაძახებას დაავალებდნენ.

– ვინ არის? – ცხვირ-პირზე ხელი ჩამოისვა საწოლზე წამომჯდარმა ირაკლიმ.

სტაჟის საგროვებლად ჩამოსულ სვან ყმაწვილს არაფერი უთქვამს. მას ხშირად კავკასიონის თოვლიანი მთები ესიზმრებოდა და მშობლების ხათრი რომ არა ჰქონოდა, სიამოვნებით იტყოდა უარს სტუდქალაქის მორიგის მოსაწყენ პროფესიაზე.

ირაკლიმ ხალათი წამოისხა და მორიგეს გამოჰყვა.

– ალო, გისმენთ? – ინტუიციის წყალობით უკვე იცოდა, რომ აუზის ექიმი უხმობდა და არც შემცდარა.

– გაგაღვიძეთ ხომ, ბატონო ირაკლი? ვწუხვარ ძალიან და გთხოვთ მაპატიოთ, ეს ოხერი ვერა და ვერ მოვისვენე. დილით დაგირეკავდით, მაგრამ მე ვიფიქრე, ვაი თუ დილით ველარ მივუსწრო-მეთქი. თქვენ ხვალ ცურვა გაქვთ?

– არა, ბატონო რაჟდენ.

– მეც ასე ვიფიქრე. ვაითუ აუზზე არ იყოს-მეთქი. უბრალო ამბავია, მაგრამ ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მესამე გვერდზე, თუ გახსოვთ, ასე სწერია: „მეუღლე ბაბილინა მიხეილის ასული გამოცდილი სტომატოლოგია“. ხომ არ შეიძლება ცოტა შევცვალოთ ა? მაგალითად ასე, ალო, ალო გესმით ჩემი?!

– დიახ, დიახ.

– ეს ოხერი მომეჩვენა გაითიშა-მეთქი. მაგალითად ასე რომ შეგვეცვალა: „მეუღლე ბაბილინა მიხეილის ასული გამოცდილი სტომატოლოგია და დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს პოლიკლინიკის მედპერსონალსა და ავადმყოფთა შორის“, რას იტყოდით, ბატონო ირაკლი?

– შეიძლება, ბატონო რაჟდენ, მაგრამ ნამეტანი კანცელარული სტილი გამოგვივა.

– როგორი? ვერ გავიგე?!

ირაკლიმ გაიფიქრა „კანცელარული სტილის“ ახსნა დიდ დროს წამართმევს, მით უმეტეს მთლად ზუსტად არც მე ვიცი, რას ნიშნავს კანცელარული სტილიო და მოკლედ მოჭრა:

– კარგი, კარგი. გასაგებია ბატონო რაჟდენ. ხვალ ჩავასწორებ.

– არ გეწყინოთ. მე თქვენ შენიშვნას როგორ გაგიბედავთ, მეგობრული რჩევაა მხოლოდ. არ დაგავიწყდეთ, ძალიან გთხოვთ, ბატონო ირაკლი. ჩაიწერეთ ეს სამი თხოვნა? თუ გნებავთ, გავიმეორებ.

– არ არის საჭირო, მახსოვს, ბატონო რაჟდენ.

– აბა, ძილი ნებისა. ათასი ბოდიში.

– კარგად ბრძანდებოდეთ.

ირაკლიმ ყურმილს შეუბერა, დადო. ერთხანს მორიგეს უყურა და გაგულისებული სვანის მზერა რომ ვერ დაიჭირა, ყრუდ ჩაილაპარაკა: „დიდი მადლობა, ხაბუკ. თუ ამაღამ კიდევ დამირეკონ, არ დამიძახო, თუ ძმა ხარ. არ არის, წასულიათქო“.

მეორე დილით სარედაქციო თათბირზე დააგვიანდა ირაკლის. კაცმა რომ თქვას, თათბირი დაწყებული არც კი გახლდათ, შეიხედა კიდეც, მაგრამ არავინ უთხრა მობრძანდიო და თვითონ ვერ გაბედა. რედაქციის თანამშრომლები საკონფერენციო დარბაზში ერთსულოვნად შეკრებილიყვნენ და არ უნდოდა მისთვის, როგორც დაგვიანებულისთვის, ყურადღება მიექციათ. თათბირი რომ დამთავრდა, ლუბა კირვალიძეს გამოჰყვა დერეფანში. ლუბამ – „ჩემს კაბინეტში შებრძანდით და დამელოდეთ, სამდივნოში შევივლი და ახლავე მოვალო“.

დერეფანში ცხელოდა. ჟურნალისტები და პრაქტიკანტები აქეთ-იქით ფაცხაფუცხით გარბი-გამორბოდნენ. ზოგი საქმიანად, ზოგი ისე, მოსაჩვენებლად.

ლუბამ კარგა ხანი დაჰყო სამდივნოში როცა დაბრუნდა, ირაკლის ბოდიში მოუხადა შეყოვნებისთვის და აუწყა: თქვენი ნარკვევი მომეწონა, გუშინვე მოვამზადე და რედაქტორს ჩავაბარეო. პრაქტიკანტმა იცოდა, რომ რედაქტორს განყოფილებათა გამგეები გაფრთხილებული ჰყავდა, სტუდენტ-ჟურნალისტთა მასალები პირდაპირ მე შემომიტანეთო.

„თუ შეიძლება ჩასასწორებელი მაქვს ცოტაო“, გაუბედავად თქვა და განზე გაიხედა მურღულიამ.

„უხერხული კია, მაგრამ, თუ აუცილებელია, შებრძანდით და იქვე, რედაქტორთან ჩაასწორეთ. მე ვერ შევალ. საერთოდ არ უყვარს, როცა ჩაბარებულ მასალას ჩასასწორებლად გავეკიდებით ხოლმეო“, ლუბამ.

ირაკლი დიდხანს სცემდა ბოლთას რედაქტორის მოსაცდელში. „რა ჭირი ავუტეხე ჩემს თავს. რა მენარკვევებოდა, დავბეჭდავდი ერთ-ორ ინფორმაციას და დამთავრდებოდა საქმე, ვინ დაუტოვებიათ დახასიათების გარეშე, მე რომ დავეტოვებინეთო. ახლა რომ გამლანძღოს ამ კაცმა, ახი იქნება ჩემზეო“.

ბოლოს მაინც შევიდა. კარი რომ შეაღო, დაინახა მაგიდასთან, ტელეფონებს შორის მჯდარი რედაქტორი, რომელსაც გულზე ხელები დაეკრიფა და ჭერს შესცქეროდა. რედაქტორმა გერვასი იმნაძემ შემოსულს რომ თვალი ჰკიდა, მაინცდამაინც მაშინ მოირგო სათვალე და ქაღალდს ჩაუჭიჭინდა. ამით, ალბათ, აგრძნობინა სტუმარს, გაცხარებულ მუშაობაში შემომისწარიო. რედაქტორებს საერთოდ საქმეს რა გამოულევთ, მაგრამ იმ წუთას, სულო ცოდვილო, გერვასი ისვენებდა. ნომერი უკვე დაგეგმილი ჰქონდა და შეეძლო ამგვარი ფუფუნების საშუალება მიეცა თავისი თავისთვის.

ირაკლიმ შეწუხებისთვის ბოდიში მოუხადა და აუხსნა: პრაქტიკანტი გახლავართო. ჩემი ნარკვევი მოგართვათ გუშინ კირვალიძემ, თუ შეიძლება, ერთი წუთით რომ მათხოვოთ, ჩასასწორებელი მაქვს რაღაცაო.

იმნაძეს არაფერი უთქვამს. მაგიდიდან ნარკვევი აიღო და გაუწოდა. სტუდენტმა მადლობა მოუხადა და გამოვიდა, იქვე. მდივანი გოგონას მაგიდაზე ჩაასწორა რაჟდენ ჩაჩუას „სურვილები“ და ათიოდე წუთში უკანვე შეურბენინა.

რედაქტორს არც ახლა უთქვამს რამე. ნარკვევი გამოართვა და კვლავ მასალას ჩაუღრმავდა.

გავამხელ და ვიტყვი, რომ გაზეთ „ჰარმონიას“ რედაქტორს პრაქტიკანტები არ უყვარდა. გოგონა-პრაქტიკანტებს, ასე თუ ისე, კიდევ იტანდა, ვაჟ-პრაქტიკანტებზე კი, რატომღაც, გული ჰქონდა გატეხილი და მათ მიმართ აშკარა სიძულვილს თუ უნდობლობას, თუმცა ძალიან ცდილობდა, მაგრამ მაინც ვერ მალავდა.

პრაქტიკანტები, რასაკვირველია, გრძნობდნენ მათი უპრეტენზიო პერსონის მიმართ რედაქტორის ამრეზილ დამოკიდებულებას და მაინცდამაინც თვალში არ ეჩხირებოდნენ, ცდილობდნენ გერვასისგან შეუმჩნეველი დარჩენილიყვნენ.

სიმართლე გითხრათ, ირაკლის გაუკვირდა კიდეც, რედაქტორთან შეხვედრა ასე მშვიდობიანად რომ ჩამთავრდა. რედაქციის პირველი ვიოლინოს პირქუში მზერა და დუმილიც სრულიად ბუნებრივად მიიჩნია. მურღულიას არ უყვარდა ენადგაკრეფილი, ბაგედათაფლული კაცები. მამაკაცი ცოტა მკაცრი, ჩუმი და სერიოზული უნდა იყოსო, ფიქრობდა. რედაქტორის კაბინეტს გამოცილებულმა ერთხანს ლინოტიპისტებთან იტრიალა, მერე კირვალიძეს დაეთხოვა და ქუჩაში გამოვიდა. რუსთაველის პროსპექტს ქვევით ჩაუყვა ჯერ „მერანის“ ფანჯრებში გამოფენილი საკდესის ფოტოები დაათვალიერა, მერე ოპერის წინ წიგნის მაღაზიაში იბუჯურა, მაგრამ ვერაფერი შეიძინა და ბოლოს კინოთეატრ „რუსთაველში“ სამი საათის განმავლობაში ჯიუტად იდგა „მონანიების“ რიგში. მხოლოდ ათსაათიანზე მოუწია ბილეთმა.

შინ უგუნებოდ დაბრუნდა. ფილმის მაღალი მხატვრული ღირსებებისგან მიღებული შთაბეჭდილება ირაკლის არსებაში დათრგუნა ფიქრმა იმის შესახებ, რომ ხელოვანი იძულებული გახდა ამ ცივილიზებულ მეოცე საუკუნეში ადამიანთა შორის აშკარად მგლურ ურთიერთობაზე ელაპარაკნა თავის ბრწყინ-

ვალე ფილმში. ტროლეიბუსში მჯდარი ახლო ნაცნობთა შორის „მონანიების“ პერსონაჟთა პროტოტიპებს დაეძებდა და გულს ის უფრო უკლავდა, რომ პოულობდა კიდეც.

მთელი ღამე შფოთვასა და ძილ-ღვიძილში გაატარა. ის იყო დილით, როგორც იქნა, ჩაეძინა, რომ კარზე პოლიციურმა ბრახუნმა გველცემულივით წამოაგდო. კარი რომ გააღო, დერეფნის ბოლოში მორიგის ზურგს მოჰკრა თვალი და მიხვდა, რომ ტელეფონთან უხმობდნენ.

წელმოწყვეტილივით წამოვიდა. სანამ ყურმილს აიღებდა, ჭაბუკს ჰკითხა; კაცი რეკავს თუ ქალიო. ისე, სიტყვის მასალად ჰკითხა, თორემ ახლაც მშვენივრად იცოდა, ვინც ურეკავდა. დამნაშავედ გრძნობდა თავს ინტელექტუალური სვანი ყმაწვილის წინაშე, რომელსაც მეოთხე დღეა საზოგადოებათმცოდნების სახელმძღვანელო თავის სამორიგეო მაგიდაზე სამოცდამეთერთმეტე კენტ გვერდზე ჰქონდა გადაშლილი.

– დილა მშვიდობისა, ბატონო ირაკლი. მე ვარ, რაჟდენი ვარ. გაგაღვიძეთ ხომ? თქვენ დღეს ცურვა არა გაქვთ?

– არა, ბატონო რაჟდენ.

– ვერ ჩაასწორეთ, ალბათ, რაც გთხოვეთ ხომ? სად მოიცლიდით.

– ჩავასწორე, ბატონო რაჟდენ.

– რას ლაპარაკობთ, ასე უცებ? დაბეჭდვით, ალბათ, ჯერ არ დაბეჭდავენ. მასალების რიგი იქნება, რასაკვირველია.

– ჩემთვის არ უთქვამთ, მაგრამ იმ კვირას, მე მგონი, არ გადააცილებენ.

– რას ლაპარაკობთ?! რომ იცოდეთ, როგორ ველოდებით მთელი ოჯახი. ბრწყინვალე რამე ნარკვევია. ის, მანქანიდან ჩამოსვლის ამბავი მე არ მითქვამს თქვენთვის, მაგრამ რა დიდებულადაა მოფიქრებული.

– რა ვიცი, ვეცადე, ბატონო რაჟდენ, თქვენ საინტერესო პიროვნება ბრძანდებით.

– მე კი არა, თქვენ ხართ საინტერესო. ასე ახალგაზრდა და ამდენი იცით. ჩემი სიტყვა დაიმახსოვრეთ; თქვენ დიდი საქმეები გელით. ასეა ეს. ახლა ისა, რაზე დაგირეკეთ, ოღონდ არ გეწყინოთ, ძალიან გთხოვთ. მეოთხე გვერდის მეექვსე

სტრიქონზე ასე სწერია: „გესაუბრებათ იგი ოცდაათიანი წლების კაცის ოპტიმიზმით და, ცოტა არ იყოს, ლოზუნგურადაც“. „ოცდაათიანი წლების კაცის ოპტიმიზმი“, თუ თქვენ ძალიან გინდათ, დარჩეს, ისე ნაკლია ხომ? ჩამორჩენილი კაცი გამოვდივარ. მაგრამ ეს თქვენი შენიშვნაა და რა უჭირს, იყოს. ნაკლზეც ხომ უნდა იყოს ლაპარაკი. აი, „ლოზუნგურადაც“ უსათუოდ უნდა შევცვალოთ. ლოზუნგებით ლაპარაკი რამდენი ხანია დავგმეთ და ახლა მე უნდა მომაწეროთ? რას იტყვის ხალხი, რაჟდენ ჩაჩუა ლოზუნგურად მოლაპარაკე ყოფილაო. თავი მომეჭრება, რამე სხვა სიტყვით შევცვალოთ, ან სულ ამოვიღოთ ეს წინადადება, თუ არ გეწყინებათ.

– კეთილი, ამოვიღოთ, ბატონო რაჟდენ, მაგრამ მაგ ადგილას გადასვლა როგორ გამოგვივა? ამოგლეჯილი ადგილი ხომ არ დარჩება ნარკვევში?

– არა მგონია. გადასვლაც ბუნებრივი იქნება, მე მგონია. თუ არ მოუხდება წაშლა. რამე სხვა ფრაზას ჩასვამთ, მაგრამ „ლოზუნგური“ არ დამიტოვო, მამა-შვილობას გაფიცებ.

ამასობაში მორიგემ მუყაოზე დიდი ასოებით დაწერილი ტექსტი დაუდო. „მესტიიდან უნდა დამირეკონ და ლაპარაკს დიდხანს ნუ გააგრძელებთ“, სრულიად საბუთიანად სთხოვდა სტუდენტ-ჟურნალისტს საჯიხვეების მკვიდრი. ირაკლიმ თავი დაუქნია და ყურმილს ჩასძახა.

– კარგი, ბატონო რაჟდენ! სხვა ხომ არაფერი გნებავდათ?

– ერთი შეკითხვა მაქვს. სათაური ვერ გავიგე, „შეჩერებულ წამთა ღაღადი“ რას ნიშნავს, ბატონო ირაკლი?

– რას და თქვენ რომ ფოტოები დამათვალიერებინეთ, ის ფოტოები მე შეჩერებულ წამებად აღვიქვი. სწორედ ის შეჩერებული წამები მიამბობენ თქვენს ცხოვრებაზე.

– კარგი მოგეცათ, ეგ კარგი იყოს, მაგრამ ყველა ვერ გაიგებს, ბატონო ირაკლი. შეჩერებული წამი მხოლოდ მკვდრებისთვის არსებობს. მე კი ღვთის წყალობით, ცოცხალი ვარ ჯერ და ნუ გავაცინებთ მტერს. რაჟდენ ჩაჩუასთვის დრო შეჩერებულაო. აქილიკდებიან. ხომ არ სჯობია, რაიმე უბრალო სათაური გამოვძებნოთ? ასეთი უპრეტენზიო და გასაგები, მაგალითად: „სამაგალითო მოქალაქე“ ან „მისაბაძი

პიროვნება“. თქვენი შეხედულებისამებრ, რასაკვირველია.

მშვენიერი სიტყვა გვაქვს ქართველებს „გახევებული“. ესე იგი ხედ ქცეული. სწორედ გახევებული იდგა ირაკლი. დაშვებულ ხელში ყურმილი ეჭირა, ხოლო ყურმილიდან რაჟდენის „სულისშემძვრელი“ ღაღადისი ისმოდა: „ალო, ხომ ასე აჯობებს? ხომ მართალი ვარ?! ასე აჯობებს საქმისთვის, ალო, ალო, ბატონო ირაკლი, ბატონო ირაკლი, გაითიშა, ალო, ალო!“

ირაკლიმ ყურმილი დადო და ხაბუკ-მორიგეს შეხედა. თქმით არაფერი უთქვამს. ხაბუკი ამ დილით ისედაც ყველას უპასუხებდა, რომ ირაკლი მურღულია ეს-ესაა გავიდა და საღამომდე არ დაბრუნდება.

იმ დღეს რედაქტორმა დიდხანს ვერ მიიღო. გაზეთის დაგეგმვა რომ დამთავრდა და განყოფილებათა გამგეები არცთუ მხიარული მასლაათით გამოიკრიფნენ კაბინეტიდან, „ჰარმონიის“ ცინცხალ ნომერს წამით მოაცილა ირაკლიმ თვალი და მდივან გოგონას (რომელსაც „გოგონეობის“ ასაკი კარგა ხანია უკან მოეტოვებინა) დაეღრიჯა: „პრაქტიკანტ მურღულიას ერთწამიანი საქმე აქვსთქო“. „ახლა ვერ შევალ, თვითონ დამიძახებსო“, მდივანმა. ორიოდე წუთში მართლაც, გაისმა ზარის ხმა. მდივანი ქალი შევიდა და მაშინვე გამობრუნდა. „ახლა ვერ მიგიღებს, სადღაც მიდისო“, ტელეფონს დაწვდა და გარაჟში დარეკა. მალე რედაქტორიც გამოჩნდა კარებში. ირაკლისთვის ზედაც არ შეუხედავს, „ერთ საათში მოვბრუნდებიო“, მდივანს დაუბარა და დერეფანს გაუყვა.

შესვენების შემდეგ მობრუნდა. ჯერ გაზეთის პასუხისმგებელ მდივანს უხმო და გვერდებს გადახედა, მერე ლუბა კირვალიძეს გამოუძახა. ლუბამ კარგა ხანი დაჰყო რედაქტორის კაბინეტში და რომ გამოვიდა, ადამიანისფერი აღარ ედო, ირაკლის მიუახლოვდა, სათვალე მოიხსნა, კარგად დააკვირდა პრაქტიკანტს, ამოიოხრა და მოჩვენებითი სიმშვიდით უთხრა: „შებრძანდით, თქვენს ნარკვევზე იყო ლაპარაკი“.

მურღულია კარგა ხანს იდგა კარებთან. გერვასი იმნაძემ იგი მაშინვე შენიშნა, მაგრამ უდროო დროს შემოსული პრაქტიკანტი იმით დასაჯა, რომ მიახლოვების დასტური არ

მისცა. ბოლოს, როგორც იქნა ინება: თავი ასწია და თავმობეზრებული კაცის ინტონაციით გადაუგდო:

– გისიმენთ, მოკლედ მითხარით.

– მე, ბატონო გერვასი, პრაქტიკანტი მურღულია გახლავართ. ჩასასწორებელი მქონდა, პატარა, ჩემს ნარკვევში.

რედაქტორმა მაგიდის მარჯვენა კუთხეში წითელი ფანქრით დიდშეკითხვადასმული ნარკვევი აიღო და ირაკლის ხელით ანიშნა დამჯდარიყო.

– იცი რა, ჩემო კარგო. თქვენ ახლა მეორედ მობრძანდით ხომ? ჩასასწორებლად? არაერთხელ კიდევ მოხვალთ, დარწმუნებული ვარ, ჩასწორების მიზნით. ეს რატომ მოხდა, თუ იცით? დაიმახსოვრეთ ერთხელ და სამუდამო: ჟურნალისტმა ასჯერ უნდა გაზომ-აწონოს ნათქვამი, დახვეწოს, დაამუშაოს და მერე მისცეს მსვლელობა. ასე რომ ჩამისწორონ მე ავტორებმა, ჩაბარებული მასალები, წინ წავა გაზეთის საქმე. ეგ არაფერი. წავიკითხე თქვენი ნარკვევი და არ მომეწონა. ნამეტანი ფანტაზიას დაყრდნობიხართ. ჟურნალისტიკას ფანტაზიორობა და მთხზველობა მაინცდამაინც არ უყვარს, ფაქტზე, საქმეზე უნდა ილაპარაკო. ჯერ ერთი პათეტიკურია შენი ნარკვევი, აი, სწორედ ლოზუნგურად შენ ლაპარაკობ და არა ის კაცი, რა გვარია?

– ჩაჩუა.

– ჩაჩუა. მერე შენ თვითონვე დასაწყისშივე წერ: ვთხოვე, გაუსინჯავად ბეჭდის დარტყმაო. ამის შემდეგ დაგიჯერებს მკითხველი? შენ თვითონვე უბიძგებ კაცს ცუღლუტობისკენ. საწოლიდან ფეხის გადმოდგმაზე რომაა ლაპარაკი – ეგ ჟურნალისტიკა არაა, შეიძლება მოთხრობაში ჩაიწეროს, ნარკვევში ზედმეტია. შენი პოზიცია, გითხრა სიმართლე, ნამეტანი ბუნდოვანია, აქ რომ წერ: „თითქოს კვლავ მწყობრში ჩაგაყენეს, კვლავ ლაშქარში შეგაბრუნესო“, რას ნიშნავს? ესე იგი შენ, ჟურნალისტი, ამოვარდნილი იყავი კალაპოტიდან და ჩაჩუამ შეგაბრუნა? რა გამოვდივართ ჩვენ მაშინ? ჟურნალისტი უნდა აყენებდეს მოქალაქეს მწყობრში პირიქით. არ ვარ მართალი? ახლა ასე შევთანხმდეთ: ეს ნარკვევი არ დაიბეჭდება. ნარკვევი ძნელი დასაწერია. გული არ დაგწყდეს. რაღა

ნარკვევით იწყებ მაინცდამაინც. ჯერ სხვა ჟანრში გაიწაფე ხელი. ნარკვევის წერა შენ კი არა, ამ ხნის კაცი ვარ და მე თვითონ მიჭირს.

რად უნდა ლაპარაკი, რომ ცუდ გუნებაზე გამოვიდოდა პრაქტიკანტი მურღულია რედაქტორის კაბინეტიდან. იმდენად ნარკვევის დაწუნება არ აწუხებდა, რამდენადაც ის, თუ რა პასუხი გაეცა ბატონი რაჟდენისთვის. მართალია, ლუბა კირვალიძემ მთელი საათი არწმუნა, არ ვეთანხმები რედაქტორს, ძალიან კარგია თქვენი ნარკვევი და გაზეთს სწორედ რომ დაამშვენებდაო, მაგრამ ამით საქმის ვითარება არ შეცვლილა. საერთოდ, ცნობისთვის მოგახსენებთ, ძვირფასო მკითხველო, რედაქციებში ოდესმე საქმე რომ გაგიჩნდეთ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თუ რედაქტორს არ მოეწონა, ის მასალა არ დაიბეჭდება.

გავიდა ერთი კვირა. ამ ხნის განმავლობაში რაჟდენ ჩაჩუამ რამდენჯერმე დაურეკა და ნარკვევში ერთი მნიშვნელოვანი და რამდენიმე უმნიშვნელო შესწორების შეტანა სთხოვა. მნიშვნელოვანი შენიშვნა ის გახლდათ, რომ რაჟდენი სთხოვდა ავტორს ნარკვევში ორი შვილის ნაცვლად სამი შეეტანა. ერთი შვილი პირველ ცოლთან მყავდა, მართალია, ხმას რომ არა მცემს (დედამისმა თავის ჭკუაზე გაზარდა) გაბრაზებული ვარ, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, შვილია მაინც და ჩამოთვლაში უნდა აღინიშნოსო. რაც შეეხება ნაკლებმნიშვნელოვან, ან სულაც უმნიშვნელო შენიშვნებს, აქ აღარ ჩამოვთვლი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისედაც გადაღლილ მკითხველს თავი არ მოვაბეზრო და ეს სიმწრით დაწერილი ნოველა ბოლომდე ჩასაკითხად განუსაზღვრელი დროით არ გადავადებინო.

ათიოდე დღის შემდეგ რაჟდენის რეკვებმა და შეკითხვა-შეხვედრებმა უფრო სისტემატური ხასიათი მიიღო. რა დაგიმალოთ, ვერ გაუმხილა ირაკლიმ ნარკვევის გმირს რედაქტორთან მისი უკანასკნელი ვიზიტის შედეგი. დაუმალა მწარე სიმართლე იმის შესახებ, რომ „შეჩერებულ წამთა ღაღადი“ სტამბის საღებავს ვერ ეღირსებოდა.

რაჟდენი ნერვებს ვერ იოკებდა. გასახდელში უსაფრდებოდა საცურაო აუზიდან გამოსულს, დილა-საღამოს ტელე-

ფონზე ურეკავდა, რამდენჯერმე შინაც მიაკითხა. ირაკლის ილაჯი გაუწყვიტა, სირცხვილის ქარი დამართა დღესხვალობანას უშედეგო თამაშმა. სინდისი ქენჯნიდა, რომ ამ ხნის კაცს სიმართლე დროზე არ შეატყობინა. რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო უჭირდა ნარკვევის სავალალო ბედის გამხელა. იცოდა, რომ საცურაო აუზის ექიმი ყოველ სისხამზე გაზეთის ჯიხურისკენ გარბოდა, რათა ფოსტალიონისთვის დაესწრო და სხვებზე ადრე ენახა „ჰარმონიის“ რომელიმე გვერდზე გამოქვეყნებული ნარკვევი სათაურით „სამაგალითო მოქალაქე“ (ან რაიმე ამის მსგავსი). იცოდა ირაკლიმ, რომ სულს ლევდა რაჟდენი გაზეთის ფურცელზე თავისი საყვარელი პორტრეტი ენახა, – მედლებით მკერდდამშვენებული და მომღიმარი ექიმის პორტრეტი. ნარკვევი კი არა და არ ჩანდა. თვის ბოლოს, როცა ერთხელ ღამით რაჟდენი მძინარეს წაადგა, გააღვიძა და აკანკალებული, ნერვული ხმით ჰკითხა: „ხომ არაფერი შეიცვალა, ხომ არაფერს მიმალავ, რატომ დააგვიანეს გამოქვეყნებაო“, ირაკლი საწოლზე წამოჯდა, რაჟდენს დამარცხებული ფელდმარშლის იერით შეხედა და აუწყა, „ნარკვევი აღარ დაიბეჭდებაო“. „რატომ?!“ – ყელგამშრალმა რაჟდენმა სხვისი ხმით იკითხა. „არ დაიბეჭდება, მორჩა და გათავდა. არ დაიბეჭდება ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო. ძალიან გთხოვთ, სწორად გამიგეთ, მე ყველაფრის თქმის უფლება არა მაქვს“. განსაკუთრებით თავისი ბოლო ფრაზა მოეწონა ირაკლის. მგონი გამოსავალი ვიპოვეო, გაიფიქრა, მაგრამ ღრმად შეცდა. „ააა... გასაგებია, გასაგები. მე ველოდი ამას. ამის მსგავსს რაღაცას ველოდი... კი...“ განზე გაიხედა რაჟდენმა. „ბატონო?!“ – ირაკლი ყურადღებად იქცა. „არაფერი, არაფერი, კარგად ბრძანდებოდეთ“, რაჟდენი სწრაფად წამოდგა და კარებისკენ ბრმის ნაბიჯებით გაიკვლია გზა.

სტუდენტმა ჟურნალისტებმა გაზეთ „ჰარმონიაში“ პრაქტიკა წარმატებით გაიარეს. ჩათვლა-დახასიათება ყველამ მიიღო.

ირაკლი მურღულიამ სხვა საცურაო აუზში გადაინაცვლა. ვერ აიტანა ყოველ მეორე დღეს რაჟდენ ჩაჩუას გაფითრებ-

ული სახისა და შიშჩამდგარი თვალების ხილვა, რაჟდენი შეთქმულივით დაედევნებოდა დერეფანში სტუდენტს და ჩასძახოდა: „ბატონო ირაკლი. მე მინდა თქვენ იცოდეთ სიმართლე, მე აბსოლუტურად უბრალო ვარ. ჩემი რა ბრალია, რომ ის გარეწარი ჩვენს კლასში იყო და რამდენიმე სურათიც მაქვს მასთან გადაღებული. ეს შემთხვევითი ამბავია. ჩემთან არ მეგობრობდა და სკოლის დამთავრების შემდეგ თვალითაც არ მინახავსო“.

ირაკლიმ არ იცოდა, ვის და რას გულისხმობდა რაჟდენი, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც კმაყოფილი იყო, რომ ნარკვევის არდაბეჭდვის მიზეზი თვით ექიმმა გამოჩხრიკა თავის ბიოგრაფიიდან და ჟურნალისტის შეზღუდული ფანტაზია ერთი მოგონილი სიუჟეტისგან გაანთავისუფლა.

* * *

ამ შემთხვევიდან თვე-ნახევრის შემდეგ, თერთმეტი მარტის საღამოს გაზეთში დაიბეჭდა რაჟდენ ჩაჩუას პატარა უპორტრეტო ნეკროლოგი.

ეს ნეკროლოგი უფრო მშრალი მოეჩვენა მურღულიას, ვიდრე სხვა მშრალ ნეკროლოგებს ბეჭდავენ გაზეთები. თუ სიბერემდე მივაღწიე, ანდერძით დავიბარებ, ჩემზე ნეკროლოგი საერთოდ არ გამოაქვეყნონ. რა თავის აგდებაა, ვის სჭირდება ამნაირი, სახელდახელოდ გამომცხვარი, ჭირისუფალთა ჭირვეულობის პასუხად შექმნილი ნეკროლოგებიო, გაიფიქრა ირაკლიმ, გაზეთი დაკეცა და გულის ჯიბეში ჩაიდო.

მანანა

მილიციის ქვეგანყოფილების უფროსს – გელაძეს.

ამ განცხადებით მოგმართავთ მე, მანანა სავლეს ასული მახათაძე, რომელიც ვცხოვრობ თხილიანის ქუჩაზე, მეგობრის – რუსუდან ვაჩნაძის ნაქირავებ ბინაში, ჩაუწერლად. გუშინ საღამოს მითხრეს, მილიციიდან მოგაკითხესო. მე თვითონ აქამდეც უნდა მოვსულიყავი, მაგრამ ვერ მოვიცალე. ახლაც კი თქვენ არ ბრძანდებით და სხვამ ვერავინ მითხრა, ვინ დამიბარა და რა საქმეზე. ჩვენი უბნის რწმუნებული, როგორც გაირკვა, ჭანკვეტაძე ბრძანებულა. არც ის დამხვდა ადგილზე. ამ წერილს მორიგესთან ვტოვებ, თუ ჩემი ახსნა-განმარტება გახდეს საჭირო, გამომიძახეთ, თუ არა და სამი დღის შემდეგ მე თვითონ მოგაკითხავთ. ამ განცხადებაზე პასუხი არ მინდა, არც დახმარებას გთხოვთ. თუ რაიმეს ნიშნავს ბოდიში თქვენთვის, ბოდიში მინდა მოვიხადო, რომ ჩაუწერლად ვცხოვრობ მეგობრის ბინაში უკვე მეექვსე თვეა. თუ ამის გამო ჯარიმა მეკუთვნის, ძალიან გთხოვთ ნუ დამაჯარიმებთ, რადგანაც ახლა კაპიკის მოხერხებას არა ვარ. სამ დღეში ჩემი ბარგიანად გამოვივლი თქვენთან, დაგემშვიდობებით და წავალ თბილისიდან. რაიონში გადავდივარ მუდმივ საცხოვრებლად და სამუშაოდ. დაგემშვიდობებით-მეთქი რომ გპირდებით, არ გაგიკვირდეთ, თქვენ მე, რასაკვირველია, არ მიცნობთ, მაგრამ მადლობის სათქმელად შემოვივლი, იმიტომ, რომ თქვენი განკარგულებით, ალბათ, სამ დღეს კიდევ გამაჩერებენ ქალაქში. ეს სამი დღე კი ჩემთვის აუცილებელია პირადი საქმეები რომ მოვაწესრიგო.

არ ვიცი, რატომ მინდა იცოდეთ ჩემი ამბავი. მე თქვენ მხოლოდ ერთხელ გნახეთ, შარშან, თუ გახსოვთ, გენერალ გუსევის ქუჩაზე. ოცდაშვიდი მაისი იყო. ძალიან მეჩქარებოდა და გზა უადგილო ადგილას გადავჭერი. მილიციელმა გამაჩერა, საბუთები წარმომიდგინეო. სამწუხაროდ, ჯიბეში

პირადობის მოწმობაც არ აღმომაჩნდა. ჯარიმას გადავიხდი და გამიშვით, მეჩქარება-მეთქი, ბევრი ვეხვეწე, მაგრამ ჩემმა თხოვნამ არ გაჭრა. ღლაბუცა მილიციელები ხომ არსებობენ, გინდა თუ არა, უნდა გავიგო, ვინ ხარ და რას წარმოადგენო. ასეთი რა დანაშაული ჩავიდინე, ადამიანი არა ხარ? მეჩქარება, მელოდებიან-მეთქი. ჩემი ამხანაგი ხელს აწერდა და გრიბოედოვის ძეგლთან ვიკრიბებოდით. არ მიშვებს, ტირილი ამივარდა. ამ დროს თქვენ გააჩერეთ მანქანა. რა ხდებაო, იკითხეთ. მოძრაობის წესები დაარღვია და საბუთის წარმოდგენა არ სურსო, გაგეჭიმათ „წესრიგის დამცველი“, საბუთი თან არ მაქვს, ჯარიმას გადავიხდი, ძალიან მეჩქარება-მეთქი, წავილუღლუღე. მანქანაში ჩამსვით, გრიბოედოვის ძეგლთან მიმიყვანეთ, გზაში ერთი სიტყვა არ გითქვამთ ჩემთვის, მძღოლს ელაპარაკებოდით, გადმოსვლისას მადლობა რომ გადაგიხადეთ, გაიღიმეთ: „კარგად იყავით გოგონა, თუ კიდევ გაგაბრაზათ ჩვენმა თანამშრომელმა, მითხარით და ყურს ავუწევ, ამ რაიონის ქვეგანყოფილების უფროსი ვარ, გელაძეო“. მეტად აღარ მინახავხართ. ახლა რომ მოვედი და უფროსი ვიკითხე, გელაძეო მითხრეს, ალბათ ის გელაძე ბრძანდებით. ვზივარ თქვენს სამორიგეოში და ამ ბარათს თუ განცხადებას გიწერთ. ერთს გთხოვთ მხოლოდ, წაიკითხეთ და სამი დღის შემდეგ რომ მოვალ, მოკლედ ამიხსენით, რისი ბრალია, რომ ამ მდგომარეობაში ჩავვარდი, სად დავუშვი შეცდომა, რომ ოცდაოთხი წლის გოგო მარტო დავრჩი იმ ქალაქში, სადაც დავიბადე და არა მარტო დავრჩი, ცარიელტარიელი დავეხეტები, არც ბინა მაქვს, არც სამსახური და როგორც უბნის რწმუნებული მოგახსენებდათ, ჩაწერილიც არსად ვარ.

დავიბადე 1962 წელს. მშობლები არ მახსოვს. როგორც მითხრეს, დედაჩემი და მამაჩემი კანონიერი მეუღლეები არ ყოფილან. დედაჩემი დაბადებიდან ერთი წლის შემდეგ ტვინის სიმსივნით გარდაცვლილა. მამაჩემი არც მის დასაფლავებაზე გამოჩენილა და არც ახლა ვიცი, ვინ არის. დედაჩემი, თურმე, ბოლომდე საიდუმლოდ ინახავდა მისი შვილის მამის ვინაობას. ის არაფერ შუაშია, მე მსურდა მისგან შვილიო, ცოლშვილ-

იანი კაცია, ვერ გაგიმხელთ, ძელზეც რომ გამაკრათო. ასეთი ყოფილა დედაჩემი... ეს ყველაფერი ჩემმა გამზრდელმა დეიდამ მიამბო ამ შვიდი წლის წინ. მეათე კლასამდე არაფერი ვიცოდი. დეიდაჩემს ქმარი ავარიით მოკვდომოდა და ორივენი – მე და მისი მკვიდრი ქალიშვილი, ჩემზე სამი წლით უფროსი – ხათუნა, ერთად ვიზრდებოდით. სკოლას ისე ვამთავრებდი, რომ დეიდაჩემი ჩემი დედა მეგონა და ხათუნა ჩემი ღვიძლი და. შვიდი ნოემბრის წინა დღით ვიღაცამ დამირეკა: „მანანა, დეიდაშენს თხოვეო“, ქალის ხმა იყო, ის ხმა არც მანამდე არც შემდეგ აღარ გამიგონია. „რომელ დეიდას-მეთქი?“ „შენს დეიდას, ლამარასო“. „ლამარა დეიდა კი არა, დედაა-მეთქი ჩემი“, „არა შვილო, დედაშენი თექვსმეტი წელია შავ მიწაში წევსო“. იქნებ სიავითაც არ მოსვლია იმ ქალს, იქნებ ვერც ხვდება, რა უღმერთობა ჩაიდინა, თავისი ენით რომ მეორეჯერ მომიკლა დედა უკვე მოწიფულ გოგოს. გულში რაღაც ჩამწყდა. ადამიანი თურმე სიტყვა ყოფილა, სხვა არაფერი. როგორ ვიფიქრებდი, რომ იმ ერთი სიტყვის შემდეგ ჩემს დას და დედას სხვა თვალით შევხედავდი, რომ ისინი იმ წუთის შემდეგ, მართალია ახლობლებად და საყვარელ ადამიანებად, მაგრამ მაინც სხვებად იქცეოდნენ ჩემს თვალში. მერე დეიდამ ყველაფერი მიამბო. ერთი კვირის შემდეგ ლამის ყველაფერი დამავიწყდა, ლამარას ჩვეულებრივად დედას ვეძახდი, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც დარჩა ავყია ქალის მიერ პირში მოხლილი მწარე სიმართლე. დარჩა და დარჩა. ვერაფრით ამოვშანთე. სადღაც ღრმად ჩაიკირა სამუდამოდ.

სკოლა რომ დავამთავრე, ხათუნა მესამე კურსზე იყო, სამედიცინოზე, სამკურნალოზე. მე ექიმობა არ მიზიდავდა და კიდეც რომ დიდი სურვილი მქონოდა, ვიცოდი – ვერ მოვეწყობოდი, ტექნიკური საგნებისადმი ჩემი ნაკლები ინტერესის გამო. გადავწყვიტე იურიდიულზე ჩამებარებინა, მაგრამ პირველ წელს საბუთები არ მიიღეს, ორი წლის მუშაობის სტაჟიაო საჭირო. გადავიფიქრე იურისტობა და აღმოსავლურზე ჩავაბარე, მაგრამ ნახევარი ქულა დამაკლდა და ვერ მოვხვდი. ჩვიდმეტქულიანები ოთხნი ვიყავით და დაგვპირდნენ დამატებით სიაში ჩაგრიცხავთო. ორი თვე ამაოდ ველოდით.

სხვა ფაკულტეტებზე დაამატეს, ჩვენსაზე არ დაუმატებიათ. ამ პირველმა მარცხმა გული როდი გამიტეხა, რა მოხდა მერე, ვიმუშავებ და თან ვისწავლი, წელს თუ არ გამიმართლა, გაისად გამიმართლებს, ბოლოს და ბოლოს გოგო ვარ, ჯარი არ მიწევს და არაფერი-მეთქი.

დეიდაჩემმა ოქტომბრის ბოლოს ფინგანის რაიონულ არქივში მომაწყო სამუშაოდ. სტაჟის გულისთვის, მოგეხსენებათ, ჩვენი ტოლები რა მოსაწყენ მაგიდებს არ უსხედან და სად არ ამთქნარებენ. არქივის გამგის მოადგილე ზოოვეტდამთავრებული ჩანჩაბაძე იყო. მამისტოლა კაცი გახლდათ და მეც ისე ვეპყრობოდი, როგორც მამისტოლა მამაკაცებს უნდა მოქცეოდა ჩემხელა გოგო. რაღაც რაღაცებს მიყვებოდა, მეც მსიამოვნებდა მასთან ლაპარაკი, არ ვიცოდი, რა ედო გულში. ერთხელ მარტო ვიდექით ფანჯარასთან, არქივში არავინ იყო, ეს ამხელა კაცი ჯერ ნელ-ნელა, ლაპარაკ-ლაპარაკით მომიახლოვდა, უეცრად ხელი გაშალა, გულში ჩამიკრა და კოცნა დამიწყო. ისე ღონივრად ვყავდი ჩაბღუჯული, ვერასდიდებით ვერ დავუსხლტი ხელიდან. ასე მეგონა, ტუჩები ჩემი აღარ არის-მეთქი, ნეკნები კინაღამ ჩამიმტვრია. როგორც იქნა, გავაშვებინე ხელი და, სული რომ მოვითქვი, მივახალე: „ამხელა კაცს ჭკუა არა გაქვს ჩანჩაბაძე თავში-მეთქი?“ „მიყვარხარო,“, ურცხვად და უპრაგონოდ გამომიცხადა. რა უნდა მექნა, ხელს ხომ ვერ გავარტყამდი: „ნერვებს მოუარე, ჩანჩაბაძე და შენს ცოლ-შვილს მიხედე, შენი სათამაშო აქ არავინ არის-მეთქი“. მეორე და მესამე დღეს ხმა არ გამიცია. თვითონ ჩამივლიდა და გამიცინებდა. მეოთხე დღეს მე თვითონ მომინდა დავლაპარაკებოდი, ხომ ვიცოდი, რომ სისულელეს ჩავდიოდი, ხმა არ უნდა გამეცა, მაგრამ მაინტერესებდა, რას ნიშნავდა შეყვარებული მამაკაცი. დავრჩით სამსახურის შემდეგ და კინაღამ სამუდამოდ სანანებლად მექცა ის დარჩენა. ვგრძნობდი, კიდევ ერთი დარჩენა და გონებას დავკარგავდი. მოვერიე ჩემს თავს და დეიდაჩემს გამოვუცხადე, არქივში ვეღარ ვიმუშავებ, არქივის მტვერმა ალერგია გამიჩინა, გაუთავებლად მახველებსმეთქი. რა მექნა აბა, სიმართლეს ხომ ვერ ვეტყოდი. ჩანჩაბაძის მსხვერპლად გახდომას იქედან წამოსვლა მერჩია.

მოგეხსენებათ, სამსახურის შოვნა რომ ადვილი არ არის. ვერ დავუკარგავ, ბევრი იარა დეიდაჩემმა, მაგრამ ვერას გახდა. ვიფიქრე, მეც მივდგებ-მოვდგები, ბავშვი ხომ აღარა ვარ, ჩემს საქმეს იქნებ მე თვითონ უფრო მივხედო-მეთქი. დავჯექი ტროლეიბუსზე და ოთხი გაჩერების შემდეგ ჩამოვედი. ხალაძის ქუჩაზე პირველივე დაწესებულებაში შევედი, მგონი რაღაცის საპროექტო ინსტიტუტი იყო. მოვძებნე დირექტორის კაბინეტი. დირექტორი საშუალო ტანის, საცხენოსნო სპორტსმენის ფორმაში გამოწყობილი, მკვირცხლთვალება, თმაშეთხელებული მამაკაცი იყო. „სამსახურის საკითხზე გაწუხებთ-მეთქი, „ბეჭდვა თუ შეგიძლიათო, სანამ უარს ვეტყოდი. „არა უშავს, გასწავლითთო“. თვითონვე იპოვა გამოსავალი: „დილით ადრე ადგომა ხომ არ გეზარებათო, შენი ასაკის გოგონებს ლოგინში ნებივრობა უყვართო. ბედი გქონიათ, სწორედ ერთი ტექნიკური მუშაკის შტატი გვაქვს და ხვალიდანვე გაგაფორმებთო. ვინ ხარ, სად ცხოვრობ, რომელი სკოლა დაამთავრე, მშობლები რა საქმიანობას ეწევიანო“. ერთი სიტყვით, ძალიან დაინტერესდა ჩემით და მეც გულუბრყვილოდ გავიფიქრე. ეს რა ღვთისნიერი კაცი შემხვდა და საერთოდ რა ადვილი ყოფილა სამსახურის შოვნა-მეთქი. განცხადება თვითონვე მიკარნახა, რეზოლუცია დაადო. ხვალ ბრძანებას გავაფორმებო, განცხადება უჯრაში ჩაიდო და შინაურული მუსაიფით გამომაცილა. „არ მისადილია“, ეზოში მითხრა, „თუ გამიწევ კამპანიას, კარგი იქნებაო“. დავეთანხმე. „ნოლ ექვსში“ ჩავუჯექი და წავყევი. ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს. რესტორან „საქართველოში“ ვისადილეთ. იქ, რესტორნის კუპეში უბატონოდ ხმა არ გაუცია. ისე კი უცნაურ რაღაცებს მეუბნებოდა; „ცხოვრებაშიო ყველაფერი მოსაწყენიაო. ბედნიერება პირობითი ცნებაა. ჩემი ცოლი ადრე ძალიან მიყვარდა, მაგრამ ახლა ისე მომწყინდა, დანახვაც აღარ გვინდა ერთმანეთისო. სულიერი მეგობარი მაკლიაო. შენ საოცრად გულწრფელი და სუფთა გოგო ჩანხარო“. უკან წამოსვლისას თავზე ხელი გადამისვა. პირველად გავუყუჩდი, მაგრამ ხელის გადასმას რომ არ დასჯერდა და ყურის ბიბილოს სრესვა და მკლავზე თითების თამაში რომ დამიწყო, განზე გავიწიე

– „ძალიან გთხოვთ, ასეთი რამეები ჭირივით მძულს-მეთქი“. არც აცია არც აცხელა და ჯიბიდან გასაღები ამოიღო: „ხო მართლა, ახლა გამახსენდა, მამიდამ თავისი ბინა დამიტოვა, თვითონ კისლოვოდსკშია წასული, ავიდეთ, დავხედოთ, მეშინია, ქურდებმა კარი არ შეტეხონო“. რა ძნელი მიხვედრა უნდოდა, საითკენაც ურაკუნებდა, კატეგორიული უარი განვუცხადე. „თუ შეიძლება სახლამდე მიმიყვანეთ, ვაშლოვანზე ვცხოვრობ და, საერთოდ, მამაკაცებთან ოთახში მარტო არ ვრჩები-მეთქი“. „კეთილი, გოგონა, როგორც გენებოსო. სხვა რაიმე არ იფიქრო, მე, უბრალოდ, შენთან საუბარი მსურდაო“. ტროლეიბუსის გაჩერებასთან მიმიყვანა და ბოდიში მომიხადა. „თუ არ გეწყინება, შინ საზოგადოებრივი ტრანსპორტით წადი. ახლა გამახსენდა, რომ თაბირი მაქვს და მაგვიანდებაო“. იმ საღამოსვე დეიდაჩემს ვუამბე, ასე და ასე, აქა და აქ სამსახური ვიშოვე-მეთქი. რესტორანზე და დირექტორის წინადადებაზე კრინტი არ დამიძრავს. დეიდამ დამტუქსა. „როგორ გაბედე, უცნობ კაცთან შესვლა და სამსახურის თხოვნაო. ყველა ერთნაირი კი არ არის ამ ქვეყანაზე და საერთოდ, საიდან გაქვს ამოდენა სითამამეო“. მეორე დღეს „სამსახურში“ რომ გამოვცხადდი, დირექტორი ცივად შემხვდა. „იცით რა, გოგონა, კადრებმა გაარკვია, რომ ის შტატი თურმე დაკავებული ყოფილა, ორი კვირის წინ მიგვიღია თანამშრომელი, მე უბრალოდ არ მახსოვდაო. უმაღლესს რომ დაამთავრებ და ცოტა უფრო ჭკვიანი რომ იქნები, გამოიარე, იქნებ, მაშინ მაინც მოგიხერხოთ რამეო, წარმატებები მისურვა და გამომისტუმრა.

ატირებული მოვედი შინ. დეიდაჩემს ავუხსენი, ის შტატი დაკავებული ყოფილა-მეთქი. გაოცებისგან თმა ყალყზე დამიდგა, როცა დეიდაჩემმა გულთმისანივით მაუწყა, „ვიცოდი, რომ ასე გეტყოდაო. გუშინ მანქანაში ჩაჯდომა და გასეირნება ხომ შეგთავაზაო. ხომ გითხრა, ერთად ვისადილოთ რესტორანშიო, ხომ ასე იყო, ნუ დამიმალავო“. „მთხოვა კამპანია გამეწია, მაგრამ უარი მივუგე. არც მანქანაში ჩავუჯექი და არც რესტორანში წავყევი-მეთქი“. არ ვიცი, დაიჯერა თუ არა, დეიდაჩემმა, ჩემი ტყუილი. ეს კია, წარბშეკვრით

მითხრა: „სახლიდან გასული არ დაგინახო, თორემ წაიტეხავ ფეხს სადმეო. შენ არ იცი, რა არის ცხოვრება და საერთოდ, შენოდენა გოგო რომ სამსახურის საშოვნელად თვითონ დადიოდეს, არ გამიგონია მეო“.

ვიჯექი შინ და ვმეცადინეობდი. დრო გარბოდა. აპრილში მიშოვა დეიდამ კიდევ ერთი სამსახური, გეოლოგიურ სამმართველოში უმცროს ლაბორანტად მომაწყო. ფერადი მინერალების ლაბორატორიაში, სადაც მე ვმუშაობდი, საქმე ცოტა იყო. დრო თავზე საყრელად მქონდა და, რაც შემეძლო, ვმეცადინეობდი. იმ წელს კვლავ ჩავაბარე, მაგრამ ისევ ნახევარი ქულა დამაკლდა. თავი რომ არ მოგაწყინოთ ჩემი ცხოვრებით, მოკლედ გეტყვით, წელს მეექვსედ ჩავაბარე მისაღები გამოცდები: ორჯერ აღმოსავლურზე, ერთხელ ფილოლოგიურზე, ორჯერ ისტორია-ფილოლოგიურზე და წელს ბიბლიოთეკათმცოდნეობაზე, მაგრამ, თითქოს ჩემ წინააღმდეგ პირი შეკრესო; მუდამ ერთი ქულა ან, რაც უფრო დამაღონებელია, ნახევარი ქულა მაკლდება. სხვას ჩემ ადგილზე გული სამუდამოდ გაუტყდებოდა, მაგრამ მე იმედს არ ვკარგავდი და საერთოდ, იმედს რომ თავი დავანებო, არც კი ვიცოდი სხვა რა უნდა მეკეთებინა. ასე მეგონა, მთელი სიცოცხლე აბიტურიენტობაში უნდა გამეტარებინა. არც ახლა ვიცი წესიერად, რა მელის წინ, მაგრამ რაღაც რომ შეიცვალა ჩემში, ვატყობ და ჩემი თავი დავიჭირე იმაში, რომ ამ მოსაწყენი, გატკეპნილი გზიდან გადახვევა შემიძლია. ესეც ხომ საქმეა?

ახლა გიამბობთ, როგორ დავრჩი ქუჩაში. გეოლოგიურ სამმართველოში ერთი გეოლოგი მოდიოდა, სვინტრაძე გვარად. ასე, ოცდათხუთმეტიოდე წლის კაცი. შესახედავად არა უშავდა. როგორც მერე გავიგეთ, ცოლგანაშვები. ხათუნა, ჩემი დეიდაშვილი, სამსახურში იშვიათად მაკითხავდა, მაგრამ ერთხელ სწორედ მაშინ მოვიდა, როცა სვინტრაძეც იქ იყო. ატელიეში უნდა წავსულიყავით ერთად. ხათუნა კოსტუმჩიკს იკერავდა. მეორე დღესაც მოვიდა სვინტრაძე და დამიჟინა – გინდა თუ არა, შენი დეიდაშვილი გამაცანიო. მოკლედ, გავაცანი. ხათუნასაც მოუვიდა, ეტყობა, თვალში და ხვდებოდნენ ერთმანეთს. ერთ საღამოს ხათუნა გახარებული აცხადებს:

„სვინტრაძემ ცოლად გაყოლის წინადადება მომცაო. მე, რასაკვირველია, ამ ამბავმა ძალიან გამახარა. ნოემბერში სვინტრაძემ თავისი საცოლე ხათუნა და მე სოფელში დაგვპატიჟა. სამი დღე დავყავით. თბილისიდან შორს არაა, სულ რაღაც სამოციოდე კილომეტრში ცხოვრობს. დაგვათვალიერებინა ამ ბიჭმა ყველაფერი ახლომახლო, რისი ნახვაც შეიძლებოდა, ოჯახმა მშვენივრად მიგვიღო. მიხაროდა, რომ ხათუნა ასეთ კარგ ბედ-იღბალში ვარდებოდა. ნაშვიდნოემბრევს, ცხრაში დავბრუნდით უკან, ათში არა და თერთმეტში სვინტრაძემ სამსახურში მომაკითხა: „ცოტა ხნით პარკში გავიდეთ, შენთან სალაპარაკო მაქვსო“. გავყევი, მეგონა ხათუნაზე და მოახლოებულ ქორწილზე ჩამომიგდებდა სიტყვას, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ. ძელსკამზე ჩამოვჯექით თუ არა, სულმოუთქმელად მომაყარა: „მეო, შენ მიყვარხარ და ახლავე პასუხი უნდა მომცეო – შენ მეტს არავის შევირთავო“. ჯერ ხუმრობა მეგონა, მერე სიბრაზისაგან ალმური მომედო: „ხათუნა-მეთქი? ეს სისულელე როგორ მოგივიდა თავში. იმ გოგოს უყვარხარ და რა პასუხს აძლევ, დღე-დღეზე ქორწილს ველოდებით-მეთქი“. „რა ვქნაო, შენ შემიყვარდიო, გულს ხომ ვერ ვუბრძანებო. არ მინდოდა ასე მომხდარიყო, მაგრამ სხვანაირად არ შემიძლიაო. შენ ხარ ამიერიდან ჩემი სიცოცხლეო“. დამადო ხელზე ხელი, ცოდვას ვერ ვიტყვი, ხელი მართლა უკანკალებდა: „გამიშვი ხელი სვინტრაძე და ეგ ფიქრი სამუდამოდ ამოიღე გულიდან-მეთქი. შენი გულისთვის მე ჩემს დეიდაშვილს და თანაშეზრდილს არ დავკარგავ-მეთქი. ან შეირთე ხათუნა, ანდა ჩემი სახელი აღარ ახსენო – ქუჩაშიც რომ შეგხვდები აღარ მომესალმო. შენ ჩემთვის აღარ არსებობ-მეთქი“. ავდექი და გამოვტრიალდი.

სვინტრაძემ ერთი-ორჯერ მომაკითხა ლაბორატორიაში, სცადა ჩემი დაყოლიება, მაგრამ ხმა რომ არ გავეცი, ჩამომშორდა. ხათუნას, რა თქმა უნდა, აღარ მიბრუნებია, თვეზე მეტი გავიდა აღარ დაურეკავს. ერთხელ ქუჩაში შემთხვევით გადაყრია და უთქვამს: „მაპატიე, ხათუნა, ჩვენ შორის ყველაფერი ჩამთავრებულია. მეგონა რომ მიყვარდი, თურმე აღარ მყვარებიხარო“. ატირებულ-აბღავლებული მოვარდა

ხათუნა სახლში. თავის მოკვლას აპირებდა. უყვარდა ის უსინდისო. ძლივს დავამშვიდეთ მე და ლამარამ. იქნებ უკეთესი იყოს-მეთქი, ჩემი მოკლე ჭკუით დავასკვენი და დედა-შვილს დაწვრილებით ვუამბე რაც მოხდა. ამით მინდოდა ხათუნასთვის დამემტკიცებინა, რომ სვინტრაძე მისი სიყვარულის ღირსი არ იყო, თანაც ჩემს უანგარობას და ერთგულებას ვუმტკიცებდი.

ის დღე და ის დღე, ხათუნამ და ლამარამ შემიძულეს. ჯერ სანახევროდ მელაპარაკებოდნენ. ერთ საღამოს ჩემმა დეიდაშვილმა გამომიცხადა: „ყველაფერი გავიგე, თურმე შენ დაგიხვევია სვინტრაძისთვის თავბრუ და ცოლად გაყოლა შეგითავაზებიაო. მეც გამიფუჭე საქმე და ვერც შენ მიაღწიე საწადელსო“. „ვინ გითხრა-მეთქი, ეგ სისაძაგლე“, „თვითონ სვინტრაძემ მითხრაო. ჯერ ერთი, რა სვინტრაძის თქმა უნდოდა, მთელმა თქვენმა ლაბორატორიამ იცის ეს ამბავიო“. „წავიდეთ, პირში წავუდგები, იმ გათახსირებულს-მეთქი“. „ეგღა მაკლია, ვიღაც ხეპრე სვინტრაძის და შენი საქმეები ვიძიოო. თავში ქვა გიხლიათ, ერთსაც და მეორესაცო“. რა უნდა მექნა? როგორ დამემტკიცებინა, რომ უბრალო ვიყავი? ვიტირე, ვითავცემე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მე ჩემს გულს შევასკდი, ხოლო დედა-შვილმა ლაპარაკი შემიწყვიტეს. თუ ხმას ამოიღებდნენ ერთმანეთში, ჩემი ლანძღვა-გინების მეტი არაფერი ამოსდიოდათ პირიდან. ჩემი იქ გაჩერება აღარ შეიძლებოდა. ჩავალაგე ჩემოდანი და რუსიკოს (ვისთანაც ახლა ვცხოვრობ), შევეფარე, ასპირანტია, ნაქირავებში ცხოვრობს და დროებით შემიკედლა, კარგი გოგოა, მაგრამ მარტო ყოფნა უნდა და, ბოლოს და ბოლოს, რას ვემართლები. თავისი საწერი და სამუშაო აქვს. ვგრძნობ, რომ ვაწუხებ, თვითონ არაფერს მეუბნება, მაგრამ სინდისიც კარგი საქონელია.

ჩემიანებმა გეოლოგიურ სამმართველოშიც გამიფუჭეს საქმე. უფროსიდან დაწყებული ქვეყანას მოსდეს, რომ მე ასეთი უმადური გოგო ვარ, რომ ობოლი გამზარდეს და იმით გადავუხადე, რომ ხათუნას საქმროს წართმევა მოვუნდომე. ენას ძვალი არა აქვს და სვინტრაძის ხასადაც კი გამომაცხადეს. ამ ინტრიგებს რომ არ ავყევი, იმდენი ქნეს, ბინიდან ამომ-

წერეს, როგორც სახლიდან უმისამართოდ გაქცეული. როგორ და რანაირად მოახერხეს ჩემი ამოწერა, ვერ გამიგია. მერე სამმართველოს უფროსს ზევით უჩივლეს: თბილისში ჩაუწერლად ლაბორანტს ამუშავებსო. დამიბარა უფროსმა, „რა ხდება შენს თავსო“. ვიმართლე თავი, რაც შემეძლო, მაგრამ ლამარას მეგობარი ქალი ხახამაძე შემოვიდა ამ დროს და ყველაფერი უკუღმა შეატრიალა. „არ დაუჯეროთ, მაგ გათახსირებულს ბატონოვო. გაამწარა დედა-შვილი მაგანო. გოგოს ბედი დააკარგვინა და ახლა შანტაჟს აწყობს, სახლის წართმევა უნდაო. ამიტომ გადავიდა გაურკვეველ მისამართზე და ჩაუწერლად ცხოვრობს მასავით საეჭვო ყოფაქცევის გოგოსთანო“. ეს სიტყვები ხახამაძისა არ იყო, დეიდაჩემს ჰყავდა დარიგებული, მაგრამ ბოროტებამ ისე დამაბნია, ხმა ვერ ამოვიღე. ძლივს მივაღწიე კარებამდე და მეორე დღესვე განცხადება დავწერე. შეიძლება ვიჩქარე, მაგრამ ჩემი იქ მუშაობა აღარ შეიძლებოდა. გული გამისკდებოდა, ხახამაძეს თუ ერთხელ კიდევ დავინახავდი.

ესაა სულ. მაპატიეთ, რომ ნაჩქარევი ნაწერია. ზოგი სიტყვა შეიძლება ვერც გაარჩიოთ. საერთოდ, ცუდი ხელი არა მაქვს, მაგრამ ახლა ძალიან ვღელავ და უკეთესად წერა ვერ შევძელი.

რატომ უნდა მომხდარიყო ასე? ალბათ ჩემი ბრალია ყველაფერი, მაგრამ რა უნდა მექნა? მე რისი შეცვლა შემეძლო? იქნებ ნერვიული ვარ საერთოდ და გადაწყვეტილების მიღებისას განსჯის და ფიქრის უნარს ვკარგავ? თუ არ შეწუხდებით, მოკლედ ამიხსენით, რა დავაშავე. თქვენ, ალბათ, ჩემნაირი უცნაური ადამიანებიც ბევრი გინახავთ.

საჭერმიას მხარეში ბიძაშვილები მყავს. წერილი მივწერე და პასუხი მომივიდა „ჩამოდი, აქ რაღაცას მოგიხერხებთო“. უბრალო ხალხია, მაგრამ რაიონში მაინც თავისი გამავლობა და სახელი ექნებათ, რაღაცას მისაშველებენ. უსაშველო ვის დამართნია.

წინა კაცი

– რატომ ჩამეცინა, თუ მიხვდი? რატომ, ჩემო ბიძია, და, სიხარული ვერ დავმალე. ჩემმა ეშმაკმა გამაცინა. შენ რომ მოხვედი ახლა ჩემთან, შებრუნებულ ტაბურეტზე დაჯექი და ჯიუტად მომაჩერდი: – დავიბენი, ეპიფანე ბიძია, და, თუ კაცი ხარ, მასწავლე, როგორ ვიცხოვრო, სიმართლე გითხრა, სიამაყემ დამრია ხელი, ერთ კაცს მაინც დასჭირდა ამ ქვეყანაზე ჩემი გამოცდილება-მეთქი. რა დაგიმალო და ამნაირი შეკითხვით ჩემთან ჯერ არავინ მოსულა. ადამიანები ისე გულდაგულ და თავდაჯერებით დაფუსფუსებენ თავიანთ საქმეებზე, გარედან შემხედვარეს ეგონება, ყველამ მშვენივრად იცის, რომელ მხარეს უნდა მიუდგეს ამ ცხოვრების გორგალსო.

სამოცდაათი ზაფხული მოვჭამე მე და, ამ ჩემს დათვლილ საკრიალოსნო დღეებს თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდე. ჩემებურად ვიცხოვრე. ქვეყანა თუ არ ამიშენებია ჩემი ქიჩმაჩით, ვერც დაქცევას დამაბრალებს ვინმე. ცუღლუტი და არამგამა არ ვყოფილვარ და არც ახლა მინდა დიდკანში მყოფ აბრეშუმის ჭიასავით გაზიზინებული მნახოს ხალხმა. ჩემს ლუკმას ჯერ კიდევ ჩემი მარჯვენით ვშოულობ. წუწუნა ბებრები მეზარება. მე ჩემი სიბერით დავბერდი, ვის რატო უნდა დავაწვე კისერზე და ხანდაზმულობის მარაოს ქნევა ვავალდებულო? წასვლითაც უხმაუროდ წავალ. ჯალაბი გაფრთხილებული მყავს; ტირილ-ფლუკუნი არ დამიწყოთ კუბოსთან, თორემ წამოვხტები და სათითაოდ ჯოხით აგიწვავთ უკანალს-მეთქი. რა მოხდა, ყველა წამსვლელები ვართ, მე ჩემი კალო გავლეწე. მიწა ვიყავ და მიწად ვიქცევი. ჩემს საფლავზე ვარდს დარგავენ, თუ ოყრაულა ბალახი ამოვა, არც ამით შეიბრუნებს მთვარე პირს, მე ჩემი ტორიკი და ჩემი ხეტიალი მოვათავე. ახლა სხვისი რიგია.

სასწაულია, აბა რა არის, ათაბაბადან დღემდე რამდენი კაცი მდგარა ამ ცის ქვეშ და ორი კაცის ცხოვრება

არ დამსგავსებია ერთმანეთს. ყველას თავისი ბილიკი მიუჩინა ბუნებამ. რა ფანტაზიამ მოიფიქრა მაინც მილიარდი კაცის ცხოვრების სხვადასხვა ვარიანტი. გიფიქრია ამაზე? როგორ ვიცხოვროო, რომ მეკითხები, ყასიდად მეკითხები, ისე, გული რომ გამიკეთო და მაგრძნობინო: შენც საჭირო ხარ ამ ქვეყანაზეო, თორემ განა ჩემზე ნაკლებად იცი, რომ ჩემი ცხოვრების გაკვეთილები შენ არ წაგადგება, შენ სხვანაირ დროში, სხვა ხალხში, სხვა გზაზე გიწევს სიარული. ასე რომ არ იყოს, ცხოვრება ინტერესს დაკარგავდა. პლანეტის უზარმაზარ დაფაზე ჩვენ – ჭადრაკის ფიგურებს, ჩვენ-ჩვენი სვლა გვაქვს და ჩვენი ბედი გვითვალთვალებს.

შენ ღმერთმა ნუ გამოგაცდევინოს რაც მე გლახა დღე ვნახე და თუ რამე კარგი დამადგა – უდაბნოს ქვიშასავით გიმრავლოს გამჩენმა. შენ სხვა დროში იცხოვრებ-მეთქი, გითხარი, მაგრამ არ იფიქრო, შენსობას ვარდის წვიმა წამოვიდეს და ბედის ჯარამ სულ წაღმა იტრიალოს. ჯერ შორს ვართ, ძალიან შორს. ჯერჯერობით ადამიანებმა ვერ ისწავლეს, როგორ უნდა ცხოვრება. არც ადრე იცოდნენ და არც ახლა იციან. გაეცინება ოცდამეათე საუკუნის კაცს, ჩვენს ამბავ-წრიალს, ჩვენს წუხილს და სიხარულს რომ ჩახედავს. რა სასწაული დრო იყოო, იტყვის, რანაირად ჰქონდათ ნეტავი ტვინი მოწყობილი, იმ დალოცვილებს, ამას რომ სჩადიოდნენ და ამას რომ ამბობდნენო. ვერც იმაზე დავდებ თავს, მომავლის კაცი ჩვენზე დიდად ჭკვიანი იქნება-მეთქი, მაგრამ ადამიანებს ერთმანეთის გამწარების ამდენი მუღამი რომ არ ეცოდინებათ, რაც ახლა ვიცით, ეს მინდა მჯეროდეს. კი, კი, უფრო ადვილად და მშვიდად ვიცხოვრებდით, შენ არ მომიკვდე, ჩვენ რომ არ დაგვებურდა და დაგვებნია ჩვენივე თავი და ერთმანეთი. სულ მეგონა, ეს ჩემი დროა ამნაირი უკალაპოტო, თორემ სხვა ეპოქაში მშვენივრად იცოდა, რისთვის გაჩნდა და რა ეკეთებინა-მეთქი. არ ყოფილა ასე. არც არასოდეს სცოდნია და არც ახლა იცის. თუ ოდესმე იყო დალაგებული ადამისშვილი, ახლა უნდა იყოს, მაგრამ ამ ჩემს გამოვლილ გზას რომ გავხედავ, რა მოჩანს, შენ შემოგევლე, დაპირების და ცდის მეტი? სულ მეგონა, ხვალ უკეთესობა

იქნება, ასე როგორ გარძელდება-მეთქი და ისე შემომეფცქვნა წლები ხელში, იმას მაინც ვერ ვეღირსე, რასაც ველოდი. ახლა რომ ვაკვირდები, მგონია – ვერ გეტყვი, შეიძლება სიბერის ბრალიცაა და მეშლება – მგონია, უკან-უკან მიდიოდა საქმე-მეთქი. იქნება მე მოვითხოვდი უფრო მეტს, რისი მოცემაც ცხოვრებას არ შეეძლო. იქნება ასე ლოდინისთვის, წვალებისთვის და ცრუ ფაფხურისთვის არის კაცი გაჩენილი. არ ვიცი, ვერ გეტყვი. ღმერთმა ნუ გაფიქრებინოს, ჩემი ხნის რომ მოიყრები, მოტყუებული კაცი ვარ მეო. სულ სხვა გზით უნდა მევლო და სხვა გზით მატარეს ჩემს წუთისოფელშიო.

შენ ვერაფრით წარმოიდგენ, რომ დავიწყეთ, როგორ დავიწყეთ მე და ჩემმა ამხანაგებმა. ეჭვი რა იყო, ვინ იცოდა. რა საქმე უნდა ყოფილიყო ამ დუნიაზე, ჩვენ რომ არ გამოგვსვლოდა, – ასე ვფიქრობდით. იქნებ, საერთოდ ასეა, ყველა ახალგაზრდა და დამწყები ასე უნდა ფიქრობდეს, სხვანაირად ქალაქი არ აშენდება, ალბათ, მაგრამ თქვენ რომ გიყურებთ ახლა, თქვენ მაინც სხვა ხართ, უფრო წყნარი და უფრო ფიქრიანი. შეიძლება ასე სჯობდეს, იქნებ არც ასეთი ჭოჭმანჩუმალობა გამოდგეს დიდი საქმეების დასაწყებად. რა ვიცი, ხომ გითხარი, დამაბნია-მეთქი ცხოვრებამ. ერთი კი ვისწავლე წუთისოფლის ამ წაღმა-უკუღმა ტრიალში – ყველაფერზე ტაშის დაკვრა და საიერიშოდ ატროკება არ არგებს კაცს. ბევრჯერ მივაწყდით აქეთ-იქით, კაპიკიან საქმეს ხალხი მივალიეთ და მერე გაირკვა, რომ თურმე მთლად სწორად არ ვირჯებოდით. ისტორიისთვის ეს ჩვენი ფაფხური ერთი სტრიქონია, მეტი კი არაფერი. ამ გზით მიდიოდნენ და კინაღამ ხრამში გადაცვივდნენ, მერე შემოტრიალდნენ და სასწრაფოდ სწორ გზას დაადგნენო, იტყვის მეისტორიე და იმ მსჯავრს გამოგვიტანს, ბრმა ქათამივით იქეთ-აქეთ მოფარფატე კაცს რომ გამოუტანს ხოლმე. მაგრამ მე? ჩემი ცხოვრება რომ გაილია? მართალია, ისტორია მე არაფერ პასუხს არ მომცემს, მაგრამ ვინმეს ხომ უნდა ვკითხო სამარის პირას მისულმა: – რა დაგიშავე მე, ბავშვობიდანვე რომ ამომაგდე კალაპოტიდან და ასე უმოწყალოდ მართე ჩემი ცხოვრება, რანაირად ვზიდო დარჩენილ ორ კვირაში ფუყე დაპირებებით

გაბერილი ეს გული-მეთქი? რა პასუხი უნდა მომცეს იმანაც. თვითონ კი იცოდა, შენ გგონია, ასე რომ იქნებოდა?

შეიძლება, მე გავჩნდი გლახა და სხვებს ასე არ ემართებოდათ, არც კი დავლაპარაკებივარ ამ საკითხზე სხვას, ვაითუ უადგილო ადგილას წამოცდეს-მეთქი, რაც კაცობაში შევდგი ფეხი, სულ ვიღაცის მეშინოდა, სულ მეგონა, ვიღაცა მითვალთვალებს-მეთქი. ხანდახან ისე ამიწვავდა ყურებს ზურგში დამიზნებული მზერა, რომ უცებ მოვიხედავდი, ეგება ჩემით დაინტერესებული, აბეზარი თანამგზავრის თვალებს წავაწყდე-მეთქი, შეიძლება უსაფუძვლო იყო ჩემი შიში, შეიძლება მეჩვენებოდეს, ხომ გაგიგონია, ფაფით შეშინებული დოს სულს უბერავდაო, მაგრამ ამ ჩემს მოწეულ ასაკში მაინც მგონია, რომ გადავრჩი. რატომ მაქვს გადარჩენილის განცდა, ვერც ამას გეტყვი. რა მჭირდა გადასარჩენი, რისგან უნდა გადავრჩენილიყავ, კაცმა რომ თქვას? მაინც მადლობელი უნდა ვიყო ჩემი იღბლის. ერთ დროს ჩემნაირ უდანაშაულოებს მოჰკიდეს ყურზე ხელი? ჩიტი ბდღვნად არ ვღირდი, ალბათ, ან ნამეტანი პატარა ყურები მქონდა. შეიძლება ბჟუტურად გეჩვენება ახლა ჩემი მუსაიფი, მაგრამ ზოგიერთის ბედს რომ გავიხსენებ, ცოტა არ იყოს, სიხარულიც კი გამკრავს გულში – ხომ მაინც დავუსხლტი ნემეზიდას ხელიდან-მეთქი.

ორი ჩემი ხნის მოგყაროს გამჩენმა, მაგრამ მაინც კაი გრძნობაა, სამოცდაათ გაზაფხულს უფათერაკოდ რომ შეხვდები. ახლა მე დიდი ფაციფუცი მოთავებული მაქვს. მთლად მაყურებელივით არ ვარ ამ ცხოვრებასთან, მარა არც შუაგულში ვტრიალებ. აწი ჩემი არც ადვილად აყოლიება შეიძლება და არც ლამაზი სიტყვით გაცუცურაკება. ნეტავი იმ დროს, როცა ყველაფერი მჯეროდა. შენ გგონია, ძალიან მიხარია, რაღაც-რაღაცებს რომ ჩავხვდი და ბევრნაირი მწარე თუ ტკბილი გამოცდილება ხუნდივით მადევს ფეხებზე? არაფერი არაა, ჩემო, სიბერის სიბრძნეს რომ ეძახიან, არ დაიჯერო ეგ ამბავი. ჯერ ერთი, ეტყობა გულდაგულ დაგვიმალა არსთაგამრიგემ სწორად ცხოვრების გასაღები და მთელი სიცოცხლის მანძილზე ამაოდ ვეძებთ, მეორეც, ვინ გაარკვევს, ვისი სჯობია ამ ქვეყანაზე? ეგებ რაც მე ახლა ჭეშმარიტებად

მეჩვენება, გითხარი, მისი არ იყოს, ოცდამეათე საუკუნის კაცისთვის სასაცილო აღმოჩნდეს. და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რად მინდა იმნაირი ჭკუა, ტოროლასავით ცაში ავარდნას რომ დამიშლის და მიწაზე ფორთხვას რომ მიჩიჩინებს.

ჩემი მაინც უნდა გითხრა. რაკი ჭკუის საკითხავად მოხვედი ჩემთან, ჩემებურად უნდა დაგარიგო. ყველაფერი ისე, როგორც ახლა გეტყვი, მე ვერ გავატარე, რასაკვირველია. ეს სიბრძნე, თუ შეიძლება ასე დავარქვა, ჩემს შეცდომებზე ნასწავლი სიბრძნეა. ცხვირში რომ მდრუზავდა ცხოვრება, მერე ვპოულობდი გზას გადაბრუნებული ურემივით, მაგრამ მერე გვიანღა იყო. ასე და ამნაირად, წინა კაცი თუ უკანას ხიდია, შენ მოგცემ რამდენიმე რჩევას, ჩემნაირი შეცდომები მაინც რომ არ დაუშვა. შენს საკუთარ შეცდომებსაც ბევრს დაუშვებ, ნუ გეშინია, რად გინდა, ეს ჩემი შეცდომებიც დაიმატო. აბა, ყური დამიგდე:

სამსახურში, ეცადე, ჩუმი და გაუგებარი კაცის სახელი დაიგდო. საჯაროდ გამოსვლებს ერიდე. მეკრებიე და აქტიური ადამიანები სამსახურში არ უყვართ. ნამეტანიც რომ შეგაწუხოს სათქმელმა, გულში ჩაიბრუნე. სხვებმა ილაპარაკონ, შენ იყუჩე. წინამასწარობა დამღუპველია. სხვებს დააცადე, ყველა რომ ხელს დაიკაპიწებს, მერე შენც მიჰყევი.

კარგი მუშაკის სახელის გეშინოდეს. საკმარისია, თავი გამოიჩინო, მეგობრებიც კი მტრად მოგეკიდებიან. სამსახურში რაც შეძლო, ფეხი აითრიე. წაუყრუე მოწოდებებს და ლოზუნგებს. იცოდე, თუ მთელი ენერგიით იმუშავებ და ერთგულად მოეკიდები საქმეს, ჯერ ერთი, ბრბო კარიერისტად ჩაგთვლის, ხოლო უფროსები ადგილზე გაგყინავენ. შენს დაწინაურებაზე არავინ იფიქრებს, რაკი კარგად მუშაობს, ძველ ადგილზე დავტოვოთო. თუ წინსვლა გინდა, ზერელედ იმუშავე, უფრო შეგამჩნევენ.

უფროსს ბრიყვად მოაჩვენე თავი. დარწმუნებული იყავი, მასზე ჭკვიანი კაცი არავის უყვარს, საერთოდ, თავის გამოჩენას მოერიდე. არ დაგავიწყდეს, სადმე, შემთხვევით სუფრაზე ყველაზე ლამაზი სადღეგრძელო შენ თუ თქვი ან

ყველაზე კარგად თუ იმღერე, ერთ-ორ მოფუქსავატო გოგოცუნას მოეწონები, დანარჩენი ყველა კაცი დაკარგული გყავს. ძმაც რომ იყოს, ძმასაც არ უხარია, რომ აჯობებ.

ვინც უნდა გკითხოს, როგორა ხარო, არ უპასუხო „კარგადო“, რა კარგადაც უნდა იყო, უთხარი, ესა და ეს მაწუხებს-თქო ან, უარეს შემთხვევაში, „არა მიშავს-თქო“, იცოდე, ვინც შენი ჯანმრთელობის ამბავს კითხულობს, მართლა შენი კარგად ყოფნა კი არ აინტერესებს, ისე, ფასონად გეკითხება, „კარგად ვარო“, რომ მიახალო, ვერაფერი სანუგეშო ამბავია მისთვის. სულ რაღაცაზე გულნაკლული და მოწუწუნე უფრო ახლობელი და საყვარელი ხდება ადამიანებისთვის, დამიჯერე. მაშინ სხვებს ემსგავსები და იმიტომ, არავინ არის დღეს დუნიაზე ისეთი, რამე რომ არ აწუხებდეს.

თუ რამეს სასიხარულოს ელი ან შეიტყობ, ნუ წავარდები და ნუ იჩქარებ, ვინმეს გააგებინო. ისიც კი აღტაცების ტაშს რომ დასცხებს და მოსალოცად წაგეტანება, გულში ფიქრობს, უკეთესი იყო, ჩემს თავს ყოფილიყო ეს სიკეთეო. დაფიქრდი აბა, შენც ასე არა ხარ? ხოლო რაც შეეხება საიდუმლოს, ღმერთი არ გაგიწყრეს და არავის გაანდო. საიდუმლოს რომ შეგინახავს, ასეთი კაცი დღეს იშვიათზე იშვიათია. ჩათვალე, რომ ყოველ სამ, თუნდაც ყველაზე ახლობელ ადამიანში, ერთ-ერთი შემტყობინებლის ფუნქციას ასრულებს.

არც მტრები გაიმრავლო და არც მეგობრები, მტრები ხომ შეგჭამენ და შეგჭამენ, ბევრი მეგობარიც არ ვარგა, ბევრი ყურადღება და ბევრი სიყვარულის გაცემა უნდა. მოსისხლე მტერსაც არ აგრძნობინო, რომ შენ იცი, რომ იგი მოსისხლე მტერია შენი, პირიქით, დაუყვავე, გაუცინე, ისეთი სახე მიიღე, ვითომ უკვე ყველაფერი დაივიწყე და აპატიე, ამ ბოლო დროს ძალიან შეგიყვარდა და პატივს სცემ. ამით მტერს სიფხიზლეს მოუდუნებ. ისე, საერთოდ, მტერს მტრულად უნდა მოექცე, ოღონდ მაშინ უნდა დაჰკრა, როცა დარწმუნებული იქნები, რომ გაანადგურებ. მტერი იმად არა ღირს, მთელი ცხოვრება ებრძოლო პატარ-პატარა პწკენა-წყენებით. ამით შენც გაიმწარებ სიცოცხლეს. ერთხელ უნდა დაჰკრა და გაათავო.

საიმედო საფარში მყოფად ან გაღმა გასულად არასოდეს ჩათვალო თავი. ქვეყანას გრძელი ხელები აქვს, ღრმა, სიბერეშიც მოგწვდება. თუ მანამდე ვერ გიყელა, უმწეო რომ იქნები, მაშინ მოგწვდება და „ცოდვებს“ გაზღვევინებს, სიკვდილის შემდეგაც არ მოგასვენებს, საფლავიდანაც ბარეორი ამოუთხრიათ, ამიტომ, რამდენადაც შეძლებ, მთელი ცხოვრების მანძილზე ეცადე, კაცი არ გაამწარო, არ გადაიკიდო, არავინ იცის, რომელი უფრო საშიშია, დიდი მტერი თუ პატარა მტერი.

ხალხის თვალს ვერაფერს გამოაპარებ. უღრან ტყეში და უკუნეთ ღამეშიც იფიქრე, რომ მარტო არა ხარ. ამიტომ სიბნელეში ისეთს ნურაფერს მოიმოქმედებ, სინათლეზე შეგრცხვეს. ქვეყნის ფხიზელ თვალზე ჩემს ბავშვობაში ერთი ანეკდოტი გამიგონია: მთის წვერზე ორი ძმა თიბავდა, ნიკოლოზის დროს ხდება ეს ამბავი, ირგვლივ, ოც კილომეტრზე, კაციშვილი არ ჭაჭანებდა, ერთმა ძმამ, ეშმაკს არ სძინავსო, და ყურში უთხრა მეორეს: – „რას ამბობ თუ იცი, როდის გვეშველება, როდის ჩამოაგდებენ ნიკოლოზასო“, როგორ ფიქრობ, რა მოჰყვება ამას? მეორე დღეს მარტო ერთი კაცი თიბავდა. აბა, ასეა საქმე.

მეზობლებს თვალში ხშირად არ შეეჩხირო. ყველაზე კაი მეზობლობაც, ბოლოს, იცოდე, ჩხუბით და შუღლით მთავრდება. ამიტომ, ნამეტანს ნუ გაშლი ხელს და მეზობელს გულში ნუ ჩაიხუტებ. შენს საიდუმლოებაში, შენი ოჯახის ავანჩავანში ნუ გარევ. მეტსაც გეტყვი, რამე ფასეულ ნივთს თუ შეიძენ, ეცადე, ღამით მოიტანო, ისე, რომ მეზობლებმა არ შეგამჩნიონ. ერთი მათგანი მაინც გაიფიქრებს, რა სახსარფარნასით იყიდა, ერთი გამაგებინაო, შეხარბებით კი, თუნდაც კეთილი შეხარბებით, – კეთილი სიხარბე თუ არსებობს საერთოდ – ყველას შეეხარბება, ეჭვი არ შეგეპაროს. არავინ არის დედამიწაზე გულით დამფიქრებელი – „როგორ მიხარია, ასეთი მშვენიერი საგანი მე რომ არა მაქვს და ჩემს მეზობელს აქვსო“.

ლაპარაკში ყველას ისე მოაჩვენე თავი, თითქოს სწორედ მასთან ხარ ყველაზე გულახდილი და გულწრფელი. სინამდ-

ვილეში გულით არავის გაეხსნა. შენი უკანდასახევი ლაბირინთები ყოველთვის დაიტოვე. ნამეტანი გულახდილი კაცი დღეს სულელის თუ არა გულუბრყვილოს შთაბეჭდილებას მაინც ტოვებს. სამსახურში უფროსთაგან ისე არავის დაუახლოვდე, „იმის კაცი“ გეძახონ. ჯერ ერთი, ამით სხვებს თავს შეაძულებ და ყველანაირად ეცდებიან, იმ უფროსთან შენი ურთიერთობა გააფუჭონ. რას არ დაგაბრალებენ, რომ იცოდე ადამიანი მაინც ადამიანია და ბოლოს ის შენი მფარველიც გაგიორგულდება. ღამურას დღეში აღმოჩნდები: არც ზევით მიგიღებენ ჩიტად და ვეღარც ქვევით მობრუნდები – თაგუნად. უფროსთან მეგობრობა იმითაცაა საშიში, რომ თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, ის მაინც არ აგცდება, იმ უფროსს სკამს რომ გამოაცლიან, შენც უკან მიგაყოლონ. დამიჯერე, მარტოკაცის სახელს, შენთვის ჩუმად ყოფნას არაფერი სჯობია ამქვეყნად.

ცხოვრება ცხოვრებაა და რომელიღაც მოსახვევში ერთიორი ქალიც გეიჩითება შენს ბარობაზე. საყვარელ ქალს, რა ლამაზიც უნდა იყოს, სხვების შესახედავად თავზე ხელის გადასმას და ქუჩაში ჩამოტარებას ნუ მიაჩვევ. სუსტმა მამაკაცებმა იციან ქალით თავის მოწონება – აქაოდა, შემოგვხედეთ, რა გოგოს გული მოვინადირეთო. გახმაურებული სიყვარული უმეტეს შემთხვევაში ცუდად მთავრდება, შური დაგლუპავთ ორივეს. გამიგონე, არ უნდა ქვეყანას, არა, შენ რომ სიყვარულში გალაღებული იყო. ასი თვალიდან მხოლოდ ოთხი თვალი თუ შეგხედავს, ასეთ შემთხვევაში კეთილმოსურნის მზერით. ბაირაღივით აფრიალებულ სიყვარულს ქალებიც შურით შეჰყურებენ და კაცებიც.

ავი თვალი, ავი თვალი გახსოვდეს ყოველ ნაბიჯზე!

ოქტომბრის მშრალ-ცივი ქარი ბატონობდა ქალაქში.

ლექსო საავადმყოფოს ჩასახვევით კიროვის ქუჩაზე გამოვიდა და გაჩერებას რომ გაუსწორდა, მარჯვნივ გაიხედა. ტროლეიბუსი თუ ახლოს ჩანს, დავუცდი, თუ არადა ფეხით გავუყვებიო.

კიროვზე, ეს ორი კვირაა, ცალმხრივი მოძრაობის ნიშანი გაჰკიდეს. მანქანები სადგურის მოედანთან ამუხრუჭებენ, მძღოლები ნიშანს ახედავენ, რაღაცას უკმაყოფილოდ წაიბუტბუტებენ და ქვევით, არხის ქუჩისკენ იზამენ პირს.

ეპიფანეს შეგონებებმა ლექსოს გუნება აუმღვრია: „ნეტავი სულ არ მოვსულიყავიო, – ფიქრობდა, – რანაირადაა დაშინებულ-დაგლახავებული. მე კაცი მეგონა. ამნაირი იქნებოდა ჩემხანობასაც, თორემ ასე როგორ დააუთოვა წუთისოფელმა. რა სამსალა ასვა ასეთი, მიწაზე ხოხიალს რომ მასწავლის და სხვა ვერაფერსო“.

ინსტიტუტის წინ, ასფალტზე, მტრედები ირეოდნენ.

ფეხით მოსიარულე რომ ჩაივლიდა, მტრედები წამოტკაცუნ-წამოფთხიალდებოდნენ, იქვე, მოაჯირზე გამწკრივდებოდნენ და წამის შემდეგ ისევ დაეშვებოდნენ ტროტუარზე.

თავის ფიქრებში გართულ მგზავრს, რომელიც მტრედებს, იქნებ, ვერც კი ამჩნევდა, შეაკრთობდა ფრინველთა ფრთების ტკაცანი, მოიხედავდა და, სხვას თუ ვერაფერს იზამდა, ჯიბიდან ხელებს ამოიღებდა.

ლექსომ ნაბიჯი შეანელა, მარჯვნივ გაიწია, ტროტუარის კიდეს ფრთხილად აუყვა. არ უნდოდა, დაეფრთხო ასფალტზე მოფუსფუსე მტრედები.

სამიოდე ნაბიჯზე რომ მიუახლოვდა, მტრედები მაინც აფრინდნენ. მხოლოდ ერთი მტრედი დარჩა ადგილზე. ლამაზი თავის შეტრიალებით ახედა მიმავალს და თავის საქმეს დაუბრუნდა.

კაცმა არ იცის, ყველაზე ჭკვიან მტრედად მიიჩნია თუ არა ლექსომ ის ერთადერთი მტრედი. ეგ იყო, სითბო ჩაეღვარა სულში. რატომო, რომ გეკითხათ, იმ წუთში, ალბათ, ვერ გიპასუხებდათ.

ასარჩევი

როგორც ღორჯოები ფოთქში 5
მესამე სტუდიის ნოველა 12
ჟირაფი 20
ტელეფონოდუელი 25
საჩიხელი დევები 30
ჩემი დარდის ლაგამი 39
დოლაბი 44
ერთაქტიანი ნოველა 54
წამება 64
შვილი 76
„დროში დამწვარი“ 81
ისინი 84
პარკში 105
ცდუნება 109
ტაში 116
მთვარე დანგრეულ საყდარში 120
შვედეთის მეფე დიდოსი 131
ანგელოზი 139
არცთუ პატარა დრამა 147
ცოლი 150
ხანი 156
ცურვის მასწავლებელი 167
ლოთის მონოლოგი 179
იაგო მეჩონგურე 182
ურწმუნო თომა 192
დიდი ამბავი 201
ფილიმონ – თეთრი ყვავი 207
თანამდევი 217
მრავალცოლშვილიანი 224
კოსმოსში 236
ცირკის მარგალიტი 246
მსახიობი თადა ნამგალაძე 257
დედოფლის მისია 269

შერვუდმა ცეკვა არ იცის 277
სნეული..... 285
სად? 294
პაციენტი 302
ცისფერი ყანწები..... 305
ტელეხიდი 316
საჩქეფელას სტუმრები..... 324
ხიფათი 337
გიგილო 344
შემცდარია... 355
მახე 370
ასაკუსა 381
ხათრიანი კაცი 392
კაკტუსი 400
უფინალო ნოველა 414
თებერვალი..... 426
დავიდარაბა 438
მანანა 459
წინა კაცი 469

РЕВАЗ МИШВЕЛАДЗЕ

ИЗБРАННЫЕ ПРОИЗВЕДЕНИЯ

в 25 томах

ТОМ II

Издательство „Сакартвелос Мацне“
Тбилиси 2012